

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტრო  
2009 ბერძნებიშვილის ინსტიტუტი

# შრომები

## IX

გათუმა – 2010

**MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF  
GEORGIA  
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

**TRANSACTIONS  
IX**

**Publishing House  
„Shota Rustaveli State University”  
Batumi – 2010**

**МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ И НАУКИ  
ГРУЗИИ  
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

**ТРУДЫ  
IX**

**Издательство  
«Государственный университет Шота Руставели»  
Батуми – 2010**

UDC (უაკ) 81+82+39+93/94+902+33+159.9  
6-63

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების მეცნიერების ტომში განხილულია სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ლინგვისტიკის, ფოლკლორის, ეკონომიკის, ხოციოლოგიასა და ფინანსობრივი აქტუალური პრობლემები.

**რედაქტორი:** ვ. შამილაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

**სარედაქციო კოლეგია:** პროფესორი ვ. შამილაძე (რედაქტორი); აკადემიური დოქტორი რ. მალაქმაძე (რედაქტორის მოადგილე); პროფესორი გ. ჩაგანავა (რედაქტორის მოადგილე); პროფესორები: ნ. ინაიშვილი, თ. შორშვილი, ნ. კახიძე, ქ. მიქაელიძე, მ. ქამადაძე, მ. ხორიძე, მ. პელკანს (ნერლი), ლ. აბრამიანი (ხომხეთი), ლ. ხოლოგიოვა (რუსთი), მ. აგლაროვი (რუსთი), მ. რაგიმოვა (აზერბაიჯანი).

In the ninth volume of the transactions of Niko BerdzeniShvili Institute are presented the different works discussing the actual problems of history, archeology, ethnology, linguistics, folklore, economics, sociology and psychology of the South-Western Georgia.

**Editor:** The corresponding member of the Georgian National Academy of Sciences, professor V. Shamiladze

**Editorial Board:** Professor V. Shamiladze (editor); Academic doctor R. Malakmadze (depute editor); Professor G. Chaganava; Professors: N.Inaishvili, T. Shioshvili, N. Kakidze, Zh. Mikashavidze, M. Kamadadze, M. Sioridze, M. Pelkmans (Netherlands), L. Abramian (Armenia), L. Soloviova (Russia), M. Aglarov (Russia), M. Ragimova (Azerbaijan).

В девятом томе трудов Института Нико Бердзенишвили рассматриваются актуальные вопросы истории, археологии, этнологии, лингвистики, фольклора, экономики, социологии и психологии Юго - Западной Грузии.

**Редактор:** член-корреспондент АН Грузии, профессор В. Шамиладзе

**Редакционная коллегия:** Профессор В. Шамиладзе (редактор); Академический доктор Р. Малакмадзе (заместитель редактора); Профессор Г. Чаганава (заместитель редактора); Профессора: Н.Инаишвили, Т. Шиошвили, Н. Каидзе, Ж. Микашавидзе, М. Камададзе, М. Сиоридзе, М. Пелканс (Голландия), В. Л. Абрамян (Армения), Л. Соловьева (Россия),М. Агларов (Россия), М. Рагимова (Азербайджан).

**რევიუზებები:** ჯემალ ვარშალომიძე – ისტორიის აკადემიური დოქტორი  
პაატა ჩაგანავა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

Reviewers: Djemal Varshalomidze - History Academic Doctor  
Paata Chaganava - Economics Academic Doctor

Рецензенты: Джемал Варшаломидзе - Академический доктор истории  
Паата Чаганава - Академический доктор экономики

ISSN 1512-4991

© “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” - 2010

## შინაარხი Content Содержание

### ლინგვისტიკა Linguistics Лингвистика

|  |    |
|--|----|
| მიხეილ ქამადაძე – აჭარაში გავრცელებული ზოგიერთი<br>გვარსახელის ისტორიისათვის (I) | 9  |
| Michael Kamadadze - For the History of Some Extended Names in Adjara (I)         | 16 |
| Михаил Камададзе - К истории некоторых фамилий распространённых<br>в Аджарии (I) | 16 |
| <br>   |    |
| ნანული ნოგაიდელი - პურეულისაგან ნამზადი კერძების ლექსიკა<br>აჭარულში (მასალები)  | 17 |
| Nanuli Nogaideli - Vocabulary cereal dishes (Proceedings of Adjara dialect)      | 21 |
| Нанули Ногайдели - Лексика злаковых блюд (Материалы аджарского диалекта)         | 22 |
| <br>   |    |
| ელზა ფუტკარაძე - პეტრე სურგულაძე მშობლიური ენის შესახებ                          | 23 |
| Elza Putkaradze - Peter Surguladze About Native Language                         | 30 |
| Элза Путкарадзе - Петра Сургуладзе о родном языке                                | 31 |
| <br>   |    |
| 3. ცხადიად - საინტერესო ნაშრომი ზანიზმების შესახებ აჭარის<br>ტოპონიმიაში         | 32 |

### ფოლკლორი და ლიტერატურა Folklore and Literature Фольклор и литература

|   |    |
|---|----|
| თინა შიოშვილი - შავშერი პატრიოტული ლირიკა                                       | 39 |
| Tina Shioshvili - Shavsheti Patriotic Lirics                                    | 44 |
| Тина Шиошвили - Шавшетская патриотическая лирика                                | 44 |
| <br>  |    |
| შუშანა ფუტკარაძე - წერილები სტამბოლის ქართული სავანის არქივიდან                 | 45 |
| <br>  |    |
| ციალა ნარაკიძე - ანდაზა ლაზურ ფოლკლორში   | 63 |
| Tsiala Narakidze -Proverb in Laz Folklore                                       | 69 |
| Циала Наракидзе - Пословица в лазском фольклоре                                 | 69 |
| <br>  |    |
| ეთერ ზოიძე - არასასიამოვნო ფრინველების ლექს-სიმღერები<br>აჭარის ხალხურ პოეზიაში | 70 |
| Eter Zoidze - Poems and Songs of Unpleasant Birds in Adjarian Folk Poetry       | 75 |
| Этер Зойдзе - Стихи неприятных птиц из аджарской народной поэзии                | 76 |

### ეთნოლოგია Ethnology Этнология

|   |    |
|---|----|
| ნოდარ ჯახიძე - პირველი სპილენძსადნობი ქარხანა სამხრეთ-დასავლეთ<br>საქართველოში (ქარხნის დაარსების 120 წლისთავის გამო) | 77 |
| Нодар Кахидзе - Первый медоплавильный завод в Юго-Западной Грузии<br>(К 120 летию со дня основания завода)            | 83 |

|   |    |
|---|----|
| <b>როინ მალაკმაძე, გურამ ჩაგანავა, გუბაზ ვანილიში - ქართული<br/>აულტურის ძეგლები თურქეთის შავიზღვისპირეთში</b>                                | 84 |
| <b>Roin Malakmadze, Guram Chaganava, Gubaz Vanilishi - Relics and Monuments<br/>of Georgian Culture in the Black Sea Coast Line of Turkey</b> | 89 |
| <b>Роин Малакмадзе, Гурам Чаганава, Губаз Ванилиши - Памятники грузинской<br/>культуры в Причерноморье Турции</b>                             | 90 |
| <b>თამილა ლომთათიძე - საკრალური ელემენტები აჭარის ეთნოგრაფიულ<br/>ყოფაში (ძღვენ-შესაწირავები)</b>   | 91 |
| <b>Tamila Lomtatidze - Sacral Elements in the Ethnographic Life of Adjara<br/>(Gifts and Sacrifices)</b>                                      | 98 |
| <b>Тамила Ломтатидзе - Сакральные элементы в этнографическом быту<br/>Аджарии (Дары и жертвы)</b>   | 98 |

### **ისტორია History История**

|   |     |
|---|-----|
| <b>მაღაზა სიორიძე - სასაქონლო წარმოების განვითარება ბათუმის თლქის<br/>სოფილის მეურნეობაში XIX ს. დამლევსა და XX ს. დასაწყისში</b>   | 99  |
| <b>Malkhaz Sioridze - The Development of the Merchandise Production in the Agriculture<br/>of Batumi Region of the End of the XIX-th and the Beginning of the<br/>XX-th centuries</b> | 107 |
| <b>Малхаз Сиоридзе - Развитие товарного производства в сельском хозяйстве<br/>Батумской области в конце XIX – в начале XX веков</b>   | 107 |
| <b>ოთარ თურმანიძე - ტრანსპორტის მდგრამარეობა აჭარაში საბჭოთა<br/>ხელისუფლების პირველ ათწლეულში</b>  | 109 |
| <b>Otar Turmanidze – Transport Conditions in Adjara in the First Decade of the<br/>Soviet Power of the XX Century</b>   | 114 |
| <b>Отар Турманидзе - Состояние транспорта в Аджарии в первое десятилетие<br/>советской власти</b>   | 115 |
| <b>უბათქროპირიძე - ზეიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას<br/>სასამართლო პროცესის ისტორიისათვის</b>   | 116 |
| <b>Уча Окропиридзе - К истории судебного процесса Звиада Гамсахурдия<br/>и Мераба Костава</b>   | 139 |
| <b>სიმონ გოგიტიძე - ქაშკაშის სახელწოდებები და მათი წარმომავლობა</b>   | 140 |
| <b>Simon Gogitidze - Kashkian Names and Their Origin</b>  | 145 |
| <b>Симон Гогитидзе - Название и присхождение кашских имён</b>   | 146 |
| <b>ოლეგ ჯიბაშვილი - მესხეთის გასათავისუფლებლად ერეკლე II-ის<br/>ბრძოლის ისტორიიდან (1771 წ.)</b>  | 150 |
| <b>Oleg Jibashvili - From the History of the Struggle for Liberation of Meskheti by<br/>Erekle II (1771)</b>  | 161 |
| <b>Олег Джибашвили - Из истории борьбы Ираклия II-го за освобождение<br/>месхетинских земель (1771 г.)</b>  | 162 |

## არქეოლოგია Archaeology Археология

|   |     |
|---|-----|
| <b>ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი - არქეოლოგიური გათხრები<br/>ციხისძირში 1988 წელს</b>   | 163 |
| <b>Nino Inaishvili, Giorgi Tavamaishvili - Archeological Excavations in<br/>Tsikhisdziri in 1988</b>  | 173 |
| <b>Нино Инаишвили, Гиоргий Тавамаишвили - Археологические раскопки<br/>в Цихисдзире в 1988 году</b>   | 174 |
| <br>  |     |
| <b>თამარ სიხარულიძე - მითი და სინამდვილე ფიჭვნარის ნიობიდების<br/>მსატვრის კრატერის მოხატულობაში</b>  | 178 |
| <b>Tamar Sikharulidze - Myth and Reality in the Figure-work by the Niobid<br/>Painter on the Krater from Pichvnari</b>                                  | 193 |
| <b>Тамар Сихарулидзе - Миф и реальность в росписи кратера мастера<br/>Ниобид из Пичвнари</b>  | 195 |
| <br>  |     |
| <b>ნანა ხახუთაშვილი - ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური<br/>ექსპედიციის მიერ სუფსა-გუბაზეულის ხეობაში<br/>ჩატარებული არქეოლოგიური დაზერვების ანგარიში</b>   | 205 |
| <b>Nana Khakhutashvili - Results of Archeological Exploration carried out by<br/>Georgian-British Expedition in Gorge of the Rivers Supsa-Gubazeuli</b> | 211 |
| <b>Nana Khakhutashvili - Итоги археологической разведки<br/>грузинско-британской экспедиции в ущелье рек Супса-Губазеули</b>                            | 211 |

## ეკონომიკა Economics Экономика

|  |     |
|--|-----|
| <b>ვახტანგ მიკაშავიძე, ჟანი მიკაშავიძე - ეკოტურიზმი – ბუნებრივი<br/>გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი</b>       | 217 |
| <b>Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze - Ecoturism – Significant<br/>Factors of Environmental Protection</b> | 227 |
| <b>Вахтанг Микашавидзе, Жани Микашавидзе - Экотуризм – важные<br/>факторы защиты окружающей среды</b>              | 227 |
| <br>   |     |
| <b>პაატა ჩაგანავა - ტურიზმის ბიზნესის რისკ-ფაქტორები</b>   | 229 |
| <b>Paata Chaganava - Risk-Factors in Touristical Business</b>  | 235 |
| <b>Паата Чаганава - Риск-факторы в туристическом бизнесе</b>   | 235 |
| <br>   |     |
| <b>ბესიკ ბოლკვაძე - ფინანსური დეცენტრალიზაცია: პარადიგმა<br/>და პარადოქსები</b>                                    | 236 |
| <b>Besik Bolkvadze - Fiscal Decentralization: Paradigm and Paradoxes</b>   | 240 |
| <b>Бесик Болквадзе - Фискальная децентрализация: парадигма и парадоксы</b>   | 241 |

**ფსიქოლოგია Psychology Психология**

|   |     |
|---|-----|
| <b>გურამ ჩაგანავა - პირობნების ცნობიერების ონტოგენეტიკური<br/>განვითარება და ფსიქიკური აშლილობები</b> | 243 |
| <b>Guram Chaganava - Ontogenetically Development of the Person and the<br/>Mental Disorders</b>       | 279 |
| <b>Гурам Чаганава - Онтогенетическое развитие личности и психические<br/>нарушения</b>                | 280 |

## მიხეილ ქამადაძე

### აჭარაში გავრცელებული ზოგიერთი გვარსახელის ისტორიისათვის (I)

ქართული გვარების ისტორია ძველია. ყოველი გვარის თავგადასავალი, მისი წარმოშობა ჩვენი ერის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. აკად. ა. შანიძე წერდა: „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიგრძე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“ (შანიძე, 1967:195).

ქართული გვარების წარმომავლობა და წარმოება საკმაოდ მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს. საგვარეულო სახელების წარმოქმნას საფუძვლად ედებოდა საგვაროვნო კრებულის ნიშან-თვისება, ჩვეულება, რწმენა, სადაურობა, გამოჩენილი წინაპრის სახელი, მისი საქმიანობა, თანამდებობა, ზოგჯერ ტოტემი, მითიური ამბები და ა.შ. გვარების წარმოქმნაში ყველაზე მეტად ფიგურირებს წინაპრის საკუთარი სახელი-ეპონიმი. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია აჭარაში გავრცელებული ზოგიერთი გვარსახელის წარმომავლობა-ისტორია.

**სახუტაიშვილი.** სახუტაიშვილების თავდაპირველი საცხოვრისი კინტრიშის ხეობაა. მათ „ბუდე სოფლად“ ჭახათი ითვლება (ამის შესახებ პირად საუბარში მიგვითოთა პროფ. თ. კომახიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ). სწორედ აქედან არიან ისინი განსახლებული ქობულეთის რაიონის სოფლებში, ქ. ქობულეთსა და ბათუმში. მცირე რაოდენობით სახლობენ თბილებების რაიონშიც, სადაც ქობულეთის რაიონიდან არიან გადასულნი.

გაფორმების თვალსაზრისით გვარი სახუტაიშვილი დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი მოდელია (შდრ. ნიკოლაი-შვილი, პაპუნაიშვილი, კვიტაიშვილი, დაღაიშვილი...), აღმოსავლეთ საქართველოსათვის კი ნიშანდობლივი ფორმებია: ნიკოლაშვილი, სახუტაშვილი, პაპუნაშვილი, პაპინაშვილი და ა.შ.

გვარის – სახუტაიშვილი – ამოსავალი უნდა იყოს მამაკაცის საკუთარი სახელი სახუტა, რომლის ძირეული ნაწილია სახ., ხოლო –უტა სუფიქსი. სახა, სახალო, სახანა, სახე, სახილა, სახო, სახულა, სახულია... დასტურდება საკუთარ სახელებად (ღლონტი, 1986:242). რომელთაგან ზოგი დღესაც გვხვდება. საკუთარი სახელი სახუტა// სახუტაი//სახუტი მოიხსენიება ისტორიულ წყაროებშიც (ისტ. დოკ. I,

66; დოკ. საქ. სოც. იხტ. I, 40; დას. საქ. საეკლ. საბ. I, 38). აღნიშნული პერსონიმებისაგან უნდა იყოს მიღებული გვარები: ხახანაშვილი, ხახიაური, ხახოშვილი, ხახოძე, ხახუა//ხახვა, ხახიაშვილი, ხახიკაური, ხახაშვილი, ხახიძე, ხახუბაიშვილი//ხახუბაშვილი...

საგულისხმოა, რომ გვარი ხახილისძე მოხსენიებულია შეს საუკუნეების წერილობით ძეგლში „ტბეთის სულთა მატიანეშიც“ („ტბეთის სულთა მატიანე“, 308—ე მოსახსენებელი). აღნიშნული ეპონიმი უნდა იყოს ამოსავალი ტიპონიმისა ხახულაშვილები (სოფ.ხარაულა, ქედის რ.). ოზურგეთის რაიონში საკუთარ სახელიდ დადასტურებულია ხახუჩი, რომელიც აჭარაში გვხვდება მეტსახელად. ამდენად, ხახ ძირისაგან მიღებული გვარები თუ სახელები საკმაო რაოდენობითაა საქართველოში. სადაც ა სუფიქსი გართულებულია კნინობითობის –უტ– მაწარმოებლით.

ხახუბა რომ მამაკაცის სახელია და გვარის (ხახუბაიშვილი) ამოსავალია, ამაზე ნათლად მეტყველებს ზ.ჭიჭინაძის ერთი ჩანაწერიც. კერძოდ, ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბარში ზ.ჭიჭინაძეს შეხვედრია მამუდ ხახუბოდლი. მკვლევარი წერს: „მე ხახუბაიშვილი მეგონა, მაგრამ არაო, სოჭვა მან, ხახუბა სახელი ყოფილა ერთი ჩვენი წინაპრის, თორემ ჩვენ კომახიძეები გახლავართ... აღმოჩნდა, რომ მას ქართული წერა—კითხვაც სცოდნიყო“... მამუდ ხახუბაიშვილისათვის ზ.ჭიჭინაძეს ქართული წიგნებიც მიუცია. „ამას ძრიელ გაუხარდა. წამოსცვლისას დიდი მაღლობა მითხრა და თან დაატანა: „იცოცხლეთ, რომ ჩვენში ხშირად მოსულიყოთ და წიგნები მოგეტანოსთო... ჩვენ ქართველები ვართ და თაორებიც გვეძახიანო, რომ გურჯები ხართ თქვენო“ (ჭიჭინაძე, 1913:15).

ეს ცნობა უეჭველს ხდის, რომ გვარსახელის – ხახუბაიშვილი – საფუძველია პერსონიმი ხახუბა, რომლის თავდაპირველი გვარი ყოფილა კომახიძე. ეს გვარები დღესაც ახლო ნათესავებად ითვლებიან და ურთიერთშორის ქორწინებაც მიუღებელია. ხახუბოდლი („ხახუბაიშვილი“) გამუსლიმანების შემდეგ უწოდებიათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს გვარი არცო ისე ძველი წარმონაქმნია.

**ფალავანდიშვილი.** გვარი ფალავანდიშვილი ამჟამად ძირითადად გვხვდება თბილისში, აჭარასა და იმერეთში. ამ საგვარეულოს წარმომადგენლები აჭარის რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ, ადგილობრივ მათ უწოდებენ ფელევანოდლებს („ფალავანის შვილები“), ფელევანოდლები შეუხევის რაიონში, კერძოდ, უჩამბის ხეობაშიც ცხოვრობენ და ფელევანი იწერებიან. ერთი გადმოცემა ამ გვარსაც ფალავანდიშვილს უკავშირებს, მაგრამ სხვა ვერსიით ფელევანის ერთ-ერთი წინაპარი მართლაც ფალავანი ყოფილა და მის შთამომავლობას ამიტომ უწოდეს ფელევანოდლი.

ფალავანდიშვილი ქართულ ფელალურ საგვარეულოებს მიეკუთვნება. ეს გვარი საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართულ ისტორიულ წერტილში. მემატიანე გვამცნობს: „მაშინ მოვიდეს ამირ—მირმანი

ფალავანდის-შვილი და აღსართან შარვანშა, ყოვლისა არანისა დო-დებულითა“... (ისტორიანი და აზმანი, 64).

1407–1410 წლების სიგელში მოხსენიებულია ერთ-ერთი ფალავან-დიშვილი, XV საუკუნის ბოლოს მოღვაწეობდა გადამწერი ფალავან-დიშვილი. XVII საუკუნეში ალგეთის ხეობაში იყვნენ ფალავანდ-ხოსროშვილები. 1759 წლიდან გიორგი მეფის მდივანი იყო ერთ-ერთი ფალავანდიშვილი. ცნობილია, აგრეთვე, ფალავანდიშვილების ნუსხა და არზა (1761–1790 წლების). ი.ფალავანდიშვილი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა და ა.შ. ისტორიულ საბუთებში საკუთარი სახელი ფალავანდიც გვხვდება.

ადრე ფალავანდიშვილები მესხეთშიც ცხოვრობდნენ. თურქების წინააღმდეგ მებრძოლ მესხეთის ფეოდალურ საგვარეულოთა შორის მემატიანე ფალავანდიშვილებსაც მოიხსენიებს (1830 წელს ახალ-ქალაქის სანჯაყს განაგებდა მუთი ბეგ ფალავანდიშვილი) (პირთა ანოტ. ლექს. 2007, 280–286; ბექირიშვილი, 1996:174–176).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თვალსაჩინო ქართველი მოაზ-როვნისა და მწიგნობრის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილის-იოანე ბაგრატიონის (1768–1830 წწ.) შრომაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ვკითხულობთ: ფალავანდიშვილები თავდაპირველად ნახევევანში „სცხოვრობდნენ მუნ წელსა ქრისტეს აქეთ 1184-სა“. სიავგაცის გამო სომხეთის მეფეს მათი წინაპრები იქიდან განუდევნია. ისინი ახალციხეში გადასულან საცხოვრებლად. 1600 წელს თურქებმა ეს მხარე რომ დაიპყრეს, ფალავანდიშვილთა ერთი ნაწილი გამუსლიმანებულა და იქვე დარჩენილა, ნაწილი კი ქართლ-ში გადასახლებულა. ქართლის „მეფემან ლუარსაბმან მიიღო მესამისა თავადობისა ხარისხითა წელსა ქრისტეს აქეთ 1615-სა შინა და იწოდებიან ფალავანდიანად, გინათგან ამათგან გვართა პირველ ჟამსვე ფალავანბისა გამო გაუგვარდათ“... ამირეჯიბნიც „ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი ყოფილან“, – წერს იოანე ბაგრატიონი. მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით, ფალავანდიშვილებს წინაპრის ფალავნობა გაგვარებიათ.

ასეთი ცნობები, რომელებიც სამეფო არქივიდანაა აღებული, ზემოთ აღნიშნულ თავის შრომაში ავტორს ბევრი ქართული გვარის შესახებ აქვს მოცემული, მაგრამ მათი უკრიტიკოდ გაზიარება ჭირს, თუმცა ამ ცნობების ხელადებით უარყოფაც არ შეიძლება, რადგან ზოგჯერ ისინი სინამდვილეს შეესაბამება.

იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ფალავანდიშვილების სამცხიდან საქართველოს სხვა კუთხებში გადასვლა დაკავშირებული უნდა იყოს ოსმალების მიერ ამ მხარის გამუსლიმანებასთან. ამ ფაქტორთან დაკავშირებით ვახუშტიც წერდა: გამაჰმადიანდნენ სამცხის წარჩინებულნიც, მაგრამ, „რომელიც სძულობდენ მაჰმადიანობასა“ და „არა ინებეს მაჰმადიანობა... ივლტოდიან... ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს“ (ბატონიშვილი ვახუშტი. 1973:726–728).

სავარაუდოდ, ფალაგანიშვილები აჭარაში სამცხიდან სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო ჩამოსახლდნენ და აქაც პრივილეგიური საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლად თვლიდნენ თავს. ამ ვითარებას ერთი ფაქტიც ადასტურებს, კერძოდ, 1911–1912 წლებში წოდების აღმდგენი კომისიისადმი შედგენილ მიმართვაში მოხსენიებული არიან ამჟამად ქობულეთის რაიონის სოფ. ხალას მცხოვრები ფალაგანიშვილები (ფელევანდოდლები: იუსუფ-ადა, ხასან-ადა, ხუსეინ-ადა ახმედის ძეები), რომლებიც აზნაურის წოდების აღდგენას მოითხოვდნენ (სურმანიძე, 2007:213).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფალაგანის ძველი ქართული ფორმა არის ბაჲლაუნდი. ამ გვარსახელის უძველესი ირანული ფორმა კი არის ძველი სპარსული პართია, პართელი, პართული, საშ. სპარსული პაჲლავ, პაჲლავან, ახ. სპარსული პაჲლავ, პაჲლავან „გმირი“, „ფალავანი“, არაბული პაჲლავან. არის, აგრეთვე სომხური გვარსახელი პაჲლაუნი, რომელთანაც, დაბოლოების მიხედვით, ყველაზე ახლოს დგას ქართული ბაჲლაუნდი. განსხვავებას ქმნის თავიდური ბ ქართულ ფორმაში და ზედმეტი დ სიტყვის ბოლოს. თავიდური ბ შესაძლოა დისიმილაციური გამჟღერებიც (**პ**) აიხსნას, ბოლოკიდური დ განვითარებულია ამ სახელის ახ. სპარსულ ფორმაშიც, რომელიც დაცულია გვარში ფალაგანიშვილი (ანდრონიკაშვილი, 1966:449). ამ უკანასკნელის ამოსავალია ფალაგანდი, მაგრამ ეს ფორმა ამჟამად ქართულში იშვიათად გვხვდება, ძირითადად გამოიყენება ფალაგანი („მოჭიდავე“, „გმირი“).

**აბულაძე.** ამ გვარსახელის (გვხვდება, აგრეთვე, აბულაშვილი, აბულიძე) ამოსავალია მამაკაცის საპუთარი სახელი აბულა. ეს პერსონიმი და მისგან მიღებული გვარი აბულაძე არაერთხელაა მოხსენიებული წერილობით წყაროებში (პირთა ანოტ. ლექს., 1991, 63). საპუთარი სახელი აბულა (შდრ. ტოპ. აბული, აბულის მთა-ჯავახეთში) გვხვდება ერთ-ერთ ხალხურ ლექსშიც: „ადკ, ადგ, აბულაო, თეთრად გათენებულაო“ (მაისურაძე, 1990:16).

აჭარაში მცხოვრები აბულაძეები სხვადასხვა წარმომავლობის არიან: ზოგი მესხეთიდანაა მოსული, ნაწილი იმერელი აბულაძეების შთამომავლად თვლის თაგს; ზოგიც ადრე სხვა გვარს ატარებდა და აბულაძედ შემდეგ დაიწერა. მაგ., სოფ. სარფში მცხოვრები აბულაძეები აბდულიშების განაუფია და სინამდვილეში ისინიც აბდულიშებია, მაგრამ გვარი აბულაძე აურჩევიათ.

ზ.ჭიჭინაძის ცნობით, სოფ. სამზიარში (ამჟამად ქვედის რაიონის სოფ. შევაბურის უბანია) მცხოვრები აბულაძეები არტაანიდან მოსულან. ისინი იქ აზნაურები ყოფილან. არტაანის გათათრების დროს კი იქიდან გამოქვეყლან აჭარაში და სოფ. სამზიარში დასახლებულან. როდესაც ოსმალებს ამ მხარის გათათრებაც დაუწყიათ, აბულაძეებს აქაც ბევრი უბრძოლიათ ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის, მაგრამ ბოლოს მაინც გაუმუსლიმანებიათ (ჭიჭინაძე, 1913:11–

112). საგულისხმოა, რომ ამჟამად ქედის რაიონის სოფ. საღორეთში მცხოვრებ აბულაძეებს არნაუტოღლებს უწოდებენ.

ტერმინი **არნაუტი//არნაოტი** აჭარაში გავრცელებულ სხვა გვარებშიც გვხვდება. არნაუტი (//არნაბუდი, არნაუდი) ბალკანეთის ალბანელების ბერძნული სახელწოდებაა, რომელიც დამკვიდრდა თურქულ ენაშიც. შეა საუკუნეებში ალბანელებმა თავი ისახელეს სამშობლოს თავისუფლებისათვის თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლით. არნაუტი თურქულ ენაში ზოგადი ცნების აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. XVI საუკუნიდან თურქი მემატიანები არნაუტებს უწოდებდნენ ქართველებსაც, რომლებიც ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ თურქ დამპყრობლებს. აღსანიშნავია, რომ ქართლში არნაუტს უწოდებენ კერპ, თავნება, ჯიუტ კაცს (ენციკლოპედია, 1975:581). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა განმარტებული: 1. ისტ. ბალკანეთის ალბანთა თურქული სახელწოდება. 2. გადატ. კერპი, ჯიუტი//უსაქციელო (ქეგლ, 2008:638).

ბუნებრივია, აჭარაში დადასტურებული არნაუტოღლები (//არნაუტები, არნაოტები) დაკავშირებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნულთან.

**ავალიანი.** აჭარაში ავალიანების ბუდე-სოფელი ამჟამინდელი ქედის რაიონის სოფ. დანდალოა. ადგილობრივ თედიოდლებს ებანიან, რადგან აქ პირველად სვანეთიდან თედია მოსულა და მის შთამომავლებსაც თედიოდლებს (თედიაშვილებს) უწოდებენ. ბეგები ყოფილან. ზ.ჭიჭინაძის მიხედვით, სოფ. დანდალოში ცხოვრობენ „ძველი აზნაურის გვარები: მოწინავედ ავალიანი ითვლებიან. პირველად აქ თევდორე ავალიანი გათათრებულა და ამიტომ გათათრებულ შთამომავალთათვის გვარად თევდორ-ოდლები უწოდებიათ. დღეს ავალიანადაც მოიხსენებიან“ (ჭიჭინაძე, 1913:101). სხვაგან კი ზ.ჭიჭინაძე წერს: „თევდორეს აქ ჩაუსახლებია ჯალაბაშვილები, ველიაშვილები, გორგაძები, გოგიაშვილები, გეგელიძეები, ზაქარაშვილები, არზანაშვილები... გადმოცემით, თევდორე თურქეთის სულთანს ეახლა და თხოვა, რომ თუ დანდალოში მამულებს მისცემდა, მისიანებსაც მოიყვანდა, დაასახლებდა აქ და მაპმადიანობასაც მიაღებინებდა. ასეც მოქცეულა. ახლა დარიბები არიან. ზოგი ოსმალეთში გადასახლებულა“ (ჭიჭინაძე, 1907:71–74, 86–88).

ერთ-ერთი გადმოცემით, რომელიც 1990 წელსაა ჩაწერილი სოფ. დანდალოში, თევდორი ავალიანი საქართველოდან მოსულა და აქ დასახლებულა, ფაშას მისთვის მამული და უფროსობაც მიუცია. შემდეგ წასულა მის მხარეში და დარიბები ჩამოუყვანია: ზაქარაშვილი, გოგიაშვილი, მოსიაშვილი, არძენაშვილი, ველიაშვილი... დასახლებულ უბნებსაც გვარების მიხედვით შეარქვეს სახელებით (ბექირიშვილი, 1996:14).

ამჟამად ავალიანები მეტწილად ცხოვრობენ თბილისში, ქუთაისსა და გარდაბანში (სილაგაძე, 1997:18). ეს გვარსახელი –იან– სუფიქსითაა გაფორმებული. ასეთი დაბოლოების გვარები აჭარაში იშვიათად დასტურდება.

ავალიანი და ავალიშვილი (აჭარაში დასტურდება, აგრეთვე გვარი ავალიძე) ერთი ძირისაა. ავალიშვილები სამცხე–საათაბაგოს თავადთა სიაში მოიხსენიებიან (ბაქრაძე, 1987:75). ვარაუდობენ, რომ ავალიშვილები ძველად ციციშვილებს ენათესავებოდნენ. ავალა, რომლისაგანაც მომდინარეობს ეს გვარი, მათი წინაპრის საკუთარი სახელი უნდა იყოს. ავალიშვილები თავდაპირველად ახალციხის ახლოს სახლობდნენ. მაგრამ, როდესაც ახალციხე 1601 წელს ოსმალებმა დაიპყრეს, ავალიშვილები საქართველოს სხვადასხვა მხარეში გადავიდნენ საცხოვრებლად. კერძოდ, იმერეთში, ქართლ-კახეთში და ა.შ. მათგან ზოგი ავალიანად დაწერილა. იმერეთში ავალიანების ნაწილი თავადის, ნაწილი აზნაურის ხარისხით გადავიდა, ზოგიც აზნაურ ავალიანებად იყვნენ ცნობილი (ახუაშვილი, 1994:196–197; ახუაშვილი, 1999:241–142).

1912 წელს აჭარაში მცხოვრებ ავალიანთა რამდენიმე ოჯახმა განცხადებით მიმართა საოლქო წოდებრივ კომისიას, რომ აღედგინათ მათთვის თავადის (ბეგის) ტიტული. კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ავალიანებისთვის რუსთის თავადის ტიტულის აღდგენის შესახებ.

სავარაუდოა, რომ ავალიანები აჭარაში ოსმალური რეჟიმის პერიოდში მოვიდნენ. მათ გვარი არ შეუცვლიათ. ე.ი. მოვიდნენ ავალიანები (და არა ავალიშვილები) და ასე იწერებიან დღესაც (სურმანიძე, 2007:64).

**ხოზრევანიძე.** ერთი თვალსაზრისით, ხოზრევანიძე გვარსახელ ვანიძისგანაა წარმოქმნილი, რომლის წინსართი ხოზრე ამოუცნობია (ბექირიშვილი, 1996:218).

რა თქმა უნდა, ასეთი ახსნა მცდარია. მოცემული საგვარეულო სახელის ამოსავალი უნდა იყოს **ხოზრ**, –ევან – სუფიქსი (შდრ. ნოშრევანი, გედევანი, როსტევანი...). შეიძლება აღნიშნული გვარის საფუძველი არის საკუთარი სახელი **ხუასრო** (>ხოსრო), რომელსაც საშ. სპარსულიდან შემოსულად თვლიან. ძვ. ირანულში იგი ნიშნავს „სახელგანთქმული“, „კარგი სახელის მქონე“ (ანდრონიკაშვილი, 1966:517).

აჭარაში გავრცელებული საგვარეულოების ისტორიისა და ეტიმოლოგიის შესახებ შემდეგშიც გვექნება მსჯელობა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **შანიძე, 1967** – ა.შანიძე. თეოფორული სახელები ქართველურ ენებში. „მაცნე“, №2.
2. **ისტ. დოკ. I, 1959** – ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466–1770). წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო. შ. ბურჯანაძემ, თბ.
3. **დოკ. საქ. სოც. ისტ. I, 1940** – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, XV-XVIII სს. I, 6. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ.
4. **დას. საქ. საეკლ. საპ. I, 1921** – დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ. თბ.
5. „ტბეთის სულთა მატიანე“, 1977 – „ტბეთის სულთა მატიანე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ.
6. **ჭიჭინაძე, 1913** – ზ. ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ.
7. **ისტორიანი და აზმანი** – ისტორიანი და აზმანი. – ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბ., 1959.
8. **პირთა ანოტ. ლექ. 2007** – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV. თბ.
9. **ბექირიშვილი, 1996** – ი.ბექირიშვილი, ასი აჭარული გვარსახელი, ბათუმი.
10. **ბატონიშვილი ვახუშტი, 1973** – ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, IV, თბ.
11. **სურმანიძე, 2007** – რ.სურმანიძე. თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ. ბათუმი.
12. **ანდრონიკაშვილი, 1966** – მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ერობრივი ურთიერთობიდან. თბ.
13. **პირთა ანოტ. ლექს. 1991** – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ.
14. **მაისურაძე, 1990** – ი.მაისურაძე. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ.
15. **ენციკლოპედია, 1975** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბ.
16. **ქვებლი, 2008** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ.
17. **ჭიჭინაძე, 1907** – ზ.ჭიჭინაძე. ქართველების გამამადიანება, თბ.
18. **ბექირიშვილი, 1996** – ი.ბექირიშვილი. აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათუმი.
19. **სილაგაძე, თოდაძე, 1997** – ავ. სილაგაძე, ა.თოდაძე. გვარ-სახელები საქართველოში. თბ.
20. **ბაქრაძე, 1987** – დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი.
21. **ახუაშვილი, 1994** – ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, I, თბ.
22. **ახუაშვილი, 1999** – ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, თბ.

**Michael Kamadadze**

**For the history of some extended names in Adjara (I)**

**S u m m a r y**

This article is about the etymology and the origin of the history of some extended ancestral names (Khakhutaishvili , Palavandishvili, Abuladze, Avaliani, Khozrenanidze) in A Adzharia.

It is marked, that given names come from proper names.

**Михаил Камададзе**

**К истории некоторых фамилий распространённых в Аджарии (I)**

**Р е з ю м е**

В статье рассматриваются вопросы этимологии и истории некоторых фамилий, распространённых в Аджарии (Хахутаишвили, Палавандишвили, Абуладзе, Авалиани, Хозреванидзе). Отличенных фамилии исходят от собственных имён.

## ნანული ნოდაიდელი

### პურეულისაბან ნამზადი პერძების ლექსიგა აჭარულში (მასალები)

სამზარეულო მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მყარი და მინიჭვნელოვანი ელემენტია. იგი საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. ყურადღებას იქცევს როგორც საერთო ეროვნული, ისე საქართველოს ცალკეულ კუთხეთა სამზარეულოს თავისებურებანი, რომლის მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული კულტურის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული თუ ენათმეცნიერული ოვალსაზრისით. ქართული სამზარეულოს ეროვნული სახე, თავისთავადობა და მდიდარი ტრადიციები, მიუხედავად აღმოსავლურ სამყაროსთან ხანგრძლივი ურთიერთობისა, კარგადად შემონახული აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

აჭარულ სამზარეულოსთან დაკავშირებით მოძიებულია დიდძალი სიტყვიერი მასალა. ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ პურეულთან და მისგან ნამზად კერძებთან დაკავშირებულ ლექსიკას.

პურეულთაგან აჭარაში ძირითადად საკვებად გამოიყენება სიმინდი და ხორბალი. ადრე ხორბალთან ერთად მოჰყავდათ ჭვავი, ქერი, ფეტვი, ღომი, ბრინჯი. ახლა ამ კულტურებს აღარ თესავენ. აღარ მოჰყავთ ხორბალიც, მაგრამ ახსოვთ ხორბლის ენდემურ ჯიშთა სახელები: ახლი, პური, დიკა (თეთრი დიკა, ყირმიზი დიკა, შავთავა ანუ შავფხა დიკა, იგივე ჭერა პური), თოლი, ნიქსარულა იგივე ჭუჩბო, ჭოსარ პური და სხვ. ხორბალთან შერევით თესავდნენ, აგრეთვე, ჭვავს, შვრიას და საკვებად იყენებდნენ მიღებულ მარცვლეულს, რომელსაც ეძახდნენ ჭერდიკას, ჭერსვილს/ჭერჭელსა და სხვ.

სიმინდი თითქმის ყველგან მოჰყავდათ. აჭარაში გავრცელებული იყო სიმინდის მრავალი ჯიში: აბაშურა, აგარულა, ალაზანა, ბოლოჭურა, ბროლა, გოდორა, ბოლნისურა, სამოლეთურა, ფოთურა, სატაცუნა, ჩხალურა, ჩხაკურა, წვიტა, ჭკვიანად, ჯვარვაკულა, ჯორიელა და სხვ.

სიმინდი აჭარაში, ისევე, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, მე-17 ს-დან დამკვიდრებულია. ხოლო ზემო აჭარაში სიმინდი ძირითად მარცვლეულ კულტურად მე-19 საუკუნიდან ქცეულია. საინტერესოა სიმინდის ერთ-ერთი ჯიშის სახელწოდება ლაზურიტი. ამ სახელის ეტიმოლოგიდან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ სიმინდი საქართველოში ლაზეთიდან უნდა გავრცელებულიყო (ს.ჯიქია, 1944:228).

მჭადი, ისევე როგორც პური, ადამიანის აუცილებელი საზრდოა და სათაყვანო, კულტის საგნად ადრიდანვე იქცა. ახლაც, პურისა და

მჭადის ნატები ძირს თუ დავარდება, აიღებენ, მტვერს გააცლიან, ეამბორებიან და მაღალ ადგილას შემოდებენ. იმდენად ძლიერიდ მიწათმოქმედ ადამიანში პურისა თუ მჭადისადმი პატივისცემის გრძნობა, რომ თავისი ალალმართლობის დასამტკიცებლად პურზე ან მჭადზე ისე იფიცებს, როგორც ხატზე; მაგ.: “ამ პურის მადლმა...”, “ამ ლუკმას ვფიცავ...”, “დაიკავე მჭადი ხელში...” (“დაიფიცე, რომ მართალი ხარ...”) და სხვ.

სიცოცხლის დასასრულის მოახლოებასაც ხალხი პურსა და მჭადს უკავშირებს. ქეტო ფქვილის გამონაცერია. მოხუცთა მეტყველებაში ხშირად გაიგონებთ გამოთქმას - “ჩემი ქეტო დალეულია” ან “ჩემი ქეტო დალეულია, საცერი კედელზე მივკიდე”, რაც სიტვასიტვით ნიშნავს: ჩემი ცხოვრების დასასრული დამდგარა, მოახლოებულა (შდრ. სახოკია, “ჩემი წილი ერბო დაქცეულა”; “ჩემი კალო გალეწილია”...).

მარცვლეულს (სიმინდის და პურის ჭაჭალს) გადარევენ, პრეს, პრედოს გააცლიან და გაჭაზმავენ - გადაარჩევენ. უწინ პურის კაპლის გადასარეკად ხმარობდნენ ცხავს (დიდი ზომის საცერს). გაჭაზმულ მარცვლეულს ფქვავენ წისქვილში. წისქვილში დაფქვას დაფქოვას, ამოწისქვილებას, დაგნებას ეძახიან. იფქვევა სხვადასხვა ხარისხის ფქვილი. საშუალო სისქის, კარგი ფქვილი სირსვალია. წვრილად დაფქვისას, დალინგვისას გამოდის ლინგის, გული ფქვოლი. მას კიდევ ჟუგულა, პიპ ფქვილს ეძახიან. მსხვილად დაფქვა დალერდვა, დაწეწილვა, დაროხვა. ფქვილსაც დურდილი, წეწილი, ჭეჭილი, როხი ფქვილი ეწოდება.

წისქვილი რომ ფქვას იწყებს, პირველად ტურა-ქფილა გამოდის.

ფქვილს ცრიან საცერში. გაცრისას ფქვილი იყრება გობზე. საცერში რჩება ანაცარი//ქატო (ქატო).

გაცრილ ფქვილს ინახავენ ჭადობანში. ფქვილის ამოსაღებად იყენებენ ლაფერას. ფქვილს ხშირად ორთავე პეშვით იღებენ. ამას ამოჭაჭვას ეძახიან. მჭადს აცხობენ კეცში. კეცი ქვისაა ან იშვიათად თიხის.

მსხვილი შეშით ძლიერ ცეცხლს დაანთებენ, დააგზნებენ. ცეცხლი დანაკვერჩხლებას რომ დაიწყებს, კეცს მიადგამენ. მჭადის ფქვილს დაყრიან გობზე, წყალს დაადგამენ და მოზელენ. კარგად, დიდხანს უნდა ზილონ, ხელონ. ცუდად მოზელილი, მოტირტყლული ცომიდან ტყლარწი მჭადი გამოცხვება. კერაზე, ბუხარში ნაკვერჩხალი რომ დაიყრება, კეცი გახურდება. გახურებულ კეცს მაშით გადმოაბრუნებენ, ჩვრით ან ჭავრით (მცენარის ფოთლებით) აბლს, ფერფლს მოაშორებენ, კაკლის, წყავის ან შქერის ფოთლებს დაავენენ, ცომს დააგუნდავებენ. ხელებში მოტყეპნიან და დააკრავენ - კეცზე დადებულ ცომს სველი ხელით კეცის ზომაზე გადაიყვანენ, კიდეებს მოულამაზებენ, დაუკეთებენ, გაშლილი ხელისგულის კიდით ზადაპირზე ჯვარს გამოსახავენ, ხემოდანაც ფოთლებს დააფარებენ და კეცს გახურებულ საჯს (თუნუქის ფურცელს) გადააფარებენ.

საჯს ზემოდან ასტამით დაყრიან ცხელ, ნაცრიან ნაკვერცხლებს - დვიოროს, დვიდაროს.

კეცი თუ კარგად არაა გახურებული, ან თუ ფოთლები არ დაუფინეს, მაჭადი (პური) კეციდან არ ადგება. არც ზომაზე მეტად გახურებული კეცი და საჯზე დაყრილი მსხვილი ნაკვერცხლებია მჭადისათვის კარგი. ასეთ შემხვევაში მჭადს ცეცხლი მოიტაცებს და პირწასწრებული, მოტლანცული მჭადი გამოცხვება. გამომცხვარ მჭადს კეციდან არგავენ, აყრიან. კარგად გამომცხვარი მჭადი გა-პირწინებულია - გული კარგადაა გამომშრალი, ცუდად გამომცხვარი მჭადის გული კი გამოტლიიზნულია. ახალი მჭადი თაროქალია, კარგად არ დატყვდება. ამიტომ ცოტას წააგრილებენ და ისე დატეხებ. ზოგს მჭადის ქერქი - ქერქი უყვარს, ზოგი კი მჭადს გულს, რბილობს გამოაცლის - გამოგულავს, გამოქუთინის.

ზოგჯერ მჭადის ცომს აფუნებენ - მოზელილ ცომს ცოტა ხანს გააჩერებენ. ცომი აფუვდება, ამოვა და გამოაცხობენ მჟავე მჭადს.

ოჯახისათვის ერთ ჯერზე, ჭამაზე სამყოფი მჭადის გამოსაცხობი პეცი საჯერო კეცია.

პატარა ბავშვების საკვებისათვის ან ფელამუშისათვის ფქვილს გაამერდინებენ, გამტკიცავენ - მერდინში//სამტკიცში გაცრიან და მიიღებენ გაამერდინებულ//გამტკიცულ ფქვილს.

შვიდკვირია, ტკუნჩა სიმინდის მარცვლებს დვიოროში ჩაურიან. სიმინდის მარცვლები დაიტკუნება//დაითქმება და გამოდის თქმება//ტკუნჩა (შძრ. ბატი-ბუტი), რომელსაც სიამოვნებით მიირთმევენ.

ცხელ ღადარში იციან ნაცარკვერას//კვერის//კვერიკოს//კოკას//კოკოს გამოცხობა. კოკვას//კოკოს მჭადის ან პურის დაგუნდავებულ ცომსაც ეძახიან. ნალვერდალს//ლვიდარს გაჩერებენ, ცომის გუნდას ხელში მოტყებიან და კერაზე ჩააკრავენ. ზევიდანაც დვიდაროს დააყრიან. ხშირად მცენარის ფოთლებშიც აცხობენ. ნაცარკერი რომ გამოცხვება, ამოიღებენ და მომდუდრავენ- ცხელ წყალს გაავლებენ.

მჭადის ფქვილით იციან დომინას (მჭადის ფქვილის ღომი) გაპუთება. ფქვილს ნელ-ნელა ჩაყრიან აღუღებულ წყალში, თან, სანამ შესქელება, სწრაფად ურევენ წოგნით, შემდეგ კარგად დაადუდებენ, ფქვილს შეაზელენ, ლაფერით კარგად ჩაზელენ, ერთხანს კიდევ აშუშებენ და კარგად რომ დაშუშდება, წყალში დასველებული ლაფერით ამოიღებენ - ამონაოლავენ.

პურის გამოსაცხობ ცომს წაასუქებენ, აასუქებენ. მოზელის დროს შეურევენ სასუქს (საფუარს) და მოზელილ ცომს რამდენიმე ხანს თბილად გააჩერებენ. ცომი ასუქდება, ამოვა და გამოაცხობენ კეცზე. თუ კარგი სასუქი არაა, ცომი დაკვემა, დაგარდება. სასუქი ამჟავებული პურის ცომია. კარგად ასუქდებული ცომი კეცზე აფ (აფუვდება) და ბუმბრუქი//ფუმფრუქი პური გამოცხვება. თუ ცომი კარგად ასუქებული არაა, პური ლიფიცი, დაცემული იქნება.

ცომი რომ კარგად ასუქდეს, ფქვილი დავდიანი, ძარღვიანი უნდა იყოს. ასუქებული ცომით პურის გარდა აცხობენ ყველიან პურსაც.

პურის ცომისაგან მრავალფეროვანი კერძები მზადდება. ასეთი კერძებისათვის ცომს ასუქება არ სჭირდება. იგი ჩვეულებრივად, წელით იზიდება. ცომი დიდხანს, კარგად უნდა ზილონ, ხელონ.

კერძებისა და ნამცხვრებისათვის ცომი უნდა გააბრტყელონ, გაიყვანონ ოქლაომო (უქლაომო)//ოოხის ჩხირით და ამას ფენის//ოოხის გაღვებას, გაყვანას ეძახიან. გაბრტყელებული ცომი ფენა//ოოხი//ფოდება.

გაბრტყელებისას, გასაყვან ჯოსს რომ არ მიეკრას, ცომს ცოტცოტა ფქვილს მიაყრიან, ჭაფქვილავენ.

გაბრტყელებულ ცომში ყოველგვარი გულის (სატენის) მოთავსება წაგულვა, დაგულვა. გულის გარშემო გაბრტყელებულ ცომს მოჟუპტავენ//მოშუპავენ - ერთად მოუყრიან თავს და შეკრავენ. წვნინი კერძების გასასქელებლადაც ხშირად ურევენ ფქვილს. ამას ძარაგის მიცემას ეძახიან. მარაგის მიცემით ამზადებენ: აჩმიშორვას, ბეთმეზის ფაფას, ბლიკურტი შორვას, ბლის ფაფას, დოშორვას, კუიმაღს, ძარაგიან ქათამს, მარაგიან ფხალს, ტყლაპის შორვას, ყანყლუცას, ჩირბულს და სხვა მრავალს. თუ კერძში პურის ფქვილს უმატებენ, წინდაწინ კარგად უნდა გასძრან (გასხნან ცივ წევალში) ან ფრთხილად ჩაყარონ და სწრაფად ურიონ, თორემ ფქვილი ცხელ წევნში დაკურკუტდება//დაკურკუშდება - კურკუტები//კურკუშები (ცომის შემკვრივებული ნაწილები) გაჩნდება.

ხორბლისგან უწინ იცოდნენ კორკოტის მოხარშვა. ხორბალს საცეცვში//ჩამურში გადაარჩევდნენ, მერე გადარეცხავდნენ, დაასხამდნენ წევალს და დიდხანს ხარშავდნენ. პურის მარცვლები რომ დარბილდებოდა, შეამზადებდნენ თაფლით ან კარაქში მოშუშული ხახვით. იცოდნენ ნიგგზითა და ნივრით გაკეთებაც. ამზადებდნენ შაქრითაც. კორკოტი აუცილებელი საქორწინო კერძი იყო.

კორკოტი საქართველოს ყველა კუთხეში ცნობილი კერძია. მისი დამზადება შეიძლებოდა ყოველდღე, მაგრამ კორკოტობას (ნ.ქველ), შობის წინა დღეს კი აუცილებლად უნდა მოხარშულიყო მიცვალებულთა მოსახსენებლად.

ვფიქრობთ, აჭარაში პურეული კულტურის გადაშენებამ და მაჟმადიანური რელიგიის გავლენამ კორკოტს დაუკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება, მაგრამ როგორც რიტუალური კერძი, ყოფაში მაინც დარჩა და საქორწინო-საწესხვეულებო კერძად იქცა.

გარდა კორკოტისა, პურეულისაგან ამზადებდნენ უშურას, აჩმას//საღარ მაკარინას, ბაქლავას, ბიშს, ბურმეს, გავრეგს (ნაღებიან მჭადს), ლოხავიწას, ერისას, ერიშტას, თაფლაკვერს, ლობიოან მჭადს, ლუხუმს, მაკარინას, იაღლიჭადს, პურის საჭმელს, სინორს, ტაბლას, ჭადიან პურს, ქალაჯოს, დომილობიას, ყათმერს, ჭინჭრიხას, ხავიწს, ხელვას და სხვ.

ნაშრომში გამოყოფილი ლექსიკური ერთეულები მრავალმხრივაა საინტერესო. ნაწილი ტერმონებისა ძირძველი წარმომავლობისაა და ფიქსირდება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში (ნ. აბულაძე, საბა, ჩუბინაშვილი... მაგ.: ანაცარი, ასტამი, ბრუ, გობი, ლაფერა, ლინგი, საჭამალი, ღერლვა, ღერლილი, ცხავი, ჭაჭა, ხავიში და სხვ.). ნაწილი სიტყვიერი ნიმუშებისა საკუთრივ აჭარულის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. მაგ. გამოტნიზნული, კოკვა, ლიყიცი, როხი ფქვილი, ტურაქფილა, ტყლანწი, ფუმფრუჭი, ქალაჯო და სხვ.

ასევე, გამოიყოფა ოურქული ენის გზით გავრცელებული ტერმინები: მაგ.: აჩმა, ბურმე, გევრეგი, ერიშტა, ლუხუმი, ყათმერი, ხელვა და ა.შ.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალა საყურადღებოა როგორც ენობრივ-დიალექტოლოგიური, ისე სამზარეულოს ხალხური ტრადიციების შასწავლის თვალსაზრისითაც.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიონი, თბილისი, 1973
2. შ.ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა, ბათუმი, 1971
3. ნ.ნოღაიძე, ხალხური კულინარული ტრადიცია და ლექსიკა (აჭარული მასალა), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბილისი, 1987
4. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, 1950-64
6. დ.ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961
7. ს.ჯიქია, “ლაზური” სიტყვის წარმოებისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, თბ., 1944

**Nanuli Nogaideli**

### **Vocabulary cereal dishes (Proceedings of Adjara dialect)**

#### **Summary**

In Adjara grown different cereal crops: wheat, oats, barley, millet, etc. Since the XVII century spread corn. Now grow only corn, but well remember the name of varieties of these crops.

Cereals in Adjara with longstanding currently preparing different dishes. Vocabulary cereal meals is interesting because most of the archaic lexical items. Some terms unique to Adjara dialect.

Long-term dialogue with the Eastern world has affected Ajarian kitchen. According to this there are fixed and Oriental names of the dishes

Presented in the paper the lexical material indicates that in Adjara largely preserved the tradition and vocabulary of Georgian cuisine.

**Нанули Ногаидели**

**Лексика злаковых блюд  
(Материалы аджарского диалекта)**

**Резюме**

В Аджарии выращивались разные злаковые культуры: пшеница, овёс, ячмень, просо, пшено и др. С XVII века распространилась кукуруза. Сейчас выращивают только кукурузу, но хорошо помнят названия разновидностей этих злаков.

Из злаков в Аджарии с давних времён готовят разные блюда.

Лексика злаковых блюд интересна тем, что большая часть лексических единиц архаическая. Некоторые термины характерны лишь для Аджарского диалекта.

Долговременное общение с восточным миром повлияло на аджарскую кухню. По этому здесь фиксируются и восточные названия блюд.

Приведённые в статье лексический материал свидетельствует о том, что в Аджарии в основном сохранены традиции и лексика грузинской кухни.

## ელზა ფუტკარაძე

### პირვენ სურგულამე მშობლიური მნის შესახებ

პეტრე სურგულაძის სახელი ქართული საზოგადოებისათვის უცხო არ არის. დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ერის წინაშე. ის იყო პოლიტიკური მოღვაწე, ორმელიც ითხოვდა რუსეთისაგან საქართველოს სრულ გამოყოფას. 1910 წელს იმულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და უენევაში წასულიყო, სადაც მოწინავე ქართველი ემიგრანტი ქართველებისაგან შექმნა „სეპარატისტთა წრე“, მომავალი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ პირველი ჩანასახი. აქვე მოაწეო „პატარა ქართული სტამბა“ და 1913 წლის იანვარში გამოსცა ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ პირველი ნომერი. „თავისუფალი საქართველო“ ყველთვიური 24-გვერდიანი ჟურნალი იყო, რომლის რედაქტორი პ.სურგულაძე იყო ლეო და გიორგი კერქსელიძეებთან ერთად [შარაძე, 2001:85].

მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე უენევის კომიტეტი კავშირს იჭერს გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლებთან. უენევიდან ბერლინში გადასახლდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების დადების შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტი მიემგზავრება სტამბოლში ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. მათი უპირველესი ამოცანა იყო ქართული ლეგიონის დაარსება ოსმალეთში [შარაძე, 2001:65].

ცნობილია, რომ ქართული ემიგრანტული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უენევის ცენტრის მოწყობის პარალელურად, პ.სურგულაძე ამავე მიზნით აქტიურად იღვწოდა სტამბოლშიც. ის ერთხმად აირჩიეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარედ. 1917 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა სამშობლოში და იმავე წლის ნოემბერში აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. იმავდროულად, ის ინგენიორად მოძრაობს საქართველო-სტამბოლს შორის, რათა ბოლომდე მიეკვინა ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმე. იყო 1918 წლის 26 მაისის ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის მონაწილე და ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. 1921 წლიდან კვლავ ემიგრაციაშია, ცხოვრობდა სტამბოლში, სადაც 1931 წლის 6 სექტემბერს გარდაიცვალა [სიორიძე, 1998:26].

სტამბოლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ამას ხელი შეუწეო იმანაც, რომ 1861 წლიდან იქ არსებობდა მესხეთიდან გადახვეწილ ქართველთა ეკლესია სტამბითა და ქართული სკოლით. 1876 წლიდან სტამბა აქცენტებდა წიგნებს. სავანე ემიგრანტთა საიმედო თავშესაფარიც იყო.

1911 წელს სტამბოლში შეიქმნა ქართველ სეპარატისტთა ორგანიზაცია „დადიანის კომიტეტი“. ამ კომიტეტის ორგანიზატორიც იყო პ.სურგულაძე [მ. სიორიძე, 1998, 34].

ამრიგად, სტამბოლის ქართველთა სავანეს ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დაქმდის დაცულია სავანის ბიბლიოთეკა და არქივი, რომელსაც წლების განმავლობაში სწავლობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა ღოქტორი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე. ფასდაუდებელია ის დიდი მამული შვილური საქმიანობა და დვაწლი, რაც მან ამ მიმართებით გააკეთა. სავანის ბიბლიოთეკაში ინახება პ.სურგულაძის ნაშრომი „ეროვნული ენა“, რომელიც უკრნალ „ცისკრის“ 1905 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა. აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად პ.სურგულაძე მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

საინტერესოა პ.სურგულაძის შეხედულებანი ენის საკითხის თაობაზე. ნაშრომის შესავალ ნაწილში საუბრობს ენის რაობის საკითხზე, ზოგადად ეხება ენების კლასიფიკაციას. საინტერესო ნაშრომის მეორე ნაწილი, სადაც ის დაწვრილებით საუბრობს ენის კულტურულ მნიშვნელობაზე. ყურადღებას სწორედ ამ ნაწილზე გავამახვილებთ. ის ვრცლად საუბრობს ერის კულტურული მოვლენის—სამშობლოს ენის მნიშვნელობაზე. აანალიზებს, რა მნიშვნელობა აქვს მას ერის ცხოვრებაში. იქვე საუბრობს იმ საჭირო ზომებზე, რომლებიც აუცილებელია ენის დაცვა-გაძლიერებისათვის.

ნაშრომის შესავალ ნაწილში პ.სურგულაძე ეხება ენისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს. ის იმეორებს ტრადიციულ აზრს იმის შესახებ, რომ ენის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან. ენის განვითარება მოითხოვს საზოგადოებას. ადამიანიც მხოლოდ საზოგადოებაში იძენს ენას: „გაზარდეთ იგი საზოგადოების გარეშე და მუნჯი გამოვა“ [სურგულაძე, 1905:20].

პ.სურგულაძის შეხედულებანი ფაქტებითა და მაგალითებითად გამყარებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. კერძოდ, 1594 წელს ინდოეთში მისიონერად მყოფ მღვდელ კსავიეს გაუგონია თვით სულთან აქბარასაგან შედეგი: „სულთანს სურდა გამოერკვია, თუ როგორ წარმოსდგა ენა. ამისთვის მან ბრძანა 30 ბავშვი დაემწყვდიათ ერთად საპყრობილები და აღეზარდათ ძიძებისა და მცველების ზედამხედველობით. აღმზრდელებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ კრინიც არ დაეძრათ ბავშვებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოელოდათ სიკედილით დასჯა. დაიზარდნენ ბავშვები და გამოდგნენ ყრუ, უგუნური ახალგაზრდები, რომლებიც ლაპარაკის მაგიერ მიმიკას ხმარობდნენ“ [სურგულაძე, 1905:22].

ფაქტების არგუმენტირება—აანალიზის საფუძველზე გვთავაზობს დასკვნას, თუ რამდენად ძლიერია ყოველ ადამიანში საზოგადოებრიობა და თავისი აზრების გაზიარების საჭიროება.

პ.სურგულაძის ენათმეცნიერულ შეხედულებათაგან, შეიძლება ცალკე გამოიყოს ენის კულტურული მნიშვნელობის საკითხი. მისი აზრით, ენა არის ის კულტურული ძაფი, რომელიც გაძმულია ურიცხვით თაობათა შორის და გვაწვდის წინანდელ თაობათა ნამუშევარს. მას ენის ერთობა ყველა ერთობაზე უფრო ძლიერად და მტკიცებული მიაჩნია. ამასთანავე, საუბრობს სამშობლო ენის მნიშვნელობაზე. ხაზგასმით მიანიშნებს, რომ კაცობრიობა დანაწილებულია ეროვნებად, ყოველ ერს ატყვია თავისებურება, ყოველ ერს თავისი კულტურული განძი აქვს და საზოგადო კაცობრიულ მსვლელობაში თავისებურ გზას იკაფავს, ენა არის ერის ისტორიული პროცესის შედეგი. მასში მომწყველებულია კულტურული ზრდის ნაყოფი, მას ღრმა ფესვები აქვს გაქსული ეროვნების ყოველ პიროვნებაში და ამ პიროვნებას თავისებურ ელფერს სდებს” [სურგულაძე, 1905:36].

მიგვაჩნია, რომ პ. სურგულაძე განიცდის და საზრდოობს იაკობ გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისას“ სულისკვეთებით. რის საფუძველსაც გვაძლევს ნაშრომის შესავალი ნაწილის სქოლიოს მინაწერი: „ენის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ ლიტერატურაში მეტად მცირება ნაწერი. რამდენადმე წვრილმან წერილს გარდა ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი წიგნი ჩვენი პედაგოგის ი.გოგებაშვილისა „ბურჯი ეროვნებისა“ [სურგულაძე, 1905:4]. ეს ერთი მხრივ. ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეხედულებათა თანხვედრაა, რის გამოც შევეცადეთ პარალელურად წარმოგვედგინა იაკობ გოგებაშვილის შეხედულებაც. იაკობის თქმით, ხომ „დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი პგავს ტანისამოსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში, იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურსა და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ... ამასთან დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერების დონით და მხნეობით“ [გოგებაშვილი, 1990:9].

პ.სურგულაძის აზრითაც, დედა ენას ღრმა ფესვები აქვს „გაქსული“ ჩვენს ბუნებაში, ამას მოწმობს ის უნებლიერ, დამოუკიდებელი აღტაცება და სიამოვნება, რომელსაც სამშობლო ხმები და სიმდერა გამოიწვევს ჩვენში. განსაკუთრებული სიცხოველით გრძნობს ადამიანი თავისი ენის სიყვარულის სიღრმეს, როდა იგი სამშობლოს მოწყვეტილია, ის საიდუსტრიაციოდ გვთავაზობს, როგორ გამოხატავს იტალიელი კარნაცა-ამარი თავის დამოკიდებულებას სამშობლო ენისა და მისი სიყვარულისადმი: ვინ გამოთქვამს რამდენიმე სიტყვით იმ

მიზნიდველობას, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ სამშობლო ენისადმი და იმ სიამოვნებას, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ, როცა ის გვესმის... მგზავრი მიიკარგება შორეულ ქვეყნებში და აი, მას აქ გამოელაპარაკეს მშობლიურ ენაზე იგი ღელღება, გული თრთოლვას უწყებს, სიამოვნების ურუანტელი ელექტრონიკით დაუვლის მის არსებას—გეგონებათ თავისი ოჯახის წევრი დაინახაო“ ეს მოწმობს, რომ სამშობლო ენას დრმა საფუძველი აქვს ადამიანის არსებაში. შეუძლებელია ადამიანის განვითარება, სავსებით მისი შემოქმედებითი ძალის გამომჟღავნება სამშობლო ენის გარეშე [სურგულაძე, 1905:40].

მშობლიური ენის ძალას, ემოციას, გრძნობას შთამბეჭდავად გვისნის იგოგებაშვილი: „ბავშვი მოშორებული და მოკლებული დედა—ენას, ვერასდროს ვერ მიესაყვარლება თავისს მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველ სიტყვებით, ვერასდროს ვერ იპოვნის იმისთანა დრმად გულში მისახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავშემოგვლე“, „წამლად დაგედე“ და მრავალნი სხვანი“ [გოგებაშვილი, 1990:11].

პ.სურგულაძე საუბრობს რა ენის მნიშვნელობის საკითხზე ერის კულტურულ ცხოვრებაში, იქვე მოითხოვს სამშობლო ენის დაცვას, ენის განვითარებისა და მოვლის საჭიროებას. მერე როგორ უნდა მოხერხდეს ეს – სვამს კითხვას და აუცილებლად მიაჩნია, ერის განძის, ერის კულტურული ძაფის დაფასება სამშობლოსაგან. ამასთან მიმართებით საუბრობს ენის როლის შესახებ ოჯახში, სკოლასა და ლიტერატურაში. ენის – ღირსებას უპირველესად ერი უნდა იცავდეს, ერი უნდა უფრთხილდებოდეს, მისი მნიშვნელობა და როლი არ უნდა ილახებოდეს. ეს თუ ვერ მოხერხდება, ერი ენას დაპარგავს, ხოლო „ერი ენას თუ დაკარგავს, ამით უარყოფს თავის კულტურულ ინტერესს და გაბატონებულ ერს შეუერთდება, მოხდება მისი დენაციონალიზაცია“ [სურგულაძე, 1905:45].

ცნობილია, რომ ენა ეროვნების ნიშანია, ერის სული და გულია. მას გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა სჭირდება, მაგრამ „ჩვენ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა“ ქართული ენა ამჟამად პგავს მშვენიერს ფოლადის სახისის, რომელიც უგუნურს პატრონს კუნძულში მიუგდია, იშვიათად პხმარობს და უანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში, არის დალატი და დღე ნაკლულს არსებას მოგაგონებთ“ [გოგებაშვილი, 1990:7].

ენა რომ „დღენაკლულ არსებას არ დაემსგავსოს“, პ.სურგულაძეს მიაჩნია, მისი მოვლა-პატრონობა ოჯახიდან დაიწყოს. ის დეტალურად საუბრობს ენის როლის, ფუნქციის, ძალის შესახებ ოჯახში. რა თქმა უნდა, ოჯახის გავლენა იწყება ბავშვზე დაბადებიდანვე და ეს გავლენა უფრო დრმად ინერგება მის არსებაში. დიდია ოჯახის გავლენა ბავშვის აღზრდა-ფორმირების საქმეში. ამ უდიდესი როლის

ნათელსაყოფად, პ.სურგულაძე იმეორებს ფილოსოფოსის თქმულს, რომელსაც მიმართა მისმა თანამემამულებ: შვილი მყავს, მინდა გონივრულად აღვხარდო და დარიგება მომეციო. ფილოსოფოსმა პკითხა: რამდენი წლისააო და როცა პასუხად მიიღო ორი წლისო, მან უთხრა—დაგიგვიანებიაო. თუ ამდენად ღრმა საფუძველი აქვს ოჯახს ადამიანის განვითარებაში, მაშ ენის მხრივაც, ის მეტად მნიშვნელოვანია [სურგულაძე, 1905:49].

ის თვლის, რომ ოჯახის ენა ყოველ ენაზე უფრო მეტად ენერგება ადამიანს გონებაში. ამიტომ ოჯახის ენა მისი ძირითადი ენაა. ის მკაცრად მოითხოვს, რომ უცხო ენა არანაირად არ უნდა ამაღლდეს ოჯახურ ენამდე. თუ ეს მოხდა, მიაჩნია იმის წინაპირობად, რომ საფრთხე ექმნება ეროვნებასო.

თავისი შეხედულების გასამყარებლად იმოწმებს რიხარდ ბეგის აზრს აღნიშნულს თაობაზე. ამ აზრის მიხედვით, სანამ უცხო ენის ხმარება გამოწვეულია მხოლოდ გარეშე საჭიროების გამო, უცხო ენა ვერ ხდება თავის ენად და ინდივიდის აზროვნების საფუძველი შეურყეველი რჩება. იმ შემთხვევაშიც, როცა ინდივიდი ნებაყოფლობით ხმარობს თავის მოქმედებაში უცხო ენას—ან თავისი ხელობის, პროფესიის გამო იძულებულია ილაპარაკოს უცხო ენაზე—ყოველ შემთხვევაში უცხო ენა უსათუოდ არ აჭარბებს სამშობლო ენას. სულ სხვა მოვლენას ვხედავთ, როცა უცხო ენა ხდება ოჯახის ენად. ამ შემთხვევაში ენას ძლიერი ზემოქმედება აქვს ინდივიდზე და მეტის მეტი სინამდვილით ხდება,—ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლა და სწორედ ამ გარემოებაში, რომ შესწავლის შემწეობით უცხო ენა შეიძლება ამაღლდეს ოჯახურ ენამდე, იმარხება საფრთხე ეროვნებისათვის [სურგულაძე, 1905, 49:51].

სწორედ, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოითხოვს, რომ ოჯახში საგვებით დაცული იყოს სამშობლო ენის სიწმინდე. შესაბამისად, მოითხოვს—ოჯახში არავითარ სხვა ენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

განსაკუთრებით ვრცლად და საინტერესოდ საუბრობს ბაგშვილის ასაკში ორ ენაზე ლაპარაკის დაუფლების საკითხის შესახებ. მიაჩნია, რომ ორ ენაზე ლაპარაკი იწვევს ბაგშვის „გონების გაორებას, მის ფსიხოურ ბუნებრივ გაყოფას“. გვაძლევს ფსიქოლოგიურ ახსნას, რომ ამ დროს ბაგშვის შეხედულება ნაწილდება ორი გამოთქმის სისტემის, ორ ენას შორის. ერთ საგანს ასახელებს ერთ ენაზე, მეორეს მეორეზე, ერთი აზრს გამოთქმას ერთი ენის შემწეობით, მეორის გამოსათქმელად მიმართავს მეორე ენას. ამნაირად ბაგშვის აზროვნებას ეკარგება სიმრთელე, ერთიანობა. აზროვნების სიმრთელის დაკარგვა თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბაგშვის გონებაზე. როგორც თავად ამბობს, ამით ბაგშვის გონების ზრდის პროცესი ფერხდება, სუსტდება განყენებითი მსჯელობის ნიჭი და იხშობა ბაგშვში შემოქმედებითი ძალა. საბოლოოდ ბაგშვმა თითქოს ორივე ენა იცის, მაგრამ ნამდვილად კი არც ერთი არ იცის. არაერთი

ქართველი იწყებს ლაპარაკს ერთ ენაზე, მაგრამ უეცრივ გადასკუპ-დება მეორეზე და ორივე ენას ერთმანეთში ურევს. ეს არევა მისი აზროვნების უსისტემობის მაჩვენებელია, მისი ორთავიანობაა და როცა ერთ თავში ორი თავი ბუდობს, ორი აზროვნების სისტემა არსებობს, რასაკვირველია, საღი არცერთი აღარ იქნება [სურგულაძე, 1905:53].

იმავეს ამბობდა მანამდე ი.გოგებაშვილი: „ვხედავთ, იმასაც, რომ ერთის უცხოს ენის მაგივრად ჩჩვილს ბავშვებს ასწავლიან ორსა და სამს უცხო ენას ერთად. ეს გახლავთ ორკეცი და სამკეცი უკუდმართობა, რომელსაც მოსდევს სწორედ საშინელი შედეგი ბავშვის გონებისა და ხასიათისათვის... უგუნური მშობლები კი, როდესაც თავისს ჩჩვილს ბავშვებს რამდენსამე ენაზედ მოტიტინეს პხედავენ, აღტაცებაში მოდიან და დიდებულის მომავლის საწინდრად სთვლიან იმას, ის კი არ იციან, რომ ამ გვარის აღზრდით თავისი შვილების მომავალს საფლავში პმარხავენ თავისივე ხელით“ [გოგებაშვილი, 1990:18].

პ.სურგულაძის აზრით, „ორთავიანობა“ გამანადგურებელია მოზარდის აზროვნება-ხასიათისათვის. ისიც, ჩვეულებისამებრ მიიჩნევს, რომ ბავშვობა ადამიანის განვითარებაში მეტად ძირფასი ხანაა. ეს ის ხანაა, როცა ადამიანი აგროვებს ძირითად შთაბეჭდილებებს, რომელიც საფუძვლად ედება შემდეგ მის განვითარებას, რის გამოც თვლის, რომ ბუნებრივი პროცესის შეუფერხებლად რაც შეიძლება მეტი ცოდნა, მეტი შთაბეჭდილებანი მიეწოდოს ბავშვს. ის კიდევ უფრო აკონკრეტებს, რომ „როცა თქვენ ბავშვს ორ ენას ასწავლით, ბავშვი დროს კარგავს არა ახალი ცოდნის შესაძენად, არამედ ერთი და იმავე შემეცნებათა და შთაბეჭდილებათა თრგვარ სახელის სასწავლად. ამით ის სიტყვებს სწავლობს, ერთი და იგივე საგნის სახელებს აორებს, ხოლო, ცხადია, ამ სახელების გაორებაში მისი გონებრივი საზრდო დარიბდება. ამნაირად ბავშვობისას ორი ენის ერთად სწავლება მოასწავებს პიროვნების გონებრივ დაძაბულობას, მისი შემოქმედებითი ძალის შესუსტებას. ოჯახში მხოლოდ სამშობლო ენას უნდა პქონდეს ადგილი და ვინც ბავშვს ორ ენაზე ატიტინებს, ის დედის ძუძუსთან ერთად შეასისხლხორცებს მის გონების გამანადგურებელ თრთავიანობას, გონებრივ სიჩლუნებს, რითაც ავნებს როგორც ბავშვს, ისე მასთან ერთად მთელ იმ საზოგადოებას, სადაც ბავშვის სამოქმედო ასპარეზი იქნება“ [სურგულაძე, 1905:53–54].

საინტერესოა ამ მიმართებით იაკობის აზრიც. დედა ენის მადლს მოწყვეტილ ბავშვს კი იაკობი საბრალო ობოლს, საწყალ სტუმარს, მოჭრილ ტოტს ადარებს, რომელიც სიკვდილისთვისაა განკუთვნილი: „ადამიანი, მოკლებული დედა-ენის ცოდნას და მკვიდრს სულიერს კაგშირს თავისს სამშობლოსთან და ერთან, მიემსგავსება სააბრალო ობოლს, საწყალ სტუმარს, რომელსაც არ გააჩნია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზედ. იგი მოგაგონებო ხიდგან მოჭრილს ტოტსა, რომელიც, დღეს თუ ხვალ, უთუოდ გახმება. იგი შეიძლება ამყნო

სხვა ხეზედ, მაგრამ ჯეროვან სისრულეს იგი არასდროს არ ეღირსება და ვერასდროს ვერ შეედრება ხეს, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული თავისს შესაფერის ნიადაგში და რომელიც ამის გამო სავსეა დონით და სიცოცხლით” [გოგებაშვილი, 1990:43].

როგორც ვხედავთ, პ.სურგულაძის შეხედულებანი ენის საკითხთან დაკავშირებით დღესაც აქტუალურია, მისაღები და სამართლიანია. ის ცალკე საუბრობს საკითხზე-ენა ლიტერატურაში, არ მოიპოვება ენა, რომელსაც არ ჰქონდეს კილოები. ერთი რომელიმე კილო ხდება ეროვნული ენის საფუძვლად. ის სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტს სარჩელს, ხოლო დანარჩენებს-დვიძლ ძმებს უწოდებს. სალიტერატურო ენის სარჩელად ჩვეულებისამებრ, ქართულ კილოს მიიჩნევს, ხოლო „სალიტერატურო ენის გარეშე დარჩენილი კილოები გადამახინჯებულ რამეს კი არ წარმოადგენენ, ისინი არიან დვიძლი ძმები თავისი უფროსი ძმის-სალიტერატურო ენისა“ [სურგულაძე, 1905:66].

საუბრობს სალიტერატურო ენისა და დიალექტთა ურთიერთობის საკითხზე და სამართლიანად მიაჩნია, რომ „მართალია, სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედვა ერთი რომელიმე კილო, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ კილოში მომწყვდეული იყოს ყველა ის სადი სიმდიდრე, რომელიც ერს თავის განვითარებაში შეუძენია. პირიქით, ყოველ კილოში მოიძებნება ძვირფასი მარგალიტები და ოუეროვნულ ენას სურს იდგეს თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, საჭიროა, ეს ელემენტები შემოიკრიბოს და შეითვისოს, ის უნდა გახდეს ყველა კილოების სინთეტი“ [სურგულაძე, 1905:67].

და სამართლიანად, ყველა კილოს ერთიანობას, „სინთეტი“, მისი აზრით, ითხოვს არა მხოლოდ ეროვნული ენის სიმდიდრის საჭიროება, არამედ ეროვნული გაერთიანების ინტერესიც. ის კილოთა გაერთიანებაში ხედავს ერის შემკვრელ, გამაერთიანებელ, შემადუდაბებელ ფაქტორს.

მისი აზრით, ლიტერატურული ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც საზრდოობა ესაჭიროება და მასაზრდოებელ წყაროდ-„კეთილნაყოფად“—ხალხის ცოცხალი მეტყველება მიაჩნია: „რამდენადაც ლიტერატურული ენა ძლიერდება, იმდენად ადგილობრივი კილოები სუსტდებიან და გაქრობას უახლოვდებიან. ლიტერატურული ენა შემოიკრებს დიალექტების ლირსებებს, მათ კეთილნაყოფს, ამით უახლოვდება მათ, ამ შეთვისებას კი თან სდევს დიალექტების დასუსტება და მათი განძით სალიტერატურო ენის განვითარება. ეს აუცილებელი პროცესია. აქ ლიტერატურული ენა მოგვაგონებს დიდ მდინარეს, რომელიც თავის მიმდინარეობაში თანდათან შეიკრებს ყოველი მხრიდან წყლებს და ამით უფროდაუფრო იზრდება, დიალექტები კი ამ მდინარის მასაზრდოებელი შტოებია. ლიტერატურული ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, საჭიროებს მუდმივ კვებას, გამაცოცხლებელ ნექტარს, დაუშრებელ წყაროს და ასეთი ნექტარი მხოლოდ ხალხის ცოცხალი ენაა. ენა არაა დასრულებული

რამ ფაქტი. ენა მოქმედებაა, მუდმივი განვითარების პროცესია“ [სურ-გულაძე, 1905:67–68].

ამრიგად, საინტერესოა პ.სურგულაძის შეხედულებანი მშობლიური ენის შესახებ. მისი შეხედულებანი დღესაც აქტუალური და აუცილებლად გასათვალისწინებელია. ენა ხომ ერის კულტურული მოვლენაა, ერის თვისობრიობა და მისივე დირექტულების განმსაზღვრელია. ენა ის განძია, რომლის საშუალებითაც ვგებულობთ, როგორ უცხოვრიათ ჩვენს მამა-პაპათა, რა აზრი ჰქონიათ. ჩვენ კი მოვალენი ვართ, მრავალჭირვარამგადანახადი ქართული ენა წმინდად შენახული გადავცეთ მომავალ თაობას. ქართული ენის ბედი ჩვენსავე ხელთაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. იგოგებაშვილი, „ბურჯი ეროვნებისა“, რჩეული თხზულებანი, II, ობ., 1990.
2. მ.ხიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის პომიტები, ბათუმი, 1998.
3. პ.სურგულაძე, ეროვნული ენა, ამ. „ცისკარი“, ტფილისი, 1905, №1.
4. გ.შარაძე, ქართული ემიგრანტული ქურნალისტიკის ისტორია, ტ. I, ობ., 2001.

**Elza Putkaradze**

### Peter Surguladze About Native Language

#### Summary

Peter Surguladze's name is known to the Georgian public. It was the chairman of Independent committee of Georgia, the editor magazine «Independent Georgia», a member of Natsionnalnogo of Council, the participant of session of historical National board on May, 26th, 1918, one of signed the Independent certificate.

Peter Surguladze was engaged in scientific work. Its work is stored in the Georgian library of Istanbul "National language", which has been printed in 1905 in magazine "Цискари".

In article Peter Surguladze's sights at the questions connected with a national language are considered. The scientist speaks about importance of a native language, as cultural heritage and about those necessary measures which are important for its development.

**Элза Путкарадзе**

**Петре Сургуладзе о родном языке**

**Резюме**

Имя Петра Сургуладзе известно грузинской общественности. Он являлся председателем Независимого комитета Грузии, редактором эмиграционного журнала «Независимая Грузия», членом Национального Совета, участником заседания исторического Национального совета 26 мая 1918 года, один из подписавших Независимый акт.

Паралельно с политической деятельностью Петр Сургуладзе занимался научной работой. В грузинской библиотеке Стамбула хранится его работа «Национальный язык», которая была напечатана в 1905 году в журнале «Цискари».

В статье рассмотрены взгляды Петра Сургуладзе на вопросы, связанные с национальным языком. Ученый говорит о важности родного языка, как культурного наследия и о тех необходимых мерах, которые важны для его развития.

## პ. ცხადათ

### საინტერესო ნაშრომი ზანიზმების შესახებ აჟარის ფორმის მოვლენიაში

იმ რეგიონში, რომელსაც დღეს აჭარა ეწოდება, როგორც ცნობილია, მომხდარა ენათა ცვლა: აქ გაბატონებული კოლხური ენა შეუცვლია საკუთრივ ქართულ ენას (ისევე როგორც გურიაში, ქვემო იმერეთში, ქვემო ლეჩხუმში). ამას გარდა, გასათვალისწინებელია ანტიკურ ეპოქაში ბერძნულის, ხოლო გვიან შეა საუკუნეებში თურქულის მომძლავრება, რომელმაც გამოიწვია სუპერსტრატული მოვლენები აჭარულ დიალექტში.

მართალია, ტოპონიმი ენობრივი ფაქტია და ტოპონიმიკაც, რომელიც მას შეისწავლის, ენათმეცნიერების დარგია. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს წარსულისა თუ გვიანდელი ეპოქის ადგილის სახელთა შესწავლას გარეენობრივი ასკექტით, რაც ცხადყოფს ხალხთა განსახლების უწინდელ არეალებს, მიგრაციათა მიმართულებას, ენათა ურთიერთკავშირებს. 6. ახვლედიანის ნაშრომი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: „ზანური წარმოშობის ტოპონიმთა სტრუქტურა“ და „ზანური წარმოშობის ტოპონიმთა სემანტიკა“. რა თქმა უნდა, სტრუქტურისა და სემანტიკის ცალ-ცალკე გაანალიზება მხოლოდ ტექნიკური მხარეა, რადგანაც ისინი ერთმანეთის გარეშე აღარ მოიაზრება. თუკი ამ კუთხით შევხედავთ, სარეცენზიონ წიგნში გაანალიზებული ზანიზმები შეიძლება წარმოვადგინოთ სამი ასპექტით:

1. ტოპონიმური სუბსტრატი;
2. ლექსიკური სუბსტრატი;
3. მორფემული სუბსტრატი.

სუბსტრატი (ისევე როგორც სუპერსტრატი) ორგნოვნობის (ინტერფერენციის) შედეგია: სწორედ შემდეგ მოსული და დამკვიდრებული ეთნოსის ენაში შემორჩენილი გამქრალი აბორიგენი მოსახლეობის ენობრივი მასალა წარმოადგენს სუბსტრატს. იგი კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, შეიძლება იყოს ტოპონიმური, ლექსიკური ან მორფემული. ზანიზმის კვლევა სწორედ ამ თვალსაზრისითაა საჭირო.

ქართველ მკვლევრებს არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი დასკვნა გაუკეთებიათ ცალკეული ისტორიული ტოპონიმებისა თუ ტოპონიმთა ჯგუფის ანალიზის გზით, მაგრამ ზანიზმების შესახებ სრული მონოგრაფიული ნარკვევი მხოლოდ ერთადერთი გვქონდა – ი. მეგრელიძის „Лазский и мегрельский слои в гурийском“ (С.-Пб, 1938). ნახევარი საუკუნის შემდეგ კი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას შეემატა 6. ახვლედიანის ასეთივე, ოდონდ ნაკლები მოცულობის, მონოგრაფია „ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში“ (ბათუმი, 2009).

თავდაპირველად განვიხილავთ ტოპონიმურ სუბსტრატს (ე.ი. წინარე მოსახლეობის მიერ დარქმულ ადგილის სახელებს, რომლებიც შეითვისა და გაითავისა მოსულმა ენობრივმა თუ დიალექტურმა კოლექტივმა).

**ობოდირი** ადგილის სახელია აჭარაშიც და გურიაშიც. წიგნის ავტორი ასახელებს კიდევ ი. მეგრელიძის მიერ გაანალიზებულ ობოდირს (ადგილის სახელი სოფ. სილაურში), რომელიც განმარტებულია როგორც „საბადური“. მართლაც ჸ. ფეხნრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ შეტანილია ბერებრივ-სემანტიკური შესატყვისობის ასეთი მაგალითი: ქართ. ბად- „ბადე“: ლაზ. ბოდ- : სვან. ბად-. აქვეა ნათქვამი, რომ „მეგრულში შესაბამისი ფუძე თითქოს არ ჩანს“. მაგრამ სამეგრელოს ტოპონიმიას ამ ვარაუდში კორექტივი შეაქვს: ხობის რ-ნის სოფ. გაღმა საჯიჯაოში, ხობისწყლისა და ზანაძის შეერთებასთან მდებარე სახნავს ეწოდება **ნობოდენი**. როგორც ჩანს, ოდესლაც ამ ადგილის ფრინველთა დასაჭერი ბადე იყო გაბმული. სათანადო მასალა გვავარაუდებინებს, რომ აჭარაში დღემდე შემორჩენილი ტოპონიმი **ობოდირი** „საბადე“ ზანური ტოპონიმური სუბსტრატია აჭარულ დიალექტში.

**ჩორჩხინე** ეწოდება ლელეს სოფ. ალამბარში. მკვლევარი ამ ტოპონიმს თვლის ზანიზმად სამი ნიშნის გამო: ა) ზანურია თ პრეფიქსი; ბ) ჩორჩხ- სიტყვა დღესაც იხმარება დეხვას ხეობაში; გ) მეგრულ-ლაზურ და ქართულ შესატყვისობათა თანახმად, ჩორჩხი იგივეა, რაც ქართული ცოცხი, ოღონდ მცირეოდენი სემანტიკური გადაწევით. კერძოდ, ჩორჩხი ეწოდება „მცენარის ფოთლოვანი დეროებისაგან შეკრულ დიდ ცოცხის, რომელსაც იყენებენ ეზოსა და კარმიდამოს დასაგველად“. ეს სიტყვა შედის თხზულ ტოპონიმშიც, როგორიცაა „ჩორჩხის ტყე“ (ტყეა სოფ. დაგვაში) და ნიშნავს „ცოცხის ტყეს“. სიტყვა ჩორჩხი არ ჩანს თ. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ ოთხომეულში და ალ. დლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“. ალ მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ დასახელებულია მცენარე კელაპტარა (რუს. Заразниха) და მის სემანტიკურ პარალელებ ქართველურ დიალექტებში: მეგრ. ჩორჩხოია, ლეჩხ. ხბოტუხა (შდრ. იმერ. ხბოისტუნხა – „ხის სოკო ერთგვარი“), თუშ. – სახარობელა, ჯავახ. – დუმანა (სამწუხაოდ, ამათგან ქეგლ-ში შესულია მხოლოდ კელაპტარა და იგი ასეა განმარტებული: „მრავალწლიანი, უფესვო და მწვნე ფერს მოკლებული პარაზიტი მცენარე: აქვს სწორი დერო, წვერზე შეკრებილი ორტუხა ყვავილით; პარაზიტობს მზესუმზირაზე, თამბაქოსა და ზოგ სხვა მცენარეზე“). ჸ. ფეხნრიხისა და ზ. სარჯველაძის ქართულ-ში ჩართულია ასეთი ბერების შესატყვისობა: „ქართ. ცოცხ- „ცოცხი“ : [მეგრ. ჩორჩხ-, ჩორჩხვა] : სვან. ჩეჩხ-/ჩაჩხ- „ცოცხი“. აქვეა ნათქვამი: „მეგრულის შესატყვისი, როგორც ჩანს, დაცული აქვს ზოგიერთ

დასავლურ დიალექტს (აჭარულ-გურული: ჩორჩხე-ვ-ა; ჩორჩხე-ავ-ხ). ქეელ-შივე ოზორჩხინა დასახელებულია მეგრული ო-ა ცირკუმფიქსით წარმოქმნილ სახელთა შორის, ოდონდ განმარტების გარეშე (ქელ, 2000, გვ. 734). ოზორჩხინა ცხადყოფს, რომ ჩორჩხე- ზანური სიტყვაა, მაგრამ მეგრულში ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი.

**ოხოჯირი.** როგორც ცნობილია, კოლხეთში მიწათმოქმედება ძველთაგანვე იყო ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი სამეურნეო საქმიანობა. განარჩევდნენ ხენა-თესვის ორ მთავარ სახეობას: **თბერგული** „სათოხე; თოხით დასამუშავებელი მიწა“ (რა თქმა უნდა ეს იყო ისეთი ფერდობი, რომელსაც ხარით ვერ მოხსნავდნენ) და **ოხოჯური** „ხარით დასამუშავებელი მიწა“ (რა თქმა უნდა, ეს იყო ვაკე, სადაც მიწა ხარით იხვნებოდა). ამიტომაც სამეგრელოს ტოპონიმიაში სახსნავთა, ტყეთა, საძოვართა სახელებად რამდენიმე ათეულ შემთხვევაში დაფიქსირებულია „ოხოჯური“. უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარაში დადასტურებული თხოჯირი, რომელსაც ნ. ახვლებიანი ზანიზმად თვლის, იგივე მეგრული ოხოჯურია და, მაშასადამე, ტოპონიმურ ან ლექსიკურ სუბსტრატს წარმოადგენს აჭარულში.

**ტკიდალა** სახნავ-სათეხი ადგილის სახელია სოფ. გორგაძეებში. ამ ტოპონიმზე მსჯელობისას წიგნის ავტორი ეყრდნობა მორფემულ სუბსტრატს ო-ა და მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მეგრული კიდა-/კიდალა უკავშირდება ქართულ „კედელს“: „ჩვენი ვარაუდით, იმ ადგილს, რომელსაც ოკიდალა ეწოდება უნდა ყოფილიყო რაიმე კედელი, ჯებირი მთის გზაზე, ან მდინარეზე“ („ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში“ გვ. 60). დასკნა სწორია, რასაც ადასტურებს მეგრული ტოპონიმური მასალაც: **[გო]კიდუა - ა)** გზის გადაკედვლა, ჯებირით ჩახერგვა, გადატიხვრა (ხშირად მიმართავდნენ მთის გზაზე, რათა საქონელი ადრე არ დაძრულიყო საძოვრებიდან ბარისაკენ; **ბ)** მდინარის ჩახერგვა, ჯებირით გადატიხვრა წყლის დაგუბების მიზნით, რაც საჭირო იყო სარწყავი ან საწისქვილე არსში წყლის გადასაგდებად. ასე რომ, ოკიდალა თავისი ფორმით, სემანტიკითა და ეტიოლოგიურად (ე.ო. მოტივაციით) მართლაც მეგრული კიდ- ძირის შესატყვისია.

**ოხორა** (← მეგრ. [დო]ხორუ „დასახლება“) ზანიზმია აჭარულში, ოდონდ ლექსიკური (და არა ტოპონიმური) სუბსტრატი. აჭარულ დიალექტში აბორიგენული მოსახლეობის ეს საზოგადო სახელი შემორჩენილია ფორმისა და სემანტიკის ცვლილების გარეშე (ოხორა „სახლი; სახლობა; სამოსახლო“) და მიუღია კონკრეტული მნიშვნელობა – ქცეულა შესაბამისი ობიექტის საკუთარ სახელად; მომხდარა კონვერსია: ოხორა (საზოგადო სახელი → ოხორა – (ადგილის სახელი). მაგრამ რაც შეეხება ტოპონიმებს ოხორათი (ვენახი სამოლეტში) და ოხორიში (უბანი სოფ. ციხიაში), ისინი წარმოადგენენ

ტოპონიმურ სუბსტრატებს, ე.ი. შერქმეულია ზანთა მიერ საუკუნეების წინათ.

**ოხვამე** უბნის სახელია სოფ. სიმონეთში (ხელვაჩაურის რ.). რა თქმა უნდა, როგორც ამ წიგნის ავტორი აღნიშნავს, მეგრულ-ჭანურში ოხვამე ნიშნავს ტაძარს, საყდარს, ეკლესიას. მაშასადამე, იქ, სადაც ოხვამე ეწოდება, უნდა მდგარიყო ეკლესია. იქიდან გამომდინარე, რომ აჭარულ დიალექტს არ შემოუნახავს საზოგადო სახელი ოხვამე, იგი, როგორც უბნის სახელი, ტოპონიმურ სუბსტრატად უნდა ჩაითვადოს.

**მახინჯაური.** სარეცენზიო წიგნში ვრცლადაა საუბარი ტოპონიმ „მახინჯაურის“ (დაბაა ხელვაჩაურის რ-ნში) წარმომავლობაზე. ამ საკითხზე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება, რომელთაც ნ. ახვლედიანი ასე ჩამოაყალიბებს: ა) ამოსავალია ზანური ხინჯი „ხიდი, ბოგირი“, რომელსაც დართვია მა-ურ პრეფიქს-სუფიქსი; ბ) ამოსავალია ზანური მახინჯი „ქურდი“; გ) ტოპონიმის ამოსავალი ფუძეა მახინჯა : მეგრული ხინჯი „ხიდი“ ფუძეს დართვია მა-ა პრეფიქს-სუფიქსი და წარმოქმნილა ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვა **მახინჯა** „მებოგირე, ბოგირების მკეთებელი ოსტატი“. ამ ვალსაზრისით მახინჯაური ნიშნავს: „ის ადგილი, რომელიც ვინმე მეხიდე (მებოგირე) კაცს ეპუთვნოდა; დ) მახინჯაური წარმოქმნილა **მახას** (მახა პურეულის სახეობაა) და ლაზური ჯირის (ჯურის) შეერთებით; ე) აზიზ ახვლედიანი თვლის, რომ „მახინჯაური ანთროპონიმული წარმოშობისაა, კერძოდ მისთვის ამოსავალია „მახუნჯაგი“, რაც „ქართლის ცხოვრებაშიც“ არის დადასტურებული. წიგნის ავტორი გვთავაზობს სულ სხვა მოსაზრებას: „ტოპონიმში უნდა გამოიყოს ხინჯა, რაც ნიშნავს რკინეულობას, წიდას („ზანიზმები...“ 2009, გვ. 50). ჩვენი აზრით, უფრო ლოგიკურია ამოსავალ ფუძედ ჩავთვალოთ მახინჯა „მებოგირე, ბოგირების ოსტატი“, ან მახინჯი „ქურდი“. ოღონდ არა საზოგადო სახელის, არამედ პირსახელის, მეტსახელის ფუნქციით. სწორედ მას დაერთო -ურ (-აურ ← ავურ) სუფიქსი, რომელიც მიუთითებს, თუ ვის ეპუთვნოდა სახელდებული ობიექტი წარსულში. მაშასადამე, მახინჯაური უნდა ნიშნავდეს „მახინჯასეულს“. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მახინჯაური ანთროპოტოპონიმს წარმოადგენს.

### **ლექსიკური სუბსტრატი**

6. ახვლედიანის წიგნში განხილული ზანიზმების ერთი ნაწილი ლექსიკურ სუბსტრატს წარმოადგენს, ე.ი. ამოსავალი სიტყვა დიალექტს შეუთვისებია აბორიგენი მოსახლეობის ენიდან და, როგორც ყოველგვარი სხვა სიტყვა, შეუძლია გამოიყენოს გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისათვის. შევხებით ზოგ მათგანს.

**ჭურია** მეგრულშიც და ლაზურშიც ცოცხალი ლექსიკური ერთეულია და აღნიშნავს ერთგვარ ბალახს, რომელიც იჭმვა კიდეც;

**გონიერებულები** აღნიშნავს სინათლიან გამინდვრებას ტყეში; **კაბეტი** კი უხნავი ყამირი მიწაა; **ნოდა** არაღრმა ფართო ჭალებიანი ხევია, სადაც წყალი არც ისე ჩქარა მიედინება; **ჯიხური** ხის კოშკია ან ჯარგვლის მსგავსი მცირე ნაგებობა საქონლის დასამწყვდევად... ყველა ეს სუბსტრატული ლექსიკური ერთული აჭარელთა მიერ ადგილის სახელდებისთვისაა გამოყენებული:

**ჭურია** სათიბია სოფ. ტონაძეებში, ხოლო **ჭურიათი** – უბანი სოფ. ერგეში (ჭურია სამეგრელოში ეწოდება ტყეჭაობს ხობისა და ზუგდიდის რაიონების სახლვარზე); **გონიერებულები** სოფ. სკურდიდში (სამეგრელოში რამდენიმე ობიექტის სახელადაა დაფიქსირებული); **კაბეტი** ადგილის სახელია სოფ. აჭში (ასეთი ტოპონიმი სამეგრელოში რამდენიმეა ჩაწერილი); **ჯიხურიც** ადგილის სახელწოდებაა სოფ. ზედა მახინჯაურში, ხოლო **ნოდა** – ქობულეთის ონში.

ზანური ლექსიკური სუბსტრატია **ოჩე** სიტყვაც. წიგნის ავტორის აზრით, ტოპონიმი ოჩია (სათესი სოფ. კაკაბაძეებში) წარმოქმნილია ო-ია პრეფიქს-სუფიქსით. სინამდვილეში კი ტოპონიმმა ასეთი გზა გაიარა: ოჩე „საბატონო მიწა; უხვმოსავლიანი ფართო ყანა“ → ოჩეა (ა სუფიქსი მატოპონიმებელი ფუნქციისაა) → ოჩია (დისიმილაციით ეა → ია). ეს ოჩე ყოველგვარი მორფემის გარეშე გვხვდება ადგილის სახელად სოფ. ხაბელაშვილებში. ამის გარდა, ოჩე არის ამოსავალი სიტყვა ტოპონიმ ნაუჩვარ-ისათვის (სახნავის სახელია სოფ. კირნათში). წარმოქმნის გზა: ოჩე → ნა-ოჩე-ევ-არ-ი → ნაოჩვარი → ნაუჩვარი (დისიმილაცია აო → აუ).

ლექსიკური სუბსტრატია აჭარული დიალექტისათვის (ო)ჩამური „საცეხველი“ სიტყვაც: **ჩამური ღელე** „საცეხველის ღელე“ – ღელეა სოფ. კეჭიეთში. ამ ჩამურ სუბსტრატულ სიტყვას დართვია ქართული ნა-ებ პრეფიქს-სუფიქსი და მიგვიღია ორი ენის კომპონენტებით შედგენილი ნაჩამურები (სახნავია სოფ. ოლადაურში).

### **მორფემული სუბსტრატი**

ზოგ შემთხვევაში ტოპონიმური მასალა საშუალებას იძლევა, ვისაუბროთ ზანურ მორფემულ სუბსტრატზე აჭარულებში. იგულისხმება სუფიქსები -თი, -ი(ში), -ანა (//თნა) და პრეფიქსი თ (სხვადასხვა სუფიქსების თანხლებით), რომლებიც შეიძლება დაერთონ არა ზანურ, არამედ აჭარულ დიალექტურ (ქართული ენის) სიტყვას. მაგალითად: **თ-წვეთ-ია** – ტყე სოფ. კაკაბაძეებში; **ქვაბ-იში** – საძოვარი სოფ. ფანჩვეთში; **ო-ხტომ-ი** – ღელე სოფ. ჭინათში; **ო-ჭიკარტა** – საძოვარი სოფ. ჩაისუბანში.

„ზანური წარმოშობის ტოპონიმთა სტრუქტურაში“ ნ. ახვლედიანი ჩამოთვლის სუფიქსებს, რომლებიც დადასტურებულია ზანიზმებში: -ა, -ებ, -ეთ, -ურ, -ოვან, -ილ, -ნარ, -ია. ამ ჩამონათვალში გამორჩენილია -ანა (რომლებიც მეგრული -ონას პარალელური ფორმაა) და სამეგრელოს ტოპონიმიაშიც გვხვდება, თუმცა კი განიხილავს ბარც-

ხანა „ბაძგნარი“ ტოპონიმს, რომელიც სწორედ ამ -ანა სუფიქსით არის წარმოქმნილი.

მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ზანურ ტოპონიმებში დასახელებულია ოჭიკარტი (საძოვარი სოფ. ჩაისუბანში) და ჭიკარტანალელე (ღელე სოფ. ხიხაძირში). ავტორის აზრით, ორივე შემთხვევაში „ამოსავალი ჩანს მცენარის სახელი ჭიკარტა“ (გვ. 56). იგი დასტურდება აღ. მაყაშვილის ლექსიკონში, ო-, რა თქმა უნდო, ზანური პრეფიქსია. ასეცად. მაგამ ეს არაა საქმარისი, რათა ოჭიკარტი და ჭიკარტანა ჩაითვალოს ზანურ გეოგრაფიულ სახელებად. სალიტერატურო ქართულში ჭიკარტი ერთწლიანი სარეველა მცენარის სახელია (ქეგლ, 8, გვ. 1254). აღ. მაყაშვილის ლექსიკონში მითიუბულია, რომ ჭიკარტი იგივეა, რაც რუსული ვერონიკა გლადკა და დასახელებულია მხოლოდ სვანური სემანტიკური პარალელები. „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ კი შეტანილია ს. მეტოშაშვილის ცნობა, რომ ქიზიურში ჭიკარტა ადრეული ბალახია. „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ ძირითად სამტომეულსა და მეოთხე დამატებით ტომში ეს სიტყვა არ ჩანს. მაშასადამე, მკვლევარს არა აქს ფაქტობრივი მასალა, რომ ჭიკარტი ზანური სიტყვაა. იმის გამო, რომ ქართულ ჭიკარტას დაერთვის მეგრული სუბსტრატული პრეფიქსი ო (ოჭიკარტა) და სუფიქსი -ანა (იგივე მეგრული -ონა) დასახელებული ტოპონიმები ვერ ჩაითვლება ზანურ გეოგრაფიულ სახელებად.

ზანიზმების ცალკეული ფაქტები დასავლურ ქართულ დიალექტებში (აჭარულში, გურულში, ქვემომერულში, ქვემოლეჩეუმურში) არა ერთ და ორ მეცნიერს უკალევია, მაგრამ დღემდე ეს საკითხი მონოგრაფიულად მხოლოდ გურულში იქნა შესწავლილი (ვგულისხმობთ ი. მეგრელიძის მონოგრაფიას). 6. ახვლედიანის „ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში“ აგრეთვე სერიოზული გამოკვლევაა. მკვლევარი ცდილობს, მკითხველამდე მიიტანოს ახალი დასკვნა-მოსაზრებანი, ხოლო იქ, სადაც არსებული მასალა საქმარისი არ არის, განსხვავებული შეხედულებების საიდუსტრაციოდ გამოთქვამს მხოლოდ ვარაუდებს. ამასთანავე, 6. ახვლედიანის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ აჭარულში ზანიზმები ძირითადად ლაზური დიალექტიდან მომდინარეობს, რაც არაა გასაკირი: ლაზები და აჭარლები ხომ გვერდი-გვერდ ცხოვრობენ.

ეტიმოლოგიის საჭიროებას იწვევს ტოპონიმამდელი (ეტიმონური) მნიშვნელობის გაბუნდოვანება, რაც, თავის მხრივ, მიზეზია ცრუხალხური ეტიმოლოგიებისა. ასეთი ტოპონიმის ამოსავალი მნიშვნელობის ძიება გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. მეცნიერების კორიფეულმაც კი შეიძლება ერთსა და იმავე ტოპონიმზე განსხვავებული მოსაზრებანი გამოთქვან (შდრ.: ა. შანიძე – რატშა → რაჭა; გ. ახვლედიანი – რაჭვ (სვან. კურდელელი) → რაჭა). როგორც ნათქვამია, ყველასთვის მისაღები და დამაჯერებელი ეტიმოლოგია

იშვიათია, მაგრამ მთავარია საბუთიანობა. ნ. ახვლედიანის მსჯელობანი ამა თუ იმ ტოპონიმის წარმომავლობასთან დაკავშირებით მეცნიერულად არგუმენტირებულია, ზოგჯერ მეტად თამამიც.

წიგნის ავტორი კარგად იცნობს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას, რაც აშკარად ჩანს თითოეული ზანიზმის ანალიზისას.

თინა შიოშვილი

შავშური პატრიოტული ლიტერატურის მიზანი

ქართველი ხალხის ტვირთმძიმე ისტორიის მანძილზე, უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლასა თუ შინაური შუღლისას, ეროვნული თვითმყოფადობისა და საერთო-ქართული ცნობიერების, ერთიანი ეროვნული ფსიქოლოგიის შენარჩუნებაში, საგმირო-პატრიოტული სულისკვეთების გადვივებასა და მის ტრადიციად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პატრიოტული ხასიათის ხალხურ ლექს-სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემულია ქართველთა თავგანწირვა მამულისადმი და მისი მსახურების ზექობრივი კოდექსი [შიოშვილი, 2004:3-7].

მრავალსაუკუნოვანი ხალხური პოეზიის პატრიოტული ნაკადით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხე. ბუნებრივია, პატრიოტული ლიტერატურის არაერთი დახვეწილი ნიმუში შეიქმნებოდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ – ისტორიულ შავშეთში, რომლის წიაღშიც აღზრდილა მრავალი სასახლო მამულიშვილი, რომელთა საგმირო საქმეთ ხოტბა-დიდებას შეასხმდნენ სახალხო მელექები. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, აქაურთა მეხსიერებას არ შემორჩენია ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებთან თუ პიროვნებებთან დაკავშირებული პატრიოტული ლექს-სიმღერები და არც გმირობა-ვაჟაცობისა და მამულიშვილობის განზოგადოებულ შეხედულებათა ამსახველი პატრიოტული ლირიკის ნიმუშები. ეს სავსებით გასაგები არის, რადგან მათვის საუკუნეთა განმავლობაში გაუცხოვდა ერთიანი ქართული სივრცე, ხოლო მუსულმან სამყაროში ჩარჩენილთათვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალებიც გაუფერულდა; ახსოვდათ, რომ გურჯები იყვნენ, მაგრამ ნებით თუ უნებლიერ ქართულ ტრადიციებთან გარკვეულმა გაუცხოვებამ და სამშობლოსათვის მსახურების შეგნებული ნებელობის არქონამ მათ პატრიოტულ სულისკვეთებას გარკვეული დაღი დააჩნია. მიუხედავად ამგვარი პერიპეტიიებისა, შავშელთა პატრიოტულმა სულისკვეთებამ მაინც ჰპოვა გამოსავალი მშობლიური სოფლებისადმი გამოხატულ გრძნობებსა თუ წინაპრებისაგან შეთხულ ლეგენდებში ჩარჩენილ „გადაკარგულ“ დიდ ისტორიულ სამშობლოზე.

სოფელ უსტამისში მცხოვრებ 12 წლის იუსუფ გუნერისაგან 2009 წლის აგვისტოში ჩვენ მიერ ჩაწერილ პატრიოტულ ლექსში „...თეორო მამალო“ გამოთქმულია ლრმა სევდა იმის გამო, რომ „გადაკარ-

გულა“ მშობლიური სოფელი, სადაც სახლის კარებზე პქონდათ ამოტვიფრული „ნიშანი“, რომელიც, ჩვენი აზრით, მათი ქართველობის და, ამდენად, შესაძლებელია, მართლმადიდებლობის ნიშანიც იყო; თუმცა, თანამედროვენი ვეღარ აკონკრეტებენ, რა და რისი ნიშანი იყო. ჩემს მოქმედს ეს ლექსი, რომელიც მან სიმღერით შეასრულა, დედისაგან უსწავლია; მის დედედასაც – თავისი წინაპრისაგან და ასე თაობიდან თაობაზე გადმოსულა მონატრება „თეორი მამლის“ ყივილისა, რომლის ალეგორიაშიც ერთიან, დიდ სამშობლოზე ფიქრი, ოცნება და სევდაა გამოხატული:

„თეორო მამალო,  
რატომ არ ყვირი?  
ლამაზი ქალო,  
რატომ არ ტირი?  
ჩვენ სახლი კარზე  
იყო ნიშანი,  
გადაკარგულა ჩვენი სოფელი.  
ბუკრი უკნედან  
იყო შეშები,  
მოკლენ ბერები,  
დარჩნენ ახლები.“

შავშელთა ამ უაღრესად ორიგინალურ პატრიოტულ ლექს-სიმღერაში გამოთქმულია გაკვირვებაც, რომ თანამედროვე გურჯი ქალები მათი წინაპრების დარად აღარ ტირიან, რადგან „დრო ყველაფრის მკურნალია“ და ისინიც შეგუებულნი არიან რეალურ ვითარებას; სწორედ ამიტომაც აღარ ყივის მათი დამცხრალი სული-„თეორი მამალი“ და თავადაც აღარ იცრებულებიან, თუმცა ახსოვთ, რომ მათი სახლების კარზე „იყო ნიშანი“ და ამ ნიშნით აღბეჭდილი წინაპრებიც მარადისობის მკიდრნი გამხდარან; თუმცა, „დარჩნენ ახლები“, რაც ლექსის სევდიან განწყობილებას ოპტიმისტურად ასრულებს.

ლექსი „...თეორო მამალო“ მრავალ გარიანტად არის გაგრცელებული შავშურ ზეპირსიტყვიერებაში. სოფელ ბაზგირეთში პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ 2005 წლის ივლისში ერენ თორუნისაგან (გამეშიძე) ჩაწერილ ერთ-ერთ ვარიანტში კიდევ უფრო გამძაფრებულია დელის გაღმა დარჩნილი მშობლიური სახლებისა და წინაპართა მონატრება:

„დელე გადმაა  
ჩვენი სახლები,  
მოკლენ ზველები,  
დარჩნენ ახლები.  
ლამაზო ქალო,  
რატომ არ ტირი?  
თეორო მამალო,  
რატომ არ ყივი?“

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. შუშანა ფუტკარაძემ საანალიზო ლექსის ვარიანტი 1989 წელს დააფიქსირა ინეგოლში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის:

„თეთრო მამალო,  
რატომ არ ყივი,  
ლამაზო ქალო,  
რატომ არ ტირი?  
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე,  
შენი თვალ-წარბი მე შემიცუალე!  
დელე გაღმაში  
ჩუენი სახლები,  
მოკდენ ბერები,  
დარჩენ ახლები.  
შენი ჭირიმე, შენ გენაცუალე,  
შენი თუალ-წარბი მე შემიცუალე...“

[ფუტკარაძე, 1993:53–54].

მთქმელმა აღნიშნა, რომ ეს სიმღერა „ძეელების ნათქვამია“. ახლა ძნელია იმის დადგენა, ჩვენებურთა წინაპრების ეს ამონაკვნესი, რომელმაც ჩვენს დრომდე მოიტანა ქართველთა პატრიოტული სულისკვეთება, მუჰაჯირთა ნოსტალგიამ შექმნა თუ ისტორიულ ქართულ მიწაზე მცხოვრებ შავშელთა გულისტყივილმა მტერთაგან დაწიაწებული სამშობლოს გამო; ერთი კი ნამდვილად ცხადია: ლექსი გამსჭვალულია ლრმა მამულიშვილური სულისკვეთებით და ისტორიული ბედუქულმართობით გამოწვეული მოუნელებელი წუხილით.

სარფის კარის გახსნამ და „დიდ“ საქართველოსთან ურთიერთობამ ჩვენებურები ახალი რეალობის წინაშე დააყენა, თუმცა, მათ მანამდეც კარგად ჰქონდათ გააზრებული, „ვისი გორისანიც“ იყვნენ. 2005 წლის ივლისში უსტამისელმა უცბ ალთუნმა პროფ. რამაზ ხალვაშე უთხრა: „— მე ვებნეოდი ამხანაგებ, ეს ემეო, ჩელი გაჭარით, სისხლი დაწერავს ქართულათ“. ჩვენთან ურთიერთობის შემდეგ კი გაუწნდათ სურვილი, განაახლონ, გაიხსენონ, „გურჯიჯა“ სიმღერები, რომლებიც დროთა ვითარებაში თანდათან დავიწყებას ეძლეოდა.

სოფელ მაჩხატეში მცხოვრები 76 წლის პუნქტერ ქაიასაგან 2009 წლის აგვისტოში ჩვენ მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

„გაღმა სერში ქათმები,  
მიმოდევან ზერები.  
ახლათ’და დევიწყოთ  
გურჯიჯა სიმღერები!“

ამ ლექსის იდენტური ვარიანტი ჯერ კიდევ 1993 წელს დააფიქსირა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ სოფელ სხვადასხვანი ბაჟალი ჯენიგლისაგან (ოზიშილი). სხვა ვარიანტით, რომელიც 2005 წლის ივლისში სოფელ ბაზგირეთში ჩავიწერე 36 წლის სევგიე თემურისა-

გან (სვარიზაშვილი), ხაზგასმით არის მინიშნებული, რომ ახლა დადგა დრო, როცა გურჯებმა გურჯული სიმღერები უნდა იმღერონ:

„რა მაღალი ყოფილა,  
ატიანის სერები!  
ახლა ჩვენ ნა ვიმღეროთ  
გურჯიჯა სიმღერები!“

აქე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო ადრე, 1983 წელს ოფიციალურ დელეგაციაში ვიმყოფებოდი ქ.რიზეში, სადაც იმხანად 20 წლის ბაზგირეთელი ქემალ ქამეშიძისაგან, რომელიც სწავლობდა რიზეს შავი ზღვის ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, ჩავიწერე ამ ლექს-სიმღერის ვარიანტი:

„რა მაღალი ყოფილა,  
ატიანის სერები!  
ახლა მენა ვიმღერო  
ქართველი სიმღერები!“

ქემალმა სიამაყით აღნიშნა, რომ ეს სიმღერა ბაზგირეთში ყველამ იცოდა.

ჩვენებურთა უდიდესი სურვილი საქართველოში ჩამოსვლისა და ქართველებთან ურთიერთობისა მშვენივრად გამოთქვა 70 წლის ბაზგირეთელმა ქალბატონმა სარე ბულბულმა (თეთრაძე); 2005 წლის 24 ივლისს ბაზგირეთში ასულ ექსპედიციის წევრებს მან ასე მოგვილექსა:

„საკუპრიაზე – ხარებიო,  
ქვაკიბეში – დარებიო.  
ჩვენ თქვენთან გამოსლა გვინდა,  
არა გვაქ კი ფარებიო.“

იმერხევის უდამაზესი სოფელი ბაზგირეთი (ბაძგირეთი) აქაურთა კანონიერი სიამაყის ობიექტია. ბაზგარეთლები უზომოდ არიან შეუვარებულნი თავიანთ სოფელზე და, დღეისათვის თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულნი, ყოველ ზაფხულს ადიან მშობლიური კერის მოსანახულებლად და საპატრონოდ; თუმცა, ბევრი ოჯახი მუდმივად იქ ბინადრობს. ბაზგირეთის სანახები მათვაის ყველაზე დიდი რელიქვიაა და მის შემოგარენში სიარული კი – უდიდესი ამქვეყნიური ჯილდო:

“— სადევრი?  
— ბაზგირელი!  
— მოდი, ჩამართვი ჭელი!  
— სიცოცხლეში ვიაროთ  
— ჯანჯირი – ბაზგირეთი!“ [ხალვაში, 2007.31].

თავისი სოფლის პატრიოტ ბაზგირეთლებს ორი დღითაც კი არ შეუძლიათ, მოშორდნენ მას:

„დაბა და დევიეთი,  
ზემოდან – ზაქიეთი.

ორი დღე აღარ ვარ,  
მომსურდა ბაზგირეთი!“

ეს ლექს-სიმღერა 2009 წლის აგვისტოში ჩაგვაწერინა 24 წლის ალი ილდიზმა, რომელიც ცხოვრობს ქალაქ იზმითში; იგი წარმოშობით ბაზგირეთელია და ყოველ ზაფხულს სტუმრობს მშობლიურ სოფელს. ადსანიშნავია, რომ ბაზგირეთის მონაბრების მოტივის შემცველი ეს ლექს-სიმღერა ფართოდ არის გავრცელებული არა მარტო ბაზგირეთლებს შორის; მისი ვარიანტები 2009 და 2005 წლებში დავაფიქსირეთ სოფელ ჯვარიჯვეში (მთქმელი 80 წლის ზულფეთ გუნეში), სოფელ ხევწრულში, (მთქმელი 45 წლის ნიგარ ორალი) და სოფელ უსტამისში (მთქმელი 64 წლის შაჟზენე ბილგინი). ამ ლექს-სიმღერის გავრცელების ფართო არეალმა და მასიურობამ (მას სახალხო მომღერლები, ანუ ეგრეთწოდებული „გარმონჯები“, ასრულებენ მარიობის დღესასწაულებზე, ანუ ეგრეთწოდებულ ფესტივალებზე) განაპირობა, რომ იგივე სიტყვიერი ფაქტურით გაფორმებული პატრიოტული ლექს-სიმღერა ხალხმა თავიანთ სოფლებზეც შექმნა. სოფელ აგარას ერთ-ერთ უბანში – ვარდიძეში, ანუ ვარდიფეთში, მცხოვრები 40 წლის სონერ მოსიძისაგან 2009 წლის 8 აგვისტოს ჩავიწერეთ შემდეგი ვარიანტი:

„დაბა და დევიეთი,  
ზემოდამ – ზაქიეთი.  
ორი დღე აღარა ვარ,  
მომსურდა ვარდიძეთი!“

მშობლიური მიწის ყოველი მტკაველი ძვირფასია შავშეთელი გურჯებისათვის. სოფელ ხევწრულის (ჩაღლიანი) მკვიდრმა ქალბაზონმა, ტიპიურმა სახალხო მთქმელმა ნიგარ ორალმა გულისტკივილით მოგვითხრო ბელტიეთში გაჩენილი ხანძრის შესახებ და იქვე ლექსადაც დაამდერა:

„აველ ნაციხვარაზე,  
გამოჩნდა ჩაქვიეთი.  
ე რავად გული მეწვის,  
დაწვილა ბელტიეთი!“

ჩვენებურთა იმედიანი განწყობილება, რომ გურჯული სიმღერების, რომლებიც წინაპრებისაგან დაუსწავლიათ, საყოველთაოდ არის გავრცელებული და მომავალი თაობაც არ დაივიწებს, ისმის სოფელ ბაზგირეთში 18 წლის იუსუფ ჩელიქისაგან (ცხვარიძე) 2005 წლის 24 ივნისს პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ ჩაწერილ ლექს-სიმღერაში:

„მაღლა სერში ჩიტები,  
დაყარონ’ნა შვილები.  
ამ სიმღერას იტყვიან  
ჩვენი ბიზაშვილები.“

ამრიგად, პატრიოტული ხასიათის ლექს-სიმღერები შავშერი ზეპირსიტყვიერების ორგანული ნაწილია; მართალია, ჩვენებურთა მებ-

სიერებას ვერ შემორჩა ტრადიციული პატრიოტული თემატიკის ამ-სახველი ნიმუშები, მაგრამ მამულის სიყვარული, მშობლიური გარემოსადმი განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება შავშერი ფოლკლორის ერთ-ერთი სამშვენისია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
2. შიოშვილი თ., მამულის სიყვარული ქართულ ფოლკლორში. – ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წ. II, ბათუმი, 2004.
3. ხალვაში რ., იმერხეული ფოლკლორი (სოფელი ბაზირეთი). – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V, ბათუმი, 2007.
4. ბეჟ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კომპლექსური ექსპედიციის მიერ 2005 და 2009 წლებში მოპოვებული ფოლკლორული მასალა.

**Tina Shioshvili**

### Shavsheti Patriotic Lirics

#### S u m m a r y

Shavshetian oral Folklore haven't preserved patriotic verse songs connected with the definite facts and people. Although, in the folklore of this ancient region of Georgia patriotism was reflected in the nostalgia of united Georgia «Gurjistan» and verse songs devoted to the native villages.

**Тина Шиошвили**

### Шавшетская патриотическая лирика

#### Р е з ю м е

Шавшетская устная словесность не сохранила патриотические стихопесни, связанные с конкретным историческим фактом или личностями. В фольклоре этого древнейшего грузинского региона, который сейчас находится в составе Турецкой республики, проявления национального мировоззрения отражены в стихах, посвящённых родным сёлам и в ностальгии к единой Родине («Гурджистана»).

## შუშანა ფუტკარაძე

### ომრილები სტამბოლის ქართული საგანის არქივიდან

ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან მოყოლებული ისტრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად; ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.

დვოისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჩვენი დიდი წინაპრები შინ და გარეთ დღენიადაგ არ იშურებდნენ ძალასა და სახსარს მამულის სამსახურში; მიდიოდნენ შორს მამულიშვილური საქმიანობის საწარმოებლად, განათლების მისაღებად. მაშინ უცხოეთში წასული განათლებული ქართველები სახლდებოდნენ ხოლმე მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებში მხოლოდ იმისთვის, რომ იქ ქართული კულტურისა და განათლების კერძი შეექმნათ, ქართული მკლესია-მონასტრები და გაფუძნებინათ, უცხო ქვეყნების ხალხთა კულტურისა და განათლების მიღწევები ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინათ, ქართველი ხალხის მონაპოვარი საქვეყნოდ წარმოეჩინათ. ასეთი საქმიანობით ხდებოდა სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა.

დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: “საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა მეტად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების უფლება წარმატებისთვისაც ოვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმაღვეს სწავლებოდა ხოლმე იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების-მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით” [ჯავახიშვილი, 1949:314].

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დაწესებულება გახლდათ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის სავანე-წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია-მონასტერი, ქართული სტამბითა და მდიდარი ბიბლიოთეკით. ამ სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო ახალციხელი მამა პეტრე ხარისხირაშვილი. მისი თავდაუზოგავი ზრუნვის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – ფერიქოში (ანგელოზთა სოფელში) 1861 წელს აშენდა ეკლესია, დაფუძნდა დედათა და

მამათა მონასტრები. 1870 წლისათვის აქ უკვე მუშაობდა ქართული სტამბა, იბჟყდებოდა ქართული წიგნები; მოგვიანებით იბჟყდებოდა ფრანგულ ენაზედაც.

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნულ ღვაწლზე მიგვითითებენ მკვლევარები და საზოგადო მოღვაწეები—მიხეილ თამარაშვილი, იტალიელი დიპლომატი, მწერალი ევგენი დალეჯიო-დალესიო, ქართული ქმიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გივი ზალდასტანიშვილი... ევგენი დალეჯიო-დალესიო თავის წიგნში “ქართველები კონსტანტინეპოლიში” (დაიბჟყდა ქართულად მონასტრის სტამბაში 1921 წელს. ფრანგულიდან თარგმნა მდგდელმა შალვა ვარდიძემ) წერდა: “სტამბოლის ქართული სავანის მდგდლებმა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა... მათ ეს სავანე გარდაქმნეს ეროვნულ კერად” (გვ.30). საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლმა კომიტეტმა ამიტომაც დააჯილდოვა ამ სავანის მდგდლები—შალვა ვარდიძე და პიო ბალიძე თამარ მეფის ორდენით.

გივი ზალდასტანიშვილი 1970 წელს ამერიკიდან სტამბოლში სპეციალურად ჩავიდა მონასტრის საქმიანობის გაცნობის მიზნით. ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში—“ქართული აზრი” იგი ასე წერდა: “ისტამბოლის მონასტერს—ჩვენი კულტურის სავანეს—საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიუნია... თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით, უპირატესობა მიეკუთვნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა (“ქართული გაზეთი”, №85, 1970, ნიუ-იორკი). მართლაც, საუკუნეზე მეტი წესის მანძილზე (1861–1982 წ.წ.) სტამბოლის ქართული სავანის მადლი ციურ მანანასავით ატაბობდა და სულში ეფინებოდა სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ, ოსმალეთის მთა-ბარს შეხინულ, მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვაწა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებში ეროვნული თვითშევნების შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის. პ.ხარისხირაშვილის, ალფ. ხითარიშვილის, ანდრ. წინამდღვრიშვილის, შალვა ვარდიძის, პ.ადგულაძის დიდი მამულიშვილური საქმიანობით სამშობლოდაკარგულ ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებში აღორძინდა, არ განელდა ეროვნული სული. ამ ტაძარში გაბრწყინებული ეროვნული სულის ნაღვერდალი დღესაც დვივის მათში და ქართული ენის ფესვებს, ქართული სისხლის ყივილს აცოცხლებს დედის კალთას დანატრებულ იქაურ ქართველებში. ცნობილი მომდევრალი ბაიარ შაპინი (გუნდარიძე) ამიტომ არის ქართული სიმდევრით შთაგონებული, დიდმა ახმედ მელაშვილმა აქაური ბიბლიოთეკის წყალობით შეისწავლა საქართველოს ისტორია და თურქელ ენაზე დაწერა კიდევ შესანიშნავი წიგნი—„გურჯისტანი“ („საქართველო“). თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ მიწა-წყალზე მიმობნეულ ქართ-

კელებს სიზმარ-ცხადში რომ ენატრებათ საქართველო, ქართულ ენას თილისმასავით რომ ინახავენ, ამ დიდ საშვილიშვილო ეროვნულ საქმეში, სხვა მრავალ წყაროსთან ერთად, სტამბოლის ქართველთა საგანის დვაწლიცაა ხელშესახები და სამუდამოდ დირსახსოვარი. ამის დასტურია სტამბოლის ქართული საგანის არქივში დაცული თურქეთის სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ქართველების მიერ სავანებში მოღვაწე მდვდელ-მონაზონთა სახელზე გამოგზავნილი სამადლობელი ბარათები.

ამჯერად ჩვენი მსჯელობა შეეხება სტამბოლის ქართულ საგანის არქივში შემონახულ მეტად მნიშვნელოვან წერილებს, რომლებიც ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. მათ შორისაა საქართველოს ისტორიის დაუდალავი მკვლევრის დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის, დიდი ქართველი მწერლის, ქართული სიტყვის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიასა და ცნობილი ბიზნესმენის (კაპიტალისტის) აკაკი ხოშტარიას წერილები. არქივში დაცულია ივანე ჯავახიშვილის ორი წერილი, პეტებურგიდან სტამბოლში გაგზავნილი, კგამსახურდიას მიერ ბერლინში დაწერილი ორი წერილი და აკაკი ხოშტარიას ერთი წერილი, პასუხი კგამსახურდიასადმი.

დიდ ივანე ჯავახიშვილს სტამბოლის ქართული საგანის მდვდელ-მონაზონი ხშირად აგზავნინებდნენ ხოლმე მონასტრის ბიბლიოთეკისათვის მნიშვნელოვან წიგნებს. მე-20 საუკუნის დასაწყისში საგანებში მოღვაწეთა შორის იყვნენ ცნობილი ისტორიკოსები – მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე, პეტრე ტატალაშვილი. ერთხანს აქ იმყოფებოდა წმ. გრიგოლ ფერაძე. ამ დიდ ქართველებს საქართველოზე შექმნილი წიგნები პაერივით ხტირდებოდათ და ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდანაც ამარაგებდა მათ. მიუთითებდა მათვის საჭირო ლიტერატურას. ჯერჯერობით მივაკვლიერ ივანე ჯავახიშვილის ორ წერილს, რომლებიც დიდ მეცნიერს მათვის გამოუგზავნია 1912 წლის მარტ-აპრილში (წერილები ერთგვს სტატიას).

ივანე ჯავახიშვილის ერთი წერილი განსაკუთრებითაა საინტერესო. მასში მოცემულია ცნობა ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთი ეპიზოდის შესახებ: მიხი წიგნი – «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.». 1906 г., სანკტ-პეტერბურგი, – მთავრობას ჯერ აუკრძალავს, შემდეგ კი სასამართლოს განაჩენით მოუსპიათ, გაუნადგურებიათ. ჩვენ შევეცადეთ ეს შრომა მოგვებია დიდი მეცნიერის თხზულებათა ცამეტტომეულში, მაგრამ არ აღმოჩნდა. ეს წერილი ერთხელ კიდევ ამდიდრებს ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ბიოგრაფიას.

კონსტანტინე გამსახურდია ხშირად ყოფილა სტამბოლის ქართული საგანის სტუმარი, როგორც სტამბოლში ჩასული თითქმის ყოველი ქართველი. ეპროპაში სწავლის გასაგრძელებლად მიმავალ ხელ-

მოკლე სტუდენტ კგამსახურდიას რამდენჯერმე გაუთვევია დამე მონასტრის სასტუმროში თავის მეგობრებთან ერთად, რაზედაც მეტყველებს მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული შთაბეჭდილებათა წიგნი. ერთ-ერთი ჩანაწერი გაუკეთებია გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიასა და ბელგიაში სწავლის გასაგრძელებლად მიმავალ ქართველ სტუდენტთა ჯგუფს. მონასტრისადმი სამადლობელ ჩანაწერს ხელს აწერენ: ფილოლოგიის დოქტორი პგამსახურდია, ნიკო ქადაგიძე, ნიკოლოზ იმნაიშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, გიორგი ნანეოშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, აპოლონ კაგაბაძე, კიტა ჩხენკელი, ირაკლი ურუშაძე, მიხეილ ტატიშვილი... სულ 25 კაცი. სტუდენტებს შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერიათ 1920 წლის 6–7 იანვარს. ჩვენს მიერ სტამბოლის ქართული სავანის არქივში ნაპოვნი წერილებიც 1920 წლის 18–19 ივნისსაა დაწერილი ქ.ბერლინში.

კონსტანტინე გამსახურდიამ, ოოგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, 1911 წელს (დაიბადა 1893 წელს დაბა აბაშაში) წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია და იმავე წელს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში. 1920 წლის 18 ივნისს აკაკი ხოშტარიასადმი მიწერილ წერილში კგამსახურდია წერს: “19 წლის ჭაბუკი მოვედი გერმანიაში–შავი ქვის საბჭოს 25 მანეთიან სტიპენდიით. ვსწავლობდი კონიგბერგის, ლაიპციგის, მცუნცენის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დავასრულე ბერლინის უნივერსიტეტი. იმ თავიდან იდეე-ფიქსად გამიჩნდა ის აზრი, რომ მე მოწოდებული ვარ საქართველოსა და გერმანიას შორის ხიდი გამედო. დღეს ჩემი სახელი ჯერაც არაფერს ეუბნება ქართველის გულს, რაგან 8 წლის განმავლობაში უცხოეთში ვშიმშოლობდი, ვწერდი, მაგრამ გარეშე პირობების ენა რომ მკაცრია, თქვენ ჩემთვის უკეთ იცით; დღემდის ვერ მოვახერხე ვერც ერთი ჩემი ნაშრომის ქართული საზოგადოების წინაშე გადაშლა-გამოცემა. ამ რვა წლის განმავლობაში უვროპაში დავწერე: 1. გოეთეს ფაუსტის პირველი ნაწილი ლექსად. ვერ გამოვეცი. 2. კიტა აბაშიძის ოხოვნით, თომას მანის “სიკვდილი ვენეციაში” (რომანი). ვერ გამოვეცი; 3. ვაჟა–ფშაველას “გველის მჭამელი” (პოემა). გერმანულად ვთარგმნე (1914–1915 წ.წ.). იგი დღესაც აგდია ლაიპციგში გამომცემელთან; 4. 1919 წ. დისერტაცია ბერლინის უნივერსიტეტს რო წარვუდგინე გერმანულად: “საქართველოს მეფის ერეპლე Ⅱ-ის დრო. ისტორიული მონოგრაფია. ვერც ამის გამოცემა მოვახერხე; 5. “რომში”. ფილოსოფიური ესაი (ტფილისშია გამომცემელთან. 1920 წ.); 6. “უშანგ დადიანის სიჭაბუკე” I ნაწილი, ორიგინ. რომანი. მანუსკრიპტი აქა მაქეს, ვერც ეს გამომიცია; 7. ახლა ვწერ ტფილისის უნივერსიტეტში საპროფესორო ეგზამენისთვის წარსადგენ შრომას “პობლემები ლიტერატისტორიული მეცნიერებისა”, არც აქა მაქეს დიდი იმედები; 8. 1912–20 წელთა შორის მითარგმნია ლექსები: გოეთესი, შილდერის, ლენაუს, პაინეს, რიკარდა ჰუხის, რიხარდ დემელის (ნაწილი გაზე-

თებში გამოქვეყნდა ამ წლების განმავლობაში “სახალხო ფურცელში”, “სახალხო საქმეში”, “კოლხიდაში”, ჟურნალებში: “პრომეოქ”, “ცისარტყელა” და სხვა).

26 წლის ჭაბუკი კგამსახურდია მკითხველის წინაშე ჩანს მრავალმხრივ მოაზროვნე პიროვნებად, ენათა ურთულესი ლაბირინთების მცოდნე სიტყვის ოსტატად. თავისი ბარათით იგი მეცნიერებისა და პულტურის მუშაკების დღევანდელ გასაჭირსაც ეხმიანება. იგი წერს: “შრომა გერმანელებმა მასწავლებელი მაგრამ ისიც თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ გონიერივი შრომა იქ ფუჭია, საღაც მეცნიერი არაა. არც მიქელ ანჯელო, არც დავინჩი, არც გოეთე ქვეყანაზე არ იქნებოდა, რომ პაპა პიუს II, პავლე III, სიქსტუს I, ვაიმარის პერცოგი (გოეთეს მეცნიერი) დმერთს არ გაეჩინა. ეს ურუევი დებულებაა, მთელი ისტორია ამის საბუთია. მე არ აგიწერთ იმ დიდ ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც დღემდის გადამხდენია. 1919 წელს უნივერსიტეტი გავათავე და იმის მაგივრად რომ ოჯახს მოვაიდებოდი და მოხუცი დედა რომ მყავს, იმისთვის მომეარა, ისევ აქ ჩამოვედი და უბრალო საელჩოს ატაშეს მცირე ჯამაგირით ისევ ვებრძვი გაჭირვებას, ვიბრძვი ჩემი სწავლის და განათლებისათვის, უმთავრესად ლექსიკონისათვის და ჩემი უკანასკნელი შრომის დასასრულებლად მოვედი ისევ ბერლინში. დალოცა დმერთმა ევგენი გეგშქორი (მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, შ.ფ.), ეს პატარა ადგილი მომცა და შემაძლებინა აქ ვიმუშავო კიდეც. არასოდეს ჩემი პირადი გაჭირვებით კაცი არ შემიწუხებია, არასოდეს არაგისთვის არაფერი მითხოვია ჩემთვის.

ამ ლექსიკონის საქმისთვის, რაკი ეს დიდი ეროვნული საქმეა, გავტედე და მოგმართეთ. თქვენ გენიალურად შენიშნეთ ინგლისელებზე ამას წინად საელჩოში—“ისინი გზებსა და ხიდებს რომ აშენებენ, ათასწლებზე ფიქრობენ”. კულტურული მუშაკიც ასე ფიქრობს. ხიდი უნდა დაგდოთ გერმანიასა და საქართველოს შორის და ამ ხიდზე ათასმა თაობამ უნდა გაიაროს.

ამ მხრივ საინტერესო წერილს კგამსახურდია წერდა იმდროინდელ სახელგანთქმულ ბიზნესმენს (კაპიტალისტს) აკაკი ხოშტარიას, რომელიც ცნობილი იყო თავისი ქველმოქმედებით. მისი მოღვაწეობის ამსახველი არქივის ერთი ნაწილი დაცულია სტამბოლის ქართულ საგანეში, სადაც ინახება აკ.ხოშტარიასადმი მიწერილი მადლობის ბარათები.

აკაკი ხოშტარია, როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ერთ-ერთი უმდიდრესი, უძლიერესი პიროვნება იყო, მრეწველობასაც მისდევდა და ვაჭრობასაც. განსაკუთრებით საინტერესო მისი ხელმძღვანელობით შედგენილი რუკა თურქეთის რესპუბლიკის წიაღისეული სიმდიდრეების შესასწავლად. იგი უშუალოდ დაინტერესებული იყო ლაზეთის წიაღისეულის შესწავლით. ამიტომ ცალკე სპეციალურად შეადგენინა მაფავრეს მხარის რუკა; ამასთანავე, აღწერა ამ მხარის სოფლები და მოსახლეობა. მის არქივში აღნიშნული

მასალა ძვირფასი წყაროა ლაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და მოსახლეობის განსახლების შესასწავლად.

კგამსახურდია წერილის დასაწყისში იძლევა ადრესატის შემზადებას თავის სასარგებლოდ და სამართლიანი სიამაყით მიმართავს მას: “მე ვიცი, რომ ოქენე ნაპოლეონ ბონაპარტესავით არაფრით ხელში ქვეყნა დაიძყარით. ამაში მე ვხედავ ლაზური რასის გენიალურ გონება მახვილობის მანიურესტაციას; ვხედავდი მუდამ. ჩვენ, მეგრელები, სწორედ ამ ძველი ლაზური სისხლით განვირჩევით დანარჩენ ქართველებისაგან. რამდენადაც მე თქვენი თანამოსისხლე ვარ ამ მხრით, დაუტრაბახებლად შემიძლია ვთქვა, რომ დღესაც მე ამ გზაზე ვდგაგარ; არაფრისაგან—ესე იგი აუტანელი პირობების წრიდან გამოსუდს ის რწმენა მაქვს, რომ მე, როგორც პიროვნებას დიდი კულტურული პრობლემების გადაჭრა მომიღება”.

კგამსახურდია აკაკი ხოშტარიას თხოვს მეცნატობას, რომ ამ დიდარმა ქართველმა მიბაძოს მსოფლიოში სახელგანთქმულ ქველმოქმედებს და სახსრები გაიღოს ლექსიკონის სრულყოფილად მომზადება-გამოცემისათვის. “ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე” მუშაობდნენ კგამსახურდია და გერმანელი ენათმეცნიერი რიხარდ მეკელინი (1880–1948), რომელთანაც მეგობრობდა ჩვენი მწერალი.

**რ.მეკელინი** იყო ცნობილი ქართველოლოგი და სლავისტი, ნიჭიერი ლექსიკოგრაფი და ენათმეცნიერი, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი. 1914 წლიდან მუშაობდა ბერლინის სამეცო (1919 წლიდან პრუსიის) სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. 1920 წლისთვის ის უკვე ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტია, რის შესახებაც წერს წერილში კგამსახურდია. მათ ამ დროისთვის ლექსიკონისთვის უკვე გამზადებული აქვთ 15 000 სიტყვა, ვარაუდობენ 20 000 სიტყვას: “თუმცა ჩვენი ვარაუდი გამომცემლობის პირობასთანაც დაკავშირებულია”, წერს მწერალი. ისინი ლექსიკონის მოსამზადებელ ხარჯებსაც ითხოვენ: “ჩვენგან წარმოდგენილი კარტონის ნაჭრები თითქმის შემოგველია; არც მე მაქვს ამჟამად რამე სახსარი ქადალდისათვის და არც დოქტორ მეკელინს. ის ჩემზე უფრო დარიბი კაცია. მთელი დახმარება ჩვენი სახელმწიფოს მხრით დღემდის 1.500 მარკას არ აღემატება”. ქართველს შეუძლია თავის საქმისათვის უსასყიდლოდ იმუშაოს, მაგრამ იმ კაცმა, რაც უნდა მეგობარიც არ უნდა იყოს, არა მგონია, რომ აწიც ისე გულდასმით იმუშაოს ამ საქმისათვის, ბოლოს ეს მის შესაძლებლობის ფარგალს აღემატება. ორ ადგილას მსახურობს, უნივერსიტეტში და სამეცო ბიბლიოთეკაში. ასე რომ მისი დრო ფრიად შეზღუდულია.

ბერლინში ერთმა ებრაელმა დოცენტმა რუმინულ-გერმანული ლექსიკონის შედგენა დაიწყო; ამისთვის რუმინეთის სახელმწიფომ 10,000 ფრანგული ფრანგი გადასცა მას. ასე ეძებენ სხვა სახელმწიფოები თავიანთი კულტურის გამავრცელებლებს. ჩვენში კი კულტურული პოლიტიკა სრულიადაც არ არსებობს.”

კგამსახურდიას წერილები ბევრ საინტერესო საკითხს ეხება. მათ შორის საყურადღებოა ავტორის შეხედულება დექსიკონის შედგენის პროცესზე და შემდგენლებზე. იგი სამართლიანად წერს: “დექსიკონი მხოლოდ ორის შეკავშირებით გამოიცემა. ფილოლოგი და მწერალი უნდა შეგავშირდნენ, რადგან ერთი ენის კანონების მცოდნეა, მეორე ენის ბერის, მისი მუსიკის. დოქტორი მეცნიერება ფილოლოგია, თქვენ უმორჩილეს მონას კადნიერება აქვს თავის თავს მწერალი უწოდოს”.

აკაკი ხოშტარია საპასუხო წერილში მიესალმება “ქართულ-გერმანული დექსიკონის” მომზადება-გამოცემის საქმეს და გამოთქვამს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს მის გამოცემაში; ამასთანავე, მოითხოვს, რომ ეს დექსიკონი მაშინდელი საქართველოს მთავრობის განათლების სამინისტროში იქნას წარდგენილი და მოწონებული. ამის პასუხში კგამსახურდია გამოხატავს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას მაშინდელი მთავრობის განათლების სამინისტროს მიმართ. იგი წერს: “უნდა გამოგიტყვდეთ, რამდენადაც მე პირადად ჩვენი მთავრობის პოლიტიკურ გზის თანაუგრძნობა, იმდენად კრიტიკულად უცქერი იმავ მთავრობის კულტურულ პოლიტიკის ორგანოს განათლების სამინისტროს; თქვენც დამეთანხმებით, თუ დღეს ევროპაშიაც შესაძლებელი გახდა ჟურნალისტური კარიერისაგან პოლიტიკურ სავარდლებში გადასვლა, ეს ჩვენშიაც შესაძლებელია, რადგანაც ერთი პოლიტიკურ წინამდვრობას იმდენი სიძელე არ უდგას წინ, რამდენადაც პულტურულს.

ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, სამწუხაროდ, ძლიერ დაბლა დგას, ერთის მხრით იმიტომ, რომ მართლაც განათლებულთა კადრი ჩვენში ჯერ არც კი მოიპოვება, ან არა და ფრიად მცირერიცხოვანია. მართლაც განათლებულებს კი ჩვენში პოლიტიკური სტაჟის უქონლობით წინ ვერ წაუწევიათ. ეს ძველი ამბავია. უცხოეთიდანაც ვხედავთ, თუ რამდენი კომისია დგება ჩვენში ამ სამინისტროს გარშემო... ჩვენებურ კომისიებზე და მათ კოლექტიურ საქმიანობაზე ცოტა სკეპტიკური აზრები მაქს. ნორმალურ პირობებში ჩვენ არაფერი გვექნებოდა ჩვენი შრომის განათლების სამინისტროსადმი წარდგენისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამაზე გადაჭრით ვერ გიპასუხებთ. რომ ვიცოდე ჩემს ნაშრომს მცოდნე ექსპერტები განიხილავდნენ, ცხადია, დათანხმებას არ დავაყოვნებ. მაგრამ როცა ვიცი, რომ ამგარ კომისიებში უმთავრესად ჟურნალისტებსა აქვთ ხმა და არა მეცნიერებს, აქ კი დაფიქრება დამჭირდება”.

კგამსახურდია თავის უკმაყოფილებას არ მაღავს ქართველი გამომცემლებისა და საგამომცემლო სისტემაში დამკვიდრებული მართლწერის მიმართ. იგი წერს: “მართლწერას რაც შეეხება, მე პირველად ნ. მარის მოწაფე ვიშავი პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაახლოებით მისი მართლწერა მექნება სახელმძღვანელოდ. ხოლო ჩვენში რომ მართლწერაა გაბატონებული, მას მე არსებითად ვეწი-

ნააღმდეგები და ის მირჩევნია სულ არ დაიბეჭდოს ლექსიკონი, ვიდრე ისეთის მართლწერით—რომელიც ამჟამად ჩვენში სუფექს”... ავტორი აკ. ხოშტარიას წერს: “ზენ უნდა შევთანხმდეთ იმ დებულებაზე, რომ ასეთი დიდი ლექსიკონის დაბეჭდვა მხოლოდ ბერლინის **სახელმწიფო სტამბაში შეიძლება**”. იგი უკმაყოფილოა საქართველოში არსებული საგამომცემლო საქმის დაბალი დონის გამო. 1920 წელს 26 წლის ჭაბუქს უკვე აქვს გამოსაცემად გამზადებული სამეცნიერო ნაშრომებიცა და მხატვრული ნაწარმოებებიც, მაგრამ უმედოდ აღნიშნავს: “ყველაფერი ეს ვერ გამომიცია, რადგან ჩვენ წვრილ გამომცემლებს, რომელთაც სპეცულაციის მეტი არაფერი ესმით, კულტურული გამოცემის არა სცხიათ რა, ვერ დავეღრიჯა, ვერ ვთხოვ”...

1920 წლის 18 ივლისის ბარათში კგამსახურდია კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: “1918-19 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროპაგანდო განყოფილების დავალებით მე და დოქტ. მეკელაინმა შევადგინეთ 250 გვერდიანი წიგნი – “**გერმანული ენის გრამატიკა ქართულად**”. წიგნი სახელმწიფო სტამბაში აწყობილ იქნა. პირველი კორექტურა გავასწორეთ 1919 წლის ოქტომბერში. 8 ნოემბრის რევოლუციამ ცვლილებები გამოიწვია სამინისტროში; ახალმა მთავრობამ საჭირო ქადალდის ხარჯი არ გაიღო და ჩვენი წიგნის კორექტურა ახლაც საპროპაგანდო განყოფილების უფროსის პროფესორ მიტვონის განკარგულებაში იმყოფება დღესაც. ასეთი ბედია ეწია ჩვენს პირველ შრომას”.

1920 წლის 19 ივლისის ბარათში კგამსახურდია საუბრობს საქართველოში უერნალ “პრომეთეს” გამოცემის დროს შექმნილ სიმელეებზე: “ქართველი ამწყობი გერმანულ ლექციებს ვერ აწყობს, ეს გამოცდილებიდან დავინახე 1917 წელს, როცა ტფილისში უერნალ “პრომეთეს” ვცემდი მე და პროფ. აკაკი შანიძე”. როგორც ვხედავთ, დიდი მწერალი მეგობრობდა როგორც ქართველ ისე, გერმანულ დიდ ენათმეცნიერებთან—აკაკი შანიძესთან და რიხარდ მეკელაინთან.

წერილების მიხედვით ჩანს, რომ ამ ორ პიროვნებას კგამსახურდიასა და რ.მეკელაინს იმედი აქვთ აკ.ხოშტარიას დახმარებისა, რადგან დარწმუნებული არიან მის პუმანიზმისა და ქველმოქმედებაში. ამიტომაც წერენ: “წუხელ გადავწყვიტეთ, ლექსიკონი აუცილებლად თქვენ სახელს უნდა ატარებდეთ... გვერწმუნეთ, ჩვენი ნაშრომი თქვენს დიდ სახელს არ დასძრახავთ. მომავალი თაობანი გაივლიან ამ ხიდზე და ქართველი ერთ გატყვის თქვენ მაღლობას. წუხელ არც დოქტორ მეკელაინს, არც მე არ გვძინებია: ორთავემ ვთქვით: “ლექსიკონის ბედი აწი თქვენ ხელშია”. თქვენ იცით, ჩვენ თავი არ დაგვიზოგავს და მომალშიაც სრულიად უანგაროთ ვიმუშავებთ ამ დიდ საქმისთვის.”

მართლაც, 1922 წელს ბერლინში დაიბეჭდა “გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის”, მეორედ დაიბეჭდა 1931 წელს.

“ქართულ-გერმანული ლექსიკონი” კი დაიბეჭდა ბერლინში 1928 წელს. ამ წიგნების გამოცემა გერმანიაში ალბათ განახორციელდა აკაკი ხოშტარიამ, რადგან 1920 წლის 19 ივლისის წერილში იგი წერდა: “ჩემი პირადი ეკონომიური დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სხვადასხვა დიდ სახელმწიფოებთან მაიძულებს უფრო ფართო ნიადაგზე დავსვა საკითხი ჩემი შემწეობისა ლექსიკონების გამოცემაში. როგორც ირკვევა რ.მექელინმა მომდევნო წლებშიც განაგრძო ლექსიკოგრაფიული მუშაობა და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ საფუძველზე შექმნა “გერმანულ-ქართული ლექსიკონი”, რომლის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ბერლინში 1937 წელს, ხოლო მეორე ნაწილი ლაიფციგში დაიბეჭდა 1943 წელს. ამ ლექსიკონის გამოქვეყნებით კი უსათუოდ დაინტერესებული იქნებოდა გერმანიის მთავრობა, რადგან მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მხარეზე იბრძოდა ემიგრანტ ქართველთა ბატალიონები. ასეთი ლექსიკონი საურთიერთოდ იყო საჭირო.

კონსტანტინე გამსახურდიასა და რიხარდ მეკელინის მეგობრობამ ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობა საქმაოდ გააუმჯობესა. რ.მეკელინმა ქართველ ჭაბუკში შეიცნო ერთგული მეგობარი და მომავალი დიდი პირვენება; მშიტომაც შეიყვარა თავისი მეგობრის ენა და კულტურა; ათეული წლების მანძილზე იგი ემსახურებოდა ქართველი ხალხის ისტორიის, ენის, კულტურის პოპულარიზაციის საქმეს ევროპაში. მართლაც, 1922 წელს რ. მეკალინის ინიციატივით ბერლინში შეიქმნა “რუსთაველის საზოგადოება”. ამავე წელს მანვე დაარსა უურნალი “მორგენლანდი” (ხეალინდელი ქავენა), რომლის პირველი ხომერი მთლიანად საქართველოსა და კავკასიას მიეძღვნა. მისივე თაოსნობით ბერლინში შეიქმნა გამომცემილობა “ახლო აღმოსავლეთი”, რომელშიც იბეჭდებოდა ქართულ-გერმანული ბულტურული ურთიერთობის ამსახველი მასალები. მანვე 1919 წელს ბერლინში გამოსცა წიგნი “ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში და პრუსიის წიგნაცავში არსებული ქართული გრამატიკებისა და ლექსიკონების ბიბლიოგრაფია”.

დასანანია, რომ დღემდე სრულყოფილად არაა შესწავლილი მეოცე საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მასზე მოცემულია გ.კანკავას მეტად გულდასაწყვეტი, ულიმდამო სტატია. ამავე ენციკლოდოპედიაში მეკელინის სტატიაში საერთოდ არაა ნახსენები დიდი მწერლის დვაწლი გერმანული ენათმეცნიერისა და ლექსიკოგრაფის ქართველოლოგიური ნაშრომების შექმნასთან დაკავშირებით.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში ჩვენს მიერ განხილული წერილები წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ-ლიტერატურული დირებულების მქონე წყაროს. ისინი ამდიდრებენ სამი დიდი ქართ-

კელის—იგანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და აკაკი ხოშტარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს, წარმოაჩენენ საქართველოს ისტორიის, ქართული ენათმეცნიერების, ლექსიკოგრაფიის, ლიტერატურთმცოდნეობის წინაშე ამ ორი პიროვნების მიერ გაწეულ დღემდე უცნობ დვაწლსა და ამაგს; სამშობლოს სამსახურის მაგალითს აძლევენ მომავალ თაობებს, განსაკუთრებით კი საზღვარგარეთის ქვეყნებში სასწავლებლად გახიზნულ ქართველ ახალგაზრდობას.

დასასრულს კი დიდი მაღლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ახალციხელი ჩვენი დიდი წინაპარი მამა პეტრე ხარისხირაშვილი, სტამბოლის ქართული სავანის დამფუძნებელი. მაღლობა უნდა მოვახსენოთ სტამბოლის ქართული სავანის დღევანდელ მოამაგეს, დიდ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, საქართველოს საპატიო მოქალაქეს, დირსების ორდენის მფლობელს ბატონ სიმონ ზაზაძეს, მის შვილს ბატონ პავლე ზაზაძეს, ვისი ძალისხმევითაც საიმედოდ არის დაცული და შენახული მდიდარი ბიბლიოთეკა და საინტერესო არქივი, რომელიც ღვთის შეწევნით, მომავალი წლიდან ოფიციალურად გაიხსნება და ყველასაოვის იქნება ხელმისაწვდომი. იგი მართლაც იქნება ხიდი ორ მეზობელ ქვეყანას შორის –საქართველოსა და თურქეთს შორის და როგორც ბრძანებდა ხალხთა შორის კულტურული კავშირების ხიდების შესახებ დიდი კონსტანტინე გამსახურდია: “**მომავალი თაობანი გაივლიან ამ ხიდზე და ქართველი ერი ეტყვის მაღლობას**” ბატონ სიმონ ზაზაძეს, იმ დვაწლისთვის, რაც მის ოჯახს, მის მამას—პავლე ზაზაძეს და რაც პირადად მას გაუწევია ამ სავანის შენარჩუნებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. ამ სავანის არქივის საქალადდებებში დაუწევებული ფერწასული ქაღალდები მომავალშიც წარმოაჩენენ ჩვენი დიდი წინაპარების მიერ სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეულ ამაგს და გაამდიდრებენ ქართული კულტურის ისტორიას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბენაშვილი დ., კონსტანტინე გამსახურდია, თბილისი, 1962;
2. ევგენი დალეჯიონ-დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, თარგმანი ფრანგულიდან პ.შალვა ვარდიძისა, სტამბოლი, საბჭოდავი კათოლიკე ქართველთა საგანისა, 1921;
3. თამარაშვილი მ., ისტორია გათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902;
4. სტამბოლის ქართული საგანის არქივი, საქმე-15 ;
5. ფუტკარაძე შ., სტამბოლის ქართული სავანე, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ეძღვნება სტამბოლის ქართულ სავანეში პირგველი წიგნის გამოცემიდან 130 წლისთავს, ქუთაისი, 2007;
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბილისი, 1981;

7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 1977;
8. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949;
9. გაზეთი “ქართული აზრი”, №85, ნოემბერი, 1970.

**ივანე ჯავახიშვილის წერილები  
პეტერბურგი  
1912. 18.III**

**Лахтинская 9,...**

ჩემთ ბატონო!

გიგზავნით ჩემს თხულებებს, რაც მე თითონ შემრჩა, ჟენევის ქართველთა წიგნსაცავისათვის. ქვემოთ ჩამოთვლილი თხულებები მე თითონაც არა მაქვს თითო ცალის მეტი და ამიტომ შემიძლიან მხოლოდ გაცნობოთ, სად და როდის იყო დაბეჭდილი:

1. „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები–მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ“ („მოამბე“, 1990 წელი);

2. «Къ историй церковныхъ реформъ въ древней Грузии» (Журн. Имп. Нар. просв. 1904 წ. №2). ცალკე არ დაბეჭდილა;

3. „ხევიბრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში“ („ივერია“, 1906 წ. №10, 11, 12, 13). ცალკე არ დაბეჭდილა;

4. «Исторія церковного разрыва между Грузіей и Арменієм» («Ізвестія Імпер. Академії наукъ», 1908 წ.).

აქ პეტერბურგში ერთი ცალის მეტი არა მაქვს. შეიძლება წერაკითხვის გამავრ. საზოგ. მაღაზიაში იყოს.

5. Политическое и социальное движение въ Грузіи въ XIX в.» 1906 г.

წიგნი აკრძალულია მთავრობის მიერ და სასამართლოს განაჩენით მოსპობილია. როდესაც „ქართველი ისტორიკოსების მიზანი და მეთოდები“, „ქართული სამართლის ისტორია“, I, „ქართული ხელოვნების ისტორია“ დაიბეჭდება, თუ მოისურვებთ, მაცნობებთ და გამოგიგზავნით. ივ. ჯავახიშვილი.

**II. ბატონო  
1912. 27. IV**

თქვენი თემისათვის ცნობები და მასალები შეგიძლიანთ შემდეგს თხულებებში იძოვოთ:

1. პაპუნა ორბელიანის ისტორიაში (Histoire de la G. II);
2. ომან მდივნის ხერხეულიდის ისტორიაში;
3. А.Цагарели, Грамоты и др. документы относящиеся до Грузии I. I, II;
4. Акты Кавказский Археографический Комиссий I. I-IV;
5. საქართველოს სიდველები, II, და III;
6. Дубровинъ., Исторія войны и владичества рус. на Кавказъ;
7. პოსელიანი, მეფე გომრგი XIII;

8. ივ.ჯავახიშვილი, „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრენი“ („მოამბე“, 1900 წ.). აქ დაბეჭდილია ერთი საიდუმლო წერილი დავით ბატონიშვილისა, რომლითაც მტკიცდება, რომ აზრი, ვითომც თვით გიორგი მეფეს ეთხოვნოს ან დათანხმებულიყოს მეფობის გაუქმებაზე, სრულებით უსაფუძვლოა.

კიდევ ბევრ წყაროების დასახელება შემეძლო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა. ხვალ მე საქართველოში მივდივარ და, თუ რაიმე ცნობები გსურთ მიიღოთ ჩემგან, გთხოვთ შემდეგის მისამართით მომწეროთ: ტფილისი, ალექსანდროსკა უ. 9.4.

გისურვებთ ყოველგვარს სიკეთეს და წარმატებას განხრახულს სამუშაოში.

#### თქვენი ივ.ჯავახიშვილი

P.S. იქნებ იცოდეთ, საით არის ეხლა პეტრე სურგულაძე და შემატყობინოთ მისი ბინადრობის ამბავი.

ივ.ჯ.

### ქონსტანტინე გამსახურდიას წერილები:

#### 1. ბერლინი, 1920 წ. ივლისის 18-ს

ბატონო აკაკი! მე ვიცი, რომ თქვენ ნაპოლეონ ბონაპარტესავით არაფრით ხელში ქვეყანა დაიპყარით. ამაში მე ვხედავ ლაზური რასის გენიალურ გონება მახვილობის მანიფესტაციას, ვხედავდი მუდამ. ჩვენ-მეგრელები სწორედ ამ ძველი ლაზური სისხლით განვირჩევით დანარჩენ ქართველებისაგან. რამდენადაც მე თქვენი თანამოსისხლე ვარ ამ მხრით და უტრაპახებლად შემიძლია ვთქვა, რომ დღესაც მე ამ გზაზე ვდგავარ, არაფრისაგან-ესე იგი აუტანელი პირობების წრიდან გამოსულს ის რწმენა მაქვს, რომ მე, როგორც პიროვნებას დიდი კულტურული პრობლემების გადაჭრა მომიხდება.

19 წლის ჭაბუკი მოვედი გერმანიაში – შავი ქვის საბჭოს 25 მანეთიან სტიპენდიით ვსწავლობდი კონიგბერგის, ლაიპციგის, მიუნისენის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დავასრულე ბერლინის უნივერსიტეტი. იმ თავიდან კიდევ ფიქრად შემიჩნდა ის აზრი, რომ მე მოწოდებული ვარ საქართველოს და გერმანიას შორის ხიდი გავდო. დღეს ჩემი სახელი ჯერაც არაფერს ეუბნება ქართველის გულს, რადგან 8 წლის განმავლობაში უცხოეთში ვშიმშილობდი, ვსწავლობდი, ვწერდი, მაგრამ გარეშე პირობების ენა რომ მკაცრია, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, დღემდის ვერ მოვახერხე ვერც ერთი ჩემი ნაშრომის ქართული საზოგადოების წინაშე გადაშლა-გამოცემა. ამ რვა წლის განმავლობაში ევროპაში დავწერ:

1. გოეთეს ფაუსტის პირველი ნაწილი ლექსად. ვერ გამოვეცი.

2. კიტა აბაშიძის თხოვნით, ორმას მანის სიკვდილი ვენეციაში (რომანი). ვერ გამოვეცი.

3. ვაჟა-ფშაველას “გველის მჭამელი” (პოემა). გერმანულად ვთარგმნე (1914–1915 წ.წ.). იგი დღესაც აგდია ლაიპციგში გამომცემელთან.

4. 1919 წ. დისერტაცია ბერლინის უნივერსიტეტს რო წარვადგონე გერმანულად: “საქართველოს მეფის ერეკლე II-ის დრო”. ისტორიული მონოგრაფია. ვერც ამის გამოცემა მოვახერხე.

5. “რომში”. ფილოსოფიური ესაი (ტფილისშია გამომცემელთან). 1920 წ.

6. “უშანგ დადიანის სიჭაბუკე” I ნაწილი, ორიგინ. რომანი. მანუსკრიპტი აქა მაქეს, ვერც ეს გამომიცია.

7. ახლა ვწერ ტფილისის უნივერსიტეტში საპროფესო ეგზამენისთვის წარსადგენ შრომას “პრობლემები ლიტერატურიული მეცნიერებისა”, არც აქა მაქეს დიდი იმედები.

8. 1912–1920 წელთა შრომის მითარგმნია ლექსები: გოეთესი, შილდერის, ლენაუს, ჰაინეს, რიკარდა ჰუხის, რიხარდ დემელის... ნაწილი გაზეთებში გამოქვეყნდა ამ წლების განმავლობაში (“სახალხო ფურცელში”, “სახალხო საქმეში”, “კოლხიდაში”, უურნალებში: “პრომეთე”, “ცისარტყელა” და სხვა).

უველაფერი ეს ვერ გამომიცია, რადგან ჩვენ წვრილ გამომცემლებს, რომელთაც სპეცულაციის მეტი არაფერი ესმით, კულტურული გამოცემის არა სცხიათ რა, ვერ დაგველრიჯვე, ვერ ვთხოვე.

შრომა გერმანულებმა მასწავლეს, მაგრამ თქვენ ისიც ჩემზე უკეთ იცით, რომ გონიერივი შრომა იქ ფუჭია, სადაც მეცენატი არაა. არც მიქელ ანჯელო, არც დავინჩი, არც გოეთე ქვეყანაზე არ იქნებოდა, რომ პაპა პიუს II, პავლე III, სიქსტუს I, ვაიმარის პერცოგი (გოეთეს მეცენატი) დმერთს არ გაეჩინა. ეს ურყევი დგბულებაა, მთელი ისტორია ამის საბუთია.

მე არ აგიწერო იმ დიდ ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც დღემდის გადამხდებია. 1919 წელს უნივერსიტეტი გაგათავე და იმის მაგივრად რომ ოჯახს მოვკიდებოდი და მოხუცი დედა რომ მყავს, იმისთვის მომეარა, ისევ აქ ჩამოვედი და უბრალო საელჩოს ატაშეს მცირე ჯამაგირით ისევ ვებრძვი გაჭირვებას, ვიბრძვი ჩემი სწავლის და განათლებისათვის, უმთავრესად ლექსიკონისათვის და ჩემი უკანასკნელი შრომის დასასრულებლად მოვედი ისევ ბერლინში. დალოცა დმერთმა ევგენი გაგეჭირო, ეს პატარა ადგილი მომცა და შემაძლებინა აქ ვიმუშავო კიდევ. არასოდეს ჩემი პირადი გაჭირვებით კაცი არ შემიწუხებია, არასოდეს არავისთვის არაფერი მომითხოვია ჩემთვის.

ამ ლექსიკონის საქმისთვის, რაკი ეს დიდი ეროვნული საქმეა, გავტედე და მოგმართეთ. თქვენ გენიალურად შენიშვნეთ ინგლისელებზე ამას წინად საელჩოში: “ისინი გზებსა და ხიდებს რომ აშენებენ, ათასწლებზე ფიქრობენო”. კულტურული მუშაკიც ასე

ფიქრობს. ხიდი უნდა დავდოთ გერმანიასა და საქართველოს შორის და ამ ხიდზე ათასმა თაობამ უნდა გაიაროს. მე ვიცი, თქვენ ფაქტების ადამიანი ხართ. დღეს კი, სამწუხაროდ, უქეიფობის მიზეზით ვერ მიგვიდეთ, მოკლედ მოგახსენებთ ჩვენ მეთოდზე:

1. ჩვენი მეთოდი ისტორიულია. რადგანაც ჯერ ქართული აკადემიური მართლწერა არ არსებობს, ლექსიკონი უნდა ავაგოთ ისე, როგორც სიტყვები უწერიათ ქართული ლიტერატურული ძეგლების ავტორებს.

2. რა ელემენტები ავიდეთ? დაბადება, სახარება, ვეფხისტყაოსანი, ოდების მწერალი (პროფ. მარის გამოკვლევების მიხედვით), შაჰნამე (იუსტ. აბულაძის გამოცემა), ვახუშტის “გეოგრაფია”, ბესიკის, დაგურამიშვილის, თეიმურაზის, ილიას, აკაკის ნაწერები. შემდეგ ქართულ სიტყვებთან ერთად იქნება დიალექტის სიტყვები, უმთავრესად მეგრული. ხელში გაჭებს ლექსიკონები: საბა ორბელიანისა, ჩუბინაშვილის, რაფიელ ერისთავის “ბოტანიკური ლექსიკონი”.

3. ყოველ სიტყვას ნაჩვენები ექნება წყარო, საიდანაც ამოღებულია.

4. ლექსიკონი მხოლოდ ორის შეკავშირებით გამოიცემა. ფილოლოგი და მწერალი უნდა შეკავშირდნენ, რადგან ერთი ენის კანონების მცოდნეა, მეორე—ენის ბგერის, მისი მუსიკის. დოქტორი მეკელაინი ფილოლოგია; თქვენს უმორჩილეს მონას კადნიერება აქვს თავის თავს მწერალი უწოდოს.

5. რაც თქვენ მოგიტანეთ, ის ჯერ გასწორებული არაა. დაუხრულებელი ნამუშევარი, ჩემის აზრით, სხვას არ უნდა აჩვენო, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, რომ თქვენ ჩვენ მუშაობის დროს წაგვდგომოდით თავს. ჯერ ჩვენ კომპოზიციისთვის არ მოგვიცლია. ჯერ საძირკველი ჩავვარეთ. როცა გამოცემის იმედი გვექნება, პირველ სამ თვეში ასო “ა”—ს მზად მზარულს მივცემო სტამბაში. ლექსიკონები ნაწილნაწილად იცემა (გერმ. ieferungsweise).

6. ჩვენ გავვადნიერდებით და მოგახსენებთ: წუხელ გადავწყვიტეთ, ლექსიკონი აუცილებლად თქვენ სახელს უნდა ატარებდეს. რაც მოგიტანეთ, ეს ნაწილია მხოლოდ.

გვერწმუნეთ, ჩვენი ნაშრომი თქვენს დიდ სახელს არ დასძრახავს. მომავალი თაობანი გაიგლიან ამ ხიდზე და ქართველი ერი გმტყვის თქვენ მადლობას.

წუხელ არც დოქტორ მეკელაინს, არც მე არ გვძინებია: ორთავემ ვთქვით: “ლექსიკონის ბედი აწი თქვენ ხელშია”.

თქვენ იცით, ჩვენ თავი არ დაგვიზოგავს და მომალშიაც სრულიად უანგაროთ ვიმუშავებთ ამ დიდ საქმისთვის.

მიიღეთ ჩვენი უდრმესი პატივისცემა.

პ.გამსახურდია

P.S. 1918–19 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროპაგანდო განყოფილების დავალებით მე და დოქტორ მეკელაინ-

მა შევადგინეთ 250 გვერდიანი წიგნი—“გერმანული ენის გრამატიკა” ქართულად. წიგნი სახელმწიფო სტამბაში აწყობილ იქნა. პირველი კორექტურა გავასწორეთ 1919 წლის ოქტომბერში. 8 ნოემბრის რევოლუციამ ცვლილებები გამოიწვია სამინისტროში. ახალმა მთავრობამ საჭირო ქაღალდის ხარჯი არ გაიღო და ჩვენი წიგნის კორექტურა ახლაც საპროპაგანდო განყოფილების — “Nachrichten stelle für orient 19<sup>a</sup> უფროს პროფესორ მიტვოხის განკარგულებაში იმყოფება დღესაც. ასეთი ბედია ეწვია ჩვენს პირველ შრომას.

პ-პ.

## აკაკი ხოშტარიას წერილი

Berlin, Le 19 juillet-1920

ბატონს კონსტანტინე გამსახურდიას.

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი გუშინდელი წერილის საპასუხოდ მოგახსენებთ, რომ დიდი პატივსა ვსცემ იმ ინიციატივას, რომელიც გამოგიჩენიათ და იჩნო კიდევ თქვენ და ბატონი მეკელაინ ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენის საქმეში. მწამს, რომ ამისთანა კერძო ინიციატივის მეოქებით სხვა და სხვა დარგში შესდგება ის საერთო მუშაობა, რომელიც აღორძინების გზაზე დააყენებს ჩვენს ქვეყანას.

ლექსიკონის გამოცემის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი ორი ჩემი მოსაზრებანი:

1. საერთო მოქმედებაში, რომელიც მიმართულია საქართველოს აღორძინებისაკენ, საჭიროდ მიმაჩნია ერთნაირი სისტემა: პირველად მიგაქციოთ ყურადღება იმას, რაც აუცილებლად დღესვე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას. ეს არის მისი მეურნეობის და მრეწველობის აღორძინება. საჭიროა მაშინების ბლომად შეძენა. მხოლოდ ეკონომიკურ სიმაგრეზე აშენდება საქართველოს კულტურული ძლიერება.

2. საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგრმარეობა და ჩემი პირადი ეკონომიკური დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა დიდ სახელმწიფოებთან, მაიმულებს უფრო ფართ ნიადაგზე დავსვა საკითხი ჩემი შემწეობისა ლექსიკონის გამოცემაში: ლექსიკონი უნდა გამოიცეს არა მარტო ქართულ-გერმანულის, არა-მედ ქართულ-ინგლისურის, ქართულ-ფრანგულის, ქართულ-იტალიანურისა.

ამის გამო მე შემიძლია ქართულ-გერმანული დიდი ლექსიკონის გამოცემის საქმეს შევხედო მხოლოდ იმ თვალით, რა თვალითაც ამას შეხედავს ჩვენი მთავრობა.

მზად ვარ ფართე მატერიალური მონაწილეობა მივიღო თქვენ  
მიერ შედგენილი ლექსიკონის გამოცემაში, როდესაც ეს ლექსიკონი  
მოწოდებული და მიღებული იქნება ჩვენი საერო განათლების  
სამინისტროს მიერ და ჩვენი მთავრობა დროის შესაფერად დაინა-  
ხავს მის გამოცემას და მიმართავს ამის შესახებ კერძო ინიციატივას.

ყოველ შემთხვევაში მომავლისათვის მე მაინტერესებს ამ საქმეში  
ორი საკითხი: რამდენ სიტყვას შეიცავს თქვენი ქართულ-გერმანული  
ლექსიკონი და დაახლოებით რა დაჯდება მისი გამოქვეყნება.

ინებეთ მიიღოთ, ბატონო კონსტანტინე, თქვენ და ბატონმა  
მექინიმა, ჩემი სალამი და გულწრფელი მადლობა.

(ეს არის აკაპი ხოშტარიას საპასუხო ბარათის შავი პირი, დაცული მის  
არქივში. ტექსტი ალბათ დაიბეჭდებოდა და დაბეჭდილ ტექსტზე მოაწერდა  
ხელს. ამ პირზე ავტორის ხელწერაა, მაგრამ ბარათი დაწერილია აკაპი  
ხოშტარიას სატიტულო ფურცელზე—A.M. KHOCHTARIA)

## 2. ივლისის 19-ს. 1920 წ. ბერლინი.

დიდად პატივცემულო ბატონო აკაპი!

უწინარეს ყოვლისა გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი  
გულწრფელი წერილით გამხნევებისათვის.

რაცა შეეხება ლექსიკონს, აქ შემდგა გარემოებაზე უნდა  
მივაქციო თქვენი ძვირფასი უურადღება. ვიდრემდის საქართველოში  
ჩავიდოდი შარშან, მეც ვფიქრობი განათლების სამინისტროსათვის  
მიმემართა, მაგრამ უნდა გამოგიტყვდეთ, რამდენადაც მე პირადად  
ჩვენი მთავრობის პოლიტიკურ გეზს თანაუგრძნობ, იმდენად კრიტი-  
კულად უცქერი იმავ მთავრობის კულტურული პოლიტიკის ორგანოს  
— განათლების სამინისტროს; თქვენც დამეთანხმებით, თუ დღეს  
ევროპაშიაც შესაძლებელი გახდა უურნალისტური კარიერისაგან  
პოლიტიკურ საგარდებში გადასვლა, ეს ჩვენშიაც შესაძლებელია,  
რადგანაც ერის პოლიტიკურ წინამდღვრობას იმდენი სიძნელე არ  
უდგას წინ, რამდენადაც კულტურულს.

ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, სამწუხაროდ, ძლიერ  
დაბლა დგას. ერთის მხრით, იმიტომ, რომ მართლაც განათლებულთა  
კადრი ჩვენში ჯერ არც კი მოიპოვება, ან რა და ფრიად მცირე-  
რიცხოვანია. მართლაც, განათლებულებს კი ჩვენში პოლიტიკური  
სტაჟის უქონლობით წინ ვერ წაუწევით. ეს ძველი ამბავია.  
უცხოეთიდანაც ვხედავ, თუ რამდენი კომისია დგება ჩვენში ამ  
სამინისტროს გარშემო, მაგრამ კულტურული ნაკლებად ქართველ კაცს  
გმარჯვება კოლექტიური მუშაობა. ეს ვიცი და ამიტომაც ჩვენებურ  
კომისიებზე და მათ კოლექტიურ საქმიანობაზე ცოტა სკაპტიკური  
აზრები მაქვს.

ნორმალურ პირობებში ჩვენ არაფერი გვექნებოდა ჩვენი შრომის  
განათლების სამინისტროსადმი წარდგენისა, მაგრამ ამ შემთხვევაში

ამაზე გადაჭრით ვერ გიპასუხებთ. რომ ვიცოდე ჩემ შრომას მცოდნე ექსპერტები განიხილავდნენ, ცხადია, დათანხმებას არ დავაყოვნებ, მაგრამ როცა ვიცი, რომ ამგვარ კომისიებში უმთავრესად უურნალისტებსა აქვთ ხმა და არა მეცნიერებს, აქ კი დაფიქრება დამჭირდება. პრინციპიალურადაც რომ მოვხსნათ ასეთი საკითხი, მე ვფიქრობ ამ შრომის სამინისტროსადმი წარდგენა ტეხნიკურად შეუძლებელია. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმ დებულებაზე, რომ ასეთი დიდი ლექსიკონის დაბეჭდვა მხოლოდ ბერლინის სახელმწიფო სტამბაში შეიძლება, სადაც გერმანული ტიპებიც არის და ქართულიც. გარდა ამისა, ქართველი ამწყობი (დღეტებს ვერ ააწყობენ. ეს გამოცდილებიდან დავინახე 1917 წელს, როცა ტფილში უურნალ “პრომეთეს” ვცემდით მე და აკაკი შანიძე).

სადაც ლექსიკონი დაიბეჭდება, იქ უნდა ვიყოთ, როგორც მე, ისე დოქტორი მეკელაინ. ჩვენი აქედან წასვლა არც ისე ადვილია; მე აქ სააბილიტაციო შრომას ვწერ, ის უნივერსიტეტის დოცენტია. გარდა ამისა, მე აქ სამსახურიც მაქვს.

გაგზავნით, ჩვენ ვერ გავიმეტებთ ამდენი ხნის შრომას საქართველოში გასაგზავნად, რადგან ვიცით, ან გზაში დაიკარგება იგი, ან არა და შეიძლება ტფილისშიაც დაიკარგოს ნაწილი ხელიდან ხელზე სიარულის დროს.

სხვა მხრით, არც მე და არც მეკელაინი რადმე კონკურენციას, ან კრიტიკას არ გავეცევით. შეიძლება დეფექტები აღმოაჩინონ სპეციალისტებმა ჩვენს შრომაში, მას შემდეგ რაც იგი უკანასკნელად გასწორდება, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ასეთი შრომის კარდინალურად უარყოფა შეუძლებელი იქნება.

მართლწერას რაც შეეხება, მე პირველად მარის მოწაფე ვიყავი პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაახლოებით მისი მართლწერა მექნება სახელმძღვანელოდ. ხოლო ჩვენში რომ მართლწერაა გაბატონებული, მას მე არსებითად ვეწინააღმდეგები და ის მირჩევნია სულ არ დაიბეჭდოს ლექსიკონი, ვიდრე ისეთის მართლწერით-რომელიც ამჟამად ჩვენში სუფეს. ამის გამო მე უკანასკნელ ხანში სრულიად გავურბი ჩვენს პერიოდულ გამოცემებში თანამშრომლობას; რადცა შეეხება ოქვენს ორ უკანასკნელ შეკითხვას: ა) რამდენი სიტყვა იქნება დექსიკონში? მოგეხსენებათ, რომ ლექსიკონის დასრულება ერთ საუკუნეშიც არ მოხერხდება. ჩვენ ახლა გვაქვს 15 000 სიტყვა, ხოლო ვვარაუდობთ 20000 სიტყვას, თუმცა ჩვენი ვარაუდი გამომცემლობის პირობასთანაც დაკავშირებულია.

ბოლოს, დღეს დილით გამომცემელთან ვიყავით, დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას გამოგიგზავნით ამ სამიოდე დღის განმავლობაში.

გარდა გამოცემის ხარჯებისა წინასწარი ხარჯებიც არის. ჩვენგან წარმოდგენილი კარტონის ნაჭრები თითქმის შემოგევლია; არც მე მაქვს ამჟამად რადმე სახსარი ქაღალდისათვის და არც დოქტორ მეკელაინს. ის ჩემზე უფრო დარიბი კაცია. მთელი დახმარება ჩვენი სახელმწიფოს მხრით დღემდის 1.500 მარკას არ აღემატება. ქართ-

ველს შეუძლია თავის საქმისათვის უსასყიდლოდ იმუშაოს, მაგრამ იმ კაცმა, რაც უნდა მეგობარიც არ უნდა იყოს, არა მგონია, რომ აწიც ისე გულდასმით იმუშაოს ამ საქმისთვის, ბოლოს ეს მის შესაძლებლობის ფარგალს აღემატება. ბატონი მეპელაინი ორ ადგილას მსახურობს – უნივერსიტეტში და სამეფო ბიბლიოთეკაში. ასე რომ მისი დრო ფრიად შეზღუდულია.

ბერლინში ერთმა ებრაელმა დოცენტმა რუმინულ-გერმანული ლექსიკონის შედგენა დაიწყო; ამისთვის რუმინეთის სახელმიწოდ 10,000 ფრანგული ფრანკი გადასცა მას; ასე ეძებენ სხვა სახელმწიფოები თავიანთი კულტურის გამავრცელებლებს. ჩვენში კი კულტურული პოლიტიკა სრულიადაც არ არსებობს.

ჩემი მცირე გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ კერძო ინიციატივას გაცილებით მეტი პოტენციალური ძალა აქვს, ვიდრე სახელმწიფოს.

ეს გახდავთ ჩემი პასუხი.

გთხოვთ მაპატიოთ, რომ ამდენი დრო წაგართვით.

მარად თქვენი პატივისმცემელი

დავშთები

პ.გამსახურდია

## ციალა ნარაკიძე

### ანდაზა ლაზური ფოლკლორის შედარებით ეველაზე უფრო შეუსწავლელი ქანრია.

ფოლკლორული მასალების შეგროვებისას, სხვა ქანრის მასალებისაგან განსხვავებით, ძნელია ანდაზების ჩაწერა. ანდაზა ყოველთვის იყო და არის ცოცხალი მეტყველების კუთვნილება. მას საუბრისა და კამათის ფორმა ახასიათებს.

ლაზურ ანდაზებში ლაზმა ხალხმა თავისი აზრი და ხანგრძლივი დაკვირვების განზოგადება მოგვცა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის: შრომა და სიზარმაცე, სამშობლოს სიყვარული, გაუტანლობა და შური, ერთგულება და პატიოსნება, მეგობრობა, ადამიანის ღირსება, ბოროტება და სიკეთე...

საზოგადოდ, ლაზური ანდაზების თემატიკური ჯგუფების გამოყოფისას ზოგადქართული პრინციპებიდან უნდა ამოვიდეთ, მაგრამ ლაზურში საქმაოდ გვხვდება აღგილობრივ-კუთხეური წარმოშობის ანდაზებიც:

1. „სერთი ჯუმოიქ კაბი მუში ტახუფს“ - ძლიერი ძმარი თავის ჭურჭელს ამსხვრებს; 2. „შქვიო ოხორის არ კარდალა ნუკიდაფს“ - შვიდ ოჯახს ერთ ქვაბს შეჰკიდებს; 3. „ბაშქას ბერგიოთენ ყონა ვა იხაჩქენ“ - სხვისი თოხით ყანა არ მოიხვება; 4. „გინძე ნენას კაბდა მოყუფს“ - გრძელ ენას ჩხუბი მოყვება; 5. „ნუნკუ გონწყიმტაშაქის, თოლი გონწყარე“ - სანამ პირს დააღებ, თვალი გაახილე; 6. „ზენგინიში ქესე გუნწყიმტაშა ფუკარას შუი ქვეთეფსდა“ - სანამ მდიდრის ქისა გაიხსნება, დარიბს სული ამოხთება; 7. „კაობა-ნა ოღოდაშენ გაშქურინას“ - ვისაც სიკეთე გაუკეთე, იმის გეშინოდეს; 8. „გიჩქიტას, საპრის სელამეთი უდუნ“ - იცოდე, მოთმინებას სამშვიდობო აქვს; 9. „კოჩი ნენათენ ნოკირაფან დო ფუჯი ქრათენ“ - კაცს ენით დააბამენ და ძროხას რქით; 10. „კოჩი დოლოხე ჭეელი ვენ, ფუჯი გალენდო“ - კაცი, ადამიანი შიგნითად ჭრელი, ძროხა - გარედან...

ლაზურ ანდაზებში შრომის თემატიკაზე ძალიან ბევრი ანდაზად შექმნილი, მაგრამ მათი უმეტესობა დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ფორმითაა წარმოდგენილი და უფრო აფორიზმის ხასიათისაა. 1. „ანდდანეი დულდა ჯუმენშა ვა ოტკომერ“ - დღევანდელ საქმეს ხვალდე ნუ გადადებ; 2. „მადულიექ თურჯაის ქიურქი ქამოწყუდა“ - მშრომელმა (საქმიანმა) ვაჭარს ქურქი გახადაო; 3. „მუკონაი იჩალიშძა ეკონაი გაყვენ“ - რამდენსაც იშრომებ, იმდენი გექნება; 4. „ქესქინობა ალთუნიში მანჩხა რენ“ - სიბეჯიოთე ოქროს დარია; 5. „მჩალიშანე კოჩიშენი უდულელობა ჯეზა რენ“ - მშრომელი კაცისათვის უსაქმურობა სასჯელია...

მშრომელი და გამრჯე ადამიანი სიყვარულს იმსახურებს, სამაგიეროდ ზარმაცი და არაფრის მაქნისი და მუქთამჭამელა გაკიცხვის დირსია და დაცინვის ობიექტადაა ქცეული: 1. „ნჯიიშ გუდა გდაითენ“ - ძილისგუდა საჭმლითაც ვერ ძღება; 2. „თემბელი ოჭკომუშ ვაქითის კაი რენ, ოჩალიშუს ვაქითის იძაბუნენ“ - ზარმაცი ჭამის დროს კარგად არის, მუშაობის დროს ავად ხდება; 3. „თემბელი კოჩიშენი ბითუმ მჭიფს დო ბითუმ მოუფს“ - ზარმაცი კაცისთვის ყოველთვის წვიმს და ყოველთვის თოვს; 4. „დულდა მო უწუმერ დო თის პალო გეჩი“ - საქმეს ნუ ეტყვი და თავზე პალო დაარტყო; 5. „თემბელი თემბელობათენ დიძაბუნენენა“ - ზარმაცი სიზარმაცით დაავადებულაო...

ადამიანის მთავარი მოწოდებაა შრომა და არა ის, რომ სხვისი ნაოფლარით ირჩენდეს თავს. სხვის შემყურეს არ უმართლებს, ყოველთვის წაგებული რჩება: 1. „ბაშქას ხეს ვა იწკომილენ, უგვაელი დოსქიდუ“ - სხვისი ხელის შემყურე მშიერი დარჩებაო; 2. „ართი-ქართის ოწკომილუთენ მტვეის ქომამქვეს“ - ერთმანეთისა ცქერითა სახლი აივსო მტვერითა; 3. „ჩქვაში გამაწკომილერის მუშიოთი ქაგუნ-დუნუ“ - სხვის შემყურეს თავისიც დაეკარგა...

ზარმაცი კაცის საშველი არსად არ არის. ეს აზრია გატარებული ანდაზაში „ოვა სქანის-ნა ვა გეგასქვას, ბაშქაშისოთი ვარ გეგასქვენ“ - თუ შენს ბუდეში ვერ დადგბ კვერცხს, ვერც სხვისში დადებ.

ლაზურ ანდაზებში, ქართულის მსგავსად, მკვეთრადაა გამოხატული ოჯახური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მხარეები. შვილი მშობლების მიმართ ყოველთვის ვალშია და ამაგს ოდნავადაც ვერ უხაზდაურებს. 1. „ნანა-ბაბა ბექშენი, ბექ თი მუშიშენი“ - დედმამა შვილისათვის, შვილი თავისთვისო; 2. „ბერექნა ჭკომას ნანათი იძღენ“ - შვილი რომ შეჭამს, დედაც გაძღება; 3. „სქირი მაქვალიში ცილა რენ, მოთა მაქვალიში გური“ - შვილი კვერცხის ცილაა, შვილიშვილი - კვერცხის გული; 4. „ბოზო ნანა-ბაბაშენი, ბიჭი თიმუში-შენი“ - გოგონა დედ-მამისათვის, ბიჭი თავის თავისათვის; 5. „ოხორჯა ქუიძირენ, ნანა-ბაბა ვარ“ - ცოლის შოგნა შეიძლება, დედ-მამისა კი - არა...

მთელ საქართველოშია ცნობილი ანდაზები: „ჯუმა ჯუმაშენია“ - ძმა ძმისთვისაო; „არ თხიიში გუი ჩხოვრო ჯუმაქ უკუირთეს“ - ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო, მაგრამ ხალხი ხედავს, რომ ცხოვრებაში ყოველთვის ასე როდის ხდება და ჩნდება შესაბამისი შინაარსის ანდაზაც: „ბაზი ჯუმა ჯუმაშენი - ბაზი თიმუში-შენი“ - ზოგი ძმა ძმისთვისაო, ზოგი - თავის თავისთვინო; „და ჯუმაშენი, ჯუმა - ბაშქაშენი“ - და ძმისთვისო, ძმა სხვისთვისო (მსხალაძე, 1967:104).

ლაზურში ანდაზა თავისებურად ეხმაურება რძალ-დედამთილისა და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას: 1. „ნისაქ დამთეეს დერდი ვა ზდიფს, დამთეექთი ნისაშია“ - რძალი დედამთილის დარდს არ იზიარებს, დედამთილი კი - რძლისო; 2. „კულანი სი გიწუმე, ნისა სი

ნაგნი“ - გოგო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონგ; 3. „ნისალიკობათი მიჩქინ დო დამთეობათია“ - რძლობაც ვიცი და დედამთილობაცა. 4. „მწეუფი სეის თუთა უნონ, სეფილი ქიმოლის ღნოსაი ოხორჯა უნონ“ - წყვდიად დამეს მთვარე უნდა, სულელ ქმარს - ჭკვიანი ცოლი; 5. „ოხორჯაში ნენათენნა გულუნ კოჩი ეთი ოხორჯა იენ“ - ქალის სიტყვით მავალი კაცი ქალია; 6. „ოხორჯას-და მტკობაშა მუთუნა გიღუბას მო უწუმე-და“ - ქალს საიდუმლო არ ენდობა. 7. „პატი ოხორჯაქ ქიმოლი დელი დოწიფხუფს“ - ცუდი ცოლი ქმარს გიჟად აქცევს; 8. „ოხორჯა იენქი ოხორი ოშენაფს, ოხორჯა იენქი ოხორი გოშენაფს“ - ცოლი არის რომ ოჯახს ააყვავებს, ცოლი არის რომ ოჯახს დაანგრევს, გაანადგურებს...

სოციალური შინაარსის შემცვლელ ანდაზებში ცხადად იგრძნობა დიფერენციაცია, რომელიც არსებობდა მდიდარსა და ღარიბს შორის, მქონებელ და არაფრის მქონე კლასებს შორის: 1. „ძღელი კოჩის მშქიონეი კოჩითი ძღელი უჩქიტუ“ - მაძღარ კაცს მშიერი კაციც მაძღარი ეგონა; 2. „არის თოლი გოწაღუ მშქორინითენ, მაჟურას - ძღალათენ“ - ერთს უჭმელობით თვალი დაებინდა, მეორეს - ძღომით; 3. „ბეღის საათი ქულუნ-ნა მჟუას ვა მენდაწაქნ“ - ბატონს საათი თუ აქს, მზესაც არ შეხედავს; 4. „ზენგინიში მამულიქთი სქუმს, ხოჯოთი ინჭვალს“ - მდიდრის მამალიც დებს, ხარიც იწველება...

უბრალო, მშრომელი ადამიანი თავის თავს თევზს ადარებს, რომელსაც სათქმელი ბევრი აქს, მაგრამ პირი წყლით აქს სავსე „ჩხომიქ თქვერენ: თოქუში დიდო მიღუნ, პამა პიჯი წკარითენ მიღუნ ღოფშა-და“ - თევზს უთქვამს: სათქმელი ბევრი მაქს, მაგრამ პირი წლით მაქს სავსეო.

ლაზურში გვხვდება ეთნოგრაფიული შინაარსის შემცვლელი ანდაზებიც: 1. „ადა დუნდა მი დოსქიდერენ“ - ეს ქვეყანა ვის შერჩებიაო; 2. „ჭექნი ჰელალი, წანაშე დადალია“ - ჭაშნიკი ჰალალი, მომავალში მრავალი (იტყვიან ახლად შემოსული ხილის პირველად გასინჯვისას); 3. „მკაფუს დუგუნი იენდა“ - ტურის ქორწილიაო - ლაზურში იხმარება იმ ბუნებრივი მოვლენის აღსანიშნავად, როცა თან წვიმს და თან მზე ანათებს. აჭარულშიც ამბობენ „ტურის ქორწილი ან ტურა ქორწილად“, იმერეთში კი ამ შემთხვევაში ამბობენ „მზე პირს იბანსო“ (მსხალაძე, 1967:107).

ლაზურ ანდაზებს ახასიათებს სატირა და იუმორი. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ ზოგ ანდაზაში ერთი სოფლის მცხოვრებინი მეორე სოფლის მცხოვრებს დასცინიან, ან სხვა ეროვნების ხალხსაც, ვისთანაც ახლო ურთიერთობა აქვთ და იციან მათი თვისებები და წეს-ჩვეულებები. 1. „თურქი ცხენის გეხედუნა, ბეღი ვორედა უჩქინ“ - თურქი ცხენზე თუ შეჯდა, ბატონი ვარო ჰეონია; 2. „თურქის ყინი აყუში, გეჭუ ოხორი მუში“ - თურქს რომ შეცივდა, დაწვა თავისი სახლი; 3. „თურქიქ მჭკუდი ვა იმხორს, ქუვალითი ვა უღუნ“ - თურქი მჭადს არ ჭამს, პურიც არა აქს; 4. „ხუთ პიპე, ხუთ ლობია,

არ ბათმანი წევა – ისპილეფეშ გდარი“ - ხუთი პიმპილი, ხუთი ლობიო, ერთი დოქი წყალი ისპილების (სპერების) საჭმელი.

ანდაზებში გამათრახებული და გაკიცხულია შური, სიძუნწე, შიში, ჭირვეულობა და სხვა უარყოფითი თვისებები აღამიანისა. 1. „ვახილი კოჩიქ მანძაგეში მაქვალი მჩხუ ძიროფს“ - შურიანი კაცი მეზობლის კვერცხს მსხვილად ხედავს; 2. „ხესისი კოჩი უაილუდე ხაზინას ბევრის ნუნგაფს“ - ძუნწი კაცი უჯამაგირო ხაზინის მცველს პგავს; 3. „ბაზის კიშის მთვირი აკვანდანა, ვარ მეგჩაფს“ - ხოგს ზამთარში თოვლი რომ სთხოვო, არ მოგცემს; 4. „მშქუინაჯე ჯოდოიქ მენდრაშებ ლალუფს“ - მშიშარა ძაღლი შორიდან ყეფს; 5. „არ ზენგინიში ოძღუს, ოშ ფუკარაში ოძღუ უჯგინ“ - ერთ მდიდრის გაძლიმას, ასი ლარიბის გაძლიმა აჯობებს; 6. „ცხენის გეხედა ადა ვორეა, მო გიჩქიტას“ - ცხენზე რომ შეჯდები, ბატონი ვარო, არ გეგონოს; 7. „ბაშქას კუი უნთხორუ დო მუქ ქოდოლოლუ“ - სხვას ორმო გაუთხარა და თვითონ ჩავარდა; 8. „დიდონა უნტუ ემუს, ჭიტათი ქაგუნდუნუ“ - ბევრი რომ უნდოდა იმას, ცოტაც დაეკარგა 9. „ჩოხა ვა ეჭოფაშა, საი მუ იზუმომ“ - სანამ ჩოხას არ იყიდი, ფეხებს ნუ იზომავ; 10. „დაა მან დო ოკულე სინ“ - ჯერ მე და მერე შენ...

ლაზურში გვხვდება ციკლი ანდაზებისა, საღაც ნათლად ჩანს ერთობის ძალა და ეს ძალა ერთგულებისა და პატიოსნების საწინდარია; 1. „მენჯელი ართობას რენ“ - ძალა ერთობაშია; 2. „არ კაზულითენ დობერი ვა იხვენენ“ - ერთი ბოძით დობე არ გაკეთდება; 3. „არ ფუქურიქ ფუქრინორა ვა იქომს“ - ერთი ყვავილი ყვავილობას ვერ იქმს; 4. „კოჩი კოჩითენ, დობერი მბგუჯითენ“ - კაცი კაცითა, დობე ბოძითა; 5. „კოჩი კოჩიქ თქახეფს, დობერი კაზულიქ“ - კაცს კაცი აკავებს, დობეს - ბოძი, სარი; 6. „კოჩი კოჩიშენი ჭამი რენ“ - კაცი კაცის წამალია; 7. „კოჩიში დარდუმჯი ხოლო კოჩი რენ“ - კაცის (აღამიანის) მშველელი ისევ ადამიანია; 8. „არის-ნა ახვენენ, და დულდა სუმიქ ყვას-ნა ბირდემ, კოლაი რენ“ - ერთი რომ აკეთებს, ის საქმე, სამმა რომ გააკეთოს ერთად, ადვილი იქნება; 9. „არ ნომდა მუთუ ვარ, ამა ვით ვარ ნიჭკვიდენ“ - ერთი თმა არაფერი, მაგრამ ათი არ გაიწყვიტება, არ გაწყდება... (შეროზია, 1994:200).

სამშობლოს სიყვარულის თემაზე შექმნილი ანდაზებიც გვხვდება ლაზურში: 1. „გოლა მაღალა რენ, თუთათი მაღალა რენ, ლორმოთითი მაღალა რენ, მარა დობადონა ირი ხოლო რენ“ - მთა მაღალია, მთვარეც მაღალია, ლმერთიც მაღალია, მაგრამ სამშობლო ყველაფერია; 2. „დობადონა გონდინი-ნა, თი გონდინერი გიღუნ“ - სამშობლო თუ დაკარგე, თავიც დაკარგული გაქვს; 3. „მემლექეთის თის-ნა მოგატუ მქვათი კურბეთის კაობათენ გოშინენ“ - სამშობლოში თავზე მოხვედრილი ქვაც, საშოვარზე კეთილი, კარგი მოგონებაა...

სიტყვის ძალაზე და მნიშვნელობაზეა აგებული ზოგიერთი ანდაზა ლაზურში: 1. „მთინი ნენა მჭოხა რენ“ - მართალი სიტყვა მკვახეა; 2. „მეჭკიუში ხამი სქანი ნენას რენ“ - დასაკლავი დანა შენს

ენაზეა; 3. „ნენა გურიში ნეპნა რენ“ - ენა, სიტყვა გულის კარია; 4. „ნენა ვა ნიკორენ“ - ენა არ დაიბმება; 5. „ნენა მონკათი რენ დო ჩორჩითი“ - სიტყვა მძიმეცაა და მჩატეც; 6. „ნენას ნენა მოყუფს დო იყვენ კაბლა“ - სიტყვას სიტყვა მოჰყვება და იქნება ჩხუბი; 7. „ნენა სქანიში საები ტაგინონ“ - შენი სიტყვის პატრონი უნდა იყო; 8. „ნენას მთელი შეი ვა ოთქაფაგინონ“ - ენას ყველაფერი არ უნდა ათქმევინო; 9. „ნენას ოთქაფაში მთელი შეი ზოპონს“ - ენას თუ ათქმევინებ, ყველაფერს იტყვის; 10. „ნენას ყვილი ვა უღუნ“ - ენას ძვალი არა აქვს...

ლაზურ ანდაზებში კარგად ჩანს ანდაზის დიდაქტიკურ-მორალისტური ფუნქცია და ის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რაც ანდაზას ენიჭება ადამიანის აღზრდა-ფორმირების საქმეში: 1. „არქადაში სქანი მო მეტკომერ, მეშველუ უნტაში“ - მეგობარი არ მიატოვო, შველა რომ სჭირდებოდეს; 2. „დინის-ნა გუიქოენ კოჩიკალა მანგბრობა ვა იყვენ“ - ოჯულმოქცეულ კაცთან მეგობრობა არ შეიძლება; 3. „დუშმანი დოსტი ვა იყვენ“ - მტერი მოყვარე არ იქნება; 4. „ყუჯიქ ნაკო გიგნასენ, ნუნკუქ ჰეკო ვა ითქვასენ“ - ყური რამდენსაც გაიგონებს, პირმა იმდენი არ უნდა თქვას; 5. „კათა ნენას ყუჯი ვარ ნიჩენ“ - ყველა სიტყვას ყური არ უნდა ათხოვო; 6. „თოლი უძღუში მუთუ მო იკვან“ - თვალ-უძღებისგან ნურაფერს ნუ მოითხოვ; 7. „გური ყინი გილუტაში, მეორაქ ვა გოტუბინამს“ - თუ გული ცივი გაქვს, მზე არ გაგათბობს; 8. „პათა ნჯაშ თუდე მო ფინთუფ-ქი, დოხუნუშ ვე ვა გაყვენ“ - ყოველ ხის ძირში ნუ მოსვრი, თორემ დასაჯდომი ადგილი არ გექნება; 9. „დიდო საბრი ყვი, დულიაში ქოქი ვარ ნაგნაშა, მუთუ ვა ყვა“ - მოითმინე, სანამ საქმის ძირს არ გაიგებ, ნურაფერს იზამ; 10. „დულია თქვანი კაი დოქაჩით დო მუთუ ვარ გადოდენან“ - თქვენი საქმე კარგად გეჭიროთ და არაფერი მოგივათ; 11. „დუშმანი დულიათენ იჯგინენ“ - მტერს საქმით მოერევი; 12. „კაი კოჩის მთელი ღერის ოხორი უდგინ“ - კარგ კაცს ყველგან სახლი უდგას; 13. „კაი კოჩიბა ფარათენ ვა იჭოფენ“ - კაი კაცობა ფულით არ იყიდება; 14. „კიბრი ემუშენი გილუნ-ქი ნენას გობაბაგა“ - კბილი იმისათვის გაქვს, რომ ენას დააჭირო; 15. „მგულე ნენაქ თი იშინახეფს, გინდე ნენაქ თი ოყვილაფაფს“ - მოკლე ენა თავს შეინახავს, გრძელი ენა თავს მოაკვლევინებს... (შეროზია, 1994:235).

ანდაზები მთელი ისტორიის მანძილზე შეუქმნია ლაზ ხალხს და მასში ოსტატურად ჩაუქსოვია ის, რასაც კი განუცდევინებია მისოვის სიხარული ან მწეხარება, სახოჭარკვეთილება ან აღმაფრენა, იმედი ან უიმედობა...

ლაზური ანდაზების დიდ ნაწილს პარალელები ექვენებათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მრავალფეროვან ვარიანტებად გვხვდება. ასე მაგალითად:

1. „ანდლა-ჭუმენთენ დულია ვა იჩოდენ“ - დდე და ხვალეთი საქმე არ მოთავდება (დღე-მეხვალი კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო).

2. „აღნე ოქოსალებ კაი ქოსუფს“ - ახალი ცოცხი კარგად გვის (ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, გველი მოიტანს ქვიშასო).
3. „ბედუანა იქიფს, ემუს გვაკირებ“ - წყველა ვინც იწყევლება იმას დაეხვევა (წყევლა მაწყევარსაო).
4. „გარი უნონ, დულდა ვარ“ - ჭამა უნდა, საქმე - არა (ჭამა მწადიან, გარჯა - არაო).
5. „ლოფა ნენათენ ხოჯითი ინჭვალებ“ - ტკბილი სიტყვით ხარიც მოიწველება (ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო).
6. „ჭუმენეი ქოთუმეშებ ანდლანეი მარქვალი დაა კაი ვენია“ - ხვალინდელ ქათამზე უკეთესია დღევანდელი პერცხი (ხვალინდელ ქათამს დღევანდელი პერცხი მირჩევნიაო).
7. „ჩოდი ნენათენ რენ, ჩოდი - ნოსითენ“ - ზოგი ენით არის, ზოგი ჭაუით (ზოგს ენა უჭრის, ზოგს - ჭკუა).
8. „ყუჯი მიქ ალოჭიუდა-ში, კოჩი ჩქიმიქ-და“ - ყური ვინ აგაჭრაო და - ჩემიანმაო (თავი ვინ მოგჭრა და - მკვიდრმა ძმამაო).
9. „მთხა გამაფჩი, მთხა ვებჭოფი“ - თხა გავყიდვ, თხა ვიყიდვ (თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე).
10. „კარგალაქ ბითუმ წკაი ვა ზდიმს“ - აყირო ყოველთვის წყალს არ მოზიდავს (კოგა მუდამ წყალს არ მოიტანს).

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი, ბათუმი, 1983, 1984, 1989.
2. გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, მეცნიერება, თბ., 1972-1993, I-II ტ.
3. ალ. მსხალაძე, ანდაზები, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, მეცნიერება, თბ., 1967.
4. რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბ., 1994.
5. ქართული ანდაზები და გამოცანები, ბათ., 1976.

## **Tsiala Narakidze**

### **Proverb in Laz Folklore**

#### **Summary**

Work, family relations, social life and other features of life are the main subjects of Laz proverbs.

Satire and humour are peculiarities of Laz proverbs.

In point of Poetics Laz proverbs mainly are not different from the general Georgian proverbs if not considering some dialect characteristics.

## **Циала Наракидзе**

### **Пословица в лазском фольклоре**

#### **Резюме**

Основная тематика лазских пословиц труд, семейные отношения, социальная жизнь, морально-дидактические и прочие особенности быта. Многие пословицы носят сатирико-юмористический характер.

С точки зрения поэтики лазские пословицы почти не отличаются от общегрузинских, если, конечно, не принять во внимание некоторые диалектные особенности.

## ეთერ ზოიძე

### არასასიამოგნო ფრინველების ლექს-სიმღერები აჰარის ხალხურ პოეზიაში

ქართული ფოლკლორი მდიდარია ისეთი ნაწარმოებებით, რომ-ლებშიაც გადმოცემულია ადამიანთა უძველესი რწმენა-წარმოდგენები სამყაროს ცალკეულ მოვლენებსა თუ არსებებზე.

ფრინველებზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებების სიუხვა, მრავალსახოვნება, პოეტური სრულყოფა ფრინველთა ძლიერი კულტის არსებობაზე მიგვანიშნებს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში, რასაც, ზეპირსიტყვიერების გარდა, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალებიც აღასტურებს.

ფრინველებზე შექმნილი ლექსების უმეტესობაში ტოტემური პერიოდი აღინიშნება, ადამიანსა და კეთილდღვთაებებს შორის შუამავლად ფრინველი ითვლებოდა, ფრინველები ადამიანის ბედისწერაში გარკვეულ როლს ასრულებდა.

ქართულ პოეზიაში უმეტესად ფიგურირებს მითოლოგიური ფრინველები: ფასტუნჯი, ქორი, შევარდენი, ყორანი და სხვ. მათ სხვადასხვა ფუნქცია გააჩნიათ.

ფრინველთა უმეტესობა სიცოცხლის სიმბოლოს – ხის წვერზე ბუდობს. ლექსის სიუჟეტის განვითარებაც იქედან იწყება ხოლმე.

ქართული გვარ-სახელების წარმომავლობაში ფრინველთა სახელ-წოდებებს დიდი ადგილი უჭირავს. (შევარდნაძე, ქორიძე, სირაძე, ქათამაძე, მამალაძე და სხვ.)

ფრინველები ძირითადად წარმოდგენილია საწესხვეულებო, საყოფიერო, სამგლოვიარო, მაგიური ქანრის ნიმუშებში, მინიატურებში, გათვლებსა და სხვა ხასიათის პოეტურ ნაწარმოებებში.

ამჯერად განვიხილავთ არასასიამოგნო ფრინველების ადგილს ხალხურ პოეზიაში. არასასიამოგნო ფრინველები ადამიანს უბედურებას უწინასწარმეტყველებენ ხოლმე.

მოსალოდნელ უსიამოვნებას ადამიანი შელოცვებისა და სიტყვიერი ფორმულების ტრადიციული თქმით ანეიტრალებენ ხოლმე.

ქართულ ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში მეტად ორიგინალურადად წარმოდგენილი გარეული ფრინველი ქორი, რომელიც საგმირო-საისტორიო პოეზიაში რომელიმე გმირის სიმბოლური პერსონაჟია. ამგვარ ნაწარმოებებში ქორს შედარებით ახალი გააზრება აქვს:

„აფრინდა ქორი, აფრინდა,  
არაგვი ჩაინადირა,  
მცხეთას დაეცა დედალსა,  
ავჭალას მტვერი ადინა.”<sup>1</sup>

(კლ. 2 ვორალი ქორული სამონადირულ გბოსი, თბილისი 1964, გვ. 153)

ამ შემთხვევაში, როგორც მკვლევარი ვარაუდობს, აფრენილი ქორი ქართველი მთიელის მოსისხლე მტრის, მისი მაოხებელი ფეოდალის ზურაბ ერისთავის სახეა.<sup>2</sup>

( დასახ. ნაშრ. იქვე)

შინაარსობრივად დიდ ინტერესს იწვევს აჭარაში ფართოდ გავრცელებული სამგლოვიარო ციკლის ნიმუში:

„ქორი იჯდა ხესაო,  
ხესა არათუ ხესაო.  
ქალი იყო შობიარე  
იწვა ლოგინათაო.  
ანაი 1 ყავდა ანობილი,  
ეჟდა საფერხესაო.  
ძიაი ყავდა დიაკონი,  
უკითხევდა წილსაო<sup>3</sup>  
მოდიან ორი ანგელოზი,  
მოაფრინავენ ცხენსაო<sup>4</sup>

( 1. ანა-დედა, 2. ბაბო-მამა, 3. წილი-ზიარება,  
4. ბსჭიფა, საქმე 185, გვ 207)

უძველესი პლასტების-ქორის ხის წვერზე ჯდომა, ანგელოზების ცხენებით მოფრენა და სხვ მქონე ლექსში, შეტანილია ტრანსფორმირებული ახალი ტერმინები-„დიაკონი“, „ზიარება“ და სხვ. ლექსი „ქორი იუდა ხესაო“ თავისი აგებულებითა და ფორმით ქართულ ხალხურ პოეზიაში ფართოდ ცნობილ ნიმუშს „ქალსა ვისმესთან“ იჩენს მსგავსებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქორი ბევრ უსიამოვნებას აყენებს ადამიანს, ხალხურ ლექსებში მისი არასასიამოვნოდ მოხსენიება თითქმის არ გვხვდება. ეს ფაქტი მისი თავდაპირველი ფუნქციითა და ტოტემური პერიოდით აიხსნება.

თეთრი ქორი და სხვა პერსონაჟებთან ერთად სხვა აქტიურ მოქმედ გმირად წარმოგვიღება ლექსში „სიზმარში“:

„კეცი ხურს და გარ გამოხურს,  
-ნეტაი ნენევ, რა არი?  
- წყალი დუღს და ზედ გადმოდუღს  
- ნეტაი, ნენევ, რა არი?

- მთას ირემი მობლუოდა,  
 - ნეტაი ნენევ, რა არი?  
 - ოქთრი ქორი მოფრინავდა,  
 - ნეტაი ნენევ, რა არი?  
 - თანა შაშვი იბდლნებოდა,  
 - ნეტაი, ნენევ, რა არი?  
 - კეცი ხურს და გამოხურს  
 ისაი შენი ბაბოი არი,  
 წყალი დუდს და ზედ გადმოდუდს  
 ისა შენი დედა არი.”  
 „ოქთრი ქორი მიფრინევდა,  
 ისა შენი ქალი არი  
 თანაც შაშვი იბდლნებოდა,  
 ისა შენი დაი არი,  
 თან ირემი მობლუოდა,  
 ისა შენი ძმაი არი”.<sup>1</sup>

( ბსკიფა, საქმე 157, გვ. 152)

სიზმრის ამ და უმეტეს ვარიანტებში თეთრი ქორი ლირიკული გმირის ცოლია, მისი სიმბოლოა. შავი შაშვი კი-დისა. „სიზმრის“ ვარიანტად შეიძლება ჩავთვალოთ მრავალხმიანი ლექს-სიმღერების ერთ-ერთი ვარიანტი „ალვის ხეია მოხეთქილა“ (გორდელაი), რომელიც შინაარსობრივად საწესჩვეულებო პოეზიას განეკუთვნება, ამავე დროს იგი შრომის ლექს-სიმღერებშიც შედის:

„ალვის ხეია მოხეთქილა,  
 - ნეტაი დედა, რაო?  
 - შვილო, შენი ტანი არის,  
 ვაი შენს დედასაო.  
 - მას ტოტები დასტეხოდა  
 - ნეტაი დედავ, რაო?  
 - შვილო, შენი მკლავებია,  
 ვაი შენს დედასაო,  
 წყალს კიდობანი მოჰქონდა,  
 - ნეტაი დედავ, რაო?  
 - შვილო, შენი კუბო არის  
 - ვაი შენს დედასაო  
 - ორი მტრედი მოფრინავდა  
 - ნეტაი, დედავ, რაო?  
 - შვილო, შენი სული არის,  
 - ვაი შენს დედასაო,  
 - ყორანი რომ მოჩხაოდა,

- ნეტაი დედავ, რაო?
- ჩვენი სოფლის მღვდელი არის,
- ვაი შენს დედასაო.
- ჩიტი-გვრიტი მოჭურდულებს
- ნეტაი, დედავ, რაო?
- შვილო, შენი და-ძმა არის
- ვაი, შენს დედასაო!”

(აჭარის ხალხური პოეზია, თბილისი 1969, გვ 43-44)

ტოტემიზმის გამოვლენაა ლექსში ის ნაწილი, სადაც მტრედი უმანქო სულის სიმბოლოა, ჩიტები და გვრიტები და-ძმისა. ყორანის მღვდლის სიმბოლოდ გააზრება ლექსის შინაარსობლივ ქსოვილში შემდეგდროინდელია.

მითოლოგიური ფრინველი ყორანი თითქმის ყველა ლექსში ავის-მომასწავლებელია და მის განეიტრალებას ყოველთვის ცდილობდა ადამიანი:

„წაგალ ყორანსა დაგიჭერ, შავლებო,  
თაგსა შევაბამ ყელზედა, შავლებო,  
შავებაზმავ და შავაჯდები, შავლებო”.

( თ.მამალაძე, შრომის სიმდერები კახეთში, თბილისი, 1963, გვ 86)

როგორც სხვა ფრინველები, ასევე ყორანიც ისტორიულმა პირებმა შეცვალეს.

ყვავ-ყორანი წასულის, სულთან გაყრილის თანმხლებია ხშირად:

„იმფერ ადგილს გადამაგდეს  
ორბიც არ ჩაფრინდებოდა  
ყვავ-ყორანი მოსულიყო,  
წელის ძვალს აფრინდებოდა”.

(აჭარის ხალხური პოეზია, თბილისი 1969, გვ. 88)

ყვავ-ყორანთან ერთად ხალხური მელექსე სხვა არასასიამოვნო ფრინველებსაც მოიხსენიებს, რომლებთანაც ურთიერთობა ავისმომასტავებელი და გულისშემაღლნებელია:

„ხანდახან ჭოტის ხმა ისმის და  
გულს მიღონებს წყეული  
ისე საბრალოდ გასძახის,  
როგორც თიკანი ეული”.

( თ.მამალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 29)

ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით, ყვავის ჩხავილი, ჭოტისა და მიკიოტის კივილი ავისმომასწავლებელია; ადამიანი მომავალ უბედურებას შელოცვითა თუ სიტყვიერი ფორმულების ტრადიციული თქმით ანეიტრალებდა. დღემდეა შემორჩე-

ნილი სიტყვიერი ტექსტი, როცა ადამიანი ყვავის ჩხავილს გაიგონებს, ჩუმად უნდა თქვას: „შენი გული ქვის ქვეშ“, ეს სიტყვები რამდენიმეჯერ უნდა გაიმეოროს.

არასასიამოვნო ფრინველების შესახებ გადმოცემა-თქმულებანი თუ პოეტური ტექსტები არაერთ ქართველ კლასიკოსს აქვს გამოყენებული თავის ნაწარმოებებში. ( კ.გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“)

არასასიამოვნო ფრინველების ერთი ნაწილი ქართულ შელოცვებ-შიაც გვხვდება. მაგალითად „შეშინებულის შელოცვა“:

„შინა, შინა  
რამ შეგაშინა,  
ქორი იჯდა ქანდარასა,  
კროხი იჯდა ბუდარასა  
შეშინებულო, შიგნით თუ ხარ  
გარეთ გამო“.

(ბსკიფა, საქმე 157, გვ. 164)

ფრინველებთან დაკავშირებით ყურადსალებია ფერთა სიმბოლიკა. ფრინგელები ფერების მიხედვითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თეთრი ფერის ფრინველი დადგებითი თვისებებით არიან აღჭურვილნი და ადამიანებისათვის ძელინერება მოაქვთ. შავი ფერით კი მირითადად არასასიამოვნო ფრინველები შავი ფერისანი არიან. თუმცა ზოგიერთი მათგანი, კერძოდ ქორი, თეთრი ფერისაც არის; ასეთ შემთხვევაში იგი დადგებითი თვისებებით არის მთქმელისაგან წარმოდგენილი. მაგალითად: „ქორი თეთრი ჭანდარზეო...ქორი მე მყავს ბედაური...“ ლია ფერის ფრინველი თავისი მდგომარეობით ყველაზე მაღლა დგანან.

ფოლკლორში მიმდინარე ზოგიერთი პროცესი ფრინველებსაც შეეხო. ეროვნული ზეპირსიტყვიერების უძველესი ნიმუშები, რომლებსაც თავდაპირველად ის ქვეტექსტური გააზრება ჰქონდა, რომელმაც განაპირობა ამ ნაწარმოების შექმნა, დღეს ადარ იხმარება ძველი მნიშვნელობით, ზოგიერთი მათგანი თანდათანობით გამოეყო დიდების რეპერტუარს და საბავშვო ნაწარმოებებად იქცა, რადგანაც ბაგშვებმა ზოგიერთი ნაწარმოები აითვისეს პირველი მნიშვნელობისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ქდერადობით.

მაგალითად, ყვავებზე შექმნილი უძველესი ლექსებიდან მივიღეთ საბავშვო იუმორისტული ნაწარმოებები:

„ყვავო, ყვავო, ყვანჩალა,  
ბებიაშენი დამხრჩალა,  
თუ წამოხვალ სატირალში,  
თუ არა მგელმა დაგჭამა“  
(საკუთარი მასალებიდან)

მოზარდები იუმორისტულ ქდერადობას ძირითადად არასასიამოვნო ფრინველების თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს ანიჭებენ ხოლმე.

ფრინველებზე შექმნილი ლექსები გამოირჩევა მაღალმხატვრულობით, რასაც ხელს უწყობს ცალკეულ ფრინველთა შედარებად, ეპითეტად და მეტაფორად გამოიყენება. მაგრამ არასასიამოვნო ფრინველებზე შექმნილი ზოგიერთი ნაწარმოების მხატვრული აქსესუარი საკმაოდ მწირია.

### გამოქვეყნებული ლიტერატურა

1. ვირსალაძე ელენე, ქართული სამონადიორეო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ. 153.
2. აბაშიძე გ. მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბილისი, 1984.
3. ბსკიფა (ბსკიფა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი) საქმე 185, გვ. 207. საქმე 157, გვ. 164, გვ. 152.
4. აჭარის ხალხური პოეზია, თბილისი, 1969, გვ. 43–44, 88.
5. მამალაძე, შრომის სიმღერები კახეთში, თბილისი, 1963, გვ. 86, 29.
6. ჭუმბურიძე ზ. რა გქვია შენ? თბილისი, 1966.

**Eter Zoidze**

### Poems and songs of unpleasant birds in Adjarian folk poetry

#### Summary

Georgian folklore is rich with such stories where is presented beliefs of people about separate events or things of the world.

Richness of poetical stories that are composed about birds, poetical completeness about existence of strong worship refers not only in Georgia, but also in whole Caucasus.

In the most poems that are composed about birds is noted totemic period.

Birds basically are represented in the works of habitual, mourning, magic genres.

Now we will discuss place of unpleasant birds in folk poetry, unpleasant birds predicts people's trouble.

They are: hawk, raven, and so on. People neutralized future trouble with traditional words or charms away.

Most of unpleasant birds are of black or grey, colour.

Poetry that was composed about birds was transformed and it became property of children's folklore.

Artistic accessory of some poems created about unpleasant birds is enough poor.

Этер Зойдзе

### **Стихи-неприятных птиц из аджарской народной поэзии**

#### **Р е з ю м е**

Грузинский фольклор богат такими произведениями, которые передают веру- представления об отдельных явлениях природы и её существ.

Множество созданных поэтических произведений, а также поэтический культа птиц не только в грузи, но и по всему Кавказу.

В большинстве стихотворений об птицах есть тотемный период. Птица в основном представлены в обрядовом поседневном, похоронном, магическом жанре.

Разберём неприятных птиц в народной поэзии. Они часто бывают предвести несчастий. Это: ястреб, ворона и др. Человек будущее несчастье неизолирует молитвами и традиционными словами.

Нехорошие птицы чаще всего черного или серого цвета.

Созданные о птицах стихи транспортировались и стали часть детского фольклора, но количество художественного аксессуара использованных в ней очень скучны.

ნოდარ კახიძე

პირველი სპილენძსადნობი ქარხანა  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში  
(ქარხნის დაარსების 120 წლისთაგის გამო)<sup>1</sup>

120 წლის წინათ, 1890 წელს, ბათუმიდან 11 კმ მოშორებით, სოფ. ერგეში მწყობრში ჩადგა პირველი სპილენძსადნობი ქარხანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ანუ ყოფილი ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე. შემდეგ დაარსდა ასეთივე ქარხნები ჭოროხის ხეობის სამთამადნო წარმოების კერვებში (ხოდი, ძანსული, კვარცხანა).

ერგეს სპილენძსადნობი ქარხანა კავკასიაში მაშინ რიგით მეთორ-მეტე იყო. მანამდე თრი ქარხანა მოქმედებდა თბილისის გუბერნიაში (შამბლული და ალავერდი) და 9 ელიზავეტის გუბერნიაში.

სპილენძსადნობი ქარხნის დაარსებას ჭოროხის ხეობის აუზში უძველესი წანამძღვრები აქვს, რაც ორგანულადაა დაკავშირებული რეგიონში სპილენძის სამთამადნო-მეტალურგიული წარმოების ისტორიასთან. ჭოროხის აუზი ისტორიულად ცნობილია არა მარტო სპილენძ-ბრინჯაოს, არამედ რკინის მეტალურგიის მნიშვნელოვანი და დაწინაურებული კერა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში (Иессен А., 1925, 156). ჭოროხის აუზმა თვალსაჩინო როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ჭოროხის აუზის აღნიშნული კერა მომძლავრებას იწყებს ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან და შემდგომ, კოლხური კულტურის ხანაში, იგი ერთ-ერთ წამყვან მეტალურგიულ ცენტრად იქცა (ჯაფარიძე თ., 1970, 236). უფრო მეტიც, როგორც აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი წერდა, „ჭოროხის აუზში არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო. მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი, ძველი კოლხეთის სამეფო, უეჭველია, ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო“ (მელიქიშვილი გ., 1970, 389).

ჭოროხის აუზი მდიდარი იყო სხვადასხვა წიაღისეულით. მათ შორის ლითონისეული მაღნებით. სამთო საქმის სპეიალისტის ლ.ბაცევიჩის აღწერით, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში

<sup>1</sup> ნაშრომს საფუძვლად უდევს ქარხნის დაარსებისა და ფუნქციონირების შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის მონაცემები და სოფელ ერგეში 1977 წელს შეკრული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

სპეციალური დავალებით საგანგებოდ შეისწავლა ჭოროხის აუზის სამთამადნო ცენტრები, წერდა, რომ სპილენძისა და რკინის გარდა აქ მოიპოვებოდა ოქრო, ვერცხლი, თუთია, ტყვია და სხვა ნედლული (Бацевич Л., 1887, 156). ხოლო ა.იესენი, რომელმაც განმაზოგადებელი ნაშრომი შექმნა კავკასიის უძველესი სპილენძის მეტალურგიის ისტორიაზე, შენიშნავდა, რომ ჭოროხის აუზის სპილენძის საბადოები უფრო კონცენტრირებული სახით იყო წარმოდგენილი, ვიდრე კავკასიის სხვა რეგიონში, რაც ამ საბადოების ათვისების ფართო პერსპექტივებს სახავდა (Иессен А., 1925, 156).

ჭოროხის აუზის სამთამადნო მეტალურგიული წარმოების უძველესი ტრაიციების კვალი კარგად შემოგვინახა „მდნობელთა განძება“, რომლებიც დიდი რაოდენობითად აღმოჩენილი როგორც უშუალოდ წარმოების კერებში (ართვინი, ძანსული და სხვ.), ისე დღევანდელი აჭარის ბარისა და მთის ტერიტორიაზე (ციხისძირი, ჩაქვი, სალიბაჟური, ზენთი, მახინჯაური, ერგე, ჯოჭო, დიდაჭარა (ქორიძე დ., 1965, თავი I; კახიძე ა., 1992) და ა.შ. განძები შედგებოდა უპირატესად ბრინჯაოს თოხების, ცულების, წალდების, სეგმენტისებური იარაღებისა და ზოდებისაგან. მკვლევარები მიუთითებენ, რომ კოლხეთის, პირველ რიგში ჭოროხის აუზის გარდა ბრინჯაოს არცერთი სხვა კულტურისათვის არ არის დამახასიათებელი ასეთი დიდი რაოდენობით თოხები, წალდები და სხვა იარაღები. ამიტომაც, ისინი დაასკვნიან, რომ ბრინჯაოს ჩამოთვლილი იარაღები ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან გამოსული ნაწარმია, რომელიც, შესაძლოა, აქედან ვრცელდებოდა კოლხეთის სხვა რაიონებში (საქართველოს არქეოლოგია, 1959, 148-149). ა.იესენი ჭოროხის აუზში სპილენძის ძველი სამთამადნო მეტალურგიული წარმოების 10-ზე მეტ ლოკალურ ცენტრს გამოყოფდა, რომელთაგან უმთავრესი იყო ძანსული, გიუმიშხანე, ხოდი. კვარცხანა და სხვ. აქვე ისიც არის აღსანიშნავი, რომ ადრეანტიკურ ხანაშიც ქართველური მოდგმის ტომები (მოსინიკები), რომლებიც სპილენძის საბადოებით მდიდარ შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ტრაპიზონისა და კერასუნტის დასავლეთით ცხოვრობდნენ (ადრეული მათი სამყოფელი კი ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილი იყო), საუკეთესო ხარისხის სპილენძის მიღების საიდუმლო ხერხებს ფლობდნენ. ეს ცნობა არისტოტელეს (ძვ.წ. IV ს.) ეპუთენის. მოსინიკები სპილენძს ურევდნენ ერთგვარ მიწას, რომლისგანაც მაღალი ღირსების ჭურჭელი მზადდებოდა (ჯავახიშვილი ივ., 1960, 24). ამ საიდუმლოებას მოსინიკები თურმე სხვას უმაღავდნენ და არ ასწავლიდნენ (ყაუხენიშვილი თ., 1969, 68).

სპილენძის სამთო მოპოვებისა და დამუშავების ტრადიციები ჭოროხის ხეობაში დიდხანს არსებობდა. თუმცა, ოსმალთა ბატონობის პერიოდში სამთო მრეწველობის ეს დარგი დაუცა. ამ ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეს ტრადიციები ერთხანს გამოცოცხლების გზაზე დადგა. დაიწყო სპილენძის არსებულ საბადოთა შესწავლა და ახალ საბადოთა ძიება

მათი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით. ცოტათი მოგვიანებით, XX საუკუნის დამდევს ბათუმის ოლქში (მდ. ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობებში) ცნობილი იყო სპილენძის 45 საბადო. აქედან 34 ართვინის ოკრუგში, 11 ბათუმის ოკრუგში (სიორიძე მ., 1987, 138). პარალელურად მაღნეულის სხვა ძიებაც მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წარმოების ძველი ცენტრების შესწავლას, როგორიცაა ძანსული, ხოდი, ლომაშენი, კვარცხანა, მერისი და ა.შ.). ამათგან მაინც ძანსული გამოირჩოდა, რომელიც აპოლონ წულაძის დახასიათებით მთელ კავკასიაში იპყრობდა ყურადღებას (წულაძე ა., 1915). თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილი ხოდის (ართვინთან ახლოს), ხოლო მესამე – მერისის (დღევანდელი ქედის რაიონი) საბადოებს უჭირა. მერისის საბადოები რამდენიმე მსხვილ ძარღვს აერთიანებდა, რომელთაგან წამყვანი იყო ყანლი-ყაია, ობოლო, სათევზიას საბადო პირველად ადგილობრივ მცხოვრებ ომერ ხალვაშს აღმოუჩნია (კახიძე ნ., 1987, 44). მერისის სპილენძის საბადოთა სისტემას ეკუთვნოდა უჩამბის სპილენძის საბადოებიც.

1902 წლამდე სპილენძის ჩამოთვლილ საბადოებში მოპოვებული მადანი სოფელ ერგეს სპილენძსადნობ ქარხანაში მუშავდებოდა. ეს იყო პირველი სპილენძსადნობი ქარხანა სამხრეთ-დაავლეთ საქართველოს სამთამადნო რაიონებში, რომელიც 1890 წელს ამოქმედდა. იგი დააფინანსეს და ააშენეს გერმანელმა მსხვილმა მრეწველებმა რობერტ რიხერმა და ანტონ სალერნიმ. ქარხანა აღჭურვილი იყო ვეროპული სადნობი ღუმელებით (სიორიძე მ., 1987, 140).

მერის-უჩამბიდან მაღანს ჯერ ქედამდე ცხენებით, აქედან კი ერგები ფურგონებით ეზიდებოდნენ. მადნის ამგვარი ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა და ქარხნის დროულ მომარაგებასაც რამდენადმე აფერსებდა. ამას ემატებოდა საწვავის უკმარისობა და სხვა სიძნელეები. ფურგონებით მადანი დასახელებული სამთამადნო ცენტრებიდან სოფელ კირნათის ცენტრამდე ჩამოქონდათ, სადაც არსებობდა მგზავრთა გასაჩერებელი საეციალური სასტუმრო სახლი, რომელსაც ხანე ეწოდებოდა. ხანე ადგილის სახელადაც ანუ ტოპონიმად დამკვიდრდა. აქ ხდებოდა ფურგონში შებმული ცხენების შენაცვლება. მადნით დატვირთული ფურგონებიდან ცხენებს ახსნიდნენ და მასში ერგედან ასულ ცარიელ ფურგონში შებმულ ცხენებს ჩანაცვლებდნენ. ცარიელ ფურგონში კი დატვირთული ფურგონიდან ახსნილ ცხენებს შეუბამდნენ. ფურგონში შებმული ცხენების ასეთი მონაცვლეობა აუცილებელი იყო, რადგან მადნის მოპოვების ადგილიდან ერგეს სპილენძსადნობ ქარხნამდე ვრცელი მანძილი იყო და მისი დაფარვა ფურგონში შებმულ ცხენებს გაუჭირდებოდა. მაგალითად, ხოდის სამთამადნო ცენტრიდან ერგე 130 გერსის მოშორებით მდებარეობდა.

კირნათის ხანე ორსართულიანი ყოფილა. ზედა სართული მგზავრთა დამის გასათევი იყო, ქვედა – ცხენების გასაჩერებელი.

აქვე იყო ყავახანა მგზავრთა მომსახურებისათვის და ცხენების გასახერებელი მაღალი სპეციალური შენობა, ანუ ცხენების ახორი, რომელიც დღესაც არსებობს (ცნობა ჩაწერილია 2001 წლის ეთნგრაფიული ექსპედიციის დროს). ამის გამო ქარხანა პერიოდულად მუშაობდა და მისი მწარმოებლურობაც უთანაბრო იყო, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეკროპული სადნობი ღუმელებით იყო აღჭურვილი.

წინასწარი გაანგარიშებით, ერგეს ქარხანას ყოველწლიურად უნდა გამოედნო 12 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი, მაგრამ ადნობდა ნაკლებს. გახსნის პირველ წელს აქ გამოადნეს 291 ფუთი სუფთა სპილენძი, 1900 წელს – 7800, 1901 წელს – 9562, 1909 წელს კი უფრო ნაკლები – 1672 ფუთი (კახიძე ნ., 2007, 24). 1890 წელს მადნის ამოდება შეადგენდა: ლომაშენში 371 ფუთს, ხოდში – 15 ათასზე მეტს, ძანსულში – 2 ათასს, ხოლო ყანლი-ყაის (მერისი) საბადოში 100 ფუთს (სულ 18486 ფუთი). ყველა ეს მადანი, როგორც ითქვა, ერგეს ქარხანაში მუშავდებოდა. ასე იყო 1902 წლამდე ნ.წერეთლის ცნობით ამოქმედებიდან 1902 წლამდე ერგეს ქარხანაში გამოდნობილ იქნა 100 000 ფუთი წითელი სპილენძი, რომელიც მთლიანად რუსეთში იგზავნებოდა (Церетели Н., 1906, 455).

1902 წელს ძანსულში ამოქმედა ჭოროხის ხეობაში რიგით მეორე სპილენძსადნობი ქარხანა, რომელმაც სხვადასხვა მიზეზის გამო მეორე წელს დაიწყო პროდუქციის გამოშვება. ქარხანა ფუნქციონირებდა 1918 წლამდე. შემდეგ ასეთივე ქარხნები ამუშავდა, ხოდში (1908-1914 წწ.), კვარცხანაში (ართვინის ოკრუგი) (1914-1918 წწ.). ძანსულის (იგივე ჭინკათხევის) ქარხანა მთელი რუსეთის მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი საწარმო იყო როგორც ტექნიკური აღჭურვილობით, ისე წარმოებული პროდუქციის (სუფთა სპილენძი) მოცულობით. ძანსული მდებარეობდა ბათუმიდან 60 კვრის მოშორებით მურდულის ხეობაში (მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადი). ქარხანა ინგლისურ-ამერიკული სამრეწველო ფირმის მფლობელობაში იყო, რომელიც 1890 წელს ლონდონში დაარსებულ „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებას“ ეკუთვნოდა. მისი ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო ამერიკელი მილიარდერი მორგანი. 1909-1914 წლებში ძანსულის ქარხანაში 960 ათას ფუთზე მეტი სპილენძი იქნა გამოდნობილი (სიორიძე მ., 1987, 145).

ერგეს და სხვა სპილენძსადნობ ქარხნებში გამოდნობილი სპილენძის დიდი ნაწილი რუსეთში, ხოლო ნაწილი რუსეთის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით სევასტოპოლისა და ფეოდოსიის გავლით და მირითადად ელექტრო და რადიოტექნიკის განვითარებას ხმარდებოდა. ჯერ კიდევ 1900-იან წლებში სამთო სამრეწველო საქმის მცოდნე ნ.წერეთელი წერდა: „შორს არ არის ის დრო, როდესაც კავკასია და მათ შორის ბათუმის ოლქი სპილენძის ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელი იქნებოდა არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო ბაზრისათვის, რადგან დღითიდღე იზრდებოდა მოთხოვნილება სპილენძზე ელექტროტექნიკის

განვითარების კვალდაკვალ (ცერეტელი Н., 1906, 456). ეს ვარაუდი გამართლდა. 1913 წლისათვის ბათუმის ოლქში მოქმედმა სპილენძსადნობა ქარხნებმა სულ 348 ათას ფუთამდე სპილენძი გამოადნეს. ამდენად, ერგეს, ხოდის, ძანსულისა თუ კვარცხანის სპილენძსადნობ ქარხნებში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი დიდი იყო არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი რუსეთის სპილენძის წარმოებაში.

1911 წელს ერგეს სპილენძსადნობა ქარხანამ არსებობა შეწყვიტა. იგი 21 წლის განმავლობაში მოქმედებდა. კავკასიის ფრონტე საომარი მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით სპილენძის გამოდნობა შეწყდა აგრეთვე ხოდის, ძანსულის, კვარცხანის ქარხნებში. ჯერ კიდევ კავკასიის ფრონტე ბრძოლების დაწყებამდე თურქეთის არმიის გენერალური შტაბის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ქალაქ ბათუმისა და მთელი ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდება, სადაც განვითარებული იყო სპილენძის სამთამადნო წარმოება. შტაბში მრავლად იყვნენ თურქეთის მოკავშირე სამხედრო პირები. ამოცანა ნაწილობრივ კიდევაც იქნა მიღწეული. 1914 წლის ნოემბრის დამდეგს თურქებმა ხელო იგდეს ჯერ ჭინკათხევის სპილენძის მაღაროები და სპილენძსადნობი ქარხანა, შემდეგ კი ბორჩხის საწყობებში შენახული სპილენძის მარაგი და ხოფიდან გემებით სტამბულში გაგზავნეს. ამის შესახებ იუწყებოდა მაშინდელი გაზეთი „თანამედროვე აზრი“ (1915, №9, 8 მარტი).

ერგეს ქარხნის კომპლექსი რამდენიმე შენობისაგან შედგებოდა. საკუთრივ მაღნის სადნობი და გასაცივებელი შენობების გარდა აქ იყო მუშათა საცხოვრებელი, სასადილო, პურის საცხობი და წისქვილი. ყველა ისინი აგურისაგან იყო აშენებული. გამდნარი მაღნის გასაცივებელი წყალი თიხის მილებით იყო გამოყვანილი. მოხრობელთა გადმოცემით, ტერიტორია, სადაც ქარხანა აშენდა, მის მფლობელს რიხერს ფულით შეუსყიდია ახლომახლო არსებული ტყეებით, რადგან სპილენძის სამთამადნო საქმეში დიდი რაოდენობით ხის სამშენებლო მასალაც იყო საჭირო. რიხერს ქარხნის ზემოთ ჰქონია ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. იგი აქვე გარდაცვლილა და ქარხანასთან ახლოს დაუსაფლავებიათ. მეორე მსოფლიო ომის წლებში სამხედრო ნაწილების აქ ყოფნისა და ტრანშეების გათხრის დროს რიხერის სასაფლაოს კვალი წაშლილა.

ქარხანა ერგეს სოფლის ცენტრში, ყოფილი კოლმეურნეობის კანტორასთან ახლოს მდებარეობდა. სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცით ამ ქარხნის ასწლოვანი ისტორიაზე. ხოლო ბევრმა არც კი იცის ამ ქარხნის არსებობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ჭოროხის აუზის სამთამადნო მრეწველობის განვითარებაში. სტატიის მიზანიც ეს არის, რომ მკითხველს მივაწოდოთ ცნობები ქარხნის ისტორიაზე.

რამდენიმე წლის წინ ერგეს სპილენძსადნობი ქარხნის ერთსართულიანი შენობა, რომელიც ორი ოთახისაგან შედგებოდა, დაშალეს, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. ჩვენ მოვითხოვდით შენობის შენარ-

ჩუნებასა და მის მოვლა-პატრონობას. ამის შესახებ წერილიც გამოვაქმეუნეთ ხელვაჩაურის რაიონულ გაზეთ „კახაბერში“ (1986 წელი). პირველ რიგში საჭიროდ მიგვაჩნდა ოვით შენობის შენარჩუნება, შენობისა და მისასვლელი გზების შეკეთება, ეზოს კეთილმოწყობა, დასასვენებელი სკვერის გაშენება და მემორიალური დაფის გაკეთება სათანადო წარწერით. დავსვით საკითხი შენობაში მუზეუმის განთავსებაზე, სადაც შესაძლებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა შესაბამისი მასალების დაძებნა და ფოტოსტენის განთავსება.

ამით ჩვენ პატივს მივაგებდით მშობლიური სოფლის ისტორიას, მით უმეტეს, რომ ქარხნის მშენებლობასა და სპილენძის წარმოებაში ადგილობრივი ერგელი და ჯოჭოელი გლეხობის წვლილიც დიდი იქმ.

ამავე დროს, მაშინ გომედოვნებდით, რომ წერილში დასმული საკითხებით დაინტერესდებოდა სოფელ ერგეს მოსახლეობა, მისი ხელმძღვანელობა, პირველ რიგში ინტელიგენცია, სკოლა, ვისთვისაც ძვირფასი იქნებოდა მშობლიური კუთხის ახლო წარსულის შესწავლა. მაგრამ ამაოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენც ვერ გამოვიჩინეთ შემდგომი სათანადო დაინტერესება და დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.

ახლაც არ არის გვიანი ქარხნის ადგილას დაიდგას მემორიალური დაფა წარწერით: „აქ 1890-1911 წლებში არსებობდა სპილენძსადნობი ქარხანა“. ასეთი დიდი მნიშვნელობის სპილენძსადნობი საწარმოს სახით არა თუ ერთი რომელიმე სოფელი, არამედ მთელი აუთხე და ქვეყანა იამაყებდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქახიძე ნოდარ. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და პულტურა. XIV. თბილისი, 1987.

2. ქახიძე ნოდარ. სპილენძის სამთამადნო მეტალურგიული წარმოება ჭოროხის ხეობაში. - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი, 2007.

3. ქახიძე ამირან. კოლხური კულტურის სათავეებთან. - ქურნ. „ჭოროხი“, №6, ბათუმი, 1992.

4. მელიქიშვილი გიორგი. დასავლეთ საქართველოს უძველესი გაერთიანებები. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. თბილისი, 1970.

5. სიორიძე მალხაზ. სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1912 წწ.). - აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. VIII. ბათუმი, 1987.

6. ქორიძე დომენტი. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი, 1905.

7. წელაძე აპოლონ. დაბული. - გამ. „თანამედროვე აზრი“, №7, 1915.
8. ჯაფარიძე ოთარ. შეკვეთის ხანა საქართველოში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I თბილისი, 1970.
9. Бацевич Л.Ф. Геологическое описание Батумского и Артвинского округов. - Материалы для геологии Кавказа. Серия II. Тифлис, 1887.
10. Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. - Известия ГАИМК, вып. 120, М.-Л., 1925.
11. Церетели Н.В. Очерк торгово-промышленного развития города Батуми. - Батум и его окрестности. Батуми, 1906.

**Нодар Кахидзе**

### **Первый медоплавильный завод в Юго-Западной Грузии (К 120 летию со дня основания завода)**

#### **Резюме**

В 1890 году, в селе Эрге, близ шоссейной дороги, в 11 километрах от Батуми, был основан первый медоплавильный завод в Юго-Западной Грузии.

Завод работал на базе медной руды, которая добывалась в Дзансули, Кварцхана, Ходы (Чорохское ущелье) и Мериси-Учамфа (Аджарисцкальское ущелье). Завод был основан и финансирован немецкими промышленниками - Робертом Рихнером и Антоном Салерни.

Медную руду на медоплавильный завод в Эрге из указанных центров чорохского ущелья доставляли брычками и речными каюками на реке Чорохи. Завод просуществовал до 1911 года. В течение этого периода на заводе было выплавлено сто тысяч пудов чистой красной меди, которая через батумский порт отправлялась в Россию. На заводе были заняты жители окружных сёл.

Наряду эргинским заводом были построены медоплавильные заводы непосредственно на месте добывания медной руды в Дзансули (1903-1918), Ходы (1908-1914) и в Кварцхана (1914-1918).

Эргинский завод вместе другими заводами сыграл большую роль в деле развития медоплавления Юго-Западной Грузии.

**როინ მალაყმაძე  
გურამ ჩაგანავა  
გუბაზ ვანილიშვი**

**ქართული პულტურის ძეგლები თურქეთის  
შავიზღვისპირეთში**

2010 წლის 30 სექტემბერს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამი თანამშრომლის (ექსპედიციის ხელმძღვანელი—როინ მალაყმაძე, წევრი—გურამ ჩაგანავა, ოპერატორი — უშანგი ნაგერგაძე) და ეთნოგრაფიის პრობლემატიკაზე მომუშავე პირის (გუბაზ ვანილიშვი) შემადგენლობით მოკლევადიანი ექსპედიცია ერთი დღის განმავლობაში განხორციელდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ოფში და ქალაქ რიზეში. ექსპედიციის მიზანი იყო სახელდახელოდ გაგვერკვია იმ ლირსშესანიშნავ ობიექტთა და მოსახლეობის კულტურისა და ყოფის თავისებურებები, რომლებიც საინტერესო იქნებოდა ქართველი ტურისტებისათვის და საშუალება მოგვეცემოდა დაგვეგებმა რესპუბლიკის აღმოსავლეთ რეგიონების შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის, ისტორიული ძეგლების, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო, ადგილობრივი დიალექტების, საკულტო ნაგებობებისა და საცხოვრებელი ნაგებობების თავისებურებების საფუძვლიანი შესწავლა და მათი მიმართებები ქართულ კულტურასთან, რაც ართვინისა და ტრაპიზონის ვილაგეთების შავიზღვისპირეთის მიმართ ქართველ ტურისტთა დაინტერესებას გამოიწვევს.

წინასწარ გარკვეული იყო, რომ ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებში თანამედროვე ქალაქ ოფში, რიზეს დასავლეთით არსებობდა ქართული საეკლესიო ერთეული (სამიტროპოლიტო), რომლის საეკლესიო ოლქის კათედრა იმყოფებოდა ოფის დმრთისმშობლის ტაძარში. ეს ტაძარი ეკუთხნოდა დაზის სამიტროპოლიტოს. ამ ტაძრის დაარსება მიეწერება ქართველთა განმანათლებელს წმინდა ნინოს. საყურადღებოა, რომ ამ სამიტროპოლიტოს მეორე საეკლესიო ცენტრი ყოფილა თეოდორეს სახელობის ტაძარი, რომელიც განლაგებული იყო ძველ ქალაქ თეოდორიადში და რომელიც შესაძლებელია რიზეს ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა ანდა რიზეს სანაპიროზე მდებარე პუნქტს. მნიშვნელოვანია, რომ სოტიროპოლის ანუ რკინის პალის ოლქი, რომელიც მოიცავდა ოფის პროვინციას ქართულ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ყველა ეს პუნქტი დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში და იქ ძველ პერიოდში განლაგებული ტაძრების ჩვენს დროში დაფიქსირება მნიშვნელოვან კულტურულ და შემეცნებით ინტერესს გამოიწვევს მეზობელ ქვეანაში ტურისტული მოგზაურობისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე თურქეთის პატარა ქალაქ ოფში ქართული საეპისკოპოსო იყო განთავსებული, რომელსაც ლაზის საეპისკოპოსოს უწოდებდნენ. საქმე იმაშია, რომ სამხრეთ შავიზღვისპირეთში ძირითადად ქართველური მოდგმის ჭანურ-ლაზური მოსახლეობა იყო განსახლებული და ამ მოსახლეობის განსახლების არეალის საზღვრები გაცილებით უფრო დასავლეთით იყო ვიდრე ამჟამინდელი ლაზურად მეტყველი მოსახლეობის საზღვრებია. ჭანეთ-ლაზეთი ანუ სამხრეთ-კოლხეთის ქვეყანა სამ ძირითად ნაწილს მოიცავდა:

I. რიზეს მხარე (აღმოსავლეთ ჭანეთ-ლაზეთი) = საკუთრივ ლაზია, ზღვისპირა კლარჯეთი.

II. ტრაპიზონის მხარე (შუა ჭანეთი-ლაზეთი) = საკუთრივ ქალდია (ხალდია).

III. კერასუნ-ფარნაკის მხარე (დასავლეთი ჭანეთ-ლაზეთი) = ხალდია, ხალიბია-ტიბარენია.

ეს მხარეები უფრო მცირე ოლქებად იყოფოდა:

I. რიზეს მხარე, საკუთრივ ლაზია (ზღვისპირა კლარჯეთი) მოიცავდა: 1. რიზეს ოლქს ანუ საკუთრივ ლაზიას (ვიწრო მნიშვნელობით). ა. გონიო-აფსაროსის სანაპირო უბანს; ბ. მურდულის სანაპირო უბანს; 2. სოგიროპოლის ანუ რკინის-პალოს ოლქი (თანამედროვე, ოფის მიდამოები);

II. ტრაპიზონის მხარე, ანუ საკუთრივ ქალდია მოიცავდა: 1. გიმორას ოლქს (თანამედროვე სურმენას მიდამოები), ტრაპიზონის ოლქი, 3. მაჭუგას ოლქი, 4. საკუთრივ ქალდია (ვიწრო მნიშვნელობით);

III. კერასუნ-ფარნაკის მხარე ანუ ხალიბია (ხალიბია-ტიბარენია) მოიცავდა: 1. კერასუნ-ფარნაკის ოლქს, 2. კოტიორის ოლქს, ლიმანის ანუ ოინეს ოლქს.

„რკინის პალო“-ს სახელწოდებით ვახუშტის აღნიშნული აქვს რიზეს დასავლეთით მდებარე ციხე, რომელიც კალოს ხეობაში მდებარეობდა და პ. ინგოროვებას თვალსაზრისით შეიძლება ამჟამინდელ „დემირ-ყაფუ“-სთან ანუ „რკინის-კართან“ იქნეს გაიგივებული. საუკრადდებოა, რომ ამ ქალაქის ირგვლივ არსებულ მთებს „დემირ დაღი“ ანუ „რკინის მთა“ ეწოდება. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფიაში, ჭანეთ-ლაზის აღწერილობაში, წერს: ...არს ქალაქი რიზა ზღვის კიდეზე... ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა კნინდა ზღვამდე ჭანეთის მთიდამ და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა (ტრაპიზონის სამეფოსი). აქა არს რკინის პალო, აქავ არს სატყეპელა. პ. ინგოროვებამ დაამტკიცა, რომ სატყეპელა, იგივე სატრაპელა არის სოგიროპოლი, რომლის პარალელური სახელწოდებაა ოფია და ზუსტად ოფში იმყოფებოდა ქართული საეპისკოპოსოს ცენტრი სოგიროპოლის (იგივე ოფის) ოლქისა.

საყურადღებოა, რომ საკუთრივ ლაზია (რიზეს მხარე, აღმოსავლეთ ჭანეთ-ლაზეთი) მე-13 საუკუნეში იყო კონდომინუმი (საერთო სამფლობელო) საქართველოს სახელმწიფოსი და ტრაპიზონის სამეფოსი, მე-13 საუკუნის 80-იან წლებში ჩამოშორდა ტრაპიზონის და შეუერთდა საქართველოს, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ეს მხარე ყოველთვის შეადგენდა. სახელდობრ, 1282 წელს რიზეს მხარე, აღმოსავლეთი ჭანეთ-ლაზეთი დაიჭირა დასავლეთ საქართველოს მეფემ დავით ნარინა და შემდეგ ეს მხარე მუდმივად შედიოდა ქართული სამეფო—სამთავროების შემადგენლობაში 1547 წლამდე. ამრიგად საქართველოში შედიოდა რიზეს მხარე მთელი მოცულობით, ე.ი. როგორც რიზეს ოლქი, ისე სოტიროპოლის ანუ რკინის პალოს ოლქი. ეს მტკიცდება აგრეთვე იმ ეპოქის საეკლესიო ტერიტორიული დანაწილებიდან. სახელდობრ დასახელებულ ეპოქაში რიზეს ოლქი და სოტიროპოლის ანუ რკინის—პალოს ოლქი გაერთიანებული იყო ერთ საეკლესიო ერთეულად, ლაზიის ანუ ოფოსტოტიროპოლის (სატრაპელას) სამიტროპოლიტოს სახელწოდებით, რომელიც შედიოდა საქართველოს ეკლესიაში. ამ საეკლესიო ერთეულის იერარქი მოიხსენება შემდეგი ტიტულებით: 1. „ლაზიის მიტროპოლიტი“ (ანუ მთავარეპისკოპოსი) 2. „ოფის (სოტიროპოლის, სატრაპელას) მიტროპოლიტი“. ხოლო რადგან თვთან (სოტიროპოლთან) ისტორიულად დაკავშირებული იყო ალანეთის კათედრა, ოფიციალურ სახელწოდებაში აღინიშნება აგრეთვე ალანეთიც (ოფისა და ალანეთის მიტროპოლიტი“).

უფრო გვიან ხანაში, მე-16 საუკუნეში, როდესაც ოსმალეთმა დაიპყრო ჭანეთი, ოფისა და რიზეს მხარე და ჭანეთში დაიწყო მუსლიმანობის გავრცელება, ლაზიის (ოფის ანუ სოტიროპოლ—სატრაპელას) კათედრა გადმოუტანიათ გურიაში და თვით იმ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებით რეზიდენცია დაზიის მიტროპოლიტისა, უწოდებიათ ლაზეთიდან დროებით რეზიდენცია ლაზიის მიტროპოლიისა, უწოდებიათ ლაზეთიდან მოტანილი სახელი სატრაპელა, მე-17 საუკუნის დასაწყისში, 1617 წელს, გურიაში იყო რომის მისიონერი ლუი გრანჟიე, რომელმაც ინახულა ამ ახალ რეზიდენციაში—გურიის სატრაპელაში—ლაზიიდან გადმოხიზნული იერარქი, რომელსაც იგი ლაზიის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის სახელით მოიხსენიებს. მომდევნო პერიოდში მე-17 საუკუნის მეორე მეოთხედში, საქართველოს ეკლესია, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოზოს (აფხაზეთის) სახით, ისევ სცდილა აღედგინა თვით ადგილობრივ ლაზიაში ძველი კათედრა იმ იმედით, რომ ოსმალეთის ხელისუფლება, ომების დამთავრებისა და პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ არ შეუძლიდნენ ხელს ქრისტიანული კათედრის არსებობას ამ მხარეში.

დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოზის მაქსიმეს წერილში, რომელიც მიწერილია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილისძისადმი (1646 წლის 1 იანვრის თარიღით), ნათქვამია, რომ მან,

აფხაზეთის კათალიკოზმა, ჩამოიყვანა ლაზიიდან, ოფის ღმრთის-მშობლის სახელობის მონასტრიდან (რომელიც ჯერ კიდევ მოშლილი არ ყოფილა) მონაზონი გერმანე და აკურთხა იგი ლაზიის მიტროპოლიტად „ოფისა და ალანეთის მიტროპოლიტის“ ტიტულით.

საქართველოს ეკლესიის მიერ ლაზეთის იერარქად დადგენილს ამ პირს შემდეგ განუცდია დევნა ოსმალთაგან. ოსმალეთის ხელოსუფალს სეფერ ფაშას დაუპატიმრებია ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე იმ მიზეზის გამო, რომ მან ქრისტიანობაში მოაქციაო „თურქის“ (მუსლიმანის) ოჯახი. საქართველოს ეკლესიამ და მეფე-მთავრებმა მიიღეს ზომები დატყვევებული ლაზიის მიტროპოლიტის გასათავისუფლებლად. ოთხი თვის პატიმრობის შემდეგ ლაზიის მიტროპოლიტი გამოხსნილ იქნა და იგი ჩამოვიდა იმერეთში აფხაზეთის კათალიკოსთან. ამის შემდეგ ლაზიის მიტროპოლიტი გერმანე, აფხაზეთის კათალიკოზის მაქსიმეს წერილით, რომელიც მიმართული იყო რუსეთის მეფისადმი, გაემგზავრა რუსეთში 1696 წელს და მოსკოვში წარუდგება რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის-ძეს.

ადსანიშნავია, რომ ყველა დოკუმენტში, რომლებიც ეხება ლაზეთის მიტროპოლიტები და მის მგზავრობას რუსეთში, ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ქვეყანა, საიდანაც იგი არის, ე.ო. ლაზია, ეს არის საქართველო „საქართველოს ძველი ქვეყანა“ («Грузинская земля», «Старая Грузинская земля», «Старая Грузия», «Иверская земля»). მიუხედავად იმისა, რომ ლაზია-ჭანეთი იმ დროს მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს, ამ ქვეყანას საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ. ასეთია ეს ერთი საყურადღებო ფურცელი ლაზიის მხარის ისტორიის იმ პერიოდიდან.

განხორციელებული ექსპედიციის შედეგად დადგინდა, რომ ამჟამად ქალაქ ოფში არ არის იქ ძველად არსებული ღმრთისმშობლის ტაძრის არანაირი ნარჩენი, თუმცა მოსახლეობის წარმომადგენელთა გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ ქალაქში ნამდვილად არსებობდა ეკლესია (ზოგიერთი ინფორმატორის ჩვენებით რამდენიმე ეკლესია), რომელიც დანგრეული იქნა და მისი ქვები მოსახლეობამ სახლების მშენებლობის დროს გამოიყენა. ამავე დროს დადგინდა, რომ ქალაქ ოფის სიახლოეს, სოფელ ქირინთაში ჯერ-ჯერობით დაცულია ქრისტიანული ეკლესია, თუმცა ოფში ინფორმატორთა ჩვენებით ეკლესიების (ქილისები) ნანგრევები ბევრ სოფელში არის შემორჩენილი და ეს არა მხოლოდ ოფის ოლქში, არამედ აგრეთვე სვარმენას ოლქშიც, ზოგიერთი საქაოდ კარგ მდგომარეობაში. ოფის ტურისტულ ცენტრში ჩვენ გვიჩვენეს მასალები, რომლებიც ადასტურებენ და აფართოებენ ინფორმატორთა თვალსაზრისს, რადგან არსებულ ალბომებში ნაჩვენებია მრავალი შემორჩენილი ხიდი, წეაროს წყლის ორნამენტირებული ქვის კომპლექსებით, ეკლესიების ნანგრევები, მოზაიკის და ციხე-სიმაგრეების ნარჩენები. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ოფში დადასტურდა მოსახლეობის ყოფაში გამოყენებული ჩვეულებრივი ქართული წალდისა და ცულის ნიმუშე-

ბი, მათი წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ეპროპული ოქიტექტურის შესაბამისი სახლები იკავებენ ყველგან სარბიელს, მაინც დასტურდება ძველად აღმოსავლეთ თურქეთის შავიზლვის-პირეთში გავრცელებული ისეთი საცხოვრებელი ნაგებობების ნიმუშები, რომელთა ანალოგები დღესაც დაცულია საქართველოში და ზოგიერთ ეპროპის ქვეყანაში. მათი გენეტიკური კავშირურთიერთობების შესწავლასა და დაცვას, არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ ისინი ძველი ოქიტექტურის დირსეშესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ და მათი შენარჩუნება საჭირო თურქეთის აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთში არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნებიდან ტურისტების მოსაზიდად. საყურადღებოა, რომ ისეთი სამეურნეო ნაგებობა, როგორიც არის-ნალია, წარმოდგენილია რიზეს მუზეუმში და მისი თურქული სახელიც კი “ნაილა” გვაფიქრებინებს, რომ ეს სიტყვა უშუალოდ ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები. კარგად არის ცნობილი, რომ თურქეთის რესპუბლიკის შავიზლვისპირეთის თურქულ დიალექტში დაახლოებით 600 სიტყვაა შესული ქართველური ენობრივი სამყაროდან. თუმცა ეს დიალექტი ჯერ-ჯერობით არ არის კარგად შესწავლილი და არ არის გამორიცხული, რომ მასში დადასტურდეს არა მხოლოდ ლექსიკური ნასესხობანი, არამედ აგრეთვე მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები, ფონეტიკური თავისებურებანი, რომლებიც არ არის დამახასიათებელი თურქული ენისათვის და დამახასიათებელია ამ დიალექტისათვის, რადგან მასზე მოსაუბრე მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობები ქონდა ქართველურ სამყაროსთან, ხოლო ნაწილი კი უთუოდ ქართველური წარმომავლობის უნდა იყოს.

რიზეში ყოფნის დროს ჩვენ ვერსად მივაკვლიეთ მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებამდე იქ დადასტურებულ წმინდა თეოდორეს თირონის სახელობის ტაძარს (მონასტერი), რადგან ჩვენი ინფორმატორები საერთოდ უარყოფდნენ ამჟამად ეკლესიის რაიმე ნაშთების არსებობასაც კი რიზეში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ რიზეს მუზეუმში ჩვენ მივაკვლიეთ ეკლესიის სამ ზარს, რომელთაგან ერთ-ერთს თბილისთან დაკავშირებული .რუსულენოვანი წარწერა აქვს. იქვე განთავსებულია ორნამენტირებული ბოძის ფრაგმენტი, რომელიც ძალიან წააგავს აჭარაში დადასტურებულ ანალოგს. საყურადღებო არის აგრეთვე ქვის (სავარაუდო, მარმარილოს) ორნამენტირებული სარკოფაგი, რომელიც გარკვეულ ანალოგიას ამჟღავნებს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ სარკოფაგთან.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია აგრეთვე ართვინისა და ტრაბზონის ვილაეთების მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლა, რადგან აშკარად ჩანს, რომ ამ რეგიონების მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურება ახლოს უნდა იყოს კავკასიაში გავრცელებულ ანთროპოლოგიურ ტიპებთან.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელია თურქეთის რესპუბლიკის იმ მეცნიერებებთან დაკავშირება, რომლებიც ამ რეგიონებს სწავლობენ და მათთან ერთად ერთობლივი კვლევა-ძიების ჩატარება, რასაც, როგორც ზემოთ აღინიშნა აქვს არა მხოლოდ მეცნიერული მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკული, რადგან კავკასიურ კულტურებთან და მათ შორის ქართულთან მნიშვნელოვანი შეხვედრები აუცილებლად განაპირობებენ ამ ორი რეგიონის (ართვინისა და ტრაბზონის ვილაეთები) კავკასიური ცივილიზაციის სივრცეში მოთავსებას და ტურისტულად მიზიდულობის პერსპექტივებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. წ. ბაწაში, ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, მეცნიერება, თბ., 1988, 80 გვ.
2. პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, 1125 გვ.
3. პ.ინგოროვა, ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო, გამოცემლობა „ერთგული მეგობარი“, თბ., 2003, 68 გვ.

**Roin Malakmadze, Guram Chaganava, Gubaz Vanilishi**

### **Relics and Monuments of Georgian Culture in the Black Sea Coast Line of Turkey**

#### **S u m m a r y**

It is well known, that in town Of, not far, to the West from town Rize, there was the episcopacy of Lazia which was subordinated to and included in Georgian Orthodox Church almost up to middle (1646) of the 17-th century. In the town Of was situated the church of the Virgin and in the town Rize was the church of saint Theodore. However, now not a trace remains of these churches.

**Роин Малакмадзе, Гурам Чаганава, Губаз Ванилиши**

### **Памятники грузинской культуры в Причерноморье Турции**

#### **Р е з ю м е**

Хорошо известно, что в городе Оф недалеко, к западу от города Ризе находился центр Епископства Лазии, которое подчинялось, и входило в состав Грузинской православной церкви, почти до середине (1646 год) 17 века. В городе Оф действовала церковь Богородицы, а в городе Ризе церковь святого Феодора. Однако, в настоящее время нет никаких следов этих церквей.

## თამილა ლომთათიძე

### საპრალური ელემენტები აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში (ძღვენ-შესაწირავები)

მსოფლიო რელიგიების ისტორია მრავალრიცხოვან და მრავალ-ფეროვან ძღვენ-შესაწირავებს იცნობს. ღვთაებისათვის ძღვენ-შესაწირავის გაღება გარკეული საქრალური აქტია, რომელსაც სხვადასხვაგვარი დანიშნულება და მიზანი აქვს ღვთაებათა გულის მოგებიდან დაწყებული მათდამი მადლიერების გამოხატვით დასრულებული და, ძირითადად, ადამიანისა და ზებუნებრივი ძალების ურთიერთობების მოწესრიგებას ემსახურება. ძღვენ-შესაწირავების გაღების მიზანი კეთილდღეობის მოპოვება და საფრთხის თავიდან აცილება იყო. ამავე დროს, ეს იყო ადამიანებსა და ზებუნებრივ ძალებს შორის გაცვლა-გამოცვლის გარკვეული ფორმა: როცა გასცემდნენ, იმდოვნებდნენ სამაგიეროს მიღებასაც (Teijlor, 1939:490). ძღვენ-შესაწირავის მეშვეობით ადამიანი ამჟარებს გარკვეულ ქავშირს კულტთან, უჩნდება მასთან თანაზიარობის, საერთოს განცდა.

ძღვენ-შესაწირავი ადამიანის რელიგიური თვითგამოხატვის გარკვეული საშუალებაა. შესაწირავი შეიძლება იყოს სამადლობელი, გამწმენდი, დამცველი, ცოდვების გამოსახყიდი, მოსანანიებელი, თხოვნის თანმხლები. ფუნქციონალური დანიშნულებით შესაწირავები არის სამშენებლო, საქორწინო, საქონლის ჯანიერებისათვის, კალენდარული დღესაწაულებისათვის განკუთვნილი, სისხლიანი და უსისხლო მსხვერპლი (Зеленин., 2004:147). აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულია ძღვენ-შესაწირავის თითქმის ყველანაირი სახეობა. ძღვენად გასცემდნენ ადამიანისათვის ძალიან მნიშვნელოვანს და ძვირფასს ან იმას, რასაც შემწირველისათვის გარკვეული რეალური ან სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ძღვენ-შესაწირავი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოხმარების საგნები, მაგრამ როგორც კი ისინი შესაწირავებად იქცევა, მათ გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ეძლევათ და ღვთაებებისათვის განკუთვნილ ერთგვარ ნება-ყოფილობით საჩუქრად, შესაწირავად იქცევიან. მაგალითად, აჭარაში ახალი სახლის მშენებლობისას სახლის მარცხენა საძირკველში სცოდნიათ პურის კაკლის, საქონლის ბეჭვის, შაქრისა და ხურდა ფულის ჩატანება. სჯეროდათ, რომ საძირკვლის ქვა მხოლოდ ამის შემდეგ ”იცნობდა თავის ადგილს” და შესაძლებელი იყო მშენებლობის დაწყება (ნოდაიდელი, 1986:71).

აჭარაში შესაწირავის სიმბოლური დატვირთვა აქვთ მარცვლეულ კულტურებს (კალენდარულ წეს-ჩვეულებებსა და მიცვალებულთან

დაკავშირებულ რიტუალში), ფაფებსა და კერძებს (სირსვალი, კორკოტი, აშერა), რძის პროდუქტებსა და კვერცხს (მესაქონლეობასა და ხვნა-თესვასა და მოსავლის აღებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები), რიტუალურ პურებს (“ვენახის დალოცვა”), საოჯახო ნივთებსა და სპილენძის ნაკეთობებს (მშენებლობასა და ხვნა-თესვასთან დაკავშირებულ რიტუალებში), ტკბილეულს (საქორწინო და დაკრძალვის ჩვეულებებსა და შუამობის დღესასწაულზე) და სხვ. ასეთი ტიპის ძღვენ-შესაწირავების გარკვეულ ნაწილს სისხლიანი მსხვერპლი შეადგენდა. ეს იყო შინაური ფრინველები და ცხოველები, რომლებსაც მსხვერპლად სწირავდნენ წვიმის გამოწვევის, მესაქონლეობასა და მონადირეობა-მეთევზეობასთან დაკავშირებულ რიტუალებში. მსხვერპლშეწირვა, რაც ძირითადად, აგრარული დვოაებების კეთილგანწყობის მოპოვებისათვის იყო განკუთვნილი, სხვადასხვა ფორმით სრულდებოდა. მაგალითად, სტიქიის განმგებელი ძალების გულისმოგებისათვის ძირითადად მიმართავდნენ მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთ უძველეს ფორმას – სამსხვერპლო პირუტყვის შეწირვას ტბასთან, წყაროსთან დვოაების სახელზე ლოცვა-ვედრების თანხლებით. ტაროსის დვოაებისადმი მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი ფორმაა აჭარაში ჰაჯეთნამაზის სერზე ქვაკაცებთან ხარის შეწირვა (თანდილავა, 1980:14). ქვემო აჭარაში სცოდნიათ შესაწირავის - შინაური ფრინველის, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონელის დაკვლა და ბალავარში მისი სისხლის ჩასხმა (მიქელაძე, 1982:42).

მსხვერპლშეწირვა ყველა ეპოქისა და რელიგიისათვისაა დამახასიათებელი. ძღვენ-შესაწირავების გაღების ჩვეულება ჩნდება მაშინვე, როგორც კი კულტი ან რელიგიური რიტუალი აღწევს განვითარების გარკვეულ დონეს და მასთან ერთად ვითარდება და იცვლება. ამდენად, ძღვენ-შესაწირავების ტრანსფორმაციის შესწავლით შესაძლებელია თვალი გავადევნოთ რელიგიურ რწმენათა განვითარებასა და მეტამორფოზას (Kassirer, 2002: 237).

პირველი ბიბლიური შესაწირავი იყო კაენისა და აბელისაგან გაცემული მიწის ნაყოფი და საქონლის ნამატი. აქედან მოყოლებული, რელიგიური დოგმატიკის ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა შესაწირავის ფორმები და სახეები. მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში ადამიანის მსხვერპლშეწირვა პირუტყვის შეწირვით შეიცვალა. ყოფაში, ძირითადად, შემორჩა მსხვერპლშეწირვის სახეცვლილი და გამარტივებული ფორმა, მისი ტრანსფორმირებული სახესხვაობა, რომელიც წარმოდგენილია ზებუნებრივი ძალებისათვის მოსავლის, საქონელ-ფრინველის ნამატის და სხვ. მეტაფორული გაზიარების სახით. მსხვერპლშეწირვისათვის დამახასიათებელია რიტუალური ჩანაცვლება. ზოგ შემთხვევაში ადამიანი რიტუალურმა თოჯინამ ჩაანაცვლა. აჭარაში ასეთი ჩანაცვლების გამოხატულებაა ლაზარობის რიტუალური თოჯინა.

მსხვერპლშეწირვის ასეთი ტრანსფორმაციის - რიტუალური ჩანაცვლების გამოხატულებაა აჭარაში გავრცელებული “საღმთოს”

გადების ჩვეულება. ეს რიტუალი ტარდებოდა ოჯახში ხშირი ავად-მყოფობისა და სიკვდილიანობის შემთხვევაში. ასეთ დროს აჭარაში თვლიდნენ, რომ ოჯახი რაღაც ცოდვის გამო იყო დაწყვევლილი, “გადაცემული” და ისჯებოდა. ოჯახი სიკვდილიანობისაგან რომ დაეცვათ, იყიდდნენ ცხვარს ან თხას, მოიყვანდნენ ხოჯას (გურიის მოსაზღვრე სოფლებში მდვდელსაც), ცხვარს დაკლავდნენ, ხორცს მოწვეულ სტუმრებსა და ხოჯას (ან მდვდელს), აგრეთვე ოჯახის რძალს აჭმევდნენ, ხოლო ძვლებსა და მორჩენილ ნაწილებს შეახვევდნენ მიტკალში და მიწაში ჩაფლავდნენ (ნოლაიდელი, 1971:51). ეს არის ძღვენ-შესაწირავის განსაკუთრებული ფორმა – ნაცვალება. ამ შემთხვევაში შესაწირავი გაიცემა იმ ადამიანის სიკვდილის ან ავადმყოფობის წილ, რომელიც სწირავს მსხვერპლს ან რომლის სახელზეც ხორციელდება მსხვერპლ შეწირვა. ე.ი მსხვერპლის გადება ხდება ვიღაცის სიცოცხლის სანაცვლოდ, მისი შემწირველის დასაცავად. ახალ აღოქმაშიც იქსო ქრისტეს სიკვდილი გაგებულია, როგორც მსხვერპლი, რომელიც დმერთმა ცოდვილთა სსნისათვის გაიღო (ბიბლიის ენციკლოპედია, 1998:127).

შესაწირავის ასეთი ტრანსფორმაცია – რეალური მსხვერპლის ნაცვლად მარცვლეულის, სხვადასხვა ხილის, ნამცხვრების, შინაური ფრინველებისა და ცხოველების ნარჩენების მიწისათვის მიბარება – ცნობილია როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ასევე მსოფლიოს სხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებში. “საღმრთოს” ნარჩენების მიწაში ჩაფლდა ადამიანის ნაცვლად მსხვერპლის ჩანაცვლება-გადება უნდა იყოს. ალბათ ამიტომაც ეკრძალება ამ საღმთოდ გაღებული მსხვერპლის ჭამა ოჯახის წევრებს. ხოლო, რაც შეეხება სამსხვერპლო პირუტყვად ცხვრისა და თხის გამოყენებას, ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ქართულ ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში ცხვარი, როგორც სამსხვერპლო ცხოველი, უმთავრეს შესაწირავად, უპირველეს საკლავადაა მიწნეული როგორც მიცვალებულისათვის, ისე აგრარული დვთაებებისათვისაც. ისინი მიწნეული არიან მიწის კულტის თანაზიარ ზოომორფულ არსებებად და ხშირად მონაწილეობენ მიწის კულტმსახურების რიტუალებში (ბრეგაძე, 1991:60).

ძღვენ-შესაწირავის ტრანსფორმირების კიდევ უფრო შორს წასული ფორმაა შესაწირავად სურსათ-სანოვაგის გამოყენება. მთელ რიგ რიტუალებში საკულტო დანიშნულებით სხვადასხვა სახის საკვები გამოიყენება. საქართველოს სხვა კუთხეში საკრალური მნიშვნელობა, ძირითადად, რიტუალურ კერძებს (ხმიადი, ქადა) ენიჭებოდა. მათი მსხვერპლად გადება ხორციელდებოდა ქადის ან ხმიადის ხარის რქაზე გადატეხვით და მისთვის შეწირვით, ხატში რიტუალური ქადების გამოცხობით და ხატისთვის მათი შეწირვით, ვენახსა და მამულში საწეო პურების მიწაში ჩაფლით (მაჩაბელი, 1981:162). აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შესაწირავად პურეულის გამოყენება იშვიათია და შემორჩენილია მხოლოდ ისეთ საინტერესო რიტუალში,

როგორიცაა “ვენახის დალოცვა”. იგი იმართებოდა ყურძნის დამწიფების დროს. ამ დროს აქ აცხობდნენ სპეციალურ კვერებს. სამი ასეთი კვერი მიჰქონდათ ვენახში, იქ მიწაში ჩაფლავდნენ და დაილოცებოდნენ: “ღმერთო, ყურძნის ბევრი მოსავალი მოგვეცი, ღვინო კარგი და მაგარი!”, გადაიწერდნენ პირჯვარს და დალოცვას სამჯერ გაიმეორებდნენ (რსუ-ს ფონდი, 2001:26). “ვენახის დალოცვა” ის იშვიათი რიტუალია, რომლის დროსაც აჭარაში შესაწირავად პურეულს იყენებენ. აჭარაში, როგორც წესი, ასეთი რიტუალური დატვირთვა ფაფებს აქვს მინიჭებული. აქ ხვინა-თესვასა და საზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებულ რიტუალებში შესაწირვად ძირითად ფაფებს იყენებდნენ (მენოუშაშვილი, 1937:147). საერთოდ, პურეულის სახით შესაწირავის გაღება უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, ვიდრე ფაფის ან მარცვლისა. პურის სარიტუალო მნიშვნელობა უფრო მოგვიანებით, ქრისტიანობის ზეგავლენით უნდა წამოწეულიყო წინ, რადგან ბიბლიის თანახმად, პური არის ქრისტეს სხეული, რომლითაც მან დააპურა თავისი მოწაფები. საიდუმლო სერობისას, რომელიც მოწაფებთან ერთად უფლის უკანასკნელი ტრაპეზი იყო, იქსომ აიდო პური, აკურთხა, დაამტვრია, მისცა მათ და თქვა: “აიდეთ და ჭამეთ – ეს ჩემი სხეულია!” (მათე, 26:26-29; მარკოზი, 14:22-25; ლუკა, 22:8-20) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1991:59, 101, 166). სავარაუდოა, რომ რიტუალებში საკულტო დანიშნულებით პურეულის გამოყენებამ მოგვიანებით გამოდევნა ფაფეული და მარცვლეული. აჭარაში კი შესაწირავის სწორედ ეს, უფრო ადრინდელი ფორმაა შემონახული.

აჭარაში ძღვენ-შესაწირავები წარმოდგენილია, აგრეთვე, კარდაკარ რიტუალური ჩამოვლის დროს შეკრებილი ძღვენის სახით. სანოვაგის შეგროვება დამახასიათებელი იყო კარდაკარ რიტუალური ჩამოვლის სახით შემონახული წეს-ჩვეულებებისათვის: (ჭონა, ალილო, ლაზარე, ბერიკაობა-ყევნობა და სხვ.). ამ დროს აგროვებდნენ სანოვაგეს, უფრო მეტად ფქვილს, ქადას, კვერცხს, ყველს, ერბოს, კარაქს. ამ სანოვაგით ეწყობოდა საერთო ტრაპეზი. ეს სანოვაგ რიტუალური იყო და მაგიური დანიშნულებით გამოიყენებოდა. იგი ემსახურებოდა ნაყოფიერებისა და ხვავბარაქის უზრუნველყოფას. ამიტომაც იყო, რომ ყველა ოჯახი განსაკუთრებულად ცდილობდა კარდაკარ ჩამოვლის მონაწილეთათვის კარგი ძღვენი მიეცათ და ამით მოეგოთ კარდაკარ მოსიარულეთა გული, რადგან ისინი მოიაზრებოდნენ, როგორც მაგიური ძალის მფლობელნი, ზებუნებრივი ძალების მიწიერი განმასახიერებელნი, რომლებსაც ძღვენის სანაცვლოდ ოჯახისათვის კეთილდღეობა უნდა ებოძებინათ.

ძღვენ-შესაწირავების მომზადების წესი გვხვდება შუამთობის ტრადიციაშიც, რომელიც მჭიდრო კავშირს ავლენს ნაყოფიერების კულტთან. აქ მემხლიანებს ანუ მემხლიანობაზე მიმავალ ქალებს მიჰქონდათ ძღვენი – სპეციალური ნამცხვრები, შემზადებული ქათამი და ქადა, რომელიც ქრისგან მზადდებოდა. მენხლიანთა მოლოდინში

იაილებში მყოფი მემთევრებიც ამზადებდნენ ხავიწს, იაღლი (ერბოინი) მჭადს, ნაღებს (ყაიმაღს) და სხვ. მაგრამ მთავარი მნიშვნელობა მაინც მემხლიანების მიერ ჩატანილ ძღვენს ენიჭებოდა (თანდილავა, 1980:21). დღეს მივიწყებულია ამ ძღვენის დანიშნულება, ან ის, თუ ვისთვის იყო იგი განკუთვნილი, მაგრამ მისი წაღება მემხლიანობაზე მიმავალი ქალებისათვის აუცილებლად ითვლება. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს გარკვეული სახის შესაწირი, რომელიც განკუთვნილი იყო ოჯახის კეთილდღეობის, მოსავლის სიუხვისა და ბარაქის დაბევებისათვის. ლვთაებისათვის განკუთვნილი შესაწირავი ეწ. ძღვენის სახით გვხვდება შუამთობის დღესასწაულის იმ რიტუალშიც, რომელსაც “აქლემის შეკაზმვა” ეწოდება. რიტუალის დროს ხდებოდა ხისგან გამოთლილი “აქლემის” კარდაკარ ჩამოტარება. ოჯახის პატრონ მემთევარს აქლემისათვის უნდა გამოეტანა ძღვენი – ლავაში პური, ყველი ან სხვა საკვები. ასე ეზო-ეზო და კარდაკარ ჩამოვლით მოაგროვებდნენ ძღვენს, რომელსაც ბოლოს ერთად შეექცეოდნენ. შუამთობის ადრინდელი ფუნქციები ნაყოფიერების მფარველის მიმართ სიმპათიით, სამეურნეო დოკუმენტის სიუხვისა და შვილიერება-გამრავლების საერთო იდეით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ძღვენ-შესაწირავიც ამ ლვთაების გულისმოგების მიზნით გაიცემოდა. მაშასადამე, შუამთობის, ბერიკაობა-ყევნობის, ლაზარობისა და აქლემის შეკაზმვის დროს ოჯახების მიერ გაცემული სხვადასხვა პროდუქტი სხვა არაფერია, თუ არა რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შესაწირავი, რომელიც განკუთვნილი იყო ნაყოფიერების ლვთაების მოსამადლიერებლად და ოჯახის ხვავისა და ბარაქის უზრუნველსაყოფად. ამ პროდუქტებით გამართული საერთო ტრაპეზიც მსხვერპლშეწირვის გარკვეული ტრანსფორმირებული ფორმა, მხსევრპლის სახესხვაობა უნდა იყოს. რიტუალური პურობის გამართვის ჩვეულება საყოველთაოდაა გავრცელებული და ეთნოგრაფიული ყოფის მრავალ მომენტს უკავშირდება. ტრაპეზი მიჩნეულია ურთიერთობის დამყარების გარკვეულ საშუალებად, როგორც ცოცხლებსა და გარდაცვლილი ახლობლების სულებს შორის, ისე ადამიანებსა და ზებუნებრივ ძალებს შორისაც. რიტუალური ტრაპეზის გამართვის ჩვეულება პქონდათ შუმერებს, ანატოლიელებს, აქადიელებს, მესოპოტამიელებს, ძველ ძერმნებს, რომაულებს, აზიის ხალხებს (Антонова, 1990:228; Дьяконов, 1959:76-77, 138). არსებობს მოსაზრება, რომ ტრაპეზი არის ლვთისმსახურების პირველი საფეხური, მსხვერპლშეწირვის წინამორბედი, რომელიც მსხვერპლშეწირვის სახით ჩამოყალიბდა რელიგიური კულტების ჩამოყალიბების შემდგომ (Студенецкая, 1974:163). სხვა მოსაზრებით კი, მსხვერპლშეწირვა სათავეს იდებს ჯერ კიდევ ანიმიზმის პერიოდიდან და თავდაპირველად გამოიხატებოდა რეალური მსხვერპლის – ადამიანის შეწირვით, რასაც ისიც ადასტურებს, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომებში მსხვერპლად ადამიანის შეწირვის ჩვეულება საქმაოდ გვიან პერიოდამდე იყო დაცული. შემდგომ ტრანსფორმაციის შედეგად ადამიანის შეწირვის

წესი პირუტყვის შეწირვას შეუცვლია, უფრო მოგვიანებით კი სიმბოლურ საგნებს და მსხვერპლშეწირვასაც სიმბოლური სახე მიუღია (კოსვენი, 1971:179; თეილო, 1939:496-497). პროცესის ამ თანმიმდევრობით განვითარებას ადასტურებს აჭარაში აგრარულ წეს-ჩვეულებებში მსხვერპლ-შესაწირავების ადგილი და როლი და საკვების რიტუალური დანიშნულებით გამოყენების წესი, აგრეთვე, არსებული არქეოლოგიური მასალა და მითოლოგიური სიუჟეტები. თავდაპირებელად ზებუნებრივი ძალების გულისმოგების მიზნით გაცემული უნდა ყოვილიყო რეალური მსხვერპლი – ე.წ. სისხლიანი შესაწირი – პირუტყვი ან ფრინველი (უფრო ადრე შესაძლოა, ადამიანიც (ჯავახი-შვილი, 1960:52)). განვითარების შემდგომ საფეხურზე მსხვერპლშეწირვა უნდა შეეცვალა დვთაებებისათვის მსხვერპლის მეტაფორულ გაზიარებას – ე.წ. “უსისხლო მსხვერპლს” ძღვენ-შესაწირავების სახით, ხოლო ბოლო ეტაპზე სიმბოლურ მსხვერპლს – რიტუალურ ტრაპეზსა და მის გამარტივებულ ფორმას რიტუალური კერძების სახით. აჭარაში დაფიქსირებული ძღვენ-შესაწირავები წეს-ჩვეულებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინებიან. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, მათ აქაც მინიჭებული აქვთ საკრალური მნიშვნელობა. ძღვენ-შესაწირავები ადამიანისათვის საკრალურთან შეხების, საკრალურთან ურთიერთობის დამყარების საშუალება იყო და ზებუნებრივი ძალების კეთილგანწყობის მოპოვების, ნაყოფიერების, ბარაქიანობისა და სიუხვის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენებოდა.

ძღვენის შეწირვის ადგილები მიუთითებს სამყაროს დერძზე იმ ღვთაების ადგილსამყოფელზე, ვისთვისაც განკუთვნილია ეს შესაწირავი. მაგალითად, აგრარული ღვთაებებისათვის განკუთვნილ ძღვენს, ჩვეულებრივ მიწაში ფლავდნენ (“საღმრთო”, “ყანულის გაღება”, ახალი სახლის მშენებლობა და სხვ). წყლის სტიქისათვის განკუთვნილი მსხვერპლშეწირვა წყალსაცავებთან ხდებოდა (“ოთხ-მოციათასი ქვის კენჭის შელოცვა”, ლაზარობა), ციურ ძალებს მთიან ადგილებში სწირავდნენ მსხვერპლს (პაჯეონამაზის სერზე ლოცვა-ვედრება, შუამთობა). ძღვენ-შესაწირავების ასეთი სივრცობრივი განაწილება სამყაროს არქაული კლასიფიკაციის პრინციპებს ეფუძნება და ასახავს ამ სამიარუსიანი მოდელის (ქავესქელი-სკნელი-ზესკნელი) სტრუქტურას. ამდენად, ძღვენ შესაწირავები, გარდა მაგიური დანიშნულებისა ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებსაც ასახავს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი ადთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1991.
2. ბიბლიის ენციკლოპედია, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა, თბ., 1998.
3. ნ.ბრეგაძე, ზღაპარი და ოწმენა-წარმოდგენები, აია, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1991, გვ. 57-68.
4. ზ.თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი, 1980.
5. მ.კოსვენი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვენები, თბ., 1971.
6. ნ.მაჩაბელი, მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კერები, მსე, XXI, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბ., 1981, გვ. 153-163.
7. სტ.მენუშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმეს მოამბე, ტ. II, ნაწ.I, საქმეცნ.აკად. გამომცემლობა, თბ., 1937, გვ. 139-178.
8. ჯ.მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეცნეო ნაგებობანი აჭარაში, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1982.
9. ნ.ნოდაიდელი, სამუშაოებლო ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბ., 1986, გვ.65-80.
10. ჯ.ნოდაიდელი, ნარკვენები და ჩანაწერები, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1971.
11. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფონდი, 2001, საქმე №1.
12. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.I, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1960.
13. Антонова Е.В., Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М., изд-во «Наука», 1990 г.
14. Дьяконов И.М. Общественный строй древнего Двуречья Шумер, М., 1959.
15. Зеленин Д. К. Избранные труды. Статьи по духовной культуре 1934—1954. М., 2004, с. 145—175
16. Кассирер Э. Философия символических форм. В 3-х тт. Т. 2. М.; СПб., 2002, с. 230—242
17. Студенецкая Е.П., Пища и связанные с ней обряды и обычай, как показатель национального своеобразия и межнациональных связей. АЭС, вып.1, Нальчик, 1974.
18. Тейлор Э., Первобытная культура, М., 1939

**Tamila Lomtadze**

**Sacral Elements in the Ethnographic Life of Adjara  
(Gifts and Sacrifices)**

**Summary**

Sacrifices and gifts were an integral part of customs and rituals in Adjara. Gifts and sacrifices in a transformed form are present in almost all rituals. They are addressed to the elements, good or evil spirits, to different faiths and deities.

In the ethnographic life Adjara as victims appeared crops (seasonal rites in the funeral rites), porridge and stew of cultural cereals and legumes (korkoti, Ashura), dairy products, eggs (during planting and harvest), flour products (in the rites of the life cycle), utensils, copper items (in the construction of different building), sweets (in wedding and funeral rites, in the "Menhlianoba") and other significant dolly among the gifts and sacrifices occupied by domestic and wild birds and animals (in rainmaking ceremonies, the rituals of cattle, in the rituals of hunting and fishing).

Gifts and sacrifices are an essential component of rites and customs, the beliefs they are endowed with sacred power, and intended for obtaining the favor of supernatural forces.

**Тамила Ломтадзе**

**Сакральные элементы в этнографическом быту Аджарии  
(Дары и жертвы)**

**Резюме**

Жертвоприношения и дарения были органической частью обычаев и обрядов в Аджарии. Дары и жертвы в трансформированном виде присутствуют почти во всех ритуалах. Они обращены к стихиям, добрым или злым духам, к разным культурам и божествам.

В этнографическом быту Аджарии в качестве жертв фигурировали зерновые культуры (в сезонных обрядах, в погребальной обрядности), каши и варево из культурных злаков и бобовых (коркоти, ашура), молочные продукты, куриные яйца (во время посева и жатвы), изделия из муки (в обрядах жизненного цикла), домашняя утварь, медные предметы (при сооружении разных зданий), сладости (в свадебных и поминальных обрядах, в «Менхлианоба») и др. Значительную долю среди даров и жертв занимали домашние и дикие птицы и животные (в обрядах вызывания дождя, в скотоводческой обрядности, в ритуалах охотников и рыболовов).

Дары и жертвы являются важным компонентом обрядов и обычаев, в верованиях они наделены сакральной силой и предназначались для добывания благосклонности сверхъестественных сил.

## მაღლებრივი სიორიძე

### სასაქონლო ფარმოგაის განვითარება გათუმადის ოლქის სოფლის მეურნეობაში **XIX ს. დამლევსა და XX ს. დასაწყისში**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ძირითადად მაღლმთიანია. ამასთან მისი რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კლიმატით და ნიადაგით. ამიტომ აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავიდანვე დარგობრივი სახით ჩამოყალიბდა: აჭარაში ტრადიციულად მოჰყავდათ სიმინდი, ნაწილობრივ ხორბალი და ქერი. ზღვისპირეთში მოჰყავდათ ბრინჯიც. ხოლო ართვინის მხარეში და არტანუჯ-არტანში ძირითადად ხორბალი, მისდევდნენ აგრეთვე მეცხოველეობას.

მთაგორიანი რელიეფის გამო უხემოსავლიანი სახნავ-სათესი მიწები აქ მცირე იყო, რის გამოც მოწეული მოსავალი ვერ უზრუნველყოფდა მის მზარდ მოსახლეობას. მაგალითად, 1882 წელს ბათუმის ოლქის მოსახლეობა ითვლიდა 95.455 სულს, 1886 წ.-113.801 სულს, 1891წ.-123. 801, 1905 წ.-154.459, 1910 წ. -160.230 სულს. მათგან, ართვინის ოკრუგის მოსახლეობა შესაბამისად შეადგენდა 45.505 სულს; 52.434-ს, 62.434.60.158, 63.379 სულს (ცნობები მოტანილია შესაბამისი წლების „კავკასიის კალენდრის“ სტატისტიკური განყოფილებიდან).

ტრადიციულ დარგებთან ერთად, XIX ს. 80-90-იანი წლებიდან ბათუმის ოლქის სოფლის მეურნეობაც ფულად-სასაქონლო წარმოებისათვის, ანუ უშუალოდ ბაზრის მოთხოვნილებაზე ორიენტირებული საჭირო სკეციალიზაციით წარიმართა: ზღვისპირეთში წამყვანი გახდა სუბტროპიკული კულტურები (ჩაი, ციტრუსები); ართვინის მხარეში-ზეთისხილი და ვენახი; არტანუჯში, ქვემო აჭარასა და გონიოს უნის ნაწილში თამბაქოს წარმოება; ზემო აჭარაში, შავშეთიმერხევსა და არტანუჯის მთიან ნაწილში კი-მეცხოველეობა.

წინამდებარე ნაშრომში, ამჯერად, შევჩერდებით სამი ყველაზე უფრო დაწინაურებული დარგის: თამბაქოს, ჩაის და ზეთისხილის წარმოებაზე. ამ სასაქონლო დარგების განვითარებამ შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიაში, აგროტექნიკასა და შრომის ორგანიზაციაში. დაიწყო ჩაის, თამბაქოს, ზეთისხილი და ზოგიერთი სხვა ნედლეულის ფაბრიკული წესით გადამუშავება, შეფუთვა, დახარისხება, დაკონსერვება. იქმნება დაქირავებულ შრომაზე დამყარებული ფერმერული მეურნეობები. გამოჩნდა მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები,

მინერალური სასუქები, ეპროპული და ამერიკული წარმოების ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, იქმნება სანერგე მეურნეობები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ სიახლეთა ორგანიზაციონურები ძირითადად იყვნენ უცხოელი მოახალშენები [ო.თურმანიძე, 2008:133].

XIX საუკუნის დამლევს უკვე გამოკვეთილად ჩანდა, რომ ჩაის, თამბაქოს და ზეთისხილის დარგები სასაქონლო წარმოების მიმართულებით ვითარდებოდნენ. პირველი მოსაფლიო ომის წინა პერიოდში განსაკუთრებით გაფართოვდა **თამბაქოს წარმოება**. 1909–1912 წლებში ბათუმის ოლქში თამბაქოს პლანტაციები გაშენებული იყო 500-ზე მეტ დესეტიზაზე, რომლის საშუალო წლიური მოსაფლიანობა 38 ათას ფუთს აჭარბებდა. 1913 და 1914 წლები თამბაქოს პლანტაციების გაძლიერებული ზრდით აღინიშნა და შესაბამისად შეადგინა 652 და 1.014 დესეტიზა. საგრძნობლად იმატა მოსავალშიც: 1913 წ. მან გადააჭარბა 53 ათას ფუთს, ხოლო 1914 წ. 68,5 ათას ფუთს. აღსანიშნავია, რომ სოხუმის ოკრუგის შემდეგ აჭარა-ართვინი გახდა საქართველოს ყველაზე მსხვილი და ხარისხიანი თამბაქოს მაწარმოებელი რეგიონი. აქ ყველაზე უფრო გავრცელებული იყო თამბაქოს საუკეთესო ტრაპიზონისა და სამსუნის ჯიშები.

აღსანიშნავია, ისიც, რომ საქართველოს სხვა თამბაქოს მწარმოებელ მხარეებთან (აფხაზეთი, გურია, კახეთი) შედარებით ბათუმის ოლქში თამბაქოს მოსავლიანობა ყველაზე მაღალი იყო და 1 დესეტიზაზე საშუალოდ 70–82 ფუთს უდრიდა [აჭარის სტატისტიკური კრებული, 1924:196–197].

1879–1913 წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თამბაქოს ფართობი გაიზარდა 19-ჯერ ხოლო მოსავალი 41-ჯერ. თამბაქოს ნედლეულის შესყიდვის და წარმოების ძირითადი ცენტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბათუმი იყო. 1914 წელს აქ თამბაქოს 6 საბითუმო საწყობი ფუნქციონირებდა [«K.K.» ჩა 1916:80]. მათი მეპატრონები იყვნენ: ბინიატ-ოდლი, კანდილი, დანილოვი, პოდოლეცი, მდოიანცი, გოკიელოვი, თბილისის კომერციული ბანკი.

თამბაქოს რაიონებში იყო აგრეთვე თამბაქოს ნედლეულის დამაზადებელი ათეულობით პუნქტი. ართვინის ოკრუგში ისინი თითქმის მთლიანად სომეხი ვაჭარ-საქმოსნების (ძმებ ახანიანების, ბატავიანის, აფანიანის, მადოიანის, კურჩიანის და სხვ) ხელი იყო მოქცეული. არტანუჯში (ართვინის ოკრუგი) საიჯარო მიწებზე შეიქმნა მეთამბაქოების ფერმერული მეურნეობები. პირველი მსოფლიო ომის წინ მათი რიცხვი 15-მდე აღწევდა. ისინიც ეროვნებით სომეხ მოიჯარადებს (ძმებ ახანიანებს, კიურჩიანს, მდოიანცს, მადოიანს და სხვ) ეპუთვნოდნენ. თამბაქოს უმეტესი რაოდენობა 4 ათასამდე წელი გალებურ მეურნეობაში მოჰყავდათ.

მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს მოიხმარდა ბათუმში არსებული თამბაქოს ორი ფაბრიკა (ისინი ეკუთვნიდნენ ეროვნებით ბერძენ მეწარმეებს ბინიატ-ოდლის და კანდილის). 1909–1912 წლებში მათ წლიურად საშუალოდ გადამუშავეს 23 ათასამდე ფუთი, 1913 წელს –

25,1 ათასი ფუთი, 1914 წელს კი მხოლოდ 18,5 ათასი ფუთი [საქართველოს სტატ. კრებ., 1923:51]. აღსანიშნავია, რომ 1914 წელს კავკასიის სამეფისნაცვლოში არსებულ 11 თამბაქოს ფაბრიკაში დამზადდა სულ 110,4 ათასი ფუთი მაღალხარისხოვანი ნაწარმი. მათგან ბათუმის 2 ფაბრიკის წილი იყო ზემოაღნიშნული 18,5 ათასი ფუთი, ანუ მთელი დამზადებული პროდუქციის 1/6 ნაწილი [«К.К.» ჩა 1916:80].

სამხერეთ-დასავლეთ საქართველოში მოწეული თამბაქოს ის ნაწილი, რასაც ადგილზე არ მოიხმარდნენ იმპერიის სხვადასხვა მხარეში გაჰქონდათ, ხოლო საუკეთესო ხარისხისა საზღვარგარეთ. ამ გზით 1913 წ.-ბათუმიდან გავიდა 28 ათასი ფუთი, ხოლო 1914 წ.- 50 ათასი ფუთი თამბაქო.

თამბაქოს წარმოება გარკვეულ შემოსავალს აძლევდა არა მარტო რეგიონის მოსახლეობას და ვაჭარ-მრეწველებს, არამედ სახელმწიფო ხაზინის შევსების ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ წყაროდ იქცა. მაგალითად, 1914 წელს ბათუმის ოლქში სააქციზო შემოსავალმა სულ 3 მილიონი რუბლი შეადგინა. აქედან 713 ათას რუბლამდე თამბაქოსა და მის ნაწარმზე მოდიოდა [«К.К.» ჩა 1916:84].

სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი სუბტროპიკული კლიმატის წყალობით, მე-20 საუკუნის დასაწყისში მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით ჩაის წარმოების უმოავრეს კერად გადაიქცა.

საქართველოს ზღვისპირეთში ჩაის კულტურის გავრცელების ინიციატორი იყო კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი, მისი თაოსნობით 1848 წ. ჩინეთიდან პეტერბურგის საიმპერიო ბაღისათვის გამოწერილი ჩაის ბუქები გადმოაგზავნეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთის აკლიმატიზაციურ ნაკვეთში. აქედან მათი ნაწილი მოხვდა ზუგდიდში, დადიანების ბაღში და ჩოხატაურში თავად მ.ერისთავის მამულში. ამ უკანასკნელში 60-იან წლებში ყოფილა ჩაის დამზადების ცდებიც, მაგრამ შემდეგ ნარგავების უმეტესი ნაწილი გავერანებულა [Тимофеев, 1917:3-4]. მეფისნაცვალ ვორონცოვის მცდელობა მართალია, იმჯერად უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ დამტკიცდა, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩაის კულტურისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები იყო.

ჩაის კულტურისათვის პირველხარისხოვანი გამოდგა ახალშემოქრთებული აჭარის ზღვისპირეთი, რაც დაადასტურა პოლკოვნიკ ალ. სოლოვცოვის მიერ 1884 წელს ჩაქეში გაშენებულმა პლანტაციამ. კარგი გამოდგა აქ დამზადებული ჩაის პროდუქტიც. ამან სხვებსაც გაუდგინა ინტერესი და XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან აქ ჩაის გაშენებას ხელი მოჰკიდეს: ჩაქეში, სალიბაურისა და კაპრეშუმში-ცნობილმა მოსკოველმა ჩაით მოვაჭრე კ.პოპოვმა (1892 წლიდან), ჩაქეში-საუკლისწულო უწყებამ (1895 წლიდან), სოფ. ყარადერეში (ამჟ. სოფ. განთიადი) – ცოლ-ქმარმა სინიცინებმა (1898 წლიდან), ბათუმის შემოგარენ ბარცხანაში-ზეერეგმა (1899 წლიდან), სოფ. ფერიასა და სოუქ-სუში-აგრონომმა ი.დიადიუშამ (1901 წლიდან) და

სხვ. მათი ფართობები და მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდებოდა. ექვსივე ზემოაღნიშნულ მეურნეობას თავისი ფაბრიკა ან ჩაის საწნევი ჰქონდა, რომლებშიც ნედლეულს ადგილზე ამუშავებდნენ და მზა პროდუქციას იღებდნენ. ხარისხით ქართული ჩაი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ჩინურს. 1907 წლის მოსავლის ქიმიურმა ანალიზმა, რომელიც პეტროგრადის ფარმაცევტული საზოგადოების ლაბორატორიაში ჩატარდა, აჩვენა, რომ ჩაქვის ჩაი ნაკლებ ტანინს შეიცავდა და უფრო მდიდარი იყო ტეინით, ვიდრე ჩინური.

1 დესეტინა სრულმოსავლიან ფართობს შეეძლო მოეცა 3–3,4 ათასი ფუნტი მწვანე ჩაი. წმინდა მოგება ერთ დესეტინაზე 170–200 რუბლი, ხოლო თავისი ჩაის ფაბრიკის მქონე მეურნეობის მოგება 1 დესეტინა ფართობზე ადიოდა 350–400 რუბლამდეც კი [Тимофеев, 1917:14-17].

ზემოაღნიშნული მსხვილი მეურნეობების გვერდით 1900-იანი წლებიდან – პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდში აჭარის ზღვისპირეთში გაშენდა ჩაის 160-ზე მეტი საშუალო და მცირე პლანტაცია, რომელთა საერთო ფართობმა 1914 წლისათვის 205 დესეტინას მიაღწია [Тимофеев, 1917:6]. ჩაის მეწარმე ფერმერთა შორს იყვნენ ქაკროველი მეურნეებიც: ჭელიძე, კობლატაძე, მელია, საბაშვილი, გუგუშვილი და მახარაძე [ж.»Батумский сельский»... №7, 1909:212].

ჩაის კულტურის განვითარება აჭარის ზღვისპირეთში ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში გვაძლევს შემდეგ სურათს [მ.სიორიძე, 2002:49].

| წლები | პლანტაციების<br>და მათ<br>მეპარონეთა<br>რაოდენობა | ჩაის<br>პლანტაციების<br>ფართობი<br>(დესეტინებში) | მწვანე ჩაის<br>მოსავალი<br>(გირვანქებში)* | ჩაის მზა<br>პროდუქცია<br>(გირვანქებში) |
|-------|---|--|---|--|
| 1910  | 104   | 624,8  | 961.121                                   | 239.317                                |
| 1911  | 112   | 644,5  | 882.885                                   | 210.748                                |
| 1912  | 112   | 711  | 1.106.598                                 | 268.540                                |
| 1913  | 146   | 788,7  | 1.332.866                                 | 313.934                                |
| 1914  | 167   | 808,3  | 1.357.817                                 | 328.328                                |
|       |   |  | <b>სულ:</b><br><b>5.641.287</b>           | <b>სულ:</b> <b>1360.867</b>            |

პლანტაციების ფართობით, მიღებული ნედლეულითა და ჩაის ნაწარმის მოცულობით უმსხვილესი მეურნეობა იყო ჩაქვის საუფლისწულო მამული, სადაც ჩაი 500 დესეტინაზე იყო გაშენებული, აქედან 300–მდე დესეტინა იყო სრულმოსავლიანი. 1910–1914 წლებში აქ სულ მოიწიეს 4,5 მილიონამდე გირვანქა ჩაის ფოთოლი, რისგანაც 1 მლნ. გირვანქაზე მეტი სასაქონლო ჩაის დამზადეს [აჭარის სტატისტ. კრებ. 1924:195]. ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის პლანტაციებში 1914

წელს 900 მუშა აღირიცხა, რომელთა 80% ქალები და მოზარდები იყვნენ [«К.К.» на 1916:89].

ჩაის მსხვილი მეურნეობა პქონდა კ.პოპოვსაც, რომელმაც 105 დესეტინა ფართობზე 1910–1914 წლებში 650 ათასი გირვანქა მწვანე ჩაის მოსავალი მიიღო [«К.К.» на 1916:89]. 1914 წ. პოპოვის ჩაის პლანტაციებში 200-მდე დაქირავებული მუშაობდა [Журн. „Русские субтропики“ №1, 1916:42].

ჩაის მეურნეობებში დაქირავებულთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. შორმის პირობები იყო მძიმე. სამუშაო განთიადიდან შეღამებამდე გრძელდებოდა. სეზონურ მუშათა დღიური ანაზღაურებდა იყო: მამაკაცებისათვის 60–70 კაპ., ქალებისათვის – 40-50 კაპ., ხოლო ბავშვებს – 20-30 კაპიკს უხდიდნენ. მძიმე იყო მუშათა საბინაო პირობებიც. ყაზარმული ტიპის საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში 20–30 ადამიანი ათევდა დამეს. მაშინდელი გაზეთების მოწმობითი ყაზარმებში ანტისანიტარული პირობების გამო ხშირი იყო დაავადებები.

საუფლისწულო მაჟულსა და პოპოვის მეურნეობაში პლანტაციების გაშენებას ხელმძღვანელობდნენ ჩინეთიდან და იაპონიიდან მოწვეული სპეციალისტები. მათ შორის იყო ლაო ჯონ–ჯაუ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საერთოდ აჭარაში ჩაის მეურნეობის განვითარებაში [Друг издалека, 1958].

ბათუმური ჩაის ნაწარმი ძირითადად იყიდებოდა რუსეთის იმპერიის მსხვილ ქალაქებში. ამიტომაც პირველ მსოფლიო ომამდე ჭარბობდა მაღალი ხარისხის ჩაის პროდუქცია (80–90%). ომის დაწყების შემდეგ კი ქართული ჩაი არმიისათვის დაჯავშნეს, რის გამოც ხარისხს კურადღება აღარ ექცეოდა. მთავარი გახდა რაოდენობრივი მხარე და ძირითადი აქცენტი III, IV ხარისხის ჩაისა და ეწ. „ნამცეცა“, ანუ „სოლდატსკი ჩაის“ წარმოებაზე გადაიტანეს [საქართველოს სტატის. კრებ., 1923:52].

ჩაის და სხვა სასაქონლო კულტურების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას“, იგი დაარსდა 1908 წლის ივნისში. საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორ ბ.რომანოვსკი, რომელიც მას ხელმძღვანელობდა 1917 წლამდე. საზღას პქონდა თავისი კოველთვიური ჟურნალი „ბატუმსკი სელსკი ხოზაინ“, რომელსაც შემდეგ სახელი შეუცვალეს და „რუსსკი სუბტროპიკი“ უწოდეს.

„საზოგადოება“ მოკლე დროში გახდა ავტორიტეტული. 1915 წ. დასაწყისისათვის იგი უკვე აერთიანებდა 216 მეურნეს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტს. ქართველთაგან მის წევრად ირიცხებოდა 13 კაცი. სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს მკვიდრთაგან მის საქმიანობაში მონაწილეობდნენ რ.ნიუარამე, ფ.აბაშიძე, დ.ქიქავა, შ.ჯიჯავაძე, ჯ.ხიმშიაშვილი.

„საზოგადოებას“ პქნდა 14 სექცია, რომელთა პროგრამები ითვალისწინებდა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების მსოფლიო პრაქტიკის შესწავლას და ადგილობრივ პირობებში დანერგვას [журн. «Батумский сельский»... №5, 1909:133]. საზოგადოების მთავარი მიმართულება კი რეგიონში სუბტროპიკული კულტურების გაშენება იყო.

„ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ“ ჩაის კულტურის განვითარებისათვის უპირატესობა მიანიჭა წერილ, ინდივიდუალურ ნაკვეთებში ჩაის ნარგავების გაშენებას, რომლის მოვლა-პატრონობაში ოჯახის წევრები იქნებოდნენ ჩაბმული. მათ მიერ მოწეული ჩაის ფურცლის გადამუშავების მიზნით „საზოგადოებამ“ განიზრახა აგრეთვე ჩაის ამხანაგობების და მიკრო ფაბრიკების მოწყობა მახინჯაურში, ჩაქში და სხვა, 4–5 კილომეტრით დაშორებულ პუნქტებში. ამისათვის მიწათმოქმედების დეპარტამენტმა გამოყო დახმარება 15 ათასი რუბლის ოდენობით, მაგრამ ომის დაწყებამ შეაფერხა ეს საქმე [Тимофеев, 1917:13-14].

XX ს. დამდეგიდან კავკასიის სამეფოსნაცვლოს მიწათმოქმედების დეპარტამენტმაც მთელს დასავლეთ საქართველოში დაიწყო ზრუნვა ინდივიდუალურ საოჯახო მეურნეობებში ჩაის ნარგავების გაშენებისათვის. ამ მიზნით ოზურგეთში, ზუგდიდში, სენაკსა და სოხუმის მიდამოებში, ძირითად სკოლებთან, მოაწყო 27 ჩაის საცდელი ნაკვეთი. აქ მომუშავე ინსტრუქტორები ეხმარებოდნენ მოსახლეობას პლანტაციის ადგილის ამორჩევაში, აძლევდნენ მათ ჩაის თესლს და უწევდნენ კონსულტაციებს ჩაის მოვლა-პატრონობის თაობაზე. ოზურგეთში შეიქმნა ჩაის საშენი, საიდანაც 1908–1915 წლებში მოსახლეობას მიეცა 60 ათასზე მეტი ჩაის ბუჩქი. ნაწილი უფასოდ, ნაწილი კი ბუჩქი 1 კაპიკად. 1913 წ. მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ოზურგეთში მოაწყო აგრეთვე ჩაის სახელმწიფო ფაბრიკა – საშრობი, რომლის დანიშნულება იყო მოსახლეობისათვის ხელი შეეწყო ჩაის მოსავლის გადამუშავებასა და გასაღებაში. ამის შემდეგ ოზურგეთის მაზრის მოსახლეობაშიც დაიწყო ჩაის ნაკვეთების სწრაფი ზრდა და ომის წინ იქ უკვე 50 დესეტინის ფართობის ჩაის ახალი პლანტაცია გაჩნდა. ამ საქმის ხელშესაწყობად სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებაში გურიის მებაღეობის ამხანაგობის სახელზე გაიხსნა კრედიტი 3 ათას რუბლზე, მაგრამ საქმის წინსვლა შეაფერხა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ [Тимофеев, 1917:19-23].

მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა გაიშალა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, რომელიც 1912 წელს დაარსდა პროფ. აკრასნოვის ინიციატივით და გარდაცვალებამდე (1914 წ.) ხელმძღვანელობდა მას. 1915 წლიდან ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორად მუშაობდა ა.პალიბინი, რომელიც 1917–1920 წლებში „სოფლის მეურნეობის საზოგადოებასაც“ თავმჯდომარეობდა.

ბოტანიკური ბაღი სახელმწიფო დაწესებულება იყო და ხაზინა აფინანსებდა. 1912 წელს სახელმწიფომ ბაღის მოწყობისათვის გამოყო 50 ათასი რუბლი, 1913 წ.-25 ათასი, 1914 წ.-კი-40 ათასზე მეტი რუბლი [журн. »Русские субтропики», №7, 1912 г., с.339. №4, 1913 г., с. 47; №2, 1914 г., с. 53].

მოკლე დროში ბოტანიკურმა ბაღმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მას გაუჩნდა არაერთი გულშემატკივარი. მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარის თესლი და ნერგი გამოგზავნეს ჰიმალაიდან, სამხრეთ ევროპიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან.

მსოფლიო ომთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, ბოტანიკურ ბაღს არ გაუწევებია კავშირურთიერთობა მსოფლიოს შესაბამის დაწესებულებებთან. მან ცოცხალ მცენარეთა კოლექციები და თესლები მიიღო ლონდონის სამეფო ბაღიდან, ვაშინგტონის გამოყენებითი ბოტანიკის ბიუროდან, ჰარიზიდან, როსტოვიდან და სხვ.

სასაქონლო დონით გამოიჩინდა აგრეთვე **ზეთისხილი**, ის ძირითადად ხარობდა ართვინის უბნის რამდენიმე სოფელში (გვერდა, ლომაშენი, სვეტიბარი, სინკოთი, თოლგომი, ცრია და სხვ.). XX ს. დასაწყისში აქ აღირიცხა 15–მდე ჯიშის ზეთისხილი. მისგან მოსახლეობა ტრადიციულად ზეთს ამზადებდა და ოჯახშიც მოიხმარდა ხილის სახით. 1902 წ. ზეთისხილის საერთო ფართობი 1.000 დესეტინას შეადგენდა. 1914 წ. აქ აღირიცხა 110 ათასამდე ძირი ზეთისხილი. საშუალო წლიური მოსავალი 50–60 ათას ფუთს შეადგენდა. მათგან დაახლოებით ნახევარს ადგილზე მოიხმარდნენ, დანარჩენი ბაზარზე გაპქონდათ: ბათუმში, თბილისში, შავიზღვისპირეთის ქალაქებში, რუსეთში ერთი ფუთი ზეთისხილის საბაზრო ფასი იყო 2,5–4,5 რუბლი. საერთო ფულადი შემოსავალი 100 ათასიდან–200 ათას რუბლამდე აღწევდა [თურმანიძე, 2008–142].

სასაქონლო ზეთისხილის წარმოების გაფართოების მიზნით მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ართვინში ჯერ კიდევ 1899 წელს შექმნა სანერგე მეურნეობა. აქვე დაარსდა სპეციალური კურსები ზეთისხილის გაშენების მსურველ მეურნეთათვის კონსულტაციების გასაწევად. სოფ. ლომაშენში მოეწყო ზეთის სახდელი ქარხანაც, რომელიც საფრანგეთიდან შემოტანილი მოწყობილობებით იყო აღჭურვილი. პირველი მსოფლიო ომის წინ ქარხანა წლიურად 150–200 ფუთამდე ზეითუნის ზეთს ხდიდა [журн. »Русские субтропики», №5, 1912 :263–266].

1913 წელს პეტერბურგში მოეწყო კავკასიის შავი ზღვის სანაკიოროს სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენა „რუსესკაია რივერა“. ექსპერტთა საბჭომ, სუბტროპიკული კულტურების დარგში გაწეული მუშაობისა და მაღალი მიღწევებისათვის „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ დააჯილდოვა დიდი ოქროს მედლით, ხოლო ბოტანიკური ბაღი და ართვინის ზეთისხილის სანერგე-

პატარა ოქროს მედლებით. სოფლის მეურნეობის ბიზნეს დარგებში მიღწეული სანიმუშო წარმატებებისათვის ოქროს მედლებით დაუჯილდოებიათ აგრეთვე აჭარის ზღვისპირეთის სამი მეურნე [თურმანიძე, 2008:160].

ამრიგად, XIX ს. დამლევს და XX ს. დასაწყისში ბათუმის ოლქის სოფელი თანდათან ებმებოდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში, რაც ამ რეგიონში ხელს უწყობდა სასაქონლო წარმოების ცალკეული და შესაბამის მეურნეობათა შექმნას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული 1913–1923, ბათ., 1924.
2. საქართველოს სტატისტიკური კრებული 1909–1921, ტყ., 1923.
3. «Кавказский календарь» (ტექსტი ი. შემოკლ. «К.К.») на 1884, Тифл., 1883.
4. «Кавказский календарь» на 1894, Тифл., 1893.
5. «Кавказский календарь» на 1898, Тифл., 1897.
6. «Кавказский календарь» на 1907, Тифл., 1906.
7. «Кавказский календарь» на 1916, Тифл., 1915.
8. Журн. «Батумский сельский хозяин», 1900, №7.
9. Журн. «Батумский сельский хозяин», 1909, №5.
10. Журн. «Русские субтропики», 1912, №5.
11. Журн. «Русские субтропики», 1912, №7.
12. Журн. «Русские субтропики», 1913, №4.
13. Журн. «Русские субтропики», 1914, №2.
14. Журн. «Русские субтропики», 1916 г., №1.
15. Тимофеев С.Н., Культура чайного куста и производство чая в Западной Закавказье-Журн. «Русские субтропики», 1917 г., №1-2.
16. ო.თურმანიძე, სოფლის მეურნეობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა III, 1877–1920, ბათ., 2008.
17. მ.სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914–1918 წლებში, ბათ., 2002.
18. Друг издалека. сост. Л.Каландаришвили и Б. Пурадов, Бат., 1958  
\* “გირვანქა” რუსული „ფუნტის“ შესატყვის წონის ერთეულია და უდრის 409,5 გრამს.

**Malkhaz Sioridze**

**The Development of the Merchandise Production in the Agriculture of Batumi Region of the End of the XIX-th and the Beginning of the XX-th centuries**

**S u m m a r y**

At the end of the XIX –th century in the agriculture of Batumi region, side by side with traditional branches there appeared new so called monetary-merchandise branches.

On the basis of the statistical data in the article is shown, that in the beginning of the XX-th century in Batumi region especially enlarged the production of the tobacco, tea and olive. The development of these branches caused the serious changes in the technology of the agricultural production in the agricultural technology and in the organization of the labor. There started the manufacturing of the refinement, sorting and the canning of these products (tea, tobacco, olives).

At this time there appeared the farmer's economics where were used hired labor. In the agriculture there appeared the new European and American agricultural technique, were created the agricultural nursery (for plants).

In the article there are interpreted the activity of the “Batumi Agricultural Society” and the Batumi Botanical Garden in the development of the above mentioned agricultural merchandise branches.

**Малхаз Сиоридзе**

**Развитие товарного производства в сельском хозяйстве Батумской области в конце XIX – в начале XX веков**

**Р е з ю м е**

В конце XIX века в сельском хозяйстве Батумской области, наряду с традиционными отраслями, появились новые т.н. денежно-товарные отрасли.

На основе статистических материалов в труде показано, что в начале 20-го века в Батумской области особенно расширилось производство табака, чая и маслин.

Развитие этих отраслей вызвали серьёзные изменения в технологии сельскохозяйственного производства в агротехнике и в организации труда. Началось фабричная обработка, упаковка, сортировка и консервирование этих продуктов (чай, табак, маслины).

В это время создаются фермерские хозяйства, которые опирались на наемный труд. В сельском хозяйстве появилось новая европейская и

американская сельскохозяйственная техника, создавались сельскохозяйственные питомнические хозяйства.

В труде также освещается деятельность «Батумского сельскохозяйственного общества и Ботанического сада в развитие вышеназванных сельскохозяйственных товарных отраслей.

## ტრანსპორტის მდგრმარეობა აჭარაში საპატია ხელისუფლების პირველ ათოლეულში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში არსებობდა სარკინიგზო, საზღვაო, მილსადენი და საჭაპანო ტრანსპორტი. მათ შორის წამყვანი ადგილი ეპავა საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს. გასაბჭოების პირველ წლებში განსაკუთრებით მძიმე მდგრმარეობაში აღმოჩნდა საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. სამოქალაქო ომის წლებში (1918–1920) რუსეთმა დაკარგა თავისი საზღვაო ფლოტის 40%. ცხადია, ამ დანაკარგმა უარყოფითად იმოქმედა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტზე, მათ შორის ბათუმის ნავსადგურზე. 1921 წ. პირველ ნახევარში ნავსადგური არ მუშაობდა. მწყობრიდან იყო გამოსული ნავსადგურის ნაგებობანი, ნაპირგასამაგრებელი კედლები, ელინგი, წყალგაყვანილობა, მცურავი ერთეულები და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლებამ, მრეწველობასთან ერთად, მოახდინა ტრანსპორტის ნაციონალიზაცია. საქართველოს საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ნაციონალიზაცია განხორციელდა 1921წ. აგვისტოში. საქართველოს რევოლუციის 1921წ. 26 აგვისტოს დეკრეტით სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადდა ნავსადგურები, მათი საწარმოები, საწყობები, ელინგები, მცურავი ერთეულები, გემშემკეთებელი სახელოსნოები და სხვა. ამის შედეგად ბათუმის ნავსადგური და მისი შემადგენელი ნაწილები სახელმწიფო საკუთრება გახდა. რკინიგზის ტრანსპორტის ნაციონალიზაცია განხორციელდა 1921წ. 8 აგვისტოს დეკრეტით.

სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა ბათუმის ნავსადგური. მისი ამუშავებისა და საოპერაციო საქმიანობის გაფართოებისათვის 20–იან წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს. 1923 წ. მწყობრში ჩადგა გემთშემკეთებელი სახელოსნო, 6 გემმისაბმელი. მათ შორის 4 იყო რკინა-ბეტონის. განხორციელდა ნაპირგამაგრების სამუშაოები და სხვა.

რამდენადაც საზღვაო ტრანსპორტის ნაციონალიზაცია ახალი კონკრეტული პოლიტიკის პირობებში გატარდა, იგი არ შეეხო ამ სფეროს კოოპერაციულ საკუთრებას, თევზსაჭერ, სალოცმანო ნავებს, მცირე მოცულობის ხომალდებს, რომელთა მეპატრონეები სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწეოდნენ, აგრეთვე უცხო ქვეყნების მიერ 1921 წ. 25 თებერვლის შემდეგ შეძენილ საწარმოებს.

ბათუმის ნავსადგურის ფინანსური მდგრმარეობის გაუმჯობესებაზე უარყოფითად მოქმედებდა უცხოეთის სახელმწიფოების სააგენტოები, რომლებიც ბათუმში კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ

საქონლის შემოტანა-გატანის დარგში. 1923 წლისათვის ყველა ისინი გაუქმებული იყო. მტკიცნეულად წარიმართა ნავსადგურის სამმართველო აპარატის ჩამოყალიბება. ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის სამმართველო 1921 წ. მაისში შეიქმნა. მასში დასაქმებული იყო 138 კაცი, მაგრამ მაღლე გამოვლინდა მოხელეების საბოტაჟი, ამის გამო ჩატარდა სამმართველოს აპარატის წმენდა, რის შედეგად მისი რაოდენობა 106 კაცამდე შემცირდა (კ. ტოტოჩავა, 1975: 33-35, 42-43). გასაბჭოებისას ბათუმში მოქმედებდა „ნებაყოფლობითი” ფლოტის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის მიერ შემოწირული თანხებით. იგი აერთიანებდა დიდი ტონაჟის გებებს და ემსახურებოდა შორეულ რეისებს. „ნებაყოფლობითი” ფლოტის საზოგადოება ოპერაციებს კომერციულ საწყისებზე ასრულებდა. იგი, ძირითადად, ეწეოდა მანგანუმისა და თამბაქოს გადაზიდვას. ამ ორგანიზაციამ გააერთიანა საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებები, რის შედეგად ტვირთზიდვამ თრგანიზებული ხასიათი შეიძინა.

გასაბჭოებამდე და სახალხო მეურნეობის ადგგენით წლებში საქართველოში საზღვაო ტრანსპორტის საწარმოებს შორის პირველი ადგილი ეკავა ბათუმის ნავსადგურს. ფოთის ნავსადგური იყო მეორე, ხოლო სოხუმისა-მეოთხე კატეგორიისა. ბათუმის ნავსადგურიდან გაპტონდათ როგორც თხევადი, ისე მშრალი ტვირთი. მაგრამ ძირითადი დატვირთვა მოღიოდა ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე. იგი სატრანზიტო როლსაც ასრულებდა ამიერკავკასიის, შეა აზიის, ირანის, ავღანეთის, რუსეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნებისათვის.

ცხადია, საზღვაო ტრანსპორტის, მათ შორის ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის ომამდელი დონის ადგგენას, მის ტექნიკურ გადაიარაღებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ეკონომიკაში. მისი მნიშვნელობა იმითაც იზრდებოდა, რომ საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა გაცილებით იაფი ჯდებოდა. ნავსადგურის ადგგენითი სამუშაოები გასაბჭოებისთანავე დაიწყო. 1921 წ. 18 აგვისტოს ექსპლოატაციაში შევიდა გემთშემკეთებელი სახელოსნო. მომდევნო წლებში იგი შესამჩნევად გაფართოვდა. სახელოსნოში მოეწყო სამსხმელო, საზეინკლო-სახარატო, სამჭედლო, სადურგლო საამქროები და სხვა.

ბათუმის გემთშემკეთებელი სახელოსნოს მუშებმა და ტექნიკურმა პერსონალმა წარმატებით აითვისა მიწახაპია მანქანების წარმოების ტექნოლოგია. პირველი ასეთი მანქანა 1923 წ. ააგეს. ამასთან ერთად შეაკეთეს გემები, კატარდები და ნავმისადგომები. საგრძნობი მუშაობა ჩატარდა სანაპირო კედლების გამაგრებისათვის. ამოიდეს ჩაძირული გემები, მიწახაპია მანქანის მეშვეობით კიდევ უფრო გააღრმავეს ნავმისადგომები, რითაც ბათუმის პორტში გაადვილდა საოპერაცია გემების შემოსვლა-გასვლა.

ეს იყო პირველი დონისძიებები, რომელიც მხოლოდ საქმის დასაწყისად ჩაითვლება. ნავსადგურს კაპიტალური რეკონსტრუქცია ესაჭიროებოდა. ამის თაობაზე წარმოდგენილი იყო ორი პროექტი:

ინჟინერ ფლორინისა და ამიერკავკასიის ნაგსადგურების განყოფილების სპეციალისტებისაგან. ინჟინერ ფლორინის პროექტის მიხედვით ბათუმის ნაგსადგურის რეკონსტრუქცია იაფი ჯდებოდა (500 ათასი მანეთი), მაგრამ იგი განხორციელდებოდა ქალაქის სახმელეთო ტერიტორიის ხარჯზე. ამიერკავკასიის ნაგსადგურების განყოფილების სპეციალისტების პროექტი, მართალია, შედარებით ჭირი (8120 ათასი მანეთი) ჯდებოდა, მაგრამ იგი ითვალისწინებდა ნაგსადგურის გაფართოებას ზღვის ხარჯზე. ხელისუფლებამ ამ ვარიანტს დაუჭირა მხარი და მომდევნო წლიდან მუშაობაც დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ნაგსადგურები უფასოდ ემსახურებოდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს. მომსახურების ამ წესმა მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიაყენა ბათუმის ნაგსადგურს. 1922 წ. 14 მარტიდან ნაგსადგურები განთავისუფლდნენ უფასო მომსახურების მოვალეობისაგან და ამის შემდეგ მათი ფულადი შემოსავალი, მოგება და წმინდა მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 1921 წ. ბათუმის ნაგსადგურის ფულადი შემოსავალი 78944 მანეთს ითვლიდა, ხოლო 1924 წ. 656.020 მანეთი შეადგინა. მაგრამ ხარჯებიც გაიზარდა. (კ. ტოტჩავა, 1975:69). XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმის ნაგსადგურის ძირითადი საოპერაციო საქმიანობის-ტვირთზიდვის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები (ათასი ტონობით). (აცხა, ფ.რ-60, ან.1, ს.8, ფურც.8).

| მაჩვენებლები   | 1913 წ.                            | 1922–1923 წ.                    |                             | 1924–1925 წ.                      |                               | 1927–1928 წ.                         |                            |
|--|------------------------------------|---------------------------------|-----------------------------|-----------------------------------|-------------------------------|--------------------------------------|----------------------------|
|  |                                    | აბსოლუტური                      | % 1913 წელით                | აბსოლუტური                        | % 1913 წელით                  | აბსოლუტური                           | % 1913 წელით               |
| საერთო ტვირთზიდვა<br>მათ შორის საზღვარგარეთოან<br>მათ შორის შემოტანა<br>გატანა | 1478,5<br>1178,2<br>31,2<br>1147,0 | 326,1<br>297,2<br>36,0<br>261,2 | 22<br>25,2<br>115,4<br>22,7 | 1086,4<br>1043,5<br>89,3<br>954,6 | 73,4<br>88,5<br>618,6<br>83,2 | 21,6388<br>20,390<br>618,6<br>1977,1 | 146<br>173<br>198,2<br>172 |
| კაპოტაჟით ტვირთზიდვა<br>მათ შორის შემოტანა<br>გატანა                           | 300,3<br>262,0<br>238,3            | 28,9<br>24,9<br>4,0             | 9,6<br>15,3<br>2,8          | 43,0<br>17,6<br>24,9              | 14,1<br>10,8<br>18,0          | 12383<br>619<br>629,3                | 59<br>61,8<br>54,5         |
| ნაგთობპროდუქტების გატანა<br>მანგანუმის გატანა                                  | 675,8<br>437,6                     | 225,7<br>16,6                   | 33,3<br>3,9                 | 941,1<br>–                        | 139,2<br>–                    | 19268<br>–                           | 185,1<br>–                 |

როგორც ვხედავთ, პირველ მსოფლიო ომამდელ პერიოდთან შედარებით 1922–23 სამეურნეო წელს ბათუმის ნავსადგურის საერთო ტვირთზიდვა 78%-ით შემცირდა. მათ შორის საზღვარგარეთთან 74,8%-ით. შემცირება ძირითადად მოდის ნავთობპროდუქტებისა და მანგანუმის გატანაზე. 1924–25 წლიდან ბათუმის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ მანგანუმი საერთოდ აღარ გაჰქონდათ. ამ გარემოებამ შესამჩნევი გავლენა მოახდინა საერთო ტვირთზიდვაზე. მინიმალურად შემცირდა კაბოტაჟით ტვირთზიდვა.

ბათუმის ნათსადგურის ტვირთზიდვის საერთო აღმავლობა დაიწყო 1923–24 სამეურნეო წლიდან და მომდევნო წელს ომამდელი დონის 73,4%, ხოლო 1927–28 წელს 146%-ს მიაღწია. მაგრამ კაპოტაჟით ტვირთზიდვაში მნიშვნელოვანი წინსვლა არ ყოფილა. ტვირთზიდვის საერთო საოპერაციო საქმიანობაში ძირითადი დატვირთვა ნავთობპროდუქტების ექსპორტზე მოდიოდა. ამ მაჩვენებელმა პირველ მსოფლიო ომამდელ დონესთან შედარებით 1925 წ. 139%, ხოლო 1928 წ.–285,1% შეადგინა. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის საწარმოებს შორის მგზავრთა გადაყვანაში პირველობდა ბათუმის ნავსადგური. 1924 წ. ბათუმის ნავსადგური მოემსახურა 63 ათას, ხოლო 1925 წ.–98 ათას მგზავრს.(კ. ტოტოჩავა, 1973:106).

ბათუმის ნავსადგურის წარმატებული საოპერაციო საქმიანობა–ტვირთზიდვა ძირითადად განპირობებული იყო რკინიგზის ტრანსპორტის ნაყოფიერი მუშაობით. პირველი მსოფლიო ომისა და ინტერვენციის წლებში ბათუმის რკინიგზის მეურნეობა მნიშვნელოვნად დაზარალდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს რკინიგზის ბათუმი–სამტრედიის მონაკვეთი. მართალია, ამ მიმართულებით რკინიგზის ლიანდაგის სიგრძე მოკლეა (30,5 კმ), მაგრამ ყოველთვის დატვირთული იყო. გასაბჭოებისას სამგზავრო და სატვირთო მატარებლების დიდი ნაწილი თაგმოყრილი იყო ბათუმში. მათ გადაუდებელი შეკეთება ესაჭიროებოდათ. მაგრამ ადგილზე არ არსებობდა რკინიგზის ტრანსპორტის სახელოსნოები.

ორთქმავლებისა და ვაგონების შემქეთებელ სპეციალისტთა ჯგუფს საკმარისად არ ჰქონდათ სარემონტო–ტექნიკური საშუალებები. შრომის მექანიზაცია საერთოდ არ არსებობდა. ამიტომ დატვირთვა–გადმოტვირთვის სამუშაოები ხელით სრულდებოდა. 1923 წ. დასაწყისში ბათუმის რკინიგზაზე 1174 მუშა–მოსამსახურე მუშაობდა (კ. ტოტოჩავა, 1973:105). მართალია, უკიდურესად მძიმე იყო ტრანსპორტის მუშათა ყოფა-ცხოვრება. მაგრამ რკინიგზელები, როგორც საზღვაო ნავსადგურის მუშაკები, თავდადებით მუშაობდნენ; მათი თავდადებული შრომის შედეგად მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდებოდა. უკვე გასაბჭოების მეორე წელს რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთზიდვა აჭარაში 19,1 მილიონ ფუთს უდრიდა, რაც შესამჩნევად აჭარებებდა 1921 წ. მაჩვენებელს. საერთო ბალანსში დონად ჭარბობდა შემოტანილი ტვირთი. 1922 წ. რკინიგზის ტრანსპორტით შემოტანილი ტვირთი 13,2 მილიონ ფუთს აღემატებოდა, რაც

საერთო ტვირთზიდვის 69,1%-ს შეადგენდა, გატანილი იყო 5,9 მილიონი ფუთი.

საერთო ტვირთზიდვაში დიდი ხვედრითი წილი ეკავა ნედლეულ-სა და ნახევარფაბრიკატებს (12,8 მილიონი ფუთი), მეორე-სურსათ-სანოვაგეს (5,6 მილიონი ფუთი), მესამე-მრეწველობის ნაწარმს (503,5 ათასი ფუთი). ძირითადი იყო ნავთობპროდუქტები და მანგანუმი. ნავთობპროდუქტები აზერბაიჯანიდან შემოჰკონდათ, ხოლო მანგანუ-მი – ჭიათურიდან. საგულისხმოა, რომ 1922 წ. ბათუმში აზერბაი-ჯანიდან შემოიტანეს 10,8 მილიონი ფუთი ტვირთი, ე.ი. საერთო შემოტანილი ტვირთის 81%. (სტატისტიკური..., 1975: 330-331; 334-337). რკინიგზით შემოტანილი ტვირთი საზღვარგარეთ გაქონდათ ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით. ბათუმიდან რკინიგზით გატანილი ტვირთის მეტი ნაწილი მოდიოდა საქართველოს შიდარაიონებზე, შემდეგ აზერბაიჯანსა და სომხეთზე.

XX საუკუნის 20-იან წლებში საავტომობილო ტრანსპორტი განუ-ვითარებელი იყო. 1926 წ. საერთოდ საქართველოში 779 ავტომობილი ითვლებოდა. მათგან ტექნიკურად გამართული იყო 316 მსუბუქი, 263 სატვირთო და 90 სპეციალური (პ. ტოტოხავა 1973: 192). აჭარაში, აერძოდ, ქათუმში სამგზავრო ავტოტრანსპორტმა 1925 წ. დაიწყო მუშაობა, ხოლო ავტობუსების საგარეუბნო ხაზების სიგრძე 17 კმ-ს უდრიდა. 1926 წ. ქათუმში ითვლებოდა 3 სამგზავრო და 22 სატვირ-თო ავტომობილი, რომლებმაც წლის განმავლობაში გადაიყვანეს 66096 მგზავრი და გადაიტანეს 80 ათასი ტონა ტვირთი. 1930 წ. მუშაობდა 12 სამგზავრო და 25 სატვირთო ავტომობილი, გადაიყვანეს 264384 მგზავრი (4,0-ჯერ მეტი) და გადაიტანეს 120 ათასი ტონა ტვირთი (1,5-ჯერ მეტი) (ახსა, ფ.რ -178, ა. 1, ს.184, ფურც. 5).

გზებისა და ხიდების მშენებლობა 1922 წლიდან დაიწყო. 1924 წ. პრილის მდგომარეობით აჭარაში მშენებლობის პროცესში იყო 13 გზა. 1924-1925 წლებში დამთავრდა 101,2 კმ საერთო სიგრძის საავ-ტომობილო გზების, 3 რკინაბეჭონის (შუა-ხევის, ქედის, ხუცუბნის), ათობით ხის ხიდის მშენებლობა. ამ მშენებლობაში შრომითი ბეგარის სახით ასობით მუშახელი მონაწილეობდა. მაგალითად, ქო-ბულეთ-ლევა-ჩოლოქის 16 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებ-ლობაზე ყოველდღიურად 800-900 კაცი მონაწილეობდა, ხელო-ლორჯომის გზაზე-800-1000, ხოლო ჭვანის გზის მშენებლობაზე-750-800 კაცი (აცსა, პპოგ. ფ.1, ა. 1, ს. 207, ფურც; ასხგსპაპ, 1975: 303).

ამრიგად, ამრიგად სატრანსპორტო საშუალებათა ნაციონალიზა-ციის შედეგად წარმოიქმნა სახელმწიფო საკუთრება. ეს პროცესი მტკიცნეულად განხორციელდა, რამაც გაახანგრძლივა ტრანსპორტის დარგებში პირველი მსოფლიო ომამდელი დონის აღდგენა. სახელ-მწიფო საკუთრების შექმნის შედეგად ტრანსპორტის მართვაში, რო-გორც სხვა დარგებში, ეკონომიკურის ნაცვლად დამკვიდრდა ბრძანებლურ-აღმინისტრაციული წესები და მეთოდები.

## გამოყენებული წეაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი ო-60, ანაწერი 1, საქმე 8.
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი ო-178, ანაწერი 1, საქმე 184.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილება (პპო), ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 207.
4. აჭარა საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (ასგსმაპ), დოკუმენტებისა და მასალების კრებული (1921-1925წ.). ბათუმი, 1975.
5. სტატისტიკური კრებული 1909-1923წწ. (სტატისტიკური...). ბათუმი, 1924.
6. კ. ტოტოჩავა, საქართველოს სსრ ტრანსპორტის ისტორია. თბილისი 1973.
7. კ. ტოტოჩავა, ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარება აჭარაში. ბათუმი 1975.

## Otar Turmanidze

### Transport Conditions in Adjara in the First Decade of the Soviet Power of the XX Century

#### S u m m a r y

Before the Soviet power there was maritime, railway, pipeline and ferry transport in Adjara. In the 20s of the XX century the oil pipeline was factually inactive, and the maritime and railway transport suffered a great loss during the World War I and foreign intervention.

The article concerns to the arrangements of the Soviet government for the development of transport. The moment of Sovietization the nationalization of maritime and railway transport was fulfilled. According to the decree of August 8 and 26 of the reformation in Georgia the nationalization of Georgian railway system and port was realized. The work describes the general situation of Batumi port and railway industry, their operation and staff; it also gives the data about freight port erase, passenger movement, etc.

The article also studies the industrial operation of workshops existing at the open port. It underlines the fact that at the late 20s of the XX century the automobile transport started to operate, that was an important novelty in the transport history of the region.

**Отар Турманидзе**

**Состояние транспорта в Аджарии в первое десятилетие советской власти**

**Резюме**

До установления советской власти в Аджарии существовал морской, железнодорожный, гужевой и трубопроводный транспорт. Но в 90-ые годы XX века нефтетрубопроводный транспорт фактически не работал, а морской и железнодорожный находился в тяжелом состоянии. В результате первой мировой войны и иностранной интервенции они потерпели большой ущерб.

В августе 1921 года Грузинский ревком осуществил национализацию морского и железнодорожного транспорта.

В статье рассмотрено мероприятие советской власти по восстановлению и развитию транспорта, освещена деятельность Батумского порта и железнодорожного транспорта, дана характеристика качественного и количественного состава их персоналов. Приведены интересные данные вывоза и привоза товаров, передвижения пассажиров и другие.

В труде изучена деятельность портовой мастерской, подчеркнуто, что в Аджарии во второй половине XX века были заложены основы автотранспорта, что является новшеством в истории региона.

## ზვიად გამსახურდიას და მერაბ პოსტავას სასამართლო პროცესის ისტორიისათვის

1978 წლის მაისში გაიმართა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სასამართლო პროცესი, რომლის შესამზადებლად მუშაობა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში დიდი წვლილი შეიტანა როგორც „ქართულმა წითელმა ინტელიგენციამ“ და საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურმა სამსახურებმა, უპირველესად ამ საქმიანობაში დახელოვნებულმა „სუკმა“, ასევე აღნიშნული აქტიორების მიერ სად აზრგამოცლილმა, დაბეჩავებულმა და ნებაწართმეულმა ეწ. ქართულმა საზოგადოებამ.

საქმე იმაშია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში საგრძნობლად გააქტიურდა დისიდენტური მოძრაობა, რომელიც 1972 წლიდან მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის დისიდენტურ წრებსა და მათ ოგითგამოცემებს მოსკოვსა და ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგი). თბილისში იწყება ა.სოლუჟნიცინის, ა.სახარვის, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების, მერაბ კოსტავას წერილებისა და სტატიების ბეჭდვა და გავრცელება ოფითგამოცემების საშუალებით. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და ეკლესიისათვის განსაკუთრებით მტკიცნეული იყო ზვიად გამსახურდიას სტატიები–„პოლემიკა დასავლეთის პრესასთან საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ“, წერილი რედაქციას“, მისივე დოკუმენტური მასალები–„საზოგადოებრივი პრობლემები“, „თეომურაზ ჯვარშეიშვილის დაკითხვის ოქმები“ და სხვა. მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ უზრუნველყველ ა.სალუჟნიცინის ბესტსელერად ქცეული ნაწარმოების–„გულაგის არქიპელაგი“–გამოცემა და გავრცელება საქართველოში [1, გვ. 4].

აღნიშნული საქმიანობა იმ პერიოდში ანტისაბჭოთა აგიტაცია–პროპაგანდად ითვლებოდა, ხოლო მისი ავტორები სასტიკ დევნა–შევიწრებასა და რეპრესიებს განიცდიდნენ. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა სულ მაღე დააპატიმრეს და გაასამართლეს. მათი საქმე №131-ის საბრალდებო დასკვნაში სწერია: „გამსახურდიამ მიზნად დაისახა მასიური გავრცელება ანტისაბჭოთა ლიტერატურისა. 1974 წლიდან იგი აქტიურად შეუდგა პოლიგრაფიული და საბეჭდი მოწყობილობით სპეციალისტების მიზიდვას, რომელთაც დიდი ფულადი ანაზღაურება ჰქონდათ“... 1974 წლის გაზაფხულზე მან მოიპოვა ა. სოლუჟნიცინის „გულაგის არქიპელაგის“ ოთხივე ნაწილი, იმ ავტორისა, რომელიც გაძევებული იქნა სსრკ-დან მისდამი მტრული მოღვაწეობის გამო. „გულაგის არქიპელაგი“ გამოიცა პარიზში, „უმკა–პრესში“, რომელიც გმობს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას

სოციალისტურ რევოლუციაზე“... [იქვე, გვ.5] (დღეს წარმოდგენაც ძნელია, თუ ეს საქმეები რა შეუწყინარებელ ცოდვად და დანაშაულად ითვლებოდა მაშინ—უ.ო.). მანამდე კი, 1975 წელს ზვიად გამსახურდიას ირჩევენ მოსკოვში ჩამოყალიბებული „საერთაშორისო ამნისტიის“ ჯგუფში საქართველოს წარმომადგენლად, ხოლო 1976 წელს მოსკოვში შექმნილ პედსინსკის ხელშეკრულების საშემსრულებლო ჯგუფის ჩამოყალიბების კალობაზე იმავე წლის ივნისში ზვიად გამსახურდია საქართველოში ქმნის ანალოგიურ ჯგუფს, რომლის მიერ შეკრებილი სტატიები და მასალები საქართველოში ადამიანის უფლებების საკითხებზე იძებელებოდა ქართულ თვითგამოცემის ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ [იქვე].

1975 წლის მაისში გამოვიდა უურნალ „ოქროს საწმისის“ პირველი ნომერი, რომლის გამოცემაც გაგრძელდა 1976 წელს. სულ გამოვიდა 4 ნომერი—ორი 1975, ორი—1976 წელს. მასში იბეჭდებოდა კომუნისტური ცენზურის მიერ აკრძალული მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები: ივ. ჯავახიშვილის „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სტატიები და ლექსები, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა—„მტრების მეგობრობა“ და მისი არქივიდან ის სტატიები და მასალები, რომლებიც ცენზურამ აკრძალა და რომლებშიც იგი აკრიტიკებს სოვეტიზაციის შედეგად საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. ჩვეული პირდაპირობით მსჯელობს ქვეყანაში როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. აქვე იბეჭდებოდა საბჭოთა გამოცემების მიერ უგულებელყოფილი მწერლებისა და პოეტების—გაბრიელ ჯაბაშანურის, ადამ ბობლიაშვილის, ოთარ მაისურაძის, შოთა ჩანტლაძის, ასევე ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ვაჟა—ფშაველას, აკაკი წერეთლის, ლადო ასათიანის სხვათა გამოუქვეყნებელი და უცნობი ნაწარმოვებები [იქვე, გვ.6].

რაც შეეხება უურნალ „საქართველოს მოამბეს“, იგი პოლიტიკური ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობისათვის მიეწოდებინა ეროვნულ, რელიგიურ და სოციალურ პრობლემებზე, აგრეთვე სსრკ—ში შექმნილ საერთო მდგომარეობაზე მართებული ინფორმაცია. მის პირველ ნომერში დაიბეჭდა გაეროს ადამიანთა უფლების დაცვის დეკლარაცია, კრიტიკული წერილები საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხზე ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოში გატარებულ რუსიფიკაციის პოლიტიკის, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობის, კულტურის ძეგლების დაცვის, საქართველოში ციხეებში პატიმრების წამების, პოლიტპატიმარ ვ. ჟვანიას დახვრეტის, საქართველოს საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ, რომელშიაც მხილებული იქნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უმიშროების კომიტეტის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, სახელმწიფო თანამდებობებისა და სასულიერო პირები და სხვა. მეორე ნომერში

კი მხილებულია „წითელი ინტელიგენციის“ ზოგიერთი წარმომადგენელი სუქ-თან თანამშრომლობაში, რამაც საზოგადოების ამ ნაწილის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამას მოჰყვა პრესაში თავდასხმები მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიაზე, რომელთა ავტორებიც დაუფარავად მოითხოვდნენ მათ დაპატიმრებას (რ.გორდეზიანი, ვ.ქაჩახია, ა.კ.სურგულაძე გ.ხავთასი და სხვები) [იქვე, გვ.6]. 1977 წლის 23 მარტიდან კი სეტემბრის წამოვიდა ბრალდებები მათ წინააღმდეგ: „მოდალატე“, „იმპერიალიზმის აგენტი“, „ხულიანი“, „მომხვეჭელი“, „მოდალატე ფარისეველი“ და სხვა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანისათვის დამახასიათებელი ბინძური გამონათქმამებით სავსე პასკვილებით გაივსო პრესა. მაგრამ ამასთანავე მათ პქონდათ ქართული საზოგადოების თანადგომაც. ამ აღვირახსნილი კამპანიის გამო აღშფოთება გამოთქვა ქართველი სტუდენტებისა და ინტელიგენციის პროგრესულმა ნაწილმა, ხოლო 1977 წლის 2 აპრილს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მუშებმა მათდამი თანაგრძობის ნიშანად გაზეთში არ დაბეჭდეს ზვიადისა და მერაბის წინააღმდეგ მიმართული მორიგი პასკვილი და გაზეთის აღნიშნული ნომერის სტატიისთვის განკუთვნილი გვერდი გამოვიდა თეთრი, ანუ დაუბეჭდავი. სრულად რომ ჩავწედეთ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიმართ გაჩადგებული ამ ბინძური კამპანიის არსეს, აქვე მოვიყვანო ციტატას ერთ-ერთი პასკვილიდან. „მოდალატენი“-სხვაგვარად ვერ უწოდებ ერთ მუჭა ხალხს ზვიად გამსახურდიას წინამდღოლობით, რომლებიც ცდილობენ შელახონ ყოველივე სისხლითა და დაკოურილი ხელებით მოპოვებული. სადღესასწაულო მარშის დროს თქვენ არ გაქვთ უფლება მხარში ამოუდგეთ იმ ხალხს, რომელთა წინააღმდეგ გამოდისართ“. აქვე გამოყენებულია საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელი „ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელის“ სსრკ კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი გენერალური მდივნის ლ.ბრეჭნევის ციტატა, რომ „სოციალიზმის მოწინააღმდეგების, იმპერიალიზმის აგენტების მიმართ ჩვენ ვდებულობთ და მივიღებთ შესაბამის ზომებს, რომელსაც ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზვიადისა და მერაბის დაპატიმრება გარდაუვალი იყო [ოქროს საწმისი, თბ., 2006, გვ.7].

მაინც რამ გამოიწვია „ქართული საზოგადოების“ ამ ნაწილის ამგარი გაცოფება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებისთანავე მშიერი სვავებივით დააცხრენ მის ნააზრევზე ამოზრდილ იდეებს, სიმართლისა და სამართლის ახალგაზრდა მაძიებელთა შესამუსრავად დაირაზნენ? ეს რომ კარგად გავიგოთ, ამისათვის აუცილებელია გადავხედოთ თვით კონსტანტინე გამსახურდიას ადრინდელი მოდვაწეობის შინაარსს და ზვიადისა და მერაბის მიერ გამოცემულ თვითგამოცემების მიერ აღებულ კურსს, რომელიც საბჭოთა წითელი ინტელიგენციისათვის სრულიად მიედებულ „მკრებელურ“ ელფერს ატარებდა. ამ ჩვენი დებულების განსამტკიცებლად საჭიროა აქვე განვიხილოთ მაგალითები.

ჟურნალ „ოქროს საწმისი“ წინასიტყვაობაში ზვიად გამსახურდია წერს: „საწმისი, საწომისი, ღრუბელს ნიშნავს... საწმისი, საწვიმისი, წვიმის მშობელს, ვთითარცა ღვთისმშობელი ქრისტესი ლოგოსის, რომელიც გარდმოსდა უღვთობის გვალვით გადამხმარ მიწაზე ვთითარცა წვიმა განხორციელებული. სანუკვარია წვიმა ხანგრძლივი გვალვის შემდგომ, ასევე სანუკვარია სიტყვა ხანგრძლივი იძულებითი მდუმარების შემდგომ—აი, რატომ დაერქვა ჩვენს ქურნალს „ოქროს საწმისი“... [ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №1, 1975 (მაისი)] უკვე ამ წინასიტყვაობაშია გამოხატული კომუნისტური იდეოლოგიური გვალვით გაბერწებული ქართული სინამდვილის შეცვლისა და ხანგრძლივი იძულებითი მდებარეობიდან ქვეყნის გამოყვანის აუცილებლობა, და ამ თვალსაზრისს თავგანწირვით როგორ არ შეებრძოლებოდა ამ „ქართული სინამდვილის“ შემოქმედი ქართული წითელი ინტელიგენცია და „გამასებული“ საზოგადოება. ამ თვითგამოცემებში ხომ მათი სულიერი გაბერწების უდავო ფაქტები იყო დაფიქსირებული მხოლოდ იმითაც კი, რომ მათში იძეჭდებოდა ამ სინამდვილის ქართველ მსახურთა მიერ მრავალგზის უარყოფილდაგმობილი ავტორთა მამულიშვილური ნაღვაწ–ნააზრევი. თუნდაც გაბრიელ ჯაბაშანურის ანგისაპჭოთა კომპა–„ინვექტივა–მუნუმენტი“ რად დირს, სადაც იგი კომუნისტური რეკიმისა და მის ერთგულ მსახურთა მართლაც მონუმენტურ ბოროტ სახესა და საქმეთ დაუნდობლად აშიშვლებს და ამბობს: „შენ დააბნელე მსოფლიო თალისით/მზეს მოერკალე კუპრის ღრუბლებად/თავისუფლება წაართვი ხალხებს/ და თავისუფლად ფიქრის უფლებაც“ ან, „რამდენი დერი თმისა გასხია/იმდენი დედის გამძიმებს ცრემლი/სამყაროს რისხვა შენთვის ახია/ და ეს სამყაროც გრისხავს და გწყვევლის“—„შენ აეშაგთა შავთა მსტოვართა/ხარ შავს ხროვაში გამოკიდული/შენდა საქებად ცრუ ხელოვანთა/შენ ააყვვე ხმა მოსყიდული“ [2]. ალბათ დღეს მაინც არავისთვის არ არის მნელად მისახვედრი, რომ ამ ცრუ ხელოვანთა მოსყიდულ ხმაში პოეტი სწორედ წითელი ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობის სამშობლოს ბედისადმი ნიპილისტური დამოკიდებულებისა და კარიერისტული მისწრაფებებით ნასაზრდოებ ქვეგამხედველურ მოღვაწეობას გულისხმობდა. და, რა თქმა უნდა, ადრესატმა უცებ შეიცნო საკუთარი თავი, ამიტომაც, რადგანაც ჰქუაც არ ეყო, ხმაურით გასცა ის მიმართულება, საითკენაც ამ სიტყვების დაწერისას პოეტის მზერა იყო მიპყრობილი. ან ლეონ ქართველის ამ სიტყვებს როგორ მიიღებდა საბჭოთა იდეოლოგიურ სამსახურის ერთგულებაზე ყურებგაბასრული და დახელოვნებული „ხელოვანნი“—„ვისაც ქართველი ჰქვია და ვისაც მამული აწუხებს/სანამდის არ დაგვიანდა/ბრძოლა–მონობის მარწუხებს!.. [3], ან კიდევ მისივე „პაგპასიონი განერთხო ფერხთით/ვით ტახტრევანთან შეიხის მონა/ქართულ ტაძრებში რუსული ღმერთი/და ჩინმენდალი გახდა ბატონად/ სისხლის წვიმებმა ზეცას უწია“/... ლ.ქართველი, უკანასკნელი ცრემლი, იქვე]“

უფროსი რუსი მის წინამდობით „ახალი ისტორიული ერთობა-საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბება-განვითარებისათვის მოქადაგე „წითელ ინტელიგენციას“ ეხამუშებოდა და უხერხელ მდგომარეობაში აგდებდა ამავე უურნალში გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის სტატია „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, რომელშიაც სახტიკადაა გაპრიტიკებული მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ამიერკავკასიაში და თვალნათლივ არის მხილებული კატკოვისა და მის მიმდევართა რუსიფიკატორული პოლიტიკა ამ რეგიონში. გამოაშკარავებულია სომხების საქართველოში ჩამოსახლების სულის ჩამდგმელებისა და განმხორციელებლების – კანანოვ-ხატისოვთა თანამოაზრების ქართული მიწების მიტაცებისათვის გამიზნული ჰეშმარიტი ზრახვანი. იქვე ნათქვამია, რომ „ამ დროს ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. თავის მამაპაპეულ მიწა-წყალზე დასახლება ყველაზე უპირველესად ხომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუსი ერის მთავრობას და არც მის სომებ მოხელეთ არ სურდათ. ქართველი გლეხეაცობის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები ფეხქვეშ ითვლებოდა, მას გადასახლების გზა თავის სამშობლოშიაც კი შეკრული პქონდა იმ დროს, როდესაც უცხოეთიდგან მოვანილებს მიწაც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც“. აქვე საუბარია სომხების მიერ ლორეს რაიონის მიტაცებასა და ჯავახეთ-ახალქალაქის მითვისების მცდელობაზე და საბოლოოდ დასკვნის სახით ნათქვამია: „თუ წინანდელი რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუსი და სომები მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში. ნუთუ ახლა შესაძლებელია,–მიმართავს ივჯავახიშვილი საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურო,–რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომებს დაშნაკთა პოლიტიკურ ეროვნული პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად?“ [4].

მწერალი ნოდარ წულეისკირი ეხება რა ქართული ენის სავალალო მდგომარეობას საქართველოში რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითის მოყვანის შემდეგ დასძენს: „როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში ხალხს საკუთარი სახელი დავიწყინია, კახელ გლეხს ტაბიკის სახელი, თბილისში ძუძუთა ბავშვს რა ენაზე ებულბულებიან ხომ ვნახეთ... ჩვენი რესპუბლიკა უმაღლეს დამთავრებულთა ე.წ. დიპლომიანთა რესაუბლიკა გახდა, მაგრამ იშვიათად თუ იპოვით კარგ ექიმს, კარგ ინჟინერს, კარგ აგრონომს, კარგ პედაგოგს“,–აღნიშნავს მწერალი და აქვე სვამს კითხვას: „რატომ მოხდა ეს. რა არის ამის მიზეზი?–და იქვე პასუხობს: – მიზეზი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდას ყველაფერს ვასწავლით გარდა მშობლიური ენისა, მშობლიური ისტორიისა, ამიტომ მისი აზროვნება შეზღუდულია, მკვდარია, რაღაც იცის, მაგრამ გამოთქმა უჭირს, საბოლოოდ ცუდი სპეციალისტია“. [5] ასკვნის მწერალი და განაგრძობს: „გამოუსწო-

რებელ შეცდომასა და დანაშაულს სჩადის ჩვენი ინტელიგენცია, როდესაც ქედმაღლურად, ირონიულად უყურებენ ქართული ენის დამცველებს და ქარის წისქილებთან მებრძოლ დონკიხოტებად ნათლავენ მათ, რადგან ყოველივე ის, რაც დედა ენას ჭირს, ცხოვრების მოთხოვნა, ობიექტური კანონზომიერება ჰგონიათ...“

ქართველი მწერალი, რა თქმა უნდა, მეშჩანებსა და უმეცრებს კი არა, ჩვენს სახელგანთქმულ ენათმეცნიერებსაც კი ვერ დაეთანხმება ამ საკითხში. ვერ დაეთანხმება იმათ, ვისაც ქართულ ენაში სხვა ენის უსაზღვრო შემოჭრა ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია და მისი შეჩერება უიმედო საქმე ჰგონია.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ პატარა ერებისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება, სამწუხაროდ, თვით ამ ერების წიაღშიც გაჩნდა, სულერთია ერთ მშვენიერ დღეს მაინც აღარ ვიქნებითო, რა საჭიროა მშობლიური ენაო, —ასე ფიქრობენ და ბავშვები ქართულის ნაცვლად რუსულ სკოლებში შეჟყავთ“—აღნიშნავს მწერალი [იქვე]. ნოდარ წულეისკირის სიტყვაში გატარებული თითქოსდა პროკომუნისტური პათოსისა, ვის მოხვდებოდა ყველაზე მწარედ მისგან მოქნეული მათრახი, თუ არა „წითელი ინტელიგენციის“ კომუნისტური წყობილების სამსახურისადმი თავშეწირულ დამურებს, ამ საბჭოთა სისტემის სამსახურში ნებით ჩამდგარ ყოველივე მშობლიურის თვითმკვლელობაზე ხელის მომწერ, ამავე სისტემის მიერ ნაშობ სიბარიტებს?

იგივე განცდები იქნებოდა ამ კატეგორიის წილხვედრი, როცა შურნალის ამავე ნომერში ზეიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გურამ რჩეულიშვილისადმი მოსაგონარს წაიკითხავდნენ, რადგან პირველის ამ სიტყვებში უმაღ საკუთარ თავს შეიცნობდნენ: „შენ დაამსხვრიყ ის ბორკილები, რომელსაც ატარებდნენ სხვები. შენ ვერ იგუე ის ბორკილები“ [6] (ამათ კი იგუეს და თავსაც მშვენივრად გრძნობდნენ—უ.ო.) ხოლო მათი უმრავლესობა მერაბის მიერ წარმოდგენილ ამ სცენაში, რომ „ალავერდის გუმბათზე მდგომი ჭაბუკი, შემოქმედებითი ცეცხლის ჩადებას ჰლამობდა ინერტიული ბრბოს მიხრწნილ გვამში“ [7] თავს ვერასდროს წარმოიდგენდა, რადგან ეს მხოლოდ იმ რჩეულთა ხვედრია, ვისაც მოყვასისათვის თავგანწირება უშეურეველად შეუძლია.

ამავე შურნალში მოყვანილია საბჭოთა ქართულ მწერლობისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი ფაქტი, რომლის მიხედვითაც ზეიად გამსახურდიას მეგობრებთან მისევლა „ერთი ჩვენი პოპულარული მწერალი, რომელსაც წაუკითხავს მისთვის აღგილები თავისი, გაბედული“ რომანიდან. კარგა ხანს კითხულობდა თურმე მწერალი. ბოლოს შეეკითხა მეგობარი—რაშია გაბედულება შენი რომანისა? მწერალმა მიუგო: განა ვერ მიხვდი, როდესაც რომანის გმირები იმყოფებიან ერთ დიდ, მაღალჭერიან თთახში, ეს თთახი ეკლესიას ნიშნავს? (?) ვაგლახ! განა წარმოსადგენია სულიერი კასტრირების ამ დონემდე დაშვება?! და ნუ დაგავიწყდება, რომ ეს

მწერალი უკეთესია დაცემულთა შორის – შენიშვნავს ზეიად გამსახურდია თავის მინაწერში და იქვე ამბობს, რომ „დღევანდელი ქართულ პროზა მე ერთ იგავს მაგონებს: ოთახში დასვენებულია მიცვალებული, მის ირგვლივ იმყოფებიან ნათესავები, ახლობლები, უკცრად ოთახში ბუზი ბზუილით შემოფრინდება. იქ მყოფთა უურადღება მთლიანად ბუზზე კონცენტრირდება: იხილავენ მის არსებას, მის ფრენას, აანალიზებენ, მსჯელობენ მასზე. მათ დაავიწყდათ გლოვა მთავარზე და ბუზით ერთობიან“... [ზეიად გამსახურდია, მინაწერი, იქვე], ხოლო ამათ საპირისპიროდ, „ოქროს საწმისის“ მე-2 ნომერში უდიდესი პატივისცემით იგონებს ემიგრაციაში გარდაცვლილ ქართველ პოეტს გიორგი გამყრელიძეს (გრიგოლ ზოდელი) და აღნიშვნავს, რომ „თავის შესანიშვნავ ლექსებში მან დაიტირა იავარქმნილი მამულის ბედი, თუმც მამულმა ვედარ დაიტირა იგი და ამჯერად, გერმანიის მიწას მიაბარეს ნოსტალგიით გულგასერილი“; [8], აქვე ბეჭდავს მის პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ლექსებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი ასე მთავრდება: „ვერას დამაკლებს/დუშმანი ვერას/კვლავ მოვესწრები/თავისუფალ მზის ამოწვერას“, ხოლო ლექსში „როსინანტი“ პოეტი ამბობს: „ახლა ძეგლებით ჩვენ არ გვაპვირებს/დავიწყებული მისი მხედარი/და დარჩა სანჩოს და იმის ვირებს/მას შემდეგ ბურთი და მოვდანი“ [იქვე]. აქვეა გამოქვეყნებული ზეიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას (მერაბ კამარელის ფსევდონიმით) ლექსები, ამ უკანასკნელის კრიტიკული სატირით ადსავსე იგავები: „იადონი და ბულბული“ და „ბულბულის განქიქება“, რომელშიც ბულბულის გამკრიტიკებელ ჩხილებს, ძერასა, თუ ყორანში ბევრი იმ დროინდელი ეწ. შემოქმედი შეიცნობდა საკუთარ თავს. აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას წერილები: „ველიკორუსები და არარუსები“ [9], „დია წერილი ულიანოვ–ლენინისადმი“ [10], „პასუხი“ [11], „ვინ არის შოვინისტი?“ [12]; ამ წერილების შინაარსი დაინტერესებული მკითხველისათვის საკმაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც უნდა შევეხო ჩემს სტარიაში ზოგიერთ მათგანში გამოხატულ რამდენიმე კრიტიკულ მოსაზრებათ. წერილში „ველიკორუსები და არარუსები“ კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: „როცა საფრანგეთის რევოლუციონერმა ხალხმა ბასტილია დაამხო, მთელმა საფრანგეთმა, მძიმე ტვირთმოსსნილ კაცსაფით ამოისუნოქა, ხოლო რუსეთის „პრესტისა“ და პეტრე–პავლეს ციხის აღების შემდეგ კიდევ მრავალი ხუნდები დარჩა გაუხსნელი რუსეთში მობინადრე არარუს ერების მახებზე, კიდევ მრავალი „პრესტი“ დარჩათ მათ ასაღები.

შედარებით თავისუფლად ამოისუნოქა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთში გაბატონებულმა ერმა ველიკორუსებისამ და მასვე ხელში შერჩა ის მუხრუჭი, რომელიც დღემდისაც აბრკოლებს სხვა ერების წინსვლასა და განვითარებას“... (მართლაც წინასწარმეტყველური პასაჟია–უ.ო.).

„როგორც სინამდვილიდან მუდავნდება, – აღნიშვნავს ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, – რუსეთის პოლიტიკის სოციალისტურმა

მესვეურებმაც ვერ შეიგნეს ის ხალასი ჰეშმარიტება, რომ დიდ სახელმწიფოებს მხოლოდ დარღვევისა და დაშლის უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის ფარგლებში ისეთი მცირე ერების ძალად მომწყდევა, რომელთაც საკმაოდ ძლიერ კულტურულ ტრადიციებს გარდა, სრულიად თავისებური ნაციონალური თვითცნობიერება და მკვიდრი ნაციონალური იდეალი მოეძვათ“ [იქვე, (გვ. 191, 193)], ხოლო დია წერილში ულიანოვ-ლენინისადმი პირდაპირ მიუთითებს, რომ „დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახელმწიფოებრიოსა, როგორიცად საზღვრები, რკინის გზა, და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის [იქვე, (გვ. 197)]. ვიდაც რუსი ს.პ.-სადმი მისივე პასუხი შეიცავს ასეთ პასაუსაც, –რომ „ყოველი დაპყრობა ისტორიის მანძილზე მუდამ განმათავისუფლებლის როლში მოუხდენია დამპყრობელს. პეტრე დიდიდან დაწყებული ალექსანდრე მეფემდის რუსი იმპერატორები განმათავისუფლებლის როლში აგზავნიდნენ თავიანთ ჯარებს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე პატარა ერების დასაპყრობად. ნაპოლეონიც ათავისუფლებდა ხან იტალიას, ხან გერმანიის სამთავროებს, ხან პოლონეთს და ხან ეგვიპტეს... არ ვიცი, ჩემი მოკამათე იცნობს თუ არა საქართველოს, ის კი ვიცი, რომ როცა გიორგი სააკაძე სპარსეთის ჯარით შემოვიდა საქართველოში, შაპ-აბასმა პროკლამაციებით ამცნო ქართველ ხალხს „საქართველოს ხალხს შეფისაგან ვანთავისუფლებთო“ [იქვე, (გვ. 202)] და იქვე ისევ იმეორებს, რომ ქართული ენა დღეს საქართველოში სახელმწიფო ენა აღარ არისო [იქვე, (გვ. 203)], მწერლის მისიაზე საზოგადოებაში კი, თავის სტატიაში, –„პასუხი“, ამგვარად მსჯელობს: „პირდადად მე მგონია, რომ მწერალი არცერთი მთავრობის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის „მოჯამაგირე“ არ უნდა იყოს, რადგანაც მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულის და სიტყვის „მოჯამაგირე“ ყოფილა მუდამ. იგი აწმუნში და მომავალშიაც ასე უნდა დარჩეს... იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერთ უკვდავია, ვითარცა მარადიულ ლირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანცია“ [იქვე, (გვ. 204)].

სტატიაში–ვინ არის შოგინისტი?–საუბრობს რა ლტოლსტოის მიერ შექმნილ რუსი სალდატესკას დაუგიწყარი სურათის შესახებ, „რომელიც ყოველივე „არარუსულს დაპყრობილ ქვეყნებში, საოცარი ვანდალური ინსტინქტებით სდევნიდა და ანადგურებდა“, –იქვე განაგრძობს, რომ „ეს იმპერიალისტური რუსული სალდატესკა ასი წელიწადი სდევნიდა ქართულ ენას საქართველოში, ქართულ ზნე–ჩვეულებებს და ქართულ კულტურას. ამ რეჟიმის ხელით რუსი ბერები და ეპისკოპოსები სისტემატურად ანადგურებდნენ ქართულ მონუმენტალურ კულტურას.“

ამ ხნის განმავლობაში რუსებს საქართველოში გარდა პოლიგონებისა, ყაზარმებისა, გამარუსებებისა და შესამიანი რუ-

სული გაზეთებისა, არ დაუტოვებიათ რა და ნუთუ ვინმე მოითხოვს დღეს ქართული პატრიოტებისაგან, რომ ჩვენ ასეთი რესები გვიყვარდეს?“ [იქვე, (გვ. 206].

აბა, ის ხალხი, რომელსაც ევალებოდათ მხოლოდ რესების სიუკარული, როგორიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი,—და მთელი მათი სიცოცხლე, ნიჭი და უნარი მათი სურვილებისა და შოვინისტური მიზნების განხორციელების გამართლებისათვის უდრტვინელად უნდა შეეწირათ, შეძლებდა კონსტანტინეს ული ამ შეფასებებისათვის უდრტვინელად მოესმინა და იგი თუნდაც ინფორმაციის ღონებები ისე მიეღო, რომ საკუთარი ბუნებიდან მომდინარე „მოჯამაგირული“ პროტესტები არ გასჩენდა?! და ლადო ასათიანის ლექსშიც „დედოსადმი“ გამოთქმული ტკივილი რომ, „დაიქცა ყველა დიდი ჯალაბი/ნაგაზე ჯაჭვს არვინ არ აღრღევინებს, წინათ თუ დვინოს დაგადალებდნენ/დღეს წყალსაც არვინ დაგადლევინებს, დანატრებულან ციხე-კოშკები/ „მრავალეამიერ“ არსად გუგუნებს, მე კარგად ვიცი, მალე მოვავდები/მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“ (ჟურნ. „ოქროს საწმისი,“ №3, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 222-223)].

ანდა გიორგი ჯაყელის პოეზიის ეს სადარდებელიც – „უხმოდ, უსისხლოდ უცხო თესლი სამშობლოს მართვეს/და მე როზბქვეშ ტაშს ვუკრავ და ვიძახი ვაშას!“ [არის საშველი, იქვე, (გვ. 240–243)].

ან კიდევ: „ვარძიის ცაო/ამ ცასავით ძელო ანბანო/სვეტიცხოვულო და ქართულო საგალობელო/თუ უცაბედად ამივარდეს ცრემლის ხარხარი/ამის მიზეზი ცნობა არის ახალთახალი/ავსტრალიაში პაპუასებმა/სადაც ჯერ კიდევ ზოგ სოფელში დღესასწაულზე/ პირველყოფილი ბედიურებით/ ადამიანის ცვრიან მწვადებით/მიმოხატულ და ფართო პირებს იტკბარუნებენ, შექმნეს რესპუბლიკა დამოუკიდებელი და თავისუფალი/.

—პაპუა—ვერ მოიპოვებდა მათ თანაგრძობას. ხოლო მერაბ აბაშიძის ესსეში—მონა დვითისა და მონა ერისა—რომელიც მან ზვიად გამსახურდიას მიუძღვნა, წინასწარმეტყველური სიზუსტით არის ასახული თავისუფლება შეცხადებული ერის ბრძოლ ქცევის, მის მიერ თავისუფლებისათვის მებრძოლთა ქვებით ჩაქოლვის შემზარავი სურათი და მისი კვლავ აღდგომის მისტერია. „უმცრად ციხის კარი გაიღო და სატანამ გამოიხდა... გამოიხდა და ახარხარდა, როცა დაინახა, როგორ ქოლავდა ხალხი საკუთარ სულს, საკუთარ სიწმინდეს, პოზიასა და მესიას“... [13].

ვფიქრობ, აღნიშნულ პასაუში ჩვენ არ უნდა გაგვიჭირდეს საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმეს უამთა შეცნობა, თუმცა ასევე მრავლისმთქმელია ნაწარმოების დასასრულიც: „... სამ დღეზე მეტ ხანს გასტანა ხოცვა—ქლეტამ. მთელი ამ ხნის მანძილზე სატანასთან პირისპირ შეყრას ნატრობდა მესია... როცა ბრძოლა მისი ერის სასარგებლოდ გადაწყდა, ახლა დახოცილთა შორის დაუწყო ძებნა.

მაღე მიხვდა, რომ „უწმინდური გაპარულიყო...“ [13; იქვე, გვ. 284] და მართლაც, დღევანდელობაშიც თვალნათლივ გხედავთ, როგორ ცდილობს „უწმინდური გაპარვასა და ხალხში შერევას, — ბრძოლა კი ახლა იწყება.

ვერც „ოქროს საწმისის“ მე-3 ნომერში გამოქვეყნებული სტეფან ცვაიგის-წინასიმება „გველის პერანგისა“ [14] და კონსტანტინე გამსახურდიას წერილი—„ქართველ მწერალთა კონფერენციაზე“ [15] მიანიჭებდა სულის სიმშვიდეს „წითელ ინტელიგენციას“, რადგან ორივე მათგანში ხაზგასმულია მათგან შერისული ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისა და საქმიანობისადმი დიდი ყურადღება. არც კონსტანტინეს „გაორებული საქართველო“ [16] და „წერილი პატიმარი პოეტისადმი,“ [17] იქნებოდა მათვის ადვილად მოსახლებელი. ამ უკანასკნელში ხომ მწერალი 1926 წელს ასეთ რამეს წერს უცნობ პოეტს: „...მე დიდი მწუხარების ზონებში მიხდება სუნთქვა... ისე გადიან თვეები, წლები, რომ ჩემს გულში ისევე იშვიათად ჩამოანათებს სიხარული, როგორც თქვენს საკანში სხივი ოქროვანი“... აღარაფერს ვამბობთ ამავე ნომერში გამოქვეყნებული სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდიას მიერ წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამაზე, რომელშიაც იგი ლაპარაკობს საქართველოში ქართული ენის ჩაგვრაზე, იმაზე, რომ სამურზაყანოში მეგრელ ბავშვებს ქართულად არ ასწავლიან, საქართველოში ქართველები ეროვნული უმცირესობის მდგომარეობაში არიან ჩაეყნებული და სხვა [18]. მათვის საკითხება ამავე რიგს მიეკუთვნებოდა—„საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე“ [19] მასში ასახულია ამერიკის კონგრესის სხდომაზე თეთრ სახლში კონგრესმენ ვაგონერის (ლუაზიანა) გამოსვლა 1975 წლის 13 მარტს, რომელშიც იგი ეხება აშშ-ს მიერ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დე იურე აღიარების გააგრძელებას და იქვე აღნიშნავს: „ეს-ესაა შესრულდა თებერვლის თვეში 53-ე წლისთავი მნიშვნელოვანი შთამაგონებელი დოკუმენტის შექმნიდან, რომელიც მოდის საქართველოდან. საქართველო პატარა ერია, რომელიც, ბალტიური რესპუბლიკების მსგავსად, ძალით შეიერთა საბჭოთა კავშირმა. 1922 წლის 7 თებერვალს საქართველოს ძეგლი მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ამბროსიმ ამაღლებებელი მოწოდებით მიმართა ცივილიზებულ ქვეყნებს, რომლებიც მაშინ მონაწილეობას ღებულობდნენ გენუის ერთა საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც საბჭოთა რუსეთიც იყო წარმოდგენილი. ამ მოწოდების გაგზავნის შემდეგ პატრიარქი დააპატიმრა საბჭოთა საიდუმლო პოლიციამ. ამბროსი პატრიარქის მოწოდება ისევე აქტუალურია დღეს, როგორც 1922 წელს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ყველა იმ ერისათვის, რომელიც მიელტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“ [იქვე (ოქროს საწმისი, გვ. 313]. შემდეგ კი წაიკითხა ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც საქართველოს ეკლესიის საჭეომპყრობელი ამხელს რუსული იმპე-

რიალიზმის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილ უსასტიკეს დესპოტიზმს, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვალს პილავ დააღგა ჩაგრის უდელი პატარა, ტანჯულ ქვეყანას. „მართალია, –აღნიშნავს პატრიარქი, –დამპყრობლები ამჟამად ცდილობენ უველას დაუმტკიცონ, როგორც საზღვარგარეთ, ასევე თავიანთ ქვეყანაში, რომ მათ გაათვისუფლეს და გააბეჭდიერეს ქართველი ხალხი, მაგრამ მე, ჩემი ერის სულიერმა მოძღვარმა და ამჟამად მისმა ჭეშმარიტმა მწყემსმა, რომელსაც ხელთ მიპყრია უფაქიზები სიმები მისი გულისა, და რომელიც უველაზე უკაეთ ვუგდებ კურს მის გლოვასა და ცრემლებს, კარგად ვუწყი, რა ბედნიერია დდეს ქართველი ერი!

შეგვიძლია ვთქვათ გადაჭარბების გარეშე, რომ ის გაურკვეველი აქსპერიმენტები, რომელთაც აყენებენ ქართველ ხალხზე ამ ბოლო წლებში, მას უსათუოდ მოიყვანს ფიზიკურ გადაგვარებამდე და მორალურ დეგრადაციამდე“, –და ბოლოს მოითხოვს საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანას, რათა ქართველ ხალხს მიეცეს საშუალება თავისი ცხოვრების თავისუფლად მოწყობისა [იქვე, (გვ. 314–315)].

1970-იან წლებში აღნიშნულ პრობლემებზე, მსჯელობა და მათ შესახებ უურნალში გამოქვენება კი არა, ფიქრიც კი აკრძალული იყო, და, რა თქმა უნდა, ასეთი ნაბიჯის გადადგმას საბჭოთა წითელ ინტელიგენციაზე ისეთი ზემოქმედება პქონდა, როგორც სიბრელეში დიდხანს ნამყოფი ხარისათვის წითელი ნაჭრის აფრიალებას, რადგან ამგვარ აქციებში ისინი არა მარტო თავიანთი არარაობრივი არსებობის, არამედ მათი კოლაბორაციონისტული და ქვეყნის ინტერესებისადმი გამყიდველური დამოკიდებულების მხილებას ხედავდნენ; ამიტომაც უსინდისო თავგახელებით ებრძოდა ქართველი „ჰომო სოვეტიკუსიც“ მისივე ხელშეწყობით ჩამოწოლილ ბურუსში ნათელი სხივის შეჭრას. აი, ეს იყო სწორედ ის, რის შესახებაც ერთს სულიერი მოძღვარი ჯერ კიდევ 1922 წელს გვაფრთხილებდა–ერის მორალური დეგრადაცია, რამაც XX საუკუნის 90-იან წლებში სხვადასხვა ფორმებში მსუმარ გამოავლინა თავი.

უურნალის ამავე ნომერში დაიბეჭდა გალაკტიონის გამოუქვეყნებელი ლექსი–„საქართველო“ [20] ვაჟა–ფშაველას–„სოციალ–დემოკრატისადმი“, [21] ოსებ გრიშაშვილის–„ახალ ხელისუფლებას“ და „ოცდახუთი თებერვალი“ [22] და სხვა. აქვეა პ.დიდებულიძის [23], გრ.ამაღლობელის [24], ოთ.მაისურაძის (ფაზისი, დაიბადა 1925 წელს, იყო საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი თრგანიზაციის წევრი, 1943 წელს გაასამართლა «НКВД»ს ტრიბუნალმა, მიუსაჯა [25] დახვრეტა, შეუცვალა 10 წლით. გარდაიცვალა ციხეში ერთი წლის შემდეგ. ადამ აღვანელის (ბობდიაშვილი) [დაიბადა 1912 წელს საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი რაზმის წევრი, 1943 წელს მოპჲლეს «ЧК»–ს აგენტებმა თუშეთის ტყეში] [26] ანტისაბჭოთა სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები და შემოქმედება.

განსაკუთრებით ადსანიშნავია ზვიად გამსახურდიას „ღია წერილი საქართველოს მწერალთა VIII ყრილობის პრეზიდიუმისადმი“, რომელშიც საქართველოსათვის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების განხილვასთან ერთად იგი აღნიშნავს: „ოფიციოზური ქართული მწერლობა დაემსგავსა იმ დაყრუებულ ექიმს, რომელიც, მართალია დიდი გულმოლგინებით სინჯავს თავისი უურმილით ავადმყოფის სხეულს, მაგრამ არაფერი გაეგება მისი ტკივილებისა. ეს უკეთეს შემთხვევაში. უარეს შემთხვევაში ეს არის ექიმი, რომელიც იყრუებს თავს, რათა ამით დამალოს თავისი უმეცრება და დანაშაულებრივი ინდიფერენტიზმი ავადმყოფის ბედისადმი. ეს ავადმყოფი დღეს ჩვენი ერია, რომელიც მოელის ჰეშმარიტ გულისხმიურ ექიმს.

ორი დღის განმავლობაში ყრილობაზე ათობით ორატორი გამოვიდა. არც ერთ მათგანს სიტყვა არ დაუძრავს ერის ტკივილებზე, საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე. გაისმა ერთადერთი ხმა მღადადებლისა უდაბნოსა: რეგაზ ჯაფარიძის გამოსვლა, რომელსაც „დია კარების მტვრევა“ უწოდა ე.შევარდნაძემ თავის დასკვნით სიტყვაში. ცხადია, რ.ჯაფარიძის გამოსვლას ოფიციალობის ენაზე დაერქმევა მწერლის „უცნაურობით“ და „ორიგინალობის ძიების წყურვილით“ გამოწვეული გამოხდომა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ პრეზიდიუმის არც ერთ წევრს ტაში არ დაუკრავს მისთვის, თუმცა დარბაზი შქუხარე ოვაციებით შეეგება მას... ბევრი გაუგებობა დაიბადა აგრეთვე ჩვენში „მავნე ჩვევებთან და ტრადიციებთან ბრძოლასთან“ დაკაგშირებით. ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, ცხადი ხდება, რომ ეს „მავნე ტრადიციებთან ბრძოლა“ ნიდაბია რელიგიასთან და ეროვნულ თვითმყოფადობასთან ბრძოლისა.

დღესდღეობით ყველაზე უფრო მახინჯი და ნეგატიური მოვლენა ის გახლავთ, რომ საქართველოში რუსიფიკაცია სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ გეზად იქცა. ქართული ენის კანონგარეშე გამოცხადება, ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის გაბატონების ცდები, ქართველ მეცნიერთათვის აკრძალვა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების წერისა, აი, რა არის კველაზე მახინჯი და საგანგაშო მოვლენა. ქართულმა მწერლობამ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ამ მოვლენებთან დაკავშირებით, კმარა წაყრუება საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე, კმარა ოცნება პრივილეგიებზე, თანამდებობებზე და „ჩინ-მენდლებზე“, დროა მივხედოთ ერის ტკივილებს.

დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი ჩააქსოვა მოხევე დელთ დუნიას სიტყვებში: „ჩვენი თავი ჩვენამდე უნდა გვეყუდნეს“. ამას მიელტვოდა ქართველ მწერალთა რჩეული თაობა მეცხრამეტე საუკუნეში, ამას შეეწირა დიდი ილია, დევ, ნურც ჩვენი თაობა შეაქცევს ზურგს მამაპაპეულ იდეალს და ბრძოლის ველიდან გაქცევას ნუ ამჯობინებს. სირცხვილეული თავისუფლების საკურთხეველი უმაღლესი საკურთხეველია მუზებისა, მუზათა ჰეშმარიტი

მსახური სჯობს შექმიროს ამ დიდების პარნასს, ვიდრე მტრის წინაშე მუცელზე ხოხვაში დალიოს ნაძრახი სიცოცხლე“ [27]; ხოლო მერაბ კოსტავა თავის გამოსათხოვარში კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების წლისთავისადმი, საუბრობს ქართულ სინამდვილეში მწერლის მიერ შესრულებულ როლზე, მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამბობს, რომ „ერის სულმა კონსტანტინე გამსახურდია გრიგალთა შორის უმძაფრესის, მეოცე საუკუნის გრიგალთან საბრძოლველად მოავლინა... და მისი მისიაც აქ გამოიკვეთა. სიტყვითა და კალმით უნდა შებმოდა იგი მეოცე საუკუნის გრიგალს უუფლებობის წვდილად დამეში, ამგვარ ყიამეთში უნდა აღეზევებინა... მშობლიური ისტორია, ლიტერატურა, განებანა, შეემოსა, სული შთაებერა და გვირგვინი დაედგა იმ ენისათვის, რომელიც ცოცხალმკვდარი წამოაყენეს საფლავიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელებმა... ახლა მისი ბრძოლა ენათმეცნიერთა ნეგატიურ ნაწილთან, ყოველივე ახალსა და ცოცხალს რომ ებრძვიან ენასა და ლიტერატურაში? გრამატიკის უსულგულო დოგმებს, ამ სკელეტს ენისას მიიჩნევდნენ ნიადაგ ეს გვამის გამკვეთავნი მხატვრული შემოქმედების თაურად, ერეტიკოსობად მიითვლიდნენ ყველანაირ გაბედვას, თუმც ნებისმიერი იმათგანი პირისფარეშივით იდრიკებოდა კონსტანტინე გამსახურდიას ცეცხლოვანი სიტყვის წინაშე. მრავალი გალახული ამგვარად მისი პირუთვნელი და მკაცრი კრიტიკის შოლტით... ათწლეულების მანძილზე ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფო კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიმრებით, მუქარით, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით, უსაფუძვლო, მოსყიდული კრიტიკით, „ჭორის ღრუბლებით“, ცდოლობდა მის გადმობირებას, იდეური პოზიციის შერყევას, თავის სამსახურში ჩაყენებას. ბოლოს თითქოს მოლბა იგი, მეტადრე მისი მსოფლიო აღიარების შემდეგ. აირჩიეს აკადემიის წევრად, პრესაში ხოტბა აღუგლინეს, გამოუცეს ტომეულები, გადაუხსადეს იუბილე-გაირინდა მრავალთავიანი პიდრა, გულში ჩაიგუბა ბალდამი, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი გზით წარიმართა“ – მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს საქართველოს ეროვნული გმირი და იქვე ამბობს: „ქართველი ხალხის სიყვარულმა გააპატიოსნა მისი ცხედარი, სიყვარულმა, რომელიც მწერალთა და მოღვაწეთა სიდიადის ერთადერთი უცდომელი ბარომეტრია. ამიტომაც ცხრათავიანმა ჰიდრამ ვერ მიჩქმალა, ვერც მიისაპუთრა მისი სახელი“...[28].

მაგრამ აღნიშნულმა ჰიდრამ კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ ვედარ მოახერხა გულში დიდი ხნის ნაგროვები ბოლმის დაფარვა და დაუნდობლად დააცხრა მის იდეურ მემკვიდრეთა ნავსაყედელს, ქართულ თვითგამოცემასა და მის მესვეურთ. დარა გასაკვირია, რომ მისი გარდაცვალებისთანავე, ეს საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურების ნათხევზე აღზრდილ-დაფრთიანებული სიცრუის მანქანების ყურმოჭრილი მონები, თავგანწირვით დაეძგერნენ იმ „ბოროტებას“, რომელიც მათი მოჩვენებითი კეთილდღეობის საძირკვლებს შერყევით ემუქრებოდა. „ბრძოლის ველის“ შეტევისათ-

ვის მოსამზადებლად მისი ბომბარდირება ქართულმა პრესამ და მასთან შერწყულმა „წითელმა პროფესურამ“ იკისრა, რომელსაც გვერდში ამოუდგა „წითელი ინტელიგენცია“ და სამწუხაროდ, ქართული ეკლესიაც. და წამოვიდა და წამოვიდა პასკვილებისა და ცილისწამებების ნიაღვარი, რომელთა სათაურებიც კომუნისტური რეჟიმისათვის ჩვეული ლექსიკით იყო შედგენილი და მათი ადრესატების რეპრესირება-განადგურებისათვის ნიადაგის შემზადებას მოასწავებდა, ამასთან სრულად გამოხატავდა მათ ავტორთა მთელ სულიერ საგანძურს. აი, ისინიც: „ვის აძლევს ეს ხელს?“, [29], „მოდალატე ფარისევლები“, [30], „ძე ნაკლულოვანი“ [31], ცილისმწამებლებმა და პროფოკატორებმა პასუხი უნდა აგონ [32], და იქვე „რედაქციისაგან“ [33], მრავლისმეტყველი მინაწერით „საქართველოს მწერლების საკადრისი პასუხი“ [34], და ბოლოს – „არა ცილი სწამო!“ [35]. კომუნისტური პრესის დასახასიათებლად არსებობს ასეთი ანეგდოტი-ამერიკელს ეკითხებიან: რა აზრისა ხართ საბჭოთა პრესის შესახებ? – წარმოიდგინეთ ორი პიროვნება სქესობრივი აქტის დროს და შემდეგ წაიკითხეთ თქვენს გაზეთებში მოთავსებული სტატიების სათაურები–პასუხობს ამერიკელი.

რომ გავიგოთ, თუ რა დონის სიბინძურესთან გვაქვს საქმე, აქვე წარმოვაჩენთ ერთ-ერთი ავტორისა და იმ დროისათვის ყველაზე ანგარიშგასაწევი (ორგანიზაციების) დაწესებულებების მიერ გამოხატული პოზიციები. პ.ქართველიშვილი თავის პასკვილში – „ძე ნაკლულოვანი“ ბრალს დებს რა ზოიად გამსახურდიას ყველანაირი გზითა და მეთოდით მამის ქონების უკანონოდ მითვისების მცდელობაში, ბოლოს თავად ახმიანებს საკუთარ ბოროტმზრახველურ მიზანს, ქადაგებს რა მართლაც გაუგონარი უსამართლობის სასარგებლოდ და ასკვნის: „...გვინდა დავსვათ ასეთი საკითხი: რადგან ჩვენს გამოჩენილ მწერალს ულირსი შვილი ძე ნაკლულოვანი აღმოაჩნდა, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი მის მიმართ გამოგვეუწინებინა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 513-ე და 543-ე მუხლები მექავიდრეობის ჩამორთმევის თაობაზე, რომ იგი სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებულიყო?“ [31] – რა შეიძლება ამაზე ითქვას?!.. „ჰომო სოვეტიკუსის“ დირსების შესაბამისი ნააზრევია, – სხვას ვერაფერს იტყვი...

ახლა ვნახოთ როგორ ეხმაურება აღნიშნულ ამბავს მაშინ საქართველოში ერთადერთი საუნივერსიტეტო დაწესებულება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ჩანს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიმ არ დააკმაყოფილა ვაჭიჩახიას პასკვილმა „ცილისმწამებლებმა და პროფოკატორებმა პასუხი უნდა აგონ“ და იქვე გააკეთა მინაწერი „რედაქციისაგან“, რომელშიაც ვკითხულობთ: „გუშინწინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა რექტორატის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული კომიტეტის წევრები, ფაკულტეტის დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები.

დამსწრენი პრესაში გამოქვეყნებულ წერილებთან ერთად გაეცნენ ზვიად გამსახურდიას და მის თანამზრახეველთა ცილისმწამებლური და პროფესიული ხასიათის მასალებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი ზოგიერთი პროფესორისა და მასწავლებლის შესახებ.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს პროფესორმა ზ.ჭარხალაშვილმა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა მ.ლევავეიშვილმა, პრორექტორმა ზ.ფორაქიშვილმა, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ბ.ლუტიძემ, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა მ.ბაჩიაშვილმა, პროფესორმა გ.ხავთასმა, პროფესორმა ი.ვაშაკიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა აკ.სურგულაძემ, დოცენტმა ა.გაჩეჩილაძემ, ეკონომიკური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ა.ბურძგლაძ. სხდომაზე გამოვიდნენ უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი, პროფესორი რ.გორდეზიანი და უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დ.ჩხიკვიშვილი.

თავიანთ გამოსვლებში ყველა ერთხმად გამოსთქმამდა გულისწყრომას და აღშფოთებას იმ აშკარა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის გამო, რასაც ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრები ეწევიან, ეს ვაჟბატონები ადამიანის უფლებების დამცველთა სახელით გამოდიან და თავი ისე მოაქვთ, თითქოს ჰუმანური და მამული-შვილური გრძნობები ამოქმედებლად, სინამდვილეში კი ცილისმებლური და დემაგოგიური გამოხტომებით საკუთარი სამშობლოსა და ერის წინააღმდეგ გამოდიან.

თავიანთ სამარცხვინო ხელნაწერის გამოცემას (ზემოთ აღნიშნულ თვითგამოცემებს გულისხმობენ-უ.ო.) მათ „საქართველოს მოამბე“ შეარქვეს. ეს ფაქტი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ამით დაუპირისპირდნენ მეცნიერებათა აკადემიის ცნობილ გამოცემას, რომელიც მეცნიერთა შრომებსა და გამოკვლევებს აქვეყნებს. „პირდაპირ დაუშვებელი საოცრებაა ამ სახელწოდებით გამოდიოდეს „სამიზდატი“, რომელშიაც ანტისაბჭოთა მასალებია მოცემული და ამავე დროს ყოველგვარი მონაჭორი მეცნიერ მუშაკების ერთი ნაწილის პრესტიჟის ხელყოფის მიზნით.

ზვიად გამსახურდიას მთელი პირადი ცხოვრება იმის მაგალითია, რომ მას მუდამ აკლდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. იგი ყოველთვის რაღაცით უქმაყოფილო და უმაღური იყო... პატივმოყვარეობასა და უპრინციპობას იჩენდა... და ბოლოს ისე დაეცა რომ ცილი დასწამა კოლექტივსა და კოლეგებს“, -აღნიშნავს ეს მართლაც ცილისწამებებისა და პროფესიული საბუღდარი და შემდეგ ჩამოვლის მეცნიერებს, იმ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებსა და მწერლებს, რომლებსაც ზვიად გამსახურდია საბჭოთა საიდუმლო სამსახურის მუშაკებად ასახელებს, და ბოლოს აკეთებს დასკვნას, რომ „დროა საგნებს თავისი სახელი ვუწოდოთ. ზვიად გამსახურდია და მის თანამოაზრეთა მოქმედება სამშობლოს, სოციალიზმის წინააღმ

დეგ მოქმედებად უნდა შეფასდეს და მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული.

ასეთია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი და სახელმოვანი კოლეჯივის წევრთა საერთო აზრი“-[33] რისით აცხადებს კომუნისტური პარტიის ეს ორგანო; მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, როგორც იმ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, კარგად ვიცი, რომ აქ გამოხატული მოსაზრება სრულებითაც არ იყო ამ, მართლაც დიდი და სახელმოვანი კოლეჯივის წევრთა საერთო აზრი, და აქ იყვნენ მართლაც ქართული ეროვნულ სატკივარზე მოფიქრალი პატრიოტები: გივი ქორდანია, დიმიტრი ლეთოდიანი, გია ავალიშვილი, სოსო კვიციანი, დევი კაჭარავა, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები—თამარ ჩხეიძე, გია ჩხილავიშვილი, გელა ნიკოლაიშვილი და სხვები, რომელთაც არავითარი კარიერისტული ქვენა გრძნობები არ ამოძრავებდათ და თავდაუზოგავად რაზმავდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტა—ახალგაზრდობას ეროვნული იდეალების გარშემო.

ხოლო რაც შეეხება სტატიას „არა ცილი დასწამო!“—მისი ავტორები არაფრით ჩამორჩებიან, პირიქით, ზოგჯერ კიდევაც აჭარბებენ ინსინუაციების დონით, მწერალთა კავშირის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თუ ლიტერატურის ინსტიტუტის „სახელმოვანი კოლეჯივებს“, როცა ისინი წერენ: ...“ეს ყველაფრის მკაფიობელი მანიაკები, რომელთაც მამულიშვილობისა და კეთილმორწმუნეობის ნიღაბს ამოფარებული ზვიად გამსახურდია მეთავეობს — თვალთმაქცობენ, ბინძურ ხერხს მიმართავენ, ეროვნული გრძნობების სპეციალისტიას ეწევიან და ნადავლს კი რადიო „თავისუფლების“ და ზოგიერთი უცხოური ჟურნალ—გაზეთის ჰუჭყიან ბაზარზე ეზიდებიან გასასაღებლად... ყველა ქართველისათვის, ვინც ზ.გამსახურდიას ცოტად თუ ბევრად იცნობს, ნათელია, რომ ეს ფსევდოინტელიგენტი ვაჟაბატონი „სიყრმით თვისითგანვე“ გამოუსწორებელი ხულიანი, გვარიანად გაწვრთნილი შანტაჟისტი და პროვოკატორია. მისი მოქმედების მთავარი იარაღია მეტკვიდრეობით დარჩენილი ფული და გარეცხილი სინდისი. ნებივრობაში, უსაქმურობაში გაზრდილი, მამის აგტორიტეტს შეხიზნული, ერისა და ეკლესიის ცრუ პატრიოტი...— ამბობენ ისინი და ბინძურ სარკაზმებს არ იშურებენ ზვიად გამსახურდიასა და მის თანამგრძნობითა განსაქიქებლად, შემდეგ კი იქვე განაგრძობენ: ....საოცარია, საქართველოს ეკლესიის „განახლების“ აზრს გადამთიელთა საზოგადოებრიობა წყვეტდეს... ვინ ჩამოართვა მორწმუნე ქართველს ერს საქართველოს ეკლესიაზე ზრუნვის უფლება, რომ მასზე ფიქრით ოკეანესგადმალები „იტვირთავენ“ თავს?“ — კითხულობენ ისინი და თვითონვე პასუხობენ, — „ალბათ გამსახურდიასა და ფაილობის მრევლად წოდებულმა მ.კოსტავამ და ს.კაჭარავამ, ეკლესიას რომ „ჭირისუფლობენ“, და თავიანთ „მოძღვრებთან“ ერთად სხვათა ხელით ნართის გლეჯის ნაცად ხერხზე გადადიან“... და სხვა. დასკვნის სახით კი აღნიშნავენ: „საქართველოს ეკლესია

ჯერ არ დაცემული და არც არსოდეს დამდაბლდება ისე, რომ ვიღაც პარანოიაქების დაცვა და მხარში ამოღგომა დასჭირდეს მას...“ და ბოლოს სახელოვან წინაპართა სიტყვებით ასე ამთავრებენ: „არა საღა გეცრუვნოთ შენ სიწმინდით მშობელო კათოლიკე ეპლესიაო, არცა განგცეო შენ სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომელსა არა განმცებელ ვქმნილვართ! იყავნ, იყავნ!“ [35].

თუ რამდენად პასუხობს თვით მოცემული წერილი თუნდაც ამ დაბოლოებაში გამოხატულ ქრისტიანულ-მართმადიდებლურ კრედოს და უფლის ჩვენდამი, მოკვდავთადმი განკუთვნილ სწავლებას,-„არა მოიღო სახელი ჩემი ამაოსა ზედა“,—ამის განსჯა სჯულის მეცნიერთ მივანდოთ, მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ასეთ შემთხვევებში რაოდენი სიფრთხილე და წინდახედულება მართებთ ერის სულიერ მოძღვართ... და ამას ვერაფერს უშველის თითქმის 33 წლით დაგვიანებული მონანიება-აღიარება, რომ „როგორც ყოფილმა მდვდელომთავარმა, არ შემიძლია ვთქვა, რომ ზვიად გამსახურდია იყო ერთ-ერთი უგანათლებულები და ღრმად ეროვნული ცნობიერების მატარებელი პიროვნება, რომლის ინტელექტიცა და სამშობლოს სიყვარულის მუხტი ძლიერ სჭირდება დღეს საქართველოს“... [36]. მით უმეტეს, თუ ისიც კარგად უწყი, რომ „...ეკლესიაშ ვერ შესძლო და არ შესწევდა საამისო ძალა და უნარი, და, რა თქმა უნდა ნება, რომ დაპირისპირებოდა საბჭოური იდეოლოგის იმ უზარმაზარ ურჩეულს, რომლის არაერთგზის მსხვერპლიც თავად გამხდარა 1921 წლიდან მოყოლებული“... [იქვე] –ზემოთ მოყვანილი წერილის მსგავს რაღაცაზე ხელი არ უნდა მოაწერო.

პრესის მიერ განხორციელებული ამგვარი „ბომბარდირების“ შემდეგ დაიწყო საყოველთაო შეტევა ქართულ საბჭოთა სინამდვილეში გაჭიატებული განსხვავებული აზრის მატარებელი პლაცდარმის გასანადგურებლად. 1977 წლის 1 აპრილს საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირში შეიკრიბა მისი პრეზიდიუმის სხდომა, რომლის შესახებ მეორე დღეს გაზეთი „პომუნისტი“ იტყობინებოდა: „გუშინ, 1 აპრილს მწერალთა სასახლეში შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი მწერალთა კავშირის წევრის, ზ.კაგამსახურდიას საბჭოთა მწერლისათვის შეუფერებელი საქმიანობის შესახებ.“

საკითხის განხილვისას სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: გ.აბაშიძე, ი.აბაშიძე, გ.ასათიანი, ხ.ბერულავა, ა.გომიაშვილი, ნ.დუმბაძე, ი.თარბა, ა.კალანდაძე, კ.კალაძე, მ.ლებანიძე, რ.მარგიანი, კ.მარგივი, ე.მაღრაძე, ვ.მერკვილაძე, გ.ნატროშვილი, შ.ნიშნიანიძე, ი.ნონეშვილი, გ.ჟორჟოლიანი, ა.სულაკაური, გ.ფანჯიგიძე, მ.ფოცხიშვილი, დ.შენგელია, გ.ციციშვილი, ვ.ჭელიძე, ს.ჭილაია, თჭილაძე, ფ.ხალვაში, რ.ჯაფარიძე. მათ ერთსულოვნად დაგმეს ზ.გამსახურდიას საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის სახელთან შეუთავსებელი საქციელი.

პრეზიდიუმმა ერთხმად გარიცხა ის სსრკ მწერალთა კავშირის რიგებიდან (საქინფორმი)“ [34].

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის აღნიშნული სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში ასეთი მრავლისმეტყველი სურათით მთავრდება:

თავმჯდომარე (გრ.აბაშიძე-უ.ო.)-„ნუ ჩამაყენებთ ბრალმდებლისა და მოსამართლის როლში. ჩვენ მოვუსმინეთ აქ გამოთქმულ აზრებს. თუ მართლა ზვიადი დაამტკიცებს, რომ არავითარი ურთიერთობა არა აქვს, ჩვენ გვეტყვიან და აღვადგენთ ისე, რომ წასული არ იქნება მისი გარიცხვა, ეს იქნება ჩვენთვის დიდად სასახელო და ჩვენი ყველას რეაბილიტაცია. განა მარტო ზვიადი, არამედ მთელი ორგანიზაციაა უხერხულ მდგომარეობაში. ვის გაუხარდება ეს. ხვალვე დავარდგვეთ ამ დადგენილებას, ოდონდ დაამტკიცეთ. როგორ გეხადრებათ?!

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი კავშირის წევრისათვის ეს შეუთავსებელია და შენ თვითონ უნდა დაასაბუთო შენი სიმართლე. შენ ვერავერი სთქვი.

კენჭისყრა მაინც უნდა მოხდეს. ფორმალურად ხომ უნდა ვუყაროთ კენჭი იმას, რაც აქ ითქვა.

რ.ჯაფარიძე-არ უნდა კენჭისყრა.

თავმჯდომარე-ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელიც თქვენ სთქვით?... არ არის კენჭისყრა საჭირო?... ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელსაც ყველა აწერს ხელს?

ი.აბაშიძე-რომ გაირიცხოს?!

თავმჯდომარე-ვინ არის მომხრე რომ გაირიცხოს? გთხოვთ ასწიოთ ხელი, გთხოვთ დაუშვათ, ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. მაშასადამე წინადადება მიღებულია ერთხმად... [37].

როგორც ჩანს წინასწარ საქმის განხილვამდე მოუწერიათ ხელი ზაგამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვაზე ... ვერაფერს იტყვი, მართლაც შთამბეჭდავი გამოხსატულებაა საბჭოთა მწერლის ზნეობრივი სახის. ამგვარად დაასაჭურისა საბჭოთა სინამდვილემ მწერლის ის დვოთაებრივი დანიშნულება, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ XIX საუგუნეში აღნიშნავდნენ საქართველოში-„მე ერი მზრდის და ცა მნიშნავს“-ო... ხოლო ერის რა წინამდღოლობას იკისრებდა ამგვარად კასტრირებული ქართული საბჭოთა მწერლობა, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ... და რა გასაკვირია, რომ ასეთ სიბინძურები მონაწილეობის შემდეგ ისინი შიშით შესცეკროდნენ ზვიად გამსახურდიას გახელისუფლებას, ხოლო საქართველოს ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლის შემდეგ ძილი და მოსვენება დაუგარგა მათ შესაძლო შერისგებაზე ფიქრმა. ასე რომ, ქართველ მწერალთა ამ ნაწილის დაუნდობელი მტრობა ზვიად გამსახურდიას მიმართ, ზემოთ აღნიშნულ უმსგავსობებში მათი ნებაყოფლობითი მონაწილეობისათვის მხილებისა და მის მიერ მოსალოდნელი შურისგების შიშითაც იყო ნასაზრდოები (კოკასა შიგან რაცა სდგას...).

ყოველივე ზემოთ ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, აი, ეს არის, მართლაც, საბჭოთა მწერლების საკადრისი პასუხი, რომელსაც მხარში ამოუდგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართულ ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტიც, რომლის 1977 წლის 5 აპრილის გაფართოებული სხდომის ოქმში აღნიშნულია—„ესწრებოდნენ: ა.ბარამიძე, გ.გვერდწითელი, მ.დუდუხავა, ი.ბოგომოლოვი, გ.იმედაშვილი, დ.ლაშქარაძე, ი.ლოლაშვილი, გ.მერკვილაძე, ს.ყუბანეიშვილი, მ.ჩიქოვანი, ს.ცაიშვილი, გ.ციციშვილი, მ.მახათაძე, ჯ.ბარდაველიძე, ნ.ჭოლოკავა, თ.დოიაშვილი, მ.გუგუშვილი, ი.მეგრელიძე, დ.თევზაძე, რ.ბარამიძე, ამათ გარდა სხდომას ესწრებოდნენ ქველი ქართული მწერლობის, რუსთაველოლოგიისა და საზღვარგარეთის ხალხებთან ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების თანამშრომლები. სხდომაზე გამოძახებული იყვნენ ზვიად გამსახურდია და ირაკლი ქვემოშვილი.

დღის წესრიგი: ინსტიტუტის თანამშრომლების ზვიად გამსახურდიასა და ირაკლი ქვემოშვილის საბჭოთა მეცნიერებისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხილვა [38]. აღნიშნული სხდომის შესახებ პრესაში გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაცია: „5 აპრილს შედგა შრუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს ინსტიტუტის თანამშრომლების ზვიად გამსახურდიასა და ირაკლი ქვემოშვილის საბჭოთა მეცნიერებისათვის შეუფერებელი საქმიანობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალბარამიძე, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა: პარტორგანიზაციის მდივანმა ნ.ჭოლოკავამ, პროფესორებმა გ.იმედაშვილმა, გ.ციციშვილმა, მ.ჩიქოვანმა, მ.დუდუხავამ, გ.მეგრელიძემ, ი.ლოლაშვილმა, ს.ცაიშვილმა, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ გ.გვერდწითელმა“ [იქვე].

საქინოორმის ცნობაში სრულიად იგნორირებულია ამავე სხდომაზე ლია ანდღულაძის მიერ გამოთქმული ერთადერთი საღი აზრი, რომ „ის საკითხები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას აწუხებს, ყველა ჩვენგანს აღელვებს. მასსოებს, როგორ აგვაღელვა ჩვენ (მიმართავს გ.იმედაშვილს) X საუკუნის გუმბათიანი ტაძრის კუმურდოს—ნანგრევების ხილვამ, მისმა საგალალო მდგომარეობამ.“

ზვიად გამსახურდიას, სათანადო განათლებასთან ერთად, გვარიც შველოდა, რომ ამ საკითხებზე ზრუნვა გაბედულად გამოეხატა და, როგორც თვითონ განაცხადა, არაერთგზის მიემართა სათანადო დაწესებულებებისათვის.

ჩემი წარმოდგენა ზვიადის განათლებაზე რამდენადმე სხვაა. აქ მსჯელობენ მის ნაკლოვანებაზე, მაგრამ არაფერს ამბობენ მის დადებით მხარეებზე. შინაგანად მჯერა, რომ ზვიად გამსახურდიდ თვის ცოდნას, მამისეულ შემართებას და დედის კეთილშობილებას

ჩვენი ქვენის სამსახურს მოახმარს“... [იქვე, გვ. 35–36]–და „სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაგმო ზ.გამსახურდიასა და ი.კენჭოშვილის მოქმედებანი. საბჭომ მოუწოდა ამ გზააბნეულ თანამშრომლებს დაუფიქრდნენ, ვიდრე გვიან არ არის, თავიანთ საქციელს, ხელი აიღო საბჭოთა მეცნიერებისათვის შეუფერებელი ნაბიჯების გადადგისაგან, შეწყვიტონ თვითმარქია ურნალების გამოცემა და ცილისმწამებლური განცხადებებისა და წერილების პუბლიკაცია, აქტიურად ჩაებან ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პატიოსანი საქმით აღიდგინონ მეცნიერ–მოქალაქის და ნამდვილი პატრიოტის საპატიო სახელი“ [იქვე, გვ. 41]. აი, სამწუხაროდ, ასეთი იყო ამ „მეცნიერ–მოქალაქებისა“ და „ნამდვილი პატრიოტების საპატიო სახე“. ხოლო ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანამოაზრებმა გააგრძელეს რა თავიანთი გზა, იგი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის მესამირკვლე და მისი პირველი პრეზიდენტი გახდა.

საქმის ამგვარი მეთოდებით შემზადების შემდეგ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა 1977 წლის 7 აპრილს დააპატიმრეს. საქმე №131 აღიძრა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ანტისაბჭოთა აგიტაცია–პროპაგანდას ითვალისწინებდა. საქმის წარმოება მიმდინარეობდა თითქმის ერთ წელიწადს და 1978 წლის 7 მარტს დასრულდა.

ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე–გამსახურდია იგონებს, რომ „დაპატიმრებისთანავე სუპ–ის თანამშრომლებმა პროკურორის სანქციის გარეშე დაიწყეს ოჯახებში შემოჭრა ჩხრეკის ჩასატარებლად. ჩხრეკა ერთდროულად მიმდინარეობდა მერაბ კოსტავას ბინაზე ჯავახისშვილის ქუჩა №1 და გალის ქუჩა №16 „კოლხურ კოშკში“... ჩემი დის ლედა არჩვაძის კუთვნილ ბინაზე ვახტანგ ჩიქოვანის №28–ში მიმდინარეობდა ჩხრეკა... სუკი მოქმედებდა თავისუფლად. ოჯახებიდან მათვის უშუალოდ საინტერესო მასალების გარდა გატანილი იქნა პგამსახურდიას ხელნაწერები და ნივთები, რომელთა დაბრუნება ვეღარ შევძელით“...[39] ამუშავდა საბჭოთა დეზინფორმაციისა და ცილისწამების მთელი მანქანა, პატიმრებზე სხვადასხვა ფორმით ზეწოლის რთული მექანიზმებითურთ, რის გამოც პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. მათ მიმართ გამოყენებული იქნა საბჭოთა უშიშროების სისტემის მიერ კარგად დამუშავებული ურჩი პატიმრების ფსიქიატრულ საავადმყოფოში მოთავსების პრაქტიკაც. მერაბ კოსტავა მოთავსებს ორთაჭალის ციხის ფსიქიატრულ განყოფილებაში. ზვიად გამსახურდია კი ჯერ მოსკოვში, სუპ–ის დეფორტოვის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ კი სერბეკის სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში. ამავე პერიოდში პონოლულუში მიმდინარე მსოფლიო ფსიქიატრების კონფერენციამ სასტიკად დაგმო საბჭოთა ფსიქიატრიაში გამოყენებული პოლიტიკური პატიმრების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში წამების პრაქტიკა და სსრ კავშირი გარიცხა მსოფლიო ფსიქიატრიული ასო-

ციაციიდან. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისა და ფსიქიატრების ზეწოლის შედეგად მოხერხდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან გამოხსნა 1977 წლის დეკემბერში „საბჭოთა ფსიქიატრებისაგან“ დაკომპლექტებულმა „კომისიამ“ ისინი ფსიქიურად ჯანმრთელად ცნო [იქვე, გვ.9].

ამავდროულად, 1977 წელს სსრ კავშირში დააპატიმრეს ჰელსინკის ხელშეკრულებათა საშემსრულებლო ჯიფის ორმოცამდე წევრი. აშშ კონგრესმა პატიმრების ფიზიკურად გადარჩენის მიზნით ისინი ნობელის პრემიაზე წარადგინა. მათ შორის იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

1978 წლის 18–19 მაისს ჩატარდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სასამართლო პროცესი, რომელმაც „ბრალდებულთ“ გამოუტანა „განაჩენი“ 3 წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმრობა და 2 წელი გადასახლება. ზვიადი სასჯელს იხდიდა ნოდაის სტეპში დაბა კოჩუბეიში, ხოლო მერაბი–პერმის ოლქში, ხოლო რაც შეეხება საბჭოთა უშიშროების კომიტეტის სპეცსამსახურების მიერ ინცინირებულ ზვიად გამსახურდიას ე.წ. მონანიებას, ამის შესახებ ჩვენ ნაშრომში [40] უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ აქ საჭიროდ ვცანით მოგვეტანა აღნიშნულ საკითხზე „მერაბ კოსტავას განცხადება“ რომელშიც ის ამბობს: „... მსურს აღვნიშნო, რომ ჩემზე უკეთ არავინ იცის სიმართლე ამ ყველაფერზე, რადგან მთელი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი ჩვენი საქმის მსვლელობას, სასამართლო სხდომების დროს ხშირად ვხვდებოდი ზეგამსახურდიას და ვიცი ყოველი დეტალი იმ სასამართლო საქმისა, რომელიც 56 ტომისაგან შედგებოდა.

სასამართლოზე ზეგამსახურდიას არ მოუნანიებია მისი უმთავრესი საქმიანობა, უარი არ უთქვამს იმ პატრიოტულ წერილებზე, რომლებიც ეხებოდა ქართულ ეკლესიას, ჩვენს ენას, კულტურის ძეგლებს და ჰელსინკის კავშირის განცხადებებს. უფრო მეტიც სასამართლოზე მან კიდევ ერთხელ მოითხოვა იმ მოთხოვნათა შესრულება, რომელიც ეხებოდა აღნიშნულ საკითხებს და სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ მათი ნაწილი გაითვალისწინა კიდეც ხელისუფლებამ... სასამართლოზე ჩემი უკომპრომისო (მე არ ვაღიარე თავი დამნაშავედ) და ზეგამსახურდიას ნაწილობრივ კომპრომისული პოზიცია იყო ჩვენი წინასწარმოლაპარაკების შედეგი, გარდა ამისა შევთანხმდით იმაზეც, რომ გადასახლების დროს ის დაწერდა ხსოვნას გათავისუფლებაზე და ჩემზე ადრე დაბრუნდებოდა საქართველოში, რაც აუცილებელი იყო ჩვენი საერთო საქმისათვის, რათა მას მოეხდინა ჩვენი მოძრაობის მობილიზაცია და ებრძოლა ჩვენი მოთხოვნების შესასრულებლად. მსურს აღვნიშნო, რომ ზვიადმა მართლაც შეასრულა ეს ყველაფერი და გათავისუფლების შემდეგ კვლავაც აგრძელებს ეროვნულ მოღვაწეობას.

მე არა მხოლოდ ვამართლებ მის ასეთ საქციელს, არამედ მიგოჩევ, რომ იმ სიტუაციაში ეს იყო აუცილებელი ნაბიჯი. აქვე

დავსძენ, რომ სასამართლოზე ზვიადს არ დაუსახელებია არც ერთი პიროვნება და მის გამო არავინ დაუბარებიათ დასაკითხად „სუქში“.

ის სამშობლოსათვის ყოველთვის სწირავდა საკუთარ სიცოცხლეს და ამ აუცილებელი ნაბიჯითაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო“... [41] მათი მეგობრობის შესახებ კი მერაბ კოსტავა 1989 წლის 31 მარტს შენიშვნავდა: „ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ ვერ შეძლო, ეს არასოდეს მოხდება, მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს, ეს კი უკავ ქვეყნის დანგრევას უდრის“ [ოქროს საწმისი, იქვე, გვ. 9].

ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ მთელი თავიანთი ცხოვრებითა და მოწამეობრივი აღსასრულით დამტკიცეს როგორც ერთმანეთისადმი, ასევე იმ იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულება, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლასაც ისინი შეეწირნენ. ხოლო სასამართლო პროცესი, რომელიც მათ საბჭოთა რეჟიმმა და მისმა ერთგულმა ლაქიებმა მოუწყვეს. დარჩება როგორც ამ ანტიუმანური სისტემის უმახინჯესი შინაარსის გამომხატველი კიდევ ერთი მონუმენტი, რომელიც მათ საკუთარ თავსა და საქმეებს დაუდგეს. საქმემან შენმან გამოგაჩინოს,—იტყოდა ქართველთა ბრძენი წინაპარი,—და ჩვენც ვერავის ვერაფერს ვუშველით, თუ თქვენი საქმეები ამგვარ საძრახის სურათს ქმნიან. მაგრამ ამგვარ საქმეთა წარმოჩენით ვცდილობთ მომავალ თაობას მაინც ვუწვენოთ ხაზი, რომელიც გადის არარაობრივ არსებობასა და მარადისობას შორის... არჩევანი თქვენზეა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.არჩგაძე—გამსახურდია, ოქროს საწმისი (ქართული თვითგამოცემა 30 წლისათვის), გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2006  
ა. ურნ. „ოქროს საწმისი“, №1, 1975 (მაისი)  
ბ. ურნ. „ოქროს საწმისი“, №2, 1975 (ივნისი)  
გ. ურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976  
დ. ურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976
2. გ.ჯაბაშანური, ინვექტივა-მონუმენტი, ურნ. „ოქროს საწმისი“, №1, 1975
3. ლ.ქართველი, სიტყვა ერისადმი, უკანასკნელი ცრემლი, ურნ. „ოქროს საწმისი“, №1, 1975
4. ივჯაგახიშვილი, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, . „ოქროს საწმისი“, იქვე.
5. 6.წულებიკორი, ნუ დავივიწყებოთ მშობლიურ ენას, (სიტყვა წარმოთქმული ე-შევარდნაძესთან შეხვედრის დროს, მწერალთა კავშირში“, ურნ. „ოქროს საწმისი. იქვე
6. ზვიად გამსახურდია, გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი, ურნ. „ოქროს საწმისი, №1, 1975

7. მერაბ ქოსტავა, გურამ რჩეულიშვილი, იქვე
8. გ-გამყრელიძე, „გლეხი ჩეროში“, „როსინანტი“, ჟურნ. „ოქროს საწმისი, №2, 1975
9. კ-გამსახურდია, ველიქორუსები და არარუსები, გაზ. „სახალხო საქმე“, №25, 1917, 13 აგვისტო (ოქროს საწმისი, გვ. 190–194)
10. კ-გამსახურდია, დია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი (ოქროს საწმისი, გვ. 195–199)
11. კ-გამსახურდია, პასუხი, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, №62, მაისის 15, 1921 წ. გვ. 1–2 (ოქროს საწმისი, გვ. 200–205)
12. კ-გამსახურდია, ვინ არის შოვინისტი“, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, №72, 1921 წ. მაისის 28, გვ.1–2 (ოქროს საწმისი, გვ. 205–209)
13. მ-აბაშიძე, მონა დვითისა და მონა ერისა, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976 (ოქროს საწმისი, 265–284)
14. ს-ცვაიგი, წინასიტყვა „გველის პერანგისა“, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, გვ. 287–288)
15. კ-გამსახურდია, ქართველ მწერალთა კონფერენციაზე, გაზ. „საპხალეო საქმე“, № 77, 19127, 15 ოქტომბერი, გვ. 3 (ოქროს საწმისი, 289–292)
16. კ-გამსახურდია, გაორებული საქართველო, გაზ. „სახალხო ფურცელი“, №828, 1917, 11 აპრილი (ოქროს საწმისი, 295–297)
17. კ-გამსახურდია, წერილი პატიმარი პოეტისადმი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 297–298)
18. სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობის სტენოგრამა, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 298–307)
19. საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 313–315)
20. გალაპეტიონ ტაბიძე, საქართველო, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 316)
21. ვაჟა-ფშაველა, სოციალ-დემოკრატისადმი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 317)
22. იოსებ გრიშაშვილი, „ახალ ხელისუფლებას“, „ოცდახუთი თებერვალი“, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ.318)
23. პ-დიდებულიძე, ლექსები, „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 21)
24. გ-ამადლობელი, ლექსები, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 339–
25. ო-მაისურაძე, ლექსები, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 345)
26. ადამ ბობდიაშვილი, ლექსები, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4,, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 352–364)
27. ზვიად გამსახურდია, დია წერილი საქართველოს მწერალთა VIII ყრილობის პრეზიდიუმისაგან, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 400–406)
28. მერაბ ქოსტავა, გამოსათხოვარი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4176, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 407–415)
29. ვის აძლევს ხელი?, გაზ. „კომუნისტი“, №68 (16805), 1977, 23 მარტი
30. მოღალატე ფარისევლები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №27, 1977, 28 მარტი
31. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტი გაიოზი, წილქნელი, მცხეთის სახულიერო სემინარის რექტორი გაისკოპოს გიორგი, ალავერდელი, 17, III 77 წ. ობილის

32. ვაჭახახია, ცილისმწამებლებსა და პროვოკატორებმა პასუხი უნდა აგონ, გაზ. „კომუნისტი“, №76 (16813), 1977, 1 აპრილი
33. რედაქციისაგან, იქვე
34. საქართველოს მწერლების საკადრისი პასუხი, გაზ. „კომუნისტი“, №77 (16814), 1977, 2 აპრილი
35. არა ცილი სწამო!, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტი გაიოზი, წილკნელი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი, 17. III, 77 წ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №14 (2065), 1977 1 აპრილი
36. გ.კერატიშვილი, მითი და სინამდვილე, გაზ. „ასავალ-დასაგალი“, №1 (797), 2009, 28 დეკემბერი-2010, 10 იანვარი, გვ. 2-18
37. სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა, ოქროს საწმისი, თბ., 2006, გვ. 13-28
38. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომის ოქმი, ოქროს საწმისი, 2006, გვ. 31-40
39. ოქროს საწმისი, იქვე, გვ. 8-9
40. უნა ოქროპირიძე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე პერიოდი და აჭარა (1988.X-1994.I.III), გვ. 22-23
41. სოფიო დლონტი, ზვიად გამსახურდიას ქრისტიანული მრწამხი („მერაბ კოსტავას განცხადება“), , თბ., 2007, გვ. 41-42.

## **Уча Окропиридзе**

### **К истории судебного процесса Звиада Гамсахурдия и Мераба Костава**

#### **Резюме**

В работе проанализированы предпосылки, которые предшествовали судебному процессу Звиада Гамсахурдия и Мераба Костава. Усиление диссидентского движения в Грузии в начале 70-ых годов прошлого столетия и начало выпуска «самиздатов», в виде Журналов «Окрос Сацмиси» (Золотое Руно) и «Сакавтвелос Моамбе» (Вестник Грузии), в которых публиковались запрещенные или информированные в СССР авторы, ихные произведения и неопубликованные сочинения некоторых известных классиков. Журнал «Сакартвелос Моамбе» имел чисто политический характер и в нём были представлены, материалы и статьи антисоветского содержания, а также письма разоблачившие красную интеллигенцию, которые очень раздражала её. По этому сперва последовала беспощадная компания в процессе и в информационных средствах, в рабочих коллективах против Звиада Гамсахурдия и Мераба Костава, а потом их арест и судебный процесс.

## სიმონ გოგიტიძე

### ქაშჩური სახელმოღვაწი და მათი ფარმაცევტობა

ტოპონიმები და ანთროპონიმები, რომლებიც ქაშქებს ჰქონდათ დაახლოებით 3,5-3 ათასი წლის წინ (მაგ: ტიბია, ფითაურია, ფათალია, ფატანა, ციანა, დადა, თუთუ, დადილუ, თათილი, ქანუ, ქასუ, თახანი, მუთა, ფიფია, შარია, თურია, ქუქავა, ფასავა, გახარია, ხარია, ფაცია, ფაია, ლითა, ნუნუ, თალი, ვაშა და ა.შ.), ყველა მათგანი დადასტურებას პოულობს ქართველურ ისტორიულ წყაროებსა და თანამედროვე საქართველოში ზუსტად ასეთივე ფორმებით. საქართველოში, უფრო კი სამეგრელოში, შეიძლება შეხვდეთ მრავალ ასეთ ადამიანს სახელითა და გვარით, როგორიც იყო ქაშქურ სამყაროში, მაგალითად: თახაშ თურია, თათაშ თურია, თახან თარია, ცითა ხარია, ქათი ხარია, ვაშა ხარია, ვაშ ხაია, ასხარ ფაია, თულ (თალ) მალია, ის ქურუხა და ა.შ. ყველა მათგანის სემანტიკა გაიგება ქართველური ენების საფუძველზე. ამავე სახელწოდებებში გამოყოფილი სუფიქსები – შქა, ლია, ია, ვა, ცია, ენ, ელ, ფა, იან, ხა, ქი, შა) ძირითადად ახასიათებთ მეგრულ-ლაზურ, ნაწილობრივ საკუთრივ ქართულსა და სვანურ (ჭანურ-ხალდურ) ენებს.

რაც შექება ტერმინებს ქაშქებსა და აბეშლას, ისინიც ქართველურია. ქაშქაია ნიშნავს ქას შვილებს. ქა ადამიანის საკუთარი სახელია, შქუა შვილი, შთამომავლობა, ხოლო ია მეგრული გვარების მწარმოებელი. მეგრული გვარებია – ქაშია, კაშია, ქაშაკია, რაც იგივე ქაშაიაა. ასეთ შემთხვევაში ქა და შაკა პირსახელებია. თუმცა შესაძლებელია ტერმინში გამოიყოს ქაშ – პირსახელი, ქა ადამიანის საკუთარი სახელი ან ქვეყანა. ჩვენი სხვა ვერსიით, კაშკა უნდა უკავშირდებოდეს მცირეაზიულ მთვარის ღმერთს კაშკა, რომელიც ქართულ სიტყვასთან კაშკაშ-თანაა დაკავშირებული [ს. გოგიტიძე, 2009: 159-169].

ტერმინი აბეშლა უნდა დაიყოს: აბეშ-ლა (სადაც აბეშ – მეგრულია – ამბავი, ლა სუფიქსი), ან აბე-შ-ლა (აბე-პირსახელია, შ-კუთვნილებითი სუფიქსი), ან კიდევ აბე-შილი (სადაც აბე და შილი საკუთარი სახელებია). ამრიგად, სახელწოდება აბეშლა ნიშნავს აბეს შვილების ქვეყანა, ან ქვეყნის მამამთავარია აბეშილი/აბეშლა [ს. გოგიტიძე, 2008: 38-52].

#### შარია

სახელწოდება სვანურ ენაში პოულობს ახსნას, თუმცა წარმომავლობით მეგრული ჩანს. ტერმინში უნდა გამოიყოს შარ, რაც ფართო ზოლს ნიშნავს, შარა-ზოლებიანი [ვ. თოფურია, 2000: 811, 812]. ია კი ჩვეულებრივი ქართველური სუფიქსია, რომელიც აწარ-

მოებს მეგრულ-ლაზურ წარმომავლობის გვარებს: გვაზაბია, ქიშმარია, ქორქია, ალანია, შენგელია, თარია და სხვა მრავალი. ურარტუს ტერიტორიაზე არსებობდა ია მაწარმოებლით გაფორმებული ტოპონიმები: ბარაია, რაც მეგრულში სწორს თანაბარს ნიშნავს [გ. ელიავა, 1997: 28-29], კალამია, კალამ-ბოტანიკური შალაფა, კალამი-ხის მრგვალი თევზი დგინის დასალევად და კალამი-ბალის დერო, დეროს ნარჩენები ყანაში [ო. ქაჯაია, 2002: 102-103].

შარია-მეგრული გვარია. საქართველოში გავრცელებულია მსგავსი ელემენტებით გვარები: ბაბა-შარია, ოდი-შარია, შარ-ტავა და სხვა. ქართული გვარებია-შარაძე, ბა-შარა-ელ-ი, ბა-შარაძე, შარაბიძე, შარაშიძე, შარაშენიძე და ა.შ.

ქართულში შარი-შარიანი-შარის მომდებს, შარის მოყვარულს, ჩხუბს, კამათს აღნიშნავს [ქართული ... ტ. VII: 630]. შარ სუფიქსი მეგრულში აღნიშნავს წარმომავალს, მაგალითად ბაბაშარი-ბაბას შტამომავალი [ო. ქაჯაია, 2002: 241], მსგავსადაა ნაწარმოები – ბაბუშარია, ოდიშარია და სხვები. სვანურ წერილობით ძეგლებში დადასტურებული გვარი ოდიშარი-ოდიშიდან მოსულს ნიშნავს. ქართველურ ენებში (საკუთრივ ქართულსა და მეგრულში) შარაბზას, შარაგზას ნიშნავს. საქართველოში როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვედ გავრცელებულია მსგავს მაწარმოებლიანი ტოპონიმები შარაულა (ტაო-კლარჯეთში), შორაპანი (იმერეთში), შარისპირი (ჯურულეთი), უშარნი და ა.შ.

სვანურ წერილობით ძეგლები დასტურდება მსგავსი წარმომავლობის გვარსახელები: ელაშარ, ვედშარ, შარალანი, ოდიშარი, უედშარი [სვანეთის ... 1988: 507, 509, 545], ისტორიული გვარია შარიანი [გ. გასვიანი, 1973: 276]. შედარებისათვის მოვიტანოთ მეგრული გვარი შარია, სახელი შარია, შარუ, შარა, შარინა. არის ქაშქური სახელი თუ გვარი შარია, რომელიც ქაშქებში ტოპონიმად ქცეულა. სამეგრელოში გვაქვს ტოპონიმები: შქა სამარგალოშ შარა (სოფ. ახალსოფელი), შქა სამარგალოშ შარა (სოფ. ინგირი), ყალიჩაშ შარა (იქვე), თემშარა (სოფ. კახათი), საშარაშიო (სოფ. ხურჩა), შარუშ ნოხორი (სოფ. ოდიში), შარაგიმალ (სოფ. ჯიხასგარი) და სხვა [პ. ცხადაია, 2007: 88, 151, 159, 175, 217].

შარი აქადურში მეფეს ნიშნავდა. ცნობილია, ისიც, რომ ძველი შუამდინარეთი სვანური და მეგრული ტომების, ე.ი. ძველი ქართული სამყარო იყო. იქნებ მსგავს ტერმინებს შარ-შარი-შარია მსგავსი წარმომავლობა ჰქონდათ. ს. ბადას მიხედვით, შარა (რომელიც გამოიყოფა ქართულ გვარებში შარვაშიძე, შარაშია) არის ქვედა მესოპოტამიის სამხრეთში, ე. ი. შუმერში ქალაქ-სახელმწიფოს “უშმას” მფარველი ღვთაების სახელი (ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ., 2006, გვ. 326-327). ამრიგად, შარ-შარია მეგრული წარმომავლობის ტერმინი უნდა იყოს და აღნიშნავს წარმომავალს. თუმცა გამორიცხული არაა შარა ადამიანის საკუთარ სახელი ან ღვთაების სახელი იყოს, შარია კი შარას შვილებს, შთამომავლობას

უნდა ნიშნავდეს. ქალაქი შარია შესაძლებელია დგომება შარას სახელზე აგებული იყოს, ან შარიას მიერ დაარსებული.

### თალიფაცია

თალიფაცია, როგორც ჩანს, მეგრული წარმომავლობისაა, თუმცა იგი აისხება სვანური ენის გამოყენებითაც. სვანურში თალიფა ნიშნავს წამწამს, თუ ნამდვილად ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები ტოპონიმის სახელწოდება, მაშინ თალიფაცია უნდა აისხას, როგორც განსაკუთრებული წამწამის მქონე ხალხის სამოსახლო. აღნიშნული ტერმინის ახსნის სხვა ვარიანტიც მოიპოვება სვანურ ენაში. თუკი იგი კომპოზიტს წარმოადგენს, შეიძლება დაიყოს ორ კომპონენტად თალი-ფაცია. თალ ნიშნავს სოლს [ვ. თოფურია, 2000: 256]. ფაცია კი სვანურ წერილობით ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელად გვევლინება [სვანეთის ... 1988: 104, 546]. თუ ეს ასეა, მაშინ საკვლევი ტერმინი აისხება როგორც ფაციას სოლი, ან ფაციას სოლის ადგილი, სამოსახლო. როგორც ჩანს ასეთი სახელი იმის გამო დაერქვა პუნქტს, რომ ამ ადგილს ერთ დროს ფაცია აწარმოებდა თავის სპილენძის თუ ხის სოლებს. საქართველოში რამდენიმე სოფელია ამ სახელით. ბოლნისის ხეობის, თრიალეთისა და ენისელის აღწერაში შეტანილია სოფლები თალას სახელით [ი. ბაგრატიონი, 1986: 48, 56, 72].

ქართული ენის მონაცემების მიხედვით, სახელწოდება შეიძლება აისხას შემდეგნაირად: კომპოზიტის პირველი ნაწილი თალი შეიძლება იყო ადამიანის საკუთარი სახელი თალი-თალიკო. თალი-იგივე ბარდანაა [ნ. ჩუბინაშვილი, 1961: 229], ხოლო მეორე ფაცია შეიძლება იყოს ფაცია (ძლივს, ცოტი), ან ფაჩუა (პატარა) [ქართული ... 1984: 537, 538]. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თალი-ფაცია იყოს რთული შემადგენლობის საკუთარი სახელი, როგორიც ტიგლათვილესერი, თუქულონინურთა, თუთხალია, თურმანი, არდაშელი, პირიმზე, თინათინი და ა.შ. თავად ხეთურ წარწერებში მოგვეპოვება ისეთი სახელწოდები, რომ საკვლევი ტერმინის პირველი ან მეორე ელემენტი იყოს ამა თუ იმ გეოგრაფიული ერთეულის ან საკუთარი სახელის შემადგენლობაში, მაგალითად: ფიგა-ფაცუი, თალ-მალია, ფაცი-მ[...], ფაცი-ცი, ხეთური დვთაებათა პანთეონიდან ხაფან-თალია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში არაერთი ადამიანი შეგვხვდებათ ამ სახელისა და გვარის მქონე. თალი საკუთარი სახელია, ხოლო ფაცია მეგრული გვარი (არის სახელიც), ისეთივე როგორიც ქაშქური და მეგრული თალი-მალია. გვაქვს აგრეთვე თალაყვაძე, ტალავაძე, და ა.შ. ფაცია შეიძლება იყოს დინასტიური ან საგვარეულოს სახელი.

ამრიგად, თალი ფაცია უნდა წარმოადგენდეს ადამიანის სახელსა და გვარს (დინასტიურ სახელს), იმ პიროვნებისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ასეთი სახელის მქონე დასახლებას. თალი შეიძლება ნაირსახეობა იყოს დგომება დალის, რომელიც გავრცელებული იყო

ამავე სამყაროში. დალი შემოინახა სვანურმა ტრადიციამაც, როგორც ნადირობის ღვთაების სახელი. მას ალთან უნდა ჰქონდეს კავშირი [გ. ჩიქოვანი, 1947: 92, 185].

### ფათალია

ტერმინი შესაძლებელია სვანური წარმომავლობის სიტყვა იყოს. იგი უნდა შედგებოდეს ფუძისაგან ფათა და ორმაგი სუფიქსისა-გან-ალ-ია. ფათა სინონიმია განიერი ქედისა და ტანისამოსის მოყვა-რულის [ვ. თოფურია, 2000: 748]. როგორც ჩანს, ფათალიას მოსახ-ლება ამგვარი ჩატულობის მიმდევარი უნდა ყოფილიყო. ტანი-სამოსის მიხედვით სხვა არაერთი ხალხის თუ ტომის სახელი წარმომდგარა ქართველურ სამყაროში, მაგალითად, მელანქლენებისა; მათ ბერძნები ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ შავი ქურთუკის თუ ტანსაცმლის მოყვარულები ყოფილან.

გვაქვს სხვა ვარიანტებიც. ფალთა სვანურ ენაში ნიშნავს თმა-გაშლილს, თმაგაჩეჩილს, გრძელბალნიანს, ბანჯვლებიანს. ამ შემ-თხვევაში ფუძისეული ბოლოკიდური თანხმოვანი ლ გადაადგილებუ-ლია ფუძის შუაში, თუმცა ფალთას აქვს ვარიანტი ფათა იმავე მნიშვნელობით. მაგალითისათვის შევადაროთ ისევ სვანური წარმო-მავლობის ქვეყნის სახელები, რომელიც შედიოდა დაიაენი-დიაოხში: კაბილუხი და კალბა. პირველი ურარტულ, ხოლო მეორე ასურულ ლურსმნულ ძეგლებში მოიხსენიება. აღნიშნული ქვეყანა ამავე სახელწოდების ცენტრით მდებარეობდა თურქეთის თანამედროვე ქა-ლაქ კაბადალის მიდამოებში. იგი იყო უძველესი ქართველური სამეფოს დაიაენი-დიაოხის უკიდურესი სამხრეთი ოლქი [ს. გოგი-ბიძე, 2006: თავი კაბილუხი].

ქართველურ ენებში (სვანურში) სახელწოდება ფათალიას შეიძლება მოეძებნოს სხვანაირი ახსნაც. ფათუ ნიშნავს თმას [ვ. თოფურია, 2000: 748]. ფანთალ-ტოტებგაშლილ (ხეხ) [ვ. თოფურია, 2000: 749]. შეიძლება ეს ნახევრად ველური ტომები ქაშქები გრძელ თმებს ატარებდნენ, ან რაღაც ამდაგვარი თვისებებით ხასიათდე-ბოდნენ, რის გამოც მათ ქვეყანას, ოლქს, ქალაქს ასე ეწოდა, ან სადაც დასახლება გაჩნდა იქ არსებული ტოტებგაშლილი ხის გამო ეწოდა ფანთალია. ია-სუფიქსი, როგორც ცნობილია დღესაც აწარმოებს ქართველურ (მეგრულ) ტოპონიმებსა და გვარსახელებს. შესაძლებელია თავდაპირველი ფანთალია ფათალიადან მომდინა-რეობდეს და ნ ფორმანტი შემდეგ შეზრდილი იყოს. ასე მაგალითად: კიტრი-კინტრი, ეგური-ენგური, ოძრხე-უნძრხე და სხვა.

ტერმინ ფათალიას ახსნა მეგრულ ენაშიც მოეძებნება. იქნებ საკვლევი ტერმინი ფართალიას უკავშირდებოდეს, რომლის მნიშვნე-ლობაა ბრტყელი ან ცომის გასაბრტყელებელი ხელსაწყო [ო. ქა-ჯაია, 2002: 84], ან ფატ-ფეტვი [იქვე, 89], ფატალა-დაჩეჩილი მატყლი [იქვე]. ასევე სარწმუნოდ გვეჩვენება სხვა მეგრული სიტყვა თარ-

თალია, რომელიც “ფუსტუსს, ფაცაფუცს” აღნიშნავს [ქაჯაია, 2002: 37].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ნაწარმოებებში შემონახულ სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების ნავების სახელებს შორისაა—ფათალია ნავი [ზ. კუტალეიშვილი, 1991: 108].

რაც შექება ორმაგ სუფიქსებს. ძველაღმოსავლურ ხანაში მრავალი ქართველური ქვეყნის, ტომის თუ დასახლებული პუნქტის სახელი წარმოებულია მსგავსი სუფიქსებით, მაგალითად, ალ-ულ-ილ-ით: ხუშ-ალ-ხი, აშკ-ალ-აშ-ი, ხალდი-რი-ულ-ხი, კულ-ხა-ხა-ალ-ი, კოლ-ხ-ეთ-ი და მრავალი სხვა [ს. გოგიტიძე, 2006; მისივე, 2002: 15-20]. ია სუფიქსი ამჟამად აწარმოებს მეგრული წარმომავლობის გვარებსა და ტოპონიმებს. ძველი მცირეაზიული ტომის სახელი კაშია ზუსტი ანალოგიად თანამედროვე მეგრული გვარისა კაშია, რომელშიც აგრეთვე ია სუფიქსი გამოიყოფა (შეადარეთ: შენგელია, შონია, სახოკია, შარია, ბერია და ა.შ.). ხეთურ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები თულმალია, თარია, შარია, ციხარია, ელურია და სხვები სუფიქსალური წარმოების მხრივ პროტოტიპები არიან საკვლევი ტერმინის-ფათალია-სი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლექსიკაში მრავლად მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც გვავარაუდებინებენ ტერმინ ფათალის მათგან წარმომავლობას. ესენია: ფშაურ-ხევსურულ-მოხევურ-მთიურ-თიანეთის ქართულ დიალექტებში დადასტურებული ფათალა-სურო, ხვართქლა; ფათარი-ბრტყელფოთლიანი მცენარეა (ბალახი), ოროვანდი; ფათილე-საჯზე გამომცხვარი მეცხვარის პური; ფათლახი (ქსნის ხეობა)-უსუფთაო ადამიანი, ფათლახი (თუშურში) მმიმე ადამიანი, საქონელი; ფოთ-ჩქარი, ფიცხი და სხვა [ქართულ ... 1884: 532, 546].

ძველი საქართველოს ტერიტორიაზე გახვდება ფათ ძირიანი ტოპონიმები, მაგალითად ჭანეთში-ფათხია [ი. სიხარულიძე, 1979: 53], საქართველოს ტაშირის ხეობაში აღწერილია ტოპონიმი ფათალას სოფელი [ი. ბაგრატიონი, 1986: 55].

საქართველოში გავრცელებულია აგრეთვე ამავე ძირიანი სახელგვარები: ფათალიშვილი, ფატლაძე, ფართლიძე, ფატარიძე, ფარფალია, ფანთია, ფათალა, ფათალი, ფატიმა, ფათანი, ფატმა, ფატმანი, ფათანი და ა.შ. რაც მთავარია ჩვენში გაგრცელებულია ადამიანის საკუთარი სახელი ფათალი, ფათალა, ფაფალა და გვარი ფათალია, ფათალიშვილი, ფართალაძე, ფართლაძე, ფატლაძე და ა.შ. [პ. ცხადაია, 2007: 79, 106, 314; ი. ახუაშვილი, 2002: 766-767; ი. მაისურაძე, 1981: 165].

ქაშქების ტერიტორიის სიახლოეს ამავე სახელწოდების ტოპონიმს ადასტურებს არაერთი მოგვიანო ხანის მკვლევარი. ი. ბექირიშვილი წერს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რიზეს მხარის სოფლები აღწერა ი. ყიფშიძემ და გამოაქვეყნა ნაშრომი “ჭანეთში მოგზაურობის” სახელწოდებით. მასში მოხსენიებულია სოფელი ფატლა

(იგივე ფატ(ა)-ლა-ფატალ-ია- ს. გ.). ამ სოფლიდან არიან ჭანი ფატოდლები, ე. ი. ფატოშვილები, უფრო ზუსტად ფატლაძეები [ი. ბექირიშვილი, 1996: 176]. ვახუშტიც მოიხსენიებს სოფელ ფატალას; ამასთან დაკავშირებით გ. ქორდანია წერს, რომ უძველეს ნუზის ტექსტებში არის საკუთარი სახელები: ფართალა, ფათა, ბადა, ფათალი, ფათა-თაში. აღნიშნულ ქეგლებში მოხსენიებული მამაკაცის სახელი-ფათალი-ფათალა მისივე შენიშვნით, გადმოსულა ქართულ ნიადაგზე, რაც ძველად იხმარებოდა საკუთარ სახელად [გ. ქორდანია, 1956: 177-178].

ამრიგად, საკვლევი ტერმინი ფათალია, მეგრული წარმომავლობისაა. სამეგრელოს წერილობით ქეგლებში დადასტურებულია ადამიანის საკუთარი სახელი ფათალი და გვარი ფათალია.

## Simon Gogitidze

### Kashkian Names and Their Origin

#### Summary

In this work are discussed ca. 170 names of countries, regions, cities, humans, etc. and researched semantic and etymology of these.

On our view, all of them connected with Georgian world. Most part to Mengrelo-Lazian world and lesser to Kartvelian and Svanian. Concerning to Abkhazian, this phenomena connected to the northern Caucasus and has not direct links with south Caucasus and Asia Minor.

It is well known that Kashka tribes were living in the South-Eastern part of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Kosogi (Circassians) tribe and some scientists are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays Abkhazians). On account of our point of view Kashka tribe are not in any relation with Apsuas and Kosogs (Circassians). In contrary they were of Kartvelian origin.

Termin Kashka is connected with Kartvelian (Megrelian) personal names, surnames, toponymies and the words. It is possible to divide this word into two or three parts: Ka-shka or Ka-sh-ka. Ka-denotes the personal name of a person, Shka-shka-shkua-son, Sh-the suffix of belonging and the Ka (ki, Kha)-country, people. The content of this termin will be the next- Ka-sons or the country belonging to Ka. It is possible to connect this word Kashka with the Khattian deity by the name Kashka, Kartvelian word Kashkasha(bright) which sometimes is fixed in such form in the literature.

It is well known that the Abeshla (Kashka) tribes were living in the South-Eastern of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Apshil's tribe and are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays

Abkhazians). On account of our point of view Abeshla tribe and Apsils are not in any relation with Apsuas. In contrary they were of Kartvelian origin. Term Abeshla are connected with Georgian names, surnames and toponymy. Here we can separate the prefix "A"- and suffix "La", which are Georgian word-building affixes. The root of the word Abes-Abesh-Afesh-Afsh can be connected with Mingrelian word "Abes", with the meaning "story", The term "Abeshla" can be explained by the other Georgian words, for example,- "The sons of Aba." If the name "A" is the prefix, then it must be connected with Georgian word Psha, that means the water running near the river or mingrelian word Psila - that means the sand and so on.

3,500-3 000 old toponyms and anthroponyms: Tibia, Phithauria, Thathalia, Phatana, Tsiana, Dada, Thuthu, Qanu, Qasu, Thakhani, Muthi, Piphia, Sharia, Thuria, Tharia, Quqava, Phasava, Gakharia, Kharia, Phatsia, Phaia, Litha, Nunu, Thali, Vasha, etc. had exact parallels in Georgian sources and modernity: Thakhash Thuria, Thathash Thuria, Thakhan Tharia, Tsitha Kharia, Qathi Kharia, Vasha Kharia, Vash Kharia, Askhar Phaia, Thul (Thal) Malia, etc.

### **Симон Гогитидзе**

#### **Название и происхождение кашских имён**

##### **Р е з ю м е**

Известно, что племена Кашки проживали на юго-восточном Причерноморье в глубине полуострова. Исследователи этот факт связывают с названием племени Косогы (Черкесы) и считают Апсуа адыгейским племенем. По нашему мнению Кашки не имели никакой связи с северо-западными народами и в том числе с апсуйцами (т.е. с современными абхазами). Напротив, они были грузинского (мегрельского) происхождения. Эта точка зрения поддерживается хетскими источниками упомянутых личных имен и топонимов, которые на сегодняшний день являются фамилиями, личными именами, а иногда топонимами мегрелов. Напр. Малия, Хария Тулия, Фация, Фаия, Тария, Хаяя, Фамалия, Шария, Гахария, Кукава, Фифия, Тали, Дада, Ками, Мути и др.

Термин Кашка имеет связь с грузинскими (скорее всего с мегрельскими) личными именами, фамилиями, топонимами и словами. Его можно разделить на две или три части: Ка-шха или Ка-ш-ка. Ка является личным именем, шха-шкуа-сыном, ш суффиксом принадлежности, а ка (qi, xi) – страна, люди. Так что этот термин означает : сыновья ка или страна принадлежащая Ка. Может быть название Кашка связано с хатским лунным божеством Кашку. Сравните с грузинским словом кашкаша (сияние звезды). Иногда в источниках встречается и в такой форме.

Известно что племена Абешла (Кашка) проживали на Юго-Восточном Причерноморье. Исследователи этот факт связывают с названием племени апшилов и считают предков Апсуйцами (современные Абхазцы). По нашему мнению Абешла и Апсили не имели никакой связи с Апсуйцами, напротив, они были Картвельского происхождения.

Термин Абешла имеет связь с грузинскими личными именами, фамилиями и топонимами. Здесь можно выделить префикс «А» и суффикс «ЛА», которые считаются грузинскими словообразовательными аффиксами. Корень слове Абес-Абеш Афеш-Афш можно связать с мингрельским словом Абес, который означает событие. Термин Абешла можно объяснить и другими грузинскими словами, например: «Синовья Аба». Если в названии «А» является префиксом, то он должно быть связан с грузинским словом Фша - которое означает воду протекающую вблизи реки, или с мингрельскими словами Фсила-песок и другое.

Топонимы и антропонимы, которые у кашков были около 3,5-3 тысячи лет тому назад (Тибия, Питаурия, Фаталия, Фатана, Циана, Дада, Туту, Дадилу, Татили, Касу, Кану, Тахани, Мути, Фифия, Шария, Турция, Тария, Кукава, Фасава, Гахария, Хария, Фация, Фаия, Лита, Нуну, Тали, Ваша и др.). Они все подтверждение находят в грузинских исторических источниках и нынешней в Грузии точно такими же формами. В Грузии, скорее всего в Самегрело (Мингрелия), можно встретить людей такими же именами и фамилиями, которые были похожие в мире, например: Тахаш-турия, Таташтурия, Тахан-тария, Цита-хария, Кати-хария, Ваш-хария, Ваш-хаия, Асхар-фаия, Тул(Тал)-малия и т.д. Семантику из всех перечисленных можно объяснить на грузинском, вернее, на менгрелском языке. В этих названиях выделенные суффиксы (шка, лия, ия, ва, ция, эн, эл, фа, иян, ха, ки, ша) особенно характеризует менгрело-лазского, в частности и грузинского (картвелского) и сванского языков. Приведем два примера:

**Шария** - это название находит объяснение в сванском языке, но видно происхождение его мегрельское. В термине должно выделяться «шар», что означает полоса, шара-полосатый, а «ия» обычный грузинский суффикс, который производит фамилий мегрельско-лазского происхождения: Гвазабия, Кишмария, Кория, Алания, Шенгелия, Тария и многие другие. На территориях Урарту существовали топонимы оформление происхождением ия: Бараия, что на мегрельском означает – «равное», Каламия, калам – ботанический «овсяница луговая», калами - «этая круглая деревянная чаша для питья вина и каламия – «вишневая ветвь».

Шария-менгрельская фамилия. В Грузии распространены фамилии похожими элементами: Баба-шария, Оди-шария, Шар-тава и др. Грузинские фамилии Шарадзе, Ба-шара—ел-и, Ба-шараадзе, Шарабидзе, Шарадзе и др.

На грузинском Шари-Шариани означает «клевета», «выдумать клевету». Суффикс «шар» в мегрельском означает «происходство», например, потомство Баба-Бабашари. Похожие происхождения Бабашария, Одишария, и др. В сванской памятной письменности подтверждено, что одишари означает выходцы из Одиши. В грузинском наречий Шара – означает дорога.

В Грузии как исторический, так же широко распространены современные похожие топонимы Шараула (Тао-Кларджети), Шорапани (Имерети), Шариспире (Джурквети), Ушарни и т.д.

В сванской памятной письменности подтверждается имена с похожим происхождением: Елашари, Одишари, Уедшари, историческая фамилия Шариани. Для сравнения возьмем мегрельскую фамилию Шария, Шару, Шара, Шарина. Шария – у кашков есть либо фамилия, либо имя, которое у кашков превращено в топонимы.

В менгрельском есть топонимы: Шка самаргалош шара (село Ахалсопели), Шка самаргалош шара (с. Ингири), Каличаш шара (там же), Темшара (с. Кахати), Сашарашио (с. Хурча) Шаруш нохори (с. Одиши), Шарагимал (с. Джихаскари) и др.

В Акадском «шари» означало царя. Известно то, что древнее среднеречье было родина сванских и мингрельских племен т.е. миром древней Грузии. Может быть у похожих терминов шар-шари-шария были похожие происхождение. С точки зрения С. Бада, шара (которое выделена в грузинских фамилиях Шарвашидзе, Шарашия) есть на юге нижней Месопотамии, т.е. в Шумере имя божества покровителя города-государства Ушма.

В ряду этого Шар-Шара должно быть термином мегрельского происхождения и означает происходство, но не исключено, что шара может быть имя человека или божества, а Шария детей шары или потомство. Город Шария может быть основана с именем божества Шара.

**Талифация** - этот топоним, как видно, мегрельского происхождения, но оно еще объясняется с применением сванского языка. У сванов «талафа» означает «ресница». Если название топонима действительно произведено от этого слова, то талифация должно объясняться, как «местность с населением особыми ресницами.» У этого термина, в сванском языке есть и другие варианты объяснения. Если оно представляет композит, то возможно его деление на два компонента тал-и-фация. Тал обозначает «клип», а фация в сванской памятной письменности появляется как именами людей. Если оно так, то тогда исследуемый термин объясняется как «клип фаций», или же места «клина фации». Как видно этот пункт назван так потому, что на этом месте когда то «фация» производил свой медные или же деревянные клины. В Грузии несколько сел с таким названием. В описаниях Болниской низменности, Триалети и Эенисели внесены села с именем «Тала».

По данным Грузинского языка, название можно объяснить следующим образом: первая часть композита Тали может быть имя человека Тали-Талико. Тала-тоже самое «полей», «Бардана», а второе, «фация» может быть пация (еле-еле, мало, т.е. маленького размера) или фачуа (маленький). А также можно сказать и то, что «Тали-фация» было сложным составным именем, как Тиглатпиласар, Тукултининурта, Тутхалия, Турмани, Ардашели, Пиримзе, Тинатин и т.д. А в хеттской письменности найдутся такие названия, которые будут первым или вторым составным элементом того или иной географической единицы исследуемого термина, например: Фига-фацай, Тал-

мания, Фаци-м[...], Фаци-ци, из хеттского божественного пантеона «Хафанталия».

Тут не надо отметить и то, что сегодня в Грузии найдутся не мало людей с таким именем и фамилией. Тали собственное имя, а Фация мегрельская фамилия (есть и имя) так же как кашский и мегрельский Тали-Мания. А так же есть фамилий Талаквадзе, Талавадзе и т.д. Фация может быть именем династий или фамильного рода.

В ряду с этим Тали Фация должно представить имя и фамилия того человека (имя династий), той личности который основал местность с этим названием. Тали может быть разнообразием богини Дали, которая была распространена в том мире. Сванская традиция сохранила богиню Дали как богиню охоты. С огнем оно должно связано быть.

В ряду с этим талифация представляет мегрельское имя (Тали) и фамилию (Фация).

## ოლეგ ჯიბაშვილი

### მასხეთის გასათავისუფლებლად მრეკლე II-ის ბრძოლის ისტორიიდან (1771 წ.)

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ერეკლე II რუსეთის მხარეზე გამოვიდა. მასთან კავშირში ქართლ-კახეთის მეფე მესხეთის მიწების განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. თუმცა, მოვლენების განვითარებამ მალე აჩვენა, რომ რუსეთი ნაკლებად ზრუნავდა ერეკლეს გეგმების რეალიზებისათვის და იგი ქართული რესურსების საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენებას ცდილობდა.

საქართველოში რუსთა საექპედიციო კორპუსის მეთაური, გენერალ-მაიორი გოტლიბ-კურტ ჰენრის ფონ ტოტლებენი დიდი მონდომებით ცდილობდა რუსული საქმის ქართველთა ხელებით კეთებას, მაგრამ მას ამისათვის არც ნიჭი ეყო, არც ტაქტი და არც შემართება [ო. ჯიბაშვილი, 2007: 159-165]. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ 1770 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით მის მაგირ კორპუსის მეთაურად გენერალ-მაიორი ალექსანდრე სუხოტინი დანიშნა [ვ. მაჭარაძე, 1997: 511 (დოკ.№497)]. ახალი სარდალი 1771 წლის 26 აპრილს ანანურში შემოვიდა [ვ. მაჭარაძე, 1997: 619(დოკ.№554)], 13 მაისს კი ქუთაისში მდგარი კორპუსი ჩაიბარა [ვ. მაჭარაძე, 1997: 626(დოკ.№558)].

ტოტლებენის საქართველოდან გაწვევით რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ბევრი არაფერი შეცვლილა. რუსეთის მხრიდან კვლავ გაგრძელდა ქართველთა ეროვნული ინტერესების იგნორირება. საინტერესო ნიუანსებს შეიცავს სუხოტინისათვის განკუთვნილი, ეკატერინე II-ის 1771 წლის 13 იანვრის ინსტრუქცია [ვ. მაჭარაძე, 1997: 536-541(დოკ.№498)].

დოკუმენტის კონტექსტიდან ჩანს, რომ ოფიციალური რუსეთი მომხმარებლის პოზიციიდან აღიქვამდა ქართულ მხარეს. ცდილობდა რა ადგილობრივი რესურსების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მოკავშირის ინტერესებს. რაც მთავარია, სუხოტინს, ტოტლებენის მსგავსად, არ აძლევდა რწმუნებულებას მეფე ერეკლეს მასშტაბური გეგმების შესატყვისი სამხედრო კამპანია წამოეწყო ოსმალების წინააღმდეგ და ავალებდა მას, ადგილობრივი ძალების მაქსიმალური მობილიზებით დივერსიული ბრძოლები ეწარმოებინა პორტას წინააღმდეგ.

ერეკლე II-ის მიზანს, როგორც ცნობილია, ქართული მიწების განთავისუფლება წარმოადგენდა, რაც შეუძლებელი იყო ანტიოსმალური კოალიციის მიერ მოწინააღმდეგის ტერიტორიის უშუალო დაკავებისა და იქ გამაგრების გარეშე. რუსეთის მხრიდან შემოთავაზებული ბრძოლის წარმოების პარტიზანული ფორმა ასეთ ამოცანას არ შეეფერებოდა. ამდენად, სუხოტინისა და ერეკლეს თანამშრომა-

ლობა, ტოტლებენის შემთხვევის მსგავსად, წინასწარ იყო განწირული წარუმატებლობისათვის. მართლაც, საქართველოში ყოფნის დაახლოებით 14 თვის განმავლობაში გენერალს პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც ერეკლე II-ს თავის მიზანთან მიაახლოვებდა.

1771 წლის მაისის ბოლოს სიტუაცია საქმაოდ ხელსაყრელი იყო ახალციხის საფაშოს მიმართულებით საომარი მოქმედებების დასაწყიბად. ცენტრალურ ფრონტზე განცდილმა დამარცხებებმა [Чечулин Н., 1896: 349-351], ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაშიც მოახდინა ზეგავლენა ოსმალების საბრძოლო პოტენციალზე. ჯერ კიდევ 1770 წლის 17 ივნისს ატყობინებდა მოურავოვი ერეკლე II-ს, რომ დაკარგეს რა რუსებთან ბრძოლებში თავისი საუკეთესო ჯარები, თურქები იმდენად დასუსტდნენ, რომ არზრუმის, ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის ფაშებს 15 ათასი კაცის შეკრებაც კი არ შეეძლოთ [ვ. მაჭარაძე, 1997: 316(დოკ.№364)]. უფრო მუქ ფერებში ხატავს ახალციხისა და ყარსის საფაშოების მდგომარეობას 1771 წლის 23 მაისს პანინისადმი გაგზავნილ პატაკში ნიაზიკოვი. მის ხელო არსებული ინფორმაციით, ადგილობრივი ფაშები უშედეგოდ ითხოვდნენ სულთნისაგან სამხედრო დახმარებას, თავად უმიშვნელო ძალებს ფლობდნენ და შიშით იყვნენ შეპყრობილი რუს-ქართველთა მოსალოდნელი შემოსევის მოლოდინში [ვ. მაჭარაძე, 1997: 615(დოკ.№554)].

სარგებლობდა რა არსებული ვითარებით, ერეკლე II არ წყვეტდა ახალციხის საფაშოში მოთარეშე რაზმების შეგზავნას. ამით იგი რამდენიმე საქმეს აკეთებდა:

1. ანტიოსმალური მოქმედებების დაფიქსირებით ერთგულებას უმტკიცებდა რუსეთის მთავრობას;
2. ხშირი თავდასხმებით ასუსტებდა მოწინააღმდეგას და ანადგურებდა მის ცოცხალ ძალას;
3. მომავალი სამხედრო კამპანიისათვის ამზადებდა თავის ხალხს.

იაზიკოვის ზემოთ მოყვანილ პატაკში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მარბიელი რაზმი ათასი კაცის შემადგენლობით 23 მაისს დაბრუნდა ახალციხის საფაშოდან. ახალქალაქთან მარბიელებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალთა ლეგანდის ჯარი, მისი უმეტესი ნაწილი გაჟღიტეს, ხელო იგდეს ტყვევები და დიდი ნადავლი [ვ. მაჭარაძე, 1997: 620(დოკ.№554)]. ასეთ თარეშებს პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. ახალციხის ფაშა ერეკლეს ნეიტრალიზებას ლეკების ხელით ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ.

გენ. სუხოტინმა, საექსპედიციო კორპუსის ჩაბარების შემდეგ, დაიწყო მოქმედება ერთობლივი ანტიოსმალური კამპანიის ორგანიზებისათვის. იგი სოლომონ I-თან ერთად ქართლში გადავიდა და 1771 წლის 15 ივნისს სოფ. ხელოუბანში ერეკლე II-ს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს მომავალი სამხედრო კამპანია და შეთანხმდნენ მისი ჩატარების გეგმაზე, რომელიც, პროფ. ი.ცინცაძისა და გ.მაჭარა-

ძის მართებული შეფასებით, მთლიანად ფოთის ციხის აღებას ემსახურებოდა [ი. ცინცაძე, 1940: 62].

ქართლ-კახეთის მეფისათვის ეს მორიგი იმედგაცრუება იყო. სუხოტინი თავადვე მიუთითებს: ”არაფერი ისე არ სურდა ერეკლეს და მის გარემოცვას, როგორც ის, რომ ახლანდელი კამპანია ახალციხისაკენ მიმემართა. როცა მათ ნებას არ დავყევი, ამან ისინი ძალიან შეურაცხყო” [ვ. მაჭარაძე, 1997: 628(დოკ.№558)]. ერეკლემ მაინც სცადა საქმის შემობრუნება და იმავე დღეს წერილობითი თხოვნით მიმართა სუხოტინს. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ადგილობრივ პირობებში გაუთვიცხობიერებელი რუსი გენერალი, რომ ახალციხეზე გალაშქრება ბევრად უფრო მომგებიანი ნაბიჯი იქნებოდა, ვიდრე ალექს ფოთისა, რომლის ”ავის ჰავისაგან და ავის ალაგისაგან” ზაფხულის პერიოდში კარგი არაფერი ელოდებოდა რუსებს [ვ. მაჭარაძე, 1997: 630(დოკ.№559)]. მაგრამ ამაռდ საბოლოოდ, ერეკლემ იმის გარანტია მაინც მოითხოვა, რომ ფოთის აღების შემდეგ (თუ ეს მოხდებოდა) სუხოტინს ახალციხეზე მიეტანა იერიში [ვ. მაჭარაძე, 1997: 628(დოკ.№558)].

საექსპედიციო კორპუსის მეთაურის გადაწყვეტილება სოლომონ I-მა იოლად მიიღო. ეს გასაგებიცაა – იმერეთის სრული დამოუკიდებლობისათვის ფოთიდან ოსმალების განდევნას არანაკლები მნიშვნელობა პქონდა, ვიდრე ახალციხის აღებას. სუხოტინის აზრით, ერეკლეს თანხმობა სოლომონის პოზიციამაც განაპირობა [ვ. მაჭარაძე, 1997: 628(დოკ.№558)].

შეტევის ძირითად ობიექტად ფოთის შერჩევა არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. რუსეთ-ოსმალების მიმდინარე ოშში რუსეთის ძირითადი ამოცანა შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება იყო. ომის პირველსავე წელს, წინა პლანზე აყენებდნენ რა ქერჩისა და ტამანის დაუფლების საკითხს, პეტერბურგში სასურველად მიიჩნევდნენ, თუკი ქართველები შავი ზღვის ქართულ ნაპირებს დაეპატრონებოდნენ. რუსი პოლიტიკოსების აზრით, ამით იმპერიის ფლოტი შავ ზღვაზე დამატებით შეიძენდა საიმედო ნაგსაყუდელს [Дружинина Е., 1955: 101]. სწორედ აღნიშნული მოსაზრება პქონდა მხედველობაში ეკატერინე II-ს, როცა 1771 წლის 13 იანვარს საექსპედიციო კორპუსის ახალდანიშნულ მეთაურს გენ.-მაიორ სუხოტინს სპეციალური რესკრიპტით მიმართა: ”საჭიროდ ვთვლი გითხრათ, საქართველოში ჩასვლისას თუ აღმოაჩენთ, რომ გენ. ტოტლებენი მართლა დაეუფლა ქალაქ ფოთის ციხესიმაგრესა და პორტს (ამ დროისათვის პეტერბურგში უკვე იცოდენ, რომ ტოტლებენმა ფოთს ალექს შემოარტყა, ქალაქს უკვე უწოდა ახალი სახელი „ეკატერინო“ და რომ იგი მაღე ციხესაც აიღებდა – ო.ჯ.), შეეცადეთ ისინი შეინარჩუნოთ. ჩვენ ეს აღგილები იმისათვის დაგვჭირდება, რომ ომის გაგრძელების შემთხვევაში, შავ ზღვასა და მასში შემავალ მდინარეებში მყოფი ჩვენი გემებისათვის ფოთის პორტი იქამდე გამოვიყენოთ თავშესაფარად და ნაგსაყუდუ-

ლად, სანამ ღმერთი უკუთესს არ გვიბოძებს” [ ვ. მაჭარაძე, 1997: 535(დოკN497)].

იმპერატრიცასაგან ასეთი დავალების მიღების შემდეგ, ცხადია, ამბიციური გენერლის მთელი უურაღლება ფოთისაკენ იქნებოდა მიმართული. ხელოუბნიდან ქუთაისის ბანაკში დაბრუნებულმა სუხო-ტინმა 5 ივლისისათვის საბრძოლო გეგმას საბოლოო სახე მისცა და კამპანიის დაწყების თარიღად 20 ივლისი დაამტკიცა. ამ დროისათვის საექსპედიციო კორპუსის პირადი შემადგენლობა 3164 კაცს მოითვლიდა [ვ. მაჭარაძე, 1997: 652-654(დოკN580)]. იმავე 5 ივლისს გენერალმა სათანადო მოხსენება აფრინა პეტერბურგში და ეკატერინე II-ს საზეიმოდ აცნობა, რომ მზად არის დაუყოვნებლივ შეასრულოს მისი ბრწყინვალებისაგან მიღებული განსაკუთრებული დავალება და რუსეთის გულმოწყალე დედის ფერხთით მოკრძალებით დააწყოს ქალაქ ფოთის კლიტები [ვ. მაჭარაძე, 1997: 652(დოკN579)].

სამოქმედო გეგმის მიხედვით, ფოთის აღყაში მოქცევა ევალებოდა რუსეთის საექსპედიციო კორპუსს, მოკავშირე ქართველებს კი მისი ზურგის დაცვა უნდა უზრუნველეყოთ. კერძოდ, ერეკლე მეფეს დაეკისრა 10-ათასიანი ჯარითა და 8 ზარბაზნით შესულიყო ახალციხის საფაშოში და ემოქმედა ახალციხის, ახალქალაქისა და ყარსის მიმართულებით, რათა აქედან მაშველი არ მისვლოდა ფოთის თურქელ გარნიზონს; სოლომონს 6 ათასი მეომრით ახალციხის საფაშოდან იმერეთში გადმოსახვლელი გზები უნდა ჩაეკეტა. გურიელის მოვალეობას წარმოადგენდა გურიის მხრიდან ფოთისაკენ მიმავალი გზების დაცვა, დადიანისას კი – სამეგრელოს მხრიდან [ვ. მაჭარაძე, 1997: 655-657(დოკN581)]. სამხედრო კამპანიის წარმატების შემთხვევაში, მთელი დიდება ფოთის აღებისათვის სუხოტინს უნდა რგებოდა. ხელოუბნის გეგმა სწორედ ამაზე იყო გათვლილი.

რაც შეეხება ერეკლე მეფეს, შეიძლება ითქვას, რომ ფოთის კამპანიაში მას შავი სამუშაოს შესრულება ხვდა წილად. 10-ათასიანი ჯარით მეხსევთში შესულს 4300 მეომარი ქართლ-კახეთში უნდა დაეტოვებინა ლეკოთ მოსალოდნელი შემოსევის მოსაგრიებლად, თავად კი ახალციხისა და ყარსის მიმართულებით ფართო არეალის მომცველი პარტიზანული ხასიათის ბრძოლები გაეჩადებინა. საინტერესო ერეკლესათვის განკუთვნილი მითითებების ტექსტი. იგი გვამცნობს: ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულია იმოქმედოს ”ახალქალაქსა ზედა, ყარსსა და ახალციხეზე, უდიდებულესისა ძალითა თვისითა გაუჭირვოს ტაცვით, ცარცვითა და წვით სოფლებისათა და გარეშემო მათსა დაწვითა პურისათა და ტაცვითა პირუტყვისათა, დატყვევებითა კაცებისათა, არა დაზოგოს თვისი ძალი ყოვლისფრით, რაც კი შეიძლება. ოდეს იგინი მაზე წარმოვიდნენ, იმ დროს უკუბრუნდეს თვისსა სამძღვრისაკენ და რასაც უამს იგინი მოშორდნენ, გაუბრუნდეს უკანვე მათ და ძალიანის რიგით შეაწუხოს, ეგების ამისთანას შეწუხებისა და მოუშორებლობით და მოძრაობისა მათის განათლებულებისაგან, იგიგ მოუცლელ და უდონო შეიქმნენ და შემოდგომილს

ციხეს ვერ მოეშველნენ გამოსახსნელად” [ვ. მაჭარაძე, 1997: 655-656(დოკNº581)].

თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ სუხოტინის გეგმა მთავრობის ინსტრუქციების მიხედვით იყო შედგენილი. დივერსიებით მტრის ძალების შებოჭვა სწორედ რუსების სტრატეგიულ გეგმებს შეესაბამებოდა, მაგრამ არაფერს რგებდა ერეკლე მეორეს, რომლისთვისაც მთავარი მიზანი მესხეთის მიწების შემოერთება იყო და არა მათი აოხრება ან ძარცვა. ამდენად, ფოთის კამპანიაში რუსეთის მხარე, ახლა უკვე სუხოტინის სახით, კვლავ აგრძელებდა ხელმძღვანელობას პანინისეული პრინციპით – ”Была бы душа здешняя, а тело грузинское” და ცდილობდა ქართველთა შესაძლებლობები საკუთარი შეხედულებების მიხედვით გამოიყენებინა.

მიუხედავად იმისა, რომ არც ფოთის აღება და არც ახალციხის საფაშოში აღნიშნული ფორმით მოქმედება ერეკლე II-ს ფაქტობრივად არაფერს აძლევდა, უკეთესი მერმისის იმედით იგი მაინც ჩაება ფოთის კამპანიაში. გასცა რა სათანადო ბრძანებები მობილიზაციის თაობაზე [სცხსა, ფ. 1448, ან. 1, ს. 1235.; სცხსა, ფ. 1449, ან. 1, ს. 287.], 12 ივლისს თბილისიდან გასული, ქალაქიდან დაახლოებით 7 კმ-ის მოშორებით, კოჯორში დაბანაკდა 400 მეომრით [ვ. მაჭარაძე, 1997: 665-666(დოკNº588)].

გენ. სუხოტინისადმი კაპიტან ლვოვის შეტყობინებით, 27 ივლისს ერეკლე თრიალეთის მთებში იმყოფებოდა, ახალქალაქიდან 60 კერსის დაშორებით და მხოლოდ 2 ათასამდე მებრძოლი ახლდა. ლვოვის აზრით, მეფე მანამ დაყოვნდებოდა თავისი მცირე ჯარით საზღვართან, სანამ სუხოტინი ფოთს არ აიღებდა [ვ. მაჭარაძე, 1997: 677(დოკNº594)]. 15 აგვისტოს, ლვოვისავე ცნობით, ერეკლე ახალქალაქიდან ერთი დღის სავალზე იღგა, მისი ჯარი 3400 კაცამდე იყო გაზრდილი და მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ახალციხის ფაშა. ეს უკანასკნელი თავად გამოდიოდა მოლაპარაკების ინიციატორად და თავდაუსხმელობის სანაცვლოდ ვალდებულებას იღებდა არ მიშველებოდა ფოთის გარნიზონს, მძევლები მიეცა ერეკლესათვის და საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ გაედო სათანადო რაოდენობის ფურაჟი [ვ. მაჭარაძე, 1997: 697-698 (დოკNº618)].

რუსული მხარე უკმაყოფილებას ვერ ფარავდა ერეკლეს მიერ გამოყვანილი სამხედრო კონტიგენტის სიმცირისა და ახალციხის საზღვარზე მისი უძრავად ყოფნის გამო. 27 ივლისისა და 21 აგვისტოს საპასუხო წერილებში სუხოტინისადმი ერეკლე II ჯარის სიმცირეს იმით ხსნიდა, რომ ქართლ-კახეთში ლეპების შემოსევას ჰქონდა ადგილი და საბრძოლო ძალების დიდი ნაწილი მათ წინააღმდეგ იყო გაგზავნილი [ვ. მაჭარაძე, 1997: 679(დოკNº595), 710-712(დოკNº629)].

სექტემბრის დასაწყისში, გავიდა რა ხელოუბნის შეთანხმებით განსაზღვრული ლაშქრად ყოფნის 6 კვირაზე მეტი, ერეკლე ქართლში დაბრუნდა [ვ. მაჭარაძე, 1997: 720(დოკNº634)]. როგორც შემდეგში

გაირკვა, ამ ნაბიჯს სტრატეგიული მოსაზრებაც ედო საფუძვლად და მტრის ყურადღების მოდუნებას ითვალისწინებდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა ერეპლეს მოლაპარაკებაც ფაშასთან [ვ. მაჭარაძე, 1997: 783(დოკ.№675)].

თრიალეთური მანევრები იმაზე მიანიშნებდა, რომ რუსებთან და-მოკიდებულებაში ერეპლე ადრინდელთან შედარებით მეტ სიფრთხილეს იჩენდა და ბრმად ოდარ მისდევდა მოკავშირისაგან შემოთავაზებულ საბრძოლო გეგმას. ახალციხის საზღვართან ბანაკად დამდგარი, იგი სუხეობინის მოქმედებებს ადევნებდა თვალს და გადაწყვეტილებებს ამის მიხედვით იღებდა. პარალელურად, საკუთარი მიზნების რეალიზებისათვის, ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს ეძებდა.

რაც შეეხება სამხედრო კამპანიის ძირითად ობიექტს, ფოთს, დასავლეთ საქართველოს მფლობელებთან ურთიერთობების გარკვევის სირთულის გამო, სუხეობინი მხოლოდ 18 აგვისტოს დაიძრა ამ ქალაქისაკენ [ვ. მაჭარაძე, 1997: 701(დოკ.№623)]. ერეპლეს რჩევის მიუღებლობა გენერალს ”ძვირად დაუჯდა: კოლხიდის კლიმატმა გამოიწვია ჯარისკაცების მაღარით მასობრივი დაავადება, მძიმედ გახდა ავად თვით გენერალიც. ფოთის კამპანია ამჯერადაც მარცხით დამთავდა” [ვ. მაჭარაძე, 1997: 70]. ქუთაისის ბანაკში დაბრუნებული, ავადმყოფობით და წარუმატებლობით გატეხილი სუხეობინი 20 ოქტომბრის წერილით კორპუსის მეთაურობიდან განთავისუფლებას თხოვდა იმპერატრიცას [ვ. მაჭარაძე, 1997: 738(დოკ.№645)].

მიუხედავად კამპანიის წარუმატებლობისა, ახალციხის საზღვართან დგომას ერეპლე მეფისათვის უშედეგოდ მაინც არ ჩაუგლია. როგორც ირკვევა, თრიალეთში ბანაკად მდგომ ერეპლეს ხერთვისები იბრაჟიმ-ბეგი დაუკავშირდა და მისცა ”უმტკიცესი ფიცი და პირობა ხერთვისის ციხისა და ქალაქის მოცემისა” [ვ. მაჭარაძე, 1997: 783 (დოკ.№675)]. სტრატეგიული მოსაზრებით გარიგება დრომდე გასაიდუმლობებული დარჩა. ოსმალების ყურადღების მოდუნების მიზნით, ერეპლე სექტემბრის დასაწყისში ქართლში დაბრუნდა. ოქტომბრის მეორე ნახევარში მისგან გაგზავნილი დესანტი მოულოდნელად დაესხა ხერთვისის ციხე-ქალაქს და 26 ოქტომბერს, ადრე დილით, იბრაჟიმ-ბეგის დახმარებით იგი აიღო [ვ. მაჭარაძე, 1997: 747(დოკ.№651)]. აღების პროცესს ესწრებოდა კაპიტანი ილგოვიც, რუსეთის წარმომადგენელი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. მის მიერ 1771 წლის 30 ოქტომბერს ერეპლე II-სათვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ მეფეს ხერთვისის ოპერაციაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. ციხის აღებას ქართველი თავადები ხელმძღვანელობდნენ. ერთ-ერთი იყო აღაბაბა ერისთავი. დესანტის შემადგენლობაში ირიცხებოდა ოსების რაზმიც ვინმე ახმეტის მეთაურობით [ვ. მაჭარაძე, 1997: 747(დოკ.№651)].

ისტორიოგრაფიაში არსებული თვალსაზრისით, ხერთვისები იბრაჟიმ-ბეგი ჯავახი გაჩნაძევების საგვარეულოს ეპუთვნოდა [ა.

იოსელიანი, 1985: 340-341; მ. ბულევიშვილი, 1991: 79]. თავისი საქციულით მან მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ქართლ-კახეთის მეფეს. ჯერ ერთი, ხეროვისის სანჯაყის სახით ერეკლე II-მ მიიღო კარგი პლაცდარმი სამხედრო მოქმედებების შემდგომი განვითარებისათვის. მეორეც, ხეროვისის აღება თავისთავად აღიქმებოდა, როგორც მესხეთის შემოქმედების დასაწყისი და დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მხარისათვის.

ერეკლე შეეცადა მაქსიმალურად გამოეყენებინა სტრატეგიული მონაპოვარი და რუსები ახალციხეზე სალაშქროდ მიეზიდა. 1 ნოემბერს მან სუხოტინს გაუგზავნა შეტყობინება, სადაც წერდა: ”უფალმა კაპიტანმა ივან ლავრენტიჩმა (კაპიტანი ლვოვი – ო.ჯ.) ზედმიწევნით იცის, რომლისაგანაც თვითეულად ეუწყება თქვენს მაღალს მსვლელობას, რომელიც ის ხეროვისის ციხე დღეს სრულიად ჩვენს კაცს უჭირავს და დღესაც შიგ დგანან ჩვენი ჯარი; და იქაური ფაშაც (ანუ სანჯაყ-ბეგი – ო.ჯ.) თავისის ფომილით და იმისი ბიძაც სოლადაც თავის ფომილით იმ ჩვენ ჯარს დაჭერილი ჰყავხთ ციხეში” [ვ. მაჭარაძე, 1997: 756(დოკ.№653)].

მოტანილ დოკუმენტთან დაკავშირებით, გვინდა გავაკეთოთ ერთი შენიშვნა. ისტორიოგრაფიაში გამოიტქმული მოსაზრებით, ხეროვისის სანჯაყ-ბეგად მიჩნეულია ჩვენთვის ცნობილი იბრაჟიმ-ბეგი [შ. ლომსაძე, 1975: 88]. სუხოტინისათვის ერეკლე II-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციით კი მტკიცდება, რომ სანჯაყ-ბეგი ხეროვისის აღების მომენტისათვის იყო სულ სხვა პიროვნება, რომელიც ოჯახთან ერთად ტყვედ აუყვანიათ ქართველ მეომრებს. ამდენად, ირკვევა, რომ იბრაჟიმ-ბეგი არ ფლობდა სანჯაყ-ბეგის სახელოს, თუმცა, ერთ-ერთი მაღალი პოსტი რომ ეკავა, ფაქტია.

დავუბრუნდეთ ხეროვისის მოვლენებს. ვითარების გაცნობის შემდეგ ერეკლე რუს გენერალს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს: ”დრო ეს არის ახალციხის ქვეყნების დაჭერისა. ან ჯარი მომეც ათას ხუთასი კაცი, რომ მტერზე მივიდე, ან თქვენი მაღალ მსვლელობა თუ შეიძლებდეს და მობრძანდებოდეს, ერთად მივითდეთ. როგორადაც პირველი ბრძანება იყო და მტერს ვუმტეროთ და ის ციხე არ დავკარგოთ, თვარემ ახალციხის მესამედი ქვეყანა კიდევ დაგვეკარგება და მეორეთ დასაჭერათ გაგვიხდება და მას უკან მე ბრალს ნუდარას დამდებთ” [ვ. მაჭარაძე, 1997: 756(დოკ.№653)].

ერეკლეს სიტყვები პათოსით არის გაუდენობილი. თან ერთგვარ მუქარასაც შეიცავს. მეფე მიანიშნებდა, რომ თუ სუხოტინის უმოქმედობით ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან იქნებოდა გაშვებული, შედეგებზე პასუხისმგებლობა გენერალს დაეკისრებოდა. პათოსიცა და მუქარაც მორალური ზემოქმედებისათვის იყო გამიზნული, მაგრამ ამაღ – რუსულმა მხარემ არც ახლა მიიღო ქართველი მეფისაგან შემოთავაზებული წინადადება. პირიქით, ლვოვის აქტიური ჩარევის შემდეგ ერეკლემ სულ მაღე ხეროვისის ციხეც დაცალა.

სუხოტინისა და ლვოვის ქმედებებს თავისი მოტივები გააჩნდა:

1. ფოთის კამპანიის მარცხის ფონზე ერეპლეს წარმატება არასასურველი ფაქტი იყო პატივმოყვარე გენერლისათვის.

2. საექსპედიციო კორპუსი პრაქტიკულად მწყობრიდან იყო გამოსული. 20 ოქტომბრის მონაცემებით, ფოთიდან დაბრუნებული რუსული რაზმი 1934 ავადმყოფი და მხოლოდ 782 ჯანმრთელი მებრძოლისაგან შედგებოდა [ვ. მაჭარაძე, 1997: 70]. სუხოტინს ბრძოლის გაგრძელების აღარც სურვილი ჰქონდა და აღარც შესაძლებლობა. მაგრამ აღნიშნული ფაქტის სააშგარაოზე გამოტანა დაუშვებელი იყო სტრატეგიული ოვალსაზრისით.

3. ოფიციალური რუსეთი არაერთგზის აიმედებდა ერეპლეს, რომ ბრძოლებით მოპოვებულ ტერიტორიებს თვალეთთან გაფორმებული ზავით მასვე დაუმტკიცებდა [ვ. მაჭარაძე, 1988: 475(დოკ.№205); ვ. მაჭარაძე, 1997: 315(დოკ.№364), 792(დოკ.№681), 795-796(დოკ.№683)]. ერეპლესაგან ხერთვისის სანჯაყის შენარჩუნების შემთხვევაში რუსეთის მხარეს დაპირების შესრულება მოუწევდა, რაც საზავო მოლაპარაკებებში დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა მას. გარკვეულ უხერხეულობებთან იქნებოდა დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობაც. ყოველივე ამისათვის კაპ. ლვოვს მადლობას არავინ ეტყოდა.

დასახელებული მიზეზებიდან გამომდინარე, სუხოტინმა თავისი უმოქმედობით, ხოლო ლვოვმა იმის მტკიცებით, რომ ხერთვისის ციხის შენარჩუნება სტრატეგიული ოვალსაზრისით ყოვლად გაუმართლებელი იყო [ვ. მაჭარაძე, 1997: 748(დოკ.№651)], ერეპლე ხერთვისის სანჯაყის დაცლის გადაწყვეტილებამდე მიიყვანეს. რუსეთის წარმომადგენლების პოზიციამ მორიგი დარტყმა მიაყენა ერეპლეს გეგმებს. ამჯერად მესხეთის შემოერთების საქმე პრაქტიკულად იყო დაწყებული. შესაბამისად, დიდი იქნებოდა ხერთვისის დაცლითა და აკრეციის პროცესის შეჩერებით გამოწვეული უარყოფითი რეზონანსიც. ეს კი, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახებოდა ქართლ-კახეთში არსებული პატრიოტული ძალების საბრძოლო სულისკვეთებაზე.

ფოთის უნიკოდ ჩატარებულმა კამპანიამ და ხერთვისის მოვლენებთან დაკავშირებით რუსული კორპუსის ინერტულობამ ახალციხის ფაშას სულის მოთქმის საშუალება მისცა, იგი კონტრშეტევაზე გადასცვას შეეცადა. ამ მიზნით ”გაიერთა ახსიხის ფაშამ ლექნი, მოიყვანა დაღისტნის ჯარები და აოხერებდნენ ავაზაკებრ ქართლსა და იყო მარადის ქართლსა შინა მათგან დაუცხომელი პრბევა, თუმცა მეფემან ირაკლიმ არა მისცა თავსა განსვენება და მრავალ-გზის დაამარცხა ლექნი, გარნა იგინი არა დაჰსცხონენ” [ო. ხერხეულიძე, 1989: 64].

კაპ. ლვოვმა საქართველოში განცდილ წარუმატებლობაში ქართველ მფლობელებს დასდო ბრალი. 1771 წლის 20 ნოემბრის მოხსენებაში იგი გრაფ პანინს წერდა: ”რაც შეეხება აქაური მფლობელებისა და ჩვენი მთავარსარდლის უთანხმოებას, ეს თქვენმ მაღალაქეთლშობილებავ, უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ არც-ერთი აქაური მფლობელი განვლილ კამპანიაში (იგულისხმება ფო-

თის კამპანია – ოჯ.) არ მოქმედებდა ბატონი სუხოტინის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით [ვ. მაჭარაძე, 1997: 761(დოკ.№657)].

რუსეთის რწმუნებული აშკარად ტენდენციურია. ფოთის ალფის დროს ოსმალურ გარნიზონს მაშველი არ მისვლია. სუხოტინის გეგმით კი ქართველ მფლობელებს მხოლოდ ასეთი მცდელობის აღ-კვეთა ევალებოდათ. რაც შეეხება ერეკლე II-ს, მართალია იგი ბრძად არ დაემორჩილა პატივმოყვარე გენერალს და საფაშოს ფარგლებში არ შეიჭრა, მაგრამ საზღვარზე დგომითაც შესანიშნავად შეასრულა თავისი ფუნქცია. კარზე მომდგარი ქართველების თავდასხმის შიშით ახალციხის ფაშამ ვეღარ გაბედა თავისი ძალებით ფოთის გარნიზონს მიშველებოდა. ამდენად, წესითა და რიგით, სუხოტინს ხელი არ უნდა შეშლოდა ფოთის აღებაში. თავისდა საუბედუროდ, მან ეს ვერ მოახერხა. გენერალი დამარცხდა და ამის მიზეზი იყო არა მოკავშირე ქართველები, არამედ ჭაობებით გარშემორტყმული ფოთის პავა და გენერალისავე უნიჭობა.

ერეკლე II-მ რუსეთის მიერ გამოგზავნილი ორი სხვადასხვა გენერლის თითქმის იდენტური ქმედედებიდან სათანადო დასკვნა გააკეთა. მიხვდა რა, რომ ასეთი ფორმით თანამშრობლობა არაფერს რგებდა მესხეთთან დაცავშირებულ მის გეგმებს, შეეცადა სხვა კუთხით მიდგომოდა საიმპერატორო კარს. მეფეს აქტიურობისაკენ ისიც უბიძგებდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის მიმდინარე ომში რუსეთის შხარეზე გამოსვლით იგი დაუპირისპირდა როგორც ოსმალეთს, ისე სხვა მაჰმადიან მეზობლებს. არაკეთილმოსურნებით გარშემორტყმულ ერეკლეს მოკავშირისაგან ქმედითი დახმარება სჭირდებოდა. ქართლ-კახეთის მეფემ მიიღო გადაწყვეტილება ოფიციალურად შესულიყო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ. 1771 წლის 30 დეკემბრისათვის მზად იყო იმპერატორიცა ეკატერინე II-ის სახელზე შედგენილი სათანადო თხოვნის ტაქსტი და ხელშეკრულების პროექტი [ვ. მაჭარაძე, 1997: 764-767(დოკ.№661)]

პროექტის დაწვრილებითი შესწავლა ჩვენი კვლევის ფარგლებს სცდება. იგი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც მასში მესხეთის საკითხი წინა პლანზეა წამოწეული. პროექტიდან ჩანს, რომ ერეკლესაგან ესოდენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად, ”ოსმალოს საქართველოს” შემოერთების დაუძლეველმა სურვილმაც განაპირობა. სათანადო პუნქტში ერეკლე მართლაც რომ სასოებით სოხოვს იმპერატორიცას: ”კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა; და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა სულტანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქცევთ და მრავალნი ქრისტიანები არიან იმათში და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ” [ვ. მაჭარაძე, 1997:

766(დოკ.№661)]. თვით დოკუმენტის ტონიც კი მიუთიებს საკითხის მნიშვნელობაზე.

ერეკლე II, ითვალისწინებდა ო ტოტლებენთან და სუხოტინთან ურთიერთობების მწარე გამოცდილებას, 4-ათასიანი ახალი მაშველი რაზმის გამოგზავნის სათხოვარ პუნქტთან დაკავშირებით სპეციალურად მიუთითებდა: ”რათამც საერთოდ ვებრძოლოთ ოსმალთა, რადგანაც უწინდელს ჯარს ჩუქნ კერძო არა აქუს მოცალება, და ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის შეძლებით, როგორც რჩევას იმას დავუკერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს., ვინაითგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის” [ვ. მაჭარაძე, 1997: 765(დოკ.№661)] ასეთი ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევაში ერეკლე იმედოვნებდა, რომ რუსთა ძალის დახმარებით რეალურად შეძლებდა ”ოსმალთაგან წართმეული მამულების” დაბრუნებას. სანაცვლოდ იგი ვალდებულებას იღებდა, როგორც მემკვიდრეობით მიღებულ, ისე ახლად შეერთებულ მიწებზე იმპერატრიცას სასარგებლოდ გადასახადებიც დაეწესებინა და რუსული წესით რეკრუტიც გამოეყვანა.

მოლაპარაკების წარმოების მიზნით, 1772 წლის 5 იანვარს სპეციალური ელჩიბა გაიგზავნა რუსეთში [ვ. მაჭარაძე, 1997: 842 (დოკ.№709)]. მისის ხელმძღვანელობა ”წილად ხვდათ იმდროინდელი საქართველოს ყველაზე წარჩინებულსა და გავლენიან პირებს – ანტონ კათალიკოსსა და სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის ნიჭიერ და ენერგიულ ლერნ ერეკლეს ძეს” [მ. ბულეიშვილი, 1991: 71]. დიდი ნიჭით დაჯილდოებული კათალიკოსი ანტონ II ”ფართო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე იყო”, ამასთან, 8 წელზე მეტი რუსეთში ჰქონდა გატარებული, კარგად იცნობდა იქაურ ვითარებას და როგორც ელჩი, სერიოზულ ძალას წარმოადგენდა [ა. იოსელიანი, 1985: 340-341]. მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ახალგაზრდა ბატონიშვილიც. მიუხედავად ასაკისა, იგი უკვე გვერდში ედგა მამას და მიმდინარე ომის წლებში სახლმწიფო საქმეების გაძლოლაში შევლოდა მას [ცისს, ვ. 1448, ან. 1, საქ. 208, გვ. 2]. მეფის მოუკლელობის შემთხვევაში ლევან ბატონიშვილი ქართლის გამგებლის ფუნქციასაც ასრულებდა [ვ. მაჭარაძე, 1997: 675(დოკ.№594)].

1772 წლის 6 მარტს, ერეკლე მეფის ელჩები ასტრახანში ჩავიდნენ [ვ. მაჭარაძე, 1997: 804(დოკ.№688), 842(დოკ.№709)]. მათ 60 კაციანი ამალა ახლდათ [მ. ბულეიშვილი, 1991: 72]. რომელთა შორის იყო ხერთვისელი იბრაჟიმ-ბეგიც თავისი ხუთი კაცით [ა. იოსელიანი, 1985: 358(დოკ.№4)]. როგორც ახალციხის მხარის წარმომადგენელს, მას ალბათ ევალებოდა გარკვეული ეფექტი მოეხდინა საიმპერატორო კარზე და მომავალ მოლაპარაკებებში მესხეთის საკითხის ერეკლესათვის მისაღები ფორმით გადაჭრაში თავისი წვლილი შეეტანა.

როცა თბილისში ელჩიონს ამზადებდნენ, პეტერბურგში გაცხოველებული მსჯელობა მიმდინარეობდა საქართველოში მყოფი რუსული საექსპედიციო კორპუსის შემდგომი ბედის თაობაზე. ”1771

წლის 15 დეკემბერს სახელმწიფო საბჭომ მოისმინა გენ. სუხოტინის 20 ოქტომბრის მოხსენება და გადაწყვიტა კორპუსის საქართველოდან გაწვევა... ეკატერინემ მიზანშეწონილად ცნო სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება და 1772 წლის 25 იანვარს სამხედრო კოლეგიას „უბრძანა“ მისი სისრულეში მოყვანა [ვ. მაჭარაძე, 1997: 72-73].

ეკატერინე II-მ მიღებული გადაწყვეტილება ერეკლე მეფეს აცნობა 1772 წლის 4 თებერვლის სიგელით. იმპერატრიცა განმარტავდა, რომ კორპუსმა მასზე დაკისრებული მისია ვერ შეასრულა, თანაც რუსეთთან ომში განცდილი დამარცხებებით ოსმალეთი დასუსტდა და ქართველები დამოუკიდებლადაც შეძლებდნენ მის წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ კორპუსი საქართველოდან უნდა გასულიყო. დასასრულს ეკატერინე ერეკლეს აიმედებდა, რომ თუ იგი საკუთარი ძალებით შეძლებდა მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავებას, თმალეთთან ზავის დადებისას ამ მიწებს სამუდამოდ დაუმტკიცებდნენ [ვ. მაჭარაძე, 1997: 791-792(დოკ №681)].

ამრიგად, თოთქმის სამწლიანი ურთიერთობა რუსეთის საექსპედიციო კორპუსთან ერეკლე II-სათვის პრაქტიკულად უშედეგოდ დამთავრდა. მისი ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელების საქმე ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია წინ. გენ. სუხოტინი, წინამორბედი ტოტლებენის მსგავსად, მხოლოდ რუსეთის ინტერესებითა და საკუთარი ამბიციებით ხელმძღვანელობდა. ქართლ-კახეთის მეფეთან ურთიერთობაში იგი პარიტეტულ საწყისებს ფაქტობრივად არ ცნობდა. ფოთის კამპანიის მის მიერ შედგენილ გეგმაშიც, რომელიც ოფიციალური რუსეთის სახელმწიფოებრივი კურსიდან იღებდა სათავეს და საიმპერატორო კარის ინსტრუქციებით საზრდოობდა, ერეკლე მეფის მოსაზრებები და მიზნები კვლავ ყურადღების მიღმა დარჩა. რუსულმა მხარემ თავისი ნეგატიური როლი ითამაშა ხერთვისთან დაკავშირებულ მოვლენებშიც. ასეთმა დამოკიდებულებამ, საბოლოო ჯამში, მესხეთის განთავისუფლების იდეის რეალიზება შეუძლებელი გახადა. ერეკლე II-მ ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შანსი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1448, ანაწერი 1, საქმეები №№ 208; 1235.
2. სცსსა, ფ. 1449, ან. 1, ს. 287.
3. ბულგიშვილი მ., ქართველი ეპლეხის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბ., გამ. „მეცნიერება“, 1991, 108 გვ.
4. იოსელიანი ა., თვისობრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, კრ.: საისტორიო მოამბე, ტ. 51-52, თბ., გამ. „მეცნიერება“, 1985, გვ.337-378.

5. **ლომსაძე შ.**, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., გამ. „მეცნიერება”, 1975, 562 გვ.
6. **მაჭარაძე გ.**, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I, თბ., თხუ გამ-ბა, 1988, 599 გვ.
7. **მაჭარაძე გ.**, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბ., თხუ გამ-ბა, 1997, 956 გვ.
8. **ცინცაძე ი.**, ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში, ქრ.: ქიმპ-ის მოამბე, ტ. 5-6, თბ., სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილ. გამ-ბა, 1940, გვ. 337-360.
9. **ხერხევლიძე ო.**, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, დექსიონი და საძიებელი დაურთო დამიქიაშვილმა, თბ., გამ. „მეცნიერება”, 1989, 128 გვ.
10. **ჯიბაშვილი თ.**, გენერალ ტომბლების ავანტიურის საკითხისათვის, იხ.: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2007, გვ. 159-165.
11. **Дружинина Е.**, Кючук-Кайнарджийский мир 1774 года, М., .., Изд-во акад. наук. СССР, 1955, 368 с.
12. **Чечулин Н.**, Внешняя политика России в начале царствования Екатерины II (1762-1774), СПб, 1896, 468+IV с.

**Oleg Jibashvili**

### **From the History of the Struggle for Liberation of Meskheti by Erekle II (1771)**

#### **Summary**

During the 1768-1774 Russian - Turkish War Erekle II fought on the side of Russia. In conjunction with her, the king thought about returning lands of Meskheti. However, running events proved that Russia ignored Erekle's plans and tried to use the Georgian recourses according to her preferences.

By the decree of December 31, 1770 of Collegium of Russian Foreign Affairs General Major Sukhotin replaced General Major Gottlieb Curt Heinrich Graf von Tottleben.

Sukhotin did not agree with the plan by Erekle to reconquer Pashalik of Akhaltsikhe and tried to seize Poti. Although, General's endeavor failed. At the same time, Erekle II and the Prince of Khertvisi Ibrahim came to an agreement about the seizing of the castle of Khertvisi. The favorable conditions for liberation of Georgian lands formed, but the negative attitudes of Russian representatives conducting according the Russian interests made Erekle retreat. The chance for liberation of Meskheti lands was lost.

**Олег Джибашвили**

**Из истории борьбы Ираклия II-го  
за освобождение месхетинских земель (1771 г.)**

**Резюме**

В Русско-османской войне 1768-1774 годов Картли-Кахетинский царь Ираклий II выступил на стороне России. В альянсе с русскими он планировал освобождение захваченных османами грузинских земель. Но развитие обстоятельств показало, что Россия игнорировала интересы Ираклия II-го и стремился грузинские ресурсы использовать по своему усмотрению.

По приказу Коллегии иностранных дел России от 31 декабря 1770 г. на посту командующего русского экспедиционного корпуса в Грузии вместо генерал-майора Готлиб-Курт-Генрих Фон-Тотлебена был назначен генерал-майор Александр Николаевич Сухотин.

А. Н. Сухотин не принял план Ираклия II-го и вместо Ахалцихского пашалыка попытался взять город-крепость Поти, но безуспешно. В это время Ираклий сговорился с хертвисским Ибрагим-бегом и при его помощи овладел Хертвиской крепостью, важным пунктом Ахалцихского пашалыка. Создалось благополучная обстановка для освобождения грузинских земель, но из за позиции представителей России - генерал-майора Сухотина и капитана Львова, вскоре был вынужден сдать этот выгодный плацдарм. Шанс освобождения месхетинских земель был упущен.

ნინო ინაიშვილი  
გიორგი თავამაიშვილი

არქეოლოგიური გათხრები ციხისძირში  
1988 წელს

1983-1987 წლებში, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი – დ.ხახუტაიშვილი)<sup>1</sup> აწარმოებდა საველე სამუშაოებს ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირის სანაპირო ზოლში, ისტორიული პეტრას ციხის ჩრდილოეთით, 500 მ მოშორებით. აღნიშნულ ტერიტორიაზე (ყოფილი ბობოყვათის სანერგე მეურნეობის, ამჟამად პრეზიდენტის რეზიდენციის ტერიტორია) გაითხარა აბ.წ. IV ს. ორი აბანო და ძვ.წ. V ს.–აბ. წ. VI სს. დათარიღებული ვრცელი სამაროვანი. 1988 წელს, სანერგე მეურნეობის ცენტრალურ ნაწილში, (საველე დოკუმენტაციით - IV უბანი), გაითხარა ნაგებობის ნაშთები.

თავდაპირველად გასათხრელად შეირჩა რამოდენიმე უბანი. ერთი უბანი მდებარეობდა ზღვის სანაპიროდან 200 მ მოშორებით. აღნიშნულ უბანზე ზედაპირიდან 15-20 სმ სიღრმეზე იწყებოდა 40-50 სმ სიმძლავრის თიხნარი ფენა<sup>2</sup>, ხოლო 70-100 სმ სიღრმეზე თავი იჩინა გრუნტულმა წყლებმა. ეს ორი ფაქტორი ბუნებრივი დრენაჟისათვის ხელისშემსლელ პირობას წარმოადგენს. ამას დაერთო ხშირი წვიმები და მუშაობა აღნიშნულ უბანზე ფაქტიურად შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, საკონტროლო თხრილმა საშუალება მოგვცა დაგვედასტურებინა ის ფაქტი, რომ 1983-87 წწ. შესწავლილი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამაროვანი გრძელდება ჩრდილოეთით და მომავალში ამ მიმართულებით გათხრების წარმოება აუცილებელი ჩანს<sup>3</sup>.

მეორე ობიექტის შერჩევა განაპირობა შემდგება გარემოებამ : მშენებარე თბიექტების გარშემო ბადის გაშენების მიზნით აქ ამო-

<sup>1</sup> რაზმის შემადგენლობა: რაზმის უფროსები – გ.თავამაიშვილი, ს.გოგიტიძე, წევრები: ნ.ინაიშვილი, გ.ტოტოჩავა, ი.იაშვილი, მხატვარ-არქიტექტორი – ა.ჯაველიძე, ფოტოგრაფები – გ.ნიუარაძე, კქათამაძე.

<sup>2</sup> თიხნარი ფენა აღნიშნულ უბანზე სამეურნეო საჭიროებისათვის უნდა იყოს მოტანილი, ვინაიდან გარშემო 1 კმ რადიუსში მოგაკეული რელიეფია, რითაც გამოირიცხება პლასტიკური თიხების შემცველი გორაქ-ბორცვებიდან მათი ჩამორეცხვა და ბუნებრივ ქვიშნარ ფენაზე დალექვა.

<sup>3</sup> საკონტროლო თხრილში აღმოჩნდა ძვ.წ. V ს. შავლაკიანი ჭურჭლისა და ამფორის ფრაგმენტები და უფრო ადრეული ხანის, დიუნებური ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ნატეხები.

დეს ბზის მრავალწლიანი ნარგავები. დარჩენილ ორმოებში, ზედაპირიდან 10-15 სმ სიღრმეზე გამოჩნდა ჩაზავებული კრამიტების ფენა. ტოპოგეგმაზე ეს ტერიტორია შემაღლებულ ბორცვად იყო დატანილი, რაც ეკალ-ბარდებისა და ნარგავების გამო ვიზუალურად არ აღიქმებოდა. გავლებული იქნა ორი საკონტროლო თხრილი: ბორცვის სამხრეთით (სადაც ჩაზავებული კრამიტის ფენა იყო) და ჩრდილოეთით, სადაც ზედაპირიდან 10-15 სმ სიღრმეზე ქვიშაქვითა და კირსენარით ნაგები კედლის ფრაგმენტი იქნა მიკვლეული. აქვე აღვნიშნავთ, რომ გასათხრელად შერჩეული ობიექტის სამხრეთით და დასავლეთით იდგა მუცელნების საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მშენებლებმა ცოტა ხნით ადრე დაანგრიეს და ნანგრევების ჩასაფლავად იქვე ამოიღეს დიდი ზომის ორმოები. თვით ობიექტზე სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მოასვალტებული გზა გადიოდა, რომელიც სანახევროდ აყრილი იყო. ასე რომ, ნაგებობა, რომელიც შემდგომ იქნა გამოვლენილი, სრულიად შემთხვევით გადაურჩათ მშენებლებს.

აღნიშნულ უბანზე გაითხარა საზოგადოებრივი ნაგებობის ნაშთები, რომელიც 600 კვ.მ ფართობზე იყო განთავსებული (ტაბ.1).

ნაგებობა, რომელიც სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვის შენობების ერთობლიობას წარმოადგენს, სწორკუთხედშია ჩაწერილი. მისი დომინირებული ნაწილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული ფართობია, რომელიც შიდა ეზოს შთაბეჭდილებას ტოვებს (№1). ჩრდილოეთი მას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული აბანო ებმის (№№5-10). გარედან „შიდა ეზო“ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხებში გამართული „კოშკისებური“ ფორმის სათავსებითა აღჭურვილი (№№2, 3). „კოშკების“ დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრები აბანოს გავრცელების ფარგლებს არ სცილდება. „შიდა ეზოს“ აღმოსავლეთიდან, „კოშკსა“ და აბანოს შორის, ეპლესია (№4) ებმის. ამ უკანასკნელის დარბაზი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხედია, აღმოსავლეთ მხარეს სამწახნაგოვანი აფსიდით გაფორმებული შვერილით.

მთლიანად ნაგებობა ორიენტირებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ოდნავ აღმოსავლეთისაკენ გადახრილი). მისი სიგრძე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ 27,8 მ-ია, ხოლო სიგანე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ - 20 მ.

ნაგებობის კედლები ძირითადად საძირკვლის დონეზეა შემოწენილი, ხოლო კედლები აბანოს მდ თახებისა, რომლებიც თბებოდა (ტეპიდარიუმი, კალდარიუმი) ქვედა სართულის დონეზეა გადარჩენილი. ამის გამო საკარე დიობების მდებარეობა ზოგ შემთხვევაში ვერ დადგინდა. საძირკვლის სიმაღლე – 0,55 მ-ია, სიგანე – 1,2 მ. №1 სათავსის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია საძირკველზე ამოჟვანილი კედლის ნაშთები (სიგანე-1 მ).

ნაგებობის საძირკველი და კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ბაზალტის ქვით დუღაბზე. ქვებს მხოლოდ საპირე მხარე აქვს დამუშავებული. ისინი სხვადასხვა ზომისაა. კუთხეების ამოსაყვანად შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. შემორჩენილი კედლების სიმაღლემ არ მოგცა საშუალება დაგვედასტურებინა კედლის წყობაში აგურის სარტყლები, მაგრამ გვხვდება მთლიანად აგურით ამოყვანილი კედლიც (ტეპიდარიუმის ჩრდილოეთი კედელი). აგური ფართოდაა გამოყენებული ინტერიერშიც (აპოდიტერიუმის ბურჯები, ფრიგიდარიუმში – სათავსისა და აუზის გამყოფი ტიხარი, ჩამოსაჯდომი მერხი).

შესასვლელი შენობაში, როგორც ჩანს, მოთავსებული იყო №1 სათავსის სამხრეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში, სადაც შეინიშნება გარედან მიშენებული პილონების წყობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესასვლელი პორტიკის სახით იყო გაფორმებული.

№1 სათავსს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობა აქვს. იგი ცენტრალური სათავსია. მასზე სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში, აგრეთვე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, მიშენებულია სიმეტრიულად განლაგებული ნაგებობები. აღნიშნული სათავსი გამოირჩევა ზომებითაც (შიდა ზომები: 19,5 X 6,1მ). სათავსის კედლები საძირკვლის დონეზეა გადარჩენილი (საძირკვლის კედლის სიმაღლე – 0,45 მ, სიგანე – 1,2 მ). საძირკველზე ამოყვანილი კედლის ნაშთები შემორჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (კედლის სიგანე 1 მ). ამის გამო მხოლოდ ერთი ღიობის (№1 და №4 სათავსების დამაკავშირებელი) ჩრდილოეთი კედელი გამოიკვეთა (ღიობის სიგანე – 1,5 მ). დანარჩენ სათავსებთან დამაკავშირებელი ღიობები ვერ დავაფიქსირეთ. სათავსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემოინახა იატაკის მომზადება, რომელიც დაფუნილი კერამიკის ფენას წარმოადგენს.

№2 და №3 სათავსები, რომელთა კედლებიც საძირკვლის დონეზეა გადარჩენილი (კედლის სიგანე – 1,2 მ) კვადრატული მოყვანილობისა და ერთნაირი ზომისაა (შიდა ზომები: 4,3 X 4,4, მ).

№№1, 2 და №3 სათავსების დანიშნულების დადგენა შესაძლებელია მთლიანად ნაგებობის ფუნქციის დადგენისა და ოფიტ სათავსების გეგმის გათვალისწინებით. მათი პრეპარაციის დროს აღმოჩნილი მასალა დანიშნულების გასარკვევად არაფერს იძლევა. აქ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები, რაც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ნაგებობას კრამიტიანი სახურავი ჰქონდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კრამიტის ფრაგმენტები *in situ* არ არის აღმოჩენილი, რადგან 30-იან წლებში აღნიშნული ტერიტორია საგანგებოდ მოსწორდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მოედნის მომზადების მიზნით. ამის გამო კულტურულმა ფენამ მნიშვნელოვანი გადააღილება განიცადა.

№1 სათავსეს, აღმოსავლეთით, №2 სათავსესა და აბანოს შორის, მიშენებული აქვს აფსიდიანი ნაგებობა, რომელიც ეკლესიას წარმოადგენს (№4). გამოიკვეთა №1 სათავსიდან ეკლესიაში შესასვლელი დიობი, რომლის სიგანე დაახლოებით 1,5 მ-ია. ეკლესია დარბაზულია (შიდა ზომები: 3,7 X 2,6 მ), აღმოსავლეთით გაფორმებულია გარედან სამწახნაგა, შიგნიდან კი ნახევარწრიული მოყვანილობის აფსიდით (რადიუსი – 1,2 მ). აფსიდა ნავისაგან გამოყოფილია ტიხარით (სიგანე – 0,3 მ), რომელიც ამოყვანილია შემდეგნაირად: ქვისა და აგურის ერთ ფენას ადევს მოზრდილი, თანაბარი ზომის ქვების ერთი რიგი. ქვების ზედაპირი და გვერდები საგანგებოდაა დამუშავებული. მათზე შელესილობის კვალი არ შეინიშნება. ტიხარი იატაკის სავარაუდო დონის ზემოთ მდებარეობს. ეკლესის კედლები საძირკვლის დონეზეა გადარჩენილი. კედლების სიგანე 1,2 მ-ია. ეკლესია №2 სათავსიდან დაშორებულია 4,4 –ით, ხოლო აბანოდან 4,5 მ-ით.

№1 სათავსის დასავლეთი კედლის ცენტრალური ნაწილი (ეკლესიის მოპირდაპირებ) 6,2 მ სიგრძეზე დაზიანებულია (სავარაუდოდ, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროს), ამიტომ რაიმე მინაშენის კვალი აქ არ დადასტურდება. ჩვენი ვარაუდით, კედლის ამ დარღვეულ ნაწილში შესაძლებელია საკარე დიობი ყოფილიყო, რომლითაც მოსახერხებელი იქნებოდა მოკლე გზით აბანოში მოხვედრა.

ნაგებობის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული აბანო (ტაბ. 2) დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობისაა (სიგრძე -20 მ, სიგანე – 7,3 მ). იგი შედგება ანფილადურად განლაგებული ექვსი განყოფილებისაგან (№№5-10). დასავლეთით მდებარე სათავსი (№5) წარმოადგენს აპოდიტერიუმს. აღნიშნული სათავსის სამხრეთი და დასავლეთი კედლები იატაკის დონეზეა შემორჩენილი, ამიტომ საკარე დიობი, რომელიც ფაქტობრივად აბანოში შესასვლელი უნდა ყოფილიყო, ვერ დავადასტურეთ. სავარაუდო, იგი სამხრეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

აპოდიტერიუმი (№5) სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ შედარებით წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობის ოთახია (შიდა ზომები: 4,8 X 4,4 მ). მისი სამხრეთი და დასავლეთი კედლების სიგანე 1,2 მ-ია, ჩრდილოეთი კედლისა – 1,3 მ, ხოლო აპოდიტერიუმის და მის აღმოსავლეთით მდებარე ფრიგიდარიუმის გამყოფი კედლის სიგანე – 0,8 მ.

აპოდიტერიუმში, კედლების გასწვრივ განლაგებული იყო კვადრატული მოყვანილობის ბურჯები (ზომა: 0,4 X 0,4 მ), რომლებიც გრძელი აგურების (ზომა: 40 X 17 X 5 სმ) ჯვარედინი წყობითად ამოყვანილი. ბურჯები განლაგებულია ოთახის კუთხეებში და კედლების გასწვრივ. ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების გასწვრივ ორ-ორი ბურჯია, რომლებიც ერთმანეთისაგან და კუთხეებში განლაგებული ბურჯებისაგან თანაბარი მანძილითაა

დაშორებული, ხოლო დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში ერთი ბურჯის ნაშთია შემორჩენილი, რომელიც სხვა ბურჯებთან შედარებით უფრო განიერია (ზომა: 1,9 X 0,4 მ).

აპოდიტერიუმის ცენტრში, ოვალური მოყვანილობის ფართობზე (ზომა: 1,2 X 0,8 მ) აღმოჩნდა ჰიდრავლიკური ხსნარის ფენა, რომელიც იატაკის ზედაპირიდან 15 სმ სიმაღლეზეა შემორჩენილი. მისი დანიშნულება გაურკვეველია (იმპლუვიუმი?). ჰიდრავლიკური ხსნარის გარშემო დაფიქსირდა მარმარილოს ფილების ფრაგმენტები. როგორც ჩანს, აპოდიტერიუმის იატაკი 8 სმ სისქის ჰიდრავლიკური ხსნარის ფენაში ჩამაგრებული მარმარილოს ფილებით იყო მოპირკეთებული.

აპოდიტერიუმის ჩრდილოეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე, კედლის წყობაში არის ხვრელი, რომელიც სამკუთხედად განლაგებული აგურებით არის შექმნილი (სიგანე – 20 სმ). მას გასასვლელი აქვს აბანოს ჩრდილოეთი მდებარე კოლექტორში.

აპოდიტერიუმს აღმოსავლეთით ესაზღვრება ფრიგიდარიუმი (№6). მათი შემაერთებელი საკარე ლილი მოთავსებული იყო აპოდიტერიუმის აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში. აღნიშნული ლილის სამხრეთი კედლის ხაზი კარგად არ იკითხება. მისი სიგანე, სავარაუდო, 1,25 მ უნდა ყოფილიყო.

ფრიგიდარიუმი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობისაა (შიდა ზომები: 3,25 X 2,55 მ). აგურის ფილებით ამოყვანილი ტიხარი (სიგანე – 27 სმ) სათავსს გამოყოფს ჩრდილოეთით მდებარე აბაზანისაგან, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხედია (ზომა: 2,15 X 1 მ). ტიხარის სიმაღლე სათავსის იატაკის დონიდან 25 სმ-ია. ფრიგიდარიუმის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ კვადრატული აგურების (ზომა: 31 X 31 X 3 სმ) ოთხი რიგით ამოშენებულია მერხი, რომლის სიგრძე – 1,75 მ-ია, სიგანე – 0,31 მ, სიმაღლე იატაკის დონიდან – 0,25 მ.

აბაზანის იატაკი, სათავსის იატაკის დონესთან შედარებით, 35 სმ-ით დაბლა მდებარეობს. იატაკი, რომელზედაც ამჟამად მხოლოდ ჰიდრავლიკური ხსნარია შემორჩენილი, ჩრდილოეთითა დაქანებული. აბაზანის ჩრდილოეთი კედლის წყობაში, იატაკის დონეზე ჩაშენებულია წყალგამყანი მილი (დიამეტრი – 0,1 მ), რომლითაც ნახმარი წყალი გაედინებოდა კოლექტორში.

ფრიგიდარიუმის გამყოფ ტიხარს აბაზანის მხრიდან მიშენებული აქვს აგურით ამოყვანილი საფეხურები (სიგანე – 0,3 მ, სიმაღლე – 0,32 მ), რომელიც მერხის ფუნქციასაც ასრულებდა. სავარაუდებელია ერთი ან ორი საფეხური.

ციფრი განყოფილების ძირითადი სათავსისა და აბაზანის იატაკი და კედლები მოპირკეთებული იყო მარმარილოს ფილებით, რომელთა ფრაგმენტები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა პრეპარაციის დროს. იატაკი და კედლები შელესილი იყო ჰიდრავლიკური ხსნარის სქელი ფენით (სისქე – 8-10 სმ), რაც აუცილებელი იყო მარმარილოს

ფილების ჩასამაგრებლად. მარმარილოს ფილების ზოგ ნიმუშს გვერდებზე ფოსოები აქვს დატანილი, რომელშიც ბრინჯაოს ნაშთებია შემორჩენილი. როგორც ჩანს, კედლის წყობაში მარმარილოს ფილების ჩასამაგრებლად იყენებდნენ ბრინჯაოს ბრტყელ, ბოლოებმოგრეხილ სამაგრებს, რომელთა რამოდენიმე ნიმუში იქვეა აღმოჩენილი.

ფრიგიდარიუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ფრაგმენტულად შემორჩა მოზაიკა, შესრულებული ტექნიკით *opus sectile*. მოზაიკა აწყობილია გქვსკუთხა, მონაცრისფრო მარმარილოს ფილებითა (ზომა: 17,5 X 8,5 X 2,5სმ) და თიხის კვადრატული ფორმის (10 X 9 X 3სმ) ფირფიტებით. მარმარილოს ფილა, პიდრავლიკური ხსნარით შედგენილ საფუძველზე უკეთ დასამაგრებლად ირიბად არის წაპჭილი, ხოლო უკანა მხარეს კი სიგრძივი დარები აქვს დატანილი.

ორნამენტი, რომელიც იქმნება ამ ფილათა ურთიერთმიმართებით, სამეცნიერო ლიტერატურაში იწოდება “ურთიერთგადამკვეთ რვაკუთხედებად” ან “დახრილი ჯვრებით შეერთებულ კვადრატებად”. ეს ორნამენტი ფართოდ იყო გავრცელებული ა.წ. პირველი საუკუნეების რომაულ მოზაიკაში<sup>4</sup>. ნიშანდობლივია, რომ ეს ორნამენტი გვხვდება საქართველოშიც, კერძოდ ძალისის ა.წ. III საუკუნის მოზაიკაში, სადაც იგი განსხვავებული ტექნიკით - *opus tessellatum* არის აწყობილი და გამდიდრებულია დეკორატიული ჩანართებით<sup>5</sup>.

მოზაიკის შემადგენელი მარმარილოს ერთ-ერთ ფილაზე შემორჩა ამოკაწრული ბერძნებული წარწერა კურიე ვითე (‘უფალო შემეწიე’) (გაბ.3)

ციხისძირის დეკორატიული მოზაიკა წარმოგვიდგენს ა.წ. I საუკუნიდან იატაკის მოზაიკის ფართოდ გავრცელებულ ორნამენტს, რაც ართულებს მისი შესრულების დროის განსაზღვრას, შესაძლოა, მომავალში თარიღი დაზუსტდეს ფილების კვეთის ხასიათის, მოზაიკის შედარებითი ანალიზისა და წარწერის პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე (თუმცა, წარწერა შეიძლება უფრო გვიან იყოს შესრულებული).

ციხისძირის მოზაიკა საქართველოში აქამდე გამოვლენილ იატაკის მოზაიკათაგან განსხვავებულია შესრულების ტექნიკით, ხოლო ძალისისა და ბიჭვინტის ძეგლებისაგან – წმინდა დეკორატიული დანიშნულებით, რაც აკაგშირებს მას შუხუთის აპოდიტერიუმის ორნამენტულ დეკორთან (ა.წ. IV ს.)<sup>6</sup>.

ფრიგიდარიუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მოზაიკის მახლობლად, იატაკში კვადრატული მოყვანილობის ტრაპია (ზომა: 0,20

<sup>4</sup> მარმარილოსა და სხვა ქვების დიდი ზომის ფილებით შედეგნილი, კ.ი. ტექნიკით *opus sectile* შესრულებული წმინდა დეკორატიული დანიშნულების მოზაიკა ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ რესპუბლიკის, შემდეგ კი – იმპერიის ხანის იტალიაში – Morricone M.L., 1971; Levi D. 1947, 390; Blake M.E.

<sup>5</sup> მიზანდარი გ. 1987: 128.

<sup>6</sup> Закарая П.П., Леквинадзе В.А. 1966, 128-135, таб. V, 2, VI, VII, 1.

X 0,20 მ, სიღრმე – 0,7 მ) გაკეთებული, რომლის კედლები აგურებითაა ამოყვანილი. ტრაპის ნაპირები იატაკის დონეზე მოპირკეთებულია ვიწრო მარმარილოს ფილებით. ერთ-ერთი ფილა მოზაიკას ებჯინება. ტრაპიდან წყალი სათავსისა და აბაზანის იატაკის ქვემოთ, კედლის წყობაში დატოვებული არხის საშუალებით გაედინებოდა კოლექტორში. ტრაპი გადახურული იყო რამდენიმე მცირე ნახვრეტიანი მარმარილოს ფილით.

აბაზანის იატაკი სათავსის იატაკის დონესთან შედარებით დაბლა მდებარეობს. იატაკს, რომელზედაც მხოლოდ ჰიდრავლიკური სსნარია შემორჩენილი, დაქანება აქვს დასავლეთისაკენ. აბაზანის დასავლეთი კედლის გასწვრივ დარია, რომელშიც გაედინებოდა სათავსის ტრაპიდან გამდინარე წყალი. საბოლოოდ, აბაზანიდან ნახმარი წყალი ჩრდილოეთი კედლის წყობაში, იატაკის დონეზე ჩაშენებული მილის (დიამ. 0,1 მ) საშუალებით გაედინებოდა.

ფრიგიდარიუმის გამყოფ ტიხარს აბაზანის მხრიდან მიშენებული აქვს აგურით ამოყვანილი საფეხურები (სიგანე – 0,3 მ), რომელიც მერხის ფუნქციას ასრულებდა. სავარაუდებელია ერთი ან ორი საფეხური.

აბაზანის იატაკი და კედლები მოპირკეთებული იყო მარმარილოს ფილებით. კედლის მარმარილოთი მოპირკეთების კვალი შემორჩა აბაზანის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში. კედელსა და მარმარილოს ფილებს შორის ჰიდრავლიკური სსნარის სქელი ფენაა.

ფრიგიდარიუმის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში საკარე დიობია (სიგანე – 1 მ), რომლითაც იგი უკავშირდება ტეპიდარიუმს (№7). დიობის იატაკი მოპირკეთებულია თიხის ფილებით. ტეპიდარიუმი და კალდარიუმი ჰიპოკაუსტის დონეზეა შემორჩენილი. მისი სიმაღლე 0,8 მ-ია.

ტეპიდარიუმი (№7) სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული მოყვანილობის სათავსია (შიდა ზომები: 3,8 X 2,8 მ), რომელსაც ჩრდილოეთ ნაწილში, ფაქტოურად კედლის ნიშაში მოწყობილი სწორკუთხა მოყვანილობის აბაზანა გააჩნია. აბაზანის ზომებია: 1,2 X 1,15 მ.

ტეპიდარიუმის ჰიპოკაუსტის იატაკი წარმოადგენს კირხსნარზე მოთავსებული რიგის ქვის ფენილს. აბაზანის იატაკის საყრდენებად გამოყენებულია მრგვალი აგურებისაგან შედგენილი სვეტები. სულ აქვთ სვეტია შემორჩენილი (ორ რიგად სამ-სამი სვეტი). მრგვალი აგურის სვეტები კვადრატულ ფილებზეა მოთავსებული (მრგვალი აგურის დიამეტრი – 20,5 სმ, სისქე – 6 სმ. კვადრატული ფილის ზომა: 31 X 31 X 5სმ).

ტეპიდარიუმის იატაკი ეყრდნობოდა მრგვალი ფორმის მილის ფორმის კერამიკულ სადგრებს, რომლებიც სიმტკიცისათვის კირხსნარით იყო ამოვსებული. სადგრები ორ-ორ კვადრატულ ფილაზე დევს. სადგრების დიამეტრი – 20,5 სმ (გამონაკლის წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე სადგარი, რომლის დიამეტრიც

14 სმ-ია). დაზიანებული სახით შემორჩენილია მხოლოდ 6 სადგარი. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით სვეტების 7 რიგია, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 5 რიგი (სულ 35 სვეტი). ფილები, რომლებსაც მრგვალი საყრდენები ეყრდნობოდა, ტეპიდარიუმის აღმოსავლეთ ნაწილში მიჯრით არის განლაგებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შუაში გაჭრილი აგურის ორი სვეტია აღმართული.

ტეპიდარიუმში, ჰიპოკაუსტის დონეზე, ჩრდილოეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში დიობია (ზომა: 1,1 X 0,4 მ, სიმაღლე – 0,55 მ), რომლის კედლები დიდი ზომის თითო ქვითაა ამოყვანილი და გადახურულია გარდიგარდმო დადებული მოზრდილი ქვით. ქვების საპირე მხარე საგანგებოდა დამუშავებული. დიობის იატაკი, რომელზედაც დაგებულია მოზრდილი თიხის ფილები, კოლექტორისაკენ შემაღლებულია და უერთდება კოლექტორის იატაკის დონიდან 0,3 მ სიმაღლეზე ჩადგმულ ქვის ფილებს (სიგანე: 0,85 X 0,4 მ), რომელიც ნაპირებით კოლექტორის კედლების წყობაშია ჩაშენებული. ხესნებული დიობი წარმოადგენს საცეცხლურს, რომელსაც კოლექტორის მხრიდან პქონდა ხვრელი. ამ ხვრელიდან უნთებდნენ ცეცხლს. დიობის ქვით ნაგებ კედლებსა და იატაკის თიხის ფილებს ეტყობა ცეცხლის მოქმედების კვალი. თბილი განყოფილების აღჭურვა საკუთარი საცეცხლურით იშვიათია, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა განპირობებული იყო თბილი და ცხელი განყოფილებების შედარებით დიდი ზომებით.

ტეპიდარიუმი აღმოსავლეთით მდებარე კალდარიუმთან (№8) ჰიპოკაუსტის დონეზე დაკავშირებულია დიობით, რომლის სიგანე 0,55 მ-ია. კალდარიუმი სწორკუთხა მოყვანილობის სათავსია (ზომა: 2,6 X 2,55 მ), რომელსაც ჩრდილოეთით და სამხრეთით კედლის ნიშებში მოწყობილი სწორკუთხა აბაზანები (ზომა: 1,5 X 1,25 მ) გააჩნია. ჩრდილოეთით მდებარე აბაზანის ჩრდილოეთი კედლის წყობაში, ჰიპოკაუსტის იატაკის დონიდან 0,7 მ სიმაღლეზე ჩაშენებულია წყალგამყანი მილი (დიამეტრი – 0,1 მ), რომელიც ჩრდილოეთით, კოლექტორისაკენ არის მიმართული.

ტეპიდარიუმთან შედარებით კალდარიუმი უფრო ცუდადად შემონახული. სათავსის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლი მთლიანად დანგრეულია. იატაკის საყრდენი სვეტებიდან მირითადად შემორჩენილია კვადრატული ფილების თითო რიგი, რომელზედაც აღმართული იყო მრგვალი აგურის სვეტები ან სადგრები. მხოლოდ ხუთი სადგრის ფრაგმენტია გადარჩენილი სათავსის სამხრეთ ნაწილში.

კალდარიუმის აღმოსავლეთი კედლის შუა ნაწილში, იატაკებებია დონეზე ღიობია (სიგანე – 0,6 მ), რომლითაც იგი უკავშირდება საცეცხლურს. საცეცხლური (№9) თანაბარი მანილითაა დაშორებული კალდარიუმის აბაზანებიდან. იგი ამოშენებულია დიდი ზომის ქვებით. ჩრდილოეთი კედლის ამოსაყვანად გამოყენებულია სამი დიდი ზომის ქვა (ზომები: 0,6 X 0,25; 0,35 X 0,35 X 0,18 მ; 0,5 X 0,2

მ), რომელთა ნაპირები გულდასმითაა დამუშავებული. სამხრეთი კედელი დანგრეულია, მაგრამ ჩანს, რომ იგი ასეთივე დიდი ზომის ქვებით არის ამოყვანილი. საცეცხლურის ზომებია: სიგრძე – 2,1 მ, სიგანე – 0,6 მ. გადახურვა არ შემოინახა, ქვების სიმაღლის მიხედვით საცეცხლურის სიმაღლე 0,3 მ უნდა ყოფილიყო. იატაკი მოპირკეთებულია დიდი ზომის თიხის ფილებით (ზომა: 56 X 52 X 3სმ). საცეცხლურის ქვები და ფილებიც ცეცხლისაგან გაწითლებულია.

სავარაუდო, საცეცხლურის ზემოთ უნდა ყოფილიყო საქვაბე, რომელიც არ შემოინახა. საქვაბიდან ცხელი წყალი წყალგაფვანილობის მილებით უნდა განაწილებულიყო აბაზანებში.

აბანოს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც საცეცხლურს ემიჯნება, ძლიერ დაზიანებულია. აქ, კიდევ ერთი სწორულუთხა მოყვანილობის სათავსის (№10) კონტურები იხაზება, რომლის მხოლოდ ჩრდილოდასავლეთი კუთხეა შემორჩენილი. აღნიშნული სათავსის განლაგების გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ცეცხლფარეშის ოთხს წარმოადგენდა.

აბანოს ჩრდილოეთი კედლის მთელ სიგრძეზე მიშენებულია არხი-კოლექტორი, რომელშიც აბანოს სათავსებიდან ჩაედინებოდა ნახმარი წყალი. რადგან არხი ღია იყო, იგი წვიმის წყლის საწრეტადაც უნდა ყოფილიყო გამოიყენებული. არხის აღმოსავლეთი ნაწილი დაზიანებულია. მისი შემორჩენილი სიგრძე – 23,1 მ-ია, სიგანე – 0,4 მ, სიმაღლე – 0,7 მ. არხის იატაკი მოპირკეთებულია კვადრატული ფორმის თიხის ფილებით (ზომა: 32 X 32 სმ).

დასავლეთით არხი გადის ზღუდის კედელში და უერთდება ქვითა და დუღაბით ნაშენ დახურულ კოლექტორს, რომელიც ჩრდილოდასავლეთით, ზღვისკენ მიემართება, კოლექტორი 18 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. მისი სიგანე 0,75 მ-ია, შიდა ზომები: 32X30 სმ.

აპოდიტერიუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გარედან მიშენებულია წყალსატევი, რომელიც ჩრდილოეთით არხს ემიჯნება, ხოლო დასავლეთით ზღუდის კედელს (№11). იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხა მოყვანილობის სათავსია (შიდა ზომები: 2,6 X 0,75 მ), რომელიც შიგნიდან შელესილია ჰიდრავლიკური სხნარით. წყალსატევის ჩრდილოეთი კედელი იატაკის ღონეზეა მონგრეული. აქ, კედლის წყობაში, აღმოჩნდა იატაკის ღონეზე ჩაშენებული წყალსადინარი მილები. როგორც ჩანს, წყალსატევი ცივი წყლის დასაგროვებლად იყო გამიზნებული, საიდანაც წყალი მიემართებოდა აპოდიტერიუმსა და ფრიგიდარიუმში.

ნაგებობის დასავლეთით აღმოჩნდა კედელი (სიგანე – 0,8 მ), რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება. კედლის სიგრძე 59 მ-ია. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კედელი კუთხეს ქმნის და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. ამ ნაწილში იგი 8,5 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. რადგან აღნიშნული კედელი დასავლეთიდან და ნაწილობრივ სამხრეთიდან საზღვრავს ნაგებობას, შესაძლოა იგი ზღუდეს წარმოადგენდეს.

ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთით, ზღუდით შემოსაზღვრულ ფართობში, აღმოჩნდა მიწაში ჩადგმული სხვადასხვა ზომის 22 (ძირითადად დაზიანებული) ქვევრი. მოზრდილი ქვევრების (დიამეტრი – 1,1 მ) მხოლოდ ქვედა ნაწილებია გადარჩენილი. როგორც ჩანს, ამ უბანზე მარანი იყო გამართული.

გათხრების დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნაგებობა კრამიტით იყო გადახურული.

ნაგებობის გათხრების დროს მოპოვებული მასალებიდან აღსანიშნავია ქვის დეტალები: კარნიზის, კაპიტელის, ხელსაფქვავის ფრაგმენტები; რკინის ნივთებიდან: ანკესი, სამფრთიანი ისრისპირი. მინის ჭურჭლიდან - ჭრაქის ფრაგმენტი და ქუსლიანი სასმისების ნატეხები. კერამიკულ ფრაგმენტებს შორის ჭარბობს სამშენებლო კერამიკის, ძირითადად გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები. მოპოვებულიდან აგრეთვე, წელშეზნექილი ამფორის კონუსური ძირებისა და შედარებით მცირე რაოდენობით საოჯახო კერამიკის ნატეხები.

ნაგებობის დაგეგმარებისა და მშენებლობის ტექნოლოგიური თავისებურებების ანალიზი, გათხრების დროს მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, გვაძლევს საფუძველს, რომ აღნიშნული ნაგებობა, ზოგადად, ახ.წ. V-VI სს-ით დავათარიდოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიზანდარი მ. 1987 - ძალისის მოზაიკის დათარიღებისა და მხატვრული ისტორიული მნიშვნელობისათვის. მაცნე, ისტორიის სერია, №2.
2. Закарая П.П., Леквинадзе В.А. Археологические раскопки в Шухути. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განცოცილების მაცნე.
3. Blake M.E. The pavements of the Roman Buildings of the Republic and early Empire.
4. Levi D. 1947 - Antioch Mosaic Pavements. Princeton
5. Moriircone M.L. 1971 - Matini, Mosaici antichi in Italia. Roma.

**Nino Inaishvili, Giorgi Tavamaishvili**

**Archaeological excavations in Tsikhisdziri in 1988**

**Summary**

Our paper is dedicated to the building, which has been discovered in 1988 in Tsikhisdziri – early Byzantine archaeological site on the south-eastern Black Sea Littoral, 25 km south of Batumi.

The building is the unity of different chambers with various purposes. Its dominant part is an area which is extended from south to north and gives the impression of an inner yard. From the north it is connected to a bath extending from west to east. "The inner yard" on its southwest and southeast parts has the outward square towerlike constructions. The whole building is oriented from south to north. Its length is 27,8 m, and the width is the same 20 m in both south and north parts (Pl.1).

A building with apse which represents a church hall is built on the room #1 from east side. It is a hall-church with an apse on its east end. Interior dimensions of the hall are 3.7m X 2.6m. The apse is triangular from the outer side, and hemispheric from inner side (radius - 1.2m).

The bath in the north part of the building (#5-10) is extended from west to east and has a rectangular shape (length - 20m, width- 7.3m). It consists of six rooms with access from one room to another following the principle: apodyterium – frigidarium – tepidarium – caldarium (Pl.2).

In the north-west part of the frigidarium the mosaic made by technique of *opus sectile* is survived in fragments. The mosaic is represented by grey hexagon marble slabs and ceramic square tiles. The ornament constructed by the arrangement of these slabs is called as "Intercrossing Octagons". These ornaments were widely spread in the Roman mosaic of the first centuries AD. On one of the marble slabs of the mosaic there is a scratched Greek inscription which reads: "KKYPIE B" (Κύριε Βοηθεί - Lord Help me) (Pl.3).

According to the plan of the building and the archeological materials found during the excavations, the building can be dated to the 5th –6th centures AD.

**Нино Инаишвили, Гиоргий Тавамаишвили**

**Археологические раскопки в Цихисдзире в 1988 году**

**Резюме**


В 1988 году археологической экспедицией Юго-Западной Грузии в Цихисдзире (Кобулетский район) на территории Бобокватского саженцевого хозяйства (ныне президентской резиденции), которая считается городищем византийской Петры, был раскопан дворец площадью в 600 кв.м (Табл.1).

Дворец состоит из помещений, имеющих разное функциональное назначение. Центральная часть дворца представляет собой площадь в виде удлиненного с юга на север прямоугольника, которая производит впечатление внутреннего дворика. К северу к нему примыкает удлиненная с запада на восток баня, состоящая из пяти анфиладно расположенных отделений (Табл. 2). К «внутреннему дворику» в юго-западной и северо-западной частях примыкают два симметрично расположенных квадратных помещения, назначение которых трудно определить, с восточной же стороны внутреннего дворика пристроена зальная церковь, имеющая выступающую, снаружи трехгранную, а изнутри подковообразную апсиду.


Интересной деталью сложного сооружения является фрагмент мозаики, сохранившийся на полу холодного помещения бани. Мозаика выполнена в технике *opus sectile* шестиугольными мраморными (размеры 17,5 X 8,5 X 2,5 см) и квадратными керамическими плитами (10 X 9 X 3 см). Орнамент образованный расположением этих плит в научной литературе именуется “пересекающими октагонами” и был широко распространен в римской мозаике в первых веках н.э.

Следует также отметить выцарапанную греческую христианскую надпись "KKYPIE B" (Κυριε Βοηθεί – Господи сохрани), сохранившуюся на одной из мраморных плит напольной мозаики (Табл.3).


Археологические материалы обнаруженные при раскопках, а также палеографические данные надписи позволяют предварительно датировать весь комплекс V-VI вв. н.э.



1. ნაგებობის გეგმა Plan of the Building План помещения



2. აბანოს გეგმა Plan of the Bath План Бани



3. ҆αρ҆γρα մոխօջօն զօլօ՞ց  
Надпись на мозаичной плите  
Inscription on the mosaic slab

## თამარ სიხარულიძე

### მითი და სინამდვილე ზოჟვნარის ნიოგიღების მხატვრის პრატორის მოხატულობაში

ბერძნული კულტურის განვითარების პირველივე საუკუნეებში საკულტო პრაქტიკის, სოციალური პროცესების და ქცევის მოთხოვნების დაკანონება მითოსის საშუალებით მოტივირების გარეშე წარმოუდგენელია. ღმერთები და გმირები წარმოადგენდნენ კულტების და მათ მიმართ საზოგადოებრივი ორიენტაციის არსე. ცნობები მათი წარმოშობისა და ისტორიის, კომპეტენციისა და მოქმედებათა შესახებ მითებში იყო მოცემული. ლიტერატურა და სახვითი ხელოვნება, აგრეთვე საისტორიო მწერლობა ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. ცალკეულ საუკუნეებში მომხდარმა ცვლილებებმა და გადატრიალებებმა თავისი გავლენა მოახდინა მითოლოგიურ ტრადიციებზე და მაშასადამე, მათ დემონსტრირებაზე. ბერძნებს, როდესაც მითოსს მხატვრობასა და ლიტერატურაში იყენებდნენ, განსახიერებული თემის შინაარსი (ინფორმაცია) პრინციპულად უცვლელად გადმოჰქმდათ წინა პერიოდიდან, მაგრამ მას მოტივირება უკეთდებოდა თანადროული საზოგადოებრივი პრაქტიკის შესაბამისად და ამდენად, მითი პოლიტიკური პროპაგანდის საიმედო საშუალებას წარმოადგენდა.

ფიჭვნარის სამაროვნის №1 სამარხში 1967 წელს ადმოჩენილი წითელფიგურებიანი კრატერი<sup>1</sup> იმ ძეგლების რიცხვს განეკუთვნება, რომლებშიც ინფორმაცია ელინური კულტურის შესახებ მითოლოგიის ენაზეა გაცხადებული და ამავე დროს, არსებითია საუკუნეთა სიღრმეში ჩამოყალიბებული მითების განხილვა იმ ისტორიულ კონტექსტში, როდესაც ეს ნაწარმოები შეიქმნა.

კრატერის მოხატულობის განსაზღვრებისას ჩვენ მიერ გამოყოფილი იყო ოთხი სცენა<sup>2</sup> : 1. გმირის (თესევსის?) მიერ ქალის (ელენეს?) მოტაცება (ტაბ.1); 2. ქალდმერთ ქოსის მიერ ჭაბუკის ტითონოსის მოტაცება (ტაბ.2); 3. ტრიპტოლემოსის მისია (ტაბ.1); 4. სიმპოსიუმი (ტაბ.2). კრატერის მოხატულობა, კომპოზიციური და იკონოგრაფიული თვალსაზრისით, სავსებით შეესაბამება თანადროულ სახვით ხელოვნებაში დამკვიდრებულ ატიკურ მოდელებს. კომპოზიციურად მოტაცების ორივე სცენა, რომლებიც ერთმანეთისაგან დორიული სვეტის და ფიგურის მეტოპის პირობით ჩარჩოებითაა გამოყოფილი, ისეა ზედა უწყვეტ ფრიზში განლაგებული, რომ გმირისა და ქალდმერთის

<sup>1</sup> კახიძე ა., 1975:34-58, ტაბ. XIII-XVI.

<sup>2</sup> სიხარულიძე თ., 1988:60-61, ტაბ. XXXIX-XL.

ცენტრალური ფიგურები კრატერის დიამეტრალურად, საპირისპირო მხარეებზე ხვდება (ტაბ.5). ამასთან, თვალთახედვას უპირატესად იტაცებს გმირი, რომლის მოქმედება კრატერის ყველაზე მრავალფიგურიანი სცენის პერსონაჟთა უურადღების ცენტრშია მოქცეული (ტაბ.1). უშაუალოდ ამ სცენის ქვეშ აღბეჭდილი მითოლოგიურ-რელიგიური შინაარსის სცენა ტრიპტონლემოსის და ქალდმერთის ფიგურებით მთლიანად იზოლირებულია ჭურჭლის მეორე მხარეზე წარმოდგენილი სიმპოსიუმის სცენისგან (ტაბ.2). ტრიპტონლემოსის თემის სრულიად განსაკუთრებული როლი და მის ზემოთ მოცემული სცენის საგანგებო აქცენტირება საგვებით ნათელყოფს, რომ ეს არის ვაზის წინა მხარე მხატვრული დატვირთვის მატარებელი სიუჟეტებით. ამასთან, მეორე და მესამე სცენების ინტერპრეტაცია სქემატური ტიპის და იკონოგრაფიის საფუძველზე უტყუარია, ისევე, როგორც მეოთხე, ზოგადად, „სიმპოსიუმის“ სახელწოდებით ცნობილი სცენისა. რაც შეეხება პირველ სცენას, სადაც სიუჟეტი თითქოს ნათელია, ცენტრალური გმირის ფიგურა იმდენად განხოგადებული სახითაა გადმოცემული, რომ მისი თესევსთან იდენტურობის გამოცხადება მხოლოდ ფორმალური ნიშნების მიხედვით ძნელია, - სიშიშვლე, წყვილი შუბი და სატეგარი (მცირედს ამატებს ქუდი და ვარცხნილობა) გმირობის მიმნიჭებელი ატრიბუტების მინიმუმია (ტაბ.1).

მსგავსი პრობლემის გამო გახდა თვალსაჩინო ინტერპრეტატორთა პოლემიკის საგანი წვენივე მხატვრის ეპონიმ ვაზაზე აღბეჭდილი სცენა, სადაც გმირთა მთელი გალერეიდან მხოლოდ პერაკლეს და დიოსკურების ფიგურების ამოცნობა ხერხდება ფორმობლივი ნიშნების საფუძველზე<sup>3</sup> (ტაბ.6). აღსანიშნავია, რომ ფიგვნარის კრატერი, რომელიც ნიობიდების მხატვრის განსხვავებული რიგის ნამუშევრებს განეკუთვნება, სწორედ ლუკრის ვაზას დაუკავშირდა თავიდანვე და ამასთან იმით, რაც ძიების უმთავრესი საორჭოფო საგანთაგანია. საქმე ის არის, რომ ლუკრის კრატერის გმირთა საკრებულოში გამოსახული ერთ-ერთი დიოსკურის ფიგურის გადმოტანა ინება მხატვარმა ფიგვნარის ვაზაზე მთავარი გმირის სახით; ამან გამოიწვია ა.კახიძის მიერ ლუკრის ვაზაზე ცხენთან გამოსახული დიოსკურის თესევსად მიჩნევა,<sup>4</sup> რასაც იმავე სცენაში მდგომი მეორე ძმის (ქუდმოხდილი) გამოსახულება ტყუპების ინტერპრეტაციაში ამგვარ ჩარევას გამორიცხავს. მოსალოდნელია და კანონზომიერიც, რომ ჩვენი ვაზა, როგორც მნიშვნელოვანი ნაწარმოები, ნიობიდების მხატვრის შემოქმედებაში ზოგიერთ ხარვეზს შეავსებს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გასაღებად ვერ გამოგვადგება: მართალია ლუკრის

<sup>3</sup> მხატვრის იდენტურობის განმსაზღვრელი, ლუკრის დაცელი კრატერის, რომლის ერთ მხარეზე წარმოდგენილია ნიობიდების დახმარების სცენა, ხოლო მეორეზე გმირთა კრებული, ხელმისაწვდომი ილუსტრაციისათვის იხ.: კახიძე ა., 1975, ტაბ. XVII.

<sup>4</sup> კახიძე ა., 1975: 53-55.

და ფიჭვნარის ვაზებზე სახეზეა ფიგურის დუბლირება, მაგრამ ჯერ ერთი, როგორც აღნიშნეთ, ლუკრის კრატერზე აღბეჭდილი დიოსკურების იდენტურობა საკამათო არ არის მათი განუყრელობის გამო და მეორეც, ჩვენი გმირის გამოსახულება გადმოტანილია ლუკრის კრატერიდან, რომელიც ორიგინალის ასლს წარმოადგენს და შესაბამისად, ფიგურის განვითარების გეზიც მან უნდა მოგვცეს და არა პირიქით. რაც შეეხება ფიგურის დუბლირებას, დასაშვებად გვეჩვენება ვარაუდი, რომ ლუკრის კრატერიდან, ე.ი. ფრესკიდან გადმოღებული ფიგურებიდან, მხატვარმა ახალი გმირის სახის გადმოსაცემად დიოსკურების ტიპი არჩია და სხვა როლში განასახიერა, ჩართო სხვა სქემაში, რომელსაც შემდგომში არაერთგზის მიმართავდა მცირე ცვლილებებით.<sup>5</sup>

ფიჭვნარის კრატერის მოტაცების ცენტრალური სცენის უახლოესი კომპოზიციური და იკონოგრაფიული პარალელი ნიობიდების მხატვრის მიერ შესრულებულია ამჟამად ბოსტონის მუზეუმში დაცული კოლუტებიანი კრატერის ყელზე. რვაფიგურიანი სცენა ინტერიერშია ნაგულისხმევი: დორიული კოლონა, საკურთხეველი. ქალის მადევარი მოკლემოსასხამიანი შუბებიანი ჭაბუკის ფიგურის ზედა ნაწილი შემორჩენილი არ არის. ნაკლულია სკიპტრიანი ფიგურებიც.<sup>6</sup> ცნობილია, რომ სცენებში, სადაც მოკლემოსასხამიანი და წყვილშუბებიანი მამაკაცი ან ჭაბუკი მოსატაცებლად ქალს მისდევს, პერსონაჟების ვინაობას ჩვეულებრივად დადა ტოვებენ<sup>7</sup>, თუმცა ბოსტონის ვაზის მკვლევარი, ლუკრის და სორენტოს ვაზებზე არსებულ მსგავს გამოსახულებებთან მოცემული წარწერების საფუძველზე, მზად არის ჭაბუკი თესევსად დასახელოს, მაგრამ თავს იკავებს სხვა ვაზებზე მხატვრების მიერ დაშვებულ უზუსტობათა გამო. ამ უზუსტობებიდან გამომდინარე, მცდარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაში ავტორი გულისხმობს პელევსისა და თეტისის წყვილთან აღრევის შესაძლებლობას.<sup>8</sup>

მამაკაცის მიერ ქალის ძალად დამორჩილების სცენები უამრავია, მაგრამ გმირის მიერ ქალის მოტაცების, დეან-გაქცევის სქემა სახვით ხელოვნებაში მოთოლოგიური შინაარსით შეიძლება «თესევსი-ელენეს» და «პელევსი-თეტისის» წყვილებით შემოიფარგლოს. უკანასკნელი წყვილის წარმოდგენა ფიჭვნარის ვაზაზე, მიუხედავად მაღალი რანგის პერსონაჟთა გრძელი რიგისა, ჩვენი აზრით, გამოსარიცხია, პირველ რიგში ინტერიერისათვის დამახასიათებელი სვეტის, სკამის და საკურთხევლის შემოტანის გამო. გარდა ამისა, პელევსის და თეტისის შეუდლების სცენაში თეტისის იდენტურობაზე

<sup>5</sup> Webster T.B.L. 1935, Taf. 13, Halsbilder A, Taf. 23, Halsbilder B.

<sup>6</sup> Beazley J.D., Caskey L.D. 1951, pl. LVIII.

<sup>7</sup> Передольская А.А. 1967, 145 сл., табл. CXVI.

<sup>8</sup> Beazley J.D., Caskey L.D., 1951 : 81.

ჩვეულებრივად ლომი, გველი ან ღმერთქალის ზღვიური წარმოშობის მანიშნებელი დელფინი უნდა მიუთითებდეს<sup>9</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ გმირის ამოსაცნობად ფიჭვნარის ვაზა ყველაზე მრავლისმთქმელი ჩანს მსგავსსიუჟეტიან ჭურჭლებს შორის, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც უნდა მივანიჭოთ იმ ისტორიულ ფონს, რომელზეც მხატვრის მიერ გათამაშებული ეს მითოლოგიური სცენა სავსებით კონკრეტული შინაარსით უნდა ყოფილიყო დატვირთული. ფიჭვნარის ვაზა სწორედ ამ რიგის ნაწარმოებებს მიეკუთვნება, რომელზე გამოსახული ფიგურაც, პეროიდული პერსონაჟის სავსებით ჩამოყალიბებული ნიშნებით, არ შეიძლება კონკრეტული გმირის განმასახიერებელი არ ყოფილიყო (გაძ.1). ვის უნდა განასახიერებდეს ცნობილი ათენელი ვაზათმხატვრის მიერ ძვ.წ. V საუკუნის შუახანებში შესრულებული გმირი ქალის მომტაცებლის როლში?

ძვ.წ. VI საუკუნის უკანასკნელ ათწლედში ბერძნულ სახვით ხელოვნებაში, რომელშიც ვაზათმხატვრობას საპატიო აღგილი ეჭირა, შემოიჭრა განვითარების ახალი ხაზი – მკვეთრად გამოსახული ატიკური ორიენტაციით. ეს იმ პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის გამოხმაურება იყო. ახალი მითოლოგიური ციკლის დამკვიდრების პერიოდისათვის, პოლისური დემოკრატიის მოქმედების ფონზე მყარად იდგა დორიელი გმირი პერაკლე, რომელსაც ატიკურ სცენაზე (ხელოვნებაში, მითოსში) ქალღმერთი ათენა მფარველობდა. რეფორმატორმა სოლონმა (ძვ.წ. 640-560 წწ.) თავისი სახელმწიფო კანონები ათენის მფარველი ქალღმერთის, ათენას ეგიდის ნიშნით გაატარა. ამიტომ პერაკლეს დორიული წარმომავლობა აღარ შეეფერებოდა ატიკური კონსოლიდაციის მიზანს და, ატიკურ რეპერტუარში შემოვიდა ატიკელი გმირი, თესევსი, რომლის პერიოდული სახის ჩამოყალიბება გარკვეულწილად პერაკლეს სახის ატიკურ ნიადაგზე ადაპტაციის გზით წარიმართა. ატიკის ეროვნული გმირის სტატუსში თესევსის ასამადლებლად მას მიეწერა პერაკლეს საგმირო საქმეების ადეკვატური ციკლი, რომელიც ლიტერატურული წყაროებისა და ხელოვნების ნიმუშების მიხედვით ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოხანებშია შექმნილი.

ახალი გმირის შექმნა და მიზანდასახული მობილიზაცია პერაკლეს საპირისპირო უშუალოდ უკავშირდებოდა ათენში ტირანიის საწინააღმდეგო მოძრაობის აქტივიზაციას. თუ პერაკლეს სახის მაღალი კონიუნქტურა პისისტრატიდების პროპაგანდისტული მისწრაფების ამსახველია, თესევსის საგმირო ეპოსის ინიციატორები ალკმეონიდების წარჩინებული გვარის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, თესევსი დელფოსიდან დეპნილი ალკმეონიდიც კია.<sup>10</sup>

<sup>9</sup> Ibid; New Larouss Encyclopedia of Mythology, 1975 : plate on 179.

<sup>10</sup> Schindler W. 1987: 62.

ძვ.წ. V საუკუნის პირველ ათწლეულებში ორი გმირი სულ უფრო თანაბარმნიშვნელოვანი ხდებოდა<sup>11</sup>. პერაკლეს და თესევსის თანაბარმნიშვნელოვნების გამოხატულება პრწყინვალედ არის განხორციელებული ადრეკლასიკურ პერიოდში (ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედი) ოლიმპიის ზექსის ტაძრის მხატვრულ პროგრამაში.<sup>12</sup> ასეთი გათანაბრების და მაშასადამე, პერაკლეს დანაკარგის მიზეზი ამ პერიოდის იონურ-დორიულ ანტაგონიზმში უნდა მდგომარეობდეს, რომელიც გასაგებია, ატიკური დემოკრატიის წარმოშობას უნდა გაეძლიერებინა. ამასთან, სპარტასთან დაკავშირებული დორიული პოლისები მზად არ იყვნენ ათენის საზოგადოებრივ მიღწევებში სრული მონაწილეობისათვის. ფაქტობრივად, პოლისური სტრუქტურის საკითხი იღება.

როგორც სპარსეთთან ომების პერიოდის გამოკვლევა გვიჩვენებს, ამ ათწლევებში შესაძლებელი გახდა ათენის და სპარტის სამეფოების შეკავშირება, მაგრამ სპარსეთის უკუსაგდებად გაერთიანებული აქციის შედეგ საბერძნეთის პოლისები შევიდნენ ფაზაში, როდესაც მათი კავშირის ნელი, მაგრამ გარდუვალი დაშლა მიმდინარეობდა. ომის პარტნიორებს შორის განხეთქილება საბოლოოდ ხელშეკრულების დადების 30-ე წლისთავზე (ძვ.წ. 446 წ.) მოხდა, მაგრამ მანამდე ერთი წლით ადრე (ძვ.წ. 447 წ.) სპარტელებმა დემონსტრაციულად არ მიიღეს მონაწილეობა ათენში გამართულ მეგობრობის კონგრესში, რის გამოც ატიკური ინიციატივა ჩაიშალა. გარდა ამისა, ათენელები ჯერ კიდევ ძვ.წ. 478-477 წლებში გაეთიშენ სპარტას და კიმონის მეთაურობით კუნძულ სკიროსის აღების შემდეგ, იქიდან ათენში გადმოასვენეს ორაკულის მიერ ნაწინასწარმეტყველევი თესევსის ძვლები და პატივით დაკრძალეს გმირის სახელზე გამართულ *hieron*-ში, რომელიც ამჟამად თესეიონის სახელითაა ცნობილი და ჯერაც არ არის აღმოჩენილი. თესეიონის ტაძრის აგება მის კედლებზე შესრულებული მხატვრობით, რომლის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ლიტერატურული წყაროები, პოლიტიკურ სარბიელზე ათენის დამკვიდრების ძლიერ მანიფესტაციად უნდა ჩაითვალოს.<sup>13</sup>

ბერძნული მონუმენტური ფერწერის ნიმუშების ვაზებზე გადმოტანილი ასლები უპირველესად ნიობიდების მხატვრის სახელთანაა დაკავშირებული<sup>14</sup>. ასეთი როგორი, მაგრამ ამაღლებული წეის გარეშე შესრულებული სამუშაოს თავის გართმევა ყველაზე უპერ შეეძლო მხატვარს, რომელიც „გარემოების გამოძახილი“ უნდა ყოფილიყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომ ლოგიკურად გვწვენება, რომ ნიობიდების მხატვარი უფრო სპეციალური დაკვეთების შემსრულებელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე თავისუფალი მხატვარი. სწორედ ასეთი მხატვრის შემოქმედებაში ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნე-

<sup>11</sup> Boardman J. 1982: 2f.

<sup>12</sup> Schnidler W. 1987: 67f, Abb. 30-32, Taf. 43-51.

<sup>13</sup> Barron J.P., 1972: 20-45, Pls. I-VII.

<sup>14</sup> Robertson M., 1978: 123f. Fig. 15.

ლი გადახრა თავისი დროის გაბატონებული შეხედულებებიდან და ლმერთების, პანთეონის თუ გმირთა გალერეის ჩამოყალიბებული სტერეოტიპებიდან. იმ დროს, როდესაც ფიჭვნარის ვაზის შექმნისათვის თესეონი უკვე არსებობდა და თესევის, როგორც გმირი დიდების ზენიტში იმყოფებოდა, მისი სახისათვის უპირატესობის მინიჭება სავსებით ბუნებრივად განწვენება.

ზემოთქმულიდან ალბათ ჩანს, რომ შესწავლილი ობიექტის იკონოგრაფიულ და ისტორიულ მონაცემებზე დაკვირვება ჩვენს ყურადღებას თესევის სახის მითოლოგიური ასპექტის კვლევისაკენ მიმართავს.

ათენის და სპარტის გათიშვის მომწიფების პერიოდში, პირველად ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედში, ატიკური ვაზების თემატიკაში პერაკლეს ფორმალური პრესტიჟი შეილახა და თესევის სახე გაძლიერდა. თესევის საგმირო საქმეების ციკლმა მთელი სიფართოთ გაიბრწყინა ადრეკლასიკური პერიოდის ნაწარმოებებში, რომელთაგან მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს პენთესილეას მხატვრის დიდი ჯამი სპინადან<sup>15</sup>. ამ ვაზაზე ცენტრალური მედალიონის ირგვლივ მოცემულია თესევის საგმირო საქმეები, რომლებიც გმირის გამეფების წინაპირობას წარმოადგენდა და მისთვის ეროვნული გმირის და ატიკის მეფის სტატუსი უნდა მოეკოვებინა\*. ღვთაებრივი წარმომავლობის აღიარებისათვის შექმნილი მითის ილუსტრაციას კი ვხედავთ ლუგრში დაცული ვაზის, არქაული პერიოდის ვაზათმხატვრის, ონესიმოსის მიერ მოხატული ჯამის ტონდოში<sup>16</sup>. ამის შემდეგ თესევის მის ორეულთან (ტყუპისცალთან, მეტოქესთან), პერიოოლოსთან ერთად ვხედავთ ამაზონებთან ომში<sup>17</sup> და ლაპითებსა და პენტავრებს შორის გამართულ ბრძოლაში<sup>18</sup>. პერიოოლოსთან ერთად დგამს იგი ბოლო ორ

<sup>15</sup> Simon E. 1981: 130f., Taf. 184/185.

\* წრებული სათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით განლაგებულია თემები: ყაჩაღი სინისი; ავაზაკი პროგრუსტე; კერკიონი; ყაჩაღი სკირონი; მარათონის ხარი; მეფე ეგეოსი; მინოტავრი.

<sup>16</sup> New Larousse Encyclopedia of Mythology, 1975:Pl. on p.145. მამამისის, პოსეიდონის საუკუნეში ჩასულ თესევის ზღვის ქალდვთაება ამფიტრიტე ძვირფასი გვირგვინით ასაჩუქრებს.

<sup>17</sup> Simon E. 1981: 141, Taf. 202.

<sup>18</sup> Barron J.P. 1972: pl. II-VI.

\*\* ა. პიპოდამიას სიკვდილის შემდეგ, პერიოოლოსმა დაარწმუნა აგრეთვე დაქრივებული თესევის, რომ სპარტადან მოეტაცათ ელენე, რომლის ძმებთან, დიოსკურებთან დამოყერების სურვილი თრივეს პჲონდა. იქ სადაც ამჟამად სერაპისის სამღოცველო დგას ათენში, მათ ერთმანეთს შეჰვიცეს, რომ ამ სახიფათო წამოწყებაში ერთმანეთის გვერდით იქნებოდნენ; რომელ მათგანს ერგბოლდა ელენე წილისყრით უნდა გადაეწყვიტათ მხოლოდ მისი მოტაცების შემდეგ. უწილოდ დარჩენილისთვის ზევსის სხვა ასული უნდა მოეტაცათ, რადაც უნდა დაჯდომოდათ. ბ. გაილაშქრეს ლაქედემონიაში, ლაშქრიდან დაწინაურებულებმა სელო იგდეს ელენე, როდესაც გოგონა მსხვერპლს წირავდა არტემიდეს ტაძარში, სპარტაში და მშვიდობით გააღწიეს ტეგეამდე, სადაც წილი ყარეს. ელენე თესევის ერგო. მან კარგად იცოდა, რომ ათენელები არ გაამართლებლნენ მის საქციელს, რომელსაც სწორუპოვარ დიოსკურებთან შეტაკება უნდა მოპ-

საბედისწერო ნაბიჯსაც: იტაცებს ელექტრონული მიყვება თავის მეგობარს, პერსეფონეს მოსატაცებლად.

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ბოლო ორი სიუჟეტის შემთხვევაში, რომელთაგან პირველს განვიხილავთ, როგორც ჩვენს ვაზაზე აღბეჭდილს, თესევსთან დაკავშირებული მითოსის ყველაზე ადრეულ და დრმა საწყისებთან გვიხდება შეხება. მარტივად გამოსახული სცენის მიღმა საძიებელია ის საკულტო-რელიგიური მოტივირება, რომელიც ნაკარნახევი იყო უძველესი ფესვების სიღრმიდან მიღებული ტრადიციული აზოვნებით. მითის შინაარსი ცნობილია\*\*. ისტორიულ-ანთროპოლოგიური თვალსაზრისით მითოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი, რობერტ გრეივზი, ამ მითს შემდეგ საწყისებზე აგებს.<sup>19</sup>

1. იკონგრაფიულად საიქიო/ჯოჯოხეთგამოვლილი გმირი ცნობილია რამდენიმე მითოლოგიდან. მათ შორის: თესევსი, პერაკლე და

---

ყოლოდა და ამიტომ ელექტრო რომელიც საქორწინო ასაკის ჯერ არ იყო, – თორმეტი წლისა, ზოგიერთი ვერსიით კი უფრო მცირებულოვანიც – ატიკის სოფელ აფიდნეში გადამალა თავის მეგობარ აფიდნესთან. თან მომცლელად დედამისი აეთრა გააყოლა. სხვა ვერსიით, ელექტრო იდასმა და ლინკევსმა მოიტაცეს დიოსკურებისათვის სამაგიეროს მისაზღავად ლევეკიძების მოტაცების გამო და თესევსს საპატრონოდ ჩააბარეს. არსებობს აგრეთვე ვერსია, რომ ელექტრო მამამ (დედამისის ქმარმა) ტინდარევსმა ანდო თესევსს ასეული, როდესაც შეიტყო, რომ მისი დისტული ენარეფუსი აპირებდა ელექტრო მოტაცებას. გ. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ელექტრო გასათხოვრად მომწიფდა, პერიოდოსმა თესევსს პირობა შეასხენა. კვლავ მიმართეს მათი ფიცის მოწმე ზექსის ორაკულს, რომლისგან შემდეგი იორინული პასუხი მიიღეს: “იქნებ ტარტაროსს წევოდით და პადესისთვის მისი ცოლი პერსეფონე მოგვთხოვთ პერიოდოსის საცოლედ? იგი ყველაზე აკოილშობილია ჩემს ასეულებს შორის”. თესევსი შეურაცხეოფილი დარჩა, როდესაც პერიოდოსმა ეს ნათქვამი სერიოზულად მიიღო და ფიცის შესრულებისკენ მოუწოდა მას, მაგრამ უარის თქმა არ შეეძლო და მასთან ერთად მახვილით სელში ტარტაროსში ჩავიდა . . . პადესმა ცივად მოისმინა მათი თავებდური მოთხოვნა და მოჩვენებითი სტუმართმოუვარეობით დაჯდომა შესთავზა. ასე აღმოჩნდენ ისინი “დავწესების სკამზე” და ისე შეერწყნენ ამ სკამს სხეულით, რომ თავის დაუსახიჩრებდად ვეღარ წამოღებოდნენ. . . დ. ასე გავიდა ოთხი წელი. ცერძერის მოსაძებლად ტარტაროსში ჩასულმა პერაკლემ იცნო ისინი, როდესაც სელებაწვდილნი შველას ითხოვდნენ. პერსეფონები, რომელმაც მმასავით მიიღო პერაკლე, სულგრძელად დართო მას დამნაშავეთა განთავისუფლების ნება. პერაკლემ გიგანტური ძალისმევით და ზათქით კლდოვან სკამს მოწყვიტა თესევსი, ისე, რომ მისი სხეულის დიდი ნაწილი იმ ადგილს შერჩა (ამიტომ აქვთო თესევსის ათენელ შთამომავლებს აბსურდულად პატარა საჯდომები). პერიოდოსის განთავისუფლება პერაკლემ ვერ შეეძლო, რადგან იგი ამ ავაზტურის სულისჩამდგმელი იყო. არსებობს მითის განსხვავებული, თესევსის დამაკნინებელი ვერსიებიც. გ. თესევსის ტარტაროსში ყოფნის დროს დიოსკურებმა გაიღაშქრეს ათენის წინააღმდეგ და თავიანთი და სპარტაში დაბრუნებს. ტარტაროსიდან დაბრუნებულმა თესევსმა ათენში წესრიგი ვეღარ აღადგინა და კრებისკენ ხიზნად მიმავალმა, ტრაგიკულად დაასრულდა სიცოცხლე კუნძულ სკიროსზე. ათენის ტახტზე დარჩენილი მენესთევესის ტროას ომში დაღუპვის შემდეგ ათენში თესევსის შვილები გამეფდნენ (102.e; 104.h), იხ. შენიშვნა 19.

19 Graves R., 1979, თესევსის ცილიდან მითითებული პარაგრაფები ტექსტთან ფრჩხილებშია მოცემული.

დიონისე, აგრეთვე ორფეები საბერძნეთში; ბელი და მარდუხი ბაბილონში; ენეასი იტალიაში. მითის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს მატრიარქალურ საზოგადოებაში მიღებულ, საკრალური მეფისთვის ინსცენირებულ დროებით სიკვდილთან მისი მეფობის ვადის დასასრულის მოახლოებისას, როდესაც მას ცვლიდა დროებით „შემცვლელი ბიჭი“ –*interrex*. ამით მევე თავს აღწევდა რეალურ სიკვდილს, რომელიც კანონით იყო დაწესებული, კანონი კი კრძალავდა ვადის გაგრძელებას მზის წელიწადის ცამეტი თვის შემდეგ (102.2).

2. ამიტომ მეფეს (თესევს-პერიოოსის მეტოქე წყვილი) უნდა მოენადირებინა იმ ქალდმერთის („სიკვდილი-სიცოცხლეში“) გული, ვის კომპეტენციაში შედიოდა მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. მითში ეს ქალდმერთი ჩნდება როგორც ელენეს, აგრეთვე პერსეფონეს სახით. თესევს-პერიოოსის დუეტმა შესთავაზა მას ერთგული სამეფოს წყვილი, რომელმაც კასტორის და პოლიდევკის მსგავსად, მეზობელ ქალაქზე მოაწყო თავდასხმა. ერთ-ერთი მათგანი შეწყნარებულ იქნა, როგორც დვთაებრივი წარმომავლობის მქონე (102).

3. ელენეს მოტაცება მსხვერპლ შეწირვის პროცესში შეიძლება მოდიოდეს გამოსახულებიდან, რომელზეც ნაჩვენებია ორგიერთის თესმოფორიაში. აგრეთვე შესაძლოა, რომ ატიკელი ქალდმერთის ელენეს ტაძარი აფიდნები შეიცავდა ათენელების მიერ ლაკონის ამავე ქალდმერთის ტაძრიდან მოპარულ გამოსახულებას ან სხვა საკულტო საგნებს, რომლებიც შემდგომში საპარტელებმა ადმოანინებ და დაიბრუნებ. თუ ტარტაროსში ჩასვლა ამბის დუბლიკატს წარმოადგენს, შეიძლება ათენელებმა საზღვაო ლაშქრობა მოაწყვეს ტაენარუსზე (103.4).

4. ტარტაროსში თესევსის დარჩენა ოთხი წლით, საკრალური მეფის მიერ შემცვლელისთვის ადგილის დათმობის წვეულებრივი ვადაა; ახალი საკრალური მეფე, თესევსი *redivivus* – აღდგომილი, ამის შემდეგ უნდა გამეფებულიყო.

თესევსის, როგორც სიკვდილს თავდაღწეული მეფის სახის შემოტანით ათენელებმა სცადეს თავიანთი ეროვნული გმირის ოლიმპიკები დმერთის სტატუსამდე ამაღლება (დიონისეს და პერაკლეს მსგავსად), მაგრამ მათი პელეპონესელი მტრები წარმატებით წინაღუდგნენ ამ მიზანს თესევსის დამაკნინებელი შინაარსის ვარიანტების შემოტანით. მაგრამ თესევსი მნიშვნელოვანი გმირების რანგშია როგორც კრეტის ლაბირინთოგამოვლილი გმირი. ათენი რომ ხმელეთზეც ისეთივე ძლიერი ყოფილიყო, როგორც ზღვაზე, თესევსი უთუოდ გახდებოდა ოლიმპიკები ან ეროვნული ნახევარლმერთი მაინც. თესევსის მიმართ მტრული განწყობის მთავარი წყარო უნდა ყოფილიყო დელფოსი, სადაც აპოლონის ორაკული, როგორც ცნობილია, სპარტელებს ემსახურებოდა ათენის წინააღმდეგ ბრძოლაში (103. 4-5).

ჰელენ(ა) და ჰელე, ან სელენე, მთვარის ქალღმერთის ლოკალური ვარიანტებია. მთვარის კულტის აღმსარებლობა ასახულია მთელი ელინური რასის ეპონიმი მამის, (ჰელენოსის სახელში, რომელიც მთვარის ქალღმერთის მამრობითი ფორმაა. პატრიარქალური წესის და მემკვიდრეობის მამრობითი ხაზის დამკვიდრება ელინოსის პირველი თაობის შვილებს, აქეოსს და დოროსს უკავშირდება.<sup>20</sup> პაგსანიას მიხედვით, პირველი ტომი, რომელსაც შეიძლება ელინები ვეწოდოთ, გამოსულია თესალიიდან, სადაც მთვარის ქალღმერთის, ჰელეს კულტი იყო გაბატონებული.<sup>21</sup> ამ კუთხით, თესევსის მიერ ელენეს მოტაცების თემის წარმოჩენა ძვ.წ. V საუკუნის შუახანების ხელოვნებაში, მიმართული უნდა იყოს ჰეროიკულ სტატუში ამაღლებული გმირის პატრიარქალური მემკვიდრეობის საილუსტრაციოდ, რაც ათენის მიერ პატრიარქალური შემობრუნების ინიციატორის პრიორიტეტის დემონსტრირებას უნდა ემსახურებოდეს; ხოლო მითოლოგიის წიაღიძის აღებული მატრიარქატისდროინდელი საკრალური ქორწინების თემა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი ნაწარმოების მხატვრულ კონცეფციას, ახალი იდეოლოგიისათვის მისაღები კულტისა და რელიგიური მიმართულების პროპაგანდისტულ პროგრამაში ჩანს ჩადებული.

ძველი თემის ახლებური გააზრება განხორციელებულია ახალი სცენური მოდელით, რომელიც შეიძლება შემოტანილია ნიობიდების მხატვრის მიერ თუ არა, მისი უახლოესი კოლეგების მიერ ისევე, როგორც ტრიატოლებოსის სცენის მოდელი<sup>22</sup>.

მოტაცების თემა ფიჭვნარის ვაზაზე მეორდება მეორე წყვილის, ეოსისა და ტითონოსის სცენაში (ტაბ.2). ეს არის ეოსის და აეფალოსის ან ეოსის და ტითონოსის ცნობილი მითის ატიკურ ნიადაგზე გადამუშავებული ვარიანტი, ისევე, როგორც ფიჭვნარის მეორე კრატერზე, რომელიც ვაზათმხატვარ პოლიგნოტოსს ან მის წრეს განეკუთვნება (ტაბ.7),<sup>23</sup> ოდონდ ამ უკანასკნელზე შუბოსანი მონადირე კეფალოსია გამოსახული, ნიობიდების მხატვრის ნამუშევრში კი – ათენელი ყრმა მოსწავლე ჩანგით ხელში, - გაატიკურებული ტითონოსი. ორივე იკონოგრაფიული ტიპი კარგად ცნობილი და ფრიად პოპულარულია კლასიკური პერიოდის ვაზების თემატიკაში.<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ ფიჭვნარში ორად-ორი კრატერია აღმოჩენილი და ორივეზე ამ თემას ვხვდებით. პოპულარობისაგან დამოუკიდებლად და იმის მიუხედავად, რომ ეს თემა ითვლება ელინი მითოგრაფების მიერ ატაცებულ ფანტაზიად, ალეგორიად და არა რეალურ ნიადაგზე აღმოცენებულ მითად<sup>25</sup> ჩვენთვის საინტერესო ის

<sup>20</sup> Graves R., 1979: 43.1.

<sup>21</sup> Павсаний., 1938: 265 (III.20-6); Graves R., 1979: 70.8.

<sup>22</sup> Boardman J., 1989: 226, fig. 10.

<sup>23</sup> სიხარულიძე თ., 1985: 9-22.

<sup>24</sup> Boardman J., 1989: 230, fig. 61, 93, 112.

<sup>25</sup> Graves R., 1979: 40. 1,2.

არის, რომ სცენა ჩართულია იმ საერთო თემატიკაში, რომლის შეკვრელად და კონკრეტული მნიშვნელობის მიმნიჭებლად და მაშასადამე, მთავარი იდეის მატარებლად გვესახება ტრიპტოლემოსის მისიის ამსახველი სიუჟეტი.

ფიჭვნარის ვაზაზე ტრიპტოლემოსი გამოსახულია ფრთოსან ებლში ან ფრთოსან ტახტზე მჯდომარე სამი ქალდმერთის გარე-მოცვაში (ტაბ.1). სცენაში გადმოცემულია პარგად ცნობილი მითის\*\*\* ის მომენტი, როდესაც დემეტრე ტრიპტოლემოსს საპატიო მისიის შესასრულებლად აგზავნის. სურათზე წარმართველი ქალდმერთის ფიგურა გამოსახულია ხელში ხორბლის თავთავებით, გამნათებელი, პერსეფონე - ჩირადდნებით, ეტლის უკან მდგომი ქალის ფიგურა, პერატე - ხელში გვირგვინით, რომლითაც ტრიპტოლემოსი უნდა უკვდავყოს. ჯერჯერობით კი ტრიპტოლემოსს დაფნის საზეიმო გვირგვინი ამკობს. მის ხელში სკიატრა სამეფო ინსიგნიაა, ხორბლის თავთავები - სამისიონერო; როგორც საკრალური მეფის ატრიბუტი, ხორბლის თავთავი იმას ნიშნავს, რომ მეფის სიკვდილმა დოვლათი მოიტანა. მისი სიკვდილისშემდგომი გაღმერთების მანიშნებელია მაგიური ეტლი.<sup>26</sup> დოქი დემეტრეს ხელში და ფიალა ტრიპტოლემოსის ხელში საზეიმო ზედაშეს შესაწირავი საგანგებო ატრიბუტია.

დემეტრეს პულტან და ელევსინის მისტერიებთან მჭიდროდ დაკავშირებული, ფიჭვნარის ვაზაზე აღბეჭდილი ტრიპტოლემოსის მითი ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია ელევსინის ციკლის სიუჟეტებს შორის ვაზების მოხატულობაში. ანალოგიური სცენა ალტამურას მხატვრის ვოლუტებიანი კრატერის ყელზე შეიძლება ცოტა უფრო ადრე იყოს შესრულებული, თუმცა როგორც ჯ.ბორდმანი აღნიშნავს, ალტამურას მხატვარი შეიძლება ძველმოდურია უფრო, ვიდრე ნიობიდების მხატვრის წინამორბედი.<sup>27</sup>

\*\*\*მიწისქვეშეთის (საიქონს) დავთავების, პადესის მიერ დემეტრეს ასულის, კორას (იგივე პერსეფონეს) მოტაცებით გამწარებულმა ქალდმერთმა ოლიმპი მიატოვა, თავის ფუქციებზე ხელი აიღო და დედაბრის სახით ადამიანებს შორის დაიწყო ხეტიალი. ელევსინში მისული დემეტრე მეფის სახლში ძიად შეიფარებს. წასვლის წინ, როდესაც მან თავისი დავთავებრიობა გამოამჟღავნა, მადლობის ნიშნად მასპინძლების უფროს ვაჟს, ტრიპტოლემოსს ხორბლის პირველი თავთავი უბობა და ხნა-თესება ასწავლა. დაუტოვა აგრეთვე დრაკონებშეპმული ეტლი და მიწათმოქმედების მთელ მსოფლიოში გავრცელება უბრძანა. არგადიაში, თრაკიაში, სიცილიაში, სკიონიაში, მიზიაში საპატიო მისიის აღსრულების შემდეგ ტრიპტოლემოსი დაბრუნდა ელევსინში, სადაც ქალდმერთის კულტს ნაზიარებ მონაწილეებს მის სახელზე აგებულ ტაძარში მისტერიების დღესასწაული უნდა ჩაეტარებინათ – New Larousse Encyclopedia of Mythology, 1975: 151-2, 155-6.

ელევსინის მისტერიები კოველი წლის სექტემბრის თვეში (ბოედრომიონ) ტარ-დებოდა და ცხრა დღის განმავლობაში გრძელდებოდა (Simon E., 1981:121, Taf. 167-8; 142). ელევსინი წარმოქმნილია სიტყვიდან *eilythues* “(ტაძარი) მისოვის, ვინც თავშესაფარში მრისხანებს”.

<sup>26</sup> Graves R.,1979: 24.5.

<sup>27</sup> Boardman J., 1989: 14, fig.10; იხ. აგრეთვე Simon E., 1981:133, Taf. 100.

მიუხედავად იმისა, რომ ელევსინთან დაკავშირებული სიუჟეტები ხშირია ატიკური ვაზების მოხატულობაში, აგრეთვე ქანდაკებაში, განსაკუთრებით რელიეფებში, ელევსინის მისტერიების იკონოგრაფიის კონკრეტული კვლევა, რიტუალის ბუნებიდან გამომდინარე, ურთულეს საკითხად ითვლება, რადგან ჩვენთვის მისაწვდომ წყაროებში ყოველთვის მკაცრადად დაცული რიტუალის საიდუმლო, მით უმეტეს იკონოგრაფიული თვალსაზრისით. ელევსინის და ძეგლის გამომდინარე, მისტერიული რელიგიის თაყვანისცემა ბერძნებისათვის ბოლომდე დარჩა სიამაყისა და მოწიწების საგნად და იდუმალებით მოსილი განძის სახით მოევლინა მეცნიერებას. ეს განწყობილება კარგად არის გადმოცემული პენრი შლიმანის ბიოგრაფიულ რომანში: „პენრის უსაყვარლესი ადგილი ქალაქებრეთ დასასვენებლად ელევსინი იყო. აქ ქალღმერთ დემეტრეს მიერ თავშესაფრისათვის სამადლობლად, ხორბლის პირველი მარცვლის და მასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი საჩუქრის, მიწის დამუშავების ცოდნის ბოძების უკვდავსაყოფად, დაარსებულია სახელგანთქმული მისტერიები, რომელთა შესახებ ჯერ არავის გაუბედია რაიმეს თქმა ან დაწერა.“<sup>28</sup>

ელევსინი, რომელიც მითოლოგიური ტრადიციის თანახმად, თესევსის დიდმა პაპამ ერებოთევსმა დაიპყრო,<sup>29</sup> ათენს ემორჩილებოდა, მაგრამ მისტერიები მას არ ექვემდებარებოდა. ერებოთევსის და ეპმოლფის მითი ელევსინის მისტერიების თრაკიულ-ლიბიურ წარმომავლობაზე მიუთითებს ისევე, როგორც დემეტრეს კულტი.<sup>30</sup> სახელი *thesmophoros* – „ვინც კანონებს იძლევა“, მას ეწოდა როგორც ქორწინების ქალღმერთს. ტრიპტოლემოსის სახელი (*tripolmaios* – „სამგზის გამბედავი“) ატიკაში მიწის სამგზის ხენის პრაქტიკას უნდა უკავშირდებოდეს<sup>31</sup>.

ფიჭვნარის კრატერზე აღმეჭდილ სურათზე სამი ქალღმერთის გამოსახულება დემეტრეს ტრიადის (კორა, პერსეფონე, პეპატე) სახის გავლენით უნდა იყოს წარმოდგენილი, ოდონდ აქ თვითონ დემეტრეა სახეზე და რადგან დემეტრე სამსახოვანი ქალღმერთის ზოგადი სახელწოდებაა, კორა და პერსეფონე ერთ სახეშია გაერთიანებული, რაც მითის გვიანდელი აღრევის შედეგია.<sup>32</sup> ქალღმერთის სამსახოვნება – ქალწული (კორა), ნიმფა (პერსეფონე) და ხანდაზმული (პეპატე) – შესატყვისია ჯეჯილის, მწიფე თავთავის და მოწეული ხორბლის და სათავეს მაშინ იღებს, როდესაც სამიწათმოქმედო რიტუალს მხოლოდ ქალები ასრულებდნენ.

უკვდადმოსაგლური უქსევბის მქონე ელევსინის მისტერიები აღიარებულია ბერძნული ხასიათის ტიპურ უკნომენად და მისი არსი შემდეგნაირად ყალბდება: „მითიურ-რიტუალური კომპლექსი, რომე-

<sup>28</sup> Stone I., 1976 : 226.

<sup>29</sup> Rose H.J., 1977: 255.

<sup>30</sup> Graves R. 1979: 4.1 and 24.14.

<sup>31</sup> Graves R., 1979: 24.5.

<sup>32</sup> Graves R., 1979: 92.1.

ლიც შეიცავს სეზონური ნაყოფიერების და ქალაქის კეთილდღეობას-თან დაკავშირებულ თემასაც, მაგრამ მასში წამყვანია მოქალაქეთა ჯგუფის და მოგვიანებით, მთელი ბერძნული და ოომაული სამყარო-დან კაცების და ქალების ჯგუფების ინდივიდუალური ინიციაცია. ეს საიდუმლო ინიციაცია საგანგებო პერსონალური პრივილეგიების მიმნიჭებლი იყო უკვე ამ ცხოვრებაში, მაგრამ განსაკუთრებით საი-ქიოში.<sup>33</sup> ამრიგად, საქმე გვაქვს კოლექტიურ განზრახვასთან, რომე-ლიც უკავშირდებოდა მიწის ნაყოფიერების სეზონურ განახლებას ქალდმერთის მისტიური ქორწინების გზით და შესაძლოა, უფრო ფართო კონტექსტში, მარცვლეულის კულტივაციის შემოტანას, რომე-ლის სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენს ტრიპტოლემოსის გაგ-ზავნა მთელ დედამიწაზე ახალი სამიწათმოქმედო კულტურის დანერ-გის მიზნით. აგრეთვე საქმე გვაქვს კოლექტიურ განზრახვასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინდივიდუალურ განზრახვასთან, რომლის არსი გამჟღავნებულია ელევსინის რიტუალურ ფორმულაში: “ვინც ამას ეზიარა სამგზის დალოცვილია”<sup>34</sup>.

ელევსინის მისტერიებზე უაღრესად ნაკლოვანი წარმოდგენის შუქზე მაინც ჩანს, რომ ეს იყო მეორე რელიგიური მოძრაობა ორ-ფიკულის შემდეგ, რომელიც სულის დუალისტურ კონცეფციას იზიარებდა, რაც ბერძნული აზოვნებისათვის საერთოდ ნაკლებად იყო დამახასიათებელი. ელევსინის მისტერიული რელიგია, რომელ-მაც შზარდი პოპულარობა მოიპოვა ძვ.წ. V ს., განსაკუთრებით კი IV საუკუნეში, შეიცავდა ადამიანისათვის სიკვდილის შემდგომი მდგომა-რეობის ალტერნატიულ აღქმას ზიარებულთა და უზიარებელთა კატეგორიებად დაყოფის საფუძველზე.<sup>35</sup> ათენისთვის დამახასიათე-ბელ გამოთქმაში – *Demetrioī* ანუ „დემეტრეს ხალხი“, „დემეტრესია-ნები“ - იგულისხმებოდნენ გარდაცვალებულნი, მაგრამ როგორც ფიქ-რობენ ისინი, ვინც ელევსინის მისტერიებს იყო ნაზიარები.<sup>36</sup>

ელევსინის მისტერიების იკონოგრაფიაში, ვაზების ამ თემაზე აგებულ მოხატულობაში, გ.წ. „წმინდა ოჯახის“ – დემეტრეს და პერ-სეფონეს გვერდით გამოსახული დვთაებრივი პერსონაჟების (პადესი-პლუტონი, პლუტოსი, პერმესი, დიონისე) გარდა, ვხვდებით დიოსკუ-რებს და პერაკლეს ინიციაციის მონაწილეთა, ზიარებულთა სახით<sup>37</sup>. ამდენად, ზიარებულად მხოლოდ უკადაგქნილი პერიოდული ფიგუ-რები გამოისახებოდნენ. თესევსის დრამატული თემა, რომელიც მითოსში არაორაზროვნად უკავშირდება როგორც პერაკლეს, ასევე დიოსკურებს<sup>38</sup>, აქ თითქოს საგანგებოდ ჩანს გამოყენებული: როდე-

<sup>33</sup> Bianchi U., 1976 : 5.

<sup>34</sup> Bianchi U., 1976.

<sup>35</sup> Garland R. 1985: 18; 66.

<sup>36</sup> Garland R. 1985: 10.

<sup>37</sup> Boardman J. 1989: 221, pls. 372, 392.

<sup>38</sup> იკონოგრაფიულადაც: მხატვარმა თითქოს საგანგებოდ გადმოიტანა ლუგრის კაბერიდან კასტორის ფიგურის ასლი. იხ.: Barron J.P., 1972: 42, pl. 7-9a.

საც თესევსი მის მიმართ კეთილგანწყობილმა მითოგრაფებმა პერაკლეს შემწეობით დემეტრეს კულტს აზიარეს<sup>39</sup>, ამით მათ იგი ქალღმერთის კულტთან და მაშასადამე, ელევსინის მისტერიებთან წილნაკარად გამოაცხადეს.

ფიჭვნარის ვაზაზე მხატვრის მიერ საკრალური ქორწინების სამგზის განმეორებული თემა – თესევსი-ელენე, ეოსი-ტითონისი, დემეტრე-ტრიპტოლემოსი – კულტების მიმართ ელევსინის ორიენტაციის მითოლოგიური კატეგორიებით გამომხატველი უნდა იყოს. წინა და უკანა მხარის სცენები თითქოს ეხმაურება თესევსისა და ტითონისის მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას. ჯაბორდმანის სიტყვებით რომ ვთქვათ: “სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის და უკვდავქმნის ავკარგის შედარებისათვის პქონდათ პერაკლეს მაგალითი და ტითონისის გამაფრთხილებული იგავი”<sup>40</sup>. ამ თვალსაზრისით, თესევსის პერაკლესთან გათანაბრების კიდევ ერთ ცდას ვხედავთ.

მხატვრულ ნაწარმოებში ჩადებული იდეის გააზრებისას წარმოგვიდგება რთული მითოლოგიური კომპლექსი, რომელშიც ეპოქალური მოთხოვნების საპასუხოდ გაერთიანებულია გმირის გენეალოგიური (დვოაებრივი წარმომავლობა პოსეიდონიდან), საზოგადოებრივ-პოლიტიკური (საგმირო საქმეების ციკლი) და იდეოლოგიური (რელიგიურ-მისტერიულ კულტთან კავშირი) ასპექტები. სწორედ ამ უკანასკნელი ელემენტის შემოტანამ განაპირობა თესევსის გამოსვლა მკაცრი მითოლოგიური ჩარჩოებიდან და მისი თანდათანობითი შესვლა პოლისური იდეოლოგიის სქემაში, სადაც დემოკრატიული იდეების და ჩამოყალიბებული კანონმდებლობის გარემოში გმირის სახემ ნახევრად ისტორიული, ლეგენდარული მეფის და სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა<sup>41</sup>. ატიკის მთავარი გმირის ასეთ ასპექტში წარმოჩნდა მხატვრის პუბლიკისთვის აქტუალური იყო, რადგან ელინური საზოგადოებისათვის მითოსს და ისტორიას იდენტური მნიშვნელობა პქონდა.

თუ კრატერის მოხატულობას მთლიანობაში გადავხედავთ, თვალში მოგვხვდება სკიპტრიანი, დიადემიანი და დაფნის გვირგვინიანი ფიგურების სიმრავლე (ტაბ.5). ინდივიდუალური დიფერენციაციისათვის დასაყრდენი ატრიბუტების რიცხვი მცირეა. როდესაც ქალის მოტაცების სცენაში, უშაუალოდ ელენეს მარჯვნივ მდგომი მამაკაცის ფიგურას ზევსთან ვაიგივებთ, მის მომდევნო სკიპტრიანი ქალის ფიგურაში, რომელსაც ხელში ზეთისხილის რტო უჭირავს, შეიძლება პერა შევიცნოთ; ამავე დროს მოქმედების ცენტრისკენ მიმართულ ფიგურებს შორის კიდევ ორი სკიპტრიანი ქალის გამოსახულებას ვხედავთ. გვირგვინები და რტოები სიტუაციის საკრალურ ხასიათზე მიუთითებს და ასახული მოვლენებისა და მოქმედ პირთათვის მეტი

<sup>39</sup> Graves R. 1979: 103.5.

<sup>40</sup> Boardman J., 1971: 298.

<sup>41</sup> Мифы народов мира, Т.1, 1982, с. 432

დირსებისა და ბრწყინვალების მისანიჭებლად არის გათვალისწინებული<sup>42</sup>. ასევა სიმპოსიუმის სცენაშიც, რომელიც აგრეთვე საკულტო თემატიკას უკავშირდება. კრატერის უკანა მხრის ქვედა სცენაში წარმოდგენილი სიმპოსიუმის მონაწილეთა გამოსახულებებში სადღესასწაულო ცერემონიალის საზეიმო განწყობილება იგრძნობა (ტაბ.2). მშვიდი და გაწონასწორებული სიტუაცია არ ქმნის რიგითი სიმპოსიუმის (ნადიმის) დამახასიათებელ ეიფორიულ განწყობილებას.<sup>43</sup> ფიჭვნარის კრატერზე აღბეჭდილი სიმპოსიუმის სცენა მეტ საერთოს პოულობს უფრო გვიანდელ საკულტო რელიეფებთან, გარდაცვალებულთა ჰეროიზორების გამომხატველი „ჭირის სუფრის“ (*Totenmahl; death-feast*) მოტივით<sup>44</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ფიჭვნარის კრატერის ოთხივე სცენა საკულტო თემატიკაზეა აგებული. აქ სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული და ამოუწურავი თემა, საზოგადოებრივი და დვოაებრივი გამოვლინებების ურთიერთგადაკვეთის, საკულტო ჩარჩოებშია გასახიერებული.

რაც შეეხება მოქმედების ადგილის მანიშნებელ ატრიბუტებს, სურაოზე გამოსახული სვეტი და სკამი ყოველთვის ინტერიერის მანიშნებელია, რაც მოცემულ შემთხვევაში გვაფიქრებინებს, რომ მხატვარმა აღბეჭდა არა ნატურალური მითოლოგიური სიტუაცია, არამედ ამ სიტუაციის ინსცენირებული ვარიანტი, ე.ო. კერამიკის ზედაპირზე გადმოიტანა ელევსინის დღესასწაულის დროს, ტაძარში გათამაშებული რიტუალის დროს, ის მომენტი თუ მომენტები, რომლებიც მხახველთათვის დაფარული არ იყო, რამდენადაც კოლუქტიურ განზრახვას უკავშირდებოდა.

ამრიგად, ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილი ნიობიდების მხატვრის კრატერის მოხატულობას აერთიანებს რელიგიურ-მისტერიული ასპექტი, რომელიც წამოწეულია ამ სფეროში ათენის სახელმწიფოს პრიორიტეტის საილუსტრაციოდ და საერთაშორისო სარბიელზე მაღალი პრესტიუს უზრუნველსაყოფად, რაც ძვ.წ. V საუკუნის ათენის შორს მიმავალი მიზნების პოლიტიკურ პროპაგანდას ემსახურებოდა. დაბოლოს, სავსებით კონკრეტული პროპაგანდისტული მიზანი უნდა ყოფილიყო ათენის იდეოლოგიური დაპირისპირება დელფოსთან და ე.ო. სპარტასთან იმ მიმართებაში, რომ ათენის გამგებლობაში შემავალი ელევსინი, თავისი მძლავრი რელიგიური ინსტიტუტით, დელფოს ცენტრზე არანაკლებ პრესტიული იყო. ამ სიმაღლიდან ათენს შეეძლო გაეცხადებინა, რომ დვოაებრივი მაღლი – „პური არსობისა“, კაცობრიობას მის დამსახურებად უნდა ჩაეთ-

<sup>42</sup> Garland R., Op.cit., p.26.

<sup>43</sup> Simon E., 1981: 100f, Taf. 110

<sup>44</sup> Boardman J. 1971: 234, pl. 60.

ვალა. რამდენად მიაღწია ათენმა თავის მიზნებს, ისტორია გვიჩვენებს, ხოლო რამდენად უკვდავყო მის წიაღში შექმნილმა ხელოვნებამ ეს მიზნები, დღეს ჩვენს მიწაში აღმოჩენილი ერთი რეალური ფაქტია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კახიძე ა. 1975 - აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ძეგლები, ბათუმი.
2. სიხარულიძე თ. 1985 - წითელფიგურული კრატერი მითოლოგიური ხცენის “ეისი და კეფალოს” ფიჭვნარიდან. სდსბ 13, თბილისი.
3. სიხარულიძე თ. 1988 - ატიკური მოხატული ვაზები ფიჭვნარის სამაროვნიდან (ძვ.წ. V-IV სს.). სდსბ 16, თბილისი.
4. Мифы народов мира, Т.1, 1982, Москва,
5. Павсаний. 1938 - Описание Эллады. Т.1. Москва.
6. Передольская А.А. 1967 - Краснофигурные Аттические вазы в Эрмитаже, Ленинград,
7. Barron J.P. 1972 - New Light on Old Walls. JHS XCII.
8. Beazley J.D., Caskey. L.D. 1951 - Attic Vase Painting in the Museum of Fine Arts Boston. Part 1-11, Oxford University Press.
9. Bianchi U. 1976 - The Greek Mysteries. Iconography of Religions XVII, 3. Leiden.
10. Boardman J. 1971 - Greek Burial Customs. New York.
11. Boardman J. 1982 - Herakles, Theseus and Amazons in: The Eye of Greece. Cambridge University Press..
12. Boardman J. 1989 - Athenian Red Figure Vases. The Classical Period. London.
13. Garland R. 1985 - The Greek way of Death. New York.
14. Graves R. 1979 - The Greek Myths. England.
15. New Larousse Encyclopedia of Mythology, Hamlyn, 1975.
16. Robertson M., 1978 - Greek Painting. London.
17. Rose H.J., 1977 - Griechische Mythologie. München.
18. Schindler W. 1987 - Mythos und Wirklichkeit in der Antike. Leipzig.
19. Simon E. 1981 - Die Griechische Vasen. München.
20. Stone I. 1976 - The Greek Treasure. New York.
21. Webster T.B.L. 1935 - Niobidenmaler, Leipzig.

### შემოქლებანი

სდსბ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები  
HLS – Journal of Hellenic Studies

**Tamar Sikharulidze**

**Myth and Reality  
in the Figure-work by the Niobid Painter on the Krater from Pichvnari**

**Summary**

Height 49.5cm, Dm. 49cm. Red-figure mixing-bowl (Krater), with mythological scenes, four subjects arranged in two-frieze design on both sides of the vase. The upper frieze runs around the vase showing two scenes of pursuit: A, on the front, a youth (Theseus?) pursues a girl (Helen?), flanked with a long procession of figures (Pl.1). B, on the back of the vase, Eos pursuis Tythonus (Pl.2). These two independent subjects are scarcely marked off from one another. The lower frieze, interrupted by the vase handles, shows: A, “Triptolemus’s Mission” (Pl. 1), and B, Symposium (Pl. 2) on the back of the vase.

Batumi Khariton Akhvlediani State Museum. About 450 BC.

The vase was deposited in a burial at Pichvnari (in ancient Colchis) around the last quarter of the fifth century BC, and recovered from grave No.1 in 1967, when Prof. A.Kakhidze carried out the first excavation in the Greek cemetery there. In 1975 the vase was published by him in the context with other offerings of the burial in which it was found; since then its illustrations have often appeared in the various editions as a fine example of the classical Athenian red-figure in Georgia.

This time the subject matter of the painting is discussed with a consideration to the changes produced by the Athenian classical revolution which embraced the whole artistic world. The innovations of the great wall-paintings were adopted to some extent by vase-painters, and the Niobid Painter was among imitators of the murals on pottery. However, unlike his name-vase (showing the slaughter of children of Niobe), with the figures drawn on uneven ground in emulation of the wall-paintings, the pictures on the surface of our Krater whose shape is like that of his eponymic vase, are set on the base line in essentially a vase-painter’s style.

Yet the innovation which concerns the mythological aspect of the painting does get through here. The examination of the mythological scenes in the light of the epoch-making changes of the Athenian democracy, perhaps suggests that the pictorial decoration of the vase was intended to serve the propagandistic purpose of the glorification of Athens. Consequently, the general concept of the painting, in particular on side A, seems to manifest itself in putting forward Theseus who after the Persian Wars became the chief national hero of Athens, and Eleusis, the home of the most holy rites of the Greek religion. In this relation the content of the whole discussion may be summarized as follows.

Though the figures of the scene of pursuit in the upper frieze are named with question marks, because they lack direct distinguishing features for undoubted identification, we are probably justified in supposing that the picture centred upon the heroic male figure pursuing a female (Pl.1) represents Theseus’s abduction of Helen, the episode that preceded his descent to the Underworld, whence he was rescued by Heracles. This mid-fifth century image of Theseus the abductor shows him as a hero who apparently partook in the victory of patriarchy over matriarchy,

while the matriarchal mythical element of the Theseus story introduces him as a sacred king to the moon-goddess Helen who had undergone Tartarus, but was excused death, because he could claim divine birth. However, this episode appeared to have brought his deeds to a termination, for soon after his return from the Underworld his life ended on Skyros.

If the assemblage of heroes on the ‘Argonaut’ vase, with the slaughter of the Niobids on the reverse (Pl.6) shows Herakles helping Theseus to escape from Tartar, it seems reasonable to suggest, that the scene on the Pichvnari vase pictures him on the way leading there. And both scenes by the Niobid Painter evidently were linked with the bringing to Athens of bones supposed to be those of the hero, discovered by Cimon. No efforts were spared by Athenian mythographers to connect Theseus with Heracles, and to raise their leading hero and legendary king to the status of a deity by asserting that he escaped death, but their Peloponnesian enemies successfully opposed this claim, and the Athenians never grew powerful enough to make Theseus an Olympian god.

The theme of abduction reappears on the reverse of the upper frieze representing the familiar myth or allegorical story of Eos, showing the Queen of Day in a hurry to carry off Tythonus (Pl.2) It is perhaps noteworthy, that in this scene, as in the scene with Demeter and Triptolemus which supposedly gives point to the religious concept of the pictorial decoration as a whole, female divine figures prevail, while the theme of sacred marriage repeats three times in the figure-work of the vase (Demeter-Triptolemus, Theseus-Helen, Eos-Tythonus) as if to emphasize its matriarchal origins.

The composition shown in the lower frieze on side A, with Demeter sending Triptolemus over the world to teach mankind the art of agriculture (Pl.1), is a clear declaration of Athen’s immense contribution to the benefit of introduction of bread among all men. The scene is set at Eleusis where Demeter and Core/Persephone were worshipped conjointly, and where their Mysteries were celebrated by the initiated who were forbidden to divulge what happened. Our knowledge of the rites is very scanty, because the Elesinian Mysteries were kept secret. They must have had to do with the problem of future life and the hope of rebirth, the revelation of which the initiated awaited to know from the goddess. Being initiated was the privilege of the celebrities and general favorites. Here again Theseus is relevant. With reference to his relation to the Mysteries it is said, that Theseus acted as Heracle’s sponsor when he was initiated at Eleusis, and also, that the Greater Eleusinian Mysteries were held to commemorate Theseus’s defeat of the Amazons, which means his suppression of the matriarchal system.

The scenes set on the back of the krater – the story of Eos, a dramatic reminder of Tythonus’s fate, and the solemn scene of symposium (Pl.2), showing figures with musical instrument such as double pipe and seven-stringed lyre, evidently harmonize with a spiritual quality of the painting offered on side A, while columns, chairs, offering tables and an altar given in a specific context are indicative of indoor scenes. Taking into consideration these structural details, it may be admitted with some confidence, that the pictorial narrative presented on the vase surface was at large designed after some theatrical scenery that had been performed before the

audience on the stage, perhaps by the Eleusinians themselves: in that case of course, they must have made a display of what was allowed to show in public, with particular regard being paid to the Athenian political interest.

**Тамар Сихарулидзе**

### **Миф и реальность в росписи кратера мастера Ниобид из Пичвнари**

#### **Резюме**

Краснофигурный кратер à calice, с многофигурной росписью по обе стороны вазы содержащей четыре сюжетные группы расположенные в двух регистрах. В верхнем композиционно едином фризе воспроизведены две сцены похищения: А – Тесей (?) и Елена (?) (Табл.1); Б – Эос и Тифон (Табл.2); в нижнем разъединённом ручками фризе представлены две композиционно самостоятельные сцены: А – миссия Триптолема (Табл.1); Б – симposium (Табл.2). Высота – 49.5см, диаметр венчика – 49см. Хранится в государственном музее Аджарии им. Харитона Ахвледиани, Батуми. Работа мастера Ниобид. Приблизительно 450 г. до н.э.

Ваза найдена в 1967 году в погребении №1 пичвнарского могильника в захоронении последней четверти V в. до н.э., опубликовано в контексте погребального комплекса А.Кахидзе в 1975 году, в месте с коллекцией аттических ваз почвнарского могильника Т.Сихарулидзе в 1987 году и в разных изданиях иллюстрируя яркий образец афинского краснофигурного стиля из Грузии.

В данной статье сюжет росписи рассматривается в связи изменениями, произведенными афинской классической революцией, которая охватила весь мир искусств. Нововведения монументальной живописи в определенной степени затронули сферу вазописи и мастер Ниобид занимает особое место среди имитаторов стенной живописи на керамике. Пичвнарская ваза относится к последнему периоду деятельности вазописца.

Для общего представления о стилистических особенностях росписи пичвнарского кратера прежде всего следует отметить, что восприимчивость мастером Ниобид новых веяний большого искусства отразилось и в этой работе созданной на этапе перехода от ранней к высокой классике, примерно в то же время что и копия с фрески Полигнота или Микона воспроизведенная им на его именной вазе из Лувра со сценой гибели Ниобид. Об этом свидетельствует фигура героя в верхнем фризе пичвнарского кратера являющаяся дубликатом фигур Диоскуров, изображенных среди собрания героев на луврской вазе (Табл.6). Тем не менее, в отличие от этой работы роспись пичвнарского кратера как и большинство работ мастера Ниобид выполнено в традиционном стиле.

Схема фризов на пичвнарской вазе подчиняется композиционному единству её формы и рисунка; каноническая формула сценического расположения, когда для каждой фигуры отведено собственное пространство, нигде не нарушается; соблюдаются выработанная условность позы и артикуляции. Следовательно, при оценке рисунка пичвнарского кратера можно говорить ни о непосредственном заимствовании, а о влиянии монументальной живописи без ущерба законам вазописи.

С точки зрения повествовательности в свете эпохальных сдвигов афинской демократии прослеживается намерение служить пропагандистским целям прославления Афин. В этой связи содержание всего обсуждения можно суммарно передать следующим образом: идея возвеличения Афин соответствует выдвижение Тесея ставшего национальным героем Афин после персидских войн. Следовательно, в центральной сцене верхнего фриза должно быть представлено похищение Елены Тесеем (Табл.1), эпизод предшествовавший его спуску в преисподнюю, откуда его вызволил Геракл. В том случае если собрание героя на луврской вазе «Аргонавтов» представляет Тесея в процессе освобождения из преисподни (Табл.6), то на пичвнарской вазе Тесей изображен на пути в преисподнюю и обе работы мастера Ниобид видимо связаны с событием перезахоронения Кимоном останков Тесея из Скироса в Афины.

Афинские мифографы всеми силами старались связать Тесея с Гераклом, доказывая что он избежал смерть и тем самым обоготовить своего ведущего героя и легендарного царя, но их пелопонесские недруги с успехом противостояли их претензиям и Афины оказались недостаточно могущественными, чтобы обеспечить восхождение Тесея в статусе олимпийского бога.

Сцена похищения повторяется в том же непрерывном развернутом верхнем фризе на оборотной стороне сосуда в самостоятельном сюжете преследования богиней Эос юноши Тифона (Табл. 2, 5). Композиция нижнего фриза посвящается культу елевсинских богов. Сцена изображающая Деметру отправляющую Триптолема на землю с миссией научить человечество земледелию (Табл.1) является ясной декларацией огромного вклада Афин в обеспечении хлебом всех людей. Местом сцены представляется Елевсин, где преклонялись Деметре и Коре/Персефоне.

Тема священного брачного союза трижды повторяется в фигурной росписи вазы: Деметра - Триптолем, Тесей – Елена, Эос – Тифон. Этим ещё раз подчеркивается религиозный смысл росписи в целом.

Сцена симposium на оборотной стороне в нижнем фризе пичвнарского кратера (Табл.2) передает спокойную, строгую, уравновешенную атмосферу происходящего и согласуется с религиозно-ритуальным характером елевсинской композиции.

Изображения колонн, стола и стульев указывает на то, что местом действия подразумевается интерьер, что в данном случае является показателем того, что вазописцем запечатлены не воображаемые мифологические ситуации, а скорее их сценический вариант, т.е. возможно рисовальщик перенес на

керамическую поверхность представление разыгранное на театральной сцене.

С точки зрения формы, художественного замысла и тематики росписи представляется возможность принадлежности пичвнарского кратера к категории ваз специального назначения. Высказанное нами мнение о том, что этот сосуд изготовлен по заказу приуроченному к религиозному празднику а позднее уже через вторичный рынок попал в Колхиду, подтверждается и его нахождением в погребальном комплексе последней четверти V в. до н.э.



1. ფიჭვნარის ნიობიდების მხატვრის კრატერი. წინა მხარე.

Кратер мастера Ниобид из Пичвнари. Сторона А.

Krater from Pichvnari, Niobid Painter. Side 1.



2. ფიგურულის ნიობიდების მხატვრის კრატერი. უკანა მხარე.

Кратер мастера Ниобид из Пичвнари. Сторона Б.

Krater from Pichvnari, Niobid Painter. Side 2.



3. ფიჭვნარის ნოობიდების მხატვრის კრატერი.

Кратер мастера Ниобид из Пичвнари.


Krater from Pichvnari, Niobid Painter.



4. ფიჭვნარის ნოტიოდების მხატვრის კრატერი.

Кратер мастера Ниобид из Пичвнари.

Krater from Pichvnari, Niobid Painter.



5. Ζῳζβατός βοηδοφύδρος θεοθύρος δραγύλτος θοβαθύλτος δραγοθύλτος βήθος.

Графическое изображение росписи кратера мастера Ниобид из Пичвнари.

Full graphical view. Krater from Pichvnari. Niobid Painter.



6. “**♂μιρτα** **♂ρεδ‘υλο**” **ληγρο**ι<sup>ς</sup> **νιωδιοδεδο**ι<sup>ς</sup> **θεαθρο**ι<sup>ς</sup> **ε.ν.**  
„**αργοναυτο**ι<sup>ς</sup> **ραθαθε**“ **ε.κοδω**и<sup>ς</sup> **μοκ**о<sup>ω</sup>

«Собрание героев» на вазе «Аргонавтов» мастера Ниобид из Лувра по Е.Симону.

'Assemblage of Heros' on 'Argonaut' vase by Niobid Painter. Krater in the Louvre after E.Simon:1986, Pl. 191



7. ფიჭვნარის პოლიგნოტოსის კრატერი ეოსის მიერ კეფალოსის  
მოტაცების სცენით.

Кратер мастера Полигнота из Пичвнари со сценой похищения Еосом Кефала.

Krater from Pichvnari with the scene of Eos and Kephalus. Polignotos.

## ნანა ხახუტაიშვილი

### ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციის მიზან სუფსა-გუბაზეულის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური დაზღვებების ანბარიში

2010 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, სუფსა-გუბაზეულის ხეობაში, ჩატარდა ქართულ-ბრიტანული ერთობლივი ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ამ რეგიონში რეინის უძველეს წარმოებასთან დაკავშირებული ძეგლების შესწავლას.

ექსპედიციის მონაწილე ქართული მხარე წარმოდგენილი იყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტითა (ასოც. პროფ. ნანა ხახუტაიშვილი – ექსპედიციის ხელმძღვანელი) და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმით (მუზეუმის დირექტორი, პროფ. ამირან კახიძე და ასოც. პროფ. ემზარ კახიძე), ბრიტანული მხარეს კი წარმოდგენდნენ ექსფორდის უნივერსიტეტის პროფესორები: არქეოლოგი ბრაიან გილმოური (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და გეოფიზიკოსი ტონი ჯონსონი, აგრეთვა ექსეტერის უნივერსიტეტის მაგისტრი მარკ კოქსი.

ექსპედიციის დაფინანსება განახორციელდა ინგლისურმა მხარემ. დაფინანსების საფუძველს წარმოდგენდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ბრაიან გილმოურის მიერ წარდგენილი პროექტი “კოლხეთის უძველესი რეინა.” როგორც ვხედავთ, კოლხეთის უძველესი რეინის მეტალურგიის საკითხებისადმი ინტერესს ევროპელი მეცნიერებიც გამოხატავენ. ეს განპირობებულია იმ უდავოფაქტით, რომ ძველი სამყაროს არც ერთ რეგიონში არაა წარმოდგენილი უძველესი რეინის მეტალურგიასთან დაკავშირებული ისეთი ძეგლები, როგორიც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზეა დაგენერიკის დაფიქსირებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ უძველესი რეინის მეტალურგიის საკითხები “მსოფლიო რანგის პრობლემათა” რიგს ეკუთვნის.

ექსპედიციის ჩატარების იდეა გაჩნდა 2009 წელს, როდესაც დიდ ბრიტანეთში გამოიცა საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. დავით ხახუტაიშვილის მონოგრაფია “რეინის წარმოება ძველ კოლხეთში,” თარგმნილი ინგლისურ ენაზე. მონოგრაფია წარმოადგენს შემაჯამებელ ნაშრომს. მასში ასახულია მეცნიერის 35-წლიანი მუშაობის შედეგები, რომლებიც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი რეინის მეტალურგიის პრობლემებს შეეხება. მკვლევრის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დასკვნები ასეთია: 1. ძველ კოლხეთს (აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ

შავიზდგისპირეთი) ეჭირა მთავარი, წამყვანი ადგილი რკინის ადრეული მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების საქმეში; 2. ეს რეგიონი რკინით ამარაგებდა არა მარტო საკუთარ მეურნეობას, არამედ მთელ დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროს მოწინავე ქვეყნებს; 3. რკინის ტექნოლოგია ძველ კოლხეთში წარმოიშვა და განვითარდა სპილენძის წარმოების ტექნოლოგიის ბაზაზე, ადგილობრივ ნიადაგზე; 4. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც უძველეს ხანაში წარმოადგენდა ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილს, წარმოდგენილია რკინის წარმოების ერთ-ერთი უძველესი და უმსხვილესი ცენტრი, რომელსაც ანალოგი დღეისათვის არ მოეპოვება. სწორედ ამ ნაშრომში წარმოდგენილმა მასალამ გამოიწვია ბრიტანელი კოლეგების დიდი ინტერესი კოლხეთის რეგიონისადმი.

ერთობლივი ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის მიერ პირველ ეტაპზე დაიგეგმა სუფსა-გუბაზეულის ხეობის უძველესი რკინის მეტალურგიული კერის დაზვერვა-შესწავლა (სურ. 1).

სუფსა-გუბაზეულის მეტალურგიული კერა განლაგებულია მდ. სუფსის შესაბაზეულის ტერიტორიაზე, მისი მარცხენა შენაკადის, მდ. გუბაზეულის რაიონში. ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ მსგავს კერების შორის ის ყველაზე მსხვილია და წარმოდგენილია 100-ზე მეტი სახელოსნო უბნით [Хахутаишвили Д., 1987: 100-164]. მათი ნაწილი დღეისათვის შესწავლილია, ხოლო ნაწილი მომავალ შესწავლას საჭიროებს.

ამ საწარმოო კერის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია მრავალი ფაქტორით: 1. ის მიითვლის რკინის გამოსადნობი სახელოსნოების ყველაზე დიდ რაოდენობას; 2. აქ მოქმედებდა რკინის წარმოების ყველაზე ადრეული ძეგლები; 3. დასავლეთ საქართველოში შესწავლილი ძეგლებიდან მხოლოდ ამ რეგიონშია გამოვლენილი როგორც წინაანტიკური, ასევე ანტიკური ხანის ძეგლები; 4. რეგიონში ფუნქციონირებდა სპილენძ-ბრინჯაოს საწარმოო კერა, რომლის ტრადიციებზეც აღმოცენდა და განვითარდა რკინის წარმოება; 5. რკინის საწარმოო კერის მახლობლად, ზღვის სანაპირო ზოლში დაფიქსირებულია სუფსა-ურეკის მაგნეტიზური სილები, ხოლო მთისწინეთში წარმოდგენილია ვაკიჯვარ-ქორისბუდეს პოლიმეტალური რეგიონი. ისინი ქმნიდა იმ სანედლეულო ბაზას, რომლითაც მარაგდებოდა აქ მომუშავე რკინისმწარმოებელი კერები.

სუფსა-გუბაზეულის რკინის მომპოვებელი საწარმოო კერის ცენტრი წარმოდგენილია სოფ. ასკანას, მზიანის (ფიჩისჯვრის), დაბალი და მაღალი ეწერის, მშვიდობაურის და ნაგომარის ტერიტორიაზე. ძეგლები ძირითადად თავმოყრილია მდ. უურეფასა და ბახვისწყლის ორმდინარეთში. ორივე მდინარე შეადგენს მდ. სუფსის მარცხენა შენაკადს და უერთდება მას სოფ. ნაგომარის მიდამოებში.

სუფსა-გუბაზეულის რკინის საწარმოო კერის პერიფერიული სახელოსნოები გაფანტულია მდ. სუფსის მარჯვენა სანაპიროზე,

საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე: ვაკიჯვარ-ქორისბუდე, გორა-ბერეული, ქვენობანი, გუთური, ჩიბათი, შუასურები და ა. შ. განსაკუთრებით საინტერესოა ვაკიჯვარ-ქორისბუდის მონაცემები. ვაკიჯვრის მიდამოებში დადასტურდა სპილენძის სადნობი საწარ-მოები, ხოლო მადნის მოპოვება ქორისბუდის მიდამოებში, ბახმაროს მთის ძირას, მდ. ნატანების სათავეებთან უნდა წარმოებულიყო. აქ, ადგილ ქორისბუდეში, უღრან ტყეში 1975 წელს დადასტურდა რამდენიმე რკინისსადნობი სახელოსნოს ნაკვალევი. სამწუხაროდ, ადნიშნული ძეგლების გათხრა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან ისინი 15-მდე კილომეტრითაა დაშორებული დასახლე-ბული პუნქტისაგან და ძეგლებამდე მისახლელი გზა მხოლოდ საცალფეხო ბილიკითაა წარმოდგენილი. გზის გავანამდე იქ, ფაქ-ტობრივად, შეუძლებელია სათანადო მოწყობილობის გადატანა, რაც ართულებს აქ წარმოდგენილი სახელოსნო უბნების შესწავლას. იგივე ვითარებაა სურებშიც, სადაც დადასტურებულია რკინისსად-ნობი სახელოსნოების ნაშთები.

სუფსა-გუბაზეულის ხეობა წარმოდგენილია სუბტროპიკული ზოლისათვის დამახასიათებელი წითელმიწა ნიადაგებით, რომლებიც სხვადასხვა ტუფოგენური ქანების გამოქარვა-დაშლის შედეგადაა შექმნილი. სამი მეტრის სიღრმეზე ამ შრეს თიხნარ წარმონაქმნია ხასიათი აქვს. წითელი თიხების შრე თითქმის ყველგან გადახურულია დელუვიური წარმოშობის მოყვითალო თიხებით, რომლებიც შეიცავს დიდი რაოდენობით მაგნეტიტის მარცვალს. ჩამორეცხვის შედეგად ხდებოდა მაგნეტიტის დალექვა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, სადაც ის მდ. სუფსას ჩამოპქონდა. დღეისათვის, სწორედ ამ ადგილებშია წარმოდგენილი მაგნეტიტური სილების ყველაზე მდიდარი საბადოები მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონს, სადაც წარმოდგენილია სუფსა-გუბაზეულის სამთო-მეტალურგიული კერა, გააჩნია რკინის წარმოებისათვის აუცილებელი ყველა პირობა: 1. მდ. სუფსის შესარ-თავთან წარმოდგენილია მაგნეტიტური სილების ყველაზე მდიდარი საბადოები მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში; 2. ამავე რეგიონს მაგურვნის ვაკიჯვრის პოლიმეტალური საბადოები; 3. გავრცელებულია მაგარმერქნიანი ტყეები (სადაც ხდებოდა წარმოებისათვის აუცილებელი მაღალი ხარისხის ნახშირის მიღება); 4. წარმოდ-გენილია ცეცხლგამძლე თიხები.

სუფსა-გუბაზეულის ხეობის რკინის მეტალურგიული კერის შეს-წავლა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში (1960-1961) წლებში დაიგეგმა ჩატარებული დაზვერვების შედეგად [ი.გძელიშვილი, 1964:32; დ.ხახუაშვილი, 1964:45-58], მაგრამ გარკვეული მიზე-ზების გამო მხოლოდ 1974/75 წლებში დაიწყო [დ.ხახუაშვილი, 1977:19-26; დ.ხახუაშვილი, 1981:3-36;] და 1983-85 წლებში გაგრძელდა [ხახუაშვილი დ., 1987: 100-164]. აქ, ურეკის დიუნური დასახლების მახლობლად გამოვლინდა, როგორც აღვნიშნეთ, რკინის წარმოების

ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი, რომელიც 100-ზე მეტ სახელოსნო უბანს მიითვლიდა. პროფ. დავით ხახუტაიშვილმა განახორციელა სახელოსნოების ერთი ნაწილის შესწავლა. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრა ძვ. წ. XIX-VI საუკუნეებით. დათარილების დროს გამოყენებული იქნა როგორც ტრადიციული (კერამიკა), ისე ტექნიკური (რადიოკარბონული და არქეომაგნიტური) მეთოდები. მეცნიერი შეეცადა გაეცა პასუხი მრავალი კითხვისათვის: რა კომპონენტებისაგან შედგებოდნენ რკინის გამოსაღწიობი სახელოსნოები, როგორ იყო ისინი მოწყობილი, რომელ მადანს იყენებდნენ, როგორი იყო სახელოსნოთა ასაკობრივი სტატისტიკა და ა. შ. სამწუხაროდ, მეცნიერის მოულოდნელი გარდაცვალების გამო ბევრი საკითხი შესწავლის პროცესში დარჩა და მომავალ გადაწყვეტის მოედის. მაგ., როგორია პერიფერიული სახელოსნოების ცალკეული ჯგუფების ასაკი? როგორია ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება საწარმოო კერის ცენტრსა და პერიფერიის სახელოსნოებს შორის? როგორია წარმოების ტექნიკური პროცესის ხასიათი? როგორია მოცემული საწარმოო კერის სახელოსნოთა კონკრეტული ქრონოლოგიური ჯგუფის ურთიერთობა სხვა საწარმოო კერების სახელოსნოთა სინქრონულ ჯგუფებთან? სად და როგორ ცხოვრობდნენ რკინის წარმოებაში დასაქმებული “რკინის კაცები”? შესასწავლია ადგილობრივი ტოპონიმიკა, რომელიც, დარწმუნებული ვართ, საინტერესო მასალას მოგვცემს ძველი მეტალურგიის შესწავლისათვის და ა. შ. აუკილებელია ზოგიერთ ძეგლზე (მშვიდობაური II, ნაგომარი I,2) მიღებული მაღალი თარიღების გადამოწმება, რაშიც ინგლისელი კოლეგები დაგვეხმარებიან. ამით, ჩემი აზრით, საბოლოოდ გაეცემა პასუხი ამ მაღალ თარიღებთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

ქართულ-ბრიტანულმა ექსპედიციამ მუშაობა 2010 წლის ოქტომბრის დასაწყისში დაიწყო. ინგლისელ კოლეგებს დაგეგმილი ჰქონდათ საკმაოდ დიდი ტერიტორიის შესწავლა სპეციალური აპარატურით, რომელიც დიდი ბრიტანეთიდან ჩამოიტანეს. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ეს დანადგარები მათ მანქანით ჩამოიტანეს, რის გამოც საქართველოსაკენ მგზავრობას 17 დღე მოანდომეს. ამით მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ როგორც დიდი იყო მათი ინტერესი უძველესი რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებული ქართული მასალის მიმართ, ასევე დიდი იყო მათი სურვილი – დახმარებოდნენ ქართველ კოლეგებს კვლევაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ დანადგარებით შესაძლებელია მიწისქვეშ არსებული ყველა ანომალიის დაფიქსირება და მათი ადგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრა, რაც, ბუნებრივია, ძეგლების გამოვლენაში დიდ დახმარებას უწევს სპეციალისტებს.

დაზვერვების ძირითად ამოცანას შეადგენდა: 1. რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ობიექტების ზუსტი ადგილმდებარეობის დაფიქსირება ჯი-პი-ეს-ის საშუალებით; 2 მიღებული მონაცემების

საფუძველზე რუგის შექმნა; 3. რკინის საწარმოო ობიექტების გავრცელების საზღვრების დადგენა.

დაზვერვებისათვის შერჩეული მიკრორეგიონი, როგორც აღვნიშნეთ, მდებარეობს მდ. გუბაზეულსა და ბახვისწყალს შორის. ეს უბანი მიითვლის მდ. ყულეფასა და გულეფას ხეობებს და მათ შენაკად მცირე მდინარეთა - წყალწითელა I და წყალწითელა II - ხეობებს.

დაზვერვების დროს ძირითადად ვეერდნობოდით და ვიუენებდით პროფ. დ. ხახუტაიშვილის 1974-75 და 1983-85 წლების დაზვერვის დღიურებს. დაზვერვითი მუშაობის დროს მეგზურობას გვიწევდა ჩვენი მასპინძელი, სოფ. მზიანის მკიდრი, ლევან გიორგაძე და ადგილობრივი მოსახლეობა.

ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო სოფ. მზიანის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებულ რკინისსაწარმოო სახელოსნო უბანზე, რომელიც დ. ხახუტაიშვილის დღიურში მოხსენიებულია, როგორც “ასკანა I”.<sup>1</sup> ინგლისიდან ჩამოტანილი დანადგარებით - Magnetometr, Magnetic susceptibility - მოხდა “ასკანა I”-ის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა დაახლოებით 4 ჰექტარ ფართობზე. ასეთი ვრცელი ფართობის ათვისება საქმაოდ რთული და შრომეტევადი საქმეა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ტერიტორია თითქმის მთლიანად დაფარული იყო მაღალი ეწერითა და ეკალ-ბარდით. ამ სამუშაოს პარალელურად ხდებოდა დ. ხახუტაიშვილის დღიურში მითითებული ძეგლების დაზვერვა და ჯი-პი-ეს-ით ფიქსაცია.

ასკანის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი ძეგლების დაზვერვა, უახლესი ტექნოლოგიებით მათი ადგილმდებარების ზუსტი განსაზღვრა და რუკაზე დატანა: “ასკანა I”, “ასკანა II”, “ასკანა III”, “ასკანა V”, “ასკანა VII”, “ასკანა XII”, “ასკანა IV”, “ასკანა XXI”, “ასკანა XXII”, “ასკანა XXIII”, “ასკანა XXIV”. სულ დაფიქსირდა 11 ძეგლი (აქვთ 2 ძეგლი - “ასკანა I” და “ასკანა II” 1974 წელს დ. ხახუტაიშვილმა გათხარა და შეისწავლა) (სურ. 2-5,9).

მსგავსი სამუშაოები წარიმართა მზიანის ტერიტორიაზე განლაგებულ შემდეგ ძეგლებზე: “მზიანი I”, “მზიანი II”, “მზიანი III”, “მზიანი IV”, “მზიანი VI”, “მზიანი X”, “მზიანი XI”, “მზიანი XV”, “მზიანი XVI” და “მზიანი XVII”. სულ დაზუსტდა 10 ძეგლი (აქვთ 4 - “მზიანი I”, “მზიანი II”, “მზიანი III” და “მზიანი IV” 1983 წელს დ. ხახუტაიშვილმა გათხარა და შეისწავლა) (სურ. 6-8).

მშვიდობაურისა და ნაგომარის ტერიტორიაზე დავზვერეთ და რუკაზე დავიტანეთ დ. ხახუტაიშვილის მიერ 1984 წელს შესწავლილი ძეგლები: “მშვიდობაური I”, “მშვიდობაური IV” და “ნაგომარი I”. სწორედ ამ ძეგლებზე მიღებული მაღალი თარიღების გადამოწმებას

<sup>1</sup> კვლავ ძეგლს შეუნარჩუნდა დ. ხახუტაიშვილის დღიურში მინიჭებული სახელწოდება.

მოახდენს ბრიტანული მხარე აქ აღებული საანალიზო ნიმუშების მიხედვით.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილი ყველა უბანი წარმოდგენილი იყო რკინის წილებისა და რკინისსაღნობი ქურის თიხის შელესილობის ფრაგმენტების საქმაოდ დიდი რაოდენობით, ასევე, საყოფაცხოვრებო თიხის ნაწარმის ნატეხებით. ამ ძეგლებზე შეგროვებული მასალა, ხელშეკრულების თანახმად, გადაეცათ ინგლისელ კოლეგებს ოქსფორდის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში გამოსაკვლევად და დასათარიღებლად.

ასეთი იყო ერთობლივი ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის მუშაობის I ეტაპის შედეგები. ექსპედიცია მუშაობას განაახლებს 2011 წლის გაზაფხულზე.

### **მითითებული ლიტერატურა:**

1. **გძელიშვილი ი. 1964** - აჭარაში 1960-61 წწ. აღმოჩნილი რკინისსაღნობი ქურა-სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგები, “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები”, I, თბილისი.
2. **ხახუთაშვილი დ. 1964** - კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან, “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები”, I, თბილისი.
3. **ხახუთაშვილი დ. 1977** - რკინის წარმოების ძველკოლხური კერასუფსა-გუბაზეულის ხეობაში, “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები”, VI, თბილისი.
4. **ხახუთაშვილი დ. 1981** - კოლხურ-ხალიბური სამთო-მეტალურგიული ცენტრის საწარმოო კერასუფსა-გუბაზეულის ხეობაში, “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები”, X, თბილისი.
5. **ხახუთაშვილი დ. 1977** - К хронологии колхидско-халибского центра древнегородской металлургии, Тбилиси.
6. **ხახუთაშვილი დ. 1987** - Производство железа в древней Колхиде, Тбилиси.

**Нана Хахутаишвили**

**Итоги археологической разведки грузинско-британской экспедиции  
в ущелье рек Супса-Губазеули**

**Р е з ю м е**

В октябре-ноябре 2010 года грузинско-британская археологическая экспедиция провела разведку ущелья рек Супса-Губазеули, где приступила к изучению археологических объектов производства железа Древней Колхиды.

Изучение региона было проведено с помощью новейшей аппаратуры, предоставленной нам британскими коллегами. Разведка подтвердила ранее сделанные выводы, согласно которым данный регион являлся одним из крупнейших очагов производства железа в Древней Колхиде.

**Nana Khakhutaishvili**

**Results of Archeological Exploration carried out by Georgian-British  
Expedition  
in Gorge of the Rivers Supsa-Gubazeuli**

**R e s u m e**

Georgian-British archeological expedition carried out exploration of gorge of the rivers Supsa-Gubazeuli in October-November of 2010 and started investigation of archeological objects connected to production of iron in ancient Colchis.

The investigation of the region was carried out by means of the newest equipment supplied by our British colleagues. The exploration confirmed the earlier received results according to which this region was one of the biggest centers of iron production in ancient Colchis.



სურ. 1. რეინის უძველეს საწარმოებასთან დაკავშირებული ძეგლები  
სუფსა-გუბაზეულის ხეობაში



სურ. 2. რეკინის სადნობი სახელოსნო „ასკანა I“



სურ. 3. რეკინის სადნობი სახელოსნო „ასკანა II“



სურ. 4. ტეინის სადნობი სახელოსნო „ასგანა IV“



სურ. 5. ტეინის სადნობი სახელოსნო „ასგანა V“



სურ. 6. რკინის სადნობი სახელოსნო „ასკანა XIV“



სურ. 7. რკინის სადნობი სახელოსნო „მზიანი I“



სურ. 8. რკინის სადნობი სახელოსნო „მზიანი III“



სურ. 9. რკინის სადნობი სახელოსნო „მზიანი IV“

განვითარებული ეკონომიკის  
განვითარების მიქაშავიძე

## ეკონომიკის – განვითარების მიქაშავიძის მიზანი და მიზანი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტურიზმა, როგორც XX საუკუნის ყველაზე საინტერესო და განსაკუთრებულმა ფენომენმა, რეალურად მოიცავა ეკონომიკისა და საზოგადოების თითქმის ყველა სფერო და შეცვალა გარემომცველი სამყარო. ტურიზმი ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების უმნიშვნელოვანების ფაქტორი გახდა. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოტანას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა აღმსარებლობისა და კულტურების ადამიანთა ურთიერთობების გაღრმავებაში, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მრავალი ქვეყნის შიდა პოლიტიკის ფორმირებაზე, სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციაზე, სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთობებზე და სხვ. საგულისმოა, რომ უკანასკნელ პერიოდში შემოსავლები ტურიზმიდან ყოველწლიურად 9%-ით იზრდება. მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (WTO) პროგნოზით ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში 2010 წლისათვის ერთ მილიარდს გადააჭარბებს, შემოსავლები კი 600 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება. ამჟამად ტურიზმს უჭირავს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10% (ზოგიერთ ქვეყნაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია), მოიხმარს მსოფლიო ინვესტიციების 11,2%, ტურიზმის ბიზნესში დაკავებულია მსოფლიო მოსახლეობის 10% [მერალანი, 2009:136]. ტურიზმის მნიშვნელობაზე მსოფლიო ეკონომიკაში მეტყველებს ისიც, რომ მას უკავია მესამე ადგილი ექსპორტის სფეროში ნაკონირებობის მრეწველობისა და აკტომობილმშენებლობის დარგების შემდეგ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით უახლოეს ათწლეულის მანძილზე მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ტურიზმის, ისე როგორც ნებისმიერი სხვა დარგის, ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია სახელმწიფო რეგულირების, ეკონომიკაში ტურისტული პოლიტიკის

როლის გაძლიერებისა და ტურიზმის სექტორის განვითარების კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის შემუშავების გარეშე. ტურიზტული პოლიტიკა კი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ტურიზმის სფეროს ფუნქციონირებაზე პოზიტიური ზემოქმედების, ფორმების, მეთოდებისა და მექანიზმების ერთობლიობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მისადამი დანერგვად. მსოფლიო ტურიზტული ორგანიზაციების რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ მთავრობამ როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ტურიზმის დარგის პოლიტიკის განსახლვაში, ვინაიდან ტურიზმი ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის სხვა დარგებზე და, აქედან გამომდინარე, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომ მისი განვითარებისა და, ხელშემწყობ პოლიტიკაში თანაბრად უნდა იქნას გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა ასპექტების ფართო სპექტრი. ამჟამად თანამედროვე მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტურიზტულ პოლიტიკასა და დაგეგმვას საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი, უსაფრთხო და ხარისხიანი განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას [შუბლაძე, 2004:70–71].

აღსანიშნავია, რომ ტურიზმი და გარემო მჭიდრო კავშირშიდა ერთმანეთთან, ერთის მხრივ, ტურიზმის ბიზნესის წარმატებულ საქმიანობას განაპირობებს ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი გარემო, რომელიც მრავალ მიმზიდველ ელემენტს შეიცავს და ეს რესურსი გამოყენების პირობებში პროდუქტად იქცევა. მეორეს მხრივ, ბევრ ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული მოგების გარკვეულ ნაწილს ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება—აღდგენაზე მიმართავენ. სწორი მართვის შემთხვევაში რესურსების კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება სავსებით თავსებადი შეიძლება გახდეს. გარკვეული მარკეტინგული პარტნიორობის შემთხვევაში მათ ერთმანეთისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. ტურიზმს ნამდვილად შესწევს უნარი გააფართოვოს გარემოს შესაძლებლობები, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებები (მათ შორის ფინანსური რესურსები) ბუნებრივი გარემოს დასაცავად, შეინარჩუნოს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა, განსაზღვროს სარგებლობის მდგრადი ზღვარი და დაიცვას ბუნების სანახაობები, მაგრამ თუ ტურიზმი დაუგვემავად, ქაოტურად ვითარდება, მას შეუძლია გამოიწვიოს ტურისტების სიჭარბე, რასაც მოჰყვება საბოლოოდ ბუნებრივი გარემოს გაუარესება. მართალია, ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი გარემო შეიცავს ტურისტებისათვის მრავალ მიმზიდველ ელემენტს, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის მომსახურეობისათვის ისეთი სფეროების შექმნას როგორიცაა: სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტი და ა.შ. ამასთან, ტურიზმის ინდუსტრია ყოველწლიურად ემსახურება 500 მილიონ საერთაშორისო ტურისტს

(შიდა ტურისტთა რიცხვი გაცილებით მეტია), და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება. ყველივე ეს ექსპლუატაციას უწევს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოს. წარმოიშვება ნარჩენები, ბინძურდება პაერი, წყალი და სხვა, რაც უარყოფითად მოქმედებს ბუნებაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე ტურიზმის მართვა უნდა ხორციელდებოდეს გეგმაზომიერად, გარემოს დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, იმგვარად, რომ კი არ დაანგრიოს გარემო და ბუნება, არამედ მისი მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი გახდეს [მეტრეველი, 2004:33].

ამგვარად, ტურიზმმა რომ ეკონომიკური მოვება მოუტანოს ამა თუ იმ რეგიონს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს, ე.ი. განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს რესურსების ზიანის მიუენებლად და მათი განადგურების გარეშე. ეს კი მიიღწევა რესურსების ისეთი მართვით, რომლის დროსაც შესაძლებელია მათი განახლება ისეთივე ტემპით, როგორითაც ისინი მოიხმარებიან. ძალზე ზოგადად კი, მდგრადი განვითარება ნიშნავს თანამედროვე მოთხოვნების ისეთ დაკავშირებებს, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების ანალოგიურ სურვილს საკუთარი მოთხოვნების დაკავშირებისთან დაკავშირებით. მდგრადი განვითარება დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ეკონომიკაზე, რომელშიც შერწყმულია ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. ამ კონცეფციაზე დამყარებული ტურიზმის განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკურ აუცილებლობასა და ტექნიკურ პროგრესს, არამედ თანაბარწილად ითვალისწინებს გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს [ტურიზმის საფუძვლები, 2008:9].

1992 წელს რიო დე ჟანეიროში გაეროს მსოფლიო სამიტზე მიღებულ დოკუმენტში „დღის წესრიგი 21-ე საუკუნისათვის“ გაცხადებულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის (პრაქტიკულად დედამიწის) განვითარების უალტერნატივო გზას მდგრადი განვითარება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სამიტის მიერ აღიარებული „მდგრადი განვითარების“ პრიორიტეტი საფუძვლად უნდა დაედოს ტურისტულ საქმიანობას, მის მზრუნველ და ფაქტ დამოკიდებულებას კულტურული და ბუნებრივი ფასეულობისადმი. ტურიზმის მდგრადი ეკონომიკის უზრუნველყოფა მოითხოვს ტურიზმის ეკოლოგიურ მდგრადობას. ტურიზმის მდგრადი განვითარებისას რესურსები მოიხმარება ისეთი პრინციპებით, რომ მან დააკმაყოფილოს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები ქვეყნის კულტურული თვითყოფადობის, გარემოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და მთავარი სასიცოცხლო სისტემების შენარჩუნების პირობებში. ტურიზმი უნდა უზრუნველყოფდეს სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიტერიუმების ისეთ ურთიერთშესამებას, რაც არა მარტო ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნების შესაძლებლობას მოგვცემს, არამედ მათი განახლების და განვითარების

წინაპირობა გახდება. ეს კი ტურისტულ კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს დააფინანსონ ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვა და მოვლა რეგიონში, ამასთან, სულ უფრო დიდი უცრადდება მიაქციონ ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებას. ეკოლოგია დღეს ცენტრალურ ადგილს იკავებს ტურიზმის განვითარებაში და კიდევ მეტი უცრადდება დაეთმობა მას მომავალში, რადგანაც ტურიზმის რენტაბელობა მომავალში უფრო მჭიდროდ იქნება დამოკიდებული დამსვენებელთა სასურველი ბუნებრივი, სუფთა გადაუტვირთავი და მიმზიდველი გარემოს შენარჩუნებაზე. ამასთან ერთად, ტურიზმის დაგეგმვის, მართვისა და განვითარების საკითხების წარმატებულ გადაწყვეტაში აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა.

საარსებო გარემოს გადარჩენისათვის მოწოდებულია და ამ საქმეს ემსახურება ეკოლოგიური ტურიზმი, რომელიც ახალი მოვლენაა ტურისტულ ინდუსტრიაში. იგი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს შედარებით წენარი ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მათ შორის დაცული ტერიტორიებისა. ეკოტურისტული პროდუქტი შედარებით ხელუხლებელი ბუნება და მასზე დაკვირვებით მიღებული სიამოვნება, მისი ინტერესის საგანი შეიძლება იყოს, როგორც ბუნებრივი ისე ადამიანის შექმნილი ღირებულებები. ეკოტურისტებს უპირველეს ყოვლისა, გარემო და კულტურის ტრადიციული ფორმები აინტერესებთ, მათვის განსაკუთრებით მიმზიდველია შორ მანძილზე მდებარე ეკოლოგიურად სუფთა და ხელუხლებელი, ფაქტზე რაიონები. ისინი განსაკუთრებულად დაინტერესებულნი არიან შემოსავლების გენერირებითა და მისი საშუალებით გარემოს დაცვითი საქმიანობის ხელშეწყობით. ტურიზმის ეს სეგმენტი ამავე სფეროს სხვა სახეობებისაგან იმითაც გამოირჩევა, რომ არ საჭიროებს განსაკუთრებულ ინფრასტრუქტურას, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემოზე ზიანის მიერნება [მეტრეველი, 2004:42]. ამასთან, ეკოლოგიური ტურიზმი თავისი არსით გაცილებით უფრო ფართო ვიდრე „ტურიზმი“ ან „რეკრეაცია“ ვინაიდან იგი ემსახურება ადამიანის არა მხოლოდ დასვენებას, გართობას ან მის ფიზიკურ და სულიერ აღდგენას, ანდა თუნდაც ფლორისა და ფაუნის ცალკეული სახეების თუ ლანდშაფტების გადარჩნას, არამედ უმთავრესს – ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, ანუ ცნობილების ეკოლოგიზაციას [მაისურაძე, 2008:5].

გარემოს ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს ეკოტურიზმის რამდენიმე კომპონენტი, კერძოდ: „ბუნების შეცნობა“, ანუ ტურისტების მიერ ახალი ინფორმაციის მიღება და ცოდნის შეძენა; „ეკოსისტემების“ დაცვა, რაშიც მოიაზრება ჯგუფის წევრების მარშრუტებზე ქცევის წესების დაცვასთან ერთად ტურისტებისა და ტუროპერატორების მონაწილეობა ბუნების დაცვის ღონისძიებებსა და პროგრამებში. დაბოლოს, „ადგილობრივი მოსახ-

ლეობის ინტერესების გათვალისწინება“, რაც გულისხმობს მაცხოვრებლების წესჩვეულებების დაცვას და მათ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მათ აქტიურ მონაწილეობას.

ეკოტურიზმი, როგორც ახალი მოვლენა ტურიზმის ინდუსტრიაში, თავისი მრავალფეროვნებით და საქმაოდ ფართო სპექტრით გამოირჩევა – დაწყებული სერიოზული მეცნიერული ინტერესებიდან და გამოკვლევებიდან და დამთავრებული უბრალოდ ბუნებაში დასვენების მიზნით მოგზაურობამდე. ამჟამად, ეკოლოგიური ტურიზმი ტურისტული ბაზრის სეგმენტებს შორის ყველაზე პერსპექტიული და დინამიურად განვითარებადი ფორმაა. მისი ზრდის ტემპები როგორც შემთხვევების, ასევე ტურისტული რაოდენობის თვალსაზრისით გაცილებით მაღალია, ვიდრე ტურიზმის სხვა სფეროებში. საქმარისია ითქვას, რომ ეკოლოგიური ტურიზმის ყოველწლიური ზრდის ტემპი 30% აღწევს მაშინ როდესაც მთლიანად საერთაშორისო ტურიზმში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 4–6%-მდე მერყეობს. ოპტიმისტური პროგნოზით ბუნებაში მოგზაური ტურისტების ხვედრი წილი უახლოეს პერიოდში კიდევ უფრო გაიზრდება და ტურისტული ნაკადები საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს მოიცავს [მაისურაძე, 2008:21].

მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს შორის, რომელთათვისაც დამახასიათებელია ბიომრავალფეროვნება, კავკასიას გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისთვის დამახასიათებელია ფლორისა და ფაუნის განსაკუთრებული მრავალფეროვნება, სადაც გვხვდება მცენარეებისა და ცხოველების მრავალი ენდემური სახეობა. საქართველო კავკასიის ცენტრალურ აღგილზე მდგრადებს და ბიომრავალფეროვნების მხრივ უმნიშვნელოვანეს ქვეყანას წარმოადგენს. იგი მდიდარია დაცული ტერიტორიებით, სადაც ეროვნული პარკები ეკოტურისტული პროდუქციის ფორმირების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად გვევლინება. ეროვნული პარკი ისეთი დაცული ტერიტორიაა, რომელიც განკუთვნილია ბუნების დაცვის, ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევისათვის, რადგანაც საგანგებო ეკოლოგიური და ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივ კომპლექსებს ფლობს. ამიტომ იგი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ბუნების დაცვის, განათლების, მეცნიერული კვლევა-ძიების, სოციალურ-კულტურული მიზნებისა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რეგულარული ტურიზმისათვის. ამ ტიპის ტერიტორიებზე, როგორც წესი, ფუნქციონირებს საგანგებო დაცვის რეჟიმი ბუნებრივ მრავალფეროვნებათა და თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნება ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მისი გააზრებული მიზანმიმართული გამოყენება. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი რეალური გზაა დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა და მისი ახალი, უფრო მოქნილი, რეგიონე-

ბის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და აღმავლობასთან დაკავშირებული სისტემის შექმნა. ჩვენს ქვეყანაში დაცული ტერიტორიების და, განსაკუთრებით, ეროვნული პარკების ჩამოყალიბება, მათში ტურისტული საქმიანობის გეგმაზომიერი და გააზრებული განვითარება ხელს შეუწყობს არა მარტო ეკოსისტემის რეაბილიტაციას, არამედ მოიგანს მადალ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს კერძოდ შემოსავლებს, როგორც რეგიონის მოსახლეობისათვის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის (მეტრეველი, 2004:29].

ადსანიშნავია, რომ სწორედ ეკოტურისტები არიან ის ადამიანები, ვისაც მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული ბუნების მიმართ თავიანთი პასუხისმგებლობა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონებისათვის, სადაც ბუნება ჯერ კიდევ „ხელშეუხებლადაა“ შენარჩუნებული. ეკოტურიზმი ტურიზმის სხვა სახეობებიდან გამოირჩევა იმით, რომ მას მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური ხასიათის ზეგავლენა, რადგანაც ხელს უწყობს ბუნებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ხასიათის დონისძიებების დაფინანსების მოზიდვას და ეკოლოგიური პროექტების დაფინანსებას.

ჩვენს ქვეყანას და მის თითოეულ რეგიონს ეკოტურიზმის შესანიშნავი პერსპექტივა გააჩნია. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ: ბუნებრივი ლანდშაფტების დიდი ნაირფეროვნებით, კლიმატური ზონების ფართო სპექტრით, უნიკალური ეკოსისტემებით, ბუნებისა და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით, წეს-ჩვეულებათა მრავალფეროვნებით, ფოლკლორის უნიკალურობით და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, აქ მცხოვრებ ხალხთა უძველესი ისტორიით, თვითმყოფადი კულტურით, ტრადიციებითა და სტუმართმოყვარეობით. ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარება შესამჩნევ გაფლენას მოახდენს ქვეყნის პერიფერიული რეგიონების ეკონომიკაზე, მოხდება ქვეყანაში შემომსვლელთა ნაკადების სტიმულირება, რაც უფრო მეტად ქმედითუნარიანს გახდის უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად მიმართულ საქმიანობას.

ეკოტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ქვეყნის, არამედ მისი ყველა რეგიონისა და მათ შორის აჭარისათვის, სადაც მის დიდ პოტენციალს განაპირობებს თბილი სუბტროპიკული ჰავა, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეგზოტიკური სილამაზე და აქ განლაგებული კურორტებისათვის დამახასიათებელი განსხვავებული მიეროკლიმატი, მთისა და ბარის უნიკალური, მრავალფეროვანი ლანშაფტები, კოლხეთის ცხოველთა და მცენარეთა უიშვიათესი ენდემური და რელიქტიური სახეობით მდიდარი დაცული ტერიტორიები, სხვადასხვა დანიშნულების შესანიშნავი სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყლების სიუხვე და დამავალი სხვა.

რეგიონის ეკოტურისტული პოტენციალის სრულყოფილი გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საზღვაო და სამთო ტურიზმის კომბინირებული გამოყენება. სწორედ შავიზღვისპირეთის და სამთო კურორტების ერთობლივი გამოყენება უნდა გახდეს მომავალში ეკოტურიზმის ის პერსპექტიული მიმართულება, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს არა მარტო შიდა, არამედ უცხოელი ტურისტების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებები. ამიტომ ამ სახის ტურპროდუქტზე მუშაობის გააქტიურება, არა მარტო ბაზრის სეგმენტაციის გაფართოების, არამედ ტურისტული შემოსავლების ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა გახდეს. აჭარის მდიდარი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე და მრავალფეროვნება, სოფლის ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები იძლევა ფართო საშუალებას მოხდეს ტურისტული ბაზრის ისეთი მიმართულებით განვითარება როგორიცაა: სამეცნიერო, შემცნებითი, სარეკრეაციო, სარეაბილიტაციო, ბუნების მოვარულთა, სოფლის, ფერმერული, აგროტურიზმი და სხვ. ყველა ეს სახეობები თამამად შეიძლება მოვაკუთვნოთ ეკოტურიზმს.

აჭარის ბუნებრივ-რეკრეაციულ და ისტორიულ კულტურულ მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ აქ მდებარეობს სამი დაცული ტერიტორია კერძოდ: მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის ნაკრძალი და ქობულეთის დაცული ტერიტორია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ქობულეთის ნაკრძალს, ქობულეთის აღკვეთილს და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას. ამჟამად აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ მომზადებულია სათანადო დოკუმენტაცია და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში მაჭახლის ხეობის დაცულ ტერიტორიად გამოცხადების მიზნით. იმედია სულ მალე, დამტკიცების შემდეგ ხეობა მიიღებს აღნიშნულ სტატუსს. დაცული ტერიტორიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ ისინი შეიცავენ საგანგებო ეკოლოგიური, ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივ კომპლექსებს და განკუთვნილი არიან ბუნების დაცვის, მეცნიერულ-კულტურული მიზნებისა და რეგულარული ტურიზმისათვის. ამ ტერიტორიებზე მოქმედებს საგანგებო დაცვის რეჟიმი მათი სხვადასხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

მტირალას ეროვნული პარკის შექმნის მიზანი იყო ამ ტერიტორიაზე არსებულ რელიქტიურ მცენარეთა და ენდემურ ცხოველთა სამყაროს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეტანილია IUCN-ის წითელ წესხაში, გადარჩენა და კონსერვაცია. მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია რელიქტიურ მცენარეთა იშვიათი მრავალფეროვნებით ხასიათდება აქ გავრცელებულ მცენარეთა უმეტესობა პალეოლითურ პერიოდის გადარჩენილი სახეობების ძველი, თბილი და ტენიანი ჰავის ტყის მცენარეების კოლხურ რეფუგიუმს (თავშესაფარს) წარმოადგენს [მტირალას ეროვნული პარკი, 2008:12-

16]. პარკში ვიზიტორს საშუალება აქვს დატკბეს ბუნების მშვენიერებით, მოაწყოს საწყლოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურები, მოინახულოს აჭარის ისტორიულ-კულტურული ძეგლები, რაც ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების საქმაოდ კარგ პოტენციალს განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ეროვნული პარკის სიახლოვეს ბათუმის, გონიოს, სარფის, კვარიათის და ჩაქვის კურორტებზე კარგადაა განვითარებული საზაფხულო ტურიზმი. მის სიახლოვეს მდებარე მთიან სოფლებში შესაძლებელია ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარებაც.

კინტრიშის ნაკრძალის შექმნა კოლხეური წაბლნარი და წიფლნარი ქვეტყის დაცვას, ასევე ადგილობრივი ფაუნის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. კინტრიშის ნაკრძალის ფლორისათვის აჭარის ენდემების კერძოდ, მდიდარი მარადმწვანე ქვეტყის, გვიმრების და ლიანების სიმრავლეა დამახასიათებელი. ადგილობრივი ფაუნა მოიცავს აჭარისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა სახეობას [საქართველოს დაცული ტერიტორიები 2007:101-108].

კინტრიშის ნაკრძალს საქმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ის სულ რაღაც ოციოდე კილომეტრზეა განლაგებული კურორტ ქობულეთიდან, სადაც მაღალი დონის მრავალრიცხოვანი სასტუმროებისა და რესტორნების გარდა, არსებობს ოჯახური სასტუმროებიც. ქობულეთიდან შესაძლებელია ნაკრძალში საწყლოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა. თუმცა, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებლი.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები შეიქმნა უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემების, როგორც მაღალი ლირებულების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით. აქ ვიზიტორებს შეუძლიათ იხილონ მსოფლიოში ყველაზე ხელუხლებელი ტორფნარები „ისპანი I“ და „ისპანი II“. ეს უკანასკნელი 1996 წლიდან „Ramsaz-ის“ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიან ტერიტორიადაა მიჩნეული [საქართველოს დაცული ტერიტორიები 2007:106-109].

ქობულეთის ნაკრძალი ხელსაყრელი ადგილია ფრინველთა დაკვირვებისა და საფეხმავლო მარშრუტებისათვის. ვიზიტორთა მიღებასა და მათი მოგზაურობის დაგეგმვას უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციულ შენობაში არის ვიზიტორთა ცენტრი, სადაც არის 3 ორადგილიანი ნომერი. შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო შემცნებითი ტურიზმის მოწყობა აღკვეთილის დასავლეთ საზღვრის გასწვრივ. მოსწავლეებსა და სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ჭარბტენიან ეკოსისტემებს. ამ ტერიტორიაზე ვიზიტორს შეუძლია მოინახულოს ნამოსახლარები შეაბრინჯაოს ხანის და ანტიკური ეპოქის „ფიჭვნარი.“ რომელიც ისპანის დაცული ტერიტორიების ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავებთან მდებარეობს და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, რეგიონში ეკოტურიზმების განვითარებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ჭოროხის დელტა (ფრინველთა დაკვირვებისათვის), მაჭახლის ხეობა, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და საერთოდ მაღალმთიანი აჭარა.<sup>1</sup> ამ ზონაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველებური ხის სახლები, რომლებიც ხელითაა გააკეთებული ძველი ოსტატების მიერ. ისინი აგებულია მაგარი ჯიშის ხის მასალისაგან. ეჭვსგარეშე ის ფაქტი, რომ ძველი ოსტატების მიერ ხელით ნაკეთი სახელები ჩვენი დიდი ეთნოგრაფიული და კულტურული სიმდიდრეა, მათი ზოგიერთი არქიტექტურული დეტალი კი, ხალხური ხუროთმოძღვრების ღირშესანიშნაობაა. ამასთან ერთად, აჭარის ეკოსოფლებს პროფესიული დატვირთვა გააჩნია სხვადასხვა დარგის წარმომადგენლობისათვის (ისტორიკოსები, არქეოლოგები, ნატურალისტები, ფინელოლოგები, ექიმ-პომეოპათები, პოლიფერნიური სიმდერის მოყვარულები, სპორტსმენები, კულინარიის მოყვარულები, მონადირეები და ა.შ.).

სასიამოგნოა აღინიშნოს, რომ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, ისე დარგის ყველა ძირითადი სუბიექტის მხრიდან 2009 წლის დასაწყისიდანვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ახალი ტურისტული პროექტების შექმნის მიმართულებით, რომელშიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები, ტურისტული სააგენტოები, მუნიციპალიტეტები და საკრებულოები.

ამ კუთხით ძირითადი ყურადღება გამახვილდა ეკოლოგიური და ისტორიული ტურისტული მარშრუტების შემუშავებაზე. უკვე დამუშავებულია, მომზადებულია შესაბამისი ტურისტული რუკები და მარშრუტების აღწერილობა 14 ტურისა აჭარის ტერიტორიაზე, რომლის გამოყენებაც შეეძლებათ როგორც ადგილობრივ ისე მთლიანად საქართველოს ტურისტულ სააგენტოებს.

უახლოეს მომავალში მოხდება აღნიშნული მარშრუტების პრეზენტაცია პოტენციური სუბაგენტებისათვის. მათ შესახებ სრული ინფორმაცია (მარშრუტის აღწერილობა, სასტუმრო სახლები, გიდები) განთავსებული იქნება აჭარაში არსებულ ტურიზმის ყველა საინფორმაციო ცენტრში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის სამუშაოები რომლებიც ბოლო პერიოდში ხორციელდება მტირალას ეროვნული ტექ-პარკის ტერიტორიაზე. მიმდინარე წელს აქ ფუნქციონირება დაიწყო ვიზიტორთა ცენტრმა, რომელიც ლაზური სტილის შენარჩუნებით აიგო. ცენტრი აღჭურვილია 4 სატუმრო ოთახით, სამზარეულოთი, გადახურული ტერასით, ავტოსადგომით (შესაძლებელია განთავსდეს 24-30 ადამიანი). მიმდინარეობს 3 ტურისტული ბილიკის კეთილმოწყობა. ეწყობა საოჯახო სასტუმროც, რომელიც შეძლებს ერთდროულად 15 კაცის მიღებას.

<sup>1</sup> აქ და შემდგომში გამოყენებულია აჭარის ავტომომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2009 წლის საინფორმაციო, საანგარიშგებო, სტატისტიკური და სხვა მასალები.

მტირალას ეროვნულ პარკის მსგავსად ვიზიტორთა ცენტრი მიმდინარე წლის 10 მაისს გაიხსნა კინტრიშის ეროვნულ ნაკრძალის ტერიტორიაზეც. ვიზიტორთა ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. ნაკრძალის აღმინისტრაციის მიერ შემუშავებულია სხვადასხვა ეკოტურისტული მარშუტები რომლებსაც კვალიფიკაციური გიდების საშუალებით ხთავაზობენ ვიზიტორებს. აღნიშნულით შეიძლება ისარგებლონ როგორც უცხოელმა ისე ადგილობრივმა ტურისტებმა.

მაისის თავიდან ფუნქციონირება დაიწყო ბათუმის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა. ინგისიდან კი ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს საინფორმაციო ცენტრები გაიხსნა. საინფორმაციო ცენტრები ემსახურება ყველა ტურისტს, ვისაც რაიმე ინფორმაცია დააინტერესებს აჭარის შესახებ (სასტუმროები, კაფებარები, თეატრები, მუზეუმები და ა.შ. ცენტრის თანამშრომლები უსასყიდლოდ გასცემენ ასევე აჭარის რუკებს და სხვა სარეკლამო მასალებს.

აჭარაში ეკოლოგიური ტურიზმის მდიდარი პოტენციალის სამთო და საზღვაო ტურიზმთან შეხამების სრულყოფილი მოდელის ამოქმედება, უეჭველია, გამოიწვევს ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვან ზრდას და ახალი ინვესტიციების მოზიდვას, რაც რეგიონს საუკეთესო ეკონომიკურ პერსპექტივას უსახავს. ვიზიტორთა შემოსვლა მოსახლეობისათვის მდგრადი შემოსავლის წყარო გახდება. ეს კი აამაღლებს ველური ბუნების ხელუხლებლად შენახვის მოტივაციას, რაც ასე აუცილებელია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი განვითარებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის აგტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მასალები, ბათუმი, 2009.
2. მერლანი გ. ტურიზმის განვითარება საქართველოში, ჟ. „ეკონომიკა“, 2009, №5–6, გვ. 136–141.
3. მეტრეველი ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), გამომცემლობა შპს „ფორმა“, თბ., 2004, 307 გვ.
4. დ.მაისურაძე, ი. ვერბეცი, თ.ხუციშვილი, ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, გამომცემლობა, „საარო“, თბ., 2008, 231 გვ.
5. მტირალას ეროვნული პარკი, თბ., 2008, 32 გვ.
6. ნ.კეპანაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, კ.მალრაძე, გარემო და მდგრადი განვითარება, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2007, 208 გვ.
7. საქართველოს დაცული ტერიტორიები, გამომცემლობა „წიგნი სახელმძღვანელო“, თბ., 2007, 248 გვ.
8. ტურიზმის საფუძვლები (დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო), თბ., 2010, 120 გვ.

9. ვ.შუბლაძე, საქართველოში ტურიზმის განვითარების მაქროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი (სიღარიბის დაძლევის პონტეჯსტი), საქანდიდაცო დისერტაცია, თბ., 2004, 147 გვ.

**Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze**

### **Ecoturism – Significant Factors of Environmental Protection**

#### **Summary**

At the current stage of the development of Georgia, protection of cultural and natural heritage and its purposeful usage gains particular significance. Preservation of life environment is taken under responsibility of ecotourism, which contributes to the ecosystem rehabilitation and benefits economic development of the region and Georgia as well.

Adjara has great potential of ecotourism, due to the warm subtropical climate, exotic beauty of the Black Sea coast, unique microclimate featuring local resorts, diverse landscape and others. Adjara is rich with natural heritage as well. There are three protected zones, such as Mtirala national park, Kintrishi reserve and Kobuleti protected areas. Chorokhi and Machakhela gorges, Batumi botanical garden and mountainous Adjara have also significant meaning for the development of ecotourism in the region. The visitors can enjoy the beauty of untouched by human intervention environment, take rafting trips, ecological and ethnographic tours, observe fauna, visit historic, cultural and architectural monuments and other sightseeings. Development of ecotourism will favor significant growth of tourists inrush and attraction of new investments that will create new economic opportunities for Adjara.

**Вахтанг Микашавидзе, Жани Микашавидзе**

### **Экотуризм – важные факторы защиты окружающей среды**

#### **Резюме**

На сегодняшний день, особое значение в развитии Грузии, приобретает защита культурного и природного наследия и его целенаправленное использование. Сохранением среды обитания занимается экологический туризм, деятельность которого способствует не только реабилитации экосистемы,

мы, но и приносит высокие экономические результаты, не только населению региона, но и всей Грузии.

Аджария, как и Грузия в целом, обладает большим потенциалом в сфере экотуризма, который определяется теплым субтропическим климатом, экзотической красотой черноморского побережья, особенным микроклиматом характеризующим расположенные здесь курорты, уникальным разнообразным горным ландшафтом и др. О природном наследии Аджарии так же говорит и то что на ее территории расположены 3 охраняемые зоны, как то национальный парк Мтиrala, заповедники Кинтриши и кобулетская охраняемая территория. Кроме всего вышеперечисленного, важное значение для развития экотуризма в регионе имеют так же ущелья рек Чорохи и Мачахела, батумский ботанический сад и высокогорье Аджарии. Приезжим предоставляется возможность насладиться красотой девственной природы, организовать рафтинг, воспользоваться этнографическими и экологическими турами, понаблюдать за животными, посетить историко-культурные и архитектурные памятники и другие достопримечательности. Развитие экотуризма будет способствовать значительному росту притока туристов и привлечению новых инвестиций, что в свою очередь означает наилучшие экономические перспективы для Аджарии.

## ტურიზმის პიზენსის რისკ-ზარფორმები

რისკი-ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის დამახასიათებელი ელემენტია. აღნიშნავენ, რომ რისკის მართვისა და აღქმის პროცესში უფრო დიდი სიხშირით წარმოიქმნებიან ვიდრე მათი გადაწყვეტის შესატყვის მეთოლოგიები ყალიბდებიან. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ხშირად თითქმის არ განასხვავებენ ცნებებს „რისკი“ და „გაურკვევლობა“, „რისკი“ და „შემთხვევითობა“ და ეს იმ დროს როდესაც გაურკვევლობა სტატიკური მდგომარეობაა და ის შეიძლება წინ უძლოდეს სარისკო მოქმედებას, მასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ არანაირად არ გაიგივდება მასთან, რადგან რისკი უკვე დინამიკური მოქმედებაა, რომელიც შესაძლებელ დანაკარგებობას არის დაკავშირებული. არც რისკისა და შემთხვევითობის გაიგივება არის მართებული, რადგან რისკი თითქმის ყოველთვის მართვადია და გაცნობიერებულ მოქმედებასთან, გარკვეულწილად პროგნოზირებად მოქმედების შედეგებთან არის დაკავშირებული, თუმცა არც იმისი უარყოფა შეიძლება, რომ რისკი შემთხვევითობასთანაც არის დაკავშირებული.

რეალურ ეკონომიკურ სიტუაციაში გადაწყვეტილება რომელსაც იდებს მეწარმე თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან, რომელიც განპირობებულია ფაქტორთა რიგით და გაურკვევლობის მდგომარეობის არსებობით. მეწარმეობა ყველა დროში და ნებისმიერ ქვეყანაში დაკავშირებულია ეკონომიკური კონიუქტურის გაურკველობასთან, რომელიც გამომდინარეობს საქონლის, ფულის, წარმოების ფაქტორების მოთხოვნისა და წინადადება-შეთავაზების ცვალებადობასთან (Балдин, Воробьев, 2005:502) და სხვა ფაქტორებთან.

შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ გაურკვევლობა ან შემთხვევითობა მართალია არ გაიგივდებიან რისკთან, მაგრამ იწვევენ რისკიან ქცევას, როდესაც პიროვნება იძულებულია რისკიან ქცევას მიმართოს დასახული ამოცანის გადასაწყვეტად ან წარმოქმნილი პრობლემური სიტუაციის დასაძლევად. ამიტომ კი არსებობს ისეთი ფაქტორები, რომლებიც სარისკო ქცევასთან არიან დაკავშირებულნი და მათ შორის შეიძლება ტურიზმის ბიზნესის რისკ-ფაქტორებზე საუბარო. რისკის ფაქტორების (ლათ. Factor-გამკეთებელი, მწარმოებელი) ცნება აღნიშნავს პირობების ფართო წრეს, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ უარყოფითი ზეგავლენა რაიმე საქმიანობაზე, მათ შორის ტურისტულ ინდუსტრიაზე.

ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური ზეგავლენის ფაქტორებისაგან განსხვავებით რისკის ფაქტორები მოიცავენ ისეთ პირობებს, რომელთა ნეგატიური ზემოქმედება ატარებს ალბათობით ხასიათს, ე.ო. აღ-

ნიშნავს არა გარდაუვალ, არამედ მეტნაკლებად ვარაუდისადმი დაქვემდებარებულ ნეგატიური შედეგების ერთობლიობას. შეიძლება გამოვყოთ რისკის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო, ქვეყნის საშინაო და მიმღები ქვეყნის მოსახლეობის (პიროვნებების) მენტალობასთან.

1. საერთაშორისო ფაქტორები – საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, მაგალითად, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი; მსოფლიოს მასშტაბით ვირუსული დაავადებების გავრცელება, ტურისტების გამომგზავნ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუარესება, სხვა ქვეყნებში არსებული ტურისტული ცენტრების მიერ ქვეყნისათვის ტრადიციული ტურისტული კონტიგუნტის მიზიდვა—უკეთესი მომსახურების, შედარებით დაბალი ფასების, გასართობი და რეკრეაციული—გამაჯანსადებელი ინდუსტრიის უკეთ განვითარების, რეკლამირების ინტენსივობისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით.

2. შინაგანი ფაქტორები – ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა, რეკრეაციული და გამაჯანსადებელი ობიექტების მოუვლელობა და ტურისტების მისაღებად მოუმზადებლობა, ტურისტული დაწესებულებების მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის უკმარისობა, სატრანსპორტო ქსელის განუვითარებლობა, ადგილობრივი კოლორიტის საერთაშორისო მოთხოვნებთან შეუთავსებლობა. ადგილობრივი სამზარეულოს არადაპტირებულობა, ევროპული მომსახურებისათვის დამახასიათებელი ნიშან—თვისებათა იგნორირება, მომსახურე პერსონალის უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე, ტურისტების მიღების, გაცილების, დაბინავების, საკომუნიკაციო საშუალებების, სანიტარული მდგომარეობის, სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუმართავობა, სტუმართმასპინძლობის ევროპული ზომიერების იგნორირება.

3. მოსახლეობის (პიროვნებების მენტალობის რისკ—ფაქტორი) მოსახლეობის ტურისტებთან ურთიერთობების დამყარების მოუმზადებლობა, ტურისტების მომსახურების შეურაცმყოფელ საქმიანობასთან გაიგივება, ტურისტებისადმი დამოკიდებულებაში ნებისმიერი საშუალებით ფულადი სახსრების მაქსიმალურ მიღებაზე ორიენტაცია, უყურადღებობა, ტურისტის ქვეყნისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვა, საკუთარი უპირატესობის დაფიქსირება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული სააგენტოების მიერ მათ მუშაობაში მოსალოდნელი რისკ—ფაქტორების გათვალისწინებას. (ცნობილია <http://www.bishelp.ru>) რომ, მაგალითად, რუსეთის დედაქალაქში—ყოველ წელს იხსენება 100—მდე ახალი ტურისტული სააგენტო, მაგრამ მათგან მხოლოდ 30% თუ აგრძელებს მუშაობას შემდგომ სამ წელიწადში.

ტურისტული სააგენტოების გახსნა საკმაოდ მიმზიდველია, რადგან შედარებით მცირე ინგესტიციებს (10 000 დოლარამდე), მინიმალური რაოდენობის პერსონალს (4—5 ადამიანს) მოითხოვს. ამოცანის სიადვილე მოჩვენებითია, რადგან ტურისტული ბიზნესი მნიშვნელო-

ვან რისკებთან არის დაკავშირებული, რომლებმაც მათი გაუთვალისწინების შემთხვევაში შეიძლება გააკოტორონ ინვესტორი ანდა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენონ მათ.

### **შიდა რისკები:**

#### **1. ბიზნესის ფორმა**

დამწერებული მეტარმეტ უპირველეს ყოვლისა უნდა გადაწყვიტოს რა გზით სურს მას დაიწყოს ბიზნესი: სურს მას გამზადებული კომპანიის ყიდვა მთლიანად, სურს მას მოქმედი ბიზნესის შეძენა თუ უპირატესობას ანიჭებს ყველაფრის თავიდან დაწყებას ნულიდან და დამოუკიდებლად ახალი ფირმის შექმნა. ახალი ტურისტული საქმიანობის ყოველ ვარიანტს აქვს პლუსები და მინუსები. გამზადებული კომპანიის ყიდვის შემთხვევაში მცირდება ხარჯები სააგენტოს დაფუძნების საწყის პრობლემებთან დაკავშირებით და მრავალი რისკი ბუნებრივად იქნება აცილებული, თუმცა ტურისტული სააგენტოსადმი წარდგენილი სტანდარტების დაცვის აუცილებლობა ასეთ შესყიდვას აკარგვინებს მოჩვენებით უპირატესობას. მოქმედი სააგენტოს ყიდვისას უნდა გახსოვდეს, რომ შეიძლება მივიღოთ „მაღალი შემოსავლების მქონე ბიზნესი“, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება. მოქმედი სააგენტოს ყიდვა აგრეთვე შეიცავს რისკს, რადგან სრულ კომპლექტაციამდე ასეთი ფირმის მიყვანა ზოგჯერ იმდენ დანახარჯებს მოითხოვოს, რომ აჯობებს ყველაფრის თავიდან დაწყება.

#### **2. სეზონურობა**

ტურისტული სააგენტოს გახსნამდე ბიზნეს-გეგმაში აუცილებლად უნდა ჩაიდოს ბიზნესის სეზონურობის ფაქტორი, რომლის უგულებელყოფა მნიშვნელოვან დანაკარგების იწვევს. ეს პრობლემა ჩვეულებრივ მსხვილ კომპანიებსაც ვნებს, რომლებსაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. შვებულებათა სეზონის გარეშე ახალმა კომპანიამ შეიძლება საკუთარი ხარჯების ანაზღაურებაც კი ვერ შესძლოს. სეზონურობასთან არის დაკავშირებული ახალი კომპანიის გახსნის დროც, რომელიც უკეთესია ზაფხულის სეზონთან იქნეს დაკავშირებული, რომელიც საშუალებას მოგცემთ სწრაფად დაფაროთ დანახარჯები. იმის გამო კი, რომ საშუალოდ ტურისტული სააგენტოს სამუშაოდ გახსნის მომზადებას დაახლოებით 5 თვე სჭირდება, ახალი სააგენტოს გახსნისათვის მზადება წლის დასაწყისში მაინც უნდა დაიწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ზაფხულის სეზონს დაკარგავთ და ვერ აანაზღაურებთ ტურისტულ ბიზნესზე გაწეულ დანაკარგებს.

#### **3. ოფისის განლაგება**

ოფისი, რომელიც გარეუბანში არის განლაგებული კლიენტების დაახლოებით 80% კარგავს, რადგან კლიენტები უბრალოდ ქალაქის ცენტრში განთავსებულ სხვა ტურისტულ ფირმას მიაკითხავთ,

ხოლო ნაწილი ვერ გაბედავს ასსეტ ფირმასთან საქმის დაჭერას, რადგან მას ფინანსურად არამყარ კომპანიად მიიჩნევს, რომელსაც არ შეუძლია ქალაქის ცენტრში ოფისის შეძენა. საქმის გამოსწორება ნაწილობრივ შეიძლება ოფისის კარგად მოწყობით და რეპლა-მირებით, მაგრამ ხშირად ესეც არ არის შედეგიანი.

#### 4. პერსონალი

სტატისტიკის შესაბამისად მომხმარებლის მიერ საგზურის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება 40–50% დამოკიდებულია ტურისტული სააგენტოს ზეგავლენაზე. პერსონალი აუცილებლად კარგად უნდა ფლობდეს შეთავაზებული მომხმარებელის შესახებ ინფორმაციას. ის უნდა ერკვეოდეს კლიენტებთან ურთიერთობების ხელოვნებაში, იყოს თავაზიანი და მომთხნი, კლიენტს მიაწოდოს ინფორმაციის მაქსიმუმი. მენეჯერი იმდენად უნდა იყოს შეევარებული საკუთარ საქმეზე, რომ შეეძლოს პოტენციურ კლიენტს გადასცეს საკუთარი გრძნობები. ჩვეულებრივ პირადი შთაბეჭდილებები ტურისტულ მოგზაურობაზე კლიენტზე უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე ნებისმიერი კატალოგი თუ ბუკლები. ამიტომ კი კომპეტენტური პერსონალი უნდა შეირჩეს და ამაზე ეკონომიის გაკეთება გაუმართლებელია.

#### 5. სპეციალიზაცია

ხშირად არამოგბებანი სამუშაოს პროფილის არჩევა დაკავშირებულია კონკურენტების საქმიანობის ანალიზის არ არსებობასთან. რაც უფრო პოპულარულია წინადაღება-მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ოფისის განლაგება და პირდაპირი კონკურენტების არყოფნა სიახლოვეში. იმ შემთხვევაში თუ გარჩევთ უნიკალურ მიმართულებას-მცირდება პირდაპირი კონკურენცია, მაგრამ იქმნება რისკი, რომ თქვენ მთლიანად დამოკიდებული იქნებით მიმღებ მხარეზე და ტუროპერატორზე, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლება შეაჩეროს ტურისტული ურთიერთობები თქვენთან.

#### გარე რისკები:

აქ უმთავრესია ტუროპერატორებთან დამოკიდებულება, რადგან ტურისტული სააგენტო ასრულებს ტუროპერატორების პროდუქტის გაყიდვას, ხოლო ტურისტული სააგენტოს რეპუტაცია და ბაზარზე სიმყარე დამოკიდებულია თვითონ ამ პროდუქტის ხარისხზე. იმ შემთხვევაში თუ მოგზაურობა ჩაიშლება ტუროპერატორის მიზეზით კლიენტი ტურისტულ სააგენტოს დაადანაშაულებს, დაიმახსოვრებს და ძალიან შცირე შანსია, რომ რომელიმე მათგანი ისევ მიმართავს ამ სააგენტოს. ტუროპერატორის ნებისმიერი ნაკლი-შეხვედრა, სასტუმროში ადგილების დაჯავშნა, ექსკურსიების ორგანიზება თუ სხვა შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი, რომ კლიენტი მოგზაურობიდან ნებატიურად განწყობილი დაბრუნდეს. ამიტომ ტუროპერატორის შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. საფინანსო თვალსაზრისით ტუროპერატორებთან წარმოქმნილმა პრობლემებმა [მაგალითად,

ხელშეკრულების შეუსრულებლობა მიმღები მხარის მიერ სრული წინასწარი გადახდის პირობებში) შეიძლება აისახოს ტურისტული სააგენტოს მოგების შემცირებაზე.

## 2. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ომები, ტერაქტები და კატაკლიზმები ყველაზე ნაკლებ პროგნოზირებადი რისკებია ტურისტული სააგენტოებისა და ტუროპერატორების მუშაობაში. ასეთ შემთხვევაში როგორც პრობლემის წამოჭრის ისე ტურისტების რეაქციების პროგნოზირება.

ასეთ მოვლენათა მასშტაბები ჩვეულებრივ დამოკიდებულია პრობლემის სიდიდეზე და მისი განხილვის თავისებურებებზე მედიაში. რაც უფრო სწრაფად გადადის მედია სხვა პრობლემების გაშუქებაზე, მით უფრო სწრაფად იძრუნებს ტურისტული ბიზნესი ჩვეულებრივ პოზიციებს. სხვა შემთხვევაში კი ფინანსურად კარგავს, როგორც ტურისტული სააგენტო ისე ტუროპერატორი.

ტურისტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოსალოდნელი რისკებისაგან ტურისტული მომსახურების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ტურისტული სასტუმრო განლაგებული უნდა იყოს მკოლოგიურად დაცულ ტერიტორიაზე, სასტუმრო პასუხს უნდა აგებდეს მომხმარებლის ნივთების დაცულობაზე, აგრეთვე იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას მომსახურების ნაკლოვანებების გამო და სასტუმრო აგრეთვე უნდა აქომანესირებდეს მორალურ ზიანს, რომელიც მიადგა მომხმარებელს.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სავარაუდო რისკი განსაკუთრებით იზრდება ტურისტული მომსახურების, ექსკურსიის, ლაშქრობის დროს. აქ გამოყოფენ შემდეგ საშიშროებებს: ტრავმის საშიშროება-რთული რელიეფის, ტურისტული აღჭურვილობის გაუმართავობა, საშიში ატმოსფერული მოვლენები; გარემოს უარყოფითი ზემოქმედება-ტემპერატურის სწრაფი ზრდა ან დაწევა, სინესტე, ტენიანობა, ბარომეტრული წნევის სწრაფი ცვლილება, მიკროკლიმატის უარყოფითი მაჩვენებლები ტურისტული ლაშქრობისას დროებით სადგომებში, ბიოლოგიური საშიშროება-ლაშქრობის დროს პატოგენური მიკროგანიზმების სიჭარბე, მომწამვლელი მცენარეების გარემო, ქვეწარმავლების სიმრავლე, ინფექციური სხეულებების გადამტანი მწერებისა და ცხოველების სიჭარბე; ფსიქოფიზიოლოგიური დატვირთვები-ფიზიკური და ნერვულ-ფსიქიკური გადატვირთვა, დაძაბულობა, ტურისტების ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გაუთვალისწინებლობა ტურისტული ლაშქრობის წინ; გამოსხივების საშიშროება-ულტრაიისფერი გამოსხივების, რადიოლოგიური გამოსხივების სიძლიერე-სპეციალური დამცავი საშუალებების, ტანისამოსის, მზისაგან დამცავი სათვალეების უქონლობა და სხვა; ქიმიური ზემოქმედება-ტოქსიკური, გამაღიზიანებელი ფაქტორების-ჰაერში, წყალში, ნიადაგში, კვების პროდუქტებში, წინასწარ შესწავლის აუცილებლობა; დამტვრიანობის მაღალი დონე-სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების

დაცვის აუცილებლობა; ხანძარსაშიშროების აცილების დონისძიებათა ჩატარება.

როგორი ტურისტული დაშქრობისა თუ ექსტრემალური ტურიზმის წინ აუცილებელია სპეციალური ვარჯიშების კურსის გავლა. ასეთი ტურისტული ჯგუფის სავარაუდო წევრების სოციალურ ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა, ჯგუფის წევრების ერთმანეთთან თავსებადობის დადგენა, დაბრკოლებათა გადალახვის ფსიქოლოგიური მზაობის შემუშავება.

ტურისტულ მოგზაურობაში გაუთვალისწინებელი რისკების ნაწილობრივი კომპენსაცია შეიძლება ტურისტული დაზღვევით. მსოფლიოს იმ რეგიონებში სადაც ტურისტების გამგზავნ და ტურისტების მიმღებ ქვეყნებს დიდი ხნის ურთიერთობები აქვთ ორმხრივი შეთანხმებებით გათვალისწინებულია ტურისტული დაზღვევის საფუძველზე იმ რისკების კომპენსირება და მიმღებ ქვეყნებში დამატებითი მომსახურების სახეები, რომლებიც წარმოიშვებიან უეცარი ავადმყოფების, გაქურდვის, დოკუმენტების დაკარგვის და სხვა შემთხვევათა დროს. ყველაფერი ეს გაუთვალისწინებელ დანახარჯებს იწვევს. ამიტომ ხშირად, იმ ქვეყნებში, რომლებსაც არა აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები ტურისტების გამომგზავნ ქვეყნებთან გამოიყენება ადგილზე ტურისტების დაზღვევა, რაც უზრუნველყოფს გაუთვალისწინებელ შემთხვევათა გამო მიყენებული ზიანის კომპენსირებას.

ამრიგად, ნებისმიერი ტურისტული სააგენტოს წინაშე აუცილებლად წამოიჭრება რისკების მართვის პროცედურა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოიცავს ტურისტული ბაზრის შესწავლას; რისკის მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის დადგენას; რისკის მართვის საშუალებების, ილეტებისა და მეთოდების განსაზღვრას; რისკის დონის შემცირების პროგრამის შემუშავებას. გასათვალისწინებელია, რომ ყოველთვის შეიძლება მოიქცნოს გადაწყვეტილება, რომლელიც უზრუნველყოფს კომპრომისს მოსალოდნელ მოგებასა და დანაკარგების საშიშროებას (Ступаков, Токаренко, 2005:253).

ამრიგად, შეიძლება დაგასკვნათ, რომ ტურისტული ბიზნესსაქმიანობა მრავალ რისკთან, რისკ-ფაქტორთან არის დაკავშირებული და მათი გაცნობიერება, საკომპენსაციო ტაქტიკისა და სტრატეგიის მომზადება და ტურისტულ საქმიანობაში გათვალისწინება მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ტურისტული ბიზნესის განვითარებას.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Балдин К.В., Воробьев С.Н., Управление рисками, «Юнита-Дана», М., 2005, 511 с.
2. Ступанов В.С., Токаренко Г.С., Риск-менеджмент, «Финансы и статистика», М., 2005, 288 с.
3. <http://www.bishelp.ru//svoe delo/jtrust/Turizm/risk v tur. php>.

**Paata Chaganava**

### **Risk-Factors in Touristical Business**

#### **Summary**

In the article there are shown, that touristical business activity is connected with a lot of risks, risk-factors and their recognition, preparation of the compensatory tactic and strategy and usage in the touristical activity importantly defines the development of the touristical business.

**Паата Чаганава**

### **Риск – факторы в туристическом бизнесе**

#### **Р е з ю м е**

В статье показано, что туристическая деловая деятельность связана со многими рисками, риск-факторами и их осознание, подготовка компенсационной тактики и стратегии и использование в туристической деятельности в значительной степени опосредует развитие туристического бизнеса.

## ბესიკ ბოლქვაძე

### ზისპალური დაცვითა და კარატოშები:

ქვეყნის ეკონიმიკის ფუნქციონირების თანამედროვე ეტაპზე ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ და პრობლემურ საკითხეად თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მინიმალური დონის რეალისტური უზრუნველყოფის საკითხი განიხილება. დასმულ პრობლემას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორისაც მოიაზრება: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და შესაბამისი მოწყობის საკითხები; საბიუჯეტო პოლიტიკის სტრატეგიათა მუდმივი ცვლა ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების კუთხით; ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების განვითარების სტაბილური მოდელების არარსებობა და, შესაბამისად, მათი სტრუქტურის ოპტიმიზაციის შედარებით დაბალი დონე; საბიუჯეტო მონიტორინგის (როგორც ქმედითი საფინანსო მექანიზმის) სისუსტე; საფინანსო პოლიტიკის ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მდგრენელების შეუსაბამობანი. ზემოჩამოთვლილი ფაქტორები დღის წერიგში მწვავედ აყენებს საბიუჯეტო მდგრადობის, როგორც ფისკალური დაცენტრალიზაციის სისტემის ფორმირება-განვითარებისა და რეგულირების მექანიზმის, აქტუალობის საკითხეს.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფისკალური დაცენტრალიზაცია ფისკალური სისტემის რეგიონული მოწყობის ისეთი მოდელის შექმნას გულისხმობს, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ საბიუჯეტო შემოსავლებს. ამასთან, თვით ცნებები - „ფისკალური დაცენტრალიზაცია“ და „საბიუჯეტო ფედერალიზმი“ ეკონომიკურ მეცნიერებაში, როგორც წესი, იმისდა მიუხედავად გამოიყენება, თუ როგორი მოწყობისაა სახელმწიფო - ფედერაციული თუ უნიტარული (პაპავა, 2005:140). საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობის მაღალი ხარისხი მიიღწევა მხოლოდ თვითმმართველი საბიუჯეტო კრთეულების მიერ სახელმწიფოს საერთო საბიუჯეტო პოლიტიკისა და შესახამისი ეკონომიკური სტრატეგიის გათვალისწინებითა და მასთან შესაბამისობით, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს მხრიდან ლოკალური ეკონომიკური ინიციატივების გამოვლენისა და ხელშეწყობის ოპტიმალური სინთეზით. თანამედროვე საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების ამოსაგალ წერტილს რეგიონებისა და შესაბამისი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება და სოციალური დისპროპორციების განეიტრალიზა წარმოადგენს, რაც მაღალი საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალის მქონე სუბიექტების მიერ მისი გამოვლენისა და გამოყენების შემზღვეველი ფაქტორ-გარემოებაა, რაშიც ვლინდება საბიუჯეტო

პოლიტიკის სირთულე და ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემა.

ფისკალური სისტემის ჩარჩოებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ფლობენ კანონით მათთვის მინიჭებულ ექსპლუზიურ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს, რომელთა შესასრულებლად გადაწყვეტილ ფაქტორად თვითმმართველი რგოლების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი გამოდის, რადგან ფინანსური დამოუკიდებლობა (მეტ-ნაკლები ზომით) ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტიანი მუშაობისა და რეალური ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ფაქტორ-პირობაა. ფინანსების სფეროში თვითმმართველი ერთეულების ძირითად ექსპლუზიურ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება: ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა, დამტკიცება და შესრულების მიმღირებების ანგარიშის შეფასება, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება და ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება. ამასთან, მნიშვნელოვანია თვითმმართველობების დონეზე დელეგირებულმა უფლებამოსილებებმა არ დაარღვიოს სოციალური თანასწორობის პრინციპი, არ უნდა მოხდეს ასეთი უფლებამოსილებების და მათი დაფინანსების წყაროების (მიზნობრივი ტრანსფერების) დელეგირებულად გადაცემა სხვადასხვა (თუნდაც ტერიტორიულად ერთმანეთის ახლომდებარე) თვითმმართველობისათვის მკვეთრად დიფერენცირებულად. ამასთან, თითოეული დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების სრულყოფის მიზნით, ისინი გამაგრებული უნდა იყოს ხელისუფლების სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეებს შორის დელეგირების კონკრეტული ხელშეკრულებებით. ამასთან, გათანაბრებითი ტრანსფერის მექანიზმისა და დაფინანსებისათვის საჭირო პარამეტრების ფორმირება თავისთავად საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი პოზიტიური ნიშანია, თუმცა ეფექტიან სატრანსფერო პოლიტიკად მისი ტრანსფორმირებისათვის აუცილებელია გაანგარიშების სტატისტიკურ მაჩვენებლებში ისეთი ფაქტორ-პარამეტრების ჩართვა, რომელიც გაითვალისწინებს ლოკალურ სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს და, ადგილობრივი საბიუჯეტო პოლიტიკისა და სახელმწიფო სატრანსფერო პოლიტიკის გონივრული თანხვედრის პირობებში, სრულყოფილს გახდის ლოკალური საზოგადოებრივი დოკუმენტის ფორმირებას და მაქსიმალურად დააზღვეს თვითმმართველობების ბიუჯეტებს ტრანსფერების არაობიექტურად განაწილებისაგან.

თვითმმართველობების ფუნქციონირების უცხოური გამოცდილება ცხადყოფს, რომ ლოკალურ-ადგილობრივ დონეებზე სოციალურ-კულტურული და საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ხარისხი არსებითად ორ ფაქტორზე და მათ ურთიერთიერთკავშირზეა დამოკიდებული. ესენია: 1. ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის სტრუქტურების არსებობა, რაც უნდა გამოვლინდეს მათ უნარში, განახორციელონ ფართო უფლებამოსილებანი და პქონდეთ

შესაბამისი პასუხისმგებლობა; 2. საკუთარი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი საფინანსო-საბიუჯეტო რესურსების მობილიზება, რაც უნდა აისახოს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობაში (Quigley, Smolensky, 1994:128-129). ამდენად, თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო მდგრადობა სრულებითაც არ წარმოადგენს თვითმიზანს, რამდენადაც ლოკალურ-ტერიტორიული მნიშვნელობის პრობლემების მოუგავრებლობა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება არგუმენტირებული იყოს, როგორც არაეფექტურიანი ფინანსური რეგულირების მექანიზმის, ასევე მართვის მოუქნელი სტრუქტურების არსებობით.

აქვე მიზანშეწონილია იმის აღნიშვნაც, რომ თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო ციკლის ეფექტიან განხორციელებას განსაზღვრავს არა მხოლოდ საბიუჯეტო მდგრადობა, არამედ თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიზნობრიობა (მისი შედგენა-დამტკიცების პროცესში საბიუჯეტო კანონმდებლობის გათვალისწინება) და ხარჯვითი მიზნობრიობა (დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად საბიუჯეტო რესურსების სწორი „გადამისამართება“). როგორც საერთო საბიუჯეტო, ისე ხარჯვითი მიზნობრიობა კი უნდა განიხილებოდეს ეფექტურიანი და კომპლექსური (ფორმალურ-სამართლებრივი და სამოქალაქო-არაფორმალური) საბიუჯეტო კონტროლის მექანიზმის ძირითად ობიექტად.

შევნიშნავთ, რომ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების საკუთარი შემოსავლების ხევდითი წონა ქვეყნის კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში ბოლო წლებში ხასიათდება მკვეთრი შემცირების ტენდენციით და საშუალოდ 13-14 პროცენტს შეადგენს, შედეგად კი ტერიტორიული ერთეულების განვითარება ატარებს ფაქტობრივად ფორმალურ ხასიათს, რაც ტრანსფერების მოქმედი ინსტიტუტის გამოყენების პირობებშიც კი იწვევს რეგიონების ეკონომიკური გამოთანაბრების შენელებას (კაკულია, 2007:51). ქვეყნის თვითმმართველობების აბსოლუტურ უმრავლესობას თანამდროვე ეტაპზე არ გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელებისათვის აუცილებელი და საჭირო შემოსულობები. ადგილობრივ ბაზაზე ფორმირებულ საკუთარი შემოსავლები (თუ არ გავითვალისწინებთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ გათანაბრებით ტრანსფერს) ვერ ფარავს ექსკლუზიური უფლებამოსილებების შესაბამისი ღონისძიებებისა და პროგრამების (აუცილებელი ხარჯების) დაფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც კიდევ უფრო მწვავედ აუზნებს ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის ამოცანას. ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემაზე უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ საზოგადოებრივი დანახარჯების დაფინანსების სამთავრობო წილი ცენტრალურ დონეზე შეადგენს განვითარებადი ქვეყნებისათვის

საშუალოდ 89 პროცენტს, ხოლო განვითარებული ქვეყნებისათვის შესაბამისად – 65 პროცენტს (Quigley, Smolensky, 1994:149).

ფისკალური დეცენტრალიზაციის პროცესების განხილვის ფონზე რეგიონების და ოკითმმართველობების საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედება უნდა განვიხილოთ, როგორც კომპლექსური პროცესი, რომელიც საჭიროებს განვითარების აღილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ მდგრელებს შორის სწორი ბალანსის დაცვას. ნებისმიერი თვითმმართველი ერთეულის მდგრადი და თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელია იგი ფლობდეს აუცილებელ ფინანსურ რესურსებს და განკარგავდეს საჭირო ქონებას, რაც მისი საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისა და გამოყენების წინაპირობაა. ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური უზრუნველყოფა (მინიმალურ დონეზე) შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტების აუცილებელი ხარჯების დაფინანსებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების არსებობის პირობებში, რათა მან შეძლოს ექსპლუზიური ფუნქციებით განსაზღვრული მომსახურების ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობა, რისთვისაც თვითმმართველობების ბიუჯეტები უნდა ფლობდნენ საკმარის საკუთარ შემოსულობებს.

დაბოლოს, ფისკალური სისტემის ეფექტიან მუშაობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონალური თავისუფლების ხარისხი, რომელშიც უნდა გავიგონოთ სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და ორგანიზაციული ასპექტების (საფუძვლების) მთლიანობა (ალფაიდე, ზაუტაშვილი, 2008:33). კერძოდ, სამართლებრივი საფუძველი ორიგენტირებული უნდა იყოს ადგილობრივ დონეზე საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფის აუცილებლობაზე, ურომლისოდაც ვერ მიიღწევა თვითმმართველობის ეფექტიანი განხორციელება. ეკონომიკური საფუძველი მოიცავს მუნიციპალური ქონების განკარგვისა და გამოყენების პირობებსა და წინაპირობებს. ფინანსური საფუძველი თვითმმართველობების დონეზე დასმული პრობლემებისა და შესასრულებელი ამოცანების ფინანსური უზრუნველყოფის და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის საბიუჯეტო უფლებამოსილებების განმსაზღვრული მექანიზმია, რაც უკანასკნელი მათვანის მაქსიმალური ამპლიტუდით ფინანსური რესურსებით დაგმაყოფილებას გულისხმობს. ორგანიზაციული საფუძველი კი ზემოაღნიშნული ასპექტების კოორდინაციისა და რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის ფორმირებასა და გამოყენებას ისახავს მიზნად. ამდენად, მიგვაჩნია, რომ გონივრული ფისკალური დეცენტრალიზაცია, ხსენებული ასპექტების კოორდინირებული შეჯერებით გამოყენების პირობებში, უნდა უზრუნველყოფდეს ცალკეული თვითმმართველობების დონეზე ლოკალურ-ტერიტორიული პრობლემების ყველაზე ეფექტიანი გზებით გადაწყვეტის ამოცანას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ალფაიძე, დ. ზაუტაშვილი, მუნიციპალური მართვა, მუნიციპალური წარმონაქმის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა, ქუთაისი, „მბბ-პოლიგრაფი”, 2008, 99 გვ.
2. ლ. ბახტაძე, გარდამავალი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები, თბილისი, „დარბეგი”, 2009, 155 გვ.
3. თ. გამსახურდია, საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2003, 286 გვ.
4. დ. გიორგელიძე, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები, თბილისი, „საქართველოს მაცნე”, 2003, 207 გვ.
5. რ. ქაგულია, ფინანსური ეკონომიკა, თბილისი, „ვერქე”, 2007, 284 გვ.
6. ი. მესხია, კ. გაბელაშვილი, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, თბილისი, „ინფორმაცია”, 2010, 231 გვ.
7. რ. ოთინაშვილი, ეკონომიკური უსაფრთხოება, თბილისი, 2005, 440 გვ.
8. კ. პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2005, 326 გვ.
9. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თბილისი, „ბონა კაუზა”, 2010, 92 გვ.
10. ა. ჯიბუტი, რ. კაგულია, ლ. ბახტაძე, საჯარო ფინანსები, თბილისი, „დარბეგი”, 2009, 416 გვ.
11. Modern Public Finance. Edited by J.M. Quigley and E.Smolensky. Cambridge, „Harvard University Press”, 1994, 352 p.
12. Грицюк Т.В., Фискальный федерализм и межбюджетные отношения, Москва, „Финансы и статистика”, 2004, 486 с.
13. Занадворов В.С., Колосницаина М.Г., Экономическая теория государственных финансов, Москва, ГУ ВШЕ, 2006, 391 с.
14. Улюкаев А.В., Проблемы государственной бюджетной политики, Москва, „Дело”, 2004, 543 с.

**Besik Bolkvadze**

### Fiscal Decentralization: Paradigm and Paradoxes

#### Summary

The factors, which create barriers of decentralization policy in the country are studied in the article and it is proved that the high quality of the budget policy success depends from one side on self-governing budget items in accordance with the general state budget policy, and from the other side by the optimal synthesis of the state-provided local economic initiatives. The activation of regional and self-governing financial-economic potential is researched as a complex process that

needs the direct balance safety of the development of local, regional and central compiling parts.

It is underlined in the work that solving of local-territorial importance problems of self –governing item levels can be argued in every specific situation as both of the stiffness of management structures and the existence of efficient action of financial regulations. It is also shown that unit weight of self-governed units budget in the structures of country's consolidated budget is characterized by clear decreasing tendency according to the last years data and as the result, the development of territorial units has actually formal character, which causes delay of regional economic development in conditions of using of acting transfer institution.

The author develops the idea that the fiscal system's efficient work as the unity of legislative, economic, financial and organizational is defined by functionally free quality of self-government bodies, he concludes that the fiscal decentralization in conditions of coordinated use must provide the decision of the problems at the levels of the separate self-governments.

## **Бесик Болквадзе**

### **Фискальная децентрализация: парадигма и парадоксы**

#### **Резюме**

В труде изучены препятствующие факторы фискальной децентрализации страны и обосновано, что высокий уровень в эффективности бюджетной политики можно достичь, с одной стороны, единицами бюджетного самоуправления соответственно с общей бюджетной политикой государства, а с другой - проявление локальных экономических инициатив со стороны государства и синтез оптимальной поддержки. Выявлено действие финансово-экономического потенциала регионов и самоуправлений, как комплексный процесс, которому необходимо местное развитие между региональными и центральными установками защиты правильного баланса.

В труде подчеркнуто, что не наложенные проблемы локально-территориального значения на уровне единиц самоуправления, в каждой конкретной ситуации могут быть аргументированы, как негибкость структур управления, так и наличие неэффективного механизма финансового регулирования. Так же показано, что удельный вес собственных доходов бюджетов единиц самоуправления в структуру доходов консолидированного бюджета в последнее время характеризуется как тенденцией острого сокращения, в итоге чего развитие территориальных единиц проводит фактически формальный характер, который в условиях использования

действующего института приводит к замедлению экономического равенства регионов

Автор развивает мысль о том, что свободное функциональное качество органов самоуправления положительно определяет эффективную работу фискальной системы, как целостность правовых, экономических, финансовых и организационных аспектов и делает вывод, что фискальная децентрализация в условиях использования координированных отмеченных аспектов, должна обеспечивать на уровне отдельных самоуправлений, решением существующих проблем самыми эффективными способами.

## გურამ ჩაგანავა

### პიროვნების ცნობილების ორთოგენეტიკური განვითარება და ფსიქიკური აქტივობები

ადამიანის ცნობიერება მარტივი განმარტებით შეიძლება განვიხილოთ, როგორც პიროვნების მიერ საკუთარი ფსიქიკური, სოციალური და ფენომენოლოგიური სივრცის დაუფლებულობის, წარმართვის, კონტროლის, გამოყენებისა და შეფასების შესაძლებლობა. უფრო მოკლედ „ცნობიერება (Consciousness) შინაგანი მოვლენებისა და გარემო პირობების ცნობიერებად აღქმის მდგომარეობაა (გაცნობიერება)“ (ბერინგი, ზიმბარდო, 2009:189), ხოლო თვითცნობიერება (self-awareness)- ცნობიერების უმაღლესი დონეა, პიროვნულად განცდილი მოვლენების ავტობიოგრაფიული ხასიათის შემცნება“ (ბერინგი, ზიმბარდო, 2009:189) არის. ღრმა განცდა ამავე დროს არის ღრმა ცნობიერების გამოვლენა, როდესაც „უველა“ ფსიქიკური პროცესი ცნობიერდება, ანალიზდება და ადამიანს წარმოეშვება „მეორე მე“, რომელიც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს მისთვის ვიდრე საკუთარი მეობა. ეს მეორე მე, არ არის ერთ-ერთი იმ „მე“-ებისა, რომლებიც ადამიანს სხვადასხვა რეფერენტულ ჯგუფში მონაწილეობის გამო წარმოეშვება (მე სპორტსმენი, მე მშობელი, მე მმაკაცი, მე პროფესიონალი და ა.შ.), არა ეს არის ისეთი ემოციური - ცნობიერი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ სინდისტან, უფრო სწორად სინდისის ქეჯნასთან იქნეს გაიგივებული, მაგრამ სინამდვილეში ეს მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, რადგან გასხივოსნებასთან, გაცნობიერებასთან, გააზრებასთან არის დაკავშირებული, რაც გაბრძენებულობასთან ასოციაციას იწვევს და მისი ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება ვაჟა ფშაველას მინდიასეული ცოდვის ჩადენის ტოლფასი მდგომარეობის ანარეკლი იყოს (ჩაგანავა, 2004:25-32). ამიტომ ვფიქრობთ გაუმართლებელია „მეორე მე“-ს ფრთიდისეულ ქვეცნობიერთან ანდა ზეცნობიერთან გაიგივება, რადგან ის უფრო მეტად გვერდით მდგომ ფენომენოლოგიურ სტრუქტურასთან, საკუთარი ცნობიერების პარალელურ, პორიზონტალურ სიბრტყეზე განლაგებულად და ამწყოში არსებულად განიცდება. ის არ არის იმპერატიული, როგორც ეს ზეცნობიერია და არც მის მსგავსად ცივი, ოუმცა ქცევის შინაგანი მარეგულირებლობის ფუნქცია მასაც გააჩნია. ამავე დროს „მეორე მეს“ ნაწილობრივ სიამოვნებასთან დაკავშირებული ფონიც აქვს, რითაც ის უმჯობეს

ემსგავსება ფროიდისეულ „ქვეცნობიერს“, მაგრამ ეს სიამოგნების განცდა სხეულებრივი სიამოგნების მიღებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ ინტენსიური აზროვნების ანდა სოციალური აქტივობის შედეგად მიღებულ სიამოგნებასთან არის დაკავშირებული და ამიტომ, ბუნებრივია, არანაირად არ შეიძლება გაიგივდეს ქვეცნობიერთან.

### დაბადებიდან 2,5 – 3 წლამდე ასაკის ბავშვის ფსიქიკის თავისებურებები

აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ონტოგენეტიკურ ჭრილში პიროვნების ცნობიერება განსხვავებული იქნება და მასთან დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობებიც აგრეთვე ერთგვაროვანი არ შეიძლება იყოს. დაბადებიდან ბავშვი, ძირითადად, როგორც ფსიქიკური არსება, ყალიბდება. „ყოველი ბავშვი ქმნის შინაგანი მოდელების ერთობლიობას, ანუ სამყაროზე, საკუთარ თავზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების წარმოდგენებისა და დასკვნების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით იფილტრება მთლიანად მომავალი გამოცდილება (ნი, 2004:33). უკვე ორი–სამი თვის ასაკში წყდება ბიოლოგიური თანდაყოლილი რეფლექსების გამოვლინებები და ბავშვის ქცევის წამყვანი მაჩვენებელია ეწ. ტაცებითი მოქმედება, რომელსაც არავითარი ბიოლოგიური მიზანშეწონილობა არ ახასიათებს და ის რეალურად ადამიანთა საზოგადოებაში არსებული ფსიქოსოციალური, ფენომენოლოგიური კონსტრუქტების დაუფლებას უზრუნველყოფს. ფორმალური თვალსაზრისით, რადგან ბავშვი ცდილობს ყველაფერს ხელი სტაცის და პირისაკენ მისცეს მიმართულება, ფროიდის განმარტებით (Фрейд, 2003:256) აქ ორალურ (პირის) ფაზასთან გვაქს საქმე. ამავე დროს, ისევ ფროიდის მიხედვით ეს ფაზა კანიბალისტური ტენდენციის გამოვლენის მაჩვენებლად არის მიხეული (Фрейд, 2003:250) რადგან, როგორც ჩანს, ბავშვი, გენეტიკურად იმეორებს კანიბალისტურ ტენდენციას, რომელსაც წინ უსწრებდა საკუთარი სახეობის შენარჩუნების შემაკავებელი შექანიზების (Лоренц, 1970:210) ანუ ინსტინქტის უკუგდება და ყველაფრის საკუთარი ეგოისტური ტენდენციებისათვის დამორჩილება. მაგრამ ბუნებრივია, რომ რადგან ბავშვს მისი სისუსტის გამო ყველაფრის კანიბალისტური შთანთქმის შესაძლებლობა არა აქვს, მისი უკიდურესად ეგოისტური ტენდენცია (ნი, 2004:272) ანუ მისი ფილოგენეტიკური ტენდენცია რეალურად ტრანსფორმირდება ფსიქოლოგიური კონსტრუქტების ხარბ დაუფლებაში.

დადასტურებულია, რომ ბავშვს თანდაყოლილი აქვს ჩაჭიდების რეფლექსი–როდესაც ხელისგულთან შეხება იწვევს ტაცების რეაქციას (მუხინა, 1989:66), რომელიც ცუდად კოორდინირებული დარტყმებია საგნებზე და ორი თვის ასაკისათვის ეს რეფლექსი იკარგება (Шეფერ, 2003:244). სამაგიეროდ სამი თვის ასაკში მოქმედებას

იწყებს საკუთარი ნების შესაბამისად ობიექტისადმი მოძრაობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბავშვები ხელებს წინ სწევენ საინტერესო ობიექტის მიმართულებით და მოძრაობის შესაბამისად შეაქვთ კორექტივები საკუთარ მოქმედებაში (შეფხერ, 2003:244). „ამ რიგის მოძრაობით აქტივობას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ამის საშუალებით ბავშვი იძენს მთელ რიგ აუცილებელ მოძრაობით ჩვევებს“... „ჩვილობის ასაკის განმავლობაში იცვლება ბავშვის ფსიქიკური აქტივობის ხასიათი. წარმოიქმნება წინასწარგანზრახული მოქმედებისაგან ტენდენცია... ჩვილს შეუძლია მოძრაობები წ ი ნ ა ს წ ა რ - გ ა ნ ზ რ ა ხ უ ლ ა დ გაიმეოროს იმისათვის, რომ დაინახოს ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ცვლილებები გარემომცველ გარემოში (პეტროვსკი, 1977:49).

ტაცების აქტოან დაკავშირებით დ. უზნაძე წერს: „განსაკუთრებით საგულისხმო აქ ის არის, რომ ეს ტენდენცია პირთან მიტანისა და მოწოვის აქტში პოულობს დაკმაყოფილებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ის პრიმიტიული, ის ერთადერთი ფორმაა დაუფლებისა, რომელიც პირველ რიგში, ცხოველებისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც თავის საბოლოო განხორციელებას ჭამის აქტში პოულობს. როგორც ჩანს, იგი ადამიანის ცხოვრების პირველ საფეხურზე ჯერ კიდევ საკმაოდ წმინდა სახითაა დაცული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც ზრდადასრულებულის, კულტურული ადამიანისთვისაა იგი სულ უცხო: არის შემთხვევები, რომ განსაკუთრებით ძლიერი დაუფლების სურვილი ქადაგის ან შეჭმის ყრუ ტენდენციის სახით იჩენს თავს, რის სიმბოლურ ნაშთსაც, მაგ., კოცნა წარმოადგენს“ (უზნაძე, 1967:91).

დ.უზნაძის ამ ციტატაში უურადღებას იქცევს ის დებულება, რომლის მიხედვით ტაცების ტენდენცია მას პრიმიტიული დაუფლების ფორმად მარჩნია, რაც კარგად შეესატყვისება პრიმიტიული აპროპრიაციის ტენდენციის შესახებ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მიკუთხნებითი, დასაკუთრებითი, მითვისებითი, დაუფლებითი ტენდენცია თავისი გამოვლინებების სახესხვაობებით განაპირობებს ცოცხალი არსებების სიცოცხლისუნარიანობას (ჩაგანავა, 2009:112–132). აქვე საყურადღებოა დ.უზნაძის მიერ მოკვანილი მაგალითები ზრდასრული ადამიანების ძლიერი დაუფლების სურვილის შესახებ, რაც, კანიბალისტურ ტენდენციებთან ამჟღავნებს სიახლოვეს (ჩაგანავა, 2009:132).

შემდგა დ.უზნაძე აგრძელებს: „ტაცების პერიოდში, რომელიც ჩვეულებრივ, განსაკუთრებით მეხუთესა და მეექვეს თვეებს ახასიათებს, ბავშვი თვითონ ხდება თავისი მოძრაობების წარმართველი. შეიძლება გვეთქვა, რომ იგი თავის ქცევის ნამდვილ ს უ ბ ი ე ქ - ბ ა დ იქცევა (ბერნფელდი და შ.ბიულერი). ეს პირველი ჩანასახია ადამიანის „მე“-სი, პირველი ჩანასახია იმ სპეციფიკური ადამიანური ძალის ე.წ. ნებისყოფისა, რომელიც შესაძლებლობას ქმნის ჩვენი ქცევა შინაგან თუ გარეგან გამდიზიანებელთა შემთხვევითი ზეგავ-

ლენით კი არა, შეგნებულის, წინასწარ გაზომილი განზრახვით განისაზღვროს” (უზნაძე, 1967:95–96). ამრიგად ყველა ზემოთ დასახელებული ფსიქოლოგი ერთხმად ადასტურებს ნებისყოფითი ქცევის მარტივი ფორმის არსებობას ჩვილი ბავშვის აქტივობაში, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ნებისყოფითი აქტივობის თავისებური გამოვლენა იმავე პერიოდში ვიგულისხმოთ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ტაცების პროცესის დახასიათებისას მიუთითებენ, რომ ეს აქტივობა ბუნებრივია და აუცილებელი, რადგან ის ეხმარება ბავშვს სამყაროს შექმნებაში და ის პირველად შედის ფართო სოციალურ ურთიერთობებში (Шეფხერ, 2003:246).

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ აქ მართლაც საქმე გვაქვს ნებისყოფითი ქცევის მაგვარ მოქმედებასთან. მაგრამ, აუცილებლად უნდა იყოს გარკვეული სახელდობრ ნებისყოფითი ქცევის რომელ ეტაპს შეესატყვისება ჩვილი ბაშვის მიზანდასახული მოქმედება, საკუთარი ნებისადმი დამორჩილებული მოქმედება, უბრალოდ ნებისყოფითი მოქმედება.

უდავოა, რომ ბავშვს ამ ასაკში არა აქვს ობიექტივაციის უნარი და მას არ შეუძლია ესა თუ ის საგანი მსჯელობის ობიექტად აქციოს, ანუ გამორიცხულია ამ ასაკში მოტივთა ბრძოლის პერიოდის დადასტურება. ამისათვის საჭირო აზროვნების განუვითარებლობის გამო, ჩვილობის პერიოდში მაინც.

ასევე შეუძლებელია ამ პერიოდში გადაწყვეტილების მიღების პერიოდის დადასტურება, როდესაც, ჯერ ერთი, მოტივთა ბრძოლა უნდა უძღვოდეს წინ და შემდეგ კი მეტყველება შესატყვისად უნდა იყოს განვითარებული, რათა გადაწყვეტილების მიღების საშუალება ქონდეს ბავშვს. ბუნებრივია, ყოველი ზემოთქმულის გამო არც გადაწყვეტილების განხორციელების შესაძლებლობა ექნება ბავშვს, ვინაიდან მას გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არა აქვს, ის ვერც გადაწყვეტილების განხორციელებას შესძლებს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინ არის მომავალზე გათვალისწინებული, მიზანმიმართული მოქმედება, რომელიც ამიტომ ძალიან წააგავს ნებისყოფით მოქმედებას ჩვენ ასეთ მოქმედებას ვერ გუკავშირებთ ნებისყოფითი ქცევის ვერც ერთ პერიოდს. ამასთან დაკავშირებით დ. უზნაძე ამბობს: ბავშვის ქცევას, რომ დააკვირდეთ, როდესაც ის ფქნებს სწავლობს, იძულებული იქნებით იფიქროთ, რომ ნამდვილს ნებისმიერ ქცევასთან გაქვს საქმე-ისე დიდია ბავშვის დაძაბულობა და ისე მიზანმიმართულია მთელი მისი ქცევა. ნამდვილად, რასაკვირველია, ნებისმიერ ქცევაზე ლაპარაკი ჯერჯერობით სრულიად უადგილოა. ნებელობის როლს ამ შემთხვევაში ის იმპულსი ასრულებს, რომელიც თანმობილი ფუნქციის მომწიფების სწრაფვიდან გამომდინარეობს”(უზნაძე, 1964:236).

ამ სირთულის დასაძლევად ჩვენ უნდა მივმართოთ პოსტნების-ყოფითი ქცევის ცნებას (ჩაგანავა, 2010:158-159). დ.უზნაძის მიხედვით

„იმპულსური ქცევის შემთხვევაში... ქცევის ძირითადი წყარო მოთხოვნილებაა; გაჩნდება თუ არა მოთხოვნილება (წყურვილი) სუბიექტი სწორედ შესაფერ ქცევას მიმართავს (მიღის და სვამს წყალს). იმპულსური ქცევა აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით იწყება და მისი დაკმაყოფილების აქტით-მოხმარების აქტით-სრულდება“ (უზნაძე, 1964:180).

იმპულსური ქცევის ეს დახასიათება, რა თქმა უნდა, არანაირად არ მიესადაგება ეწ. ტაცებით მოქმედებას, რადგან იმპულსურ ქცევას მიზანშეწონილობა ახასიათებს, მაგრამ, როდესაც დანაყრებული ოთხი თვის ბავშვი ნებისმიერ საგანს პირისკენ მიაქანებს, ჩვენ, ბუნებრივია, ვერ ვიტყვით, რომ მას საჭმელის მოთხოვნილება აქვს და რომ ამ შემთხვევაში ის მიზანშეწონილად მოქმედებს. ამრიგად, ბავშვის ტაცებითი მოქმედება არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით ცოცხალ ორგანიზმებს ახასიათებს: ერთი-მიზანშეწონილი ქცევა და მეორე-მოთხოვნილება“ (უზნაძე, 1964:180).

მაგრამ, თუ ჩვენ ფორმალურად მივუდგებით ტაცებით მოქმედებს, მაშინ გამოვა, რომ ის არც ნებისყოფით აქტისადმი წარდგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. დ.უზნაძე წერს „ჩვენ შესაძლებლობა გვექლევა, ნებელობის აქტის სპეციფიკურ თვისებებზე ვილაპარაკოთ. ე.ი. ისეთ ნიშნებზე, რომლითაც იგი აქტიობის დანარჩენი სახეებისაგან განსხვავდება. ეს ნიშნები შემდეგია: 1) ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი არასდროს მოქმედებას არ იწვევს: ნებისმიერი ქცევა არასდროს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს არ ეყრდნობა; 2) ნებელობის შემთხვევაში აქტივობის პროცესში შემავალი მომენტების, მე-ს და ქცევის ობიექტივაცია ხდება; მე თავის ქცევას უპირისპირდება, 3) ნებისმიერი ქცევა აწმყოში მიმდინარე ქცევა კი არაა, იგი მომავალი ქცევაა: ნებელობა პროსპექტულია, 4) ეს მომავალი ქცევა მე-ს მიერ ითვალისწინება წინასწარ და მისი რეალიზაცია სავსებით მეზეა დამოკიდებული: ნებელობა მთლიანად მე-ს აქტიობად განიცდება“ (უზნაძე, 1964:180–181).

ნებისყოფითი ქცევის ზემოთ მოყვანილი ნიშნების არსის განხილვა ტაცებითი ქცევის მიმართ კი შემდეგ სურათს იძლევა: 1. ტაცებითი აქტიობა ჩვეულებრივ ბავშვს მაშინ უვითარდება, როდესაც მას დაკმაყოფილებული აქვს მისი ვიტალური მოთხოვნილებები. ეს კი ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით ტაცებითი აქტიობა აკმაყოფილების ნებისყოფითი ქცევისადმი წარდგენილ პირველ მოთხოვნას, რადგან ამ შემთხვევაში ისევე როგორც ნებელობითი აქტიობის დროს იმპულსური აქტიობის გამოვლენას არა აქვს ადგილი ანუ არ მოქმედებს არანაირი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი.

„ნებისმიერი ქცევის მოწესრიგებული მიზანშეწონილობა“ (უზნაძე, 1964:185) ტაცებით აქტიობასთან მიმართებაში, გარეგნულად, ზედაპირულად ტოვებს შტაბეჭდილებას, რომ ის არის მოუწესრიგებელი და არამიზანშეწონილი ამჟამად, თუმცა კი პროსპექტული თვალსაზ-

რისით კი აქ აშკარად მოწესრიგებულ ქცევასთან გვაქვს საქმე. ზუსტად ეს იწვევს უდიდეს გაკვირვებას და მისი ახსნა შეუძლებელია იმის გარეშე, რომ, როგორც ჩანს, ნებისყოფითი ქცევის ჩამოყალიბებას წინ უძღვის მისი რაღაც ნასახების მემკვიდრეობით მიღება.

2. ობიექტივაციის არსის ინტერპრეტაცია „სუბიექტი და მისი ქცევა, მისი მოქმედება დაპირისპირებული არიან ერთიერთს, სუბიექტი მოქმედებაში კი არ არის მოცემული, არამედ მოქმედების გარეშე: შენს თავს ცალკე განიცდი, და შენს მოქმედებას კიდევ—თუთუნს მოწევას, ზეზე ადგომას, ობიექტური ჰეშმარიტების სამსახურს, შენს გეგმას სრულიად ცალკე (უზნაძე, 1964:178) გვაძლევს დავასკნათ, რომ ობიექტივაცია ადამიანისათვის მიმდინარე პროცესების დროებით შეჩერებაშია სუბიექტი მოქმედებაში კი არ არის მოცემული, არამედ მოქმედების გარეშე“. დ.უზნაძის ეს სიტყვები ბუნებრივი თანაბრად ვრცელდება მოქმედებაზე (თუთუნის მოწევა, ზეზე ადგომა და სხვა), აქ არის ერთი თავისებურებად. უზნაძე ერთად უყრის თავს იმპულსურად გამხდარ მოქმედებას — თუთუნის მოწევას და სავარაუდო ნებისყოფით მოქმედებას ზეზე ადგომას, რომლებიც ინტელექტუალური განხილვის დროს (ობიექტივაციის დროს), სანამ მიზანშეწონილობის შესაბამისად არ შეფასდებიან მათი შემდგომი დირებულების განსაზღვრამდე სასტარტოდ თანაბარი დირებულება აქვთ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავიდანვე, პრობლემის წარმომქმნელი აქ არის თუთუნის მოწევა (იმპულსური ქცევა) და არა (ზეზე ადგომა) ნებისყოფითი ქცევა იმპულსურთან (ლოგინში ნებივრობასთან) დაპირისპირებით, ეს კი გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოდ, რომ ობიექტივაციის მიზანი არის თვითდარწმუნება იმპულსური ქცევის უკუსაგდებლად და მის დასაძლევად. მაგრამ როგორც ვიცით, ტაცებითი აქტიობა მაშინ იწყებს გამოვლენას, როდესაც გარემოსთან ინსტინქტური ტენდენციები და მათ შორის ტაცების ინსტანქტური ანალოგიაც კი (ჩაჭიდების რეფლექსი) უკუდებულია, ბიოლოგიური მოთხოვნილებები (ჭამის, სმის, სითბოს, ჰაერის, სანიტარული) და კამაყოფილებულია (ამ დროისათვის დაძლევლია) და ამიტომ ტაცების პერიოდს განიხილავენ, როგორც სოციალურ ურთიერთობათა და დირებულებათა დაუფლების ტენდენციას (შეფხერ, 2003: ).

აქედან გამომდინარე კი ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ სოციალურ დირებულებათა დაუფლების მიზანშეწონილი ძლიერი ნებისყოფითი ქცევა გვაქვს. „ ექსპერიმენტულად დასაბუთებულ ფაქტს ნებისმიერი ქცევის მოწევა გვაქვს“ (უზნაძე, 1964:185).

აქვე აღსანიშნავია, რომ ტაცებითი აქტიობა გარე დამკვირველისათვის დიდად არაფრით განსხვავდება იმპულსური ქცევისაგან. ოდონდ იმპულსურ ქცევას ბიოლოგიური მიზანშეწონილობა ახასიათებს, ხოლო ტაცებით აქტიობას ასეთი რამ არ ახასიათებს, ხოლო ნებისყოფითი მიზანშეწონილობის შესახებ ჩვენ ვმსჯელობთ, თორემ

ოთხი თუ ხუთი თვის ბავშვს, რა თქმა უნდა უნდა, ასეთი განცდა სულაც არა აქვს. ის უბრალოდ, კაცობრიობის განვითარების ფილოგენეტიკურ ტენდენციას ავლენს, რომელიც ინსტინქტური ბუნების ტენდენციების დაძლევაში და სოციალურად გამართლებული დირებულებებისა და ქცევითი კონსტრუქციების შეთვისებაში გამოიხატება.

მაგრამ ამავე დროს ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. დაკვირვება კარგად გვიჩვენებს, რომ ბავშვი ძალიან დიდი მონდომებით, დიდი ძალისხმევით ახორციელებს ტაცებით აქტებს და ეს აქტები უმთავრესად პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხელმისაწვდომ საგნებთან და მოვლენებთან ურთიერთობებში ვლინდებიან. ეს კი ნიშნავს, რომ აქ ბავშვს ნებავს ასეთი მოქმედების განხორციელება, მას შეუძლია განახორციელოს ის „თუ ჩვენთვის რამე ძალიან ძნელი შესასრულებელი, ანდა სრულად შეუსრულებელი, მაშინ ჩვენ კი არ გ ვ ნ ე ბ ა ვ ს ეს, არამედ გვსურს ან გ ვ წ ა დ ი ა (Желание, Wunsch). ნებელობა მხოლოდ იმას ეცება, რისი შესრულებაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული (უზნაძე, 1964:184).

ამრიგად, აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ისეთ ნებისყოფით მოქმედებაზე, რომელიც გარეგნულად ძალიან წააგავს იმპულსურ მოქმედებას. „ნებისმიერ ქცევას საფუძვლად გარკვეული განწყობა ედება. მაგრამ იმპულსურ ქცევასაც ხომ განწყობა უდევს საფუძლად! მაშინ რადა განსხვავებაა მასსა და ნებისმიერ ქცევას შორის“ (უზნაძე, 1964:216). უფრო მეტიც დ.უზნაძე თვლის, რომ ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში გადაწყვეტილების რეალიზაციის დროს „ეს ქცევა ისეთია, რომ ყოველთვის შესაძლოა, იგი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსითაც იქნეს გამოწვეული; თვითონ ქცევის შინაარსს და აგებულებას არაფერში არ ეტყობა, ნებისმიერია იგი თუ იმპულსური. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ნამდვილს ნებისმიერ ქცევას ყოველთვის თან ახლავს ერთგვარი განცდა, რომ ამის გაკეთება შეგვიძლია არ გვიძლია, რომ ამის შესრულება ჩვენს ხელთაა“ (უზნაძე, 1964:180).

მართალია, ჩვენ არ ვიცით, თუ რას განიცდის ოთხი თვის ბავშვი, როდესაც ტაცებით აქტიობას ახორციელებს, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ კმაყოფილია ბავშვი, თუ რა მონდომებითა და ენერგიით ახორციელებს ის ბიოლოგიური თვალსაზრისით ამ ყოვლად მიზანშეუწონელ მოქმედებას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ნამდვილად „მე“-ს აქტიობის დროს არსებული განცდების მაგვარ (და არა იდენტურ) განცდებთან უნდა გვქონდეს საქმე.

ამავე დროს, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ დიფერენცირებას რომელიც ამ შემთხვევაში არსებობს დ.უზნაძის შესაბამისად. ის წერს: „ნებელობის აქტში სუბიექტი თ ვ ი თ ა ქ ტ ი ო ბ ა ს გრძნობს. ეს განცდა ძალიან თავისებური სახით გვეძლევა. როგორც ვიცით, მისი ადეკვატური დახასიათება ასე შეიძლებოდა: „ახლა მე

ნამდვილად მინდა“. აქ რამოდენიმე მომენტია ერთდროულად მოცემული, და ამ თავისებურ განცდას ყველა ეს მომენტები ერთად ახასიათებენ: ჯერ განცდა, „მე“-ა აქ აქტიური, რომ „მე“-ს უნდა. მერე მეორე განცდა, რომ მას ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ უნდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტისთვის ისეთი განცდაცაა ცნობილი, რომელშიც მას მხოლოდ უნდა და არა ნამდვილად უნდა. ნებელობის აქტში ნდომის ეს ნ ა მ დ ვ ი ლ ო ბ ა ბ ხაზგასმული. დასასრულ, მესამე მომენტი ასეთია: სუბიექტი გრძნობს, რომ აი, ა ხ ლ ა მას უკვე ნამდვილად უნდა. იგი თითქოს ადასტურებს, რომ ა ი, ე ხ - ლ ა მასში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომ „აი, ეხლა მას ნამდვილად უნდა. მაშასადამე, ნებელობის განცდაში, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთს მთლიან განცდას წარმოადგენს, მოცემულია, ერთი მხრივ, უტყუარი მე-ს აქტიობის განცდა, მაგრამ ამავე დროს ისეთი აქტიობის, რომლის დ ა წ ყ ე ბ ა ც მე-ზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თითქოს უ ი მ ი ს თ დ ხდება; მე მხოლოდ ადასტურებს თითქოს, რომ, „აი, ეხლა უკვე მას ნამდვილად უნდა“, ხოლო აქამდე ან არ უნდოდა და ან ნამდვილად არ უნდოდა“ (უზნაძე, 1969:219). ამრიგად ირკვევა, რომ როდესაც ნებისყოფითი მოქმედება თავისუფლად, თითქოსდა იმპულსურის მაგვარად, მისით მიმდინარეობს, ის თითქოს „მეზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თითქოს უიმისოდ ხდება“. მეორე შემთხვევაში კი განცდა ისეთია, თითქოს აქამდე საეჭვო იყო, უნდოდა მას ნამდვილად თუ არა ნებისყოფითი ქცევის განხორციელება. ამრიგად ნებისყოფითი აქტის შესრულებისას ორი განსხვავებული განცდა გვაქს: ერთ შემთხვევაში-მე ვგრძნობ, რომ მე ვახორციელებ მოქმედებას მაგრამ სავსებით ათვისებული, გათავისებული არა მაქს ეს ქცევა ნამდვილად მინდა თუ არა. ანუ აქ ჯერ კიდევ იძულების განცდა არ არის დაძლევული. მეორე შემთხვევაში კი ეს ნებისყოფითი მოქმედება მე იმდენად მინდა, რომ ის უმავ თავისუფლად თითქოს მისით მიმდინარეობს ისევე როგორც იმპულსური ქცევა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტაცებითი აქტიობის დროს ჩვენ ზუსტად „მე ნამდვილად მინდა“-ს განცდის მაგვარ განცდასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეს განცდა თავისუფალ, საკუთარი თავის იძულების გარეშე ნებისყოფითი მოქმედებასთან არის გაიგივებული.

დ.უზნაძეს კარგად აქვს ჩამოყალიბებული „მე უნდა“-ს და „მე მინდა“-ს ნებისყოფითი ქცევის განსხვავებები. შჩხარტიშვილი შეეხო ამ საკითხს, კერძოდ ის წერს: „განცდა, რომელიც ნებისყოფის სპეციფიკურ ბუნებაზე მიუთითებს, ესაა „მე უნდა“... „მე ა უ ც ი - ლ ე ბ ლ ა დ უ ნ დ ა“... განცდა, პიროვნება განიცდის, რომ აქტივობა, რომელსაც მისგან ნებისყოფის მოცემული სიტუაცია მოითხოვს, მან აუცილებლად უნდა განახორციელოს და რომ ეს აუცილებლობა თვითონ მისგან მომდინარეობს, თ ვ ი თ თ ნ მ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი ბ უ ნ ე ბ ი ს გ ა შ ლ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ - ლ თ ბ ა ს. იგი ხშირად თვითონ აძლევს ბრძანებას თავის თავს და

თვითონვე ასრულებს მას. ამიტომ „მე უნდა“... აუცილებლობაში პიროვნება სრულ თავისუფლებას გრძნობს“ (ჩხარტიშვილი, 1958:271).

ვფიქრობთ, რომ ავტორის მიერ მოტანილი ფსიქოლოგიური განცდების თავისებურებები ნაკლებ შესატყვისება „მე უნდა“-სთან სავარაუდოთ დაკავშირებულ განცდებს. საქმე იმაშია, რომ „უნდა“ თითქმის ყოველთვის გარკვეულ იძულებასთან, ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული, რაც თვით ამ სიტყვის შინაარსიდანაც გამომდინარეობს. „უნდა ნაწილაკი; იხმარება ზმნასთან და ნიშნავს აუცილებლობას, შესაძლებლობას, საჭიროებას“ (ჩიქობავა, 1986:430). „უნდა“ თავისთავად მოითხოვს სიტყვა „მას“, „მათ“, ანუ აქ „სხვების“, „სხვის“ იძულება უფრო მეტად ჩანს, ვიდრე საკუთარ ნებასთან შესატყვისობა. თვითონ „ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ც“ აგრეთვე მიუთითებს, იმაზე, რომ ჩვენ სხვა არჩევანი, სხვა გზა არა გვაქვს და ამიტომ მე „უნდა“-ს მოქმედებასთან ნაკლებ შესატყვისი გამოთქმა, რომ ეს აუცილებლობა თვითონ მისგან მომდინარეობს“. არა ეს აუცილებლობა „უნდა“-სთან მიმართებაში შექმნილი გარე-მოებებისაგან, სიტუაციისაგან მომდინარეობს და რა თქმა უნდა, პიროვნება არ გრძნობს „სრულ თავისუფლებას“. პირიქით ის შეზღუდულია საჭიროებით, აუცილებლობით, ინტელექტუალურად მიღებული გადაწყვეტილებით. იმპულსურ ქცევაში საკუთარი „მე“ არ არის დაპირისპირებული ქცევასთან. ნებისყოფითი ქცევის დროს ამ ქცევის გონებრივად გამართლებულობის, აუცილებლობასთან შესატყვისობისა და საჭიროების მიუხედავად ის მაინც გარემოებათა გამო ხორციელდება, ის „უცხოა“ პიროვნებისათვის და მით უმეტესად, რადგან ის „ბრანგებას“ მოითხოვს შინაგანად ის მიუღებელია ადამიანისათვის და საჭიროა ძალიან დიდი იძულება, რათა ასეთი ქცევა განხორციელდეს.

საკითხის გაღრმავებისათვის, როგორც ჩანს ჩვენ ყურადღების ფსიქოლოგიაში უნდა გადავინაცვლოთ. ვჯეომსი წერს: „ის რაც ეუფლება ჩვენს ყურადღებას, განაპირობებს ჩვენს მოქმედებას. თუ საჭირო იქნებოდა ერთი სახელწოდებით აღგვენიშნა ის პირობა რაზეც დამოკიდებულია იმპულსურობა, ან, საპირისპიროდ, საგნის რომელიმე თვისების შეკავებითი უნარი, მაშინ ყველაზე უკეთესი იქნებოდა ამ პირობისათვის-ინტერესი გვეწოდა“ (Джемс, 1902:354), ყოველი ზემოთქმული მხოლოდ ერთს ნიშნავს, ნებისყოფითი მოქმედება („შეკავებითი უნარი“) შეიძლება ემსგავსებოდეს იმპულსურს, როდესაც ის ინტერესთან არის დაკავშირებული, ხოლო ინტერესი თავისთავად გულისხმობს „მე მინდა“ და არა „მე უნდა“ აქტივობას. „ნებისყოფითი ძალისხმევა არის ყურადღებითი ძალისხმევა... ყურადღება, რომელსაც თან ახლავს ძალისხმევა, არის ყველაფერი რაც მოეთხოვება რომელიმე შემთხვევაში „ნებისყოფით“ პროცესს. მოკლედ რომ ვთქვათ, ნებისყოფის არსებითი მდგრმარეობა – ე.ი. მდგრმარეობა როდესაც ის ყველაზე უფრო მეტად „ნებისყოფითი“

გვაქვს მაშინ, როდესაც ის უურადღებას აქცევს საგანს, რომელ-ზედაც უურადღების მიქცევა გართულებულია და ინარჩუნებს მას ცნობიერების წინაშე...(Джемс, 1902:355–356). ამრიგად, ნებისყოფის არსებითი მოვლენა არის უურადღებითი ძალისხმევა“. უურადღებითი ძალისხმევა კი ხანგრძლივად შეუძლებელია „მე უნდა“—ს საფუძველზე და ის აუცილებლად მოითხოვს „მე მინდა“—ზე გადასვლას, რათა დაძლეული იქნებს გარედან იძულების განცდა, რომელიც უთუოდ ახლავს „მე უნდა“—ს მდგომარეობას.

საყურადღებოა, რომ რ. ნათაძე აღნიშნავს „უურადღების უნებლივ მოქმედებაში არის ნებისმიერი ელემენტები და ნებისმიერ მოქმედებაში უნებლივ მომენტები. გარდა ამისა, ნებიმსმიერად დაწყებული უურადღების მოქმედება ხშირად გადაის უნებლივში, უნებლივდა დაწყებული კი ნებისმიერში“ (ნათაძე, 1977:272). ფაქტობრივად მითითებაა იმაზე, რომ ნებისყოფითი უურადღების პროცესის გამოცალაშება უნებლივ უურადღებისაგან მნელდება, მაგრამ აქ შეუძლებელია იმისი გარკვევა, როგორ ნებისყოფით აქტიობაზე არის საუბარი „მე უნდა“—ს თუ „მე მინდა“—ს საფუძველზე.

ჩვენი საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია ე.წ. ნებისყოფის შემდგომი (последпроизвольное) უურადღების ცნება, რომელიც ფსიქოლოგიაში შემოგანილი იქნა ნ.ფ. დობრინინის მიერ (Петровский, 1986:234). დობრინინი კერძოდ წერს „ჩვენ ხომ ჩვენი უურადღება შეგვიძლია მივმართოდ არა მხოლოდ იმაზე, რაც უშუალოდ გვიზოდავს, არამედ იმაზე რაც დაკავშირებულია ჩვენს მიერ ცნობიერად დაყენებულ მიზნებზე, რაც დაკავშირებულია ჩვენს ცნობიერ მოქმედებასთან“, რაც დაკავშირებულია ნებისყოფასთან (Добрынин, Online. Net).

„თუ მიზანშეწონილ მოქმედებაში პიროვნებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდება მოქმედების შინაარსი და თვით პროცესი და არამხოლოდ მისი რეზულტატი, როგორც ეს არის ნებისყოფით კონცენტრაციის დროს, საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ ნებისყოფის შემდგომ უურადღებაზე. ამ შემთხვევაში მოქმედება იმდენად ეუფლება ადამიანს, რომ მას არ ესაჭიროება მნიშვნელოვანი ნებისყოფითი ძალისხმევა უურადღების შესანარჩუნებლად. ამრიგად ნებისყოფის შემდგომი უურადღება, რომელიც ვლინდება ნებისყოფით უურადღების შემდეგ არ შეიძლება დაყვანილ იქნებს მასზე. იმის გამო, რომ ეს უურადღება დაკავშირებულია ცნობიერად განსაზღვრულ მიზანთან ის არ შეიძლება დაყვანილ იქნებს უნებლივ უურადღებამდე. ამრიგად, უფროსკლასელი, რომელიც აკონსკექტირებს როგორ წიგნს გამოცდებისათვის მზადების პერიოდში აიძულებს საკუთარ თავს იყოს უურადღებით, არ გადაიტანოს სხვაზე უურადღება, მაგრამ შემდეგ მას გაიტაცებს სამუშაო. უურადღება, რომელიც პირველად განმტკიცებული იყო ნებისყოფითი ძალისხმევით, გადადის ნებისყოფის შემდგომში. ნებისყოფის შემდგომი უურადღება ხასიათ-

დება სანგრძლივი მაღალი კონცენტრირებულობით და მას საფუძვლიანად უკავშირებენ ყველაზე უფრო ინტენსიურ და ნაყოფიერ გონებრივ საქმიანობას, მაღალ შრომისუნარიანობას შრომის ყველა სახეობაში (Петровский, 1986:234).

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ნებისყოფითი და ნებისყოფის-შემდგომი ყურადღების შესახებ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, თუ ნებისყოფითი ყურადღებისათვის მოქმედებაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია რეზულტატი და არა მოქმედების შინაარსი და თვით პროცესი ეს ნიშნავს, რომ ამ მოქმედების მიმართ ადამიანს წმინდა პრაქტიკულ-გამოყენებითი უემოციო დამოკიდებულება გააჩნია, როდესაც ნებისყოფითი ქცევა უბრალოდ საშუალებაა, იარაღია ჩვენი მიზნის მისადწევად და ამიტომ ასეთი მოქმედების მიმართ დამოკიდებულება კარგად შეესატყვისება „მე უნდა“-ს განცდას.

ამავე დროს მიზანმიმართული საქმიანობისადმი ინტერესის შემუშავება არსებითად ცვლის მდგომარეობას, ადამიანს დადებითი ემოციური დამოკიდებულება წარმოეშვება თვით მიზანმიმართული, წინასწარდასახული და თავისი ნებისადმი დაქვემდებარებული მოქმედებისადმი. ამიტომ კი აქ ასეთ მოქმედებას კარგად შეესატყვისება „მე მინდა“-ს განცდა.

აქ კი უნდა გავიხსენოთ, რომ ჯეომსის მიხედვით „ნებისყოფითი ძალისხმევა არის ყურადღებითი ძალისხმევა“ (Джемс, 1902:355) და ამიტომ კანონზომიერად შეგვიძლია ნებისყოფითი ყურადღება გავაიგოოთ ნებისყოფით მოქმედებასთან საერთოდ, ხოლო ზემოთ აღწერილი ნებისყოფითი მოქმედების თავისებურება (პეტროვსკის მიხედვით) „მე უნდა“ განცდის საშუალებას უფრო იძლევა. ნებისყოფის-შემდგომი ყურადღება შეიძლება ნებისყოფის შემდგომ მოქმედებასთან გაიგივდეს, ხოლო იმ ინტერპრეტაციის საფუძველზე რაც დობრინინისა და პეტროვსკის აქვთ მოცემული ასეთი მოქმედება „მე მინდას“ განცდის შეესატყვისი უნდა იყოს.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილების შესრულების დროს პირველ ეტაპზე ადამინი გრძნობს იძულებას და ამიტომ მისი განცდა შეესატყვისება მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება „მე უნდა“ გავაკეთო, შევასრულო ეს მოქმედება. მაგრამ შემდგომში, როდესაც ნებისყოფითი ქცევა მისთვის ჩვეულებრივი ხდება ის უკვე ადარ განიცდის იძულებას და თავისუფლად, იძულების გარეშე მოქმედებს, რაც მის ქცევას გარეგნულად აახლოებს იმპულსურ ქცევასთან, ხოლო მისი განცდა შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით „მე ნამდვილად მინდა“.

3. ტაცებითი ქცევის არსებობის გამართლება მხოლოდ მისი პროსპექტულობით შეიძლება, რადგან, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, ის აშკარად არ თავსდება იმპულსურ ქცევათა არც ერთ შესაძლებელ ვარიანტთა შორის, რადგან მას ბიოლოგიური მიზან-შეწონილობა არ ახასიათებს. ამავე დროს ის არც კონკრეტული ნებისყოფითი მოქმედების მაგვარია, რადგან ასეთ შემთხვევაში. ყოვე-

ლი ტაცებითი მოქმედება შეიძლება მხოლოდ აბსურდულად მივიჩნიოთ, მაგალითად, ასეთია მობილური ტელეფონის კბილებით მოსინჯვა. მაგრამ უდავოა, რომ ტაცებითი მოქმედება საფუძველს უდებს სოციალური გარემოს ღირებულებებისა და კონსტრუქტების შეთვისებას ანუ სოციალიზაციის პროცესს და ამიტომ მისი პროს-პექტიულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

4. მიუხედავად იმისა, რომ ტაცებითი აქტივობა მისი ძირითადი დანიშნულებით პროსპექტულია და ონტოგენეტიკურად სოციალიზაციის განმაპირობებელი, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ, რომ სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია შეუძლებელია ძლიერი მიკუთვნების, დაუფლების ტენდენციის გარეშე, როდესაც მიკუთვნებული, ათვისებული, დაუფლებული ესა თუ ის სოციალური კონსტრუქტი იმდენად გათავისებული იქნება, რომ მას ჩვენ შევძლებოთ ნებისმიერად მოვაქცეო ანუ ვიყოთ მის მიმართ თვითნებურები, მხოლოდ ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში არის შესაძლებელი სოციალური გარემოს კონსტრუქტების ფენომენოლოგიური ათვისება და შემდგომში გამოყენება, რადგან ეს კონსტრუქტები დაუფლებას დაქვემდებარებული, ანუ სავსებით მეზე, დამოკიდებული უნდა გახდეს. ასე, რომ ოთხი თვის ასაკის ბავშვის თვითნებობა გარემო საგნების მიმართ საფუძველი ხდება ისეთი პიროვნული „მე“-ს ჩამოყალიბებისა“, რომელსაც საკითხი მიზნების შესაბამისად შეეძლება სოციალური ღირებულებებისა და კონსტრუქტების დაუფლება და შემდგომში გამოყენება.

ბავშვის მოქმედების ასეთი ენერგიულობა ამ ასაკში ეფუძნება ბიოლოგიურ ენერგიულობას, რომელიც გარემოსთან ურთიერთობაში საჭირო რესურსების ასიმილაციით, მიკუთვნებით ხორციელდება, მაგრამ განვითარებული ცოცხალი არსების, ადამიანის მდგომარეობაში გარემოსთან კუთვნილებითი მიმართებები საბოლოოდ აყალიბებენ კუთვნილების სისტემას [ჩაგანავა, 2001,2004,2009], რომელიც გულისხმობს „საკუთარი“ გარემოს შექმნას, მის დაცვას, დიფერენცირებას, სამართლებრივი საზღვრების დადგენას, კუთვნილების სოციალურ შეთანხმებულობას, საკუთარ ფსიქიკურ თვისებებზე კუთვნილების გავრცელებას, გაცნობიერებას, რაც მათ მართვას, დაქვემდებარებას განაპირობებს.

ეს ყველაფერი კი საკუთარი არსებობის განცდას, ანუ მარტივი ცნობიერების წარმოქმნა-ჩამოყალიბებას განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ენერგიის წყარო ანუ ქცევის აღმდერელი, ფიზიკურ მდგომარეობაში (სულ ერთია ეს შინაგანი ფიზიკური მდგომარეობა თუ გარეგანი) კი არა, არამედ ადამიანის ფსიქიკურ არსებობაშია. აქ საყურადღებოა, დუხნაბის თვალსაზრისი ახალშობილის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ის წერს, რომ „ახალს ასაკობრივ გარემოში უკვე სრულიად შეუძლებელი ხდება დაცული იქნეს ის მდგომარეობა, რომელიც დედის მუცლისა და, ნაწილობრივ, აგრეთვე ახალდაბადებულობის პერიოდისათვის იყო დამახასიათებენ“.

ლი. გარე სინამდვილე იმდენად მნიშვნელოვან მოთხოვნებს აყენებს ახალგაზრდა ორგანიზმის წინაშე, იგი იმდენად ხშირად იჭრება მისი არსებობის არეში, რომ წმინდა შინაგანის, ერთგვარი სოლიფსისტური მდგომარეობის დაცვაზე, რომელიც თავის განვითარების წინა საფეხურზე პქონდა ორგანიზმს, ლაპარაკი შეუძლებელი ხდება“ (უზნაძე, 1967:78). დ.უზნაძე ფაქტიურად ადასტურებს, რომ ბავშვს დაბადებიდან წმინდა შინაგანის „სოლიფსისტური“ მდგომარეობა ახასიათებს, თუმცა დ.უზნაძის მიხედვით ეს შინაგანი ანუ ფსიქოლოგიური მდგომარეობა „უნდა მოირდვეს და ახალგაზრდა ორგანიზმის წინაშე თბიერი სისტემა და გვიათ აღიმართოს (უზნაძე, 1967:78). ბავშვი ვერ შეინარჩუნებს იმ მდგომარეობას, რომელიც მას დედის ორგანიზმში ყოფნის პერიოდში ჩამოუყალიბდა და რომელიც, მის შინაგან ფსიქიკურ მდგომარეობასთან შეიძლება იქნეს გაიგივებული. საქმე იმაშია, რომ „სოლიფსისტური“ მდგომარეობით დაბადებული ბავშვი ვერანაირად ვერ შეამცირებს მის „სოლიფსიზმს“ ანუ შინაგანი, ფსიქიკური თვისებების განვითარებაზე ორიენტირებულობას, რადგან, როგორც ვიცით, სრულფასოვან ფიზიკურ განვითარებას ადამიანი 17–18 წლის ასაკში აღწევს, იმ დროს, როდესაც ფსიქიკური თვისებების ძირითადი განვითარება უკვე 2–3 წლის ასაკში, ხოლო შემცნებითი პროცესების ფორმირება კიდევ უფრო აღრეულ ასაკში მთავრდება. იმის მიუხედავად, რომ დაბადების შემდეგ ბავშვზე ზემოქმედებას იწყებს გარემო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ახლა ბავშვის შინაგანი ე.ო. ფსიქიკური განვითარება ფერხდება, პირიქით ფსიქიკური განვითარება ძლიერდება, რადგან ბავშვი ძირითადად ფიზიკური გარემოს ზეგავლენას კი არა, არამედ სოციალიზმებული ფიზიკური გარემოსი და სოციალური გარემოს ზეგავლენას განიცდის, რაც ფსიქიკის სწრაფ განვითარებას იწვევს. ამ მოსახრებას მხარს უჭერს ახალი ექსპერიმენტული მიღწევები ბავშვის ფსიქოლოგიაში, რომელთა მიხედვით სიმბოლიზმი უკვე ადრეულ ასაკში, ახალშობილობასა და ჩვილობის პერიოდში დასტურდება. ნეონატივისტები მიიჩნევენ რომ ბავშვები ფიზიკური სამყაროს შესახებ არსებითი ცოდნით იბადებიან [შეფხერ, 2003:346]. ეს კი ნიშნავს, რომ მათ ფიზიკური სამყაროს ზეგავლენის გარეშე უკვე აქვთ მასზე ცოდნა და ამგვარად, ეს ნიშნავს, რომ სინამდვილეში ფიზიკური სამყაროს ზეგავლენა ბავშვზე ამ პერიოდში არც თუ ისეთი დიდია და ბავშვი მის ფენომენოლოგიურ სამყაროში იმყოფება, თუმცა ეს არ უარყოფს ობიექტური სამყაროს ზეგავლენის შესაძლებლობას. ამრიგად კი ბავშვისათვის ამ პერიოდში უთუოდ უფრო მნიშვნელოვანია მემკვიდრეობით მიღებული გარე სამყაროსთან ურთიერთობის ფსიქოლოგიური კონსტრუქტები, რომლებიც გულისხმობენ, რომ გარე სამყაროსთან შეხვედრის პირველ პერიოდში ბავშვში თითქოს იღვიძებს ფიზიკური სამყაროს ფენომენოლოგიური მაკვიცალენტი, რომელიც გარე სამყაროსთან ფსიქოლოგიური კონსტრუქტების აქტივიზაციას იწვევს. ეს მონაცემები კი აგრეთვე ადას-

ტურებენ იმ თვალსაზრისს, რომ დაბადებიდან ბავშვები უფრო მეტად ფსიქოლოგიურ სამყაროში ყოფნას განიცდიან ვიდრე ფიზიკურში. საყურადღებოა აგრეთვე, რომ მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ბავშვები ცხოვრების პირველივე თვეებიდან არიან „სიმბოლური“ არსებები [შეფხერ, 2003:346], რაც ძლიერ განსხვავდება პიაჟეს თვალსაზრისისაგან რომლის მიხედვით სიმბოლური პრობლემების გადაწყვეტას ბავშვი 18–24 თვის ასაკში ახერხებს, როდესაც ბავშვი იწყებს ქცევითი სქემების ინტერნალიზაციას, რათა კონსტრუირება გაუკეთონ მენტალურ სიმბოლოებს, ანუ ხატებს, რომლებსაც ისინი შემდგომში გამოიყენებენ, საკუთარი მომავალი ქცევის წარმართვისათვის [შეფხერ, 2003:344]. პიაჟეს მიხედვით გამოდის, რომ საკუთარი ნების შესაბამისად ბავშვი თითქმის ორი წლის ასაკში იწყებს მოქმედებას, იმ დროს როდესაც სხვა, თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედებას ბავშვები გაცილებით უფრო ადრე იწყებენ, რადგან სიმბოლიზმის შესაძლებლობები მათ უკვე ცხოვრების პირველ თვეებში უდასტურდებათ, თუმცა ადსანიშნავია ისიც, რომ პიაჟეს თვალსაზრისით დაგეგმილი რეაქციები პირველად 8–12 თვეების შეალენდში წარმოიქმნებიან, როდესაც ბავშვები იწყებენ ორი ან მეტი მოქმედების კოორდინირებას, რათა მიაღწიონ მარტივ მიზნებს [შეფხერ, 2003:342–343].

უველავერი ზემოთ მოყვანილი კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვს ფსიქოგენეტიკურად აქვს მიღებული ადამიანური ფსიქიკისა და გარემოსთან ურთიერთობების ნასახები. მას ძირითადად ფსიქიკის განვითარების ტენდენცია და ფიზიკურ გარემოსთან შეგუება ახასიათებს. ფაქტია, რომ ახალშობილი მისი აქტივობის 70% ძილში ატარებს [შეფხერ, 2003:205]. „ბავშვის რეაქციები ამა თუ იმ გამდიზიანებლის ზემოქმედების საპასუხოდ პირველ თვეებში არ ას პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ა“, ე.ი. გამდიზიანებლის თავისებურებას სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევს“ (უზნაძე დ., 1964:329].

დ.უზნაძე წერს: „გამოირკვა, რომ ბავშვი ობიექტს კი არ ხატავს იმ მნიშვნელობით რომელიც მას აქვს, არამედ იმ სუბიექტურ შთაბეჭდილებას, რომელსაც იგი ამ სიგნისაგან ღებულობს, იმ გმოციურ დამოკიდებულებას, რომელიც მას ამ საგნის მიმართ აქვს შემუშავებული... აქედან შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ბავშვისათვის აღქმაში ობიექტი კი არ არის წარმოდგენილი, არამედ თვითონ სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც ამ ობიექტთან ურთიერთობის ნიადაგზე ჩნდება (უზნაძე, 1964:32).

ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ მას რეალურადაც არა აქვს ახალშობილობის პერიოდში ფიზიკურ სამყაროსთან ბევრი შეხების შესაძლებლობა, რადგან მშობლები მას ისეთ ხელოვნურ გარემოს უქმნიან, რომ უველანაირად არიდებენ ფიზიკურ სამყაროსთან უშუალო შეხების შესაძლებლობას. ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ გარემოსთან ურთიერთობების ფიზიოლოგიური საშუალე-

ბები (უპირობო რეფლექსები) არათუ არ ვითარდებიან, არამედ სუსტდებიან და საბოლოოდ საერთოდ ქრებიან. ახალშობილს, რომ ფიზიკურ სამყაროსთან უშეალო შეხების პირობებში ყოფილიყო, მაშინ უპირობო რეფლექსებს ამოქმედების საშუალება ექნებოდა და ამიტომ ბავშვის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე ძირითადი ორიენტაცია და ფიზიკური სამყაროს შემდებისდაგვარად უგულებელყოფა საშუალებას აძლევს მას სუბიექტურად კონცენტრირებული იყოს ფსიქოლოგიურ არსებობაზე, როდესაც მისი სამყარო ძირითადად, უფრო მეტად ფენომენოლოგიურ სამყაროდ ყალიბდება და არა მატერიალურ, ფიზიკურ სამყაროდ.

დ.უზნაძე წერს „აღქმის ყველაზე უფრო მარტივ ფორმად ის შემთხვევები შეგვიძლია ჩავთვალოთ, როდესაც გარეგადიზიანებათა ზეგავლენა უბრალო გამოძახილს პოულობს ჩვენს ფსიქიკაში, როდესაც უგარებადიზიანების მხოლოდ არსებობა განიცდება; ხოლო მისი რაობა, მისი რაგვარობა სრულიად უცხო რჩება“ [უზნაძე, 1964:325]. შემდეგ დ.უზნაძე განაგრძობს: „ვთქვათ, ძლიერი ხმაური, გვაღვიძებს... აქ ერთდროულად აღქმის ორი საფეხურის მაგალითი გაძვს მოცემული: პირველი, უმარტივესი ფორმა ისაა, რომ „ე უ რ - ჟ ი რ ა დ ა ც ა ს გ ა ნ ვ ი ც დ ი თ“, თითქოს „ჩვენში ხმაურობდეს“, თითქოს ეს „ხმაური“ ჩვენი მდგომარეობა იყოს, და არა რაღაც, ჩვენს გარეთ არსებული“ [უზნაძე 1964:320].

უმჭველია, რომ ბავშვს ტაცებითი აქტივობის დროს არა აქვს ობიექტივიზაციის უნარი, მაგრამ მისი ქცევის ბიოლოგიურად არამიზანშეწონილობა გვაფიქრებინებს, რომ აქ, მოქმედების სტრუქტურის მიხედვით არის ნებისყოფისშემდგომი აქტივობის მაგვარი ქცევა, რომელსაც თითქოს არა აქვს მოტივი, რადგან ქცევა არ შეესატყვისება ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს-ის დაკმაყოფილებულია და ამგვარად მოთხოვნილების მოტივაციასთან გაიგივების საფუძველი არა გვაძვს. ამავე დროს ტაცებითი პერიოდის ტაცებით მოქმედებას არც ცნობიერად შემუშავებული მოტივი აღძრავს, რისი შესაძლებლობა ბავშვს არა აქვს. მაგრამ ამავე დროს ბავშვის განვითარებაში სოციალური პერსპექტივის თვალსაზრისით აქ ზუსტად მომავალზე გათვლილი სოციალურ გარემოში არსებული კონსტრუქტების ათვისებაზე ორიენტირებულობა დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბიოლოგიურად განსაზღვრული გარემოსთან შეგუების თანდაყოლი ფორმების უკუგდების შემდეგ ბავშვში იღვიძებს უმარტივესი დაუფლებითი ტენდენცია, რომელიც პრიმიტიულ დონეზე შეუზღუდავი დაუფლებითი მოქმედების სახით ვლინდება, რამაც ადამიანთა განვითარების საზოგადოების უმარტივეს დონეზე განაპირობა კანიბილიზმი, ანუ ყველაფრის დაუფლება, ხოლო ჩვილი ბავშვის დონეზე კი ეს ყველაფრის დაუფლების ტენდენცია განხორციელდა საზოგადოებაში არსებული კონსტრუქტების დაუფლებაში, როგორც შედეგი.

საყურადღებოა, რომ ნებისყოფის შემდგომ მოქმედებაში აგრეთვე შეიძლება ვივარაუდოთ მარტივი, საწყისი დაუფლებითი ტენდენციის

ამოქმედება, რომელიც იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ქცევის ემოციური საფუძველი (იმპულსური ტენდენცია) უკუგდებულია, ხებისყოფითი იძულებითი ქცევის ტენდენცია მუდმივი იძულების განცდით მძიმე ასატანია და, ასეთ შემთხვევაში ამ ორი ტენდენციის გაუფასურების პირობებში, თავისთავად წინ წამოიწევს უმარტივესი დაუფლებითი ტენდენცია, რომელიც უპირისპირდება სოციალურ გარემოს, ცდილობს მის “შთანთქმას” და ამგვარად ვდებულობთ სოციალურად მისაღებ პროცესს, რომელიც იმპულსური ქცევის მსგავსი ქცევით ყალიბდება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, საერთოდ ნებისყოფითი ქცევა, მართალია, კი მიმდინარეობს ობიექტურ გარემოში, მაგრამ, ის ობიექტივაციის შედეგად მზადება, როდესაც სამომავლო ქცევა ხებისმიერი ფიზიკური რეალობისაგან განყენებით (აბსტრაქტირებით) განიხილება და ამდაგვარად ეს განყენების, აბსტრაქტირების განცდა ყოველთვის თან სდევს ხებისყოფით მოქმედებას, რომელიც ამგვარად მოქმედების სუბიექტს შეუძლია რეალობის მიღმა მდგომად მიიჩნიოს.

ამ მდგომარეობაზე იმიტომ ვამახვილებო ყურადღებას, რომ ჩვილობის პერიოდში დადასტურებული ტაცების პერიოდის ქცევა ჩვენი ანალიზის შესაბამისად პოსტებისყოფითი ქცევის ნიშნებს ავლენს ფორმალურად. ეს გაძლევს საფუძველს ვამტკიცოდ, რომ ბაგშვისათვის ეს პერიოდი წმინდა ფსიქოლოგიურის, ფენომენოლოგიურის სახით არის მიცემული ანუ ბაგშვის პიროვნებაში დომინირებს გარემოს ფსიქოლოგიური, ფენომენოლოგიური სტრუქტურა, რომელიც საკუთარი ფსიქიკის გაგრძელებაა. ასევეა, პოსტნებისყოფითი ქცევის დროსაც, როდესაც ობიექტივაციის (ანუ იდეურ, ფენომენოლოგიურ სფეროში მიღებული შეფასებისა და გადაწყვეტილების განხორციელების დროს ჩვენს ბიოლოგიურ მიღრეკილებებს დავდლებო (ასალმობილი დასძლევს, უკუაგდებს უპირობო რეფლექსებს) და ობიექტურ სამყაროში წარმოქმნილ დაბრკოლებებს გადავლასავთ. ასევეა ჩვილი ბაგშვი, რომელიც ცდილობს ობიექტურ სამყაროში არსებული დაბრკოლებები დასძლიოს, რასაც ყველაფრის „შთანთქმის“ ანუ დაუფლების მეშვეობით ახორციელებს ის.

ასეთ სიტუაციაში, როდესაც გარე სამყარო ფსიქოლოგიურ სამყაროდ წარმოუდგება ბაგშვის, ყველაფერი რაც კი ამ სამყაროში ხდება ავტომატურად ხდება ბაგშვის მიერ მისაკუთრებული. ამიტომაც არის, რომ ვითარდება ეგოცენტრიზმი და დაახლოებით 2,5 წლამდე ბაგშვისათვის ყველაფერი რაც მის ირგვლივ არსებობს, მის კუთვნილებად მიაჩნია. ამიტომ მიაქვეს სახლში მეზობელთან მოწონებული ნივთი ბაგშვის, რადგან ის მისად მიაჩნია.

ბაგშვის ფსიქიკა ამ პერიოდში დაბადებიდან 2,5 წლამდე იწოვს ყველაფერს რაც კი მის ირგვლივ არის და ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური სასიათისაა და ბაგშვის ფსიქიკაში თავისებურად აისახება. აისახება დადებითიც და უარყოფითიც.

დადებითი ბავშვის პიროვნებას სოციალიზაციას განაპირობებს. ბავშვისათვის საერთოდ, ყველაფერი რაც კი მის ირგვლივ არის მას ეკუთვნის და ამიტომ მას უნდა ემორჩილებოდეს და ის თავისუფლად მოქმედებს ამ მის სივრცეში. ყოველგვარი აკრძალვა, შეზღუდვა მისთვის მიუღებელია. მისთვის სამყარო „შთანთქმის“ ობიექტია და ამიტომ ნებისმიერი წინააღმდეგობა გარე სამყაროს მხრიდან მასში იწვევს პრიმიტიული დაუფლებითი ტენდენციის საწინააღმდეგო ტენდენციის ჩამოყალიბებას, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი განრიდების სახით.

საყურადღებოა, რომ რატომდაც, ყოველგვარი საფუძვლიანი მოზეზის გარეშე ახალშობილობისა და ჩვილობის პერიოდში ბავშვის განვითარებას ზ.ფორდი უწოდებს „სექსუალურ ორგანიზაციას“, მაგრამ არსებული ფაქტების გამო იძულებულია ამ პერიოდს კანიბალური ან ორალური ფაზა ეწოდოს. ამ ფაზის სექსუალურ მიზნად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კანიბალიზმი, შთანთქმა-წერს ზ.ფროიდი [შეფხერ, 2003:256]. შთანთქმის ანუ კანიბალისტური ტენდენცია შეიძლება აგრეთვე გამოვლინდეს ადამიანის წვალებაში, რაც სადიზმის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

მაგალითად, რისხვა ადამიანის მიერ საერთოდ და მით უმეტესად ბავშვის მიერ ორალურ შემოტევად განიცედება და გაიგივდება ცხოველის მიერ გამოცემულ აგრესიულ ბგერებთან, როდესაც ეს ბგერები კომუნიკაციის დასამყარებლად კი არ გამოიყენება, არამედ აგრესიულობასთან გათანაბრდება, რომლის შედეგი ორალურად შეთანთქმასთან არის დაკავშირებული. ამრიგად გაღიზიანებული ადამიანის რისხვა, გულისწყრომა, მრისხანება, რომელიც მეტყველების საშუალებით ორალურად გაღმოიცემა, არა კომუნიკაციის საშუალებად აღიქმება, არამედ ჩვეულებრივი მტაცებელი ცხოველის ძღვილად და ზუსტად ამიტომ ამბობენ-დათვივით ძღავის, მგელივით იღრინება, ხარივით ყმუის, ძაღლივით ყეფს და ასე შემდეგ. ამიტომ ამ შემთხვევაში იმას კი არა აქვს მნიშვნელობა თუ რას ამბობს ადამიანი, არამედ, თუ როგორ ამბობს – ყვირის, ბდაგის, ყეფს, ბრდღინავს, ყმუის, იღრინება. ფსიქოლოგიურად ადამიანის ასეთი ორალური შემოტევა აკარგვინებს ორალურად გადმოცემულ ბგერებს ინფორმაციის მოწესრიგებულობისა და სხვა ადამიანისათვის გადაცების ფუნქციას და ის უბრალოდ ცხოველის მზადყოფნას გადმოსცემს ორალურად ზემოქმედებისათვის ანუ შთანთქმისათვის მზაობას, კანიბალისტურ ორიენტაციას, რაც შთანთქმის მოლოდინის განცდას იწვევს ადამიანში (მით უმეტესადლ ბავშვში). ეს კი არა მხოლოდ საკუთარი თავის დამცრობის, დაპატარების განცდას იწვევს (თითქოს სხვის მიერ გადასაყდაპავად მომზადებას), არამედ აგრეთვე წარმოქმნის ჩვეულებრივი ქცევის საპირისპირო ქცევისადმი მიღრეკილებას, რადგან უფროსის რისხვა აღიქმება, როგორც საკუთარი პიროვნების უარყოფა, რადგან რისხვის გადმომცემი ადამიანის პირი უკვე აღარ განიხილება, როგორც საურთიერთობო საშუალება (ამიტომ შეიძლება იყოს წარმოდგენილი განრიდების სახით).

ლება ბავშვს განუვითარდეს მეტყველების დარღვევა), რადგან პირი მეტყველებისა კი არა, არამედ მისი შთანთქმის საშუალებად განზოგადდება, გადმოიტანება საკუთარ თავზე. პირი განზოგადდება, როგორც საშიში და ამან შეიძლება გამოიწვიოს პირის კუნთების ბლოკირება ანუ ისტერიული პარეზი, ხოლო მეტყველებითი მოქმედების საშიშროებასთან გაიგივებამ შეიძლება გამოიწვიოს მეტყველების ბლოკირება. ამ შემთხვევაში პირი განიხილება მის პრიმიტიულ და ფიზიოლოგიურად ძირითადი დანიშნულების საშუალებად, ე.ი. შთანთქმის საშუალებად და ეს მდგომარეობა გაზვიადებულად განიცდება ბავშვის პერიოდში, რადგან ზრდასრული და ძლიერი ადამიანის რისხვა, რომელიც ცხოველის რისხვასთან გაიგივდება აგრეთვე, იწვევს ისეთივე ცხოველისაგან მოსალოდნელი საშიშ მოქმედებასთან ე.ი. შთანთქმასთან გაიგივებულობას, რაც კანიბალისტური ტრაპეზის ობიექტად მიჩნევის განცდად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც კიდევაც განამტკიცებს კანიბალისტური ტრაპეზის შედების მეტყველებითი კონსტრუქტების შენარჩუნებასა და განამტკიცებას (შემჭამა, გადამყლაპა, დამრღნა, მშთანთქა და სხვა).

ამგვარად ადგილი აქვს მძიმე ფსიქიკური მდგომარეობის საფუძველზე ფსიქიკური განცდის ჩამოყალიბებას მოქმედების პირველ დონეზე ყოფნის შემთხვევაში ე.ი. დაბადებიდან 2,5 წლამდე. აქ ბავშვს ახასიათებს ნებისყოფითი ქცევის მაგვარი ქცევა მისი ფორმის მიხედვით. ამ ასაკში ფსიქიკური სამყარო დომინირებს ბავშვის მარტივ ცნობიერებაში და მისთვის თითქოს რეალური ფიზიკური სამყარო არც კი არსებობს. ეს სამყარო არა აქვს კარგად გაცნობიერებული ბავშვს. მისთვის ამ პერიოდში უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის ხედავს და არა იმას თუ რას ხედავს, უფრო მნიშვნელოვანია, რომ მას ესმის და არა იმას თუ რა ესმის, უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის განიცდის შეხებას და არა იმას თუ რა ეხება მას, უფრო მნიშვნელოვანია, რომ სუნს გრძნობს და არა იმას, თუ რისი სუნი არის, უფრო მნიშვნელოვანია რომ აქვს გემოს განცდა და არა იმას თუ რისი გემოს განცდა აქვს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან გრძნობის ორგანოების ფუნქციების ჩამოყალიბება ამ პერიოდში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პიროვნების ფსიქიკის ჩამოყალიბების ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდრე ამა თუ იმ გამღიზიანებლის ზემოქმედება, მით უმეტეს, რომ მშობლები მაქსიმალურად ცდილობენ ბავშვს აარიდონ მისი ჯანმრთელობისათვის არასასურველი გამღიზიანებლების მოქმედებას და ამიტომ, თავისთავად გარემოს გამღიზიანებელთან შეხვედრაში საკუთარი შეგრძება ხდება წამყვანი და ღირებული და არა გამღიზიანებელი. თუმცა რეალურად, ფიზიკურ სამყაროსთან პირდაპირი კონტაქტის დროს და ასეთი კონტაქტების გახშირების შემთხვევაში, რაც გარდაუვალია, ბავშვი ხვდება ფიზიკური სამყაროდან მომდინარე ზემოქმედებათა და მათ შორის გამღიზიანებელთა მნიშვნელობას. მაგრამ ეს ხდება უფრო გვიან 2,5 წლის ასაკის შემდეგ, როდესაც გარემოსთან კონტაქტების

გაფართოება თავისთავად იწვევს ფიზიკური სამყაროს და საკუთარი თავის ფიზიკურად განსხვავებულობის აღმოჩენასა და დადასტურებას.

ბუნებრივია, რომ უფროსის რისხვა ბავშვის მიმართ 2,5 წლამდე სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური აგრესიულობის საკომპენსაციო მოქმედებაა და ეს კარგად ესმით უფროსი ასაკის ადამიანებს. ამიტომ კი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე და იმის გამო, რომ ზრდასრული ადამიანისათვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის თუ როგორ, რა ინტონაციით, როგორი წერილი, მახვილებით, დიქციის თავისებურებით გამოირჩევა ადამიანი და რამდენად საშიშია ის, არამედ თუ რა შინაარსის მეტყველება აქვს მას.

პირიქით პატარა ბავშვი, რომლის ფსიქიკა არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული და ის ვერ სწოდება მისთვის უჩვეულო მეტყველებითი აგრესიულობის სიმბოლიზმს, რომელიც მეტწილად აგრესიულობის იმიტაციას ემსახურება და უფრო ნაკლებ ნამდვილ აგრესიულობას (ბუნებრივია, არსებული ნამდვილი აგრესიულობის ფონზე, რომელიც, რა თქმა უნდა არასდროს გადადის კანიბალიზმი). ამიტომ ხდება პირვანდელი ცხოველური თავდაცვითი რეფლექსების გაცოცხლება და ადამიანის პირს ბავშვი აღიქვამს, როგორც ცხოველის ხახას, რომელიც ჩასაყლაპავად თუ არა, დასაჭმელად მაინც არის მომართული. ამრიგად რისხვის გადმომცემი ადამიანის მეტყველება ბავშვის მიერ გაიგივდება კანიბალისტურ ტენდენციასთან.

ამგვარად ადგილი აქვს მძიმე ფიზიკური, სხეულებრივი ცვლილების (დამცრობა) განცდას, შიშის, რაც უკიდურეს შემთხვევაში ზუსტად კანიბალისტურ შემოტევასთან გაიგივდება, რაც კიდევაც აისახება ცხოველებზე შიშების გადატანაში (ბავშვს მაღლის იმიტომ ეშინია, რომ მას მამის ეშინია). მაგრამ რადგან ფიზიკური სხეული რეალურად არ განიცდის შემოტევას, ასეთი შეტევის შედეგები ძირითადად ისევ ფსიქიკას აზიანებს, ხოლო ფიზიკურად დროებითი ფსევდოზიანი ანუ დამცრობა ხორციელდება.

ათვისებული ქცევითი პატერნების უარყოფა ბავშვის მიერ მიიღება, როგორც უფროსის დამაკმაყოფილებელი ქცევა, რადგან რისხვის არააღეკვატურობა, ჩაღწილ „დანაშაულთან“ შეუსატყვისობა ბავშვში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მისი ქცევა მთლიანად შეუსატყვისია და მას ჩვეულებრივი ნორმალური ქცევის, მდგომარეობის საპირისპიროს აუცილებლობის გამოვლენის განწყობა შეუმუშავდება. ამ ტენდენციას განამტკიცებს ისიც, რომ მისი ტირილი, ხანგრძლივი გაჩუმება, თავის პირდაპირ დაჭერის ნაცვლად მისი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა, მხრების სწორად დაჭერის ნაცვლად მათი რყევა, თვალების დიად დატოვების ნაცვლად მათი დახუჭვა, სიარულის ნაცვლად ფეხების გაშეშება, სხეულის სწორად, გამართულად შენარჩუნების ნაცვლად შიშისაგან მოკუნტგა (კრუნჩე-

ვის მსგავსად) იწვევს რისხვის შეჩერებას. ამგვარად კი ყალიბდება ისტერიული განწყობა, რომელიც ზემოთ მითოებული გარემოებების შედეგად წარმოშვება ამ ასაკში (2,5 წლამდე).

გარემოსთან მთლიანი შეუსატყვისობა საკუთარი თავის უარყოფას ნიშნავს ფსიქოლოგიურად, ანუ შთანთქმულად გახდომას, რაც საკუთარ მეზე უარის თქმაში გამოიხატება. ეს კი ერთ შემთხვევაში, როდესაც შეუსატყვისობა საკუთარ პიროვნულ ფსიქიურ თავისებურებებთან არის გაიგივებული, შეიძლება დეპერსონალიზაციაში გამოიხატოს [Кербиков, 1968:63]. ამ შემთხვევაში ხორციელდება პიროვნების ყველა ფსიქიური თვისების გაუცხოება. აზრები, გრძნობები, წარმოდგენები, სხვა პირებისადმი დამოკიდებულება განიცდება როგორც უცხო, ხელოვნურად გაკეთებელი და სხვა [Кербиков, 1968:63]. შესაძლებელია, რომ საკუთარი თავის უარყოფა განხორციელდეს როგორც პიროვნული ნიშნების სრული დაკარგვით (გაორება, ისევე ამ სიტუაციიდან გაქცევით და ამავე დროს პიროვნული მახასიათებლების დაკარგვით (ფუგა), რაც აგრეთვე თითქოს შთანთქმისაგან ფიზიკურ გადარჩნას უტოლდება ფსიქიკურის (პიროვნების, მეობის, ცნობიერების, მეხსიერების) დათმობის ხარჯზე. ეს განსაკუთრებით ზრდასრულობაში ხორციელდება, როდესაც ადამიანს ფიზიკურად შეუძლია საკუთარი თავის რჩენა და ახლობლებისაგან განშორება.

ბავშვობის პერიოდში ფუგა ვერ ხორციელდება, რადგან ბავშვს სახლიდან წასვლის შემთხვევაში საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობა არა აქვს და ამიტომ „იძულებულია“ დარჩეს სახლში და არც კი შეეცდება მცირე შემთხვევათა გარდა შეეწინააღმდეგოს „კანიბალისტურ“ მოპყრობას. ამიტომ როგორც კი „რისხვა“ გადაივლის, ისიც ჩვეუდებრივად იქცევა.

ბავშვს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა არა აქვს. ისტერიული დამბლის დროს, ერთ შემთხვევაში, ობიექტურ სიტუაციაში პიროვნებისათვის სასურველი მოქმედების განუხორციელებულობის გამო, საშიში სტიმულის მეშვეობით საკუთარი მოქმედების ბლოკირება ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას საკუთარ მოქმედებაზე და შიშისადმი ფიზიკური დამორჩილების ნიშნების საშუალებით ვლებულობთ ისტერიულ დამბლას, რომელიც საშიში გამდიზიანებლის მხრივ აგრესიის გაგრძელებას აჩერებს, ხოლო პიროვნება შინაგანად გარკვეულ უსაფრთხოებას აღწევს. მეორე შემთხვევაში, როდესაც სიმპათიის ობიექტთან, საკუთარი თავის გასაიგივებელთან კონტაქტი შეუძლებელი ხდება მისი მძიმე ავადმყოფობის, გარდაცვალების, შორს წასვლისა და ა.შ. შემთხვევებში ჩვეულებრივი იდენტიფიკაცია ხდება მიუღწევადი (Карвасарский, 2007:733), ხოლო იდენტიფიკაცია, რომელიც გამოხატავს სურვილს სხვა ადამიანის ადგილზე ყოფნისა, (Елисеева, 2006:410) ხორციელდება ავადმყოფობა ადამიანთან იდენტიფი-

ცირებით ნებისმიერი იმიტაცია კი იქნება ის ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი ითვალისწინებს იდენტიფიკაციას, ე.ი. საქუთარი მქ-ს ცვლილებას ობიექტის შესაბამისად (Елисеева, 2006:410).

ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, რომ ისტერიული პიროვნება სხვა ადამიანთან იდენტიფიკაციის გამო შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომ ამ ადამიანთან კონტაქტის შეუძლებლობის (მაგალითად, სიკვდილის) შემთხვევაში ისტერიულ პიროვნებას ავტომატურად შეუწყდება (ან დაქვეითდება მათი სიძლიერე) სმენის, მეტამოდების, აღქმის და სხვა ფუნქციები. გამოდის რომ იდენტიფიკაციის დროს ადამიანი საკუთარი თავის სხვა ადამიანთან გაიგივებით, მართალია გადაიდებს სხვა ადამიანის თვისებას და ეს ბავშვის სოციალური განვითარების ხელშემწყობი გარემოებაა, მაგრამ ამავე დროს იდენტიფიკაცია იწვევს ფსიქოლოგიურ დაკვემდებარებას. აქ ფენომენოლოგიურად პიროვნება იკარგება და მის ფსიქიკაში სხვა პიროვნება იკავებს ძირითად ადგილს, ხოლო თვითონ კი მეორებარისხოვანი, დამოკიდებული, მხოლოდ სხვისი განმეორება, მისი ლანდი, ჩრდილი, სხვა პიროვნება ხდება. ასეთ შემთხვევაში ადამიანს დამოუკიდებლობის ნიშნები სუსტად აქვს ჩამოყალიბებული. ბავშვის ფიზიკური სისუსტისა (ძლიერი უპირობო რეფლექსებისაგან დაცლილა) და ფსიქოლოგიური მოუმწიფებლობის გამო ბავშვს ტაცების ტენდენციის მიუხედავად უფროსების ძლიერი თანმიმდევრული ზემოქმედება არ აძლევს მას უპირატესობის მიღწევის საშუალებას და ის იძულებულია აღიაროს უფროსის დომინირება და მისი სიცოცხლისუნარიანობის ნიშნები თითქმის მთლიანად უფროსისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებებს შეესატყვისება და შემოიფარგლება. ასეთი მდგომარეობა კი ქმნის დიდ საშიშროებას, რომ იდენტიფიკაციის ობიექტის გარეშე პიროვნებისაგან მხოლოდ მისი სიცხიზლის, ცხადში ყოფნის მდგომარეობა რჩება, ხოლო მისი ცნობიერება, როგორც ფსიქოლოგიურად და სოციალურ-ფსიქოლოგიურად ღირებულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა იკარგება.

გამოდის, რომ ისტერიული რიგის აშლილობები ადამიანს არა მხოლოდ ფენომენოლოგიური საშიშროების შემთხვევაში წარმოექმნა რისხვის საფუძველზე, არამედ აგრეთვე ემოციურად მიმზიდვები პიროვნების დაკარგვის, მიჯაჭვულობის –კატექსისის [Фрейд, 2004:439] დარღვევის შემთხვევაში. ფრონდი მის ნაშრომში „შესავალი ფსიქოლოგიაში“ აღწერს ბრაიერის პაციენტს, 21 წლის ქალიშვილს, ძალიან ნიჭიერს, რომელმაც მისი ორწლიანი ავადმყოფობის განმავლობაში გამოავლინა მთელი რიგი სხეულებრივი და სულიერი დარღვევებისა. მას ჰქონდა ორივე მარჯვენა კიდურების სპასტიკური დამბლა მგრძნობელობის გარეშე და ერთ დროს ასევე დაზიანებული ჰქონდა მარცხენა კიდურებიც. მას აგრეთვე ჰქონდა თვალების მოძრაობის აშლილობა, სირთულეები თავის სწორად დაკავებაში, ძლიერი ნერვიული ხელება, ზიზღი საჭმლის მიღებისადმი, მეტყველების

დარღვევები იმდენად, რომ დაკარგა მშობლიურ ენაზე საუბრისა და გაგების უნარი (ლაპარაკობდა ბავშვობის პერიოდში ნასწავლ ინგლისურად). ის რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ სვამდა წყალს, ახასიათებდა ბოდვის მდგომარეობა, მთლიანად პიროვნების ცვლილება [Фрейд, 2003:5–6].

საყურადღებოა ზემოთ აღწერილი სიტუაციის პომეოპატიური მაგიის პრინციპებთან, რომელთა მიხედვით გარდაცვლილის ძვლებს ან საერთოდ ყველაფრის საშუალებით რაც კი სიკვდილთან არის დაკავშირებული თქვენ შეგიძლიათ ადამიანი ისევე, როგორც ეს გარდაცვლილს ახასიათებს გახადოთ ბრმად, ყრუდ და მუნჯად [Фрезер, 1983:36]. ასეთი სხვებზე მაგიური ზემოქმედების შესაძლებლობა, რა თქმა უნდა აბსურდია, მაგრამ უეჭველია, რომ გარდაცვლილთან ასეთი ტენდენციების გამოვლენა მართლაც ახასიათებს ადამიანს, რაც კიდევაც ხორციელდება ისტერიული თვითშთაგონების პირობებში.

ბავშვობის ამ პერიოდში ადგილი აქვს აგრეთვე სოციალიზაციის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფსიქიკური თვისებები სოციალურ გარემოში არსებულ ნიშან-თვისებებად წარმოუდგება ბავშვს. ეს პროცესი, მართალია, დაკავშირებულია ზრდასრულ ადამიანებთან იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არსებული სამყაროს თანამფლობელებად განიცდებიან პატარა ბავშვის მიერ, ანუ იქმნება ერთგვარი კონდომინიუმი (ლათ. condominium)-ერთი და იმავე ტერიტორიის მართვა ორი ან რამდენიმე სუბიექტის მიერ [ჭაბაშვილი, 1989:246]. ამ მდგომარეობაში ფსიქიკური პროცესები, თვისებები, კონსტრუქტები ცალკე არსებულად წარმოდგებიან ობიექტურ სამყაროში არსებულად. რისხვისა თუ ახლობელ ადამიანთან განშორების შემთხვევაში მძიმე განცდები იწვევენ დარდს, მაგრამ არ იწვევენ ფსიქიკურ აშლილობას.

ისტერიისადმი უფრო მეტად ქალური განწყობა განპირობებული უნდა იყოს დაქვემდებარებისადმი ალბათ გენეტიკური მიდრეკილებით, რასაც აღზრდის თავისებურებებიც უწყობს ხელს. ეს კი ქალებში შიშის გრძნობას უფრო ანგითარებს, ხოლო ქალების აღზრდა ქალის ფსიქიკაში პასიურობის ჩამოყალიბებას განაპირობებს, რაც ფობიების უფრო მეტი სიხშირით განვითარებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქალებში უფრო მეტად, ერთის მხრივ, პიპერთიმიულობისა, ხოლო, მეორე მხრივ, დისთიმიურობის ჩამოყალიბება, რაც ციკლოთიმური [Реан Коломинский, 1999:79] ხასიათის აქცენტუაციის ფორმირებას განსაზღვრავს. სანგვინური ტემპერამენტის წარმომადგენლებში უკეთ ვითარდება ჰიპერთიმიული ტენდენციები, რომლებიც შესაძლებელია ქალურ კაპლუცობაში გადაიზარდოს. მელანქოლიური ტემპერამენტის წარმომადგენლებში კი შეიძლება დისტიმიური ტენდენციები განვითარდეს, რომელიც ზოგჯერ დეპრესიაში გადაიზრდება. დემონსტრაციული ხასიათის [Реан, Коломинский,

1999:80] ისტერიასთან დაკავშირება ამ ხასიათის მნიშვნელოვანწილად თეატრალურობით არის განპირობებული, რომელიც აგრეთვე ქალებს უფრო ახასიათებს, რადგან ქალები ხშირად როგორც მსახიობები მოელიან კეთილგანწყობას, მხარდაჭერას, მაღალ შეფასებას, ხოლო ასეთი ტენდენციებს კი ჩვეულებრივ ისტერიული პიროვნებაც ავლენს.

ფობია ადრეულ ასაკში, ჩვილობის პერიოდში წარმოიქმნება და თუ საერთოდ შიში ზოგადად სიკვდილის შიშთან (ტანატაფობია) გაიგივდება [Чаганава, 2004:189] გასაგებია, რომ უცხო ადამიანის შიში სიკვდილის მომტანთან, თვით სიკვდილთან გაიგივდება. ამას უკავშირდება გარდაცვლილის შიშიც [Фрезер, 1983:241-246], რომელიც მნიშვნელოვანწილად შორეული გამოძახილი უნდა იყოს კანიბალიზმისა.

ფროიდი წერს, რომ თუ ჩემ პაციენტთან მგელი იყო მამის მხოლოდ პირველი შემნაცვლელი, მაშინ დგება კითხვა, აქეს თუ არა მგლის შესახებ ზღაპარს, რომელშიც ის შთანთქავს თიკნებს თავისი საიდუმლო შინაარსით რაღაც სხვა ვიდრე მამის წინაშე ინფანტილური შიშის „მამის წინაშე“ [Фрейд, 2003:199]. შენიშვნაში გვახსენებენ ბერძნულ მითს კრონსის შესახებ, რომელიც მისი შვილების დაბადებისთანავე შთანთქავდა მათ [Фрейд, 2003:586]. შემდგაბ ფროიდი განაგრძობს, რომ „ჩემი პაციენტის მამას ამის გარდა პქონდა „მოფერებითი დატუქსვის“ ჩვევა, რომელსაც ბევრი მიმართავს საკუთარი შვილებისადმი მიმართვის დროს“, რაც ხუმრობით დამუქრებაში გამოიხატება „მე შენ შეგჰამ“ [Фрейд, 2003:199].

საშიშროების ფსიქიკაში ასახვა იწვევს მისგან თავის დაღწევის აუცილებლობას, რაც კიდევაც ხორციელდება ამა თუ იმ ისტერიულ სწეულებაში. მაგალითად, მამის რისხვა, ბაგშვის მხრივ წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობის პირობებში, იწვევს მამის მგელთან გაიგივებას, რაც ბაგშვს შესაძლებლობას აძლევს მამასთან ურთიერთობების გაგრძელებისა, ცხოველზე შიშის გადატანისა და ცხოველთა მიმართ ფობიოს შემუშავების შედეგად. საყურადღებო მგლის ინდოევროპული ფუძის ეტიმოლოგია, რომელსაც უკავშირებენ გახლებას, მოვლას, ჭრილობის მიყენებას, მკვდარს – ანუ ეს არის მევლელი-ცხოველი [Гамкрелиძე, Иванов, 1984:493]. ამავე დროს ინდოევროპული ტრადიცია იცნობს მგელ-კაცის, მგელ-მაქციას, მგლის მტერთან გაიგივების ეტიმოლოგიურ ნაირსახეობებს [Гамкрелиძე, Иванов, 1984:493], რაც თავისებურად აისახება უცხო ადამიანების მიმართ შიშში.

აკვიატებული მოქმედება, გაორებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან ასეთ მოქმედებას თითქოს ჩვენ კი არა, არამედ ვიდაც სხვა ახორციელებს, რაც ამა თუ იმ საშიშროების წინაშე გვაყენებს ჩვენ, მაგრამ, ჩვენ რატომდაც შეგუებულნი ვართ მასთან (შიშისა თუ მორჩილების გამო).

ახალშობილობის, ჩვილობისა და ადრეული ბავშვობის პერიოდში – 2,5 წლამდე ბავშვს აქვს საკუთარი არსებობის განცდა ანუ ცნობიერება და გარე დამკვირვებელს წარმოექმნება შთაბეჭდილება, რომ ენერგიის წყარო გარემოში კი არა, არამედ ადამიანის ფსიქიკურ არსებობაშია. ბავშვი ამ პერიოდში, ძირითადად, როგორც ფსიქიკური არსება ყალიბდება და ფსიქიკური არსებობა ხდება წამყვანი (დადასტურებული). ასეთ შემთხვევაში უცებ წარმოქმნილი უფროსების მრისხანებასთან შეხვედრა ბავშვის ფსიქიკური სამყაროდან ფიზიკურ სამყაროში გადაყვანას უტოლდება. ეს კი ნიშნავს ფსიქიკური პროცესების ბლოკირებას, ფსიქიკურის ჩამოყალიბების განვითარების ძლიერ შეფერხებას. მატრავმირებელი გამდიზიანებელი უშუალოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფსიქიკაში არ აისახება და ფსიქიკა გარეგნულად უცვლელი რჩება. სამაგიეროდ, რადგან მატრავმირებელი გამდიზიანებელი “შთანთქმის” საშიშროების ფაქტორი ორიენტირებულია სომატურ სფეროზე, ის, მხოლოდ როგორც წუხელის განცდა აისახება ფსიქიკურ სფეროში. ადამიანის ფსიქიკა კი, რომელიც არ არის ცნობიერების დონეზე ჩამოყალიბებული არ ღებულობს დარტყმას და მატრავმირებელი გამდიზიანებელი უშუალოდ სხეულზე, სომატურ სფეროზე მოქმედებს. მაგრამ, რადგან რისხვის უკიდურესი ფილოგენეტიკური ფორმა – “შთანთქმა” არ ხორციელდება სომატურად რისხვაზე მატრავმირებულ გამდიზიანებელზე საპასუხო რეაქცია ფილოგენეტიკურად არსებული რესურსით ხორციელდება, რაც კანკალში, ტირილში, გაქცევაში, მოძრაობის შეწყვეტაში, ვარდნაში, სხეულის ძლიერ მოხრაში გამოიხატება. ყველაფერი ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური წუხილის, განცდის დონეზე რჩება. რისხვის ან რისხვის მომგვრელი სიტუაციების განმეორება აყალიბებს სომატური გამოვლინების პარალელურ ფსიქიკურ განცდათა ერთობლიობას. ეს ყველაფერი ცნობიერების გარეშე ხდება და ამგარად ყალიბდება არაცნობიერი ფსიქიკა, რომელიც გრძნობის ორგანოების მოქმედების მიღმა იქმნება და იმ ფსიქიკის მიღმა რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია და პოტენციალურად ცნობიერების ტოლფასია, რადგან ცნობიერება მისი რეალური ფუნქციით იცავს ადამიანს გარემოს ზემოქმედებისაგან, ხოლო ბავშვის არაცნობიერი (მე) იცავს მას იმით, რომ რისხვის დარტყმას წარმართავს არა რეალურად არსებულ სომატურ სფეროზე, არამედ ფსიქიკაში არსებულ მის სომატურ ეკვივალენტზე, რომელიც არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული და ფსიქიკური ელემენტი აქ უფრო ძლიერია და მას სოციალური ნორმების შეთვისების არანაირი გამოცდილება არ აქვს ამ პერიოდში და ამიტომ ის უფრო მეტად სოციალიზებული ეგოს-საწინააღმდეგოდ ინდივიდუალურისტურ ეგოდ ყალიბდება სოციალიზაციის ნაკლებობით. ამრიგად, ფსიქიკური ტრამვის შედეგად ვდებულობთ ფსიქიკურ აშლილობას, რომელიც სომატური აშლილობის იმიტაციაზე არის მიმართული. იქმნება სომატური აშლილობების ფსიქიკური განწყობა, რომელიც შემდგომში პიროვნე-

ბაზე ძლიერი ზეწოლის შედეგად იწყებს მოქმედებას და ვდებულობთ ამა თუ იმ ისტერიულ აშლილობას. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, რისხვა (მატრამვირებელი გამდიზიანებელი) პირდაპირ გრძნობის ორგანოებზეც მოქმედებს და მათი ფუნქციების ბლოკირებას იწვევს, რაც იწვევს ისტერიულ სიბრმავეს, დამუნჯებას, სიყრუეს, გემოს, სუნის შეგრძნებათა ბლოკირებას (რადგან ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული აღქმა) და შეხების ფუნქციათა ბლოკირებას, მეორე მხრივ მატრამვირებელი გამდიზიანებელი აგრეთვე პირდაპირ სხეულზე, სომაზე მოქმედებს და იწვევს ბიოგენეტიკურ რეაქციებს კანკალის, ტირილის, კრუნჩხვის, მოკუნტულობისა და სხვა ფიზიკური გამოვლინებებით, რაც ფიზიკურად წარმავალია, რადგან ორგანიზმის ასეთი რეაქციები ინსტინქტური ხასიათისაა და უშუალოდ ფსიქიკის ფორმირებას არ შეეხბა. სამაგიეროდ ყალიბდება ამ გამოვლინებების პარალელური ფსიქიკური ეპვივალენტი, რითაც არაცნობიერი ფსიქიკის ჩამოყალიბებას ეძლევა საფუძველი. ფრონდი და ბრაიერი (1895) თავის დროზე მივიღნენ დასკვნამდე, რომ ისტერიის გენეზისის ძირითადი ფაქტორი არის ფსიქიკური ტრავმა უარყოფითი განცდის სახით, რომელიც დაკავშირებულიაშიშის, სირცხვილის, დანაშაულის და ა.შ. განცდებთან [Якубик, 1982:91]. ასეთი მოქმედება ბავშვისათვის ფსიქიკურის მართვის იმიტაციას წააგავს, რაც მისთვის, როგორც ყველაფრის დაუფლებაზე ორიენტირებული პიროვნებისათვის გარკვეული კომფორტულობის განცდასაც კი უნდა იწვევდეს, რომელსაც ის თუნდაც უარყოფითი გამოცდილების სახით, მაგრამ მაინც ითვისებს. საყურადღებოა, რომ ისტერიული განწყობის შემთხვევაში კი უდასტურდება საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილების განცდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, კარგად არის ცნობილი, რომ ბავშვმა უკვე საკუთარი გამოცდილების საფუძველზე იცის, რომ ტირილით, შეიძლება აირიდოს მისთვის უხერხელი მდგომარეობა, მიიღოს საჭმელი, გამოაცვლებინოს საფეხბი და ა.შ. ამრიგად, რისხვა ამ ასაკში იწვევს წვეულებრივი ფსიქიკური პროცესის შეჩერებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხედველობა უნდა შეიცვალოს სიბრმავით, სმენა-სიყრუვით, მეტყველება-მუტიზმით, სიარული-სიარულის შეჩერებით (დამბლით) და ა.შ. რითაც ადამიანი აღწევს მისთვის მიუღებელი სიტუაციისაგან თავის დაცვას და მისგან თავის არიდებას, თუმცა ასეთი თავდაცვა მას საქმაოდ ძვირად უჯდება, რაც სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობის ფორმირებაში გამოვლინდება. ასე ხდება, როგორც ჩანს, სრულყოფილი ცნობიერების ჩამოყალიბებამდე-ე.ი. 2,5-3 წლამდე.

### **2,5 – 3 წლიდან 11 წლამდე ასაკის თავისებურებები**

ფსიქოსომატური სნეულებების წარმოშობა, სავარაუდოთ უფრო გვიან ხდება, როდესაც გაყოფილია მე-ფსიქიკური და მე სომატური და წარმოქმნილია გარემოს ფსიქოლოგიური, ფენომენოლოგიური მკვივალენტი. ასეთ შემთხვევაში რისხვა აღიქმება, როგორც რეა-

ლური სხეულებრივი ზიანის მომტანი. სხეული გამოყოფილია ფსიქიკისაგან და სხეულებრივ „მქ“-ს წარმოადგენს, რომელიც საკუთარ თავზე დებულობს უფროსის, რისხვით ან ძლიერი გამოიზიანებლით გამოწვეულ დარტყმას და ამით ნარჩუნდება ფსიქიური „მქ“-ს სტაბილურობა, გარემოს ღირებულებითი, ემოციური და კუთვნილებითი ფენომენოლოგიური სისტემა და სამაგიეროდ ზიანდება სომატური სფერო. რადგან ეს პერიოდი მოიცავს პირის ნაცვალსახელების სწორად გამოყენებიდან (2,5 წელი) დაწყებული ასაკიდან 11 წლამდე პერიოდს. საკუთარი ფსიქიური „მქ“ აშკარად დიფერენცირებულია სხვა ადამიანებისაგან და ფიზიკურ სამყაროსაგან. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს გარემოში არსებულ დაბრკოლებებთან ბრძოლის საკუთარ თავზე აღების მცდელობას, ანუ როდესაც ბავშვი ცდილობს თვითონ გადალახოს მის წინაშე არსებული დაბრკოლებები მშობლების კარნაბისა და ზედამხედველობის გრეშე. აქ უარყოფა (ყბულებელყოფა)ხდება ფიზიკური საშიშროებისა (მათ შორის სომატურისა), რაც თავისთავად იწვევს სომატურ აშლილობას და აქ არაფერია გასაკვირი. მგრამ ასეთი შედეგის პარალელურად ფსიქიური შემოტევა (რისხვა თუ სხვა ძლიერი ფსიქოლოგიური ხასიათის აგრესიული ქმედება), გამღიზიანებლის ზემოქმედება ანალოგიურად იწვევს სომატურ სხეულებებს, რადგან ადამიანის ფსიქიკაში უკვე მოქმედებს ფსიქიკის თავდაცვის მექანიზმი, როდესაც რისხვა ან მასთან გაიგივებული ზემოქმედი ფაქტორები უშუალოდ ფსიქიკაზე კი არ მიიმართებიან, არამედ, იმის გამო, რომ 2,5 წლის შემდეგ ასეთი დაყოფა რეალური ხდება, რისხვის ზემოქმედება თავისთავად მიმართული ხდება სომატურ სფეროზე.

2,5–3–4 წლებში ხდება ბავშვის პიროვნული „მქ“-ს ჩამოყალიბება, რომელიც როგორც აღნიშნა მე-ფსიქიურისა და მე-სომატურის სახით ყალიბდება. მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ფსიქიური სფეროს ნაწილია და სომატურის ფიზიკურობა ნაკლებ განიცდება, რადგან მანამდე გარემოსთან ურთიერთობებს, ანუ ფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთობებს მშობლები უზრუნველყოფდნენ და ნებისმიერი ობიექტური, ფიზიკური დაბრკოლების წარმოქმნის შემთხვევაში ზრდასრული ადამიანები უზრუნველყოფენ ამ დაბრკოლებების გადალახვას. პატარა ბავშვი სულ უფრო და უფრო ხშირად აღმოჩნდება ხოლმე მკრივი, მისი სხეულის „მაგვარი“ მატერიალური სამყაროს პირისპირ და მისი მშობლებიც, ახლობლებიც იგივე მატერიალური სამყაროს წარმომადგენლები არიან რეალურად. ობიექტური ფიზიკური სამყარო ძლიერ აფერხებს ბავშვს, რადგან მანამდე, სანამ ის ფენომენოლოგიურ სამყაროში იმყოფებოდა და შემეცნებითი, აღქმითი ორგანოებით უკავშირდებოდა ფიზიკურ სამყაროს, ის მისთვის უფრო მეტად ფენომენოლოგიური ხასიათის იყო, ფსიქიკური, რომელიც უფრო კომფორტული იყო მისთვის. ახლა, რადგან ფიზიკური სამყარო (გარემო, ეზო, მშობლები, სხვები) ფიზიკური წინააღმდეგ-

გობის გამწევები არიან ბავშვი ცდილობს დასძლიოს ისინი-ანუ დასძლიოს სიცივე და დაბრუნდეს მის კომფორტულ, მანამდელ მდგომარეობაში, მაგრამ იმით კი არა, რომ გაექცეს სიცივეს, არამედ მასთან დაპირისპირებით, მასთან ბრძოლით ანუ ტანზე ჩაუცმელობით, დასძლიოს სიმაღლე, მანძილი, სიცხე, სიმაგრე, რაც ამჟამად ცხადად აღმოჩენილი საკუთარი ფიზიკურ სხეულის გამოცდაა და მისი დაუფლებაა, რაც ფენომენოლოგიური დაუფლების მსგავსი პგრია ბავშვს. ამიტომ ამ პერიოდში მის მცდელობას დაეუფლოს, გამოცადოს, საკუთარი სხეული, წინ აღუდგება მშობელი. იმ რისხებას, რომელსაც ბავშვი აწყდება მშობლის მხრიდან, მისი მცდელობის საწინააღმდეგოდ აღიქვამს ბავშვი. ასეთ ანალოგიას მშობლებთან ხედავს, რომლებიც თავისით წარმართავენ საკუთარ სხეულს. ამგარად ფიზიკური სამყაროს სრული გაცნობიერების დროს ხდება მშობლის სხეულთან ანალოგების მოძიება ანუ საკუთარი სხეულის მართვის ისეთივე სურვილი აღეძვრება ბავშვს, როგორც მშობელს, ხოლო რადგან მშობელს ეს არ მოსწონს და წინააღმდეგობას უწევს ბავშვს, ბავშვი სხეულის დაუფლებად მიიჩნევს მშობლის საწინააღმდეგოდ სხეულის მომართვას, რაც იმაში გამოიხატება, რომ საკუთარ სხეულს ფიზიკურ ზემოქმედებას უქვემდებარებს, რაც სომატურ სხეულების იწვევს. ასეთი მოქმედება კი ბავშვის ფსიქიკური აყალიბებს განწყობას, რომლის მიხედვით ბავშვისათვის უფროსების მხრივ, ფსიქოლოგიური ზეწოლის შესაბამისად იმპულსურად ხდება ბავშვის სხეულებრივ მდგომარეობაში ცვლილებები, რა თქმა უნდა იმ წინაპირობების გათვალისწინებით, რაც ბავშვს შეიძლება სხეულებრივად, გენეტიკურად ახასიათებდეს, ანდა შეძენილი აქვს მისი ცხოვრების პერიოდში. მატერიალური სამყაროს რეალობა 3–4 წლის ასაკიდან ხდება აქტუალური, ის ბავშვისათვის მისი საწინააღმდეგოა და ბავშვი ფსიქიკურის მართვის ანალოგიურად ცდილობს მისი (ფიზიკური სამყაროს) წინააღმდეგობის გადალახვას. ე.ი. მასთან დაპირისპირებას. მაგრამ ფიზიკური სამყარო (ბავშვის სხეულიც ფიზიკური სამყარო) არ ექვემდებარება მას (ის ცივდება და ა.შ.). ამრიგად ყალიბდება განწყობა, რომლის თანახმად ფსიქიკურ ზეწოლას ბავშვი განირიდებს და არაცნობიერად სხეულზე წარმართავს მას, რომელიც მას, მის ნებას არ ემორჩილება. ასეთი წარმართვა კი იმაში ვლინდება, რომ ბავშვი ასთენური მდგომარეობის მაგვარ მდგომარეობაში გადადის, როდესაც სხეულებრივი სისუსტე განსაკუთრებით კარგად არის გამოხატული ფსიქოლოგიურად, რაც ორგანიზმის ფუნქციონირების მოშლით მანიფესტიზირდება ე.ი. უჭმელობა, მოთენილობა, საკუთარი გრძნობითი პრობლემის გამოუთქმელობა. ასეთ მდგომარეობათა ერთობლიობას, რომელიც ფსიქომატურ სხეულების უსწრებს წინ კოგნიტურ ფსიქოლოგიაში აღექსითომია ეწოდება და ის შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: 1. სირთულეებით საკუთარი გრძნობების განსაზღვრისა და აღწერის დროს; 2. გრძნობებისა და სხეუ-

ლებრივ შეგრძნებათა შორის განსხვავებულობის დადგენის სირთულეები; სიმბოლიზების უნარის დაქვეითება, რაზედაც მეტყველებს ფანტაზიისა და წარმოსახვის სხვა გამოვლინებების სიღარიბე; 4. ძირითადად გარე მოვლენებზე ფოკუსირება ვიდრე შინაგან განცდებზე [Карвасарский, 207:98].

ასთენის დროს ძირითადად შენარჩუნებულია გრძნობის ორგანოების ჩვეულებრივი მოქმედება და ადამიანი განიცდის სხეულებრივ პრობლემებს. უფროსი ასაკის ადამიანებთან დაპირისპირება აღიქმება ფიზიკურ არსებებთან დაპირისპირებად, მაგრამ ასეთი მცდელობის წარუმატებლობის გამო დაპირისპირება გარე ფიზიკურ სამყაროზე გადაიტანება და გარე ფიზიკური დაბრკოლებების დაძლევა, გადალახვა მშობლების გამოყენების საშუალებით ხორციელდება. მშობლებთან შეთანხმებით ფიზიკური სამყაროს დაძლევა განაპირობებს იმას, რომ ბავშვი ცდილობს მშობლები გამოიყენოს ფიზიკური სამყაროს დასაძლევად. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვი აღმოაჩენას, რომ ფსიქიკური სფეროს აღვილი დაუფლების საპირისპირო მისი საკუთარი ფიზიკური მდგომარეობა არ ემორჩილება მას და ის მის მართვას არ ექვემდებარება, არ ემორჩილება და ის თვითონაც მის წინააღმდეგ, საკუთარი ფიზიკური მდგომარეობის წინააღმდეგ განეწყობა.

ეს კი ნიშნავს, რომ მას საკუთარი ფიზიკური სხეული უცხოდ, გაუცხოებულად მიაჩნია, რომლის გამგებელი ის კი არ არის, არამედ მისი მშობლებია და ეს იმ დროს, როდესაც გარე ფიზიკურ სივრცეს ის უპვე მისი ასაკისათვის შესაფერისად კვლავაც ისაკუთრებს და დასძლევს სხვა ბავშვებთან ერთად ან დამოუკიდებლად ან მშობლების გამოყენებით–მაგალითად, “შტაბის” გამართვა, ლაშქრობის მოწყობა, ეზოს ათვისება, სხვებთან, ბავშვებთან ურთიერთობების დამყარება, სასკოლო რეჟიმთან შეგუება, სასწავლო საგნების დაძლევა და ა.შ.

ამ პერიოდში რისხვას ბავშვი აღიქვამს როგორც მის მიერ ფიზიკური სამყაროს დამოუკიდებლად გადალახვის შეზღუდვას, ფიზიკურ სასჯელს კი მის მიერ ჩამოყალიბებული გამოცდილების საწინააღმდეგოდ ის ისე აღიქვამს, რომ უფროსები აღიარებენ მისი სხეულის მისადმი კუთვნილებას, მაგრამ თვითნებური მიპყრობით თითქოს ადასტურებენ, რომ ამ ბავშვის სხეული მათ, უფროსებს მაჟუთვნით. ამრიგად ბავშვებს უპვე ამბივალენტური განცდები უყალიბდებათ, როდესაც ერთის მხრივ, ისინი რეალურად გრძნობენ საკუთარ სხეულის მათი პიროვნებისადმი კუთვნილებას, მაგრამ მშობლების ამ სხეულის დაცვა (მაგალითად, სიცივისაგან) და ამ სხეულის დასჯა (მაგალითად, ცელქობისათვის) იწვევს განცდას, რომ ეს მათი სხეული სინამდვილეში მთლიანად მათი არ არის და ამიტომ ისინი ნანობენ რომ უფროსები ითვისებენ მათ სხეულზე ზემოქმედების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ კი მათ უხარიათ, რომ მათი მეობა დაუმორჩილებელი რჩება.

ამრიგად, უფროსების იმ დონემდე მიყვანა, რომ მათ ფიზიკური შეტევამდე მივიღნენ, ბაგშვის მიერ ტკივილის მიუხედავად შეიძლება მისთვის უპირატესობად შეფასდეს, რადგან მისი პირადი ცნობიერება არ იცვლება და მისი მეობა ხელშეუხებელი რჩება, ხოლო ფიზიკურად სხეულის დასჯა ნიშნავს, რომ მშობელმა ვერ მოძებნა ბაგშვები, მისი პიროვნებაზე, მის „მე“-ზე ზემოქმედების საფუძვლები და საშუალებები. ამრიგად, ბაგშვები, სულ უფრო მეტად უმუშავდება განწყობა, რომ რისხვა მის სხეულში უნდა აისახოს, რაც კიდევაც ხდება ფსიქოსომატური სნეულებების წარმოშობის საფუძველი.

ამრიგად, თუ ნორმა მშობლის, უფროსების პრეროგატივაა, გამოდის, რომ ნორმის დარღვევა, მის საწინააღმდეგოდ მოქმედება ფიზიკური სხეულის, საერთოდ ფიზიკური სამყაროს და მათ შორის მშობლების, როგორც ფიზიკურის მართვის განმასახიორებლების მაჩვენებელია. ეს წინააღმდეგობა მხოლოდ იწყება 3–4 წლის ასაკში და გრძელდება 11 წლამდე, ე.ი. სანამ პიროვნება გადაწყვეტილების მიღებას არ გაითავისებს.

თუ კი პიროვნება ვერ ახერხებს ასეთ სამყაროში გადასვლას მაშინ ის რჩება გაორებულ მდგომარებაში, რადგან 2–3 წლამდე მას ჩამოუყალიბდა-მე ფსიქიკური, მე სომატურ - ფსიქიკური და ახლა აყალიბებს მე სომატურს, თუმცა, რომელიც საკმაოდ გაუცხოებულია მისთვის. 11–15 ასაკში ბაგშვი ემოციური სფეროს დაძლევით უკვე შინაგანი სომატურის მართვას ეუფლება, ხოლო 16–17 წლის ასაკში ეუფლება ფენომენოლოგიური სამყაროს, ფსიქიკის სრულყოფილ მართვას და ამრიგად სრულყოფილ ფსიქიკურ პიროვნებად გადაიქცევა.

ამრიგად ფსიქოსომატური სნეულებები წარმოიშვებიან უფროსების საპირისპიროდ სომატური (ფიზიკური) სამყაროს დაუფლების ინტერესიდან, რომელიც, ძირითადად, უფროსებს აქვთ ათვისებული და მისი, ბაგშვის სხეულის მართვაზეც უფროსები აცხადებენ პრეტენზიებს, მაგრამ აქ პატრონი თვითონ ბაგშვია და უფროსების მიერ ნაკარნახევი (ჩვეულება, ნორმა) ქცევის საწინააღმდეგოდ ექცევა ის საკუთარ სხეულს, რადგან გარე ფიზიკური სამყარო მტკიცედ უკავიათ უფროსებს და მის “წართმევას” ბაგშვი ვერ ახორციელებს, ამიტომ ის რჩება საკუთარი სხეულის ამარა და ამგვარად აქ ის უფრო მეტად თავისუფალია სამოქმედოთ, რომელიც ზრდასრული ადამიანების მოქმედების საწინააღმდეგო ხდება ხშირად მათ მხრიდან რისხვის გამოხატვის შემთხვევაში.

ამ ასაკში თუნდაც მოქმენტალური (დროებითი) უკმაყოფილება საკუთარი სხეულით (მაგალითად, სუნთქვით) წარმოშობს სნეულებას რომელიც დაკავშირებულია სუნთქვის პრობლემებთან და ა.შ. ე.ი. ამუშავდება შესაბამისი ნეგატიური განწყობა მშობლების მიერ ბაგშვის სხეულის ფიზიკური იძულებისადმი და ვლებულობთ საკუთარი სხეულის დაუფლებას საპირისპიროდ ანუ მშობლები ბაგშვის სხეულს ფლობენ მისი სიცივისაგან დაცვის თვალსაზრისით, ხოლო

ბავშვი ფლობს ამ სხეულს მისი სიცივისადმი დაქვემდებარების თვალსაზრისით, რაც ამგვარად იწვევს ფსიქოსომატურ სნეულებას.

### 11 წლიდან 15 წლამდე ასაკის თავისებურებები

თერთმეტი წლიდან 15 წლამდე ადგილი აქვს მოზარდის მიერ ნებისყოფითი ქცევის პერიოდის გადაწყვეტილების მიღების ათვისებისადმი ძლიერ ლტოლვას. ამ პერიოდში წინ წამოიწევს ნორმატიული ქცევის აუცილებლობა, რის შესახებაც წარმოდგენა ამა თუ იმ ადამიანთა ჯგუფში ყალიბდება და ამგვარად ნორმის შესრულება პირადი ღირებულების განმაპირობებელი ხდება და ფსიქიკური ენერგიის წყაროდ არის წარმოდგენილი. ბუნებრივია, რომ ამავე დროს ჯგუფი თავისთავად ღირებულების განმსაზღვრელი, თვითონ ხდება ღირებულების მატარებელი და უპირისპირდება საოჯახო ჯგუფს, რადგან მისი უარყოფის გარეშე შეუძლებელია თანატოლთა ჯგუფის ღირებულების განმტკიცება, საკუთარი ადგილის დაკავება საზოგადოებაში, რაც აუცილებლად გულისხმობს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფას. ამ ასაკიდან დაწყებული მოზარდი სულ უფრო მეტად შეწუხებული ხდება ოჯახის გარეთ გარემოს დაძლევით (შეგუებით). მაგრამ, რადგან ამ სოციალურ გარემოს ის უფრო მეტად თანატოლთა ჯგუფის წევრებთან ერთად ხვდება, ამიტომ ის სოციალურ გარემოსთან დაპირისპირებაში უფრო მეტად ბუნებრივია თანატოლთა ჯგუფს იყენებს, რომლებიც მასთან თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან და თანატოლთა ჯგუფური კონსოლიდაციის პირობებში გარე სოციალური დაბრკოლებების გადალახვას ის უწყობს ხელს, რომ აღარ ხდება საჭირო ფიზიკური სხეულის დაძლევის აუცილებლობა, ისევე საერთოდ ფიზიკური სამყაროს დაძლევა, რადგან ეს პრობლემა მას უკვე მოხსნილი აქვს ძირითადად.

აქამდე თუ ბავშვი ძირითადად ფიზიკური სამყაროს გაცნობიერებაზე იყო ორიენტირებული და ამიტომ ადამიანში ყალიბდება ფიზიკური სამყაროს ცნობიერება, რომელიც უპირისპირდება— 1) არაცნობიერ ფსიქიკას (იქმნება დაბადებიდან 2,5 წლამდე) და ამავე დროს თვითცნობიერება 2) იქმნება ფიზიკური სამყაროს ცნობიერება რომელიც საკუთარი ფიზიკურ მეს აერთიანებს. თუმცა ეს პერიოდი აგრეთვე ამბივალენტობით ხასიათდება. რადგან ზუსტად ამ პერიოდში 3 წლიდან-11 წლამდე ყალიბდება საკუთარი ოჯახის ცნობიერება, რომელთან შეთავსებადობა სიმყარეს, უსაფრთხოებას, სტაბილურობას, იმედიანობას უზრუნველყოფს და ამიტომ ოჯახური ერთობა (ჯგუფი) არის ფსიქიკური ენერგიის წყარო.

3) მაგრამ 11-15 წლის ასაკში მოზარდი უცებ აღმოაჩენს, რომ მისი მშობლების ძალაუფლება იშვიათად თუ სცილდება საკუთარ ბინას ანდა საკუთარი სახლის ეზოს. ამ დროს კი ეზოში, სახლში, სამსახურში ის პირისპირ ხვდება მის თანატოლებს და მშობლების ენერგიის წყარო ძალიან სუსტი და მიუწვდომელი ხდება, როდესაც

ის მარტო რჩება ეზოს ან საერთოდ ქუჩის ბავშვებთან. ის უშუალოდ გრძნობს, რომ ბავშვების ჯგუფს ძალიან დიდი ენერგია გააჩნია და ამ ენერგიის ათვისება არის საჭირო, რათა გაუთანაბრდეს ქუჩის ბავშვებს და გამოიყენოს ის სიძლიერე რომელიც გააჩნია ამჟამად მისთვის საწინააღმდეგო ჯგუფს. ამიტომ კი აუცილებელია ან ამ ჯგუფში შესვლა ანდა მის საპირისპირო სხვა ჯგუფის წარმოქმნა. ამიტომ კი აუცილებელი ხდება საქუთარი ფიზიკური სხეულის საკუთარი თავისადმი კუთვნილების დადასტურება და არა გაუცხოება, რადგან საკუთარი სხეული ხდება ენერგიის წარმოქმნის მნიშვნელოვანი წყარო. ეს იწვევს ტენდენციას საკუთარი ფიზიკური ჯანმრთელობის, ძალის, მოქნილობის, ამტანიანობის, გამძლეობის, ფიზიკური მდგრადობის, ფიზიკური აღნაგობის, მამაკაცური და ქალური მახასიათებლების შეთვისებას.

ამ პერიოდში მშობლებისაგან აუდიარებლობა კომპენსირდება თანატოლთა ჯგუფის მიერ, ხოლო სხვა ჯგუფებთან დაპირისპირებაში ფიზიკურ ენერგიასა და მხარდაჭერას თანატოლებისაგან უკვე უფრო მეტად დებულობს ვიდრე მშობლებისაგან.

ამ სიტუაციაში რისხვა ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს მოზარდს. თუ ეს რისხვა მშობლებისაგან მომდინარეობს, ის, რა თქმა უნდა, ვერ და არ იყენებს იმ შესაძლებლობას, რომელსაც მას ქუჩის თანატოლების მხარდაჭერა აძლევს და ამიტომ ის გაორებას გრძნობს. ერთის შერივ, ის უმწეობას განიცდის მშობლების წინაშე, რადგან ის მათ პატივს სცემს, უყვარს, ხოლო მისი დირსების უგულებელყოფა დამამცრომლად მოქმედებს მასზე და ასეთ სიტუაციაში წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია ბლოკირდება პატივისცემის გამო. ამიტომ ასეთი მდგომარეობა ხდება ან დეპრესიის, ანდა სხვების მიმართ აგრესიულობის საფუძველი, რომელიც შეიძლება მანიაკალურ მიღრეკილებაში გამოიხატოს.

ამ პერიოდში ყალიბდება მნიშვნელოვანი განსხვავება გოგონებისა და ვაჟების ნებისყოფით ქცევის თავისებურებებში. ვაჟების ნაწილი ამ ასაბში იძულებულია აქცენტი გააკეთოს თავისუფალ მოქმედებაზე, იმ დროს როდესაც გადაწყვეტილების მიღება იქცევა სასურველ ორიენტირება, მაგრამ მისი განუხორციელებლობის გამო ის საკომპენსაციოდ „ფსევდო გადაწყვეტილებას“ მიმართავს თავისუფალი უკონტროლო და ხშირად უგუნური მოქმედების სახით, რომელიც ნეგატივიზმთან გაიგივებდა. ამავე დროს გოგონები „გადაწყვეტილების მიღების“ სირთულეების გამო, მისი დაუფლებულობის სირთულეების გამო საკუთარ ქცევას შინაგანი ემოციების თავისუფალ მართვის საფუძველზე ახორციელებენ, რომელიც იმდენად ძლიერ ადარ კონტროლირდება ხოციალური გარემოს მიერ და ამიტომ გარეგნულად გოგონები რჩებიან დისციპლინირებული და მოწესრიგებული და ა.შ.

რაც შეეხება დეპრესიას, ის სავარაუდოთ უნდა უკავშირდებოდეს ადამიანის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ის ნანობს მის მიერ

განხორციელებული მოქმედების გამო და გამუდმებით ცდილობს გაერკვეს ამ სინაცილის გამომწვევე გარემოებებში. ამრიგად დეპრესიული ადამიანები ხშირად ძალიან ობიექტურად აფასებენ მოქმედებას [Maijer, 2000:206], რაც ხანგრძლივი ანალიტიკური აზროვნების შედეგია და ხშირად მათ ღრმა ინტელექტუალობა უკითარდებათ. აქ შეიძლება ანალოგია იყოს ვაჟა-ფშაველას მინდიასთან, რომელმაც აკრძალული საკვების მიღების შემდეგ გაბრძენდა [ჩაგანავა, 2004]. ანალოგიურ მდგომარეობას აღწერს ფროიდი, როდესაც ის საუბრობს ტომის ბელადის მკვლელობაზე, მის შთანთქმაზე და შემდეგ კი სინაცილზე, რომელმაც განაპირობა წევრების მსხვერპლის წინაშე (მათ მიერ შთანთქმულის მორჩილებას და სინაცილის განცდების წარმოშობა, რამაც უდიდეს დარტყმა მიაკენა კანიბალიზმს და მოგვიანებით კანიბალისტური ტრაპეზის ობიექტიც კი ცხოველით შეიცვალა და ამგვარად პირველყოფილმა ადამიანებმა კანიბალიზმის ტვირთი შეიმსუბუქეს და გაბრძენდენენ [Фрейд, <http://www.koob.ru>: 71-76].

მაგრამ ამ ასაკში ცნობიერების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება, რაც აგრეთვე არის დაკავშირებული ნებისყოფის ფორმალურ მხარესთან, როგორც წინადობის დაძლევის გარემოებებთან. საქმე იმაშია, რომ ამ ასაკში სქესობრივი მომწიფება უკვე შინაგანად აყენებს გოგონებსა და ვაჟებს სოციალური სქესის ათვისების წინაშე, რადგან უწინ ეს ძირითადად გარედან მომდინარეობდა (თუმცა ფროიდის მიხედვით შინაგანი გაუცნობიერებელი სტიმულები ადრეულ ასაკშიც კი აღინიშნება), რადგან გარემო აიძულებდა ბავშვებს მიეღოთ და აეთვისებინათ სოციალურად დადასტურებული როლები და ფუნქციები, ხოლო შინაგანი სტიმულები კი უფრო სუსტები იყო. უფრო მეტიც, ასეთი იძულება, ნორმები მნიშვნელოვანწილად ზღუდავენ გოგონების აქტიურობას და მიუღებლად მიიჩნევენ ვაჟების პასიურობას. გოგონები შინაგანად, ბიოლოგიურად მომზადებულნი არიან ფემინალური სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნორმების განმტკიცებისათვის, ხოლო ვაჟები კი მომზადებულნი არიან მასკულინალური ნორმების ასათვისებლად. მაგრამ აქ იქმნება ძლიერი წინააღმდეგობა უფროსებთან, რადგან მათი გადაწყვეტილების თანახმად მოქმედება მიუღებელი ხდება მოზარდებისათვის და ამიტომ ისინი ცდილობენ მიიღონ დამოუკიდებლად გადაწყვეტილება. ამიტომ დაპირისპირების ძლიერი ტენდენცია აიძულებს მოზარდებს მიმართონ საკუთარი გენდერის ფარგლებში უკიდურეს ვარიანტებს, რის შედეგად ვდებულობით ვაჟებში უკიდურეს აქტიურობას, რასაც აქვს ძალიან ძლიერი ტენდენცია აგრესიულობისა, თვითნებობისა, თვითნებობისა, გოგონებში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შეფერხება იწვევს დისთომიურ ტენდენციებს, რომელსაც ძალიან დიდი ალბათობა აქვს გადაიზარდოს დეპრესიაში.

მოზარდობის პერიოდი გარკვეულწილად მარგინალობით ხასიათდება, რომელიც რობერტ პარკის მიხედვით გამოირჩევა შემდეგი ნიშნებით: საკუთარ პიროვნულ დირებულებაში დაჭვება, მეგობრებ-

თან კავშირულობის გაურკვევლობა და მუდმივი შიში იმისი, რომ უარყოფილი იქნება, უფრო მეტად გაურკვეველი ტენდენციებისაგან განწილება, ვიდრე დამცირებულ მდგომარეობაში ყოფნის გარისევა, ავადმყოფური მორცხვობა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შემთხვევაში, მარტოობა- გადამეტებულად ოცნებების სფეროში ყოფნა, ზედმეტი წუხილი მომავალზე და ნებისმიერი სარისკო მოქმედების შიში, უუნარობა ტკბობისა და დარწმუნებლობა რომ მისი გარემოცვა უსამართლოა მის მიმართ [შიბუთანი, 1969:475]. მოზარდი ხშირად შეუთავსებელი გარემოებების შეთვისებას ცდილობს. მაგალითად, ის, ერთის მხრივ, ცდილობს შეინარჩუნოს ბავშვობისათვის დამახასიათებელი იმპულსურობა და მეორე მხრივ, კი ზრდასრულობაზე პრეტენზიულობის ტენდენციის გამო ცდილობს იყოს სერიოზული და სრულყოფილად აკონტროლოს საკუთარი ქცევა. ზრდასრულობაზე პრეტენზია აშკარა უპირატესობით სარგებლობს მის ცნობიერებაში, თუმცა კი ეს ტენდენცია არანაირად არ არის ლოგიკურად განმტკიცებული და ის სურვილის ღონებზე. ზრდასრულობა მნიშვნელოვანწილად მისთვის გადაწყვეტილების მიღებასთან არის გაიგივებული. ამიტომ გამოდის, რომ გადაწყვეტილების მიღების ფორმის ათვისება მისთვის საკმარისია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმულებული იქნება უარი თქვას ბავშვურ იმპულსურ, უმართავ ქცევაზე და შეითვისოს ქცევისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება, რაც მას აგრეთვე არ უნდა. მას უნდა ამ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ქცევის პატერნების შეერთება, რაც მას არ ძალუმს. ამიტომ კი ის ქმაყოფილდება გადაწყვეტილების მიღების ფორმის ათვისებით, რომელიც მას საშუალებას აძლევს მის ცნობიერებაში ზრდასრულობა განიცადოს ზრდასრულობის გარეგნული ფორმის ათვისებით (მაგალითად, თმის ვარცხნილობის მოწესრიგებით, ხმის ხელოვნურად დაბორებით, თამბაქოს მოწევით, ალკოჰოლური სასმელების მიღებით, საკუთარი გამჭედაობის უგუნური გამოცდით, მშობლების რჩევა-დარიგების მიუღებლობით და სხვა). ამრიგად აქ ხდება გადაწყვეტილების მიღების ათვისება ინტელექტუალობის გარეშე, ემოციური განცდის საფუძველზე-ზრდასრულობის გარეგნული ქცევის შენარჩუნებისადმი ლტოლვით.

### **15-17 წლის ასაკის ფსიქიკური თავისებურებები**

შემდგომ პერიოდში 15-17 წლის ასაკში ადამიანის ცხოვრებაში წამყვანი ხდება ინტელექტუალური დამოუკიდებლობის მიღწევა უფროსებისაგან, რაც ნებისყოფით მოტივთა ბრძოლის პერიოდის დაუფლებას ნიშნავს, ხოლო რეალურად ამ პერიოდის დაუფლება ხდება არა შინაგანად სხვადასხვა არგუმენტების დაპირისპირებით, არამედ უფროსებთან საკუთარი არგუმენტების დაპირისპირებით, რაც უპირატესობის მიღწევაზე არის ორიენტირებული. აქ აშკარად გამოიხატება „ჩემი“ ინტელექტუალობის დაპირისპირება უფროსების ინტე-

ლექტუალობასთან, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გათავისებული იყო და საკუთარი პიროვნების შემადგენელ ნაწილად მიჩნეული ყმაწვილის მიერ. ახლა კი მისგან განთავისუფლებას ცდილობს ახალგაზრდა, მის მოცილებას, გაუცხოებას, უკუგდებას და პირველ ეტაპზე ნებისმიერი მსჯელობის საფუძველზე, მათ შორის მოტივების გამოყენებით, შემდგომში კი ლოგიკური მსჯელობით. ეს კველაფერი კი იწვევს საკუთარი პიროვნების გაორებას, რადგან ის უარყოფს დიდი ხნის განმავლობაში ღირებულად აღიარებულ მშობლების თვალსაზრისს, რაც აგრეთვე საკუთარ გაუფასურებას იწვევს და ის ცდილობს სწრაფად შექმნას ახალი ინტელექტუალური ღირებულები, რომლებიც შეენაცვლებიან მის პიროვნებაში განმტკიცებულ მშობლების მსჯელობათა ღირებულებით ერთობლიობას, აქ კი როდესაც მისი მსჯელობა ლოგიკურ ფარგლებში მიმდინარეობს ის თანდათან დებულობს აღიარებას, მაგრამ ზოგჯერ მსჯელობა ლოგიკურ ფარგლებს არღვევს და საკუთარ ეგოცენტრულობას განამტკიცებს წარმოსახვის საფუძველზე. ის ამრიგადშიზოფერენიის საზღვარზე დგება. ამ დროს ხდება სოციალური აუცილებლობის, პირობითობის უარყოფა და ინტელექტუალობის მოტივაცია ფორმალურად ხორციელდება. ასეთი შეუზღუდველი ანუ ეგოცენტრული ტენდენცია, წააგავს 2,5 წლამდე ბავშვის ეგოიზმს, როდესაც ბავშვმა არ იცის ქცევის სოციალური შეზღუდვის არსებობაზე და ამიტომ ეგოიზმის გამოვლენის წინ აღდგომას უფროსების მხრივ, ის ძალიან მძიმედ განიცდის და მისი ფსიქიკური სამყარო ზიანდება. აქ კი აზროვნება იმდენად განვითარებულია, რომ ადამიანი მისით უცაბდებს სოციალურ შეზღუდვებს ანუ აქცენტი კეთდება განუენებულ, აბსტრაქტულ, ცნებით აზროვნებაზე, რომელიც იწმინდება ტენდენციურობისაგან, ხშირად უფროსებისათვის დამახასიათებელი პრაქტიკოზმისაგან, რომელიც ზოგჯერ ვიწრო ჯგუფური (მაგალითად, ოჯახის) ინტერესებიდან გამომდინარეობს და შეიძლება არც კი შეესატყვისებოდეს ზოგად სოციალურ ღირებულებებს. მეორე მხრივ აქ ფსიქიკური ენერგიის წყაროდ შეიძლება მიჩნეული იყოს აუცილებლობა, რომელიც განაპირობებს ნორმატიულ ქცევას და ნორმალური ადამიანის სახეს. ეს შეზღუდვები კი მას შეიძლება უგუნურებად მიაჩნია და ფსიქიკური ენერგიის წყარო აქაც უკიდურესი ეგოიზმი ხდება, რომელიც, რა თქმა უნდა, მარტივი დაუფლების ტენდენციის საფუძველზე ყალიბდება, რომლისთვის სოციალური ღირებულებები შეუთავსებელია და ამიტომ შიზოფრენიკის ფსიქიკაში აშკარად ჩანს პრიმიტივიზაციის ტენდენციები, რომლებიც მას ათავისუფლებენ სოციალური შეზღუდვებისაგან.

შიზოფრენია – პიროვნების გახლებაა, უფრო სწორად ეს არის გარემოს ფენომენოლოგიზაციის გარდაქმნა. ამ შემთხვევაში პიროვნები სიმწიფის მიღწევის შემდეგ გრძელდება პიროვნების „შემდგომი სრულყოფა“ რაც ნებისყოფით „სრულყოფის“ შემთხვევაში გვაძლევს კატატონიურ შიზოფრენიას, როდესაც უარყოფის საყოველ-

თაო ნეგატივიზმის გამოვლინებებთან გვაქვს საქმე და ამის შეესატყვისება უკიდურესი ნეგატივიზმი. ჰებეფრენული (დეზორგანიზებული) შიზოფრენიის [Дмитриева, 199:114] დროს – უკიდურესი პიპერთიმიულობა-ქცევაზე კონტროლის უარყოფა, ასოციალურობა, აგრესიულობა და 3 თვისა და 2 წლის დონეზე ცნობიერების მარტივ ფორმაზე გადასვლა, როდესაც ადამიანს უხარია, რომ გარემოს აღიჭვამს და ოვითონ არ არის სოციალურად მომწიფებული. საკუთარი პიროვნების უარყოფას გადაყავს ადამიანი ბავშვის ამ დონეზე როდესაც ცნობიერება მარტივი სახით არის განვითარებული.

პარანიოდული (ბოდვითი) შეზოფრენია-შეესატყვისება პიროვნების შეუკავებელ „განვითარებას“ როდესაც მისი წარმოსახვა უკვე არანაირად არ კონტროლირდება და არ იზღუდება.

უბრალო შიზოფრენია-პიროვნების შემდგომი „განვითარება უკიდურესი ინდივიდუალიზმის საფუძველზე ხორციელდება“, რაც ავადმყოფის სოციალური გარემოსაგან და სამუშაოსთან დაკავშირებული სიტუაციებისაგან გაუცხოებას იწვევს [Дмитриева, 199:115].

ამრიგად ხდება ნორმატიული სოციალურ - ფსიქოლოგიური საწყისების უარყოფა (ყოველ შემთხვევაში მსჯელობის პერიოდში მაინც) და აპსტრაქტულ სამყაროში თავისუფალი, შეუზღუდავი, საკუთარი ნების შესაბამისი მოქმედების განხორციელება, სოციალურ დირექტულებათა უკუგდება და ამდენად საკუთარ ინტელექტუალურ უპირატესებულობაში დარწმუნებულობა, რომელიც, სინამდვილეში შინაგანი ფსიქიკური პრიმიტივიზაციისა და ინტელექტუალური დეგრადაციისა მაჩვენებელი ხდება.

ამრიგად ადამიანის განვითარებაში ნეგატივიზმის 4 ძირითადი პერიოდი გამოიყოფა (ჩაგანავა, 2010:152-171), რომლებიც თავისებურებად უკავშირდებიან პიროვნების ნებისყოფის მაგვარ მოქმედებას, საკუთრივ ნებისყოფით მოქმედებას, ცნობიერების თავისებურებისა და ფსიქიკური აშლილობების ჩამოყალიბების საკუთარად.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ.გერაგი, ფ.ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თსუ გამომცემლობა, თბ., 2009, 854 გვ.
2. რ.ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბ., 1977, 683 გვ.
3. ფ.ხ. მუხინა, ბავშვის ფსიქოლოგია, განათლება, თბ., 1989, 331 გვ.
4. ა.ვ.პეტროვსკი, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, განათლება, თბ., 1977, 362 გვ.
5. დ.უზნაძე, შრომები, III-IV, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1964, 636 გვ.
6. დ.უზნაძე, შრომები, V, მეცნიერება, თბ., 1967, 631 გვ.

7. გ.ჩაგანავა, განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები, აჭარა, ბათუმი, 2001, 224 გვ.
8. გ.ჩაგანავა, ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები, გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი, 2004, 254 გვ.
9. გ.ჩაგანავა, აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2009, 232 გვ.
10. გ.ჩაგანავა, ორალური სტადიის ფსიქოგენეტიკა, კრ.: ფსიქოლოგიური გამოკვლევები, III, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2009, 112–132 გვ.
11. არბ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიბ ერთტომეული, ქსუ, თბ., 1986, 591 გვ.
12. გ.ჩაგანავა, ნეგატივიზმის პერიოდების გამოვლენის თავისებურებები, კრ.: აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, XII, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2010, 152-170 გვ.
13. შ.ნჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქვევის მოტივის პრობლემა, ცოდნა, თბ., 1958, 378 გვ.
14. მ.ჯაბაშვილი, უცხო სიტუათა ლექსიკონი, განათლება, 1989, 598 გვ.
15. Би Х., Развитие ребёнка, Питер, СПБ., 2004, 768 с.
16. Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Ве., Индоевропейский язык и индоевропейцы, Издательство Тбилисского университета, Тбилиси, 1984, 1327 с.
17. Джемс В., Научные основы психологии, СПБ-ская электропечатня, СПБ., 1902, 370 с.
18. Дмитриева Т.Б., Клиническая психиатрия, ГЭОТОР МЕДИЦИНА, М., 1999, 505 с.
19. Добрынин Н.Ф., Характер активности внимания, Psychology Online, Net, Материалы по психологии.
20. Елисеева Ю.Ю., Полный справочник психоаналитика, Эксмо, М., 2006, 608 с.
21. Кфрасарский Б.Д., Клиническая психология, Питер, СПБ, 2007, 959 с.
22. Кербиков Ю.В., Психиатрия, Медицина, М., 1908, 448 с.
23. Лоренц К.З., Кольцо царя Соломона, Знание, М., 1970, 200 с.
24. Майер Д., Социальная психология, Питер, СПБ., 2000, 688 с.
25. Петровский А.И., Общая психология, Просвещение, М., 1986, 464 с.
26. Рean A.A., Коломинский Я. М., Социальная педагогическая психология, Питер, СПБ., 1999, 416 с.
27. Фрэзер Д.Д., Золотая ветвь, Политиздат, М., 1983, 703 с.
28. Фрейд З., Психоаналитические этюды, Попурри, Мн., 2003, 608 с.
29. Фрейд З., Введение в детский психоанализ, Норма и патология детского развития; «Я» и механизмы защиты, Попурри, М., 2004, 448 с.
30. Фрейд З., Totem и tabu. Психология первобытной культуры и религии, Онлайн Библиотека, [http:// www.koob.ru](http://www.koob.ru)
31. Чаганава г. Психология страха. Энциклопедический словарь, Издательство Аджара, Батуми, 2004, 255 с.
32. Шибутани Т., Социальная психология, Прогресс, М., 1969, 535 с.
33. Шеффер В., Дети и подростки, Психология развитая, Питер, СПБ., 2003, 976 с.
34. Якубик А., История, Медицина, М., 1982, 342 с.

## **Guram Chaganava**

### **Ontogenetically Development of the Person and the Mental Disorders**

#### **Summary**

Ontogenetically development of the person significantly is connected with the specifically periods of the development of the consciences and of the will sphere the deviation from which causes the mental disorders.

I period. From the birth up to the 2,5 years. That is mainly the subjective condition, when a child is living in his phenomenological world, which in spite of that formally is remaining to us the behavior of a man that has the place after fulfilling of the will activity, when the will activity so well mastered, that it take place without any will effort. In this period the child is meeting a lot of obstacles – problems of adaptation to the outer surrounding after the birth, the deliverance from the unconditional reflexes, mastering the behavior on the basis of the tendency to the grabbing, locomotion on the feet, mastering of the speech and so long. All these demands great effort, which remind us the will behavior, but the child is very easily is overcoming these obstacles, that his behavior is remaining us the post will behavior of the adult person. Besides of that the anger and the rudeness of the adults in the attitude to the child cause the origin of the neurotic disorders, particularly, phobias, hysterias, obsessions.

II period. From the 2, 5 years up to 11 years. In this period is well differentiated the mental “EGO” and the somatically “EGO”. Therefore the child is striving to be free from the guardianship of the parents in process of the fulfilling of the decision. He strives to overcome of the condition when he is forced to behave according compulsion of the parents. Such striving to overcome the authority of the parents formally remains us the will behavior, but because the child, basically, is resisting in the sphere connected with the physical world, dressing, eating and so long his reaction to the anger of the parents is determined by the substituting his physical “EGO” and so is appearing the psychosomatically diseases.

III period. From the 11 years up to 15 years. In this age the conscience of self mental “EGO” and the self somatically “EGO” are joined by adolescent and is appearing the self-consciousness as the condition of the full mastering of the self mental and somatically condition and it is becoming urgently necessary to master or personalize the outer physical and social surrounding that is not possible without mastering of the ability to make a decision which is fastened for themselves by the parents. Therefore the compensatory acting defines the referring to the person one's age and the imitative freedom in the making a decision. Such behavior is defining as negative by adult. In this situation the contradiction with the parents is sometime realized in aggressiveness of the boys and the depression of the girls.

IV period. From the 15 years up to 17 years. The main orientation in this period is striving for the intellectual development that is the cause for the contradiction with the adult in this sphere and this gives the possibilities to the youth to master the will period of the fights of the motives. In this age on the basis

of the strong resistance of the adults and other factors it is possible for the young person to prolong the “development” when really the mental development is finished at this period. On account of this it is possible that such kind of “development” is one of the factors causes the schizophrenia.

**Гурам Чаганава**

### **Онтогенетическое развитие личности и психические нарушения**

#### **Резюме**

Онтогенетическое развитие личности в значительной степени связано со своеобразными периодами развития сознания и волевой сферы, отклонения от которых вызывают психические нарушения.

I период. От рождения до двух с половиной лет. Это, в основном, период субъективного состояния, когда ребенок живет в своем феноменологическом мире, который тем не менее внешне, формально, напоминает поведение человека которое имеет место после волевого исполнения решения, т.е, тогда, когда волевое действие настолько освоено, что оно протекает как бы само по себе не требуя волевого усилия. Ребенок в этот период встречает много преград, связанных с адаптацией к внешней средой, например, переход на прямохождение, которое связано с огромными усилиями, что и напоминает волевое поведение. Однако ребенок так легко преодолевает эти преграды, что его поведение напоминает постволевое поведение взрослого человека. Вместе с этим, гнев и грубое отношение к ребенку вызывают у него невротические осложнения, в частности, фобию, истерию, навязчивые состояния.

II период. От двух с половиной лет до 11 лет. В этот период хорошо дифференцировано «Я» психическое и «Я» соматическое. Поэтому ребенок стремится освободиться от опеки родителей в процессе исполнения решений. Такое стремление к преодолению авторитета родителей по форме напоминает волевое действие, но так как ребенок, в основном, сопротивляется в сфере, связанном с физическим миром-одеванием, приемом пищи и т.д., то встречаясь с гневом родителей ребенок в противовес, как бы подставляет свое физическое «Я» и таким образом способствует возникновению психосоматических расстройств.

III период. От 11 лет до 15 лет. В этот период сознание своего психического «Я» и сознание своего соматического «Я» объединяются, осваиваются подростком и возникает самосознание, как состояние полной освоенности своего психического и соматического состояния и становиться необходимым присвоение или же персонализация внешней физической и социальной среды, что невозможно без освоения принятия решений, которое

закреплено за собой родителями. Поэтому компенсаторным действием является референтность на ровестниках, что опосредует имитационную свободу принятия решений. Взрослые такое поведение оценивают как неразумное и негативное. Возникающие противоречия иногда приводят к агрессивности мальчиков и депрессивности девочек.

IV период. От 15 лет до 17 лет. В этот период в жизни человека ведущее место начинает занимать проблема интеллектуальной независимости от взрослых, что реализуется в освоении периода борьбы мотивов. Это реализуется в противостоянии с интеллектуальной мотивацией взрослых. В этом возрасте, возможно, в результате сильного сопротивления взрослых, наряду, с другими факторами, закладываются основы «сверхразвития», т.е., такого развития личности, которое противостоит обычным стандартам совершенствования человека, что, вероятно, и является одним из факторов возникновения шизофрении.

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – გდუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბუჭიდად 9.11.2010  
ქაღალდის ზომა 60X84 1/16  
ფიზიკური თაბახი 17.6  
ტირაჟი 100

ვასი სახელშეპრესულებო

---

დაიბუჭიდა უნივერსიტეტის სტამბაში  
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35